

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დადგენი კომისია

საჩმის ხანიშვილი

ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია

ტომი I

ვეფხისტყაოსნის რედაქციები



გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1970

სკვპ-2000
შემოწმებულია

ნაშრომში, რომელიც ორი ტომისაგან შედგება, მონოგრაფულადაა შესწავლილი პოემის ტექსტის ისტორიასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები. წინამდებარე ტომში განხილულია პოემის რედაქციები; ტექსტის რეკონსტრუქციის ცდასთან ერთად გამოვლენილია ჩანართი პლასტების წარმოშობა, ამის მიზეზები და ტექსტის თანდათანობითი ევოლუცია, რაც წარმოდგენილია კლასიკური ხანის მწერლობის ისტორიასთან მჭიდრო კავშირში.

ამეამად არსებული ვეფხისტყაოსნის ხელნაწერების ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე გამოყოფილია პოემის რედაქციები და ქვერედაქციები, აღნიშნულია მათი მიმართება ურთიერთთან. ამასთან ტექსტის ისტორიის მონაცემების გათვალისწინებით აღძრულია ტექსტის აღდგენასთან დაკავშირებული რიგი საკითხებისა. ნაშრომს უძღვის აგრეთვე ვეფხისტყაოსნის ტექსტოლოგიური საკითხების ისტორია ვახტანგ VI-დან მოკიდებული ჩვენ დრომდე.

რ ი ლ ა ქ ტ ო რ ი ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ა ბ ა რ ა მ ი ძ ე

ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია და თანამედროვე ტექსტოლოგიის ზოგადი საკითხები

(შესავლის მაგიერ)

ვეფხისტყაოსნის ყოველმხრივი შესწავლის გზაზე ერთ-ერთ ურთულეს პრობლემას პოემის ტექსტის ისტორიის შესწავლა წარმოადგენს. პირველი მეცნიერული ნაშრომი რუსთაველზე, როგორც ცნობილია, დაიწერა 1712 წელს¹. დამახასიათებელია, რომ ეს ნაშრომი უპირატესად სწორედ ვეფხისტყაოსნის ტექსტოლოგიის საკითხებს განიხილავდა. მას შემდეგ 250 წელზე მეტი გავიდა და შოთა რუსთაველის პოემის კვლევის თანამედროვე ეტაპზე ვეფხისტყაოსნის ტექსტის საკითხები ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ პრობლემად რჩება. ამ სირთულეს განაპირობებს მრავალი ფაქტი.

თუ რომელიმე წიგნს შეეფერება ლათინთა გამოთქმა: წიგნსაც თავისი ბედი აქვთ, ეს უწინარეს ვეფხისტყაოსანზე ითქმის. დროის საკმაოდ დიდმა მანძილმა, რომელიც გვაშორებს ჩვენ ვეფხისტყაოსნის ავტორის ეპოქას, ბევრი რამ უჩინოდ აქცია. საკმარისია ითქვას, რომ ჩვენს მეცნიერებას ფაქტიურად ხელშესახები არაფერი მოეპოვება მე-13 საუკუნიდან მოყოლებული მე-16 საუკუნემდე. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები, რომლებიც საფუძველთა საფუძველია ტექსტის აღდგენის საქმეში, თავისი წარმოშობის დროით რამდენიმე საუკუნით არის დაშორებული ვეფხისტყაოსნის დაწერის ხანას. არც ის არის დასავეწყებელი, რომ ეს ხელნაწერები ძალზე წარყენილია და მათი შესწავლა, ყოველმხრივი გაცხრილვა დიდ შრომატევად სამუშაოს მოითხოვს, რაც ჯერ კიდევ მომავლის საქმეა.

ვეფხისტყაოსანი შუა საუკუნეების საქართველოს ყველაზე აღზევებული ეპოქის პირშოა და მასში, როგორც ამ ეპოქის კულტურის

¹ ვეფხისტყაოსანი, 1712 წელი, „შრომითა და წარსაგებელითა“ ვახტანგ VI-სათა, გამოცემას ერთვის ვახტანგისავე კომენტარები.

ზენიტში, აისახა ყველა ის მონაპოვარი, რაც კი ქართველი ხალხის სულიერმა ენერგიამ გამოავლინა. მრავალსაუკუნოვანი ეროვნული კულტურის აღმავლობა, რაც გამოიხატა მხატვრული შემოქმედების ყველა დარგის არაჩვეულებრივი აღორძინებით, ფასეული იყო იმითაც, რომ ქართულმა კლასიკურმა ეპოქამ შეითვისა მოწინავე და პროგრესული, რაც კი მაშინდელ აღმოსავლეთსა (საერო პოეზია) და დასავლეთს (ქრისტიანობა, ანტიკური ფილოსოფია) მოეპოვებოდა? „ამ სხვადასხვა ეპოქიდან და სხვადასხვა მხრიდან მომდინარე კულტურულ მიმდინარეობასთან კონტაქტსა და ჭიდილში შეიქმნა საკუთარი, სრულებით თავისებური, განუმეორებელი ქართული კულტურა და ჩამოყალიბდა ორიგინალური მსოფლმხედველობა, რომელსაც ახასიათებდა აზრის თავისუფლება, ადამიანის ფიზიკურ და გონებრივ შესაძლებლობათა მტკიცე რწმენა და კეთილშობილი ჰუმანიზმი.

კულტურულ ურთიერთობათა ეს მრავალფეროვნება სრულად არის ასახული ვეფხისტყაოსანში. იმ ელემენტების გამოვლენა, რომლებისგანაც იქმნებოდა ეს კულტურა, ხელს შეუწყობს პოემის ტექსტის უკეთ გაგების საქმეს, ხოლო მისი ავტორი კიდევ უფრო დიდებით მოსილი წარსდგება კაცობრიობის წინაშე“².

სერიოზულ სიძნელეებს ქმნის ტექსტის აღდგენის საქმეში ისიც, რომ ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის შესწავლილი და აღნუსხული ძველი ქართული მდიდარი ლექსიკა, ვეფხისტყაოსნის ენის თავისებურებანი, კლასიკური ეპოქის პოეტური სტილი, კერძოდ, რუსთველური პოეტიკა და ა. შ.

ჩვენს ეპოქაში, როცა ასე ფართოდ და ყოველმხრივად გაშლილი რუსთველოლოგიური მუშაობა, რასაკვირველია, არც ერთი ეს პრობლემა, რომელიც მჭიდრო კავშირშია პოემის ტექსტის აღდგენასთან, დაუძლეველი არ გვეჩვენება. პირიქით, უკანასკნელ ხანებში ძალზე ბევრი რამ გაკეთდა ამ მიმართულებით, რომელთა შესახებ გზადაგზა გვექნება საუბარი.

ამ კვლევა-ძიების ერთ-ერთი აუცილებელი რგოლი, ჩვენის აზრით, არის ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორიის შესწავლა, რომელიც პოემაზე წარმოებული ტექსტოლოგიური მუშაობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, რადგან ფართოდ გაგებული თანამედროვე ტექსტოლოგიის ამოცანა, პირველ რიგში, გულისხმობს სწორედ კლასიკურ

² შდრ. ნ. მ ა რ ი, Т. P. XII, 1910, გვ. IV; სადაც მკვლევარი მართებულად მიუთითებს ამ კულტურათა ნაყოფიერ გავლენაზე.

³ გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ვეფხისტყაოსნის კრიტიკულ-მეცნიერული ტექსტის გამოცემისათვის, ჟურნ. მაცნე, 1966, № 5, გვ. 194.

ძველთა ტექსტების განვითარების ისტორიული სურათის აღდგენას. წინამდებარე ნაშრომიც ავტორის მიერ ამ საკითხზე წლების მანძილზე გაწეული შრომის ერთგვარი შეჯამებაა და პირველწყაროებზე მუშაობის შედეგთა მონოგრაფიულ გადმოცემას წარმოადგენს.

* * *

ტექსტოლოგია, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინა, შეიძლება ითქვას, ახალ საუკუნეთა პირშეშოა. საკუთარი მიზნებისა და მეთოდოლოგიის მქონე მეცნიერებად მისი ჩამოყალიბება ისეთივე მტკივნეული პროცესი იყო, როგორც მეცნიერების ყოველი ახალი დარგისა. თუ დავუშვებთ, რომ ტექსტოლოგიური მუშაობის ერთადერთი მიზანი გარკვეული მხატვრული, ისტორიული თუ სხვა ხასიათის ძეგლის გამოცემაა, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ამგვარი სახის სამუშაო ჯერ კიდევ ცივილიზაციის პირველ საფეხურებზე ტარდებოდა. პირველი წერილობითი ძეგლების გაჩენასთან ერთად საჭირო ხდებოდა ან მათი გადამრავლება, ან, სიძველისა თუ დაზიანების შემთხვევაში, მათი აღდგენა-განახლება. პირველ რედაქტორებად სწორედ გადაშვრები და ძველი მწიგნობრები გვევლინებიან. საკმარისია გავისხენოთ ანტიკური მწერლობა, რომელმაც დიდებულ მხატვრულ თუ ისტორიულ ძეგლთა ავტორებთან ერთად გამოავლინა შესაფერი კულტურისა და განათლების მქონე მწიგნობარ-ტექსტოლოგები. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნეში ათენში პისისტრატემ შეადგინა სწავლულთა სპეციალური კომისია, რომელსაც წესრიგში უნდა მოეყვანა სხვადასხვა რაფსოდთა ხელში დარღვეული ტექსტი პომეროსის პოემებისა. „ილიადასა“ და „ოდისეას“ ტექსტების გამართვის საკითხი საუკუნეთა მანძილზე კამათისა და დავის საგანი იყო⁴. ტექსტის კრიტიკა და ძველთა თავდაპირველი სახის აღდგენის ცდა ძალზე განვითარებული იყო შუა საუკუნეთა დასავლეთ ევროპაშიც⁵. როგორც კლასიკურ, ისე შედარებით გვიანდელ, ე. წ. „აღორძინების ეპოქაში“ (XVI—XVIII სს.) სათარგმნელი მასალის შერჩევასა თუ ორიგინალურ ძეგლთა აღდგენა-გასწორებაზე წარმატებით მუშაობდნენ ქართველი მეცნიერ-მწიგნობრები და რედაქტორ-გადამწერები. საკმარისია აღინიშნოს მიქელ მოდრეკილის სანიმუშო გულმოდგინებით შედგენილი

⁴ ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ე ი ლ ი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1946, გვ. 12, 59—70.

⁵ Д. С. Л и х а ч е в, Текстология (на материале русской литературы X—XVII вв.), М.—Л., 1962, стр. 7—14.

ჰომენების კრებულის, ღვაწლი ექვთიმე და გიორგი ათონელებისა, ეფრემ მკირეს ნაშრომები და არსენ იყალთოელის თუ იოანე პეტრიწის საქმიანობა⁷. კლასიკური ხანის მოღვაწეთა ღირსეული მემკვიდრეები იყვნენ სულხან-საბა ორბელიანი⁸ და სწავლული მეფე ვახტანგ VI, რომელმაც პირველმა სცადა ვეფხისტყაოსნის ტექსტის კრიტიკული დამუშავება⁹.

მაგრამ მთელი ეს მუშაობა, რომელიც ჩვენ აქ მხოლოდ გაკვრივთ მოვიხსენიეთ, თავისთავში, მეტი რომ არა, ორ უმთავრეს ნაკლს ატარებდა. იგი მეტწილად ინტუიტიურ მიგნებებზე იყო დამოკიდებული და გვერდს უვლიდა წყაროთა ყოველმხრივ შეჯერება-შესწავლას, რის გარეშეც წარმოუდგენელია ჰემმარიტად მეცნიერული შედეგების მიღება. მეორეც, მათი ამოცანა რამდენადმე შეზღუდული იყო და მიზნად ისახავდა ან ამა თუ იმ ძეგლის დედნის აღმოჩენას, ან სავარაუდებელი ავტორისეული ტექსტის აღდგენას, ანუ, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, ტექსტის გამოსაცემად მომზადებას. მაშინ როცა თანამედროვე ტექსტოლოგია ბევრად უფრო ფართო მიზნებს ისახავს, და, პირველ რიგში, ვარაუდობს ტექსტის მთლიანი ისტორიის მეცნიერულ ანალიზს.

ტექსტოლოგიის, როგორც ახალი მეცნიერების, საფუძვლების განმტკიცება ფაქტიურად მე-19 საუკუნის შუა წლებში დაიწყო, მაგრამ ძველ მწიგნობართა მიერ შემუშავებული მეთოდები კიდევ დიდხანს ცოცხლობდა გარკვეულ მეცნიერულ წრეებში. მაგალითად, ძალზე სკეპტიკურად უყურებდა ტექსტოლოგიის ახლებურ გაგებას ცნობილი მეცნიერი და ტექსტების გამომცემელი ა. ჰაუზმანი, რომელიც, პირველ რიგში, მკვლევრის ალღოს და არა მეცნიერული მეთოდების მომარჯვებას მიიჩნევდა ტექსტის გამომცემის აუცილებელ პირობად და, ამდენად, უარყოფდა კიდევ ამ დარგის მეცნიერულ საფუძველს¹⁰.

ეს რაც შეეხება თეორიულ მოსაზრებას. მაგრამ ცნობილია, რომ თავის პრაქტიკულ მოღვაწეობაში უკანასკნელ წლებშიც რიგი მეცნიერ-გამომცემელი როგორც დასავლეთში, ისე ჩვენშიც იზღუდებდა ძველი მეთოდოლოგიით, ძველი ძეგლების გამოცემისას ირჩევს ერთ ხელნა-

⁶ პ. ი ნ გ ო რ ო ვ ე ა, გიორგი მერჩულე, თბილისი, 1954, გვ. 01—0107.

⁷ ე. კ ე ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბილისი, 1960, გვ. 174—177; 184—233; 273—305.

⁸ ა. ლ. ბ ა რ ა შ ი ძ ე, ნარკვევები, ტ. 1, თბილისი, 1945, გვ. 237—258.

⁹ ა. შ ა ნ ი ძ ე, ვეფხისტყაოსნის 1712 წლის აღდგენილი გამოცემა, თბილისი, 1937, გვ. 388—394.

¹⁰ A. E. H a u s m a n, Classical Association Proceedings, XVIII, 1921, გვ. 68—69, 84; ანალოგიური სკეპტიკური შეხედულებები გამოთქმული აქვთ ამერიკელ მეცნიერებს: ე. ჰემს. ე. კინვერს და სხვ.

წერს და, ამასთან, ზოგჯერ არც კი უჩვენებს სხვა არსებულ ხელნაწერთა ნაირკითხვებს.


აღნიშნული თვალსაზრისის არამეცნიერულობის საილუსტრაციოდ ვეფხისტყაოსნის მაგალითიც კმარა. ჩვენ ქვემოთ სპეციალურად შევვხებით და ვნახავთ, თუ რა რთული ვითარებაა ვეფხისტყაოსნის ტექსტის მეცნიერული შესწავლის სფეროში. პოემის რამდენიმე შედარებით ავთენტიკურ რედაქციათა და მრავალი ხელნაწერის არსებობის მიუხედავად, ამჟამად შეუძლებელი ხდება რომელიმე მათგანისათვის უპირატესობის მიცემა ისე, რომ გარკვეული ანგარიში არ გაეწიოს სხვა რედაქციებსა თუ ხელნაწერებს. დღესდღეობით შეიძლება მიახლოებით მოვხაზოთ კიდევ ცალკეული რედაქციების საეარაუდებელი არქეტიპები, მაგრამ გადაჭრით იმის თქმა, რომ მათგან მხოლოდ ერთი იღებს სათავეს ავტორისეული ტექსტიდან, იქნება არა მარტო აჩქარებული, არამედ არამეცნიერული დასკვნაც. ვეფხისტყაოსნის შესწავლის ადრეულ ეტაპზე იყო ცდა ზემოთ დასახელებული მეთოდით (ერთ ხელნაწერზე დაყრდნობის წესი) პოემის ტექსტის გამოცემისა (ამაზე დაწვრილებით სათანადო თავში იქნება მსჯელობა) და, ვფიქრობ, ამ მომენტმაც, უეჭველად, ითამაშა უარყოფითი როლი ვეფხისტყაოსნის შემდეგ გამოცემებშიც, მაგრამ რუსთველოლოგიის დღევანდელ ეტაპზე სწორედ ამგვარი ჩამორჩენილი მეცნიერული მეთოდების დაძლევაა უპირველესი ამოცანა.

ტექსტოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინის, ჩამოყალიბებისათვის ეტაპური მნიშვნელობა ენიჭება მე-19 საუკუნის შუა წლების ცნობილი მკვლევრის კარლ ლახმანის (1793—1851) შრომებს. თავის პირველ სამეცნიერო ნაბიჯებში იგი ეყრდნობოდა ინგლისელი ფილოლოგის რ. ბენტლისა და სახელგანთქმული მკვლევრისა და ტექსტოლოგის ფრ. ვოლფის მეთოდებს, მაგრამ შემდეგში მან წამოაყენა ტექსტების კვლევის საკუთარი მეთოდები და შექმნა მთელი სამეცნიერო სკოლა. კარლ ლახმანი, პირველ რიგში, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა თვით ტექსტოლოგიური წყაროების გამოკვლევას, სისტემატიკასა და კლასიფიკაციებს. მან დიდი შრომატევადი სამუშაოები ჩაატარა ახალი აღთქმის რეკონსტრუქციაზე, „ნიბელუნგების სიმღერების“ მოწესრიგებაზე. მასვე ეკუთვნის ძალზე მნიშვნელოვანი ნაშრომი ჰომეროსის პოემების ჩვენ დრომდე მოღწეული ტექსტების თავისებურებებზე.

ცნობილია, რომ რაც უფრო ძველია გამოსაკვლევი ძეგლი და რაც უფრო მრავალრიცხოვანია ხელნაწერები, რომლებშიც წარმოდგენილია ეს ძეგლი, მით უფრო გაძნელებულია ტექსტებში ორიენტირება. კარლ

ლახმანის აზრით, პირველ რიგში, აუცილებელია ხელნაწერთა (თუ რედაქციათა) ურთიერთობაში გარკვევა და მათი კლასიფიკაციის მეთოდების დამუშავება. სწორედ ამ მიზნით მან წამოაყენა ხელნაწერთა გენეალოგიური (სტემატური) შესწავლის აუცილებლობა და ასეთ კვლევას საფუძვლად დაუდო ე. წ. „საერთო შეცდომების“ პრინციპი. იგი ვარაუდობდა, რომ ტექსტის ისტორიის მანძილზე ხელნაწერთა რედაქტორ-გადამწერთა ხელში წარმოიქმნებოდა მცდარი წაკითხვები, რომელთა გამოვლენა საიმედო გასაღებს წარმოადგენს რედაქციათა თუ ხელნაწერთა ურთიერთობების გარკვევის დროს. „საერთო შეცდომები“ საერთო წყაროს გულისხმობს და, მაშასადამე, თუ ასეთი „შეცდომები“ დასტურდება ორ რამდენიმე ხელნაწერში, იგი მათ უეჭველ ნათესაობაზე უნდა მეტყველებდეს. აღსანიშნავია, რომ ლახმანის ამ მეთოდმა თავის დროზე უაღრესი გავრცელება ჰპოვა ტექსტების ისტორიაზე მომუშავე მკვლევართა შორის.


ნათელი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ აღნიშნული მეთოდის რაობაზე, შეიძლება ასეთი გამარტივებული მაგალითის მოტანა. აქცენტი, როგორც აღვნიშნეთ, გადატანილია ე. წ. „საერთო შეცდომებზე“. ვთქვათ, რომელიმე ძეგლი შემონახულია 12 ხელნაწერით, აქედან ტექსტის გარკვეულ ადგილზე 7 ხელნაწერი იზიარებს ერთ „საერთო შეცდომას“, მაშინ ხელნაწერთა სტემა ასეთ სახეს მიიღებს:¹¹



სტემა 1

ე. ი. 6, 7, 8, 9, 10, 11, 12 ხელნაწერი მომდინარეობს არა დედნიდან, არამედ სხვა (ამ შემთხვევაში — C) ხელნაწერიდან. მაგრამ ირკვევა, რომ პირველ ხუთ ხელნაწერსაც მოეპოვება თავისი „საერთო შეცდომა“, მაშინ სტემა ახალ გამოსახულებას მიიღებს.

¹¹ მრავალი წრე აქ საუარაუდო დედანს (არქეტიპს) აღნიშნავს, კვადრატები კი — ხელნაწერებს.



სტემა 2

ე. ი. ამ სქემის მიხედვით პირველ ხუთ ხელნაწერს საერთო არქეტიპი მოეპოვება ისევე, როგორც მომდევნო შვიდს, ხოლო ამ არქეტიპებს (B და C) შესაძლოა საერთო სათავე ჰქონდეს სავარაუდო A ხელნაწერის სახით. მაგრამ აქ წარმოდგენილი სქემა შესაძლოა უფრო დაიშალოს, თუ ამ ხელნაწერთა შორის რამდენიმეს კიდევ აღმოაჩნდება მათთვის დამახასიათებელი „საერთო შეცდომა“ და ა. შ. შემდეგ აღმოჩენილი „საერთო შეცდომათა“ ნიშნით ახალ-ახალ, უფრო დაზუსტებულ სტემებს შევადგენთ, ვიდრე ხელნაწერთა აღნიშნული ჯგუფი ვარკვეულ წყვილებად არ იქცევა, რასაც ტექსტოლოგიურ მეცნიერებაში დიქოტომიური ანალიზის მეთოდი ეწოდება.

ლახმანის სქემების თეორიამ, როგორც აღვნიშნეთ, მრავალი მომხრე შეიძინა. ცადეს მისი შემდგომი განვითარებაც. ლახმანის სტემებში სიმძიმის ცენტრი „საერთო შეცდომებზე“ იყო გადატანილი, მაგრამ ნაკლებ ეწეოდა ანგარიში იმ გარემოებას, რომ ეს „საერთო შეცდომები“ ზოგ შემთხვევაში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ჩნდებოდა სხვადასხვა ხელნაწერში¹². ამის გამო „საერთო შეცდომები“ ზოგმა

¹² ამის მაგალითებს ჩვენ მრავალზე მრავალს ვიპოვით ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ანალიზის დროს. აი, ერთი მათგანი. პროლოგის მესამე სტროფის მეოთხე სტრიქონზე: „მისთა მჰკერეტელთა ყანდისა მირთმა ხამს, მართ მიშერისა“, ზოგ ხელნაწერში იკითხება: „მისთა მჰკერეტელთა ყანდისა მირთმა ხამს მართ მ შ ი ე რ ი ს ა“. ასეა, მაგალითად, ხელნაწერებში B, C, M, I, O, U, V და ა. შ. (ხელნაწერები დასახელებულია რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ლიტერებით). თუ ამ წაკითხვას ჩვენ „საერთო შეცდომად“ ვაღიარებთ, მაშინ გამოდის, რომ ეს ხელნაწერებიც ერთი რედაქციონისად უნდა ვივულებოთ, მაშინ როცა ფაქტიურად ეს ასე არ არის. ეს შეცდომა

მკვლევარმა „მსგავსი ადგილების“ ძიებით შეცვალა და ახალი, შევსებული პრინციპით ააგო ხელნაწერთა გენეალოგიური სქემები (სტემები)¹³.

ლახმანის თეორიამ (ისევე მისმა გაუმჯობესებულმა სახეობამ) თავის დროზე გარკვეულად დადებითი როლი შეასრულა ტექსტების ისტორიის კვლევის საქმეში. მკვლევართა ინტერესების სფეროში მოექცა ხელნაწერთა ურთიერთმიმართების, მათში ძველი ფენების აღმოჩენის საკითხები, რომლის გარეშეც შეუძლებელიცაა ტექსტების ისტორიის მთლიანი სურათის წარმოდგენა. მაგრამ ლახმანის თეორია არ იყო უნივერსალური და უფრო ფორმალურ, მექანიკურ ხასიათს ატარებდა. მის მიერ შედგენილი სტემები ქუცმაცდებოდა და ბოლოს აუცილებლად წყვილ ხელნაწერებამდე დადიოდა (ე. წ. დიქტომიური სტემები). თუ ხელნაწერთა რაოდენობა კენტი იყო, წყვილებთან ერთად ცალკე რჩებოდა ერთი რომელიმე ხელნაწერი, რომელსაც, შესაძლოა, თავის მხრივაც ჰქონოდა შეწყვილებული ნუსხა (რასაკვირველია, მათ შორის აღმოჩენილი „საერთო შეცდომის“ მიხედვით).

ლახმანის სისტემა ამასთან მხოლოდ სტატისტიკურ გაანგარიშებებს ეყრდნობოდა. სტემების შედგენის დროს, როგორც აპრიორი, მიღებული იყო გადაწყვერთა მუშაობის (როგორც ახალი ტექსტების წარმოშობის უმთავრესი წყაროს) მექანიკური ხასიათი და ამის მიხედვით მხოლოდ ფორმალური ნიშნებით დგებოდა ზემოთ ნაჩვენები ტიპის გენეალოგიური სქემები. აღნიშნული სისტემის უმთავრესი ნაკლოვანებანი აღრევე იყო შენიშნული და მისი მწყობრი კრიტიკა მოგვცა ფრანგმა მეცნიერმა შ. ბედიემ, რომელმაც ფრანგული კლასიკური თხზულების „ვარდის რომანის“ ტექსტის ანალიზით წარმოადგინა ლახმანის სისტემის ნაკლოვანებები (შ. ბედიეს კრიტიკას, როგორც აღნიშნავს დ. ლიხაოვი, მხარი დაუჭირა დასავლეთ ევროპის მრავალმა მეცნიერმა, მაგალით., ე. ფურკემ, ე. ვალბერგმა, ე. პიფორდმა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით შვეიცარიის ფრიბურგის უნივერსიტეტის პროფესორის ა. კასტელანის შრომები, რომელიც სულ ახლახან გამოქვეყნდა). კრიტიკის პათოსი, როგორც აღვნიშნეთ, უმთავრესად მიმართული იყო ლახმანისა და მისი მიმდევრების უეჭველ ნაკლოვანებათა მხილებისაკენ, მაგრამ ამ შრომათა ნაკლიც თვალსაჩინოა. ისინი არ სცილდებიან კრიტიკის ფარგლებს, არ სვამენ ნაკლოვა-

წარმოშვა „მიწერის“ ვერ გაგებამ და, შესაძლოა, დამოუკიდებლად, სხვადასხვა ნუსხაში წარმოშვა გააზრებული წაკითხვა „მწიერისა“.

¹³ „მსგავსი ადგილების“ თეორია პირველად შემოიღო ბენედიქტელმა დონიანტენმა.

ნებათა დაძლევის საკითხებს და, საერთოდ, არ ითვალისწინებენ ტექსტოლოგიურ პრობლემათა პერსპექტივას.

როგორც დასავლეთ ევროპაში, ისე მით უფრო ჩვენში, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ტექსტოლოგიის პრობლემათა დამუშავებას, ამჟამად სულ სხვა ასპექტში ისმის ტექსტის ისტორიის შესწავლისა თუ ტექსტის კრიტიკის საკითხები. იგი ჩამოყალიბდა ისეთ მეცნიერებად, რომელიც კვლევის საკუთარ მეთოდებთან ერთად კომპლექსურად იყენებს სხვა მომიჯნავე მეცნიერებათა მიღწევებს.

მიუხედავად თავისი მექანიკური ხასიათისა, ლახმანისა და მისი მიმდევრების სისტემამ თავის დროზე, უქველად, დადებითი როლი შეასრულა. ფაქტიურად ეს იყო ტექსტოლოგიის, როგორც მეცნიერების, ჩამოყალიბების პირველი და აუცილებელი ეტაპი. საერთოდ, ეს ნაცადი გზაა ცნობილია, რომ სტატისტიკისა და ფორმალური კლასიფიკაციების გარეშე არც ერთი მეცნიერება არ განვითარებულა. ამ შემთხვევაში არც ტექსტოლოგიაა გამონაკლისი. თუ ჩვენ რაღაც ნიშნებით (თუნდაც ეს ნიშნები მექანიკურ ხასიათს ატარებდნენ, როგორიცაა, მაგალითად, „საერთო შეცდომები“ ან „მსგავსი ადგილები“) არ მოვახდენთ მასალის კლასიფიკაციას, რასაკვირველია, ყოველთვის გაგვიძნელებდა ამ მასალის შემდგომი, ისტორიული თვალსაზრისით დამუშავება. მაგალითად, თუ ვერ შევქმელით ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა გარკვეულ ჯგუფებად თუ რედაქციებად დაყოფა, მაშინ ველარ გავერკვევით თვით ამ ხელნაწერთა თუ რედაქციათა წარმოშობის რთულ ისტორიულ პროცესში, ვერ ჩამოვყალიბებთ ტექსტის ისტორიის მწყობრ სურათს, რომლის გარეშეც არ არსებობს ვეფხისტყაოსნის ტექსტოლოგიური პრობლემები.

მაგრამ ლახმანის თეორიის მიმდევართა უმთავრესი ნაკლი სწორედ ის იყო, რომ ისინი აღარ მიდიოდნენ უფრო შორს და ზემონაჩვენები მექანიკური კლასიფიკაციებით იფარგლებოდნენ. სხვანაირად რომ ვთქვათ, მასალა მოჰყავდათ გარკვეულ სისტემაში, მაგრამ არ არკვევდნენ თვით ამ მასალის რეალურ შინაარსს, მათ ურთიერთდამოკიდებულებას. არ სწავლობდნენ კომპლექსურად ერთ მთლიანობაში აღებულს.

ამასთან ტექსტოლოგიის მუშაობის უმთავრეს მიზნად თხზულებას დედნის მოპოვება ითვლებოდა, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა არ ხერხდებოდა მისი მიგნება, ერთ რომელიმე, მათი აზრით, ყველაზე ავთენტიკურ ხელნაწერს უდებდნენ საფუძვლად ტექსტის გამოცემას (ისე რომ. ზოგჯერ არც კი უჩვენებდნენ სხვა ხელნაწერთა ვარიანტებს. იხ. ზემოთ). ტექსტის გამოცემას წინ არ უსწრებდა არც ფორმალური კლასიფიკაცია (როგორც ეს ლახმანის სისტემით იყო გათვალისწინებული) და არც ტექსტის მთელი ისტორიის შესწავლა. სრულიად მართებულად,

ძველი რუსული ტექსტოლოგიის მაგალითზე დ. ლიხაჩოვი ასე ახასიათებს აღნიშნულ მეთოდს: «Сперва издать — потом исследовать: такой, в основном, был принцип старого русского литературоведения XIX в.»¹⁴.

დედნის მოპოვება და საერთოდ თავდაპირველი წაკითხვების აღდგენა ჩრდილავდა ყველა ტექსტოლოგიურ პრობლემას. შორის რომ არ წავიდეთ, ვნახავთ, რომ ანალოგიური მოსაზრებებია გამოთქმული მე-20 საუკუნის 20—30-იან წლებში რუს მკვლევართა მიერ, რომლებიც თუმცა ცდილობდნენ მე-19 საუკუნის ტექსტოლოგიის შეცდომების დაძლევას. მაინც ძალზე ვიწროდ წარმოდგინათ ტექსტოლოგიური მეცნიერების ამოცანები. მაგალითად, ცნობილი რუსი ლიტერატორი და ტექსტოლოგი ბ. ვ. ტომაშევსკი, რომელმაც პრაქტიკულად ვეებერთელა შრომა გასწია რუსეთის მე-19 საუკუნის კლასიკოსების გამოცემაზე და მოგვცა კიდევ არა ერთი განმაზოგადებელი ხასიათის ნაშრომი ტექსტოლოგიის თეორიულ საკითხებზე, მაინც ძალზე შეზღუდულ თვალსაზრისს ავითარებდა ტექსტოლოგიის ძირითად ამოცანაზე: В этом предположении мы всегда должны ставить вопрос об авторитетности и подлинности источника и читать в нем не то, что в нем буквально значится, а то, что в нем должно было бы быть, если бы он совершенно передавал издаваемый нами текст. Решение вопроса о подлинности и соответствии документа во всех его частях тому, что он передает, называется критикой текста. Реальные результаты критики текста — устранение погрешностей документа, а потому в узком смысле критикой текста называют разыскание и установление ошибок документа и восстановление в подлинном виде переданного документом ошibочного»¹⁵.

ამასთან აქ არ არის გარჩეული პრინციპული განსხვავება უძველეს თუ შუა საუკუნეთა ძეგლების შესწავლისა და თანამედროვე მწერლის თხზულების გამოცემას შორის, რაც, ტექსტოლოგიის თვალსაზრისით, განსხვავებულ მეთოდოლოგიას მოითხოვს. თუ თანამედროვე (საერთოდ, ახალი მწერლობის) ლიტერატურის ძეგლის გამოკვლევის დროს პირველ რიგში გვინტერესებს ავტორის ხელიდან გამოსული ისტორია ტექსტისა, ძველ ძეგლთა შესწავლის დროს მნიშვნელოვანია არა მარტო თვით ავტორისეული პერიოდი (რომელიც ზოგჯერ მიუწევდომელიცაა

¹⁴ Текстология, на материале русской литературы X — XVII вв. М.—Л., 1962, стр. 23.

¹⁵ Б. В. Томашевский, Писатель и книга (второе издание), Москва, 1959, стр. 162.

მკვლევრისათვის), არამედ ძეგლის „სიცოცხლის“ მომდევნო პერიოდში, რაც ფაქტიურად ტექსტის მთელ განვითარებას ასახავს.

უნდა აღინიშნოს, რომ ტექსტოლოგიის ჩამორჩენილობის მაჩვენებელი ბევრი ელემენტი ძალზე საგრძნობია ქართული ლიტერატურის შესწავლის მთელი ისტორიის მანძილზე. თუმცა ამ შემთხვევაში ქართული ფილოლოგიური მეცნიერება გამონაკლისს არ შეადგენს. მე-19 საუკუნეში და უფრო ადრე ჩვენში ტექსტის ისტორიის თვალსაზრისით არ დამუშავებულა თითქმის არც ერთი ძეგლი, ხოლო მეცნიერული გამოცემები მეტწილად იფარგლებოდნენ ერთი რომელიმე ხელნაწერის (ხშირ შემთხვევაში ნაკლებ ღირსებათა მქონე) გამოცემებით¹⁶. ისევ და ისევ ვეფხისტყაოსნის შესწავლასთან დაკავშირებით ყველაზე უფრო ხშირად ისმებოდა საკითხების ფართო წრე თვით პოემის ტექსტის ისტორიიდან. აღნიშნული საკითხების თანდათანობით განვითარებას შემდეგ სპეციალურად შეეხებით, ოღონდ აქვე შევნიშნავთ, რომ ამ კუთხით არც ვეფხისტყაოსნის საკითხების შესწავლა ასულა ისეთ დონეზე, რასაც მოითხოვს თანამედროვე ფილოლოგიური მეცნიერება. ამასთან დაკავშირებით მართებულად შენიშნავს აკადემიკოსი გ. წერეთელი, რომ თუმცა ზოგი რამ ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორიის გამოსავლინებლად გაკეთებულია, მაგრამ მაინც უეჭველად შეინიშნება ჩამორჩენა: „საქმეს ართულებს ის გარემოება, რომ ჩატარებული არ იყო ტექსტის კვლევისათვის აუცილებელი წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები, როგორცაა: სტემატოლოგიური ანალიზი ხელნაწერებისა, გამოვლენა დიქტომოზური და არადიქტომოზური სტემებისა „საერთო შეცდომების“, „მსგავსი ადგილებისა“ თუ სხვ. თეორიების საფუძველზე, სტატისტიკური ანალიზი როგორც იშვიათი („ინდივიდუალური“), ისე „მრავალგზისი“ ვარიანტებისა და დადგენა stemma codicum-ისა, რომლის გარეშეც. ხელნაწერების სათანადოდ გამოყენება ძნელად განსახორციელებელი საქმეა.

მაგრამ დღეს მკვლევარს ხელნაწერთა ასეთი კლასიფიკაციაც ვეღარ დააკმაყოფილებს. ტექსტის გამოცემის საქმემ მხოლოდ მაშინ შეიძლება მიღწიოს სათანადო დონეს, როდესაც სრულიად იქნება შესწავლილი ისტორია მთელი ტექსტისა, როგორც ერთი მთლიანისა და არა ცალკეული ადგილების ეპიზოდური კრიტიკის საშუალებით. ყველაფერი ეს უნდა ემსახურებოდეს ერთ ძირითად მიზანს, რომ ფილოლოგიური, ტექსტოლოგიური თუ სხვა ხასიათის კვლევა-ძიების შედეგად

¹⁶ საქმარისია ვაიხსენოთ პლ. იოსელიანის, ზაქარია ჭიჭინაძის და სხვ. მკვლევართა მიერ გამოცემული კლასიკური და აღორძინების ხანის ქართული მწერლების თხზულებანი.

დადგენილ იქნეს ცალკეული სიტყვების, შესიტყვების, თუ მთლიანი ტექსტის აზრი¹⁷.

როგორც ვხედავთ, აქ ძირითადად მოხაზულია ტექსტოლოგიის ამოცანების ფართო წრე. ტექსტის ისტორიის შესწავლის გარეშე (ეს ეხება როგორც თანამედროვე მწერლობას, ისე, და შეიძლება ითქვას მეტადაც, ძველი მწერლობის ძეგლების შესწავლას) ტექსტოლოგია ვერ დადგება სათანადო მეცნიერულ ნიადაგზე. ტექსტის ისტორიის გათვალისწინება არის ერთადერთი სწორი მეთოდოლოგიური გზა ამა თუ იმ ტექსტის საიდუმლოებაში შესაღწევად. სწორედ ტექსტოლოგიის ამოცანათა გაფართოების სურათს გვაძლევს ცნობილი რუსი ტექსტოლოგი დ. ს. ლიხანოვი, როცა დაასკვნის: «Внимательно изучая общие тенденции, которые намечаются в текстологии за последние десятилетия, мы приходим к выводу, что текстология все более и более начинает рассматриваться как дисциплина, имеющая самостоятельные и очень крупные задачи. Эти задачи могут быть сформулированы следующим образом: текстология ставит себе целью изучить историю текста памятника на всех этапах его существования в руках у автора и в руках его переписчиков, редакторов, компиляторов, т. е. на всем его протяжении, пока только изменялся текст памятников»¹⁸.

ტექსტოლოგიურმა მეცნიერებამ შეიძინა ახალი შინაარსი იმის გამო, რომ აქ ტექსტის ისტორია ამაღლდა მექანიკური კლასიფიკაციების დონიდან და ფაქტიურად იგი შეიქმნა იმ პროცესების შემსწავლელ დარგად, რამაც საბოლოო ჯამში განაპირობა ამა თუ იმ ტექსტის განვითარების მთელი ისტორია. ტექსტის ისტორია მკვიდროდ დაუკავშირდა შესასწავლი ძეგლის ავტორისა და მისი გამგრძელებლების მსოფლმხედველობის კვლევას, იდეოლოგიას, ეპოქის ძირითად ტენდენციებს. როგორც მართებულად შენიშნავენ, ტექსტის ისტორია გარკვეულ ნაწილში გადაიქცა თვით ამ ტექსტის შემქმნელთა ისტორიად და ტექსტოლოგიაში პირველ ადგილზე გადმოინაცვლა ადამიანმა და საზოგადოებამ.

ტექსტოლოგიამ ამასთან გაიფართოვა კვლევის მეთოდიც. იგი წარმატებით იყენებს ლიტერატურის ისტორიის მონაცემებს (თავის მხრით ამდიდრებს ამ უკანასკნელს ცალკეულ ძეგლთა შესწავლის ნიადაგზე), ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის მონაპოვრებს, ეყრდნობა გარკვეულ შემთხვევებში ისეთ დამხმარე დარგებს,

¹⁷ გ. წერეთელი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 190.

¹⁸ დ. ს. ლიხანოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 23.

როგორცაა ხელნაწერთა მეცნიერული აღწერა-კატალოგიზაცია, არქეოგრაფია და პალეოგრაფია, საწერი მასალის (პირველ რიგში, ქალაქ-დის) თავისებურებათა გათვალისწინებას, მსოფლიო მასშტაბით ხელნაწერთა შესწავლის საქმის კოორდინირებას და ა. შ.

სწორედ ეს კომპლექსურობა და საკვლევი ობიექტის ყოველმხრივი შესწავლა არის დღევანდელი ტექსტოლოგიის დამახასიათებელი ნიშნები, რის გარეშეც იგი ვერ გადაწყვეტს იმ საპატიო ამოცანას, რომელიც მის, როგორც გარკვეული მეცნიერების, წინაშე დგას კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე.

წინამდებარე ნაშრომში ზემოთ აღნიშნული მეთოდების გათვალისწინებით განხილულია ყველა ის ძირითადი საკითხი, რომელიც კი დაკავშირებულია ვეფხისტყაოსნის ტექსტოლოგიურ შესწავლასთან. ვეფხისტყაოსნის ტექსტის მეცნიერული სურათი წარმოდგენილია კლასიკური და მომდევნო ხანის ქართულ მწერლობასთან მჭიდრო კავშირში და, ამდენად, გარკვეული კუთხით, იგი ავსებს ჩვენს წარმოდგენას ძველი ქართული მწერლობის განვითარების რიგ თავისებურებაზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ საკვლევი მასალის უნიკალურმა ხასიათმა (განსაკუთრებით ეს ეხება პოემის ტექსტებში გლოსარებისა და ინტერპოლაციების დიდი რაოდენობით არსებობას, ხელნაწერთა დიდ ნაირგვარობას და ა. შ.) რიგ შემთხვევაში საკითხებისადმი ახლებური მიდგომა მოითხოვდა და, შესაბამისად, კვლევის აღიარებული მეთოდების გადასინჯვაც.

ფაქტიურად ეს არის ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორიის შესწავლის პირველი მონოგრაფიული ცდა. პირველწყაროების შედარებითი შესწავლის საფუძველზე შემუშავებულია გარკვეული კონცეფცია, გამოტანილია დასკვნები და, შეძლებისამებრ, აღდგენილია ვეფხისტყაოსნის ტექსტის განვითარების მეცნიერული სურათი.

ამჯერად იბეჭდება მონოგრაფიის მხოლოდ პირველი ნაწილი, რომელიც ზოგად-თეორიულ საკითხებთან ერთად ეხება ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორიის უმთავრეს პრობლემას — ვეფხისტყაოსნის რედაქციებს. მომდევნო წიგნში, რომელიც უახლოეს მომავალში გამოვა, აღნუსხული და აღწერილია ვეფხისტყაოსნის ყველა ხელნაწერი, რომელზედაც კი ჩვენ ხელი მიგვიწვდებოდა, მოცემულია ამ ხელნაწერთა რედაქციული დახასიათება, განხილულია ხელნაწერებთან დაკავშირებული ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის საკითხები და ა. შ.

აქ საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო აგრეთვე შემდეგი: ვეფხისტყაოსნის ტექსტოლოგიურ პრობლემატიკაზე მუშაობა დაიწყო ამ ათი-ხუთმეტი წლის წინ შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში და გამოვაქვეყნე კიდევ რამდენიმე ნაშრომი და მონო-

გრაფია („ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია“ — 1957 წ. და „ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები“ — 1963 წ.). საბოლოო სახით კი წარმოდგენილი ნაშრომი დავამთავრე ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში, სადაც 1964 წლიდან მიმიწვიეს თანამშრომლად.

ნაშრომის გასრულების სიხარულით აღვსილს (ალბათ ეს ყველა ავტორისათვის ნაცნობი გრძნობაა) ჩემს აუცილებელ მოვალეობად მიმაჩნია აღვნიშნო ღვაწლი ჩემი მასწავლებლების, აკადემიკოსების ალექსანდრე ბარამიძისა და გიორგი წერეთლისა, რომლებიც მეცნიერული რჩევა-დარიგებით ხელს მიწყობდნენ ამ ძნელი და შრომატევადი სამუშაოს დაძლევის საქმეში.

მადლობის გრძნობით მინდა აღვნიშნო აგრეთვე ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის თანამშრომელთა წვლილი. მათ შორის კი განსაკუთრებით გურამ კარტოზიასი, ცოტნე კიკვიძის, ნანი წაქაძის და გიორგი არაბულისა, რომლებმაც დედანშივე წაიკითხეს ნაშრომი და არა ერთი საგულისხმო შენიშვნაც მომაწოდეს.

დასასრულ, კვლავ უნდა გავიმეორო ზემონათქვამი. წარმოდგენილი ნაშრომი პირველი ცდაა ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორიის მონოგრაფიული გადმოცემისა და ამდენად იგი არც ნაკლოვანებათაგან იქნება დაზღვეული. ავტორი სიამოვნებით მიიღებს ყველა საქმიან რჩევასა და შენიშვნას.

ვეფხისტყაოსნის ტექსტის შესწავლის ისტორიიდან

ა) ვახტანგაშვილი პერიოდი რუსთველოლოგიაში

ვეფხისტყაოსნის ტექსტის კვლევის ისტორია შეიძლება ორ უმთავრეს მონაკვეთად გაიყოს: პირველი — არამეცნიერული პერიოდი და მეორე — მეცნიერული, როცა ვახტანგ VI 1712 წელს საფუძველი ჩაუყარა ტექსტის კრიტიკულ გამოცემას და, საერთოდ, მეცნიერულ რუსთველოლოგიას.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ვახტანგამდეც ჩვენ არა ერთ ცნობას ვიპოვით, რომლებიც ვეფხისტყაოსნის ტექსტისა თუ მოცულობა-შედგენილობის საკითხებს შეეხება. მაგალითად, მე-16, მე-17 საუკუნის მიჯნაზე შექმნილი რომანტიკული ხასიათის პოემის „ომაინიანის“ ავტორი ქაიხოსრო ეყრდნობა ვეფხისტყაოსნის ინტერპოლირებულ, გაგრძელებებიან ტექსტს და ყოველგვარი შენიშვნის გარეშე აგრძელებს ვეფხისტყაოსანს სწორედ გმირთა სიკვდილიდან და გამოდის იმ შინაარსიდან, რომელიც გაგრძელებიანი ვეფხისტყაოსნის ბოლო თავებშია მოთხრობილი¹. მეტიც, აღნიშნულ ძეგლში მთელი ვეფხისტყაოსნის მოკლე შინაარსიცაა მოტანილი. ომაინი (ამ თხზულებით ტარიელისა და ავთანდილის შვილიშვილი) ბურნე-მელიქს მოუთხრობს თავისი სახელოვანი წინაპრების ამბავს, რომელსაც ავტორი ასეთი თანმიმდევრობით გადმოგვცემს: „პირველად ინდოეთისა შვიდთა სახელმწიფოთა ფარსადან ხელმწიფისაგან დიდად გახარება. მერმე სახელმწიფოთა სიდიდე. ფარსადან მეფისაგან ტარიელის შვილად გაზრდილობა. სახელმწიფოს ქალის მიხდომა და ტურფად გაზრდილობა და ტარიელის გამოჩნურება და ხერაზმშის მეფის შვილის სიკვდილი. მამიდასაგან ქალის დაკარგვა. ასმათისაგან ამბვის მიტანა. მისგან ძებნად წასვლა. არაბთა მეფის როსტე-

¹ „ომაინიანი“, როგორც ცნობილია, სავმირო-რომანტიკული ხასიათის თხზულებაა, შექმნილია დაახლოებით მე-16, მე-17 საუკუნეთა მიჯნაზე. კ. კეკელიძის აზრით, მისი ავტორი უნდა იყოს ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი (სხვათა შორის მის მამასაც „ომანი“ ერქვა) და თხზულება ფაქტიურად ვეფხისტყაოსნის დამატებათა... დამატებაა; იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1954 წ. გვ. 369—375

ვანისაგან ნახვად და ავთანდილისაგან ეგზომ ძებნა და ტარიელის პოვნა და ძმად შეფიცვა. თინათინისათვის ამბვის მირთმევეა და მისგან საწადელის აღსრულება. აგრეთვე ფრიდონის შეყრა და ძმობა. ფატმანისა და ავთანდილისაგან ნესტან-დარეჯნის პოვნა. ქაჯეთის ციხის სამთაგან წაღება, ქალის გამოყვანა. ზღვათა მეფისაგან ქორწილი. არაბეთს მისვლა. რამაზის შეპყრობა და ხატაეთზე გამარჯვება. ტარიელის დასწავლა და ხვარაზმელთაგან სისხლის ძებნა. ავთანდილისა და ფრიდონისაგან მიშველება. ხვარაზმთ მეფის ხელთ შეპყრობა და გამარჯვება. ტარიელის სიკვდილი და მისი შვილის სარიდანის გახელმწიფება...², როგორც ვხედავთ, აქ ვრცელი ვეფხისტყაოსნის შინაარსია გადმოცემული — ქაიხოსროს ასე წარმოედგინა იგი.

ამ საკითხში დაახლოებით ასეთივე თვალსაზრისი უნდა ჰქონოდა თეიმურაზ პირველსაც³. მართალია, „თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასებაში“ არჩილი თეიმურაზს ათქმევინებს რუსთველის შესახებ, რომ „ერთი ამბავი აიწყე, ბოლოც სხვათ შეგითავისა“—ო, მაგრამ, ვფიქრობ, თვით თეიმურაზი ამ აზრის არ უნდა ყოფილიყო. შეიძლება დავუშვათ კიდევ, რომ მან არც იცოდა რუსთველის პოემის ინტერპოლატორთა (ან უკეთ გადაწერ-რედაქტორთა) საქმიანობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ძნელი წარმოსადგენია, რომ მას არ აღენიშნა ეს ამბავი შოთა რუსთველის ასე ხშირად მოხსენიებისა თუ მასთან პოეტური გაჭიბრების დროს. სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაო სისრულითაა შესწავლილი, ერთი შეხედვით, უცნაური ფაქტი, რომ რუსთველთან გარკვეული შემოქმედებითი დაპირისპირების მიუხედავად, თეიმურაზი თავის პოეზიაში (ორიგინალურსა თუ ნათარგმნში) ვეფხისტყაოსნის მძლავრ გავლენას განიცდიდა. იგი ძალზე ხშირად მიმართავს რუსთაველის პოეტურ ხერხებს, შედარებებსა თუ სენტენციებს. საგულისხმოა, რომ ამგვარი სესხება ზოგჯერ მოდის ვეფხისტყაოსნის გაგრძელებათაგან.

მაგალითისათვის გავიხსენოთ მხოლოდ ერთი ადგილი: „ჩქეთევან დედოფლის წამებაში“ თეიმურაზი აღაველენს სამღურავს „ამა სოფლის უკულმართობისადმი“ შემდეგი სიტყვებით:

კაცი ცრემლითა შეინდობს, თუ ცოდვა მასთანაჲ არსა,
კვლავ სარეცელსა ალტობდეს, მოზელდეს მითა ნაცარსა.

(„წამების“ 27-ე სტროფი).

ძნელი არ არის მიხვედრა, რომ თეიმურაზის ეს სიტყვები მოდის

² „ომიონიანი“, გ. ჯაფარიას რედაქციით, 1937, გვ. 84.

³ ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1957, გვ. 24—

ვეფხისტყაოსნის „ინდო-ხატაელთა“ თავიდან, რომელიც უკანასკნელ გამოცემებში ჩანართად იქნა აღიარებული:

კაცი ცრემლითა შეინდობს, თუ ცოდვა მისიანაც არსა,
ვით ნინველნი ისხემდეს თავსა მტვერსა და ნაცარსა
(1937 წლის გამოცემა, სტრ. 1613).

ეს ფაქტი იმას მიუთითებს, რომ თეიმურაზი „ინდო-ხატაელთა ამბავს“ შესაძლოა, რუსთველის ხელიდან გამოსულად თვლიდა.

ვეფხისტყაოსნის გაგრძელებათა საკითხში თეიმურაზ პირველის პოზიცია უფრო გამოკვეთილად მოჩანს „იოსებ-ზილიხანანის“ მის მიერ თარგმნილ ვერსიაში. ამ პოემის შესავალში, როგორც ცნობილია, თეიმურაზი, ჩვეულებისამებრ, რუსთველს მოიხსენიებს და შემდეგ გადმოგვცემს ვეფხისტყაოსნის შინაარსს. ბუნებრივია, რომ თხრობისას პოეტი არა მარტო შინაარსით, ზოგი მხატვრული გამოთქმითაც უახლოვდება ვეფხისტყაოსანს. სანიმუშოდ საკმარისია თეიმურაზის სიტყვები ავთანდილის გამიჯნურების გამო: „თინათინისთვის ხელქმნილა (ავთანდილი), ვისგან მზე დაწუნებულა“ — აშკარა რუსთველური თქმაა (გაიხსენეთ: „თინათინ მზესა სწუნობდა...“ და სხვ.). ამჭერად ჩვენთვის უფრო საგულისხმოა, რომ თეიმურაზი ამ თხრობაში ვეფხისტყაოსნის გმირთა სიკვდილსაც ეხება:

ბოლოდვე გავლეს საწუთრო. სოფლის საქმენი არესა,
იგ უსახონი ქალ-ყმანი მიწასა მიაბარესა.⁴

დაკვირვებამ ცხადყო, რომ ეს სიტყვები თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს ვეფხისტყაოსნის გაგრძელებათა იმ ადგილებს, სადაც საუბარია გმირთა გარდაცვალებაზე:

იქ უსახონი მიჯნური თაბუთისაკენ წაიღეს“...
„იგი სოფლისა ჭავარნი საფლავთა მიაბარესა“...

ეს დამთხვევა ორმხრივ არის საინტერესო. ერთი, რომ „გმირთა სიკვდილი“ და ზოგი მათი „ანდერძი“ 1629 წლისათვის, ე. ი. „იოსებ-ზილიხანანის“ თეიმურაზის მიერ თარგმნისას, უკვე ლიტერატურული ფაქტი ყოფილა (ამაზე დაწვრილებით შემდეგ. ეს დამთხვევა ათარი-

⁴ თ ე ი მ უ რ ა ზ პ ი რ ვ ე ლ ი, თხზულებანი, აღ. ბარამიძისა და ბ. ჭაკობიას რედაქციით, 1931, გვ. 62.

ლებს ვეფხისტყაოსნის დამატებათა გარკვეულ პლასტებს⁵. მეორეც, თეიმურაზ პირველი არა მარტო „ინდო-ხატაელთა ამბავს“, არამედ მომდევნო გაგრძელებებსაც, „გმირთა სიკვდილის“, მათი „ანდერძების“ ჩათვლით, რუსთველისად მიიჩნევა.

მაგრამ სულ სხვაგვარადაა საქმე არჩილ მეფესთან. მას თავისებური აზრი ჰქონია პოემის მოცულობაზე და ერთ-ერთ ინტერპოლატორსაც კი ასახელებს. არჩილი თავის „გაბაასებაში“ თეიმურაზს საყვედურს ათქმევინებს რუსთველის მიმართ: „ერთი ამბავი აიწყე, ბოლოც სხვათ შეგითავესა“. არჩილის აზრით, ეს ინტერპოლატორი ნანუჩა უნდა. ყოფილიყო: „ნანუჩას რუსთვლის ნათქვამში ბევრი რამ ჩაურევია, საბრალოს ვერ შეუწყვია, წმინდა რამ აღმღერვია“. („გაბაასება“, სტრ. 26). სხვაგან არჩილი ასეთ სტროფებს უძღვნის ამ ინტერპოლატორს: „ნუ გგონია ვნანუჩაობ“, ე. ი. ნანუჩას საქმეს როდი ვაკეთებო. იგი აშკარად კიცხავს ასეთ საქმიანობას და ჩამატებელ-გამგრძელებელთათვის ზოგადი სახელიც კი („ნანუჩაობა“) შეუქმნია.

არჩილი არ ეხება სხვა ინტერპოლატორებს (რომლებიც უეჭველად იყვნენ მის დროს), არც ის ჩანს, თუ რას თვლიდა იგი რუსთველის კუთვნილებად და რას არა, მაგრამ მაინც ძალზე საგულისხმოა მისი ცნობები. სხვათაგან განსხვავებით იგი ვეფხისტყაოსნის ინტერპოლაციების არსებობას უეჭველ (თანაც არასასურველ) ფაქტად თვლიდა. რასაკვირველია, ამაზე შორს არჩილი არ წასულა და ამას ვერც მოვთხოვლით მას⁶.

ზემოაღნიშნულ ცნობებთან ერთად გვაქვს საშუალება დაახლოებით წარმოვიდგინოთ, თუ როგორ უყურებდნენ პოემის ბოლო თავებს „აღორძინების ხანის“ სხვა მოღვაწეებიც. ქვემოთ, როცა ვახტანგის თვალსაზრისს შევეხებით, ვნახავთ, რომ იგი საერთოდ უარყოფდა ბოლო თავების („ინდო-ხატაელთა“ თავიდან მოკიდებული) რუსთაველისადმი კუთვნილებას. მაგრამ თითქოს არსებობს საბუთები, რათა ვიფიქროთ, რომ ვახტანგის გამოცემის ამ თავისებურებას (ბოლო თავების შემოკლებას) არ იზიარებდა მისი მასწავლებელი და შემდეგ უახლოესი თანამშრომელი, დიდი ქართველი მოღვაწე სულხან-საბა ორბელიანი.

მართალია, პირველი რუსთველოლოგის სახელი მომდევნო თაობებმა ვახტანგს დაუმკვიდრეს, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ ვახტანგამდე სწორედ სულხან-საბამ დაიწყო ვეფხისტყაოსნის ლექსი-

⁵ ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1957, გვ. 24—25.

⁶ შტრ. ტრ. რ უ ხ ა ძ ე, ტფილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, III, 1936, გვ. 193—194.

კის შესწავლა (ამაზე დაწვრილებით თავში: „ვეფხისტყაოსნის პირველი ლექსიკოგრაფები“). როგორც ცნობილია, იგი თავის შესანიშნავ ლექსიკონზე მუშაობის დროს ერთ-ერთ წყაროდ ვეფხისტყაოსანსაც იყენებდა. ამაზე მრავალ მითითებას შევხვდებით იმავე ლექსიკონში. ლექსიკონის ამ თვალსაზრისით შესწავლამ საინტერესო სურათი გადაგვიშალა. აქ არა გვაქვს შემთხვევა სულხან-საბა იყენებდეს ვეფხისტყაოსნის გაგრძელებას, კერძოდ, „ხვარაზმელთა ამბავსა“ და მის მომდევნო თავებს⁷. მაგრამ სულ სხვაგვარადაა საქმე „ინდო-ხატაელთა ამბის“ მიმართ. საბა იღებს სიტყვებს თავისი ლექსიკონისათვის და ვეფხისტყაოსანზე უთითებს. მაგალითად, სიტყვა „დამაჩნება“ ასეთი ფორმით მთელ პოემაში მხოლოდ „ინდო-ხატაელთა ამბავში“ გვხვდება. ტარიელი ხატაელთა მეფეს შეუთვლის: „ღია დიდთა და მ ა ჯ ნ ე ბ ა უ მ მ ა გ მ ა ნ ვ ი თ გა ა გ ო“... [ე. ი. შენ თუ შმაგი არა ხარ, ვით გაბედე (გადაწყვიტე) დიდთა (ამ შემთხვევაში ინდოეთის ხელმწიფეთა) დამაბუნებაო]. საბა ზუსტად ამავე ფორმით იღებს ამ სიტყვას „ინდო-ხატაელთა“ თავიდან და განმარტავს: „დამაჩნება — დამაბუნება“. განმარტებას: იქვე მიწერილი აქვს წყაროც — „ვეფხისტყაოსანი“⁸.

„ინდო-ხატაელთა ამბავში“ არის კიდევ ერთი სიტყვა, რომელიც ამჟამად აღიარებულ ძირითად ტექსტში საერთოდ არ გვხვდება. ნესტანი შეიცხადებს მამის გარდაცვალებას. აქ ნესტანის ბაგე-კბილთა მშვენების გადმზასცემად გამოყენებულია რამდენიმე მეტაფორული თქმა: „ჰგავს, თუ ტყუბი მარგალიტი ზის ბროლისა ხ ა რ ხ ა ნ ჩ ო ს ა“. ზაზაძემ სიტყვას საბა განმარტავს: „კარკანჩო—საღაფს შიგნით“ და უთითებს არა მარტო ზოგადად ვეფხისტყაოსანს, არამედ ზოგ ხელნაწერში „ინდო-ხატაელთა ამბის“ სწორედ იმავე სტროფს: „ჰგავს თუ ტყუბი მარგალიტის სხენან ბროლის კარკანჩოსა“⁹. ჩვენი აზრით, ეს ფაქტები გარკვეულ ჩვენებას გვაძლევენ სულხან-საბას დამოკიდებულებაზე „ინდო-ხატაელთა ამბის“ მიმართ. / სულხან-საბა ლექსიკონის შემდგომი სრულყოფის დროს, როცა უკვე გამოსული იყო ვახტანგ VI ბექლური ვეფხისტყაოსანი (პოემის მოკლე რედაქცია), მაინც ვრცელი რედაქციების შემცველი ნუსხებით სარგებლობდა, მაგრამ არა განურჩევლად. აღნიშნულ გაგრძელებათაგან იგი მხოლოდ „ინდო-ხატაელთა ამბავს“ იყენებდა წყაროდ და აქედან ამოღებულ სიტყვებს გვერდზე

⁷ ყოველ შემთხვევაში არც ერთ სიტყვას, რომელიც შეიძლება „ხვარაზმელთა“ და მომდევნო თავებში შევხვდეს, არა აქვს დამოწმება ვეფხისტყაოსანზე.

⁸ იხ. სულხან-საბას ავტოგრაფული მნიშვნელობის ნუსხები ლექსიკონის ახალი გამოცემის მიხედვით.

⁹ იხ. სულხან-საბას ავტოგრაფული მნიშვნელობის ნუსხები.

ვეფხისტყაოსანს უწერდა. ამის გამო, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ იგი ამ ეპიზოდს პოემის შემადგენელ ნაწილად თვლიდა¹⁰.

აი, დაახლოებით ის, რაც იცოდნენ პოემის მოცულობის შესახებ „აღორძინების ხანის“ ქართველმა მოღვაწეებმა და ამ ცნობათაგან რის გამოყენება შეუძლია ტექსტის ისტორიის თვალსაზრისით თანამედროვე მკვლევარს.

ბ) ვ ა ხ ტ ა ნ გ ი და ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ნ ა ს ტ ე ქ ს ტ ი ს ს ა კ ი თ ხ ე ბ ი

ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორიის შესწავლის საქმეში, როგორც აღინიშნა, პირველი მნიშვნელოვანი ეტაპია ვახტანგ მეექვსის მოღვაწეობა. ვახტანგ VI, როგორც ცნობილია, მის მიერვე თბილისში დაარსებულ პირველ ქართულ სტამბაში 1712 წელს დაბეჭდა ვეფხისტყაოსანი. ჩვენთვის საინტერესო თვალსაზრისით ეს გამოცემა ორმხრივ არის საგულისხმო. პირველი — ტექსტის შესწავლის შედეგად ვახტანგმა პრაქტიკული ნაბიჯი გადადგა და მოგვცა პოემის ძალზე განსხვავებული რედაქცია. მეორე — თავისთავად გამოცემას მან დაურთო საფუძვლიანი გამოკვლევა, რომელიც თეორიულ საკითხებთან ერთად (პოემის ორიგინალურობის დასაბუთება, იდეური მიზანდასახულობა) საკმაოდ დეტალურად განიხილავს პოემის ლექსიკის საკითხებს. ვახტანგის მიერ დართულ კომენტარებში ვერ ვპოულობთ რაიმე პირდაპირ ცნობას ტექსტის მუშაობის მეთოდებზე ან მის თვალსაზრისზე, თუ რა პრინციპით ხელმძღვანელობდა მკვლევარი, როცა ქმნიდა პოემის ახლებურ რედაქციას. ერთადერთი ცნობა, რაც თანამედროვე მკვლევრის ყურადღებას იპყრობს, არის 1712 წლის გამოცემის შესავალი ლექსითი ანდერძი, სადაც აღნიშნულია, რომ ვახტანგის მიერ ბეჭდვის შემოღებამ ყოველი „მ მ ა ხ ე ლ ი“ გააცუდაო. შეიძლება ვიფიქროთ, ხაზგასმულ სიტყვაში საერთოდ გადაშწერები იგულისხმება, რომელთა ხელში

¹⁰ ამ მოსაზრებას, რომელიც მე გამოვაქვეყნე 1957 წლის „ციცქრის“ პირველ ნომერში, შემდეგში გამოეხმაურნენ აკად. კ. კეკელიძე (იხ. სულხან-საბას საიუბილო კრებული, აკად. გამოც. 1959, გვ. 130—131) და დოც. ზ. ჭუმბურიძე (სულხან-საბას საიუბილო კრებული, უნივერს. გამოც. 1959, გვ. 242—243). კ. კეკელიძის აზრით, სულხან-საბა არ უწევდა ანგარიშს წყაროს ღირსებას და მას პირველ რიგში სიტყვა აინტერესებდა, ამასთან მკვლევარი დასძენს, თითქოს ეს სიტყვები არ უნდა იყოს განმარტებული საბას ლექსიკონის ავტორადფულ ნუსხეში. ჩვენი წერილიდან ჩანს და აქაც შევნიშნავთ, რომ აქ მთავარია არა წყაროს ღირსება-ნაკლოვანებები, არამედ ის, რომ საბა პოემის ვრცელ რედაქციიდან იღებდა სიტყვებს (ვახტანგის გამოცემის შემდეგაც), თანაც მხოლოდ პოემის ძირითადი ნაწილისა და „ინდო-ხატულთა“ თავიდან, რაც იმის

ირყვებოდა პოემის ტექსტი¹¹. ამის დაშვება რომ შესაძლებელია, ჩანს იქიდან, რომ ანალოგიური შეხედულებები გამოთქმულია ამავე სტამბის სხვა გამოცემებშიც. მაგალითად, „ქელის წერაში ჩვენი საღვთონი წერილი განრყენილიყო“, ჩივის პირველი ნაბეჭდი სახარების რედაქტორი ნიკოლოზ ორბელიანი და ამ თვითნებობის აღკვეთა უნდა ეკისრა ბეჭდურ გამოცემებს¹². ასევე იმედს გამოთქვამს კვიპრიანე სამთავნელი „კურთხევის“ წინასიტყვაობაში: „ქელით წერითა მწერალთაგან სამლომომი წერილნი ჩვენიც გარყენილიყვნენ“¹³.

მასასაღამე, ვახტანგი და მისი სტამბის სხვა მოღვაწენი ეპისკოპოსის თვალთ უყურებდნენ გადასწერთა საქმიანობას, თანაც ვახტანგისათვის არ შეიძლება ცნობილი არ ყოფილიყო არჩილ მეფის მიერ მოწოდებული ცნობები, რომ ვეფხისტყაოსანს კიდევ ურთავდნენ და კიდევ აგრძელებდნენ სხვადასხვა პირები. ქვემოთ, როცა სპეციალურად განვიხილავთ 1712 წლის გამოცემის რედაქციულ თავისებურებებს და მის უკუთავრეს წყაროებს, ვნახავთ, რომ ვახტანგს ხელთ უნდა ჰქონოდა ისეთი ხელნაწერებიც, რომლებშიც აღნიშნული იყო ზოგ ინტერპოლატორთა კუთვნილი სტროფები. ყოველივე ამას არ შეიძლება არ გამოეწვია ის კრიტიციზმი, რომლითაც შეუდგა ვახტანგი ვეფხისტყაოსნის ბეჭდური გამოცემისათვის ტექსტის მომზადებას. ეს შეხედულება მარტო ვეფხისტყაოსანს როდი ეხება. ვახტანგი და მისი გარშემო შემოკრებილი მწიგნობრები ფაქტიურად ჩვენში პირველნი იყვნენ, რომლებიც ტექსტის კრიტიკით იწყებდნენ ამა თუ იმ ძეგლზე მუშაობას და მათი თვალსაზ-

მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ პოემის ამ ნაწილსაც იგი ვეფხისტყაოსნის აუცილებელ ეპიზოდად თვლიდა (წინააღმდეგ შემთხვევაში რატომ არც ერთი სიტყვა არ მოხვდა ლექსიკონში „ხერახველთა ამ ბის“ და მომდევნო თავიდან, ასევე ვეფხისტყაოსანზე მითითებით?). რაც შეეხება მეორე შენიშვნას, რომ საბას ავტოგრაფულ ნუსხეებში არ უნდა იყოს ეს სიტყვები, როგორც ზემოთ მითითებული საბას ხელნაწერების დასახელებიდან ჩანს, არ შეუფერება ფაქტიურ ვითარებას. ზ. კუმბურაძე თუმცა გვეთანხმება ჩვენი მოსაზრების იმ ნაწილში, რომ სულხან-საბა პოემის ვრცელ რედაქციებს იყენებდა წყაროდ, მაინც „შორს მიმავალ დასკვნად მიაჩნია“ ამ ფაქტზე დაყრდნობით „ინდო-ხატელთა“ ამბის ავთენტიურობაზე საუბარი. წერილშიც ჩანს და ახლაც აღვნიშნავ, რომ ეს ფაქტები, უპირველეს ყოვლისა, იმაზე მეტყველებს, რომ, შესაძლოა, სულხან-საბა „ინდო-ხატელთა ამბავს“ ეფეხისტყაოსნის ძირითად ნაწილად თვლიდა. რაც შეეხება თვით „ინდო-ხატელთა“ თავის ავთენტიურობის საკითხს, რასაკვირველია, მხოლოდ ამ საბუთით მისი გადაჭრა არ შეიძლება და, ვგონებ, იგი არც ჩვენ გვიცდია.

¹¹ არ ჩანს დამავრებელი ქრ. შარაშიძის მოსაზრება, თითქოს ვახტანგის სტამბას შრავალი მტერი ჰყავდა და ამ „მშობახულების“ ჩაჩუქება უნდა გამოეწვია სტამბის წარმატებასო. იხ. მისი, პირველი სტამბა საქართველოში, 1955, გვ. 104.

¹² ქრ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში, 1955, გვ. 74.

¹³ იქვე, გვ. 20ა.

რისით სანდო წყაროებით მართავდნენ ტექსტებს. ვახტანგისა და მისი ხელმძღვანელობით მომუშავე კომისიის რედაქციული მეთოდების ნათელ სურათს იძლევა დაკვირვება მათ მიერ მომზადებულ მატრიანზე „ახალი ქართლის ცხოვრება“. აქ კარგად ჩანს წყაროებით სარგებლობის მათი წესები. საკითხის ინტერესის გამო ერთ მაგალითს მინც დავასახელებ: „მეცნიერ კაცთა“ მოღვაწეობის შედეგად თამარის ცხოვრებაში მრავალი ახალი ჩანართიც გაჩნდა. ამის გამო თვალსაჩინოდ აქრელდა „ისტორიანი და აზმანი“ ისეთი ცნობებით, რომლებიც ვახტანგის წინარე ხანაში მასში არ მოიპოვებოდა. როგორც შემდეგში გამოიჩვენა, ეს ჩანართები არც ერთი არ იყო შემოტანილი ზეპირად „ახალ ქართლის ცხოვრებაში“, არამედ ზუსტად ეყრდნობოდა წყაროებს. 1923 წელს ივანე ჭავჭავაძემ მიაგნო მას. ეს არის, ამჟამად ყველასათვის ცნობილი, თამარის მეორე ისტორიკოსი — ბასილი ეზოს მოძღვარი¹⁴.

ყოველივე ამის გამო, როგორც ჩანს, ვახტანგმა ერთგვარი წინასწარი სამუშაო გასწია. შეისწავლა ხელნაწერები და, როგორც შემდეგში ვნახავთ, ერთი მათგანი დაუღო საფუძვლად თავის გამოცემას. მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან არ იკმარა მხოლოდ ეს და პოემის წაკითხვათა გაუმჯობესება სცადა სხვა ხელნაწერებიდან¹⁵. აქ აღსანიშნავია აგრეთვე ვახტანგის, როგორც ტექსტოლოგის, თავის დროისთვის ძალზე მაღალი მეცნიერული დონე. მან პრინციპულად უარყო ტექსტის სწორების კონიექტურული მეთოდი და, მართლაც, სპეციალურმა შესწავლამ, რომელიც ჩვენ ჩავატარეთ ამ თვალსაზრისით, დაადასტურა აღნიშნული ჰოსაზრება: ვახტანგისეულ გამოცემას (უნებლიე ლაფსუსების გარდა) არ მოეპოვება თითქმის არც ერთი წაკითხვა, რომელიც არ გვხვდებოდეს ვეფხისტყაოსნის მე-17 საუკუნის ე. ი. ვახტანგის უწინარეს ხელნაწერებში¹⁶.

მართალია, ვახტანგს არ მოუცია ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორიის რამდენადმე სრული სურათი¹⁷ და შემოიფარგლა მხოლოდ ტექსტის გამოცემის ამოცანებით, მაგრამ, ვიმეორებ, მისი ეს ცდა თავის დროისათვის საკმაოდ წინ გადადგმული ნაბიჯი იყო და, როგორც ცნობილია, ვახტანგის გამოცემამ შემდეგშიც ღრმა კვალი გააწვინა ვეფხისტყაოსნის ტექსტის შესწავლის საქმეს. უფრო მეტიც, ზოგ შემთხვევაში მომდევნო გამოცემები (განსაკუთრებით ეს ითქმის მე-19 საუკუნის

¹⁴ ვ. გ რ ი გ ლ ი ა, ახალი ქართლის ცხოვრება, 1954, გვ. 241.

¹⁵ ამაზე დაწერილებით თავში „ვახტანგისეული რედაქცია“.

¹⁶ ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1957, გვ. 54.

¹⁷ ამის გამო, როგორც შემდეგში ვნახავთ, მან ვერც შეარჩია ყველაზე ავთენტიკური ნუსხა.

გამოცემებზე) თავისი ღირსებებით ვერც კი შეედრებიან პირველი რუსთველოლოგის მიერ გამოცემულ ვეფხისტყაოსნის ტექსტს.

გ) ვეფხისტყაოსნის ტექსტის საკითხები თეიმურაზ ბაგრატიონისა და მის მოწაფეთა შრომებში

ვეფხისტყაოსნის ტექსტის შესწავლის საქმეში გარკვეული წვლილი შეიტანა თავის დროისათვის სახელგანთქმულმა მეცნიერმა, პეტერბურგის აკადემიის საპატიო წევრმა თეიმურაზ ბაგრატიონმა (1782 — 1846 წწ.). როგორც ცნობილია, ვახტანგის შემდგომ ერთგვარად მივიწყებული რუსთველოლოგიური პრობლემები თეიმურაზმა კვლავ გამოაცოცხლა და საკითხების საკმაოდ ფართო წრე მოხაზა.

ბუნებრივია, რომ მკვლევრის ინტერესების სფეროში აღმოჩენილიყო ვეფხისტყაოსნის ტექსტის აღდგენის ძალზე მტკივნეული პრობლემა. მან, როგორც ქვემოთ ვნახავთ, კარგად იცოდა, რომ საუკუნეთა მანძილზე საკმაოდ შერყვნილი იყო ვეფხისტყაოსნის ტექსტი და ამიტომ დაბეჭითებით შენიშნავდა: „რაც რუსთველს დაუწერია, ვეფხისტყაოსნად ისიც კმარა, იმას სხვა დამატებული არა ეჭირება რა“¹⁸. ამდენად, მან ძირითადად გაიზიარა ვახტანგ VI-ის ცდა, რომელიც მიმართული იყო იქითკენ, რათა პოემა გაცხრილულიყო გვიანდელი ჩანართებისაგან. იგი მხარს უჭერს ვახტანგის გაბედულ ნაბიჯს და 1712 წლის გამოცემის გამო შემდეგს აღნიშნავს: „სრული ვეფხისტყაოსანი არის რიცხვით ათასსხუთასოთხმოცდაცხრა (ოთხთაეპოვანი) სტიხი, როგორათაც ვახტანგ მეფის დაბეჭდილს ვეფხისტყაოსანში იხილვება. ისინი არიან ნამდვილ შოტთა რუსთველის შეთხზულნი სტიხნიო“¹⁹.

მაგრამ აღსანიშნავია, რომ იგი ბრმად არ აღიარებს 1712 წლის გამოცემას და ფიქრობს, რომ ვახტანგს პოემის გარეთ დარჩენია უეჭველად რუსთველური სტროფები. იგი ასახელებს კიდევ ამ სტროფებს, მიუთითებს წინამორბედ მწიგნობრებზე, რომელთაც აღრევე შეუშინევით ეს ხარვეზები 1712 წლის გამოცემაში და აღნიშნავს, რომ იქნებ ბეჭდვის პროცესში შემთხვევით მოხდა ამ სტროფების დაკლებაც: „ვეფხისტყაოსნისა ამათს გარდა (იგულისხმება 1712 წლის გამოცემა — ს. ც.) კიდევ რაოდენიმე ჩემის ოსტატის დავით ალექსის შვილისაგან (დავით რექტორი — ს. ც.) გაგვიგონია და ჩემს ვეფხისტყაოსან-

¹⁸ წერილი ბროსესადმი, 1834, 17. X, აზიის ხალხთა ინსტრუქტის ლენინგრადის განყოფილება, H-21 (H-39).

¹⁹ იქვე, შდრ. ს. ციშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1957, გვ. 45.

ზედ აწერია, ვითომ ეს შემდგომი ლექსები ვეფხისტყაოსნისა შოტთა რუსთველისა ნათქომი იყოს, დაბეჭდვაში დარჩომოდესთ და ველარ ჩაეტანებინოსო²⁰. საქმე ეხება ვეფხისტყაოსნის ტექსტისათვის ძალზე მნიშვნელოვან სტროფებს, რომელთა ამოვარდნა, მართლაც, ვახტანგის ჯამოცემაში უეჭველ ხარვეზებს აჩენს:

1. თუ ყოფილა იგი მოყმე ხორციელი კმელთა მვლელად,
მას ნახვიდა სხვათა ვინმე. გამოჩნდების მასწავლელად,
თუარა ეშმა გჩვენებია ლხინთა შენთა შეცამულელად,
სედლისაგან მოიცალე. რად შექნილხარ მოუცლელად.
2. მოვეუკლავარ თინათინის სურვილსა და სიყვარულსა,
ცრემლი ცხელი ასოვლებდის ნარგისთაგან ვარდსა ზრულსა,
ვერ ვაჩენდი აქანამდის ქირსა ჩემგან დაფარულსა,
აწ მიბრძანა საიმელო, ამად მხელაე მხიარულსა.
3. მე დავშვერ, ვითა წესია საურავ-გარდახდილისა;
შინა წამოვე, მაშვარალსა კჳნა მომდომოდა ძილისა;
მონა მოვიდა, მომართვა წიგნი ასმათის ტკბილისა:
„ადე, მოდიო, გიბძანებს მსგავსი ალვისა ზრდილისა“.
4. შევე, ფიცხლად შევეკაზმე, ცხენსა შეეჭე შეკაზმული;
ას სამოცი კარგი მოყმე, ჩემსა თანა ხანდაზმული,
წამომყევა და წამოვედით კართა გარე დარაზმული,
ზღვის პირს მივე, ნაეი დამხედა, მენაევმან მნახა ზმული.

აღსანიშნავია, რომ ოთხივე ეს სტროფი შემდეგში შევიდა ვეფხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემაში (მ. ბროსეს, დ. ჩუბინაშვილისა და ზ. ფალავანიშვილის რედაქცია), ხოლო 1937 წლისა და მომდევნო გა-

²⁰ გ. ი მ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, თეიმურაზ ბაგრატიონის რუსთველოლოგიური ცდანი. ლიტერ. ძიებანი, 1949, ტ. V, გვ. 191. თეიმურაზის ამ სიტყვების სისწორეს ადასტურებს სხვათა შორის ჩვენამდე მოღწეული 1712 წ. გამოცემის ერთ-ერთი ცალიც (ინახება თბილისის უნივერსიტეტში, იხ. ა. შანიძის აღდგენილი ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი, 1937, გვ. 397). აქ აშვიბზე შესწორებებთან ერთად დავით რექტორის შეუტანია რაჲდენიმე დამატებითი სტროფა და თავისი სახელიც აღუნაშნავს. ასევე ეს ოთხი სტროფი მიწერილია ვეფხისტყაოსნის 1712 წლის გამოცემის იმ ცალზე, რომელიც ინახება აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში (K-10), მინაწერები თვით თეიმურაზს უნდა ეკუთვნოდეს. იხ. ა. შანიძე, ვეფხისტყაოსნის 1712 წლის აღდგენილი გამოცემა, გვ. 399-400, აგრეთვე გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონის გამოუქვეყნებელი რუსთველოლოგიური ნაშრომი. რუსთველის კრებული, ლიტ. ინსტიტუტი, 1966, გვ. 409.

მოცემებში შეტანილია გარდა პირველისა სამივე სტროფი (იხ. 1937 წლის გამოცემა, სტრ. 152, 553 და 586)²¹.

მაგრამ ამით არ ამოწურება ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორიის საქმეში თეიმურაზის დამსახურება. არჩილის შემდგომ იგი პირველია, რომელიც გვაწვდის ცნობებს ვეფხისტყაოსნის ინტერპოლატორთა შესახებ. თუ არჩილმა მხოლოდ აღნიშნა ნანუჩას საქმიანობის უარყოფითი მხარეები, თეიმურაზი, ალბათ მის დროს არსებული სანდო წყაროების (ან სამეფო წრეებში არსებული გადმოცემების) მიხედვით უფრო დაწვრილებით მოგვითხრობს ზემოთ ნახსენებ ნანუჩაზე: „ციციშვილი ყოფილა ერთი ქართველი თავადთაგანი. ამას მეტი სახელი ნანუჩა ჰქმევია. იგი ნანუჩა ციციშვილი ვახტანგ მეფეზე უწინ ყოფილა. ვეკოფ, გიორგი მეთორმეტესა ქართლის მეფისა შაჰნავაზ მეფისა, ბახუტას შვილის დროს ყოფილა. იმას მოუგონია და თითონ გაუკეთებია ეგ ლექსები და ვეფხისტყაოსნისათვის შეურთავს... იქნება რომ ის ნანუჩა ციციშვილი დიახ კარგი კაცი ვინმე იყო, ღმერთმა აცხოვოს, მაგრამ დიახ ცუდი პიტიკოსი ბრძანებულაო“²². თეიმურაზის შეხედულებით, ამავე ნანუჩას უნდა ეკუთვნოდეს ვეფხისტყაოსნის ბოლო თავები (ჩამოთვლის ბოლო ცამეტ თავს „ინდო-ხატაელთა ამბიდან“ გმირთა გარდაცვალებამდე, რომელიც ვრცელი რედაქციის ხელნაწერის მიხედვით) და სხვათა შორის „ომანიანსაც“ მასვე მიაწერს: აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა ძალზე მნიშვნელოვანია თეიმურაზის ეს მითითებანი, მაგრამ ისინი რამდენადმე მოკლებულნი არიან სიზუსტეს. ვეფხისტყაოსნის ტექსტის კვლევის თანამედროვე ეტაპზე ჩვენ ვერ გავიზიარებთ თეიმურაზის შეხედულებას, თითქოს ნანუჩას პოემის მთელი გაგრძელებები ეკუთვნოდეს. ამჟამად ცნობილია ამ გაგრძელებათა ჩამოყალიბების მოახლოებითი თარიღები და მათი რამდენიმე ავტორი. ნანუჩას მიეწერება გზადაგზა რამდენიმე სტროფის ჩამატება და გაგრძელებათა ერთი ნაწილის ავტორობა („ანდერძი ავთანდილისა, რომელი თქვა ეამსა სიკვდილისასა, ნანუჩას ჩამატებული მას უკან“ — იხ. ხელ-

²¹ პირველი სტროფი, ანუ ვრცელი გამოცემა 169, ჩემი აზრით, ასევე ვეფხისტყაოსნის ძირითადი ტექსტის კუთვნილება უნდა იყოს, რის დასაბუთებაც იხ. წიგნში ს. ციციშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, 1963, გვ. 11—12.

²² H-39 (H-21), გვ. 24, 25. შდრ. გ. იმედაშვილი, ზემოთ დასახელებული ნაშრომი, გვ. 189—190; აღსანიშნავია ცნობილი რუსთველოლოგის იუსტ. აბულაძის შენიშვნა, რომ „ნანუჩას შესახებ სამწუხაროდ დღემდის არაერთი ისტორიული საბუთო, არც თუ მიზლოგრაფიული ცნობა არ აღმოჩენილა... გარდა „არჩილანში“ მისი მოხსენებისა“ (ვეფხისტ. 1926 წლის გამოცემის წინასიტყვაობა, XXV გვ.). თუმცა თეიმურაზის ეს ცნობა ამ დროს გამოქვეყნებული არ იყო, ვგევე ცნობა თეიმურაზის გავლენით მითითებულია 1841 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში, რომელიც მ. ბროსეს ეკუთვნის.

ნაწ. Q — 1082, H — 3061 და სხვ.)²³. ასევე არ დასტურდება „ომიანი-
ანის“ ავტორად ნანუჩას მიჩნევა, რადგან ამას არ ეთანხმება არც თა-
რილი („ომიანიანი“ მე-16, მე-17 საუკუნის მიჯნაზე უნდა იყოს შე-
ქმნილი)²⁴ და არც ჩვენთვის ცნობილი ისტორიულ-ლიტერატურული
ხასიათის ჩვენებანი²⁵.

თეიმურაზი ბროსესადმი მიწერილ ამავე წერილში ასახელებს
უფრო გვიანდელ, თითქმის მის თანამედროვე ინტერპოლატორს დავით
ჩოლოყაშვილს. იმ ინტერესის გამო, რათა ვაჩვენოთ, თუ რამდენად
გავრცელებული იყო ვეფხისტყაოსნის მიმართ ამგვარი საქმიანობა,
მოვიტანთ ნაწყვეტს თეიმურაზის წერილიდან: „ამას გარდა, პაპის ჩე-
მისა მეფის ირაკლის დროსა და მამის ჩემისა მეფის გიორგის დროსა
იყო თავადი ჩოლოყაშვილი ჭიმშერი ერისთავის ძე დავით დივანბეგი
(ჩვენში მოსამართლეებს, ესე იგი მსაჯულებს დივანბეგებს ეძახდნენ)-
ეს დავით მეფეებისაგანაც პატივცემული იყო და დიახ განსწავლული
კაცი იყო, საკვირველის უცხო ზნეობისა, მხიარული, მოხუმარი და
უცხო პიიტკოსი. ამან სხვა ენებიც კარგად იცოდა ქართულს გარდა.
ჩემს ყმაწვილობაში ჩემთანაც და ჩემს ძმებთანაც დიახ შემოჩვეული
იყო და ბატონებისაგან ბრძანებაცა ჰქონდა, რომა ჩვენთვის ზნეობა
ესწავლებინა. ბევრს რასმე კარგს გვასწავლიდა... იმანა თქვა ერთხელ:
როდესაც ტარიელ შეეყარა ნესტან-დარეჯანსაო, რა შესაბამი იყოვო,
რომელიც სიტყვა იმან უთხრაო (იგულისხმება ვეფხისტყაოსნის 416-ე
სტროფი: „აწ რასაცა მე მალირსებ, ხორციელი არა ღირს ა...“); ასე
კი არ უნდა ეთქვათო, თითონ. დავითმა გააკეთა ეს შემდგომი სტიხები:
როდესაც რომ ტარიელ შეეყარა ნესტან-დარეჯანსა, მაშინ ტარიელსა
ასე უნდა ეთქვაო:

ა) სიყვარულო ძალსა შენსა, ვინ არს რომე არ მონებდეს,
ვინ არს რომე გულსა ტახტად, ოხვრას ხარკად არა გცემდეს,
შენგან მეფე მონას ეყმოს, შენგან ბრძენი ველად რებდეს,
მამ ბულბულსა რად ეზრახვის, რის შენ გამო ვარდს შეჰყეფდეს...

ბ) ნატარ მას ვინცა შენს ახლოს, შენ მხოლოსათვის ოხრევედს
ხმისა შენისა სმენითა, ყურსა ატკობდეს, აღხენდეს—
ზოგჯერ ბალახშთა თვისადმი საამოდ მღობრად ხედავდეს:
ხან ვარდთა ყნოსით სთერებოდეს, ხან ეკლით განიფხიზლევდეს.²⁶

²³ ამაზე დაწერილებით იხ. შემდეგ.

²⁴ ქ. კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1957, გვ. 370—
374.

²⁵ არჩილის ცნობით, „ომიანიანის“ ავტორობა პოეტ ქაიხოსროს მიეწერება: „ქაი-
ხოსრომან შიგ-ჩართით ლექსად თქვა ომიანიანი“, იხ. „არჩილიანი“, ა. ბარამიძისა და
ნ. ბერძენიშვილის გამოცემა, II, სტრ. 28.

²⁶ ამ ლექსზე მთელი ლიტერატურა წარმოიშვა. პლ. იოსელიანის ცნობაზე დამ-

თავის „განმარტებაში“ თეიმურაზი ასევე ინტერპოლატორ-გამგრძელებლად მიიჩნევს „ვიწმე მესხს“, რომელსაც მიაკუთვნებს ვეფხისტყაოსნის ეპილოგის ტრადიციულ სტროფს: „გასრულდა მათი ამბავი ვითა სიზმარი ღამისა...“, მაგრამ სხვა რამე დამატებით ხელშესახებ ცნობებს ამ საკითხთან დაკავშირებით იგი არ გვაწვდის²⁷.

თეიმურაზ ბაგრატიონის ღვაწლზე ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორიის შესწავლის საქმეში შედარებით ვრცლად შეეჩერდით იმის გამო, რომ მკვლევრის ზემოთ აღნიშნულმა შეხედულებებმა გარკვეული როლი ითამაშეს როგორც პოემის მომდევნო ბეჭდური გამოცემის შემზადებაში, ისევე თეიმურაზისავე მოწაფეებად აღიარებულ მომდევნო ხანის რუსთველოლოგთა შრომებში.

ვეფხისტყაოსნის მეორე, ანუ 1841 წლის გამოცემის მესვეურთა შორის (მ. ბროსე, ზ. ფალავანდიშვილი, დ. ჩუბინაშვილი), როგორც ცნობილია, მეთაურის პატივი უეპქველად ეკუთვნის გამოჩენილ ქართველოლოგს, ეროვნებით ფრანგს, აკადემიკოს მარი ბროსეს²⁸. მარი ბროსე (1802—1880) სხვა აღმოსავლურ ენების შესწავლასთან ერთად ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა დაინტერესდა ქართული კულტურით. დაიწყო ქართული ენისა და ამ ენაზე შექმნილი უმნიშვნელოვანესი ძეგლების შესწავლა. რასაკვირველია, მისი ინტერესების სფეროში პირველ რიგში სწორედ ვეფხისტყაოსანი მოექცა. ამას გარკვეულად ხელს უწყობდა ისიც, რომ მან პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში მიაკვლია ვეფხისტყაოსნის რამდენიმე ხელნაწერს. მის, როგორც მკვლევრის, ალღოზე მეტყველებს ისიც, რომ მან მყისვე დაიწყო ამ ხელნაწერების შედარებითი შესწავლა, ზუსტად შეარჩია მათში შედარებით უფრო ავთენტიკური ნუსხა²⁹ და შეუდარა კიდევ ვარიანტული თვალსაზრისით სხვა მის ხელთ არსებულ ნუსხებს. იგი ამაზე არ შეჩერებულა და უკვე 1830 წელს გამოაქვეყნა კიდევ პარიზში პოემის პირველი თავების ფრანგული თარგმანი და მოკლე შინაარსიც გააცნო

ყარებით ამ ლექსს ალ. ჭავჭავაძის მიაწერს ი. გრიშაშვილი. ჭავჭავაძის ლექსად თვლიდა მას თავის დროზე იონა მეუნარგია (იხ. ალ. ჭავჭავაძის თხზულებანი, 1940, გვ. 271—294). მაშ, რა ცნობას ემყარებოდა თვით თეიმურაზი საკითხი კვლავ მოითხოვს შემდგომ კვლევას.

²⁷ თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, განმარტება... გ. იმდაშვილის რედაქციით, 1960, გვ. 287.

²⁸ ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან, 1966, გვ. 43—59; შ. ხ ა ნ თ ა ძ ე, მარი ბროსე, 1966, გვ. 26—40.

²⁹ საუბარია 1702 წელს გადაწერილ ვეფხისტყაოსნის ნუსხაზე, რომელიც ახლაც პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში ინახება და რომლის ფოტოპირი მოგვეპოვება საქართველოში (იხ. შ. რუსთაველის ინსტიტუტის მიერ ვეფხისტყაოსნის ვარიანტების გამოცემაში: P-10 ანუ აქ მიღებული ლატერით ხელნაწერი X).

ფრანგ მკითხველს³⁰. ვასაგებია, თუ რა მნიშვნელობა ენიჭებოდა ამ ფაქტს იმ დროისათვის, როცა ევროპაში მხოლოდ თითო-ოროლა წერილი თუ იყო გამოქვეყნებული რუსთაველზე, ხოლო რუსულად მხოლოდ ერთი სტროფი იყო თარგმნილი (იგი ეკუთვნოდა ევგ. ბოლხოვიტინოვს და მოთავსებული იყო მის წიგნში: «Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ее состоянии», СПб, 1802 г.). საგულისხმოა ამ თვალსაზრისით თეიმურაზ ბაგრატიონის წერილი მარი ბროსესადმი, სადაც გამოხატულია ქართველი მოწინავე საზოგადოების დიდი სიხარული: «ვიხილე უურნალსა თქვენ მიერ წარმოვლენილსა დიდისა მის და სახელოვნისა ჩვენისა მეღექსეთა გამირისა. შოთა რუსთველისა რჩეულნი ლექსნი და შენ მიერ ლამაზად თარგმანება მისი ფრანციულს ენაზედ. ვაჰა! ვაჰა!»³¹.

თეიმურაზთან დაახლოებამ (პირველ ხანებში, ბროსეს პეტერბურგში ჩამოსვლამდე ეს მიწერ-მოწერით ხორციელდებოდა) უფრო გამიზნული და კონკრეტული შინაარსი მისცა მარი ბროსეს დაწყებულ რუსთველოლოგიურ მუშაობას. უკვე ამ ხანებში თეიმურაზი წინადადებებს აძლევს მას სცადოს ვეფხისტყაოსნის ბექდურად გამოქვეყნება, მით უფრო, რომ ამგვარი პრეცედენტი, ქართული ძეგლის პარიზში გამოქვეყნებისა თვით ბროსეს მიერ უკვე შექმნილი იყო³². თეიმურაზი წერს ამის თაობაზე: „დიდად კმაყოფილება იქმნებოდა ჩვენის ქართველებისათვის, რომ ვეფხისტყაოსანი დაიბეჭდოს ერთს წიგნათ“³³.

თეიმურაზ-ბროსეს მიმოწერაში ქართული კულტურის სხვა საჭირობოროტო საკითხებთან ერთად მკითხველი ძალზე ხშირად შეხვდებოდა მსჯელობას ვეფხისტყაოსნის გამოცემის აუცილებლობაზე, ახალი გამოცემის შინაარსსა და მისთვის შესაფერ პოლიგრაფიულ გაფორმებაზე³⁴.

³⁰ ჟურნ. Nouveau Journal Asiatique, 1930, გვ. 374—394; როგორც ცნობილია, მ. ბროსემ ბოლომდე მიიყვანა დაწყებული საქმე. გადაწერა ზემოაღნიშნული ვეფხისტყაოსნის პარიზული ხელნაწერი და მიუწერა მის მიერ შესრულებული ფრანგული თარგმანი. სამწუხაროდ, ეს თარგმანი მთლიანი სახით არ გამოქვეყნებულა. იგი ამჟამად ინახება აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში; K-23.

³¹ თეიმურაზ ბაგრატიონის წერ იღები აკად. მ. ბროსესადმი, ს. ყუბანეიშვილის რედაქციით, 1964, გვ. 12; აქვე, 104-ე გვერდზე იხილე მ. ბროსეს მიერ აღნიშნულ ჟურნალში გამოქვეყნებული წერილების მთლიანი ნუსხა.

³² მათ შორის აღსანიშნავია «Chronique Géorgienne, traduite par M. Brosset, Paris, 1830. vol. 1—2 (უხოვრება საქართველოსა). სხვათა შორის, თეიმურაზი გამოეხმაურა ბროსეს ამ გამოცემებს აზიური საზოგადოების ჟურნალში; იხ. შ. ხანთაძე, მარი ბროსე, 1966, გვ. 20—21;

³³ თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები ბროსესადმი, ს. ყუბანეიშვილი ს რედაქციით, 1964, გვ. 26.

³⁴ სხვათა შორის, თეიმურაზმა უარყო წინადადება, რომ ვეფხისტყაოსანი ლიტოგრაფიულად გამოეცათ, თანაც დაბეჭდვით აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანი ძალზე

მაგრამ ბროსემ თავისი განზრახვა, სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად, მხოლოდ პეტერბურგში ჯადმოსვლის შემდეგ განახორციელა. მე აქ არ შევჩერდები ამ გამოცემის შემზადების ტექნიკურ მხარეზე, რადგან ეს დაწვრილებით არის გარკვეული სპეციალურ ლიტერატურაში³⁵; არც ამ გამოცემის ძირითად რედაქციულ თავისებურებებზე, რადგან ამაზე ნაშრომის სათანადო თავში გვექნება საუბარი, მაგრამ მკითხველის ყურადღება მიიწვიებს შევაჩერო ამ გამოცემასთან დაკავშირებულ ისეთ ფაქტებზე, რომლებსაც გარკვეული მნიშვნელობა აქვთ ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით. წინასწარვე უნდა შევნიშნოთ, რომ თვით ბროსეს ბევრად უფრო მაღალ მეცნიერულ დონეზე უნდოდა ტექსტის შესწავლა და გამოსაცემად მომზადება, ვიდრე ეს ფაქტიურად განხორციელდა. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ბროსემ, როცა იგი გაეცნო ვეფხისტყაოსნის პარიზულ ნუსხებს, პირველ რიგში მათი შედარებითი შესწავლით დაიწყო, რაც მის, როგორც ამ დროისათვის ევროპულად განათლებული მეცნიერის, დონეზე მეტყველებს. მარი ბროსეს სურვილი ჰქონდა იგივე პრინციპი დასდებოდა საფუძვლად 1841 წლის გამოცემას. ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა ერთი დოკუმენტი, რომელიც სწორედ აღნიშნულ გამოცემის თავდაპირველ ჩანაფიქრს გვიხატავს. 1841 წლის გამოცემის მესვეურებს ადრევე შეუთმუშავებიათ გეგმა ანუ „პროგრამა“, რომელშიც ძალზე მნიშვნელოვანია ერთი ადგილი, სადაც აშკარად გამოსჭვივის მ. ბროსეს შეხედულება პოემის მეცნიერულ გამოცემაზე. აქ პირდაპირ არის აღნიშნული, რომ ახალ გამოცემას საფუძვლად ვახტანგისეული ტექსტი უნდა დასდებოდა, ოღონდ ხელნაწერთაგან ამოღებული მასალის თანდართვითა და შესწორებებით: ჩვენი განზრახვააო, ნათქვამია დოკუმენტში, „ახლად აღებეჭდოთ ვეფხისტყაოსანი, რომლისა საფუძვლად გვექნება მეფის ვახტანგის მიერ დაბეჭდილი, გარნა მცირედ განმარტული, განხილული სწავლულთა ქართველთა მიერ და შემოწმებული ძველი ხელწერილთა თანა, რაოდენთაც შევიძლებთ პოვნასა საქართველოსა ანუ რუსეთსა შინა, და მით მივაახლოებთ ნამდვილისა“³⁶.

პოპულარულია ქართველ ხალხში და ამიტომ „მარტო მხედრულის ასოებით დაბეჭდეთ, ხუცურს ნუ ჩაატანთ ამისათვის, რომ საქართველოს სოფლებში მცხოვრებნი ძალიან ეწყობიან, მდებალი ხალხი ძალიან კითხულობს ვეფხისტყაოსანსა და იმათში ხუცური ბევრია არ იცის. მარტო მხედრული წიგნი იყინა...“ (იქვე, გვ. 26—27).

³⁵ ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან, 1966, გვ. 43—59.

³⁶ აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილება, P-19. № 95; მთლიანად გამოაქვეყნა ი. მეგრელიძემ „ლიტერატურულ საქართველოში“, 1965, № 30.

მ. ბროსემ გარკვეულ შემთხვევაში გაიზიარა თეიმურაზისა და საერთოდ ქართველ მწიგნობართა შეხედულება ვახტანგისეული ტექსტის ავტორიტეტის საკითხში და აღნიშნა კიდევ: „წიგნი ესე (ლაპარაკია ვეფხისტყაოსანზე — ს. ც.) გარყუნილ იყო სხვადასხვა მწერალთაგან, მისთვის ვახტანგ მეფემა, როგორც ჰომერის სტიხები პირისტრატოსის (!) მიერ გასინჯულ იყო, ისე გასინჯა და შეამოწმა ძველთ კელწერილებსა და შემდგომად დაჰბეჭდაო“³⁷. მაგრამ ვახტანგის დაწყებული საქმე მას დამთავრებულად არ მიაჩნდა, თუნდაც იმის გამო, რომ აქ არ იყო წარმოდგენილი ხელნაწერთა მემკვიდრეობის საერთო სურათი.

რასაკვირველია, არ იყო საკმარისი პარიზული ხელნაწერებით შემოფარგვლა და, მართლაც, მ. ბროსეს განუზრახავს საქართველოში ჯერ კიდევ არსებული ვეფხისტყაოსნის ხელნაწერების გამოყენებაც. მას ამ სამუშაოს შესრულება დაუვალებია 1841 წლის გამოცემის ერთ-ერთი მონაწილის ზ. ფალავანდიშვილისათვის, რომელიც ამ ხანებში საცხოვრებლად საქართველოში გადმოდის. მაგრამ ბროსეს ეს ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა. ზ. ფალავანდიშვილისთვის არ ყოფილა ნათელი ამ საქმის ნამდვილი მნიშვნელობა (იგი ეკამათება კიდევ ბროსეს ამ საკითხზე და ზედმეტად მიაჩნია ყველა ვარიანტის მოხმობა) და მას ფაქტიურად ჩაუგდია ეს სამუშაო³⁸.

საქმის გაჭიანურების გამო მ. ბროსეს ხელი აუღია ამ განზრახვაზე და, როგორც ვიცით, 1841 წლის გამოცემა დაიბეჭდა ყოველგვარი მეცნიერული აპარატურის გარეშე³⁹.

მანც, მ. ბროსეს განუხორციელებელ ჩანაფიქრს გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ვეფხისტყაოსნის ტექსტის შესწავლის ისტორიის პირველი საფეხურების კვლევის დროს. ეს იყო ცდა, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული შეესწავლა ვეფხისტყაოსნის ტექსტი იმდროინდელი ევროპული ტექსტოლოგიის მიღწევათა დონეზე (ხელნაწერთა შესწავლა, ვარიანტების ჩვენება)⁴⁰.

³⁷ ვეფხისტყაოსნის 1841 წლის წინასიტყვაობა, გვ. XI—XII.

³⁸ ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან, 1966, გვ. 53—54. იხ. ზ. ფალავანდიშვილის წერილები ბროსესადმი, ხელნაწერთა ინსტიტუტი (ბროსეს ფონდი).

³⁹ თუ არ ჩავთვლით დ. ჩუბინაშვილის მიერ შედგენილ მცირე ლექსიკონს. ლექსიკონი რომ ჩუბინაშვილის ეკუთვნის, ამაზე იხ. ЖМНП 1842, XXXV, № 8, გვ. 8—9, სადაც მოთავსებულია დ. ჩუბინაშვილის წერილი ვეფხისტყაოსანზე. იხ. აგრ. ლ. მეზაბლე. „ვეფხისტყაოსანი და საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწენი“, 1967, გვ. 12.

⁴⁰ როგორც ცნობილია, მარი ბროსე ასევე პიონერად გვევლინება ქართველოლოგიის სხვა დარგებშიც. მართალი იყო აკად. ივანე ჯავახიშვილი, როცა წერდა, რომ „სა-

მარი ბროსე სხვა კუთხითაც შეეხო ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორიის საკითხებს. ვეფხისტყაოსნის ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებზე მსჯელობისას მან წარმოადგინა ცნობები პოემის ჩანამატ პლასტებზე, მიუთითა ინტერპოლატორებზე, მაგრამ, როგორც ახლა გარკვეულია, ამ შემთხვევაში იგი მთლიანად დაყრდნობია თეიმურაზ ბაგრატიონის მიერ მიწოდებულ მასალებს (პოემის ტექსტის შეკრენა, ვახტანგისეული გამოცემის ხარვეზები, ინტერპოლატორები ნანუჟა ციციშვილი, დავით ჩოლოყაშვილი და ა. შ.), რომელთა მეცნიერულ ღირსებებზე ზემოთ უკვე იყო საუბარი. მანვე გარკვეულად კრიტიკული მიდგომა გამოიჩინა ვახტანგისეული ტექსტის მიმართ და მის შესავსებად გამოიყენა პოემის ერთ-ერთი ძველი ხელნაწერი (თუ რომელი ხელნაწერია ეს და რა აიღო ამ ხელნაწერიდან 1841 წ. გამოცემის რედაქტორმა, ამაზე საუბარი გვექნება ქვემოთ სპეციალურ თავში, რომელიც მიძღვნილია 1841 წ. გამოცემის რედაქციული დახასიათებისადმი).

ვეფხისტყაოსნის ტექსტზე 1841 წ. გამოცემის შემდეგაც გარკვეული მუშაობა გასწია პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა დავით ჩუბინაშვილმა. მან ორჯერ (1846 წ. და 1860 წ.) გამოსცა ვეფხისტყაოსნის ტექსტი და შეიტანა ქართული მწერლობის ქრესტომათიაში. პირველი გამოცემა ფაქტიურად 1841 წლის გამოცემის განმეორება იყო. როგორც ახლა გამორკვეულია, მას ამისათვის გამოუყენებია 1841 წლის გამოცემის გადარჩენილი ცალები და დამატების სახით დაურთავს რამდენიმე იამბიკო, რომელიც გადმოცემით შოთა რუსთაველს მიეკუთვნება⁴¹.

უფრო მნიშვნელოვანია დ. ჩუბინაშვილის მეორე გამოცემა. აქ დარღვეულია მარი ბროსეს მიერ აღებული პრინციპი, როცა მან გარკვეულ წყაროზე დაყრდნობით (ამაზე სპეციალურ თავში) 50 სტროფი დაუმატა ვახტანგის გამოცემას. არ ჩანს, თუ როგორ ესმოდა დ. ჩუბინაშვილს ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორიის საკითხები ან რით ასაბუთებდა ტექსტის მისეულ ოპერაციას. ფაქტი კი ის არის, რომ 1860 წლის გამოცემაში მან კვლავ ამოიღო მ. ბროსეს მიერ ვახტანგის გამოცემაზე მიმატებული სტროფები და მხოლოდ ექვსი მათგანი დატოვა (1956 წლის ვეფხისტყაოსნის ვრცელი გამოცემის ნუმერაციით ეს სტროფებია: 169 — „თუ ყოფილა იგი მოყმე“..., 217 — „მოუკლავარ თიხათინის სურვილსა და სიყვარულსა“..., 439—„წიგნი წინსა ეცემოდა

ქართულის მეთოდური მეცნიერული შეწავლის მეთაურად უნდა ფრანგი მარი ბროსე იქმნეს ცნობილი“. მ. ბროსეს ლეწლას შესახებ საქართველოში იხ. შ. ხანთაძე, მარი ბროსე, 1966.

⁴¹ ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან, 1966, გვ. 59—64.

დედოფალი ოდეს შობდა“..., 467 — „ზღუდედ მოვლიდა ზურმუხტი“..., 699 — „მე დავშვერ, ვითა წესია საურავ გარდახდილისა“..., 736 — „შევე, ფიქსლავ შევეკაზმე, ცხენსა შევეჩე შეკაზმული“..., მაგრამ აქ არის ერთი საყურადღებო მომენტი: ამ ექვსი სტროფიდან ოთხი (169, 217, 699 და 736) სწორედ ისინია, რომელთა შესახებ თეიმურაზ ბაგრატიონმა (იხ. ზემოთ) მიუთითა და ვახტანგის გამოცემის შემთხვევით ხარეზად აღიარა. რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ აქედან? დ. ჩუბინაშვილს ფაქტიურად არ გაუზიარებია მ. ბროსეს ტექსტოლოგიური მუშაობის შედეგები და კვლავ დამყარებია, მცირეოდენი გამოწკლისის გარდა, 1712 წლის ტექსტის ავტორიტეტს (მართლაც, თუ 1712 წლის ტექსტი შეიცავს 1587 სტროფს, დ. ჩუბინაშვილის მეორე გამოცემა ითვლის 1593 სტროფს). ამგვარად, რაიმე სიახლე ტექსტის ისტორიის თვალსაზრისით აქ აღარ შეინიშნება. პირიქით, შეიძლება ითქვას, დ. ჩუბინაშვილმა ერთგვარად ნაბიჯიც კი გადადგა უკან და უგულვებელყო მ. ბროსეს ის შენიშვნები, რომელთაც აუცილებლად უნდა გასწეოდა ანგარიში.

დ. ჩუბინაშვილის რუსთველოლოგიურ ნააზრევში უფრო ფასეულია მოსაზრებები, რომელიც მან გამოთქვა თვით პოემის იდეურ-მხატვრულ-თავისებურებათა შესახებ და, განსაკუთრებით, ლექსიკოლოგიური დაკვირვებანი (რაც ასახულია 1860 წლის გამოცემაზე დართულ საკმაროდ მოზრდილ ლექსიკონში), რომელთა შესახებ ჩვენ ცალკე ნაშრომში გვექნება საუბარი.

თეიმურაზ ბაგრატიონის მოწაფეთაგან აღსანიშნავია აგრეთვე პლატონ იოსელიანის ღვაწლიც. როგორც ცნობილია, იგი წლების მანძილზე აწვდიდა მასალებს მარი ბროსეს რუსთველოლოგიური სფეროდან (ისევე როგორც ქართველოლოგიის სხვა დარგებში) და, რაც მთავარია, მან შემოგვინახა და გამოაქვეყნა არა ერთი ძვირფასი ცნობა ვეფხისტყაოსნის ხელნაწერების შესახებ⁴². მართალია, მკვლევარს უშუალოდ არ უშუშავია ვეფხისტყაოსნის ტექსტის გამოცემაზე, მაგრამ, როგორც ჩანს, მას კარგად ჰქონდა შესწავლილი ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა და ვახტანგის გამოცემის ურთიერთმიმართების საკითხები. მან თავის შესანიშნავ წერილში — შოთა რუსთაველი — ერთ-ერთმა პირველთაგანმა გამოიტანა ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორიისათვის ძალზე მნიშვნელოვანი დასკვნა: მიუთითა 1712 წლის გამოცემის ნაკლოვანებებზე, ხელნაწერებში შემორჩენილი ტექსტის ყოველმხრივი

⁴² იხ. ჩვენი ნარკვევი „ცნობები ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებზე“ წიგნში, ს. ცაიშვილი, „ლიტერატურული წერილები“, 1956, გვ. 102—120.

შესწავლის საჭიროებაზე და აღნიშნა, რომ «Время, без сомнения, очистит эту смесь, восстановит древний текст»⁴³.

დ) მწერალთა კომისიის მიერ მომზადებული ვეფხისტყაოსნის
1888 წლის გამოცემა

სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აღნიშნული თვალსაზრისით ვეფხისტყაოსნის 1888 წლის გამოცემას, რომელმაც ერთგვარად შეაჯამა კიდევ ის დიდი მუშაობა, რომელიც მე-19 საუკუნეში წარმოებდა ვეფხისტყაოსნის ტექსტის გაუმჯობესებისათვის. ამ-თავითვე უნდა ითქვას, რომ ეს გამოცემა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მაშინდელმა თითქმის ყველა გამოჩენილმა მოღვაწემ, თავისი ხასიათით ბევრად უფრო ფართო მიზნებს ისახავდა და ფაქტიურად გადაიქცა იმ ხანებში გაღვივებული დიდი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ ცხოველ გამოხატულებად⁴⁴. სწორედ ამ გამოცემის მომზადებასთან დაკავშირებით გაზ. „დროება“ შემდეგნაირად განსაზღვრავდა პოემის ახალი გამოცემის მნიშვნელობას: „როცა რომელიმე ხალხი იმისთანა მდგომარეობაში ჩავარდება, როგორშიაც ჩვენ ვიმყოფებით ამჟამად, როდესაც ერს თავისი ვინაობა ავიწყდება, როცა ის ყველაფერს, რაც მშობლიურია, რაც გვარტომობის დამამყარებელია, გულგრილად შესცქერის, ამისთანა დროს ძველი მწერლობის გახსენებას, ძველ მამაპაპეულ ნანგრევთა ნაშთთა აღდგენას, განახლებას, მოგონებას დიდი განუსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს ხალხისათვის. ყველა ეს ამხნევებს, თავის თვალში ამაღლებს, აკეთილშობილებს, ახალ იდეალებს აღმოუჩენს და ენერგიას უმატებს ამგვარ ერთ“. „ჩვენის აზრით, — ნათქვამია ბოლოს, — სწორედ ამგვარი მნიშვნელობა აქვს ვეფხისტყაოსნის კარგად გამოცემას, აღდგენას და იმის დამწერის გაცნობას“⁴⁵.

ტექსტის ისტორიის, მისი აღდგენის თვალსაზრისითაც საგულისხმო გეგმებს ისახავდა ეს გამოცემა და, მიუხედავად იმისა, ბოლომდე განხორციელდა თუ არა ეს გეგმები, მაინც ძალზე მნიშვნელოვანია საკითხების ისეთი კუთხით დაყენება, როგორსაც ჩვენ ამ გამოცემის

⁴³ იხ. მისი წერილები: «Закавказский вестник», 1845, № 1; «Кавказ», 1870 № 13.

⁴⁴ ა. ბ ა რ ა მ ი ძ ე, შოთა რუსთაველი, 1966, 511—512; ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, «ვეფხისტყაოსანი» და საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოღვაწენი, 1967, გვ. 61—62.

⁴⁵ გაზ. „დროება“, 1880, № 241.

მესვეურთა შეხედულებებში ვხედავთ. თავიდანვე, როცა გამოცემის პირველი ინიციატორები (ი. მეუნარგია, რ. ერისთავი, ი. გოგებაშვილი) შეუდგნენ ამ საქმეს, მათ 1880 წლის „დროებაში“ (№ 241) გამოაქვეყნეს სათანადო პროგრამა. გარკვეული ინტერესის გამო მოვიტანთ აღნიშნული პროგრამიდან ვრცელ ამონაწერს:

„შვიდ საუკუნეში, რომელიც გასულია რუსთაველის დროებიდან, ვეფხისტყაოსანი ბევრის გადაწერ-გადმოწერით, ჩამატებით, გამოკლებით ისე შეცვლილია, რომ გვეონია, რუსთაველის გენიამ სამჯერ უარყო პოემის ავტორობა, სანამ ერთი გამოცემა გაიყიდებოდა. ამიტომ ქართული ლიტერატურის მოყვარულთა ვალია, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება, აღადგინონ ნამდვილი პოემა დიდი პოეტისა ისეთისავე მეცადინეობით და მოწიწებით, რა მეცადინეობითაც სხვა ხალხები ეპყრობიან თავიანთ საუკეთესო პოეტების მანუსკრიპტებს.

ეს აზრი მართო ჩვენ არ გვეკუთვნის. ჩვენამდისაც გაუწევიათ ამგვარი შრომა და ბევრსა ცდილან პოემის აღდგენაზე, მაგრამ ვერ შეძლებიათ ემოვნათ ყველა ხელნაწერი ვეფხისტყაოსნების, საიდანაც უნდა ესარგებლნათ და ამის გამო ყველა შეცდომაც ვერ აუცდენიათ წიგნისათვის.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ თანამედროვე ქართველ ლიტერატორს არც აქვს ნება და არც შეუძლია უბრალო რამ ცვლილება მოახდინოს ვეფხისტყაოსანში, თუ ეს ცვლილება არ იპოვება თვითონ პოემის სხვადასხვა ვარიანტებში. ჩვენი მოვალეობა იქნება მხოლოდ სხვადასხვა ვარიანტიდან უკეთესის არჩევა და აქა-იქ მართლწერის ნიშნების შესწორება.

ჩვენი განზრახვა არის: ა) შევათანხმოთ ვეფხისტყაოსანი სხვადასხვა ვარიანტებთან. რაც აკლია, შევმატოთ ტექსტს და რაც ნამეტანია — გამოვაკლოთ (ხელთ გვაქვს ხუთი ხელნაწერი ვარიანტი, კიდევ ველით რამდენიმეს). ბ) დავსხათ პოემაში, თავთავის ადგილზე, მართლწერის ნიშნები. ამ ნიშნების შეცდომას ბევრი ზიანი მოაქვს მკითხველისათვის. რადგანაც მისი გონება ირყენება გაუგებარი ჰაზრების ზეპირებით. გ) თუ შესაძლებელი იქნება: შევიტყოთ ვინ არიან იმ დამატებათა ავტორნი, რომელნიც არ იქნებიან რუსთაველის ნაწერად ცნობილნი; მოვიყვანოთ წიგნში სრული ბიოგრაფიული ცნობა რუსთაველზე; შევადგინოთ საზოგადო შენიშვნა ვეფხისტყაოსანზე და შევკრიბოთ ცნობა იმაზე, თუ ვის რა გვარი ვეფხისტყაოსანი აქვს ამჟამად“⁴⁶.

როგორც ვხედავთ, სამუშაო პროგრამა საკმაოდ ფართოდაა მოხაზული და თავის დროისათვის მაღალ მეცნიერულ დონეს ამჟღავნებს.

⁴⁶ გაზ. „დროება“, 1880, № 241.

მაგრამ კომისიის პირველივე სხდომაზე ნათელი გახდა, რომ ასეთი მუშაობისათვის არ იყო ნიადაგი შემზადებული. ჩვენ ამჟამად საშუალება გვაქვს თვალი გავადევნოთ კომისიის სხდომათა მიმდინარეობას, რადგან ამ კომისიის ერთ-ერთი ინიციატორთაგანი იონა მეუნარგია პირველ ხანებში სისტემატურად აქვეყნებდა გაზ. „დროებაში“ სრულ ოქმებს, ხოლო შემდეგ უმთავრეს ცნობებს⁴⁷.

კომისიის სხდომაზე რამდენიმე საკითხი წამოჭრილა: რას უნდა დამყარებოდა მომავალი გამოცემა ან რა მეთოდების გამოყენებით უნდა ემუშავათ ტექსტის დასადგენად. აღსანიშნავია ვრიგოლ იარბელიანის მოსაზრება, რომელიც მას სწორედ პირველ სხდომაზევე გამოუთქვამს: „ვახტანგს, როგორც მეფეს, შეეძლო უკეთესი ვეფხისტყაოსნები ეშოვა და უკეთესი ვარიანტებიდამ დაებეჭდა პირველი გამოცემა პომესა, ამიტომ უპირატესობა უნდა მიეცეს ვახტანგის ვარიანტსო“⁴⁸. ვახტანგის გამოცემის პირველ წყაროდ აღიარება უკვე თავისთავად მეტყველებს, რომ მთელი სიღრმით ჯერ არ იყო შესწავლილი პომეს ტექსტის ისტორია და არც ვახტანგის გამოცემის მიმართება ხელნაწერთა შემკვიდრებასთან. ასევე არ იყო შემუშავებული მეთოდოლოგიური პრინციპებიც, რის გამოც ილია ჭავჭავაძეს შეუტანია წინადადება, რომ გზადაგზა ენახოთ, რას მოგვიტანს მუშაობის პროცესიო. იმავე ოქმში კვითხულობთ ილიას სიტყვებს: „პირდაპირ კითხვას შევუდგეთ და თითონ კითხვა დაგვანახებს, რა ფასი რომელ გამოცემას ექნება“.

ოქმებში წარმოდგენილი მასალის შესწავლით ცხადი ხდება. რომ წინასწარ არ მუშავდებოდა სათანადო პირველწყაროები და კითხვის პროცესში ხმათა უმრავლესობით წყდებოდა ამა თუ იმ ადგილის შესწორება თუ სტროფული შედგენილობის დადგენა; არ ეწეოდა ანგარიში თვით ხელნაწერთა ღირსება-ნაკლოვანებებს, რადგან ტექსტის მეცნიერულ ისტორიაზე სპეციალურად არაფერ მუშაობდა და, მართლაც, ბევრი ადგილის შესწორება მოხდა სრულიად არაავთენტიკურ ნუსხებზე დაყრდნობით. ამის ნათელსაყოფად საკმარისია აქ ერთი მაგალითის მოტანაც: კომისია რაიმე სერიოზული მეცნიერული მსჯელობის გარეშე შეელია ვეფხისტყაოსნის ლექსისათვის ტრადიციად ქცეულ და კავშირს მეოთხე ტაეპის წინ; საბუთი საკმაოდ დამახასიათებელია: „ამ კავშირით რუსთველის თექვსმეტმარცვლიან ლექსს მეოთხე ტაეპში ემატება მეჩვიდმეტე მარცვალი, თ ა ნ ა ც ზ ო გ ე ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ შ ი ე ს კ ა ვ შ ი რ ი გამოტოვებული იყო“⁴⁹.

⁴⁷ იხ. გაზ. „დროება“ 1881, № № 31, 36, 42, 44, 48, 54, 57, 60, 63, 65, 63, 86.

⁴⁸ გაზ. „დროება“, 1881, № 31, 6 თებერვლის სხდომის ოქმიდან.

⁴⁹ გაზ. „დროება“, 1881, № 31.

და კავშირზე ამჟამად საქმაოდ ვრცელი ლიტერატურა არსებობს. კამონენილი ქართველოლოგი ნ. მარი მას რუსთველის ლექსის აუცილებელ ელემენტად თვლიდა და პროსოდითულად მიიჩნევდა⁵⁰. მისი აზრით, შოთა რუსთველს აღნიშნული და კავშირი ხალხური ლექსიდან აქვს შეთვისებული და ერთდროს კონსტრუქციულად აუცილებელ ელემენტს შემდეგში ეს ოდინდელი ფუნქცია დაკარგული აქვსო. საგულისხმოა მკვლევრის მიერ აღდგენილი სურათი: „კავშირი „და“ ხალხური საზომიდან გადმონაშთის სახით აქვს შეთვისებული პოეტს. შოთას პოეზიაში იგი სრულიად ზედმეტია: იგი საჭირო არ არის აზრით, ხოლო ზოგჯერ არღვევს კიდევ მას, როცა იჭრება დაუმთავრებელ და ერთმანეთთან დაკავშირებულ მეტყველებებში. იგი ორგანიულად არც საზომს განეკუთვნება და მის მიღმა არსებობს. იგი მხოლოდ იმაზე მიგვანიშნებს, რომ მეოთხე სტრიქონით, რომლის წინაც დგას ეს კავშირი, ამთავრებს რიტმულ პერიოდს, თუმცა ეს უკანასკნელი მაინც იგრძნობა რუსთველის პოეზიის სალექსო სტრუქტურადან. „და“ კავშირი გადმონაშთის სახით არსებული დანართია და თუ შოთასთან იგი დეკორატიულია, სამაგიეროდ ხალხურ საზომში, საიდანაც იგი აიღო პოეტმა, თავის პირველ საფეხურზე კონსტრუქციული უნდა ყოფილიყო, როცა ჯერ კიდევ არ იყო გაფორმებული რითმა; არ იყო დაცული სიმეტრია და თანაბარმარცვლიანობა. მხოლოდ რიტმი თუ იყო შემუშავებული ამათუი ტემპისათვის. ამიტომ სწორედ „და“ კავშირს ეკისრებოდა რიტმული პერიოდის დამთავრების, მისი ბოლო წვერის ფიქსირება და შესაბამისად რიტმული წესრიგის დაცვა“⁵¹.

და კავშირს საინტერესო გამოკვლევები მიუძღვნეს მომდევნო ხანის მკვლევრებმაც. ვ. ბერიძემ გაიზიარა ნ. მარის დებულება, რომ და კავშირის ფესვები ხალხური პოეზიის საწყისებთან უნდა ვეძებოთ, როცა ხელოვნება სინკრეტული ნიშნებით გამოირჩეოდა, ლექსს ცეკვა და სიმღერა ახლდა. მაგრამ, მისი აზრით, და კავშირს გარკვეული ფუნქცია შემორჩა რუსთველის ახალ, რაფინირებულ ლექსშიც. თითოეულ სტროფში სტრიქონები დამოუკიდებელი წინადადებებია და უკავშირებოდ არიან წარმოდგენილნი. მეოთხე სტრიქონი ერთგვარად დასკვნითი მნიშვნელობის შემცველია და სწორედ და კავშირი ასრულებს გამაერ-

⁵⁰ იხ. ამის გარშემო ვ. ბერიძე „რუსთველოლოგიური ეტიუდები, 1951, გვ. 233—234; შ. ძ ი გ უ რ ი, ვეფხისტყაოსნის ენის საკითხები, 1966, გვ. 35—37; აღნიშნულ მკვლევართა ცნობით ნ. მარი და კავშირის წაკითხვასაც კი მოითხოვდა რუსთველური ლექსის ზეპირად წარმოთქმის დროს.

⁵¹ Н. Я. М а р р, Кавказская поэзия и ее технические основы, კრებულში — «Вопросы Вепхисткаосани и Висраманани», ი. მეგრულიის რედაქციით, თბილისი, 1966, გვ. 34—35.

თიანებელ როლს. ამდენად „და კავშირი უთუოდ კონსტრუქციულია, ლექსის არსებითი ნაწილია“⁵².

დღეს შეიძლება მართლაც მთელი სიღრმით არ გვეცნოდეს და კავშირის მნიშვნელობა რუსთველის სახელით ცნობილ ლექსის სახეობისათვის („შაირი“) იქნებ მას კლასიკურ ხანაში ჰქონდა კიდევ კონსტრუქციული ფუნქცია ლექსის ზეპირად წარმოთქმის პროცესში, და ამას ძალზე ღრმა კვლევა-ძიება სჭირდება მომავალშიც, მაგრამ სალექსო სტრიქონთა დამაკავშირებლად (ისიც მხოლოდ მეოთხე სტრიქონის წინ) მისი აღიარება არ მართლდება სათანადო ანალიზით. ავიღოთ თუნდაც ვეფხისტყაოსნის მაგალითი. სტროფთა დიდი რაოდენობა სწორედ მეოთხე სტრიქონში იწყება მაქვემდებარებელი და მაპირისპირებელი კავშირებით, რომელთა წინ და კავშირის უკვე აღარ გააჩნია რაიმე სინტაქსური ფუნქცია. როგორც ვნახეთ, ეს შენიშნული ჰქონდა თვით ვ. ბერიძესაც (იხ. აქვე შენიშვნაში) და ამაზე მიუთითა აგრეთვე კ. დანელიამაც, როცა იგი სპეციალურად შეეხო და კავშირის რუსთველურ ლექსში⁵³.

როგორც ჩანს, და-ს რეალური მნიშვნელობის ძიება სცილდება გრამატიკის სფეროს და იგი სწორედ იმავე ასპექტში უნდა დაისვას, როგორც ეს ჩვენ ნ. მარის მოსაზრების მიმოხილვის დროს ვნახეთ. ამ კუთხით განიხილავს და კავშირის თავის ნაშრომში „რუსთველის ენის საკითხები“ შ. ძიძიგური და კვლევის სიმძიმე პოეტური მეტყველების თავისებურებათა შესწავლაზე გადააქვს. მართლაც, ხალხურ პოეზიაში აშკარად დასტურდება და-ს გამოყენების მაგალითები, მაგრამ არა გრამატიკული ფუნქციით, არამედ პროსოდიული მიზნებით. მკვლევარი ფიქრობს, რომ საერთოდაც და-ს კავშირობა მეორეული მოვლენაა და იგი თავიდანვე ენაში ნაწილაკის მნიშვნელობით იხმარებოდა⁵⁴. და, როგორც ნაწილაკი, გადმონაშთის სახით ახლაც გამოიყენება როგორც სასაუბრო, ისე პოეტურ მეტყველებაშიც. აკაკი შანიძეს თავის „გრამატიკის საფუძვლებში“ მოაქვს ამის რამდენიმე მაგალითი (იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 633); ასევე შ. ძიძიგური ასახელებს რამდენიმე ტიპურ გამოთქმას: „ოჰ, რა არზა დავწერე-და?!“ (რ. ერისთავი), „ჩვენ გული

⁵² ვ ე უ ო ლ ბ ე რ ი ძ ე, რუსთველოლოგიური ეტიუდები, თბილისი, 1961, გვ. 240. სხვათა შორის, აქვე იმასაც დასძენს მკვლევარი, რომ ზოგჯერ ირდევია ეს კანონ-ზომიერებაც, რადგან ზოგჯერ მეოთხე სტრიქონი მაქვემდებარებელი, ან მაპირისპირებელი კავშირით იწყება (რომ, რადგან, თვარა, თორემ და ა. შ.), ასეთ შემთხვევაში და უფუნქციოდ რჩება და იგი ანალოგიის გაჰო თუ იწერება შესაბამის ადგილას.

⁵³ „და“-ს ხმარების საკითხისათვის ვეფხისტყაოსანში, მოამბე, № 2, 1961, გვ. 111—113.

⁵⁴ შდრ. ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 633. აქ ეს პროცესი (და — ნაწილაკი და — კავშირი) პირიქითაა წარმოდგენილი.

ვი ვადაგვიტრიალდა-და!“ (აკაკი), „ბიჭო-და, რა სანახავია ტყე“ (ლომონოსოვი). ნიმუში ხალხური ლექსიდან:

ჩამოგხსენ არჩილ მეფევი; და
ომს დაგიდებ ძალიანსა, და
მოგეწევი, ხმალს შემოგკრავ, და
ისარს გესერი შხამიანსა, და
დაალაღე, და ა. ⁵⁵

ანალოგიურ მასალებზე დაყრდნობით მკვლევარი ფიქრობს, რომ და, როგორც ნაწილაკი არის შესული ძველ პოეზიაში და მას პროსოდიული ფუნქცია დაეკისრა უპირატესად (მოტანილია დამატებითი მასალები, როგორც სასულიერო, ისე საერო პოეზიიდან). და მუსიკალური ფრაზისა თუ სალექსო საზომის მოწესრიგებაში იღებდა მონაწილეობას. „უნდა ვივარაუდოთ, რომ ხალხური 16 მარცვლიანი შაირის ჩამოყალიბების ერთ-ერთი დამადასტურებელია ქართული ლექსის ტრადიციული „და“-ს სტაბილიზაცია ყოველი სტროფის დასასრულს. თუ ეს „და“ თავიდანვე ლექსის სტრუქტურაში შედიოდა იმ თვალსაზრისით, რომ საზომის ფარგლებში თავსდებოდა (მარცვალთა რაოდენობაში შედიოდა), შემდეგ და შემდეგ, როდესაც რითმა გაჩნდა, რითმას დაეკისრა სტროფის შეკერის, სტროფული კომპაქტურობის ფუნქცია, „და“ აღარ შედის მარცვალთა სათვალავში, იგი სტროფის დამაბოლოებელია. ამიტომ გასაგებია ნ. მარის დებულება: თავის დროზე „და“ კონსტრუქციული იყო, ახლა კი მხოლოდ დეკორატიულიაო. ნ. მარის სიტყვით, პროსოდიული „და“ მიუთითებს, რომ ლექსის რიტმული პერიოდი დამთავრებულია“⁵⁶.

⁵⁵ შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, რუსთაველის ენის საკითხები, 1966, გვ. 44; აქვე მოტანილია მესხური ხალხური პოეზიის ნიმუშები. ი. მაისურაძის მიერ შეკრებილი ტექსტებიდან, სადაც ძალზე ხშირად დასტურდება პროსოდიული და. და კავშირის თავდაპირველ ფუნქციაზე გრამატიკული თვალსაზრისით იხ. აგრეთვე შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი ს წიგნი: „ქართული სალიტერატურო ენის ისტორიიდან“, 1959, გვ. 301—302.

⁵⁶ იქვე, გვ. 50; აღსანიშნავია, რომ მუსიკალურ ფრაზასთან და-ს დაკავშირების შესაძლებლობა გაკერით გამოთქმული აქვს მე-19 საუკუნის ზოგიერთ მკვლევარსაც. მაგ., ი. მეუნარგია ადასტურებს, რომ ვეფხისტყაოსანს მე-19 საუკუნეშიც ჯერ კიდევ დილინით კითხულობდნენ („ქართული მწერლები“, გვ. 338), ასევე პლატონ იოსელიანი აღნიშნავს, რომ გიორგი მეცამეტე „ძველ დროთა ჩვეულებრივთა წესითა... ტკბილად აბოლოებდა“ ვეფხისტყაოსნის ყოველ სტროფს („ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, გვ. 182) და ა. შ.

რამდენადაც ნათელი ჩანს დებულება, რომ და ერთ დროს ნაწილაკი იყო (ეს ფუნქცია ნაწილობრივ ახლაც არის შემორჩენილი სასაუბრო მეტყველებაში) და პროსოდიული ფუნქციით აღიჭურვა ძველ ქართულ ლექსში, იმდენად, ჩემის აზრით, ჯერ კიდევ ბუნდოვანი ჩანს ის გზა, რომლითაც იგი აღმოჩნდა შაირის სწორედ მეოთხე სტრიქონის წინ. თუ იგი ერთი სალექსო პერიოდის (ამ შემთხვევაში სტროფის) დამამთავრებელია, მაშინ ეს და კავშირი არ უნდა გვექნოდა, მაგალითად, ჩახრუხაძის „თამარიანში“, სადაც არა კატრენი, არამედ გრძელი, ერთ რითმაზე აწყობილი ოდა ბატონობს. ეს უქანასკნელი, რასაკვირველია, არ არის მაინცდამაინც მყარი საბუთი, რადგან იქნებ „თამარიანის“ ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერებშიც იგი ანალოგიით გაჩნდა („შაირის“ წაბაძვით), მაგრამ ამასთან არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენამდე მოღწეულ ზოგიერთ ძველ ფრაგმენტებში (მინაწერები ვეფხისტყაოსნიდან ვანის ქვაბებში და სხვ. მათ შესახებ იხ. შემდეგ) ეს და სრულიად არ ჩანს, რაც შემთხვევითობას (უფრო კი ზეპირად მინაწერის არასიზუსტეს) უნდა მივაწეროთ. ერთი რამ ცხადია, ვეფხისტყაოსნის ყველა ძველ ხელნაწერში და სისტემებზე არის გატარებული და უძველეს ტრადიციას მოწმობს.

და-ს საიდუმლოს ამოხსნის საინტერესო ცდა მოეპოვება მე-18 საუკუნის მიწურულისა და მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწეს გიორგი ავალიშვილს. როგორც ცნობილია, იგი ძალზე ცხოველმონაწილეობას ღებულობდა ყოველგვარ ქართულ კულტურულ წამოწყებაში. იმ პროგრამის საპასუხოდ, რომელსაც ჩვენ ზემოთ შევვხეთ; 1841 წლის გამოცემის მესვეურთ მან თავისი კუთვნილი ხელნაწერი გაუგზავნა და რამდენიმე მოსაზრებაც გამოთქვა ახალი გამოცემის მომზადების თაობაზე. სწორედ ამ წერილში, რომლის ადრესატია ზაქარია ფალავანდიშვილი, იგი სპეციალურად ჩერდება და-ს შესახებაც: „ყოველთა ლექსთა ანუ შაირთა ამათ ოთხ სტრიქოვანედთა ყოველთა მეოთხეთა ტრიქონთა ზედა უსხენან თავთა ზედა ასონი ესენი შემდეგნი და, რომელთაცა უსწავლელნი ანუ გამოუცდელნი მკითხველნი კითხვასა შინა კითხულობენ ამ დონ ანთაცა და მით უკარგავენ ლექსთა შევნიერებასა. ამისათვის მე წავშალე იგინი ყველგან, რადგანაც არა რაჟსა ჰნიშვნენ იგინი. ვითარ ოდენ ყოველისა ლექსისა“.

განსხვავებასა, დაბოლოებასა და მეორისა სხვსა დაწყებასა⁵⁷.

ანალოგიური შეხედულება ამ საკითხზე გამოთქვა ახლახან კ. დანელიამაც. მისი აზრითაც, და „სტროფთა სამიჯნავი ტექნიკური საშუალებაა“⁵⁸. ე. ი. უნდა ვიფიქროთ, რომ თავის დროზე და ისეთივე ტექნიკურ საშუალებად იხმარებოდა, როგორც შპონები თანამედროვე ბეჭდვის საქმეში: და მაუწყებელი იყო სტროფის დასრულებისა და ახალი სტროფის დაწყებისა. თუ გავითვალისწინებთ ძველი საწერი მასალის სიძვირეს (განსაკუთრებით ეტრატისას), გასაგები გახდება, თუ რატომ სწერდნენ ძველი გადამწერები სტროფებს მიყოლებით, გამოსარჩევე ინტერვალის გარეშე და, მართლაც, ძნელი ხდებოდა სტროფთა გამოყოფა (ეს კი ყოველმხრივ შეუშლიდა ხელს ტექსტის კითხვას, რადგან ახალი სტროფიდან მეტწილად ახალი რიტმი იწყებოდა და ახალი რითმული ერთეულები კრავდნენ სტრიქონს). სავარაუდოა, რომ დღევანდელი შპონების მაგივრობას სწორედ და კავშირი სწევდა და მკითხველს მიანიშნებდა ახალი სტროფის დაწყებას⁵⁹. მაგრამ ამ მოსაზრებას ერთგვარად ეჭვის ქვეშ აყენებს ის გარემოება, რომ შპონების მაგივრობას ამ ხანებში სწევდა სინგურის ხმარების წესი. ყოველი სტროფის დასაწყისი ძველ ხელნაწერებში სინგურით იყო შესრულებული, თუმცა ეს მოვლენა უფრო ახალი უნდა იყოს.

ეს აზრთა სხვადასხვაობა კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ძველ ხელნაწერებში ტრადიციულად წარმოდგენილი და კავშირი ჭერ კიდევ საიდუმლოებით არის მოსილი და მისი ხელალებით უარყოფა არ უნდა იყოს მეცნიერულად გამართლებული. ხოლო მწერალთა კომისიის მიერ მისი უგულებელყოფა, როგორც ზემოთ მოტანილი განცხადებიდან ჩანს, უფრო მეტად ეყრდნობოდა ვეფხისტყაოსნის ზოგიერთი ხელნაწერის გრაფიკულ თავისებურებას. მართლაც, ხელნაწერთა ერთ ჯგუფში არ არის მეოთხე სტრიქონის წინ და კავშირი, მაგრამ ამჟამად გარკვეულია, რომ ეს არის ძალზე გვიანდელი მოვლე-

⁵⁷ ე. მეტრეველი, გ. ავალიშვილი, — ბიბლიოფილი და კოლექციონერი, კ. ეკელიძისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, 1959, გვ. 249. ავალიშვილის ეს წერილი შეცდომით მოთავსებული იყო აზიის და აფრიკის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების M-48 ხელნაწერში და არა K-5 ხელნაწერში, რომელიც გ. ავალიშვილის ხელით ნასწორებ ვეფხისტყაოსნის ტექსტს შეიცავს. ჩვენი მითითების შემდეგ იგი გადმოტანილ იქნა თავის ადგილზე.

⁵⁸ იხ. ზემოთ დასახელებული წერილი, გვ. 117.

⁵⁹ ასეთი მოსაზრება, სხვათა შორის, ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის სხდომაზე გამოთქვა აკად. გიორგი წერეთელმა და დასძინა, რომ ეტრატზე ეკონომიურად წერის მანერა შემდეგში ქალაღის ხმარების დროსაც გამოუყენებიათ (იხ. მაგ. ვეფხისტყაოსნის ახალიცხური ფრაგმენტი).

ნა. ცნობილი მწიგნობრისა და პოეტის დავით რექტორის გავლენით იგი ამოუღიათ ვეფხისტყაოსნის ე. წ. არტანუჯული ვარიანტის შემცველ ნუსხებში⁶⁰. ხოლო ამ ნუსხებზე დაყრდნობით (რადგან არ იყო გათვალისწინებული ამ ხელნაწერების საეპქო წარმომავლობა) კავშირი და ასევე მოუკვეთიათ 1888 წლის გამოცემის ტექსტიდანაც.

ხელნაწერთა მეცნიერული შესწავლის უგულვებელყოფის ნიშნულია აგრეთვე 1888 წლის გამოცემაში წარმოდგენილი პროლოგის რიგი. როგორც ვნახავთ, ჯერ კიდევ ვახტანგის გამოცემაში გარკვეულ წყაროთა გავლენით⁶¹ აღრეული იყო პროლოგის რიგი, ერთმანეთში იყო შერეული სტროფები, რომლებიც შაირობასა და მიჯნურობას ეხებიან. ამ ხარვეზს ასწორებენ შედარებით ძველი რედაქციების შემცველი ხელნაწერები, მაგრამ 1888 წლის კომისიამ, როგორც ჩანს, ვერ შენიშნა ეს პრინციპული სხვაობა და კვლავ 1712 წლის გამოცემის პროლოგისეული რიგი მიიღო ახალ გამოცემაში.

არამც თუ ტექსტის ისტორიის ზოგადი საკითხები ან ხელნაწერთა რედაქციული შესწავლა (თუნდაც ავთენტიკურობის თვალსაზრისით), არამედ ტექსტის დადგენისათვის სხვა აუცილებელი პირობებიც არ იყო შემზადებული. ძალზე მკაცრია, ოღონდ პრინციპულად სწორი, 1888 წლის კომისიის მუშაობის შესახებ ცნობილი რუსთველოლოგის ს. იორდანიშვილის შემდეგი განცხადება: „უნდა აღინიშნოს, რომ მე-19 საუკუნის მწერლებისა და ინტელიგენტების იმ წრემ, რომელმაც ქართულიშვილის გამოცემის „ვეფხისტყაოსნის“ დედანი დაამზადა. ვერ ჩაატარა ის დიდი კრიტიკული მუშაობა (როგორც ხელნაწერებზე, ისე ტექსტზე), რომელიც საჭირო იყო „ვეფხისტყაოსნის“ ნამდვილი ტექსტის აღდგენისათვის“⁶².

ამის ნათელსაყოფად, გარდა ზემოაღნიშნულისა, საკმარისია მოვიტანოთ რამდენიმე მაგალითი. კომისიის წევრთათვის არ იყო ნათელი ის ენობრივი სამყარო, რომლის წიაღშიც წარმოიშვა შოთა რუსთაველის პოემა: ეს ეხება როგორც პოემის ლექსიკას, ისე საერთოდ მე-12 საუკუნის სხვა ენობრივ მოვლენებს (მორფოლოგია, სინტაქსი), კლასიკური პერიოდის სტილს. მაგრამ ვიდრე არსებითად შევეხებოდეთ ამ საკითხს, მინდა წინასწარ შევნიშნო შემდეგი: რასაკვირველია, ჩვენ არ ვიქნებით სწორი, რომ მხოლოდ დღევანდელი პოზიციით განვიხილოთ და თანამედროვე მოთხოვნები წაუწყენოთ აღნიშნული დროის მოღვა-

⁶⁰ ვეფხისტყაოსნის არტანუჯული ვარიანტის წარმოშობის შესახებ იხ. აქვე სპეციალურ თავში.

⁶¹ იხ. აქვე, თავი „ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქციის“ შესახებ.

⁶² ს. იორდანიშვილი, ნაჩვენებები..., 1953, გვ. 79.

წით. მაგრამ მაინც, ვფიქრობთ, არ იქნება უსარგებლო, რათა აღვადგინოთ 1688 წლის კომისიის მუშაობის ობიექტური სურათი.

როგორც ცნობილია, ვეფხისტყაოსანი უმდიდრეს ლექსიკურ მარაგს შეიცავს, რომლის შესწავლისა და მართებული გაგების გარეშე გაძნელებულა ტექსტის დადგენის მაღალ ხარისხზე საუბარი. ყოველი ძეგლის სერიოზული გამოცემისას ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ესა თუ ის ძეგლი, კერძოდ, მისი ლექსიკა. შესწავლილი უნდა იქნას იმ ენობრივი სამყაროს გათვალისწინებით, რომელ ეპოქაშიც იგი ჩამოყალიბდა. სიტყვა ცოცხალი ორგანიზმია: იბადება, ვითარდება, იცვლის თავის შინაარსს, ზოგიც სრულიად გამოდის ხმარებიდან და ა. შ. ამდენად, მხოლოდ ისტორიული თვალსაზრისის მოშველიებაა ერთადერთი მართებული გზა, რათა დღევანდელი ვითარება არ მოვაჭვიოთ თავს გარდასული დროის შემოქმედების ნაყოფს. ამის გაუთვალისწინებლობა ხშირად დიდ უხერხულობას ბადებს, რაც, თავის მხრივ, ტექსტზე აშკარა ძალდატანებაში გამოიხატება. ამის ნიმუშად ერთი მაგალითიც კმარა თვით ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენის ისტორიიდან. როგორც ვეფხისტყაოსანში, ისე კლასიკური ხანის (და მის უწინარეს) ეპოქაში სიტყვა „მებრძოლი“ ნიშნავდა, არც მეტი არც ნაკლები, მოწინააღმდეგეს, მოპირდაპირეს, მეტოქეს (შდრ. „ვისრამიანი“: „შაჰინშა ეგრე მოახსენა: დედაო! ჩემი საქმე ესრე არის, ვითამცა ჩემი გული ჩემი მებრძოლი იყო...“ 128, 17“. „ყოველი ქვეყანა კრმალოსანი და ისროსანი ჩემი მებრძოლი იყოს... 143, 35)⁶³. მაგრამ შემდეგ თანდათან დაიკარგა ამ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა და დღეს მან უკვე იცვალა შინაარსი (თუ სულხან-საბა ამ სიტყვას ჯერ კიდევ ძველი მნიშვნელობით ვანმარტავდა: „მებრძოლი — ბრძოლის მოქმედი, მებრძოლი — მისი მოწინააღმდეგე, მეპირისპირე“. ქართულ განმარტებით ლექსიკონში უკვე დადასტურებულია მისი ახალი მნიშვნელობა: „მებრძოლი — ვინც იბრძვის (ან რაც) იბრძვის, მეომარი“. ხოლო აქედან „სამხედრო პირი, ჯარისკაცი“ და ა. შ.).

ამიტომ, ჯერ კიდევ ვეფხისტყაოსნის ზოგიერთი გადამწერისა და შემდეგ ტექსტის გამომცემელთა შორის გაუგებარი შეიქნა პოემის შემდეგი ადგილი, რომელიც აგვიწერს ტარიელის მიერ დამარცხებული ხატაეთის დალაშქრას:

„გავგზავნენ ყოვლნით ლაშქარნი, ალაფი ავალებინე,
ერთობ საესენი მოვიდეს, თავი ავალალებინე,

⁶³ ვისრამიანი, აღ. გვახარიასა და მ. თოდუას რედაქციით, 1962.

სისხლთა მებრძოლთა ჩემთასა მინდორი შეეაღებინე,
არ ვპაჰოლე, კარი ქალაქთა უოჰრად გავადებინე“.

ზაზგასმული სტრიქონი სიტყვასიტყვით ნიშნავს, რომ ჩემი მეტოქეების, მოწინააღმდეგეთა სისხლს (სისხლებს) შევალებინე (გადავაწითლებინე) მინდორიო⁶⁴. მაგრამ თუ ამ სიტყვას („მებრძოლი“) ახალი მნიშვნელობით გავიგებთ, მაშინ, მართლაც, ვაწყდებით შეუპაბამობას: ტარიელი ამბობს, ჩემი მეომრების, ჯარისკაცების სისხლს მოვარწყვევინე მინდორიო. როგორც ჩანს, სწორედ ამის გამო აღრევე დაუწყიათ ამ სტრიქონის სწორება და როგორც ხელნაწერებში, ისე გამოცემებში ამ სტრიქონს უამრავი ნაირკითხვაობა გაუჩნდა. მაგალითად, ზოგიერთ ხელნაწერზე (ლიტერატურის ინსტიტუტის ლიტერით ხელნაწერები DHUV და სხვ.) დაყრდნობით ვახტანგისეული გამოცემა გვთავაზობს ასეთ წაკითხვას:

„სისხლსა მძებნელთა ჩემთასა მინდორი შევალებინე“ (სტრ. უმთ). ასეთსავე წაკითხვას (მცირეოდენი ცვლილებებით) იმეორებენ მომდევნო გამოცემებიც, მაგალითად, ბროსე-ჩუბინაშვილ-ფალავანდიშვილისა (1841), ჩუბინაშვილისა (1860 წ.), ქართველიშვილისა (1888 წ.) და ა. შ. აღსანიშნავია, რომ იგვევ წაკითხვა გაიმეორა 1953 წელს პავლე ინგოროყვამ და უარყო 1937 წლის საუბილეო გამოცემის წაკითხვა, რომელიც ითვალისწინებდა როგორც სიტყვა „მებრძოლის“ ძველ მნიშვნელობას, ისე ხელნაწერთა უმრავლესობის ჩვენებას⁶⁵.

აღნიშნული შემთხვევა თავისთავად მიგვანიშნებს, თუ რაოდენი სიფრთხილეა საჭირო და რამდენად შრომატევადი, წინასწარი სახის სამუშაოებია ჩასატარებელი, რათა მეცნიერული სიზუსტით გავერკვეთ ვეფხისტყაოსნის (და საერთოდ ძველი თხზულებების) ტექსტოლოგიურ საკითხებში. გასაგები მიზეზების გამო 1888 წლის გამოცემის მესვეურთ ამგვარი წინასწარი სამუშაოების ჩატარების დრო, პირობები და საშუალებანი არ გააჩნდათ და, საერთოდ, ცნობილია ისიც, რომ ფილოლოგიური მეცნიერების დონეც ამ ხანებში, ე. ი. მე-19 საუკუნის მიწურულისათვის, საქართველოში შედარებით დაბალი იყო. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ, როგორც მართებულად შენიშნავს ივანე ჯავახიშვილი, „ასეთი ძნელი და პასუხსავეები მუშაობა პეტერბურგისა და მოსკოვის უმაღლეს სასწავლებელთა პროფესორების მონაწილეობის მიუღებლივ და მათგან დამოუკიდებლივ სწარმოებდა. ის, რაც

⁶⁴ შტრ. ს. იორდანიშვილის თარგმანს: „Позволив им обогреть поле кровью борющихся против меня“. იხ. ვეფხისტყაოსნის რუსული ბუკარელი, 1966, გვ. 96.

⁶⁵ ამასთან დაკავშირებით იხ. მ. გიგინეიშვილის რეცენზია პ. ინგოროყვას გამოცემაზე, ვახ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1954, 8 ივლისის ნომერი. აგრეთვე ალ. ბარამიძის წერილი „ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემა“, ლიტ. ძიებანი, IX, გვ. 468—469.

ამ მეცნიერთა მოვალეობას შეადგენდა, უნებლიედ, ადგილობრივ მუშაკთ უნდა გაეკეთებინათ“⁶⁶.

პუნებრივია, რომ ყოველივე ამან თავისი დალი დაასვა 1888 წლის გამოცემას. სანიმუშოდ მოვიტანთ კომისიის მუშაობიდან რამდენიმე მაგალითს. ერთ-ერთ პირველ სხდომაზე, სხვათა შორის, მსჯელობა ყოფილა პოემის 37-ე სტროფზე (1957 წ. გამოც.) და ვახტანგისეული გამოცემის წაკითხვა: „მისივე (ვარდის) მეტობს ყოველსა ს უ ლ ი და ტურფა ფერობა“, შუენწორებით ასე: „მისივე მეტობს ყოველთა ს უ ნ ი და ტურფა ფერობა“⁶⁷. როგორც ჩანს, კომისიამ არ გაითვალისწინა, რომ ძველ ქართულში ჯერ კიდევ არ იყო გარჩეული „სული“ (ადამიანის სულ. ДУША, ДУХ) და „სუნი“ (ვარდის სუნი, ЗУНА) და ორივე შინაარსი ერთი სიტყვით „სულით გამოიხატებოდა. მაგალით., „შორს ჯეცა ს უ ლ ი სურნელი მის წალკოტისაგან გამომავალი“ (ამირან-დარეჯანიანი, „ჩვენი საუნჯის“ გამოცემა, გვ. 368,19)⁶⁸; „განტვა იგი, და გამოკდა მისგან სული სულნელებისა...“ (ქა. და ცხ. წმ. დომ. 94,4, ქართ. ენის ისტ. ქრ.); „აიღე მუშკი, ამბარი, ქაფური, ზაფრანი და ვაშლის ქერქი და სანდალი ცეცხლშიგან ჩაყარე და მისი ს უ ლ ი ისუნოს (უსწორო კარაბადინი, 191,34) და ა. შ. როგორც ვხედავთ, დღევანდელი „სუნის“ მნიშვნელობით ყველგან გვაქვს სიტყვა „სული“, რაც გამოხატავს ძველ ვითარებას. ამდენად, ვეფხისტყაოსანშიც ამ ადგილას უნდა იკითხებოდეს სწორედ ასევე: „ს უ ლ ი და ტურფა ფერობა“. რაც განხორციელებულია კიდევ მომდევნო გამოცემებში⁶⁹.

ასევე ძველ და საშუალო ქართულში ცნობილი იყო სიტყვა „ქენება“, რაც შეხვეწნა, თხოვნას ნიშნავს (შდრ. „... და მან მრქუა მე ქ ე ნ ე ბ ი თ“—იხ. „შუშანიკის წამება“, ილ. აბულაძის გამოც. გვ. 40,5; „...ძალი ძლიერი ცოდვილი შეიწყალა და მართალსა ქ ე ნ ე ბ ი თ ეტყვის...“ იოანე ბოლნელის ქადაგებანი, 42,1, მ. ჯანაშვი. გამოც., „...სიტყუა-ტბილობითა მათითა და ქ ე ნ ე ბ ი თ ა გარდააქცინიან გულნი და გონებანი უმანკოთანი...“ სინური მრავალთავი, 48, 13, ა. შანიძის გამოც.). ამასვე ნიშნავს იგი ვეფხისტყაოსნის 206-ე სტროფში

⁶⁶ ი. ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, 1965, გვ. 8.

⁶⁷ გაზ. „დროება“. 1881, № 31.

⁶⁸ პარალელების ჩვენების დროს ძველი ქართული წყაროებიდან მეტწილ შემთხვევაში ვეყრდნობი ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის უმდიდრეს კარტოთე ას.

⁶⁹ აღსანიშნავია, რომ 1888 წლის საბოლოო რედაქტირებისას ივ. მაჩაბელმა კვლავ აღადგინა მართებული ფორმა „სული“.

(1957 წ. გამოცემით), სადაც ავთანდილს მონადირე ძმები მოუთხრობენ უცხო მოყმესთან შეხვედრის ამბავს:

„მე უხუცესმან უმცროსთა კაცი დავსთხოვე ქე ნ ე ბ ი თ“.

რაც ნიშნავს: მე უფროსმა (უხუცესმა) ხვეწნით (თხოვნით) ის კაცი (იგულისხმება ტარიელი) გამოვსთხოვე ჩემთვის (ცხენის წასართმევეად, დასასჯელად). 1888 წლის გამოცემის მესვეურთათვის, როგორც ჩანს, უცნობი ყოფილა ეს სიტყვა და ამავე სტროფის პირველი სტრიქონი ასე შეუცვლიათ: „მე უხუცესმან უცროსთა კაცი დავსთხოვე ქე ნ ე ბ ი თ“, სადაც „ქე“ ნაწილაკი სრულიად გაუგებარი ხდება („მე უფროსმა უმცროსთ ნებით ვთხოვე ის კაციო“, სადაც „ქე“ კიდევ უფრო აბუნდოვანებს მთელ ფრაზას).

ზოგჯერ ყურადღება არ მიქცევია სიტყვის დაწერილობასაც. მაგალითად, ძველად, როგორც ჩანს, რუსთაველის ეპოქაში და კარგა ხანს შემდეგაც ვარსკვლავთა გარკვეულ ჯგუფს ეწოდებოდა არა „ხომლი“ („ხვამლი“) არამედ „ხომი“ (შდრ. „რომელმან შექმნა კომნი და მწუხრის ვარსკულავი...“ ბიბლ. იობი, 9,9, იხ. ა. შანიძის გამოც.: „მოაკლდეს ყამი კომთა სრბისაჲ და წარმოჩინებჲაჲ გმირისაჲ... იხ. მამ. სწ. ილ. აბულაძის გამოც. 123, 31; „...განათლდა არე მისით, ვით მთვარე, რომს განკმულ იყოს ტანი კომითა“. იხ. აბდულმესია, ივ. ლოლაშვილის რედაქც. სტრ. 18, 2). 1888 წლის გამოცემაში კი ამ სიტყვას ახალი ფორმით („ხომლი“) ვკითხულობთ:

„მზე მნათობთაჲ დაქვარავს, არცაღა ნათლად ხომლნია“

ამ სიტყვის ასეთი დაწერილობა, სხვათა შორის, მომდინარეობს ბროსე-ჩუბინაშვილ-ფალავანდიშვილის 1841 წლის გამოცემიდან და მას ვეფხისტყაოსნის ძველი ხელნაწერები არ იცნობენ. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ სტროფში სარიტმო ერთეულია „ომნია“ („მიუწყეთომნია“, „მისანდომნია“, „ომნია“) და 1888 წლის გამომცემელთ რითმის დარღვევაც გამორჩენიათ მხედველობიდან⁷⁰. აქვე შევნიშნავ, რომ ასევე ახალი ფორმით არის წარმოდგენილი სიტყვა „ნაღვლის“ დაწერილობა, ე. ი. გამოცემაში ყველგან გვხვდება ბგერათა გადასმის (მეტათეზის) შედეგად მიღებული ფორმა „ნაღველი“ (იხ. სტრ. 631, 2; 863,1; 1293,2; 1567,4 1957 წლის გამოცემის მიხედვით)⁷¹.

⁷⁰ 1988 წლის გამოცემაში სხვა ადგილას ეს სიტყვა სწორადაა წარმოდგენილი (იხ. 1957 წლის გამოცემის 1139-ე სტროფი).

⁷¹ შდრ. აგრეთვე სიტყვების „აშოსელა“ — „აშოსელა“, „მოკელა“ — „მოკელა“ და ამ ტიპის სიტყვათა დაწერილობა 1389 წლის გამოცემაში. ირკვევა, რომ მეტწილად ახალი ფორმებითაა ისინი წარმოდგენილი.

პომის პროლოგში არის ერთი ძალზე საინტერესო ადგილი: პოეტი მიჯნურობის სახეებს ჩამოთვლის და ეხება აგრეთვე მიწიერ და ქალის სილაღაზით აღტაცებულ სიყვარულს: „კვლა ზოგთა ქვე უც ბუნება კეკლუტთა ზედა ფრფენითა“ (22). როგორც ჩანს, და ეს მოსალოდნელიც იყო, გაუგებრობას იწვევდა ხაზგასმული სიტყვა. მართლაც, რას უნდა ნიშნავდეს ფრფენა? ჩვეულებრივ, უკვე გადამწერთა შორის დაუწყიათ ამ სიტყვის გააზრიანება. მაგალითად, ერთ-ერთ უძველეს თარიღიან ხელნაწერში H—599 (გადაწ. 1646 წ.) ეს ადგილი ასეა წარმოდგენილი: „კვლა ზოგთა ქვე უც ბუნება კეკლუტთა წალმა ფრენითა“. დაახლოებით ასევეა უფრო მოგვიანო ხელნაწერებშიც, როგორცაა პარიზული ნუსხა (გადაწ. 1702 წ.)⁷². აღსანიშნავია, რომ მე-17 საუკუნის სხვა ნუსხაში ეს ადგილი კიდევ უფრო გაუმარტივებიათ: „კვლა ზოგთა ქვე უც ბუნება კეკლუტთა ზედარბენითა“ (იხ. ხელნაწერი S—4988). ამ ცთუნებას (რაც გამოიხატება სწრაფვაში ბუნდოვანი, გაუგებარი ადგილის გამარტივებისაკენ) ვერც 1712 წლის გამოცემა ასცდენია. აქ, მართლაც, ვკითხულობთ: „კულავ ზოგთა ქვე უც ბუნება კეკლუტთა ზედან ფრენითა“ (კთ). მაგრამ გამოირკვა უფრო საგულისხმო რამ. ვახტანგი თვითონ სხვა წაკითხვას უჭერდა მხარს; ყოველ შემთხვევაში ირკვევა, რომ ნუსხაში, რომელსაც იგი კომენტარს უწერდა ამ სიტყვის მართებული ფორმა უნდა ყოფილიყო დაცული: „ზოგთ ქვე აქვთ ქორციელთ საქმეზე გუნება — ვკითხულობთ კომენტარში — რომე კეკლუცი ლამაზს ჰქვიან და რაგინდარას ლამაზს მოინდომებს და იმას შეჰფრფინავს“ (გვ. ტა).

ვახტანგი რომ სწორად კითხულობდა ამ ადგილს, ამას ძველი ქართული ძეგლების მონაცემებიც ადასტურებენ. სიტყვა „ფრფენა“ ან მისგან ნაწარმოები ფორმები „ფრფინვა“, „შეფრფინება“ და სხვ. საკმაოდ გავრცელებული ყოფილა როგორც აღორძინების, ისე უფრო ძველი დროის ძეგლებშიც. მაგალითად, მე-16 საუკუნის მიწურულის ძეგლში, რომელიც ვეფხისტყაოსნის თავისებურ გაგრძელებას წარმოადგენს, ვკითხულობთ: „აქ დაეჭდები, კაცი დგა მრავლად ფრფენითა...“ (ომიან. 258, 3); თეიმურაზ I თავის შამი-ფარავანიანში იყენებს ამ სიტყვას: „ჭირსა სჰამს, თავსა ევლება მსსვე გარშემო ფრფენითა“

⁷² იხ. აგრეთვე მე-18 საუკ. გადაწერილი ხელნაწერი H—3051. სადაც დასტურდება აგრეთვე წაკითხვა: „ფრენა“, მაგრამ, როგორც გამოიარკევთ, ამ ხელნაწერის პირველი პლასტა და, კერძოდ, ეს ადგილი ვახტანგისეული გამოცემიდან მომდინარეობს. იხ. ამ ხელნაწერის დახასიათება ნაშრომის მეორე ტომში, რომელიც ახლო მომავალში დაიბეჭდება.

(შ. ფარვ. 46, 4. იხ. აგრეთვე თეიმურაზის პოემა „ქეთევან დედოფლის წამება“, სტრ. 2, 3: ფ რ ფ ი ნ ვ ა ვისცა აქვს შვებითა...“). სულხან-საბა, ჩვენ ამას ქვემოთ ვნახავთ, კარგად იცნობს ამ სიტყვას და ლექსიკონშიც მის რამდენიმე ფორმას განმარტავს, მაგრამ ეგვევ სიტყვა მას „ქილილა და დამანას“ მისეულ რედაქციაშიც გამოუყენებია:

ვალობის თქმითა მთანი გარდავლე,
იყო სულისა მეძიებულად
მგზავრი ათასი გზითა გელიან,
არიან შენდა ფრფინეთ მქებულად (საბა, II², 133, 29).

რომ არ ვიფიქროთ, იქნებ აღორძინების ხანის მწერლები ასეთ დროს თვითონ არიან დავალებული რუსთაველისაგანო (რიგ შემთხვევაში ეს არც არის გამორიცხული), საჭიროა მივმართოთ უფრო ძველი პერიოდის ძეგლებს, რათა ამ სიტყვის სიძველეც დადასტურდეს. ამ თვალსაზრისით საინტერესო აღმოჩნდა სასულიერო შინაარსის კრებულები, რომელიც პროფ. ილია აბულაძემ გამოსცა „მამათა სწავლანის“ სახელწოდებით⁷³. ძველი გამოცემულია X—XI საუკუნის ნუსხების მიხედვით და, როგორც გამოირკვა, ამ ძეგლში გვაქვს ერთი შემთხვევა ჩვენთვის საინტერესო სიტყვის ხმარებისა: „...უყუეთუ ბერწ არნ და არა შვის დედაკაცმან შვილი, მწუხარე არიედ ყოველნი, და უყუეთუ შვის, ჰფრფინეიედ მას“⁷⁴.

ყოველივე ამის შემდეგ ნათელი ხდება, რომ ეს სიტყვა ძველთაგანვეა ხმარებული და ნიშნავს სიხარულის გამოხატვას, აღტაცებას ან თუ სიხარულს რაიმეს გამო. ასე ესმოდა იგი საბას: „ფრფინვა — გუნებით შეხარული“, „შეფრფინვა — გუნებით შეხარული“. ასევეა იგი გაგებული დღევანდელი ლექსიკოგრაფების მიერ (იხ. ვეფხისტყაოსანზე დართული ა. შანიძისა და იუსტ. აბულაძის ლექსიკონები) და ასეთი გაგება სრულიად შეეფერება ვეფხისტყაოსნის სათანადო ადგილობებს. სადაც კი ეს სიტყვა გვხვდება (იხ. 22, 4, 1063, 2, 1010, 4, 1075 სტროფები 1957 წ. გამოცემის მიხედვით).

მაგრამ, როგორც ვნახეთ, ვეფხისტყაოსნის ზემოაღნიშნული ხელნაწერებისა თუ ვახტანგისეულ გამოცემაში დადასტურებული არასწორი წაკითხვის („ფრენითა“) გავლენით, 1888 წლის გამოცემაში მიუღიანათ სწორედ დამახინჯებული ფორმა, რაც გარკვეულად მიუთითებს ტექსტისადმი არასაკმარისად კრიტიკულ მიდგომაზე.

⁷³ „მამათა სწავლანი“, ა. შანიძის რედაქციით გამოსცა ილ. აბულაძემ, 1955 წ.

⁷⁴ იქვე, გვ. 116, 11, მეორე B ნუსხაში, რომლის ვადაწეწი ჰქონდა ხელთ ტექსტის გამომცემელს, სიტყვა „ჰფრფინეიედ“ შეცვლილია სიტყვით „ჰფუფუნებოდ“.

ერთი მაგალითიც: ებიზოდში, რომელიც გადმოგვცემს ავთანდილის გულანშაროში მისვლის ამბავს, არის ერთი სტროფი, სადაც მესამე სტრიქონში ვკითხულობთ:

„მოასხეს კაცნი მზიადენი, დამზადებულნი დრამითა“ (1062) ასეა წარმოდგენილი ეს სტრიქონი 1888 წლის გამოცემაში. თავი რომ ვანებოთ ამჯერად გრამატიკულად გაუმართავ შეთანხმებას „მოასხეს კაცნი“, სრულიად გაუგებარია შესიტყვება „დამზადებულნი დრამითა“. აღსანიშნავია, რომ ხელნაწერთა გარკვეული ჯგუფი და მათ შორის ის ხელნაწერებიც, რომლებიც ხელთ ჰქონდა 1888 წლის კომისიას, იძლევა სხვაგვარ წაკითხვას: „დამიზღებულნი დრამითა“. აქ „დამიზღებულნი“ ნაწარმოებია სიტყვისაგან „მიზღი“, რაც საკმაოდ გავრცელებული სიტყვაა ძველ ქართულში⁷⁵. ამ სიტყვას კარგად იცნობს სულხან-საბა და ლექსიკონში განმარტავს კიდევ: „მიზღი — ასაღები რამ სარგო, ქირა“. ხოლო აქედან „დამიზღებულნი“ ე. ი. დაქირავებული, რაც ზუსტად შეეფერება კიდევ საანალიზო სტრიქონის შინაარსს (ავთანდილის ხელმძღვანელობით ვაჭრებმა მოიყვანეს დრამით ე. ი. ფულით დაქირავებული მზიდავებით), ამ შემთხვევაშიც 1888 წლის გამოცემის მესვეურებმა გაიმეორეს წინა გამოცემის შეცდომა: არ გაუწიეს ანგარიში ხელნაწერთა სწორ წაკითხვას და არ შეამოწმეს სიტყვა „მიზღის“ მნიშვნელობა ძველ წყაროებში.

ქართული ენის (ამ შემთხვევაში საუბარია ძველსა და საშუალო ქართულზე) გრამატიკულ თავისებურებათა გაუთვალისწინებლობის გამო 1888 წლის გამოცემებში შეინიშნება მთელი რიგი უზუსტობანი. მორფოლოგიური რიგის უთანასწორობათაგან აღსანიშნავია სუბიექტობიექტთან ზმნის რიცხვში შეთანხმების დარღვევა. მაგ., „თვალთა ხელნი უკუ-ივლო, ცხელნი ცრემლნი მოიწურნა, ხმალ-კაპარჭნი მოიმაგრა, მკლავნი გაიმამაცურნა“ (93, 1—2). ზმნები უკუ ი ვ ლ ო და მო ი მ ა გ რ ა მხოლოდით რიცხვში დასმულ ობიექტს გულისხმობს. ე. ი. უნდა გვქონოდ: „თვალთა ხელი უკუივლო, ... ხმალ-კაპარჭი მოიმაგრა“; ასევე „დიდხან შუქი არ დაჰყარნა“-ს ნაცვლად უნდა ყოფილიყო: „დიდხან შუქნი არ დაჰყარნა“ (308, 2); 1888 წლის გამოცემაში ვკითხულობთ: „მისგან (საუბარია ავთანდილზე — ს. ც.) ნაკრავი გვინახავნ მხეცნი ვერ წაღმა წარებით“. აქ არც შეთანხმებაა დაკრული და არც ზმნის მრავლობითი ფორმაა სათანადოდ წარმოდგენილი. უნდა ყოფილიყო: „მისგან ნაკრავნი გვინახავნ მხეცნი ვერ წაღმა წარებით“

⁷⁵ ამ სიტყვისათვის პირველად ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენასთან დაკავშირებით ყურადღება მიუქცევია ილ. აბულაძეს თვით ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა სათანადო ჩვენების მიხედვით, რაზეც ცნობას გვაწვდის პროფ. იუსტ. აბულაძე, იხ. მისი რუსთველოლოგიური ნაშრომები, ი. მეგრელიძის რედაქც., 1967, გვ. 268.

(80, 4); ასევე არა „ზრდანი ჩემნი მოიგონე“, არამედ „ზრდანი ჩემნი მოიგონენ“ (159,4) და ა. შ.

როგორც ცნობილია, ძველსა და საშუალო ქართულში (ყოველ შემთხვევაში, კლასიკურ ხანაში მაინც) აშკარად გამოხატული იყო კიდევ ერთი თავისებურება: მიცემით ბრუნვაში დასმული სახელი ზმნას რიცხვში ვერ ითანხმებს. მაგ., მას მოუკლავს ნადირი და მათ მოუკლავს ნადირი, როგორც ჩანს, ძველი ქართულის ამ თავისებურებას იმ ხანებში კარგად არ იცნობდნენ და მთელი ტექსტის მანძილზე ხშირია მისი დარღვევის შემთხვევები: მაგალითად, „კვალი სძებნეს და უკვირდათ ვერ პოვნა ნაკვალევისა“, უნდა ყოფილიყო: „კვალი ძებნეს და უკვირდა ვერ პოვნა ნაკვალევისა“ (98, 1); „ნახეს და ნახვა მოუნდათ“, უნდა ყოფილიყო: „ნახეს და ნახვა მოუნდა“ (85,4); „ლაშქარნი მკვდართა სტიროდეს, სწრაფა აქვთ წყლულთა ხვევისა“, უნდა ყოფილიყო: „ლაშქარნი მკვდართა სტიროდეს, სწრაფა აქვს წყლულთა ხვევისა“ (98,4) და ა. შ.

ძველი ქართული ენის სინტაქსურ მოვლენათაგან იმ ხანებში, როცა მიმდინარეობდა მუშაობა 1888 წ. გამოცემაზე, ბევრი რამ ჯერ კიდევ არ იყო გარკვეული. ბუნებრივია, რომ ამანაც თავისი უარყოფითი როლი ითამაშა პოემის ტექსტის გამართვის საქმეში. ავიღოთ თუნდაც ძველი ქართული ენისათვის ისეთი დამახასიათებელი კონსტრუქცია, როგორცაა მცა ნაწილაკის ხმარების თავისებურებანი. როგორც ცნობილია, აღნიშნულ კონსტრუქციას პირველთაგანმა ყურადღება მიაქცია და სპეციალური წერილი მიუძღვნა 1918 წელს მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა მეცნიერმა აკაკი შანიძემ. ძველ ქართულ იგულთა ენაზე დაკვირვებით (სათანადო მაგალითებიც იყო მოტანილი) მკვლევარი ასკვნის: „რთული -მცა ნაწილაკი ძველ ქართულში შეიძლება დაერთოს სახელსაც, სახელის ნაცვალსაც, ზმნასაც, ზმნიზედასაც, კავშირსაც. მაგრამ, რა გინდ მეტყველების ნაწილსაც დაერთოს, სულ ერთია, იმავე წინადადებაში ნატვრით კილოს ველარ იხმართ, არამედ ყოველთვის თხრობითი უნდა იყოს, ზოგი კავშირი (მაგალ., რაჯთა) ჩვეულებრივ ნატვრითს მოითხოვს, მაგრამ თუ -მცა ნაწილსაც მიაშველებთ (მაგალ. რაჯთამცა), მაშინვე ზმნის ნატვრითი კილო თხრობითად უნდა მოაქციოთ ან აწმყოში, ან სრულ ნამყოში, იმისდა მიხედვით, თუ რომლის ნატვრითი კილოა ჩვეულებრივ უამ-მცა ნაწილაკოდ, მოსალოდნელი“⁷⁶. აქვე იყო აღნიშნული ისიც, რომ ეს კონსტრუქცია დიდ-

⁷⁶ ეურნ. „პრომეთე“, 1918, № 1, გვ. 79—80. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე წლით ადრე ვეფხისტყაოსნის 1914 წ. გამოცემაში იუსტ. აბულაძემ უკვე გაასწორა ამ ხასიათის დამახინჯებანი პოემის ტექსტში (მაგ. სტროფები 20, 27, 1305, 1501, 755, 75, 513 და

ზანს გადმოჰყვა ძველ ქართულს, თითქმის მე-17 საუკუნემდეც კი. ეგვე მოსაზრება პროფ. ა. შანიძემ გამოთქვა თავის მიმოხილვაში: „ძველი ქართული ენა“: „ძველ ქართულში „-მცა“ ნაწილაკის ხმარებას ის თავისებურება ახლავს, რომ იგი კავშირებით კილოს ვერ ეგუება. ყოველთვის, როცა კავშირებითი კილოს ფორმაა წინადადებაში მოსალოდნელი, იგი აუცილებლად თხრობითად უნდა გადაკეთდეს, თუ კი სადმე მცა ნაწილაკი გაერია...“⁷⁷, აქვე მოტანილია სათანადო ნიმუშებიც.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ნათელი უნდა იყოს, რომ 1888 წლის გამოცემაში არც იყო მოსალოდნელი, რომ ანგარიში გასწეოდა ძველი და საშუალო ქართულის ამ თავისებურებას, რომელიც აგრერიგად იყო დამახასიათებელი ვეფხისტყაოსნის ენისათვის. უფრო მეტიც, არამც თუ 1888 წელს, არამედ შემდეგაც, როცა გამოჩენილმა ფილოლოგმა ნ. მარმა 1910 წელს გამოსცა ვეფხისტყაოსნის პროლოგ-ეპილოგი, ძალზე თავისებურად გადაწყვიტა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ამ კონსტრუქციასთან დაკავშირებული საკითხები და პოემის ტექსტის დადგენის დროს თავი აარიდა კიდევ მისი ფუნქციის გამოვლენას.

მართლაც, ამ თვალსაზრისით რომ გადავხედოთ 1888 წლის ტექსტს და შევუდაროთ იგი მე-17 საუკუნის ხელნაწერებს, არასახარბიელო სურათი წარმოგვიდგება. თუ ამ ხელნაწერებში ჭერ კიდევ საკმაოდ ზრის შემორჩენილი ამ კონსტრუქციის სწორი ფორმები, 1888 წლის გამოცემაში (და ამაში ნაწილობრივ მის წინამორბედ გამოცემებსაც მიუძღვით წილი) თითქმის ყველგან (გარდა სარიტომო ერთეულებად მოხედრილი ზმნებისა) ტექსტი გასწორებულია ახალი ქართული ენის ნორმების მიხედვით. მოვიტან მხოლოდ რამდენიმე მაგალითს. 1888 წლის გამოცემაში ვკითხულობთ: „ვინცა ეცდების, თმობამცა ჰქონდეს მრავალთა წყენათა“, უნდა იყოს: „ვინცა ეცდების, თმობამცა ჰქონდა მრავალთა წყენათა“ — სტრ. 20, 4; ასევეა ხაზგასმული სიტყვა ხელნაწერთა დიდ უმრავლესობაში. 1888 წლის გამოცემა: „თავის-წინა იგონებდეს, ნიადაგმცა ჰქონდეს ხალვა“, უნდა იყოს: „თავის-წინა იგონებდეს, ნიადაგმცა ჰქონდა ხალვა“ — სტრ. 27, 2; ასევეა ხაზგასმული სიტყვა ხელნაწერთა დიდ უმრავლესობაში. 1888 წლის გამოცემა: „მას პატრონ-ყმანი გაუხდეს, ჰკრეტადმცა სჯობ-

სხვ. სტროფები მოითხოვულია 1957 წ. გამოც. მიხედვით), რაზეც იხ. მისი წერილი „ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენის ვითარება ვახტანგის რედაქციასთან დაკავშირებით“: ი უ ს ტ. ა ბ უ ლ ა ძ ე, რუსთაველოლოგიური შრომები, ი. მეგრელიძის რედაქც. 1967, გვ. 259.

⁷⁷ იხ. ა. შანიძე, აღ. ბარამიძე, ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, 1934, გვ. 33.

დ ე ს რომელი“, უნდა იყოს: „მას პატრონ-ყმანი გაუხდეს, ჰკრეტად-მცა ს ჯ ო ბ დ ა რომელი“ — სტრ. 75, 3; ასევეა ხაზგასმული სიტყვა ხელნაწერთა დიდ უმრავლესობაში. 1888 წლის გამოცემა: „მათსამცა შვილსა სასიძოდ ჩვენთვის სხვა ს ჯ ო ბ დ ე ს რომელი“, უნდა იყოს: „მათსამცა შვილსა სასიძოდ ჩვენთვის სხვა ს ჯ ო ბ დ ა რომელი“—სტრ. 513. 2; ასევეა ხაზგასმული სიტყვა ხელნაწერთა დიდ უმრავლესობაში და ა. შ.

დასასრულ, ისიც უნდა ითქვას, რომ 1888 წლის გამოცემაში ძალზე თვალში საცემია ტექსტის ორთოგრაფიული მხარე (რომელიც თავის მხრით სათავეს გრამატიკული საკითხების დაუმუშავებლობიდან იღებს). მთელ ტექსტში სრულიად უადგილოდ არის ხმარებული მეორე პირის სუბიექტისა და მესამე პირის ობიექტის ნიშნები. ამ მხრივ 1893 წლის გამოცემა საცვებით იზიარებს მე-19 საუკუნის გამოცემათა (არა მარტო ვეფხისტყაოსნის) უსწორმასწორო ფორმებს, რაც, როგორც სამართლიანად არის აღნიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში, ანტონ კათალიკოზის გრამატიკის უშუალო ზეგავლენის ნაყოფი უნდა იყოს. მართებულად შენიშნავს აკად. ა. შანიძე, რომ ყველაზე უფრო დამახასიათებელია ანტონის ორთოგრაფიულ შეხედულებათა გატარება პრეფიქსული ჰაესადა სანის ხმარების წესების საკითხში, ანტონის აზრით, პრეფიქსულ ჰაეს ხმარება ყველგან იყო საჭირო ზმნაში, მაშინაც კი, როცა ზმნას უკვე ახლავს პრეფიქსული სანი (მაგ. ვჰრბი, აღჰსდეგ, ვჰპოვე, ვჰსთქუ და ა. შ.) „მოყვანილი მაგალითები საკმარისია იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ, თუ რა არევე-დარევეა შეუტანია ანტონის ღრამატიკის კანონების მოხმარებას ძველი ქართული ენის ძეგლებში. ანტონი ვერ ერკვეოდა ქართული ენის აგებულების საკითხებში. მას მცდარი წარმოდგენა ჰქონდა მის ძირითად თავისებურებათა შესახებ. ჰაე და სან პრეფიქსების რაობისათვის რომ ვერ მიუგნია მას, გაუვრცია მათი მოხმარება ყოველგვარი ზმნის ფორმაზე, სადაც კი არის საშუალება მათი გამოყენებისა“⁷⁸.

1888 წლის გამოცემაც ზუსტი ილუსტრაციაა ამ დებულებისა. აღნიშნული პრეფიქსები აქ სრულიად უადგილოდ, რაიმე მორფოლოგიურ-ფონეტიკური კანონების დაცვის გარეშეა ხმარებული. აქაც რამდენიმე მაგალითით უნდა დავკმაყოფილდეთ: „შეჰქმნა“ (1, 1), „გაჰხმეს“ (37, 2), „ჰხმდა“ (38, 3), „ჰქმნას“ (14, 3), „გაჰხსენით“ (54, 1), „ჩაჰვარდნილა“ (58, 1), „ჰქმნილა“ (58, 2), „სჯდა“ (84, 1), „დასთრო-

⁷⁸ ა. შ ა ნ ი ძ ე, ანტონ I-ის გაელენა სალიტერატურო ქართულზე, 1954, გვ. 50, 51. იხ. აგრეთვე მისივე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, თბ., 1920, § 58.

ვილა. დაქანასა“ (179, 1) და ა. შ. როგორც ვხედავთ, აქ თითქმის ყველა ტიპის ენობრივ ნორმათა დარღვევასთან გვაქვს საქმე: მხედველობაში არაა მიღებული არც ამ პრეფიქსების გრამატიკული ფუნქცია, არც ზმნათა გარდამავლობა, არც ძველთაგანვე მოქმედი ფონეტიკური კანონები და სხვ. მათი ცალ-ცალკე დახასიათება შორს წაგვიყვანდა, მაგრამ აქ მოტანილი მაგალითებიც ნათლად ადასტურებენ, რომ 1888 წლის გამოცემაზე აშკარა ზეგავლენა მოუხდენია ანტონ პირველის მიერ არასწორად შემუშავებულ გრამატიკულ ნორმებს⁷⁹.

1888 წლის გამოცემაზე ჩვენ შედარებით დაწვრილებით შევჩერდით იმიტომ, რომ ფაქტიურად ამ გამოცემით დასრულდა ვეფხისტყაოსნის ტექსტოლოგიური კვლევის ერთი დიდი მონაკვეთი, რომელიც ვახტანგის გამოცემიდან თითქმის საუკუნე ნახევარზე მეტს მოიცავს: ამ გამოცემის ტექსტოლოგიური ანალიზი ცხადპყოფს როგორც გარკვეულ მიღწევებს, ისე მის ძირითად ნაკლოვანებებს: ტექსტოლოგიური კვლევა ჩვენში ჯერ კიდევ ვერ იღგა იმ დონეზე, როგორც ამ ხანებში — ევროპასა და რუსეთში. ტექსტოლოგიური საკითხები არ სცილდებოდა უკვე მოძველებულ, ტექსტის კრიტიკის (ტექსტის გამოსაცემად მომზადების) ვიწრო ფარგლებს. სრულიად უცნობი იყო ტექსტის ისტორიის ყოველმხრივი შესწავლა, ხელნაწერთა გენეალოგიური სტემებისა და ღირსება-ნაკლოვანებათა ანალიზი, გამოსაცემი ტექსტის ენობრივი შესწავლა სათანადო პარალელების გათვალისწინებით და ა. შ.

ივანე ჯავახიშვილი თავის წერილში, რომელიც მან 1935 წელს გამოაქვეყნა შოთა რუსთაველის პირველი იუბილეს მოახლოებასთან დაკავშირებით, როგორც ზემოთ ითქვა, გულისტკივილს გამოთქვამდა ამის გამოც, რომ 1888 წლის გამოცემის მომზადებისას ვერ გაერთიანდნენ საქართველოში და მოსკოვ-პეტერბურგში უკვე საკმაოდ მოლონიერებული მეცნიერული ძალები. დიდი მეცნიერი ასე აფასებდა 1888 წლის გამოცემის უმთავრეს ღირსება-ნაკლოვანებებს: „შოთას პოემის ტექსტის აღდგენა ხელმეორედ მხოლოდ მე-19 ს. უკანასკნელ ათეულში სცადა ქართველ მწერალთა და ინტელიგენტთა წრემ ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, მანამდე კი ვახტანგის ტექსტი იყო გაბატონებული. დამახასიათებელია, რომ ასეთი ძნელი და პასუხსაგები მუშაობა პეტერბურგისა და მოსკოვის უმაღლეს სასწავლებელთა პროფესორებისა და მოსკოვის უმაღლეს სასწავლებელთა პროფესორების მონაწილეობის მიუღებლივ და მათგან დამოუკიდებლივ სწარმოებდა...“

⁷⁹ სამართლიანობა მოიხსენიებს ადენიშნით შექმნილი: თეთი კომისიის, როცა 1888 წლის გამოცემისათვის აღდგენა ტექსტს, საგანგებო მსჯელობა ამ ტიპის ორთოგრაფიულ საკითხებზე არც გაუმართავს და მეტი წილი პრეფიქსთა ანგარიხი ხმარებისა ამ გამოცემის საბოლოო რედაქტორს ივ. მაჩაბელს უნდა მიეჭროს. ამის შესახებ იხ. 1888 წლის

შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსნის ტექსტის აღდგენისათვის დიდი კრიტიკული მუშაობა იყო და არის ახლაც საჭირო, როგორც ხელნაწერებზე, ისე თვით ტექსტზეც. ამავე დროს აღმოსავლური, უმთავრესად ირანული მწერლობის საფუძვლიანი ცოდნაც არის აუცილებელი. ასეთი რთული და პასუხსაგები მუშაობისათვის შესაფერი თვისებები „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის აღმდგენელი კომისიის წევრთაგან არავის გააჩნდა, ამიტომ საკითხები იქ უფრო ზოგად ესთეტიკურ გრძნობათა და ლოგიკური მოსაზრებებით წყდებოდა...

ზემოთ აღნიშნულ გარემოებისდა მიუხედავად, ვეფხისტყაოსნის სარედაქციო კომისიის მუშაობას უშედევოდ არ ჩაუვლია. სხვაც რომ არ იყოს რა, ისიც უმნიშვნელო გარემოება არ არის, რომ ამ ძეგლის ტექსტს ზოგად ესთეტიკისა და ლოგიკური კავშირის თვალსაზრისითა და საზომით მიუღდნენ: წინათ ხომ ასეთი განხილვა არავის სერიოზულად ფიქრადაც არ მოსვლია⁸⁰.

გარდა ზემოთქმულისა, 1888 წლის გამოცემის ღირებებათაგან აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ გამოცემაში საკმაოდ ფაქიზად მიუღდგნენ პოემის შედგენილობის საკითხს და, ისევე როგორც ვახტანგთან, აქაც არ არის გადატვირთული ტექსტი გვიანდელი ჩანარებისაგან⁸¹ (თუმცა ზოგი ამჟამად რუსთაველური სტროფი დარჩა ძირითადი ტექსტის გარეთ. ამაზე დაწვრილებით იხ. შემდეგ, პოემის შედგენილობის საკითხებზე მსჯელობის დროს). მწერალთა კომისიის დიდი დამსახურება იყო ისიც, რომ ამ დროს პირველად თავი მოუყარეს პოემის ჭერ კიდევ აქა-იქ გადარჩენილ ნუსხებს, რაც შემდეგში გახდა საფუძველი ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა შეკრება-აღრიცხვისათვის.

დასასრულ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ გამოცემამ თავის დროზე განსაკუთრებული როლი ითამაშა ვეფხისტყაოსნის კიდევ უფრო

გამოცემის ბოლოსიტყვაობა და ივ. მაჩაბლას წერალი ი. მეუნარკიანაძე, სადაც ივ. მაჩაბელი ამ საკითხზეც ჩერდება: „წიგნი პირველი იანკრისათვის ვგონებ გამოვიდეს, ბევრი თავში ცემა უნდა: ხელააღი რედაქცია აქა-იქა ნაშენაა და ორთაჯერის პხრივ. შეგებრალევი. რომ ნახო იგი სტუქეაქანსა; სადა რა. როგორ უნდა იქნებოდეს: შეუქმნა თუ შექმნა, სდის თუ დის, სულ თქმა თუ სულ-თქმა და სხვა ამისთანა დაკიდარაბა...“ (იხ. სოლომონ ცაიშვილი, ლიტერატურული ნარკვევები, ტ. I, 1962, გვ. 13.).

⁸⁰ ივ. ჭავჭავაძის შვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, 1956, გვ. 8.

⁸¹ 1888 წლის გამოცემამ ვახტანგის ტექსტს დააკლო 16 სტროფი (1957 წლის გამოცემის სათვალავით ეს არის შემდეგი სტროფები: 191, 193, 222, 253, 259, 304, 305, 339, 380, 655, 777, 835, 968, 1043, 1275, 1302) და დაუმატა 5 სტროფი (152, 553, 586, 1514 და ვრცელი გამოცემის 169) ე. ი. სულ ამ გამოცემის ტექსტი შეიცავს 1576 სტროფს.

ფართო პოპულარიზაციისათვის, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლი იყო ამ ხანებში გაღვივებული დიდი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის საქმეში. ვეფხისტყაოსანი უდიდეს მოქმედ ძალად იქნა აღიარებული. რუსთაველის პოემა ნათელი გამოხატულება იყო ქართველთა ხალხის ძველი და თვითმყოფი კულტურისა. ასე ესმოდათ პოემის მნიშვნელობა ამ დიდი მოძრაობის მეთაურებს და ახალი გამოცემაც, მასზე გაწეული ღვაწლიც, ამ შეხედულების ნათელი დადასტურება იყო⁸².

მიუხედავად იმ დიდი აღტაცებისა, რომლითაც შეხვდა 1888 წლის გამოცემას პატრიოტულად განწყობილი ქართველი საზოგადოება, შემდეგ და შემდეგ სამეცნიერო წრეებში გამოითქვა კრიტიკული შენიშვნები ამ გამოცემის ზოგ ფილოლოგიურ ნაკლოვანებათა შესახებ. მაგალითად, 1895 წლის „ივერიაში“ მეცნიერი და ვეფხისტყაოსნის საკითხებით დიდად დაინტერესებული პირი ეპისკოპოსი კირიონი სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ 1888 წლის გამოცემას აკლდა კრიტიკული აპარატი: „იკისრა რა დიდი პასუხსაგები საქმე ქართველობის წინაშე, კომისიას თავისი, შეიძლება ასე ვთქვათ გასამართლებელი საბუთებიც უნდა გამოექვეყნებინა. ე. ი. ცარიელის ლიტონის სიტყვით კი არ უნდა ეუწყებინან საზოგადოებასათვის, რომ ესა და ეს ადგილი ავიჩიეთო, ესა და ეს ტაეპი გამოვტოვეთო და სხვ. კომისია ვალდებული იყო აღდგენილის ტექსტის ქვეშ ყველა ვარიანტები მოეყვანა, როგორც საზოგადოდ ამგვარ შემთხვევაში მიღებულია“⁸³.

ვეფხისტყაოსნის 1888 წლის გამოცემაში დაბეჭდილი ტექსტის მიმართ კიდევ უფრო კრიტიკული პოზიცია დაიჭირა ცნობილმა რუსთველოლოგმა ალექსანდრე სარაჯიშვილმა. მისი ვრცელი ნაშრომი — „ვეფხისტყაოსნის ყალბი ადგილები“ — 1895 წლიდან 1901 წლამდე იბეჭდებოდა ქურნალ „მოამბეში“. მკვლევრის კრიტიკა მეტწილად ეხებოდა ქართველიშვილის გამოცემის შედგენილობას (რაც, ჩემი აზრით, ამ გამოცემის შედარებით უფრო ძლიერი მხარე იყო), თუმცა ამასთან დაკავშირებით ტექსტის ცალკეული წაკითხვებიც იყო განხილული. ალ. სარაჯიშვილმა ასე ჩამოაყალიბა თავისი ნაშრომის მიზანდასახულობა: „მე მინდა ვცადო და გამოვაჩინო ზოგი იმგვარი ყალბი ხანა, რომელიც ვეფხისტყაოსნის ახალ გამოცემასაც შერჩა და მათი სიყალბის დასამტკიცებლად საბუთიც წარმოვადგინო“⁸⁴.

⁸² შტრ. ალ ბ ა რ ა მ ი ძ ე, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, 1966, გვ. 511—512; ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, ვეფხისტყაოსანი და საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწენი, 1967, გვ. 3.

⁸³ გაზ. „ივერია“, 1895, № 93, წერილი: „ახალი ვარიანტი ვეფხისტყაოსნისა,“ ხელს აწერს გ. სამაგლელოვი-ივერელი (ეპისკოპოსი კირიონი).

⁸⁴ ქურნ. „მოამბე“, 1895, № XI, გვ. 1.

რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში იმთავითვე იყო აღნიშნული, რომ ზოგ ღირსებასთან და მახვილგონივრულ დაკვირვებასთან ერთად, ალ. სარაჯიშვილის მიერ გაწეული შრომა სერიოზულ მეთოდოლოგიურ ხარვეზებს შეიცავდა. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 1910 წელს ვეფხისტყაოსნის პროლოგ-ეპილოგის კვლევასთან დაკავშირებით ნიკო მარი შეეხო ალ. სარაჯიშვილის ნაშრომს და საკმაოდ მკაცრად შეაფასა იგი: «Мы здесь совершенно не касаемся дальнейших частей обстоятельного труда А. И. Сараджишвили, посвященных самой поэме. И здесь (ლაპარაკია პროლოგზე — ს. ც.) немало правильных наблюдений, но в общем весь труд построен на почве ничем неограничиваемого субъективизма: выводы обосновываются путем таких предпосылок, как наличные у автора не проверенные представления об условиях жизни, понятиях и вкусах мало пока нам известного древне-грузинского общества»⁸⁵.

ბ. მარი სამართლიანად შენიშნავს ალ. სარაჯიშვილის ნაშრომის უმთავრეს მეთოდოლოგიურ ნაკლს — სუბიექტივიზმს. ამაში ჩვენ დავრწმუნდებით ნაშრომის თითქმის ყოველ ფურცელზე. როგორც ქვემოთ, ვეფხისტყაოსნის პროლოგზე სპეციალური მსჯელობის დროს ვნახავთ, ალ. სარაჯიშვილი ზოგადად არც ისე სექტიკურად უყურებდა პოემის წინასიტყვაობის რუსთველურობას, მაგრამ ზოგი მისი სტროფი აშკარა ჩანართად მიაჩნდა. საბუთი? საბუთი, მისი აზრით, ამ სტროფთა ლოგიკური თუ მხატვრული გაუმართაობა იყო. მოვიტანთ ერთ ამონაწერს, რომელიც ეხება პროლოგის ცნობილ სტროფს „მიბრძანეს მათად საქებრად... (5): „მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა...“. ვინ უბრძანა პოეტს? — კითხულობს მკვლევარი, — ნუთუ თვით თამარ მეფე უბრძანებდა რუსთველს ჩემი ლოყები და კბილები შეაქეო? დიდი თავხედურობა იქნებოდა მაგისტანა ბრძანება დედოფლის მხრით და არც შეჰფერის მის ხასიათს, მორცხესა და წყნარს, როგორც ისტორიისა და სხვა მის თანამედროვე პოეტების სიტყვით ვიცით. ეგრეც რომ ყოფილიყო, რუსთველი, პოეტური თავმოყვარეობით და სიამაყით, როგორ გამოაცხადებდა საქვეყნოდ, რომ მისი ქება ნაბრძანებია და იძულებულია და არა ნებაყოფლობითი და სხვ.»⁸⁶...

⁸⁵ ТР. книга XII, стр. III; შდრ. აგრეთვე მ. გიორგაძის (მ. ჯანაშვილის) წერილები გაზ. „ივერიაში“, 1899, № 3, № 46, № 47; გ. ი მ ე დ ა შ ვ ი ლ ი, „რუსთველოლოგია“, 1941, გვ. 78; ს. ი თ რ დ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ნარკვევები ქართ. ლიტერ. ისტორიიდან, 1953, გვ. 83; ა. გ ა წ ე რ ე ლ ი ა, ლიტერატურული ნარკვევები, 1948, გვ. 27—28, შ. ლ ლ ო ნ ტ ი, ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის სპეციფიკურობის პრობლემა, 1961, გვ. 15—17.

⁸⁶ ეურნ. „მოამბე“, ვეფხისტყაოსნის ყალბი აღგილები, 1895, № 11. გვ. 10.

დამახასიათებელია აგრეთვე ალ. სარაჯიშვილისთვის პოემის ამ აუ იმ ადგილის გამო იზოლირებული მსჯელობა, რასაც ხშირად აღნიშნავდა კიდეც ნ. მარი. მაგალითად, ალ. სარაჯიშვილის ზემოთ მოტანილ ციტატს უპირისპირდება მისი სიტყვები: «Ал. Сараджишвили отвергал возможность того, чтобы Шота взялся воспевать «брови», «ресницы», «глаза» и «зубы» царицы Тамары... На деле нет ни одного описания женского типа в Барсовой коже, в котором Руставский поэт упускал бы случай воспеть «брови», «ресницы» и другие подробности лица героинь» (Тр., XII, 1910, стр. IV).

გასაგებია, რომ ასეთ დროს მკვლევარი ხშირად არამც თუ ალადგენს საქმის ნამდვილ ვითარებას და სხვა პარალელური მასალების მოშველიებით წვდება პოეტურ სურათს, არამედ ტენდენციურად აუხეშებს მხატვრულ ქსოვილს და შემდეგ, ზემომოტანილი მაგალითის მსგავსად, „კრიტიკის“ ქარცეცხლში ატარებს მას, რათა დაამტკიცოს მისი სიყალბე. წინასწარ დაშვებულმა მოსაზრებამ, რომ ქართველიშვილისეულ გამოცემაში ბევრი სტროფი „ყალბისმქმნელის ნახელავია“, კვლევა ზღომრად კრიტიკული გზით წარმართა და, როგორც ცნობილია, ალ. სარაჯიშვილმა თითქმის ერთ ასეულზე მეტი სტროფი გვიანდელ ჩანართად გამოაცხადა. სუ ბ ი ე ქ ტ ი ვ ი ზ მ თ ა ნ ე რ თ ა დ ა ლ . ს ა რ ა ჯ ი შ ვ ი ლ ი ს ნ ა შ რ ო მ ს ა შ კ ა რ ა დ ე მ ი ნ ე ვ ა ქ ა რ თ უ ლ ი კ ლ ა ს ი კ უ რ ი პ ო ე ტ ი კ ი ს ს უ ს ტ ი ც ო დ ნ ა⁸⁷.

ალ. სარაჯიშვილის მუშაობის ნათელსაყოფად შეიძლებოდა მსგავსი მაგალითების უხვად მოტანა, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი ზედმეტად ვცანით. რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში კარგად არის ცნობილი სარაჯიშვილის ნაშრომთა მეთოდოლოგიური სისუსტე. ნ. მარმა, როგორც ენახეთ, პირველთაგანმა მიუთითა ალ. სარაჯიშვილის ნაშრომთა სუბიექტივიზმზე, აგრეთვე მკვლევრის მიერ კლასიკური ეპოქის პოეტური სტილის არასათანადო ცოდნაზე. რუსთველოლოგთა მიერ აღნიშნული იყო ისიც, რომ ალ. სარაჯიშვილი ზედმეტად გაიტაცა სწორხაზობრივი, ლოგიკურ-შემეცნებითი კრიტერიუმის მომარჯვებამ, რითაც უხეშად

⁸⁷ შდრ. ა. გაწეჩელია, „ლიტერატურული ნარკვევები“, 1948, გვ. 27, სადაც განხილულია რუსთველური მეტაფორა „ტანი კალმად მაქვს, კალამი ნავლელთა ამონაწები“. ა. გაწეჩელიას სიტყვით: „მეტაფორების კონტექსტიდან იზოლირებულად განხილვის კარგ მაგალითს გვაწოდებს ალ. სარაჯიშვილი თავის ნაშრომში: ეფთხისტყაოსნის ყალბი ადგილები... მან ყალბად გამოაცხადა, მაგ., მთელი სტროფი, სადაც ნესტანი წერს ტარიელს: „ტანი კალმად მაქვს, კალამი ნავლელთა, ამონაწები“. ამ მართლაც. საკვირველი მეტაფორის გახსნა მან ვერ შეძლო ნაწარმოების სტატიკურ ფორმად მიჩნევის გამო (სტატიკური კომპონენტი მკვლევარს უბრალო სამკაულად მიჩნდა)“.

ირღვეოდა ნატიფი პოეტური ქსოვილი — ანგარიში არ ეწეოდა პოეტური აზროვნების შანაგან კანონებს.

მაგრამ უმთავრესი ნაკლი, ჩემი აზრით, მინც ის იყო, რომ ალ. სარაჯიშვილის ნაშრომებს ახასიათებდა ფილოლოგიური კვლევის დაბალი დონე. ჩვენ აქ ვერ ვიპოვით არამც თუ ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორიის ზოგადი საკითხების გათვალისწინებას, არამედ ხელნაწერთა ცალკეული მონაცემების რამდენადმე კრიტიკულ განხილვას. ასევე უგულვებელყოფილია პოემის ამა თუ იმ ძნელად გასაგები აგდილის ენობრივ-ფილოლოგიური ანალიზი, რომლის გარეშეც შეუძლებელია ტექსტის მართებული გაგება⁸⁸. ყოველივე ამის გამო, ზოგიერთი გონება მახვილური დაკვირვების მიუხედავად, ალ. სარაჯიშვილის თავისთავად კეთილშობილური განზრახვა, გაეწმინდა პოემა გვიანდელი ჩანარები-საგან, მარცხით დამთავრდა⁸⁹.

ამასთან არ უნდა დაევიწყოთ ისიც, რომ ამ შემთხვევაში ალ. სარაჯიშვილი არ იყო გამონაკლისი. კვლევის ასეთი დონე მეტ-ნაკლებად ახასიათებდა მე-19 საუკუნის რუსთველოლოგთა ნაშრომების უმეტესობას (მ. ბროსეს გარდა), რაც აღნიშნულია კიდევ თანამედროვე მეცნიერებაში: „სამწუხაროდ, მთელი მე-19 საუკუნის ნაანდერძევი მემკვიდრეობა ვეფხისტყაოსნის ტექსტის შესწავლის საქმეში ამავე ნაკლს ატარებს. ყველა, ვინც კი შეხებია შოთა რუსთაველის ქმნილების ამა თუ იმ მხარეს... თავის მსჯელობას ამყარებს უფრო საკუთარ შთაბეჭდილებასა და ზოგად მოსაზრებაზე, და არა ძველის საფუძვლიან შესწავლაზე, რასაც წინ უნდა უძღოდეს ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებზე წარმოებული სანგრძლივი კვლევა-ძიება“⁹⁰.

ქ) ვეფხისტყაოსნის ტექსტის საკითხები მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართულ მეცნიერებაში

(ნ. მარი, დ. კარიჭაშვილი, ს. კაკაბაძე, იუსტ. აბულაძე)

რუსთველოლოგიის, როგორც მეცნიერების, ახალი აღმავლობა (შეიძლება ითქვას, ახალი ეტაპი) დაკავშირებულია მე-20 საუკუნის დასაწყისთან, როცა სამოქმედო ასპარეზზე გამოდიან შედარებით უფრო

⁸⁸ შდრ. ს. იორდანიშვილი, ნარკვევები... 1953, გვ. 83.

⁸⁹ ეს შეფასება არ უნდა შეხბოს მკვლევრის ძალზე საინტერესო ნაშრომს: „არტანუჯის ვარიანტი“ ვეფხისტყაოსნისა, ძვ. საქართველო, ტ. IV, რომელზედაც საუბარია წინამდებარე ნაშრომის სპეციალურ თავში ვეფხისტყაოსნის აღნიშნული ვარიანტის შესახებ.

⁹⁰ იხ. ს. იორდანიშვილის დასახ. წიგნი, გვ. 84; იხ. აგრეთვე ივ. ჭავჭავაძის

განსწავლული და რაოდენობითაც უფრო მრავალრიცხოვანი სამეცნიერო ძალები. ეს იყო საერთოდ ძველი ქართული კულტურით განსაკუთრებით დაინტერესების ხანა როგორც ჩვენში, ისე რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში. საკმარისია აქ გავიხსენოთ პეტერბურგის სამეცნიერო სკოლა, რომელმაც არა ერთი შესანიშნავი ქართველოლოგი მოამზადა. აკად. კორნელი კეკელიძის სიტყვით: „ნაყოფიერი ხანა ძველი ქართული მწერლობის ისტორიის შესწავლისა დაიწყო ეგრეთ წოდებულმა პეტერბურგის სამეცნიერო სკოლამ აკად. ნ. მარის ხელმძღვანელობით. ნ. მარმა და მისმა მოწაფეებმა, უმთავრესად ლინგვისტური მოსაზრებითა და მიზნებით, ხელი მოჰკიდეს თვით პირველწყაროების, ე. ი. ლიტერატურული ძეგლების, შესწავლასა და გამოცემას. ამ მხრივ განსაკუთრებულ ენერგიას თვით ნ. მარი იჩენდა“⁹¹.

ბუნებრივია, რომ კვლევა-ძიების ცენტრში პირველ რიგში მოქცეულიყო ქართული კლასიკური მწერლობა და მისი უპირველესი შედეგარი — ვეფხისტყაოსანი. მართლაც, ნ. მარი ზედიზედ აქვეყნებს რამდენიმე მნიშვნელოვან ნაშრომს ქართულ კლასიკურ მწერლობაზე, რომელთაგან აღსანიშნავია:

1. Персидская национальная тенденция в грузинском романе «Амрандареджанни» (ЖМНП, 1895, стр. 352—365).

2. Возникновение и расцвет древнегрузинской светской литературы (ЖМНП, 1899, XII, стр. 223—252).

3. Древнегрузинские одописцы, 1902 г.

4. Иоан Петрицкий, грузинский неоплатоник XI—XII в. 1909.

5. Вступительные и заключительные строфы «Витязя в барсовой шкуре» Шоты из Рустава, 1910 г. და ა. შ.

ზოგად ისტორიულ-ლიტერატურულ თუ მხატვრულ ასპექტებში კვლევასთან ერთად სპეციალური ინტერესების სფეროში მოექცა პირველწყაროების ფილოლოგიური შესწავლა და, კერძოდ, ტექსტის კრიტიკის საკითხები. ამ თვალსაზრისით ზემოთ დასახელებულთაგან განსაკუთრებით საფულისხმოა მე-3 და მე-5 ნაშრომი, რომლებშიც ნ. მარმა საფუძვლიანად მიმოიხილა ჭერ მეხოტბეებისა, ხოლო შემდეგ ვეფხისტყაოსნის რთული ტექსტოლოგიური საკითხები. მაგრამ ვიდრე მათ შევეხებოდე უფრო დაწვრილებით, სამართლიანობა მოითხოვს, აღინი-

ნაშრომი „შოთა რუსთაველის 750 წლისთავის გამო“, სადაც ნათქვამია, რომ, გარკვეულ ღრსებათა მიუხედავად, აღ. სარაჯიშვილის ნაშრომს „ის თვალსაჩინო ნაკლი აქვს, რომ კრიტიკა ყველა ხელნაწერის წესწავლაზე დადგენილ ტექსტს კი არა, არამედ არსებულ გამოცემებს ემყარება“ (ქართ. ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, გვ. 9).

⁹¹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, 1960, გვ. 23.

ზნოს, რომ ვეფხისტყაოსნის ტექსტის შესწავლის საქმეში თავისი დიდი წვლილი შეიტანეს ამ ხანებში საქართველოში მომუშავე მეცნიერულმა ძალებმა.

მათი ღვაწლის დასაფასებლად საკმარისია მოვიგონოთ, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისიდანვე უფრო ინტენსიურად გაჩაღდა ადრევე დაწყებული მუშაობა ქართულ ხელნაწერთა მოპოვება-სისტემატიზაციის საქმეში. ისტორიკოსმა თედო ჟორდანიამ, ხოლო შემდეგ მოსე ჭანაშვილმა აღწერეს საეკლესიო მუზეუმის ფონდის ხელნაწერები⁹² (ამჟამად ხელნაწერთა ინსტიტუტის A ფონდი), რომელთა შორის ვეფხისტყაოსნის არაერთი მნიშვნელოვანი ნუსხა იპოვებოდა. ხოლო ექვთიმე თაყაიშვილმა მარტოდმარტომ იკისრა ასეთივე თვალსაზრისით დამუშავებინა ხელნაწერთა ისეთი მდიდარი კოლექცია, როგორც იყო საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა ფონდები⁹³ (ამჟამად ხელნაწერთა ინსტიტუტის S ფონდი). მაგრამ მკვლევარი „მშრალი“ აღწერილობით არ დაკმაყოფილდა და ამავე აღწერილობებში თავი მოუყარა მისთვის ცნობილ ვეფხისტყაოსნის ყველა ხელნაწერს, შეუდარა ისინი ერთმანეთს და რამდენიმე ძალზე მნიშვნელოვანი დასკვნაც გამოიტანა. ზვენ სათანადო ადგილას სპეციალურად გვექნება ამაზე საუბარი, მაგრამ აქ უნდა აღინიშნოს, რომ ე. თაყაიშვილმა ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა შესწავლის საფუძველზე ერთ-ერთმა პირველთაგანმა გამოიტანა დასკვნა, რომ ვეფხისტყაოსნის პირველი გამოცემა, რომელიც განახორციელა სწავლულმა მეფემ ვახტანგ VI, კრიტიკული უნდა იყოსო. მკვლევრის აზრით, ვახტანგ მეექვსემ შეძლო «очистить Вепхисткаосани от тех наслоений, которые образовались в нем в XVII веке. Этим я не хочу сказать, чтобы в издании Вахтанга VI все принадлежало перу Руставели, но эти вставки не так многочисленны и, повидному, древнее XVII века»⁹⁴.

მანვე პირველთაგანმა შეამჩნია ვეფხისტყაოსნის ე. წ. არტანუჯული ვარიანტის ზოგი თავისებურება (შედგენილობა, ორთოგრაფია და ა. შ.), რომლებიც ეჭვის ქვეშ აყენებდნენ ამ ვარიანტის სიძველეზე გაცრელებულ ლეგენდებს.

ორივე ამ დასკვნას, ხელნაწერთა მემკვიდრეობაში კარგ ორიენტირებასთან ერთად, ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა შემდგომში ვე-

⁹² თ ე დ ო ჟ ო რ დ ა ნ ი ა, Описание рукописей церковного музея... I, II, 1902-3 гг.; მ. ჭ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, Описание рукописей церковного музея..., III, 1908.

⁹³ Е. Т а к а и ш в и л и, Описание рукописей Общества распространения грамотности среди грузинского населения, т. I, II, 1902—1912 гг.

⁹⁴ იხ. ექვთ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს დაახლ. ნაშრომი, ტ. II, გვ. 581.

ღმისტყაოსნის ტექსტის ისტორიის შესწავლისათვის მართებული გზის არჩევისათვის, რაც აღნიშნულია კიდევ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში⁹⁵.

სწორედ ამ ხანებში ვეფხისტყაოსნის ტექსტი გამოსცა ცნობილმა მკვლევარმა დავით კარიჭაშვილმა⁹⁶. შედგენილობით ახალი გამოცემა ზუსტად იმეორებდა 1888 წ. ქართველიშვილისეულ ტექსტს, მაგრამ მკვლევარმა სცადა ზოგი წარყვნილი ადგილის აღდგენა, გამოცემას დაურთო გამოკვლევა და საკმაოდ ვრცელი ლექსიკონიც.

დ. კარიჭაშვილის ტექსტოლოგიური ცდანი თავის დროისათვის, უეჭველად, წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. მან სცადა ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა უფრო არსებითად გამოყენება ტექსტის გამართვის დროს და ვეფხისტყაოსნის ლექსიკაზე მუშაობისას სხვა ძეგლებიდან სათანადო პარალელების მოძიანაც. ამის გამო მკვლევარმა შეძლო კიდევ წინა გამოცემებში დამახინჯებული ზოგი ადგილის მიგნება და ხელნაწერების მოშველიებით ზოგი მათგანის მართებული გამართვაც. მოვიტან მხოლოდ რამდენიმე მაგალითს.

წინა გამოცემებში, რომელთაც კრიტიკულად განიხილავს დ. კარიჭაშვილი, ის ადგილი, სადაც ასმათს უნდა ტარიელს ავთანდილი გააცნოს, ასე იყო წარმოდგენილი: „ქალმან ჰკადრა: „არ გამიწყრე, ვიშიშვი და ვ ი ა ჯ დ ი ა“ (276). ხაზგასმული სიტყვა ერთად იწერებოდა და ზმნაც კონტექსტისათვის შეუფერებელ სახეს იღებდა: „ვიაჯდი“ უწყვეტლის ფორმა და ნიშნავს „გეხვეწებოდი“, რაც სრულიად ამოვარდნილია კონტექსტიდან, მაშინ, როცა ასმათი ეუბნება ტარიელს: გეხვეწებო (რადგან რჩევას მკითხავ, გითხრა ჩემი სათქმელი) და მეშინია არ გამიწყრეო. „ვიაჯდია“ ორი დამოუკიდებელი ნაწილისაგან შედგება: „ვიაჯდია“ ე. ი. მეტად, ძალიან გეაჯები (შდრ. „ვითა შმაგი, შეგკართი დია“—350). დ. კარიჭაშვილმა სწორად ამოიცნო მათი უადგილო შეხორცება (ზმნა+ზმნიზედა) და მათი გაყოფით სინათლე შეჰამატა დამახინჯებულ

⁹⁵ ე. ქ. თ. თაყაიშვილის „აღწერილობებს“, როგორც ცნობილია, მაღალ შეფასებას აძლევდა ნ. მარი. მისივე წარდგინებით ამ ნაშრომმა ოქროს მედალი დაიმსახურა. ე. ქ. თაყაიშვილის „აღწერილობათა“ შეფასება იხ. აგრეთვე: ე. ქ. ქ. ქ. ლ. ი. ძე, „ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტ. II, 1958, გვ. 19; ა. შანიძე, თხზ. ტ. II, 1966, გვ. 69; ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვანტაგისეული რედაქცია, 1957, გვ. 47 და სხვ.

⁹⁶ შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, 4 პორტრეტით და 21 სურათით, მე-19 გამოცემა, დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებითა და ვრცელი ლექსიკონით, ტფლისი, 1903; როგორც ცნობილია, დ. კარიჭაშვილმა ვეფხისტყაოსანი გამოსცა მეორედ, 1920 წელს.

წაკითხვას⁹⁷. ეს მართებული შესწორება მიღებულ იქნა მომდევნო გამოცემებშიც.

ვახტანგის გამოცემის სწორი წაკითხვა 369-ე სტროფის მე-3 სტრიქონში: „ჩემნი სწორნი წავიტანენ, ჩემსა დავექე, მთქვიან ა ლ ვ ა დ“ (ტარიელი მოუთხრობს ავთანდილს: ჩემი ტოლები მაქებდნენ, ალვის ხეს მამსგავსებდნენო), რატომღაც შეცდომითაა დაბეჭდილი ჩუბირაშვილისა და ქართველიშვილისეულ გამოცემაში: „ჩემნი სწორნი წავიტანენ, ჩემსა დავექე, მთქვიან ა ლ ა დ“, რაც შეუძინევია და გაუსწორებია კიდევ დ. კარიჭაშვილს (გვ. 276). როგორც ვახტანგთან, ისე მომდევნო გამოცემებში 1373-ე სტროფის პირველი სტრიქონი იკითხებოდა: „აჰა, მხატვარო, დახატე ძამდ უმტკიცესნი ძმობილნი“. ექვს იწვევდა ვითარებით ბრუნვამი დასმული სახელი „ძმად“, რაც შენიშნა კიდევ დ. კარიჭაშვილმა: „ამ ფრაზის აზრი ის კი არ არის: მხატვარო. ძმებად დახატე უმტკიცესი ძმობილებო, არამედ: დახატე ძმათა (ძმებზე — ს. ც.) უმტკიცესი ძმობილებო, ე. ი. იმისთანა ძმობილები, რომლებსაც ერთმანეთი უფრო მეტად უყვართ, ვიდრე ძმას ძმად“ (გვ. 290). ეს წაკითხვაც „ძმად უმტკიცესნი ძმობილნი“ აღიარებულ იქნა მომდევნო გამოცემებში⁹⁸.

დ. კარიჭაშვილის გამოცემაში გვხვდება სხვა მახვილგონივრული გასწორებანიც. მაგ. 1391-ე სტროფში მანამდე იკითხებოდა: „ა ს ი ა თ ა ს ი ა ჟ ო ბ ე ბ ს, თუ გამორჩევით მქმნელია“. ხელნაწერებზე დაყრდნობით მართებულად გასწორდა: „ა ს ი ა თ ა ს ს ა ა ჟ ო ბ ე ბ ს, თუ გამორჩევით მქმნელია“, რაც ზუსტად გამოხატავს ქაჯეთზე სალაშქროდ მისულ გმირთა შეხედულებას. ასევე ძველი წაკითხვა — „უკუდგეს და თაყვანი სცეს მ ე ფ ე თ ა და მისთა სპათა“... 46, ხელნაწერების მოშველიებით გაასწორა მკვლევარმა: „უკუდგეს და თაყვანი სცეს მეფემან და მისთა სპათა“ და მრ. სხვა. მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია 1903 წ. გამოცემის რედაქტორის დ. კარიჭაშვილის რამდენიმე ენობრივი ხასიათის დაკვირვება: მან შენიშნა, რომ ვეფხისტყაოსანში როგორც სახელებთან და ზმნებთან, ისე ფორმაუცვლელ სიტყვებთან (ა. შანიძის ტერმინით უდეტრებთან) გვხვდება შეკვეცილი სახის ზმნიზედა „რე“, რომელიც, როგორც ამას ა. შანიძე აღნიშნავს, ორგვარი მნიშვნელობი-

⁹⁷ დ-სხ. ნაშრომი გვ. 274.

⁹⁸ ოლონდ ეს სტროფი, ჩემის აზრით, ჩანართია, რაც აღენიშნე კიდევ 1959 წ. (იხ. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის რედაქციები და ზოგიერთი ტექსტუალური საკითხი, კ. კეკელიძისადმი მიძღვნილი კრებული, გვ. 383). ეს სტროფი ჩანართად იქნა მიჩნეული 1966 წელს გამოქვეყნებულ გამოცემებშიც (შდრ. ა. შანიძე, ვეფხისტყ. სმფონია, გვ. 035).

საა: ა) აღნიშნავს სახეს, ნაირობას: აგ-რე (ამნაირად), ეგ-რე, მაგ-რე, შე-ტად-რე, ისე (ის-რე), ასე (ას-რე); ბ) აღნიშნავს აგრეთვე მცირედ, მე-ტად (იხმარებოდა ზმნასთანაც: „იგი წვიმა და-რე-ნელდა“ — ვეფხ., „მო-რე-ვჯობდა“ — ვეფხ. და ა. შ.)⁹⁹. მართალია, დ. კარიჭაშვილი „რეს“ დეფისით არ გამოჰყოფდა (ეს მხოლოდ თვალსაჩინოებისთვისაა საჭირო). მაგრამ კარგად ესმოდა აღნიშნულ ფორმანტდართულ სიტყვათა მნიშვნელობა¹⁰⁰.

ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ ვეფხისტყაოსნის პოეტური ენის ერთ-ერთი თავისებურება—ზმნისწინთა (მი, და, წ, შე...) წარმოჩენა—მარის სახელთანაა დაკავშირებული, თუმცა, უნდა ითქვას, ზოგი რამ ამ მიმართულებით აღრეც იყო ცნობილი. მაგალითად, თეიმურაზ ბატონიშვილს თითქოს ესმის კიდევ ეს თავისებურება, როცა 1098-ე სტროფთან დაკავშირებით შენიშნავს: შ ე ს ვ ლ ი თ ა შ ე ვ ი თ ა — შევითვიდა, თუმცა ტმესის მოშველიება აქ ზედმეტია (ახალ გამოცემებში: შე-სვლითა შე-, ვ ი თ ა).

დ. კარიჭაშვილმა საკმაო სისრულით აღნიშნა ეს თავისებურება და, რაც მთავარია, მან პრაქტიკულად გამოიყენა კიდევ ეს ცოდნა ტექსტის დამახინჯებული ადგილის სწორების დროს. მაგალითად, ჩუბინაშვილისა და ქართველიშვილისეულ გამოცემაში 209-ე სტროფის ბოლო სტრიქონი ასე იყო დაბეჭდილი: „თვალთა წინა წაგვივიდა ლალი, კუშტი, ა მ ა ყ ი წ ა“. ერთად დაწერილი ბოლო სიტყვა უაზრობაა, რადგან წ ა აქ წ ა გ ვ ი ვ ი დ ა ზმნის აღმნიშვნელი წ ა ზმნისწინია. დ. კარიჭაშვილმა გამოაცალკევა იგი და ნათელი გახადა სტრიქონი. ამგვარ მაგალითებს ჩვენ მრავალს ვიპოვით 1903 წლის გამოცემაში (იხ. შენიშვნ. 74, 236, აგრეთვე გვ. XXIX და სხვ.)¹⁰¹.

მაგრამ როგორც 1903 წლის გამოცემის ტექსტს, ისევე მასზე დართულ გამოკვლევასაც ახასიათებდა არსებითი ნაკლოვანებები. იმის გამო, რომ არ იყო შესწავლილი ხელნაწერების ურთიერთმიმართება და

⁹⁹ ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1, 1953, გვ. 612.

¹⁰⁰ იხ. ვეფხისტყაოსნის 1903 წ. გამოცემა, გვ. 270—279; როგორც ცნობილია, კ ჰიკინაძემ მის შივრ გამოცემულ ვეფხისტყაოსანში (1934 წ.) ეს ზმნიზედა შეცდომით „იარე“ ზმნის ნაშთად მიიჩნია. მაგალითად, იგი წერდა: „ყველა გამოცემაში დაბეჭდილია „მხნედრე“, უნდა „მხნედ რე“. „რე“ აქ ნიშნავს სიარულს („რებული) და წარმოადგენს სიტყვა იარეს უკანასკნელ მარცვალსო“ (გვ. 277). კ. ჰიკინაძის ტექსტოლოგიურ მუშაობაზე იხ. ქვემოთ. შტრ. აგრეთვე ვ. ბერიძე, რუსთაველის გარეშე, უნივერსიტეტის შრომები, III, 1936, გვ. 140—145.

¹⁰¹ როგორც 1903 წ. გამოცემის წინასიტყვაობაში აღნიშნავს დ. კარიჭაშვილი, მას აღრე ნ. მარის მეხობებების გამოცემაზე დართულ გამოკვლევაში გაუცნია ზმნისწინის გამოყენების ეს თავისებურება და ასე გაუმართავს პოემის ტექსტი (იხ. გვ. XXIX).

ვათვალისწინებული ტექსტის ისტორიის უმთავრესი საკითხები, დ. კარიკაშვილმა ძალზე მკაცრი განაჩენი გამოუტანა ვეფხისტყაოსნის ისეთ მნიშვნელოვან ნაწილს, როგორცაა პოემის პროლოგ-ეპილოგი. იგი პირდაპირ აღნიშნავდა, რომ პოემის „წინასიტყვაობას“ და „უკანსიტყვაობას“ არამც თუ არაფერი საერთო აქვთ-რა თვით თხზულების მოთხრობასთან, არამედ თვითონ ეს ნაწილები ცალკე არაფერს ერთიანს არ წარმოადგენენ და როგორც წინასიტყვაობის, ისე უკანასიტყვაობის ტაეპები სხვადასხვა პირთაგან და სხვადასხვა დროს უნდა იყვნენ დაწერილინი“¹⁰². ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა მემკვიდრეობის ამ თვალსაზრისით განხილვის დროს ჩვენ ვნახავთ, რომ პოემის ხელნაწერთა შესწავლა სრულიად არ იძლევა ასეთი დასკვნის უფლებას, თანაც, ამჟამად თუნდაც არ გვქონდეს შესაძლებლობა პროლოგის პირვანდელი თანამიმდევრობის აღდგენისა, თვით პროლოგის აშკარა კავშირი, როგორც სტილის, ისე იდეურ-მხატვრული თვალსაზრისით, პოემის ძირითად ტექსტთან თავისთავად წყვეტს მისი ავთენტურობის საკითხს¹⁰³.

ასევე ხელნაწერთა დიფერენცირებული შესწავლის გარეშე და მთლიანად ქართულიშვილისეულ გამოცემაზე დაყრდნობით დ. კარიკაშვილმაც უარყო „დ ა“ კავშირის წერა პოემის ტექსტში, რაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, გვიანდელ ხელნაწერთა გავლენით იქნა უარყოფილი პირველად 1888 წლის გამოცემაში¹⁰⁴.

ამავე მიზეზით, თანაც კლასიკური ეპოქის პოეტიკისა და ენის არასათანადო დაუფლების გამო 1903 წლის გამოცემაში გაიპარა საკმაოდ უხეში შეცდომებიც, რომელთაგან მოვიტან მხოლოდ რამდენიმეს:

¹⁰² იხ. დ. კარიკაშვილის დასახ. ნაშრომი ვეფხისტყაოსნის 1903 წ. გამოცემაში, გვ. VIII; 5. მარმა 1910 წელს აღნიშნა დ. კარიკაშვილის ეს უკიდურესი პოზიცია: «Д. Каричашвили скепсис свой довел до крайности: он отверг целиком вступительные строфы, как не принадлежащие перу автора Барсовой Кожин», (Т. Р. XII, гв. V).

¹⁰³ შემდეგ ცალკე წერილში დ. კარიკაშვილს მოუხდა უფრო დაწვრილებით გამოეთქვა მოსაზრება პროლოგის ჩანართობის გამო. მისი მსჯელობა ამ საკითხზე თავისი ხასიათით ძალზე წააგავს ალ. სარაიშვილისეულ კრიტიკას. ჩანს აგრეთვე ქართული კლასიკური მხატვრული აზროვნების დაბალი ცოდნა. მაგალით. ამ წერილში (იხ. მოამბე, 1904, № 4) მკვლევარი პროლოგის ჩანართობის ერთ-ერთ არგუმენტად თელის იმასაც, რომ აქ თავში ნახსენებია ღმერთი და მეფე, რომელთაც მიმართავს პოეტი (შდრ. ალ. ბარამიძე, მცირე შენიშვნები, უნივერს. შრომები, 1936, V, გვ. 225—232).

¹⁰⁴ თუმცა ზედმეტად პოლემიკური ტონით გამოირჩევა შიო დავითაშვილის რეცენზია ვეფხისტყაოსნის 1903 წ. გამოცემაზე, მაგრამ რეცენზენტმა მართებულად მიუთითა „და“ კავშირის ამოღების გამო დ. კარიკაშვილს. იხ. ვახ. „ივერია“, 1903, №№ 215, 219, 220, 231.

საანალიზო ადგილი პროლოგის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილი სტროფიდანაა:

„დავჭე, რუსთველმან გავლექსე, მისთვის გულ-ლახვარ-სობილი,
აქამდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი“ (7).

ასეა იგი დაბეჭდილი თანამედროვე გამოცემებში. გარდა მრავალ-მხრივი ინტერესისა, ეს სტროფი საყურადღებოა მხატვრული თავისებურებებით — აქ რუსთველის პოეტური ენა არაჩვეულებრივ ექსპრესიულ სიძლიერეს აღწევს. ამის ერთი მიზეზი თავისებური პოეტური სინტაქსია, რომელსაც ტემისის სახელით ვიცნობთ. ჩვენ ვნახავთ, რომ ეს თავისებურება ვერ ამოვიფრა ისეთმა გამოცდილმა ფილოლოგმა, როგორც იყო ნ. მარი და ტექსტის „გამართვისათვის“ საქმოდ ხელოვნურ ტექსტოლოგიურ ოპერაციასაც კი მიმართა. სხვა მკვლევართა შორის დ. კარიჭაშვილმაც ექვის თვალთ შეხედა ასეთ წაკითხვას და თითქოსდა არსებული გრამატიკული დარღვევა პოეტიკის კანონთა (ამ შემთხვევაში რითმის) ძალდატანებას მიაწერა: „სიტყვა გულ-ლახვარ-სობილი მიეკუთვნება სიტყვას რუსთველმან და უნდა ყოფილიყო გულ-ლახვარ-სობილმან, მაგრამ აქ ასეთი უკანონობა მომხდარი რითმის გულისათვის“ (გვ. 263). თუ რამდენად მართებულია ეს შენიშვნა, ამას ქვემოთ შევეხებით, როცა ნ. მარის ტექსტოლოგიურ მუშაობაზე გვექნება საუბარი. აქ კი იმის აღნიშვნით დავკმაყოფილდებით, რომ დ. კარიჭაშვილმა კომპოზიტი გულ-ლახვარ-სობილი უმართებულოდ დაუკავშირა ჩართულ წინადადებას რუსთველმან გავლექსე, რადგან ვერ ამოიცნო წინადადებათა წყობის თავისებური კონსტრუქცია.

სტროფი, რომელშიც აეთანდილი ვეზირს თავის განზრახვას აბარებს როსტევეანთან, ასეა დაბეჭდილი დ. კარიჭაშვილის გამოცემაში:

ჰკადრე: ვინ გაქოს ყოველმან პირმან არ შეუზრახებანი
ვითა ვიშივი, გაცნობოს ღმერთმან, ნათელთა სახემან;
მაგრა მან ყმამან ცეცხლითა დამწვა, აღვისა სახემან,
გული წამსავე წამილო, ვერად ვერ შევინახე მან (738).

დ. კარიჭაშვილი დაუფიქრებია მხოლოდ ბოლო სტრიქონს: „მან“ აქ ხმარებულია პირველი პირის ნაცვალსახელის მაგიერ. სხვა გამოცემებში ორი უკანასკნელი სიტყვა შევინახე მან ერთად არის დაბეჭდილი. ეს სიტყვა ამ სახით გაუგებარია“ (გვ. 285). მაშინ, როცა აქ წარმოდგენილი წაკითხვა მთელი სტროფისა ყოველთვის იწვევდა ეჭვს (და, სხვათა შორის, ზოგი ადგილი არც ახალ გამოცემებშია ბოლომდე გამართული). დ. კარიჭაშვილს, როგორც ჩანს, ამ სტროფის

გასამართავად არ შეუმოწმებია ხელნაწერები, თორემ ყველა მნიშვნელოვან ხელნაწერში პირველ სტრიქონში იკითხება „მეუზრახემან“, რაც კარგად ეგუება კონტექსტს; „მეუზრახი“ უთქმელი კაცი, ხოლო უარყოფის ნაწილაკდართული ე. ი. არ მეუზრახე მთქმელს, მოლაპარაკეს ნიშნავს¹⁰⁵. მაშასადამე, შინაარსი ნათელია: მეფეს უთხარ: წენ, რომელიც უნდა შეგაქოს ყველა მოლაპარაკემ, მზრახველმაო. საინტერესოა, რომ უსწორო და ქართულისათვის სრულიად უცნობი ფორმა შეუზრახემან მოდის ვახტანგის გამოცემიდან და კორექტურულ შეცდომათა რიგს მიეკუთვნება. ბეჭდვისას შეუმჩნევეიათ კიდევ იგი და შინის მანად გადაკეთება უცდიათ (ნაწილობრივ ჩამოუთლიათ შინის თავის ერთი ნაწილი), მაგრამ მაინც შინად იკითხება და ასეც წაუკითხავთ კიდევ გადამწერებსა¹⁰⁶ და მომდევნო გამოცემის ავტორებს. დ. კარიჭაშვილთანაც უცვლელად მეორდება ვახტანგის გამოცემის ეს უნებლიე ლაფსუსი.

მეორე და მესამე სტრიქონის დაბოლოებანი ახლაც დავას იწვევს: დ. კარიჭაშვილის მიერ გაზიარებულ წაკითხვას — „ნათელთა სახემან“ და „ალვისა სახემან“ — ემხრობა 1966 წლის საიუბილეო გამოცემები, ხოლო ა. ბარამიძისა და ა. შანიძის მიერ 1966 წ. გამოცემულ ტექსტში იგი სხვაგვარადაა წარმოდგენილი:

ვითა ვიშივი, ვაცნობოს ღმერთმან, თქვენმანვე სახემანი
მაგრა მან ვმამან ცეცხლითა ღმრვა, და- ალვისა ხემანი.

საინტერესო ჩანს ე. ნოზაძის შენიშვნა, რომ ამ შემთხვევაში: „ღმერთი არის დასახული ვით სახე, სახე მეფისა; როსტევანისა. ასეთი თქმა მიუღებელია და არც იხმარება. პირიქით: კაცი არის სახე, ანუ ხატი ღმერთისა“¹⁰⁷, ხოლო „ნათელთა სახე“ თვით ღმერთის ერთ-ერთი ეპითეტია და კონტექსტსაც არ ეწინააღმდეგება (მე როგორ ვღელავ, ვშიშობ, ეს ღმერთმა, რომელიც არის ნათლის სახე, ვაცნობოსო — უთვლის ავთანდილი როსტევანს)¹⁰⁸. ხოლო მესამე სტრიქონის დ. კარიჭაშვილისა და ახალი გამოცემების წაკითხვა „ალვისა სახემან“ ნაკლებლოვანია რითმის განმეორების გამო („სახემან-სახემან“). ა. შანიძემ ზემოაღნიშნულ გამოცემაში კონიექტურას მიმართა „და-, ალვისა ხემან“, თუმცა შესაძლებელია კონიექტურის სხვაგვარი ვარიანტის და-

¹⁰⁵ შდრ. ა. შანიძე, ვეფხისტყაოსნის სიმფონია, გვ. 028.

¹⁰⁶ იხ. მაგალითად ხელნაწერი H—412, რომელიც ამ ნაწილში ვახტანგისეული გამოცემიდან მომდინარეობს (ამ ხელნაწერის დახასიათება იხ. მეორე წიგნში).

¹⁰⁷ ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება, 1963, გვ. 106.

¹⁰⁸ ხელნაწერთა ერთ რიგში, მართლაც, არის წაკითხვა „ნათელი სახე“.

შეება: „მაგრა მან ყმამან ცეცხლითა დამწვაო ალვისა ხემან“, როგორც ამას ვეთავაზობენ კ. ჭიჭინაძე და პ. ინგოროყვა თავიანთ გამოცემებში.

რაც შეეხება მეოთხე სტრიქონს, რომელსაც მიაქცია ყურადღება დ. კარიჭაშვილმა და მართებულად გაჰყო ორ ნაწილად სიტყვა „შევი-ნახემან“ („შევინახე + მან“), მაინც ბოლომდე ვერ გამართა იგი, რადგან „მ ა ნ“ ნაცვალსახელის წინ აუცილებელია მძიმის დაწერა, რომ სტრიქონის შინაარსი გასაგები გახდეს „გული წამსვე წამილო, ვერათ ვერ შევინახე, მან“. ე. ი. იმ ყმამ (ლაპარაკია ტარიელზე) გული წამართვა, მიიტაცა და ვერაფრით ვერ შევქელი მისი (გულის) გადარჩენაო.

დ. კარიჭაშვილი აკრიტიკებს ძველ გამოცემებში დაცულ წაკითხვას: „ძებნა წამლისა მისისა, ცოდნა ჰხამს უიციისა“ (679)¹⁰⁹. შეცდომას კი ხედავს მხოლოდ ბოლო სიტყვის დაწერილობაში. უ ი ც ალკე უნდა დაიწეროს და შორისდებულად მიაჩნია (უ ი — მწუხარება) იგი¹¹⁰. 1903 წლის გამოცემაში შესაბამისად ვკითხულობთ: „ძებნა წამლისა მისისა — ცოდნა ჰხამს, უ ი ცისა...“; გარდა იმისა, რომ ამ შორისდებულს საერთოდ არ იცნობს ვეფხისტყაოსანი, სტროფის შინაარსი ამ გასწორებით კიდევ უფრო დაბნელდა.

ხელნაწერები ერთხმად იძლევიან წაკითხვას უ ი ც ი ს ა, მაგრამ საქმე ისაა, როგორ გავიგებთ ამ სიტყვას. ა. შანიძე ვეფხისტყაოსნის 1957 წ. გამოცემის ლექსიკონში განმარტავს: უიცი—არ მცოდნე (ე. ი. გაგებულია, როგორც მოქმედებითი გვარის მიმღეობა), რაც აგრეთვე ვერ მართავს სტრიქონს. მაგალითად, ავიღოთ იმავე 1957 წლის წაკითხვა: „ძებნა წამლისა მისისა, ცოდნა ხამს მართ უიციისა“, ე. ი. საჭიროა მისი წამლის ძებნა (გამონახვა) და მართლაც, არ მცოდნის ცნობაო. მაგრამ თუ უ ი ც ს გავიგებთ, როგორც ვნებითი გვარის მიმღეობას (უიცი-უცოდნელი), მაშინ სტრიქონი ნათელ შინაარსს იძენს: საჭიროა მისი წამლის ძებნა და მართლაც უცოდნელის (რაც ჩვენ არ ვიცით, იმის) ცოდნაო¹¹¹. ამდენად, ვფიქრობ, არ იყო საჭირო ამ სტრიქონის ახლებური გამართვა, როგორც ეს 1966 წლის საიუბილეო და ა. ბარამიძე-ა. შანიძის გამოცემაშია: „ძებნა წამლისა მისისა და ცოდნა ხამს უიციისა“ (და აქ აშკარად უკარგავს ტაქსს შიარის მდი-

¹⁰⁹ ეს არის ცნობილი სტროფის — „შენ არ გატეხა კარგი გვირს...“—მესამე სტრიქონი. თინათინი მოუწონებს აფანდილს განზრახვას, დაეხმაროს ძმადნაფიცს.

¹¹⁰ 1903 წლის გამოცემა, გვ. 284—285.

¹¹¹ შდრ. ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 571, სადაც სწორედ ამგვარ ახსნას აძლევს ავტორი სიტყვას „უიცი — უვიცი-ს“.

ნარებას, თანაც წაკითხვა „ცოდნა ხამს მართ უიცისა“ არის დადასტურებული რამდენიმე ხელნაწერში¹¹².

ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ წინა გამოცემებში უხეიროდ შეერთებული სიტყვები მართებულად ჰქონდა დაყოფილი 1903 წლის გამოცემის რედაქტორს, მაგრამ იგი ზედმეტად გაუტაცინია ამ ოპერაციას და ხელოვნურ ფორმებს გვთავაზობს. მაგ., 425-ე სტროფის ბოლო ორი სტრიქონი ამ გამოცემაში ასეა წარმოდგენილი:

გულ-მართლად იყენენ, მიენდენ, აფიცენ ღვთითა და ცოთა;
არ დაგმორჩილდენ, შეპრისხდენ რისხვითა, კვლავ და კვლავ ცოთა.

სულ ცოტა აქ ორი უზუსტობაა დაშვებული (ორთოგრაფიას არ ვეხები): პირველი, ბოლო სტრიქონში ერთი სიტყვა კვლავ ცოთა (ნაწილაკდართული ზმნიზედა) ორადაა გაყოფილი, რაც პოეტურ განმეორებასაც უპარგავს თავის სახეს, მეორეც — მესამე და მეოთხე სტრიქონში ვლდებულობთ ტავტოლოგიურ რითმას, რომელსაც აგრერიგად ერიდება ვეფხისტყაოსნის ავტორი. ამდენად, წინა გამოცემებში დაცული სწორი წაკითხვა ამ შემთხვევაში აშკარად დამახინჯდა (ასეთი შემთხვევები არც თუ ცოტაა 1903 წლის გამოცემაში. იხ. აღნიშნული გამოცემის შენიშვნა 206, 217, 233, 242, 268 და ა. შ.).

დასასრულ კიდევ ერთი მაგალითი. იგი ეხება იმ ეპიზოდს, სადაც ავთანდილი ტარიელის მშვენიებით მოხიბლული სთავაზობს მას მარადიულ მეგობრობას. 1903 წლის გამოცემაში 298-ე სტროფის მესამე სტრიქონი ასეა წარმოდგენილი:

„იავუნდი ეგრეცა სჯობს, ათასჯერცა მინა მინდა“

იმის გამო, რომ აქ სიტყვა ათასჯერცა დაბეჭდილია მ ც ა ნაწილაკის გარეშე (რომლის მნიშვნელობა არც ესმოდათ წინა გამოცემის რედაქტორებს), მკვლევარმა ვერ გაუგო ფორმას „მინდა“ (რაც ნასახელარი ზმნა სიტყვიდან „მინა“, ჭიქის ან მინანქრის მნიშვნელობით) და იგი ჩვეულებრივ ზმნად მიიჩნია: „იავუნდი სჯობია, მაგრამ მე მაინც მინა მინდა ძალიანო“ (გვ. 275). მაშინ როცა, აქ ლაპარაკია იმაზე, რომ რაც უნდა მინა მინობდეს, იავუნდი მაინც უმჯობესიაო (რომ

¹¹² იხ. ხელნაწერები: H—461, S—4499, K—205, W—17 და სხვ. ბოლო და აკლია საკმაოდ ბევრ ხელნაწერს. შდრ. იუსტ. აბულაძე, 26-ე გამოცემა, გვ. 345—346, სადაც მკვლევარი გვთავაზობს ასეთ წაკითხვას: „ძებნა წაშლისა მისისა ცოდნა ჯამს უუიცისა“ (განმარტება: მისი წაშლის ძებნა და ცოდნა ჰმართებს მეცნიერსო), იხ. აგრეთვე, ი. ა. გ. ი. ნ. ე. შ. ე. ლ. ი., ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენის ზოგიერთი საკითხი, მაცნე, 1966, № 3, გვ. 199, სადაც მკვლევარი იზიარებს ი. აბულაძის აღნიშნულ წაკითხვას.

არა მცა ნაწილაკი, აქ ეს სარიტომო სიტყვა უნდა ყოფილიყო კავშირ-ბითის ფორმითვე „მინდეს“).

რასაკვირველია, ჩვენ აქ აღარ გამოვუღვებით იმ შემთხვევებს, როცა 1903 წლის გამოცემა იმეორებს წინა გამოცემათა უმართებულო წაკითხვებს, უსწორო ფორმებს (განსაკუთრებით ორთოგრაფიის მხრივ) და საერთოდ ენობრივ შეცდომებს. და მაინც, როგორც ზევი-თაც აღვნიშნეთ, დ. კარიჭაშვილის კვლევა-ძიება, უწინარეს ყოვლისა, იმითაა ფასეული, რომ იგი პირველ წყაროდ სწორედ ხელნაწერებს აღიარებდა. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ხელნაწერთა მემკვიდრეობის შესასწავლად ჭერ კიდევ დიდი მუშაობა იყო ჩასატარებელი. ამ ხარვეზს თვითონაც კარგად გრძნობდა მკვლევარი და ამიტომაც გამოცემის წინასიტყვაობაში პირდაპირ ამბობდა, რომ ტექსტის მართებულ აღდგენაზე ფიქრიც არ შეიძლება, ვიდრე არ შევისწავლით ყველა ხელნაწერს და ტექსტს არ გავმართავთ ხელნაწერთა ვარიანტების შესწავლა-შედგენის საფუძველზე¹¹³.

ქართულ საერო ძეგლებზე ტექსტოლოგიური მუშაობის ახალი ეტაპის მომასწავებელი იყო გამოჩენილი ენათმეცნიერისა და ფილოლოგის ნიკო მარის შრომები. როგორც ცნობილია, მის შესანიშნავ გამოკვლევას ვეფხისტყაოსნის პროლოგსა და ეპილოგზე წინ უძღოდა ბრწყინვალე ფილოლოგიური ხასიათის ნაშრომები შავთელსა და ჩახრუხაძეზე, რომლებიც შეჯამდა 1902 წელს გამოცემულ წიგნში: «Древнегрузинские одописцы».

ეს იყო ფართოდ მოხაზული გამოკვლევა, რომელშიც გვერდი არა აქვს ავლილი ამ ძეგლებთან დაკავშირებულ არც ერთ მნიშვნელოვან საკითხს. მკვლევრის დიდი ერუდიცია, საკვლევი მასალის არაჩვეულებრივი დაუფლება, გონებამახვილური მიხვედრები ამ ნაშრომს ერთბაშად გამოარჩევდა მანამდე და მის დროს არსებულ ამ ტიპის ყველა გამოკვლევისაგან.

შეუმჩნევლად არ დარჩენილა ეს ღირსებები იმ ხანების მოღვაწეთათვისაც. აკაკი წერეთელი ერთი პირველთაგანი აღნიშნავდა: „რომ რვა საუკუნის განმავლობაში გადამწერებისაგან დაბურღული და დახლართული ტექსტი ორივე პოემისა ბატონ მარს წესიერად აღუდგენია და შესაფერი ლექსიკონიც ჩაურთავს“¹¹⁴. საგულისხმოა გაზ. „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებული რეცენზიაც, რომელშიც ნათლად არის ჩამოყალიბებული ნ. მარის ახალი შრომის მიღწევები: „ეს წიგნი — ნათქვამია ამ რეცენზიაში — ძლიერ საინტერესოა და დიდს

¹¹³ იხ. დ. კარიჭაშვილის დასახელებული ნაშრომი, გვ. XXIX.

¹¹⁴ ძველი ქართული მეხოტბენი, 1, ივ. ლოლაშვილის რედაქციით, 1957, გვ. 19.

ნათელს ჰტენს ჩვენს წარსულს... ბ-ნ მარს ჩვენის ძველი ლიტერატურის ორი ნაშთი — აბდულმესისა შავთელისა და თამარიანი ჩახრუხადისა, აქამდე ცნობილნი ერთნაირის სახელით თამარის შესხმად — შეუსწავლია გულდადებით, გარყვნილი ტექსტი გაუსწორებია, არევე-დარეული მისი ნაწილები თავ-თავის ადგილს დაულაგებია და გამოუცია სულ სხვა სახით, ვიდრე წარსულის საუკუნის გამოცემანი¹¹⁵.

ნ. მარის გამოკვლევამ სრულიად ახალი პორიზონტი გადაშალა ქართული ფილოლოგიის წინაშე. ტექსტის ღრმა ანალიზმა, პოეტური სინტაქსის გაშიფვრამ, ლექსიკურ თავისებურებათა გამოვლენამ ნათელი გახადა, თუ რაოდენ მაღალ მხატვრულ დონეზე იდგა მე-12 საუკუნის პოეტური სიტყვა, რა ღრმა კავშირები შეინიშნება მაშინდელი მსოფლიოს კულტურულ ქვეყნებთან (როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის). ამ ტიპის კვლევა-ძიებისათვის ნ. მარს ფაქტიურად უვეალი გზებით უხდებოდა სვლა — ძველი საქართველოს დიდი წარსულიდან ჯერ კიდევ რამდენი რამ იყო უცნობი და მზის სინათლეზე გამოსატანი.

მკვლევარს აშკარად ხელს უშლიდა ის გარემოებაც, რომ ძველთა რკვიან ხელნაწერებზეც არ მიუწვდებოდა ხელი (როგორც ჩანს. „აბდულმესისანისა“ და „თამარიანის“ მე-17 საუკუნის ხელნაწერები მაშინ უცნობი იყო). მის განკარგულებაში იყო მე-18, მე-19 სს. რამდენიმე აშკარად წარყვნილი ნუსხა და ამავე ნუსხებზე დამყარებული გამოცემები.

მხოლოდ არაჩვეულებრივ მეცნიერულ ინტუიციასა და ფართო განათლებას უნდა მიეწეროს ის აღმოჩენები, რომლებიც მკვლევარმა გააკეთა „აბდულმესისანისა“ და განსაკუთრებით „თამარიანის“ ტექსტის აღდგენის საქმეში.

ნ. მარის მიერ გვიანდელი ხელნაწერებითა და გამოცემით გაცნობილი „თამარიანის“ ტექსტი სრულიად დარღვეული იყო. რასაკვირველია, უნდა ვიფიქროთ, რომ ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ „თამარიანი“ უსიუჟეტო, შესხმითი ხასიათის ოდა-პოემაა და დროთა ვითარებაში ერთმანეთში აირია სტროფთა თანმიმდევრობა.

პოემის თავდაპირველი სტრუქტურული შენობა სრულიად და-

¹¹⁵ „ცნობის ფურცელი“, 1902, № 1805, სტატია ხელმოუწერელია. ციტატი მომაქვს ივ. ლოლაშვილის მიხედვით. იხ. აგრეთვე დ. კარიკაშვილის წერილი გზ. „იერი-აში“, 1902, № 97, სადაც ასევე მალე შეფასებას აძლევს მკვლევარი ნ. მარის ამ ნაშრომს. ივ. ჯავახიშვილის სიტყვითაც „რაც მარმა დიდის გონებაშახვილობით მათი (ოღების — ს. ც.) სახე აღადგინა და თვით ნაწარმოებს ვრცელი ახსნა და გამოკვლევა დაურთო, მარტო ამის შემდგომ ჩახრუხადის საგულისხმო კმნილების დიდი ღირსება და მნიშვნელობა ჩვენთვის ცხადი გახდა“, ქართველი ერის ისტორია, 1913, ტ. II, გვ. 657.

რღვეული იყო და ნ. მარმა ამ ქაოსში განჭვრიტა თხზულების ორიგინალური კომპოზიციური სახე და გაბედული ტექსტუალური ოპერაციების ჩატარებით შეძლო პირველი მიახლოებითი სურათის აღდგენა. „ნიკო მარმა — აღნიშნავს ამასთან დაკავშირებით პავლე ინგოროყვა — პირველმა ჩაუყარა საფუძველი ჩახრუხაისძის შესწავლას იმით, რომ მან შესძლო დაედგინა საზოგადო ხაზებში „თამარიანის“ ტექსტი, რომელიც საოცარის დამახინჯებით იყო მოღწეული. ნიკო მარმა პირდაპირ გენიალურის გონებამახვილობით აღმოაჩინა, რომ „თამარიანი“ არის ლექსების კრება, და ამასთან მიაგნო ძირეულ რეალურ საზომს (გარეგანი რითმების ერთგვარობა), რომლის მიხედვით მტკიცედ ირკვევა ცალკე ნაწარმოებთა ზოგადი ფარგლები“¹¹⁶.

დღეს შეიძლება ზოგი რამ აღარ გაიზიაროს თანამედროვე მკვლევარმა; ეს ეხება როგორც რიგი ადგილის წაკითხვას, ისე სიტყვათა განმარტებასაც. ზოგადად სწორი კონცეფცია „თამარიანის“ აღნაგობის თაობაზე წყაროთა სიმცირის გამო ბოლომდე ვერ დაკონკრეტდა და ხშირად სტროფთა განლაგებას ხელოვნურობის ბეჭედი აზის¹¹⁷. მართლაც, როგორც ზემოთაც ითქვა, ნ. მარს ხელთ ჰქონდა გვიანდელი და თანაც ძალზე წარყვნილი ხელნაწერები და ტექსტში გარკვევა მხოლოდ ვარაუდების დაშვებით თუ შეიძლებოდა. როგორც ცნობილია, ნ. მარის ბევრი მიხვედრა დაადასტურა მეხოტბეთა შემდეგში აღმოჩენილმა ნუსხებმა. ნ. მარი ამავე წიგნში არაერთგზის შეეხო ვეფხისტყაოსანს, ტექსტის ცალკეულ ადგილებს, გაავლო ძალზე საგულისხმო პარალელები მეხოტბეთა თხზულებებსა და ვეფხისტყაოსანს შორის (მსოფლმხედველობრივი შეხვედრები, საერთო ლექსიკა, პოეტური სტილის როგორც ერთგვარობა, ისე დაშორიშორება და ა.შ.).

ამ დაკვირვებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ვეფხისტყაოსანის ენის შემდგომი შესწავლისა და, კერძოდ, ტექსტის გამართვისათვის. ბევრი რთული რუსთველური მეტაფორა, რომლის გა-

¹¹⁶ პ. ინგოროყვა, ჩახრუხაისძე, ჟურნ. „კავკასიონი“, 1924, № 1—2, გვ. 272; ჩვენ ზემოთ მოვიტანეთ სხვა მკვლევართა მოსაზრებებიც, რომლებიც ასევე აფასებდნენ ნ. მარის შრომას. ამდენად, ვფიქრობთ; ზედმეტად მკაცრი მოჩანს „თამარიანის ახლად გამოცემის ივ. ლოლაშვილის სიტყვები, რომ ნ. მარმა „ყოვლად გაუმართლებელი პიპოტეზებით მნიშვნელოვნად დაამუხრუჭა „თამარიანის“ პრობლემების შესწავლა“ და, ა. შ. (იხ. „თამარიანის“ ახალი გამოცემა, გვ. 18, 26, 42, და სხვ.); მაშინ როცა ჩვენი აზრით, „თამარიანის“ სტრუქტურის აღდგენის დროს ნ. მარის მართებულ კონცეფციას ძირითადად მხარს უჭერს „თამარიანის“ ახალი გამოცემა (თუმცა ცალკეული ოდების ჩამოყალიბების დროს შესახებ აქ განსხვავებული მოსაზრებაა წამოყენებულს).

¹¹⁷ ს. ცაიშვილი, „თამარიანის“ ტექსტისათვის, გაზ. „სახალხო განათლება“, № 10; იხ. აგრეთვე „თამარიანის“ ახალი გამოცემა, ივ. ლოლაშვილის რედაქციით. 1957.

შიფრის გარეშე ძნელია კონტექსტის გაგება და ტექსტუალურ სიძნელეთა გადალახვა, უკვე მოცემული იყო ამ გამოცემაში (მაგ., ისეთი მეტაფორული სახეები, როგორიცაა „მელნის ტბა“, „გიშრის ტბა“, „ტანი-ლერწამი“, „ბროლ-ლალი“, „ალვის მორჩი“ და სხვ.)¹¹⁸. ვეფხისტყაოსნის ენის თავისებურებათაგან საკმარისია აქ გავიხსენოთ ისეთი საინტერესო მოვლენა, როგორიცაა პრევერბების ცალკე ერთეულად გამოტანა. პოეტური ფრაზის დინამიურობისათვის ზმნათა გაორმაგება, მაგრამ ისე, რომ მეორეჯერ ზმნა მხოლოდ პრევერბით (ზმნისწინით) არის გადმოცემული, რაც შ. რუსთაველის პოეტიკის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანთაგანია (მაგ., „დაეყოვნეს“ მოსდევს ზმნისწინის „და“ განმეორება, „მომხვდეს“ ზმნის „მო“ ზმნისწინის და ა. შ. გავიხსენოთ ისეთი ცნობილი რუსთველური გამოთქმები, როგორიცაა: „თვალთა წინა წა გ ვ ი ვ ი და ლალი, კუშტი, ამაყი, წა...“ 209; „მაგრა ნაცვალსა პატიჟსა მი გ ც ე მ ს ო ზენა, მი, ცისა...“ 523; „ღავარ თქვა: მქმნელი ამისა ვარ არ და მქოლოს ვინ არ, და...“ 582; „ღ ი ა ც ს ა წყენა შე ე ა ტ ყ ო, ნახა შესლვითა, შე, ვითა...“ 1098). დღეს ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. მაგრამ ამ ენობრივ თავისებურებას პირველად ნ. მარმა მიაქცია ყურადღება. მან შენიშნა, რომ აქაც შეხვედრები ჰქონდათ მეხოტბეებსა და რუსთაველს¹¹⁹. თუ მეხოტბეებთან სულ რამდენიმე ასეთი შემთხვევა დასტურდებოდა („თამარიანში“: „ცისკრობს მოხედვა, მოკლის, მო ხედვა“... VII, 10; „მ ო გ ყ ვ ა, მო, ნებად, შენდა მონებად“... XV, 11; „წ ა უ ლ ე რანი, წ ა, უღერანი... V, 23; „აბღულმესიანში“: „ყურნი მო მ ა პ ყ ა რ თ, მო გონებანი“ — 78)¹²⁰, ვეფხისტყაოსანში იგი ძალზე გავრცელებული პოეტური ხერხია. ამ მოვლენის აღნიშვნა საინტერესო იყო არა მარტო ვეფხისტყაოსნის პოეტიკის თავისებურებათა გამოვლენისათვის, არამედ ტექსტის მრავალი ბუნდოვანი ადგილის გასამართავადაც. როგორც ცნობილია, ვეფხისტყაოსნის მანამდე არსებულ გამოცემებში თითქმის ყველა ისეთი ადგილი, სადაც ზმნისწინი ცალკე ერთეულად იგულისხმება, დამახინჯებულად იყო წარმოდგენილი და სრულიად გაუგებარს

¹¹⁸ «Одписцы», 1902, стр. 57—64, 67 და სხვ. როგორც ნ. მარის არქივის შესწავლამ გამოარკვია, სპეციალურად ვეფხისტყაოსნის მეტაფორებზე ნ. მარს ჰქონია დიკციონები უკვე 1903—1904 წლებში. იხ. მისი ნაშრომი: «Из лекций по Барсовой коже», წიგნში: «Вопросы Вепхисткаосани и Висрамиანი», ი. მეგრელიძის რედაქციით და კომენტარებით, 1966 გვ. 42—49.

¹¹⁹ იხ. «Одписцы», 1902, გვ. 64—65, 81.

¹²⁰ მითითებულია ივ. ლოლაშვილის გამოცემებით. შ. დლონტმა ზემოთ დასახელებულ ნაშრომში (გვ. 157—158) მართებულად შენიშნა, რომ მეხოტბეებთან ზმნისწინების გამეორება მხოლოდ ერთი ფუნქციით (შინაგანი რითმის მოწესრიგება) არის გამოყენებული.

ხდიდა სტრიქონს (მაგალითად, 209-ე სტრიქონი ასე იყო დაბეჭდილი ბროსეს, ჩუბინაშვილისა და ქართველიშვილის გამოცემებში: „თვალთა წინა წაგვივიდა. ლალი, კუმტი, ა მ ა ყ ი წ ა“).

ნ. მარმა ამასთან პირველთაგანმა აღნიშნა, რომ მეხოტბებთან და განსაკუთრებით შ. რუსთაველთან მაღალ პოეტურ სიმაღლემდე აყვანილი ეს ხერხი სასაუბრო, ხალხური მეტყველებიდან იღებს სათავეს¹²¹.

თუ ნ. მარის ზემოთ დასახელებული წიგნი მეხოტბებზე რუსთაველური კვლევისათვის მაინც ერთგვარი შემზადებაა, 1910 წელს ქვეყნდება მისი მონოგრაფიული ნარკვევი ვეფხისტყაოსნის პროლოგსა და ეპილოგზე (მასვე ახლავს ეტიუდი „რაინდობა და ქალის კულტი ვეფხისტყაოსანში“), რომელშიც სანიმუშო სიღრმითა და სისავსით იყო დამუშავებული ვეფხისტყაოსნის რთული პრობლემატიკა. ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, „ვეფხისტყაოსნის გენიოსი ავტორის მსოფლმხედველობისა, მიზნისა და პოეტური მრწამსის შესახებ პირველი მშვენივრად დაწერილი მონოგრაფია აკად. ნიკო მარის კალამს ეკუთვნის. მისმა ამ გამოკვლევამ ვეფხისტყაოსნის შესწავლის ახალი ხანა შექმნა, ხოლო მსოფლიო ლიტერატურასთან პარალელების წამოყენებამ შოთა რუსთაველის მნიშვნელობას წინანდელი ვიწრო, მხოლოდ საქართველოთი შემოფარგლული, საზღვრები გადაულახა და ცხადჰყო ის ადგილი, რომელიც შესაძლებელია ქართველი მგოსნის უკვდავ ქმნილებას კაცობრიობის პოეტური და გონებრივი კულტურის ისტორიაში მივაკუთვნოთ“¹²².

სხვა პრობლემათა შორის აქ წინ არის წამოწეული ვეფხისტყაოსნის ტექსტოლოგიური საკითხები. ნ. მარი შეეცადა აღედგინა ვეფხისტყაოსნის ერთ-ერთი ყველაზე დაზიანებით მოღწეული ნაწილები: წინასიტყვაობა (პროლოგი) და ბოლოსიტყვაობა (ეპილოგი).

ნ. მარი მრავალმხრივი ასპექტით მიუდგა საკვლევ ობიექტს. ტექსტის ლინგვისტურ ანალიზთან ერთად, იგი საკმარისი სისრულით შეეხო

¹²¹ თუმცა, როგორც ამას შ. ძიძიგური შენიშნავს, ნ. მარს სთანაღო მაგალითები ამ დებულების საილუსტრაციოდ არ მოუტანია (ასახელებდა მხოლოდ მესხური კილოს გავლენას), იხ. შოთა ძიძიგურის „რუსთაველის ენის საკითხები“, 1966, გვ. 50—54, სადაც მკვლევარს მოაქვს საინტერესო მასალები მოხუერი და მესხური მეტყველებიდან პრეერბთა ანალოგიური გამოყენების შემთხვევების საილუსტრაციოდ და ასყენის: „ამრიგად, ქართული კლასიკური პოეტური ენის ეს თავისებურება ხალხური მეტყველების ძველი ნორმა, მშვენივრად არეკლილი რუსთაველის (აგრეთვე ჩანარუხაძე-შავთელის) ენაში“, გვ. 54.

¹²² ი. ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, 1956, გვ. 11; მიუხედავად რიგი ძალზე სადავო დებულებისა, ასევე მნიშვნელოვანია ნ. მარის 1917 წ. გამოქვეყნებული ნაშრომი: «Грузинская поэма «Витязь в Барсовий шкуре» Шоты из Руставы и новая культурно-историческая проблема».

შოთა რუსთაველის პოეტური ენის თავისებურებებს, მხატვრულ-გამომხატველობით საშუალებებს. დასასრულ, პროლოგ-ეპილოგის ავთენტიკურობის საკითხი უშუალოდ პოემის იდეური შინაარსის გაგებას დაუკავშირა.

ამ პოზიციებიდან სრულიად ახლებური გაშუქება მიეცა მთელ რიგ საკითხს. ნათელი შეიქნა რომ როგორც ენობრივად, ისე მხატვრული გამომხატველობითი ხერხებით პროლოგი იძლევა პოემის ძირითადი ტექსტის ზუსტ პარალელებს. არც ერთი ლექსიკური ფაქტი, ენობრივი თავისებურება ან მხატვრული გამოთქმა (განსაკუთრებით ტროპიკის სფეროდან), რომელსაც მკვლევარი ეხება, ასწორებს ან განმარტებას გეთავაზობს, არ არის დატოვებული ძირითად ტექსტთან სათანადო პარალელის გარეშე (შდრ. მსჯელობა სიტყვებზე: „მიაჭეთ“, „შეუშრობილი“, „ხეული-ხევა“, „მიჯნური“, „ლმობასა“, „გასაგმირო“, „მარებლად“, „ბალახში“ და სხვ.; ასევე ენობრივ მოვლენებზე, რომლებიც ამხელენ პროლოგის ტექსტის სიძველეს: მოთხრობითი ბრუნვის თავისებურებანი, შეთანხმება რიცხვში, პოსტპოზიციური მსაზღვრელ-საზღვრულის სიჭარბე, დროის გამოხატვა, სახელებისა და ზმნების გაფორმება და ა. შ. პროლოგში წარმოდგენილი მეტაფორების პარალელები: „გიშრის ტბა“, „ბროლ-ბაღახში“, „მარგალიტი ობოლი“, „ლომი“, „მზე“ და სხვ. მრავალი).

ამასთან ნ. მარმა პროლოგის იდეური შინაარსის ანალიზის საფუძველზე სასტიკად გააკრიტიკა სკეპტიკური თეორიები (ალ. სარაჯიშვილის, განსაკუთრებით კი დ. კარიჭაშვილის დებულება) და პროლოგი პოემის სისხლხორცეულ ნაკვეთად აღიარა. მეტიც, აქვე მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ვეფხისტყაოსნის ძირითადი იდეური შინაარსის სწორად ამოცნობისათვის მნიშვნელოვანი როლი პროლოგსა და იქ გამოთქმულ შეხედულებებს ენიჭება. ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ ამავე წიგნში მოთავსებული გამოკვლევის თეორიული ნაწილი „ქალის კულტი და რაინდობა ვეფხისტყაოსანში“ — ძირითადად ეყრდნობა სწორედ პროლოგში გამოთქმულ დებულებებს¹²³.

სწორედ ამგვარმა კომპლექსურმა მიდგომამ მისცა საშუალება მკვლევარს, რომ დადებითად გადაეჭრა პროლოგ-ეპილოგთან დაკავში-

¹²³ შდრ. В. Ф. Шншмарев, К истории любовных теорий романского средневековья, ЖМНП, 1909, XI; А. Веселовский, Женщины и старинные теории любви. Из поэтики розы, СПб, 1912; აგრეთვე, ზ. ავალიშვილი, ვეფხისტყაოსნის საკითხები. პარიზი, 1931; ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, 1966, გვ. 25—34; ნ. ნათაძე, რუსთაველის ქალის კულტი და მისი ფსევები („მნათობი“, 1965, № 2); ე. ჩიბლაძე, რუსთაველის ესთეტიკური საუბარო, 1966, გვ. 42 — 50; ს. ცაიშვილი, რუსთაველის პოეტიკა, წიგნში: ნ. ნათაძე, ს. ცაიშვილი, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, 1966, 116—117 და სხვ.

რებული რიგი ტექსტუალური საკითხი. ნ. მარისეული კვლევა-ძიების უმთავრესი მონაპოვარი მაინც ის იყო, რომ მან თავისი ნაშრომით განამტკიცა ტრადიციული შეხედულება: ვ ე ფ ხ ის ტ ყ ა ო ს ნ ის თ ა ვ - დ ა პ ი რ ვ ე ლ ტ ე ქ ს ტ ს ი მ თ ა ვ ი თ ვ ე ა ხ ლ და წ ი ნ ა ს ი - ტ ყ ვ ა ო ბ ა და ბ ო ლ ო ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა (ყოველ შემთხვევაში რამდენიმე სტროფი მაინც რუსთველისეული უნდა იყოსო)¹²⁴.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მანამდე არსებულ გამოცემებთან შედარებით პროლოგ-ეპილოგის აქ წარმოდგენილი ტექსტი როგორც ორთოგრაფიით (მაგ., აუცილებელი ასო კარის გამოყენება სიტყვებში: „კელოვნებდეს“, „კმარება“ „კორცთა“ და სხვ.; ზმნათა პირის წიშნების მართებული აღნიშვნა და ა. შ.), ისე ენობრივად ყველაზე უფრო იყო მიახლოებული რუსთველის ეპოქას, რაც აშკარად მკვლევრის მიერ ძველი ქართული ენის შესანიშნავ ცოდნაზე მეტყველებდა.

მიუხედავად ამისა, ნ. მარის ზემოდანაჩელებულ ნაშრომს თან დაჰყვა სერაოზული ნაკლოვანებანი. ეს თანაბრად შეეხება როგორც კვლევის მეთოდოლოგიას, ისე მკვლევრის მიერ პროლოგ-ეპილოგის აღდგენილ ტექსტსაც.

ნ. მარმა ზედმეტად სკეპტიკური მიდგომა გამოიჩინა ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა მიმართ. მისი აზრით, რადგან ხელნაწერები შედარებით გვიანდელი ხანისანი იყვნენ, მათ დიდი ყურადღება არც უნდა მიქცოდა. ეს კარგად ჩანს, მაგალითად, როცა ნ. მარი ეხება თუნდაც პოემის ტექსტში გარკვეული ორთოგრაფიის გატარების საკითხს: «Есть еще третья сторона, которой мы почти не касаемся: это — орфографическая. О ней можно говорить только тогда, когда будут на лицо рукописные материалы для критического издания. И для обсуждаемых мною вопросов от рукописных материалов мы можем ожидать некоторой помощи, хотя, насколько пока известно, наличие списки не заходят древнее XVII-го века»¹²⁵.

ასეთსავე შეხედულებას გამოსთქვამდა მკვლევარი ადრე, როცა იგი მეხოტბეების ტექსტზე მუშაობდა. მართლაც, მეხოტბეების თხზუ-

¹²⁴ ნ. მარი პროლოგსა და თვით პოემას შორის ურყევ კავშირზე შემდეგშიაც ხშირად მიუთითებდა, მაგალითად, 1927 წ. ს. კაკაბაძის მიერ გამოცემულ ვეფხისტყაოსანზე დაწერილი რეცენზიის ხელნაწერში, რომელიც ახლახან დაიბეჭდა, გკითხულობთ: «...С. Н. Какабадзе не заметил, что между «основной частью» и вступительными строфами поэмы такая неразрывная связь, что куда будет вынесено введение, туда неминуемо дорога и всей поэме в подлинной ее, так наз. основной части». См. книгу «Об истоках творчества Руставели...», под редакц. И. В. Мегрелидзе, 1964, стр. 160.

¹²⁵ Т. Р. XII, 1910, стр. VI.

ლებათა შემცველი ხელნაწერები, რომლებიც მას ხელთ ჰქონდა, მე-18, მე-19 საუკუნისანი და თანაც ძალზე წარყვნილი (მათ შორის დ. რეჟეტორის ნუსხებიც) იყვნენ¹²⁶. მაგრამ ამის თქმა ვეფხისტყაოსანის ხელნაწერებზე არ იყო მართებული, რადგან 1910 წლისათვის, როცა ნ. მარი წერდა თავის შრომას, ვეფხისტყაოსნის ის ძირითადი ხელნაწერები, რომელსაც დღეს ჩვენ ვიყენებთ, მეტწილად თითქმის ცნობილი იყო. მართალია, ეს ხელნაწერები მე-17 საუკუნის იქით აღარ მიდიან სიძველით, მაგრამ, თუ რაოდენ ძვირფას მასალას შეიცავენ პოემის ტექსტის აღსადგენად, დღეს საკამათო აღარ არის¹²⁷.

მკვლევარმა არა თუ შეისწავლა ხელნაწერები, ან გამოიკვლია მათი ავთენტიკურობა თუ ურთიერთმიმართება, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ტექსტის ისტორიისათვის, არამედ სრულიად უარყო მათი გამოყენების საჭიროება და ოდენ ლინგვისტურ ანალიზზე დაყრდნობით ვიწროდ გაგებული ტექსტის კრიტიკით შემოიფარგლა.

აღნიშნულმა მეთოდმა, სულ მცირე, ორი სერიოზული სახის ცთომილება გამოიწვია: ნ. მარმა ვერ შეძლო პროლოგის თავდაპირველი კონსტრუქციის აღდგენა. მეორეც, ტექსტის წარყვნილი ადგილების მისეული აღდგენის ცდა, რომელიც მეტწილად კონიექტურული ხასიათისა იყო, არ დაადასტურა ვეფხისტყაოსნის ტექსტის შემდგომმა კვლევამ.

პროლოგის თავდაპირველი სახის აღსადგენად ხელნაწერების გამოყენების ნაცვლად (მაშინ როცა, როგორც დღეს გარკვეულია, ეს ხელნაწერები იძლევიან ამის საშუალებას. იხ. ამაზე პროლოგისადმი მიძღვნილ სპეციალურ თავში) ნ. მარმა მიმართა ნებისმიერ რეკონსტრუქციას, დაშალა პროლოგის მთლიანი შენობა და ახლად ააგო იგი უკვე გარკვეულ სუბიექტურ მოსაზრებებზე დაყრდნობით. ამას არც უარყოფს მკვლევარი: «Что же касается восстановленного порядка подлинных четверостиший, в настоящей работе я сошлюсь лишь на основной мой довод в пользу его правильности, и именно в печатление читателя: если восстановленный порядок недостаточно сам по себе красноречив в глазах читателей, чтобы

¹²⁶ Древнегрузинские описцы, 1902, стр. 107; იქვე მკვლევარი გამოთქვამს თვლს, რომ იქნეუ მომავალში აღმოჩნდეს უფრო ძველი ნუსხები, რომლებიც მეტ სინათლეს შეიტანენ მეხოტბეთა ტექსტშიო. როგორც ცნობილია, ასე მოხდა კიდეც (შდრ. ს. ციციშვილი, თამარიანის ტექსტისათვის, გაზ. „სახალხო განათლება“, 1955, № 10; მეხოტბეების ახალი გამოცემები ივ. ლომიშვილის რედაქციით).

¹²⁷ შემდეგში ნ. მარი აღნიშნავდა კიდეც მათ მნიშვნელობას, თანაც დასძენდა, რომ მათი გამოყენებისათვის მკაცრი მეცნიერული მეთადოლოგია არის საჭიროო. იხ. Н. Я. Марр, Об истоках творчества Руставели, под редакцией И. В. Мегрелидзе, стр. 158.

оправдать его, едва ли помогут упрочить значение этой части нашей работы какне либо другие побочные доказательства»¹²⁸.

გაბელული (და დავსქენდი — ნებისმიერი) ტექსტუალური ოპერაციების შედეგად პროლოგმა სრულიად დაკარგა ის მწყობრი თანამიმდევრობა, რომელიც მას ხელნაწერებში მოეპოვება და რომელიც ამხელს მისი ავტორის მხატვრულ ჩანაფიქრს, რაც თავის მხრივ ეხმაურებოდა ამ ტიპის აღმოსავლური თხზულებებისათვის შემუშავებულ გარკვეულ კომპოზიციას¹²⁹. ამ მხრივ ხელნაწერებს მხოლოდ გაცხრილვა ესაპირობა გვიანდელ ჩანართთაგან (მათი შედარებითი შესწავლა ამის საშუალებას იძლევა) და არა აქ მოცემული პროლოგის თანამიმდევრობის უარყოფა. ნ. მარის მიერ ტექსტზე გაწეული ოპერაციის შედეგად, მაგალითად, მე-3 სტროფს „ვის შეენის, — ლომსა, — ხმარება უბისა, ფარ-შიმშერისა...“ მოსდევს არა მისი შესაფერი წყვილი: „თამარს ვაქებდეთ მეფესა...“, არამედ მე-18 სტროფი — „ხამს მელექსე ნაჭირებსა...“, სადაც ზოგადად მიჯნურობაზეა საუბარი და არაფრით არ ესადაგება კონკრეტული აღრესატის მქონე (დავითისა და თამარის სახით) მე-3 სტროფს, ასევე მე-7 სტროფს („მო, დავსხდეთ ტარიელისთვის...“), საიდანაც იწყებს პოეტი თავისი ჩანაფიქრის გამელაგნებას, მოულოდნელად მოსდევს შაირობის თეორიის წინამორბედი მე-11 სტროფი („რაცა ვის რა ბედმან მისცეს...). მაგალითების მოტანა შორს წაგვიყვანდა. ტრადიციული პროლოგის თითქმის ყველა სტროფი დაძრულია ადგილიდან და შემდეგ მკვლევრის ნებისამებრ ახლებური თანამიმდევრობითაა განლაგებული¹³⁰.

ამავე მეთოდმა, თანაც ზოგ საკითხზე (პოემის იდეური შინაარსის სფეროდან) წინასწარ შემუშავებულმა მოსაზრებამ ძირითადი ტექსტის მიღმა დატოვა ამჟამად აშკარად რუსთველისეულად აღიარებული

¹²⁸ Т. П. XII, 1917, стр. VI

¹²⁹ შტრ. ა. ლ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, მცირე შენიშვნები, უნივერსიტ. შრომები, 1936, V, გვ. 229—232; შრომის ავტორი ანალოგიების მოშველიებით (მაგალ. „შაჰანაშე“, „ლილ-მეფენუნიაში“, „ვისრამიანი“, „ისქანდერ-ნამე“, და სხვ.) მართებული აღსკვნის, რომ „ვეფხისტყაოსანს იმთავითვე აუცილებლად უნდა ჰქონოდა სათანადო შედგენილობის პროლოგი (ე. ი. ვეფხისტყაოსანის პროლოგში უნდა ყოფილიყო: ლეთის ქება, მეფე-პატრონთა შესხმა და ისტორიულ-ლიტერატურული ცნობების შემკველი სტროფები). ეს გარემოება მხედველობაში უნდა იქონიოს ვეფხისტყაოსანის ტექსტის დამდგენმა“. უფრო ადრე, მეხოტბეების მიხედვით გამოცემაში ნ. მარის ასევე მართებულად შენიშნა, რომ ლეთაების ქებას სპარსულ პოეზიაში ტრადიციულ ქცეული მეცენათის შესხმა (ხოტბა) მოსდევს ვეფხისტყაოსანში (იხ. დასახ. გამოცემის 56-ე გვერდი).

¹³⁰ 1957 წლის და 1966 წლის საიუბილეო გამოცემასთან შედარებით ნ. მარის შრომაში პროლოგმა ასეთი სახე (სტროფთა რიგის მიხედვით) მიიღო: 1, 3, 18, 19, 4, 5, 10, 9, 6, 7, 11, 24, 20, 27, 21, 31, 28, 30, 29, 23, 25, 26, 22, 12, 13, 14, 15, 16, 17, რაც, როგორც აღვნიშნე, სრულიად ეწინააღმდეგება ხელნაწერებით შემონახულ ტრადიციულ თანრიგს.

სტროფები. სანიმუშოდ მოგვეყვას მხოლოდ რამდენიმე მაგალითი: ნიკო მარის სრულიად მართებული მოსაზრებით ვეფხისტყაოსანში მძლავრად ფეთქს მიწიერი, ამქვეყნიური სიცოცხლე: «Для Шоты в земной жизни было не только низменное, но все для человека благородное и возвышающее; его певцом он и являлся»¹³¹.

ეს თავისთავად მისაღები დებულება ავტორს ოდნავ სწორხაზოვნად აქვს განვითარებული. რუსთაველი მხოლოდ მიწიერი სიყვარულის პოეტია და, ამიტომ, ყველა ის ადგილი, სადაც სხვაგვარ, ამ შემთხვევაში „ზეციურ“ სიყვარულზე არის მითითება, ე. წ. „აღორძინების ხანის“ ინტერპოლაციას მიეკუთვნებაო. აქედან გამომდინარე, სტროფი —

ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა,
ძნელად სათქმელი, საჭირო გამოსაგები ენათა;
იგია საქმე საზო, მომცემი აღმაფრენათა;
ვინცა ედღების, თმობამცა ჰქონდა მრავალთა წყენათა (20).

ნ. მარმა ჩანართად აღიარა. ასეთივე საბუთიანობით, ჩანართებში მოყვა მომდევნო სტროფიც, რადგან იგი წინა სტროფებთან აზრობრივდაა დაკავშირებული („მას ერთსა მიჯნურობასა ჰკვიანნი ვერ მიხვდებიან... 21). ღღეს, რასაკვირველია, ნ. მარის ამგვარი ინტერპრეტაციის გაზიარება არ იქნებოდა მართებული. საქმე ის არის, რომ რუსთაველი თეორიულად იცნობს და ასახელებს კიდევ ე. წ. „სალმრთო“ მიჯნურობას (იხ. ზემოთ მოტანილი სტროფები), მაგრამ მომდევნო სტროფით იგი შენიშნავს, რომ თვითონ მან „ხელობანი ქვევანი“ თქვა, რომელნიც „ხორცთა ხედებიან“. აქ პოეტი საკუთარ პოზიციას გვიმჟღავნებს, ასახელებს „სალმრთო“ მიჯნურობას, თუმცა იგი ამქვეყნიურ სიყვარულსაც განადიდებს, რაც ბრწყინვალედაა განხორციელებული პოემაში. მხოლოდ ამგვარი მიდგომით არის შესაძლებელი ვეფხისტყაოსნის მართებული შეფასება¹³².

ჩვენი აზრით, ეს მაგალითებიც უკვე ნათელს ჰფენს პროლოგისადმი ნ. მარისეულ დამოკიდებულებას. ამ მეთოდით პოემის გარეთ დარჩა ისეთი მაღალი პოეტური ადგილები, როგორიცაა პროლოგის შემდეგი სტროფები: „ჰე ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ... (1), „მე, რუსთველი, ხელობითა...“ (8), „მიჯნური შმაგსა გვიქვიან“ და მრავალი სხვა (თუ ვახტანგის გამოცემაში პროლოგი შეიცავს 31 სტროფს, რაც შემდეგში ტრადიციად იქცა, ნ. მარმა პროლოგი დაიყვანა 22 სტროფამდე, ხოლო ეპილოგი — 2 სტროფამდე).

¹³¹ Т. Р., XII, 1910, გვ. 49.

¹³² უდრ. М. Воруа, Inspiration and Poetry, London, 1955, გვ. 50; იხ. აგრეთვე ზემოდასახელებული ლიტერატურა ვეფხისტყაოსნის პროლოგის გარშემო.

ნ. მარმა ამ შემთხვევაშიც სრულიად უგულებელყო პროლოგ-ეპილოგის ხელნაწერული ტრადიცია, რომელიც თავის ძირითად ნაწილში სწორად უნდა ინახავდეს თავდაპირველ სახეს (ხელნაწერებში არსებულ ვითარებაზე დაწვრილებით იხ. სათანადო თავში).

ამავე მეთოდმა განაპირობა ისიც, რომ მთელი რიგი წაკითხვებისა, რომელიც შეიტანა ნ. მარმა მის მიერ რეკონსტრუირებულ პროლოგ-ეპილოგის ტექსტში, უმართებულო ჩანს. მიემართოთ, პირველ ყოვლისა, ჩვენთვის უკვე ნაცნობ მაგალითს. 22-ე სტროფის მე-4 სტრიქონი წინა გამოცემებში და მათ შორის კარიჭაშვილთანაც¹³³ იკითხებოდა ასე: «კვლა ზოგთა ქვე უც ბუნება კეკლუტთა ზედა ფ რ ე ნ ი თ ა». ნ. მარმა შენიშნა ამ წაკითხვის უმართებულობა (თუნდაც იმიტომ, რომ მე-3 სტრიქონში ეს სიტყვა უკვე გვაქვს სარიტმო ერთეულში „აღმაფრენითა“), მაგრამ მოუხსინოთ თვითონ მკვლევარს: «В завещанном тексте последняя фраза по-грузински гласит кеклутთა ზედან ფრენითა, что значит: «они порхают (букв. летают) над красавицами». Слово ფრენითა летают (букв. летанием) не может быть первоначальным чтением, так как этот же глагол уже использован в предыдущем, 3-м стихе, того же четверостишия. Искаженное чтение можно легко заменить другим словом, не нарушая самых строгих требований грузинской прозодии. Затруднение лишь в том, чему отдать условное предпочтение. Вместо ფ რ ე ნ ი თ ა можно бы читать л ხ ე ნ ი თ ა, и тогда занимающая нас часть по-русски значила бы: «они находят отраду с красавицами». Я остановился на чтении ფ ე ნ ი თ ა, отличающемся от наличного лишь отсутствием одной буквы რ, но если сохранить при этом предшествующий послелог ზ ე დ ა ნ, получится маловероятный по цинизму текст: «они расстилаются на красавицах». Заменяв же ზ ე დ ა ნ — ნ ა დ, ნ ა послелогом თ ა ნ ა — ო კ ო ლ ო, ბ ლ ი ზ, უ, мы получаем наше, конечно, условное чтение с данным уже переводом: расстилаются у красавиц»¹³⁴.

ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები სავსებით დადებითად წყვეტენ ამ საკითხს და ეს მსჯელობა, კონიექტურათა შემოთავაზება სრულიად ზედმეტი ჩანს (იხ. ხელნაწერებში: «კეკლუტთა ზედან ფ რ ფ ე ნ ი თ ა»), თანაც ამ სიტყვას კარგად იცნობდა პოეტი

¹³³ როგორც ახლა გამორკვეულია, ამ ხანებში ნ. მარი კვლევის დროს სამუშაო ტექსტად იყენებდა დ. კარიჭაშვილის 1903 წ. გამოცემას სათანადო ორთოგრაფიულ ცვლილებათა შემაღმომ (იხ. М. Гугушвили, Л. Дзюен-дзе, Н. Я. Марр — Исследователь текста «Вепхисткаосани», თურბ. მაეცე, 1966, № 5).

¹³⁴ Т. Р, XII, 1910, стр. 53.

მარმა ასევე პირველთაგანმა შენიშნა, რომ დამახინჯებული იყო ჭერ კიდე ვახტანგის გამოცემიდან მომდინარე წაკითხვა პროლოგის შესამე სტროფისა, რომელსაც, სხვათა შორის, დ. კარიჭაშვილიც ასევე კითხულობდა:

მას, არა ვიცი, შევკადრო შესხმა ხოტბისა ხშირისა |
მისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს, მართ მშვიერისა¹³⁵.

5. მარმა აღნიშნა როგორც აზრობრივი, ისე ფორმალური (ირღვევა საყრდენ თანხმოვანზე გაწყობილი რითმა) ღეფექტი. შეასწორა კიდეც — „მას არა ვიცი შევკადრო შესხმა ხოტბისა, შ ე რ ი ს ა, მისთა მჭვრეტელთა ყანდისა, მირთმა ხამს მართ და შ ე რ ი ს ა“, მაგრამ მეორე სტრიქონის „და შ ე რ ი ს ა“ აშკარად ხელოვნურია. და შუაზე ჰყოფს „მართ“ და „შერი“-ს შესიტყვებას, არც „შერის“ მარისეული გაგებაა რუსთველისათვის დამახასიათებელი: სპარს. „შერი“ — რძე; და ასეც რომ გავივით ეს სიტყვა, სტრიქონი აზრობრივად მაინც გაუმართავი გამოდის.

ხელნაწერები იძლევიან საშუალებას ასე გაიმართოს სტრიქონი: „მისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს მართ შ ი შ ე რ ი ს ა“. ამჟამად არსებობს ამ ადგილის სხვადასხვა გაგება: მაგალითად, იუსტ. აბულაძე მას ორად ჰყოფდა: „მი შერისა“ და „მი“ ზმნისწინად მიაჩნდა, რაც რუსთველისათვის დამახასიათებელი ხერხია. ზმნა „მირთმა“ განმეორებულია „მი“ ზმნისწინით¹³⁶, ვ. ბერიძე ეთანხმება შ ე რ ი ს, როგორც რჩეულის გაგებას. 1904 წლის „მოამბის“ მეხუთე ნომერში ეს შენიშნა ეპისკოპოსმა კირიონმა და სულხან-საბას განმარტება მოიშველია: შერი — რჩეულიაო, წერდა საბა, მაგრამ მკვლევარი მომდევნო სტრიქონში „მიშერს“ ერთ სიტყვად კითხულობს: „მიშერი“ ე. ი. მისრული, ეგვიპტური და იგი ყანდის განმარტებააო. აქედან სტრიქონის აზრი: მისთა მჭვრეტელთ მართებთ, რომ მას ეგვიპტური ყანდი მიაართვეან¹³⁷.

¹³⁵ დ. კარიჭივილი იძლევა ბოლო სტრიქონის ასეთ „თარგმანს“: „მის მაცქერალთ მხოლოდ ყანდის (შაქრის) კპა დასკირდებათ, მშვიერებიც რომ იყვნენ...“ (ვეფხისტყ. 1903 წ. გამოც. გვ. 263). ეს განმარტება ნასესხებია ვახტანგის კომენტარიდან. იხ. მე-3 სტრ. განმარტება (1712 წლის აღდგ. გამოც. გვ. სპთ). ვახტანგს ეყრდნობა თეიმურაზ ბაგრატიონიც. იხ. მისი „განმარტება“, გ. იმედაშვილის რედ. 1960, გვ. 3—4.

¹³⁶ ი უ ს ტ. ა ბ უ ლ ა ძ ე, რუსთველოლოგიური ნაშრომები, ი. მეგრელიძის რედაქციით, 1967, გვ. 74—85—89 და სხვ. შესაბამისად (რომ ტექნოლოგიური რითმა არ მიგველო) სწორდება წინა სტრიქონის ბოლო სიტყვაც: შე, -რისა; ასე იკითხება ეს ადგილი ა. ბარამიძისა და ა. შანიძის რედაქციით 1966 წ. გამოცემულ ვეფხისტყაოსნის ტექსტში.

¹³⁷ ე. ბ ე რ ი ძ ე, რუსთველოლოგიური ეტიუდები ი. მეგრელიძის რედაქციით, გვ. 189—192.

გიორგი წერეთელმა სპეციალურ მოხსენებაში (წაკითხული იყო მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე) ვეფხისტყაოსნის ტექსტის საკითხებზე შენიშნა, რომ მართებული ჩანს ხელნაწერთაგან ნაანდერძევი წაკითხვა:

მას, არა ვიცი, შევკადრო შესხმა ხოტბისა შერისა?
მისთა მპერეტელთა ყანდისა მირთმა ხამს. მირთ მიშერისა.

„ხოტბა შერისა“ აქ არაბული პოეტიკის ტექნიკური ტერმინის (ხუტბა შერ) გადმოცემა და რჩეულ ლექსს. რჩეული ქების შესხმას ნიშნავს, ხოლო მი შ ე რ ი ასევე არაბულ-სპარსული სამყაროდან ნასესხები სიტყვაა და მისი ერთ-ერთი მნიშვნელობაა: გოლეულის თაფლი, რაც ზუსტად ეთანხმება კონტექსტს. „არ ვიცი მას შევკადრო რჩეული ლექსები? მისი მნახველნი მას ყანდს (ყანდს კი არა), გოლეულის თაფლს უნდა უძღვნიდნენო“. ასე გაიძარტა აღნიშნული ადგილი ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ 1966 წ. გამოქვეყნებულ ვეფხისტყაოსნის გამოცემაში და შემდეგ 1966 წლის საიუბილეო გამოცემაშიც.

იმავე მიზეზთა გამო ნ. მარისათვის უცნობი დარჩა ხელნაწერებში შემონახული „შერისა“ და „მიშერის“ ზემოთ დასახელებული წაკითხვები. ასევე შეუმჩნეველი დარჩა მკვლევარს „მცა“ ნაწილაკის ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი კონსტრუქციები, რომელთა აღდგენა შესაძლებელია სწორედ ხელნაწერთა მონაცემებით, მაგალითად: ნ. მარისეულ ტექსტში ვკითხულობთ: „თავის წინა იგონებდეს, ნ ი ა - დ ა გ მ ც ა ჰ ქ ო ნ დ ე ს ხალვა“. უნდა იყოს: ნ ი ა დ ა გ მ ც ა ჰ ქ ო ნ - დ ა ხალვა“ — სტრ. 27. „ვინცა ეცდების თობათა, ჰქონდეს მრავალთა წყენათა. ხელნაწერების მიხედვით კი ასე უნდა აღდგეს ეს ადგილი: „ვინცა ეცდების, თ მ ო ბ ა მ ც ა ჰ ქ ო ნ დ ა მრავალთა წყენათა“ — სტრ. 20 და ა.შ. ზედმეტი ჩანს და ხელოვნურობის ბეჭედი აზის ნ. მარის მიერ მე-7 სტროფის მე-2 და მე-3 სტრიქონის ასეთ წაკითხვას:

დავსჯდე რუსთველი ვლექსიდე, მისთვის გულ-ლახვარ-სობილი:
აქამდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი.

აქ აშკარაა სინტაქსური შეთანხმების დარღვევა. „ვლექსიდე“ ზმნასთან ობიექტი მიცემითში იყო მოსალოდნელი: აქამდის ამბად ნათქვამსა, მარგალიტსა წყობილსა და სხვ., მაშინ როცა ის წაკითხვა, რომელიც გატარებულია თანამედროვე გამოცემებში, ხელნაწერებს ეყრდნობა, ენობრივად გამართულია და არაჩვეულებრივად ექსპრესი-

ულიცაა. „დავჯე, რუსთველმან გავლექსე, მისთვის გულ-ლახვარ-სობილი, აქამდის ამბად ნათქვამი აწ მარგალიტი წყობილი“ — აქ პოეტური ფრაზის სიმძაფრეს მოხდენილად გამოყენებული სინტაქსური ტმესა ქმნის: წინადადება „დავჯე მისთვის გულ-ლახვარ-სობილი“ გაყოფილია მეორე წინადადებათ: „რუსთველმან გავლექსე“, ხოლო მეორე წინადადებას — „რუსთველმან გავლექსე აქამდის ამბად ნათქვამი“ — თავის მხრით კვეთს პირველი წინადადების ნაწილი: „მისთვის გულ-ლახვარ-სობილი“ — მთელი წინადადება იშვიათად რთული, მაგრამ საოცრად ეფექტური მხატვრული ხერხითაა შესრულებული¹³⁸.

6. მარმა ხელნაწერების იგნორირების გამო, როგორც აღნიშნეთ, ტექსტის აღდგენის სიმძიმე კონიექტურებზე გადაიტანა. აქ საჭიროა ითქვას, რომ ზოგი მის მიერ შემოთავაზებული სავარაუდო წაკითხვა დღესაც იმსახურებს ყურადღებას. მაგალითად, ნ. მარმა ეჭვი გამოთქვა პროლოგის მე-4 სტროფის მე-3 სტრიქონის ტრადიციული წაკითხვის გამო: „მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მინა რხეული“. ნ. მარის აზრით, დამახინჯებულია სტრიქონის მეორე ნახევარი, რადგან „მინა რხეული“ არ შეეფერება აქ წარმოდგენილ მეტაფორულ შინაარსს. ვეფხისტყაოსანში ტანის ეპითეტად ლერწამია ნახსენები, ხოლო თავის მხრით, იგი ტანის, ამ შემთხვევაში, თამარის ტანის გამომხატველი მეტაფორაა¹³⁹. შდრ. „ტანი კალმად მაქვს, კალამი ნავლელოთა ამონაწები“ — სტრ. 1293; „კალმად გიკვეთ ვაწლობილსა ტანსა, წვრილსა ვითა თმასა“ — 962.

7. მარმა აღნიშნა ისიც, რომ ვეფხისტყაოსანში რამდენჯერმე დასახელებული საკრავი ნა ლერწმისაგან გაკეთებული მუსიკალური საკრავია და რიგ შემთხვევაში ლერწამსაც ნიშნავს. მკვლევარი დაასკვნის: «Давно уже предложенному мною единственно правильному б а и до сих пор издатели продолжают предпочитать искаженное чтение завещанного текста, именно мина (пер. *مين*) стекло,

¹³⁸ შოთა რუსთაველის პოეტური ენისათვის დამახასიათებელი სიტყვათა გამკვეთი, თუ უფრო რთული სახის სინტაქსური ტმესები საერთოდ დამახასიათებელია ძველი ქართლისათვის, ხოლო რუსთაველთან მას განსაკუთრებული მხატვრული ფუნქცია ეკისრება. შდრ. ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 266—267; თ. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ტმესი ძველ ქართულში, ჟურნ. „მაცნე“, 1966, № 5, გვ. 130—131.

¹³⁹ ვ. ნოზაძის სიტყვით: „მელნად მქონდა გიშრის ტბა ანუ შავი ტბა, ხოლო კალმად მქონდა მე ნა ანუ ნაჲ, ანუ ლერწამივით მერხევი, ნაზი კალამი ლერწამივითო“, იხ. მისი, ფერთამეტყველება, 1953, გვ. 113; ა. ვაწარელი ასე ხსნის მეტაფორის გადატანით შინაარსს: „მე მელნად მქონდა (თამარის) თვალები, ხოლო კალმად — ლერწამი (თვით მე ვიყავ) — იხ. ნარკვევები, 1938, გვ. 26, 51; ალ. ბარამიძის შენიშვნით,

в частности хрусталь, а также эмаль: в данном стихе ни стекло ни хрусталь, ни эмаль не имеет никакого смысла»¹⁴⁰.

შემდგომ გამოცემებში ჰპოვა აღიარება ნ. მარის გასწორებამ, ოლონდ იუსტ. აბულაძის მიერ ოდნავ სახეცვლილი ვარიანტი: „მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული“¹⁴¹. თუმცა ეკვი რამდენადმე კვლავაც რჩება. გარდა იმისა, რომ ნა-ს და არც მე ნა-ს ხელნაწერები არ იცნობენ, ჩვენ ზუსტად არ ვიცით „მინა“ სიტყვის ყველა ოდინდელი მნიშვნელობა, რომელიც იქნებ არც იყოს უკუსაგდები, მაგრამ ამას შემდგომი კვლევა სჭირდება.

ნ. მარის კონიექტურთაგან საინტერესოა 26-ე სტროფის მეორე სტრიქონის სარიტმო სიტყვის „თმობასას“ შეცვლა სიტყვით „ლმობასა“. კონიექტურის საფუძველი ის არის, რომ ეგვევ სიტყვა „თმობასა“ მეორდება მეოთხე სტრიქონის სარიტმო სიტყვაშიც; თანაც „ლმობასა“, ძალზე უხდება კონტექსტს „დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა, სთმობდეს გაყრისა ლმობასა“¹⁴². ნ. მარის ეს სავარაუდო წაკითხვა სრულიად მისაღები ჩანს და უნდა გავითვალისწინოთ მომავალ გამოცემებში¹⁴³.

ტექსტის თვალსაზრისით საინტერესოა აგრეთვე ნ. მარის შენიშვნა ვეფხისტყაოსანში ძალზე გავრცელებული სიტყვის „ბალახში—ბალახში“-ს გამო. მაგალითად, მე-3 სტროფში ნახსენები ეს სიტყვა ვახტანგისეულ გამოცემაში იკითხებოდა „ლაწე-ბ ა ლ ა ხ შ, თმა-გიშერისა“. ასე იყო წარმოდგენილი იგი ბროსეს (1841 წ.) და ჩუბინაშვილის (1860 წ.) გამოცემებში. ქართველიშვილის (1888 წ.) და შემდეგ მასზე დაყრდნობით კარიჭაშვილის გამოცემაში (1903 წ.) იგი „ბალახშია“ შეცვალეს¹⁴⁴. ამასთან დაკავშირებით ნ. მარი აკეთებს საგულისხმომო შენიშვნას:

„ნა რხეულიც“ თამარისავე ტანის მეტაფორაა, რაც უფრო მართებული ჩანს. იხ. ნარკვევები, ტ. III, 1952, გვ. 147.

¹⁴⁰ T.P, XII, 1910, стр. 28.

¹⁴¹ ი. ა ბ უ ლ ა ძ ე 1920 წელს ასე ასაბუთებდა ნ ა მ - ს ნ ა - დ შეცვლას: „სამუსიკო საკრავის მნიშვნელობით ხმარებული ეს ჩვენთვის საინტერესოა ნ ა მ ა ნ ნ ა რუსთველს უნიოდ აქვს ნახმარი (მოაქვს სათანადო მაგალითები ნა-ს ხმარებისა—ს. ც.) ამიტომ უპოვებელი იქნება, პატრიცემული მეცნიერის (იგულისხმება ნ. მარი — ს. ც.) შესწორება კიდევ უფრო შესწორდეს და ეს ადგილი წაკითხულ იქნას ასე: „მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული-ო“; იხ. რუსთველ. ნაშრომები, 1967, გვ. 79.

¹⁴² იხ. სულხან-საბას ლექსიკონი: „ლმობა — ტივილი“.

¹⁴³ ნ. მარის ეს კონიექტურა განხორციელებულია ვეფხისტყაოსნის პ. ინგოროყვასეულ გამოცემაში, 1953, გვ. 414.

¹⁴⁴ როგორც ცნობილია, იუსტ. აბულაძე, კ. ჭიჭინაძე თავიანთ გამოცემებში კვლავ „ბალახში“ აღადგენენ, მაგრამ 1937 წლის საიუბილეო გამოცემიდან კანონიკურ სახეს იღებს ფორმა „ბალახში“.

„ბალახში badagsh-i რუბინ представляет с закономерным яфетическим перебоем d в l ბალახში badagsh-i ბადახشان, страну, „где обретається руда рубина и золота или где продаются привозные рубин и золото,“ у Руставского поэта слово употреблено в значении бадахшанского рубина بدخشان или بدخشانی по-персидски значит рубин. Грузинская форма badagsh-i современна ли автору Барсовой кожи или позднейшая, надо еще установить, и спешить исправлять ее в ბალახში badagsh-i нет пока надобности.¹⁴⁵

ბ. მარის ეს შენიშვნა უფრო ფასეულია დღეს, რადგან კვლავ დაისვა ამ სიტყვის თავდაპირველი ფორმის აღდგენის საკითხი. ძველ ქართულ ძეგლთა ამ თვალსაზრისით შესწავლა გვიჩვენებს, რომ დიდი უმრავლესობა ავტორებისა მოკიდებული კლასიკური ხანიდან იცნობს ფორმას „ბალახში“. როგორც ჩანს, ამ გარემოებაში მიიყვანა თეიმურაზ ბაგრატიონი დასკვნამდე, რომ „ბალახში — ჩვენებურად ეწოდების — სპარსულად ამას ბადახშ ანუ ლალი-ბადახშ სახელედების“¹⁴⁶. აკადემიკოსი გ. წერეთელი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „თუ რა მნიშვნელობა აქვს სიტყვის ისტორიის შესწავლას ტექსტის სწორად აღდგენისათვის, ეს კარგად ჩანს შემდეგი მაგალითიდან. ეს არის სიტყვა „ბალახში“. ეს სიტყვა ვეფხისტყაოსანში ხშირად გვხვდება, როგორც ეპითეტი ბაგეების აღსანიშნავად, ისევე როგორც ამას სპარსულ პოეზიაში აქვს ადგილი. ჩვეულებრივ, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებში, ისევე როგორც ქართული ლიტერატურის სხვა ძეგლებში, იგი „ბალახშის“ ფორმით გვხვდება, მაგრამ ზოგჯერ „ბადახშიც“ იხმარება. ვეფხისტყაოსნის მთელ რიგ გამოცემებში „ბადახშია“ მიღებული იმ მოსაზრების საფუძველზე, რომ სპარსულ სალიტერატურო ენაში ეს ფორმა გავრცელებული. მაგრამ საჭიროა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ არაბულსა და სპარსულში გავრცელებულია არა მხოლოდ „ბადახში და ბადახშანი“, არამედ „ბალახში“ და „ბალახშანი“. დღეს უკვე ცნობილია, რომ სპარსულში „ბადახშის“ გვერდით არსებობდა მისი მეორე ფორმა „ბალახში“ და ეს ფორმა იყო გავრცელებული ხალხში, ცოცხალ მეტყველებაში. სწორედ ეს ფორმა შემოვიდა ქართულშიც და იმდენად გავრცელდა, რომ თეიმურაზ ბაგრატიონს იგი ქართული ჰგონია. იგივე ფორმა გავრცელებული სხვა ენებშიც: ფრანგული Balais „ბალე“. ინგლისური Baloss „ბალას“ და ა. შ. ეს ფორმა (ლ-ბგერით) მომდი-

¹⁴⁵ Т. Р. XII, 1910, გვ. 17. აღსანიშნავია, რომ ი. ჰაქევაძე თავის ერთ წერილში „ბალახში“ ფორმას ასახელებს. იხ. მისი წერილი აკაკი წერეთლის ლექციების გამო, გაზ. ივერია, 1887, №№ 75, 76, 77.

¹⁴⁶ „განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა“, 1960, გვ. 4.

ნარეობს სპარსული ხალხური „ბალახშიდან“ და არა „ბადახშიდან“. ამიტომ ბუნებრივია, რომ ქართულშიც ეს ფორმაა შემოსული და საკურო არაა რუსთველის ტექსტში ის სალიტერატურო სპარსულის ნორმის მიხედვით გადავაკეთოთ“¹⁴⁷.

დაწერილობა „ბალახში“, როგორც ცნობილია, განხორციელდა ვეფხისტყაოსნის ახალ გამოცემებში, როგორცაა, მაგალითად, ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიისა და საიუბილეო გამოცემები.

ნ. მარის რუსთველოლოგიური მუშაობის (მათ შორის პირველ რიგში ტექსტოლოგიური ძიებების) უდიდესი ღირსება იყო ისიც, რომ მისმა პირველივე ნაშრომებმა ამ დარგში დიდი ინტერესი გამოიწვია¹⁴⁸, ახალი ბიძგი მისცა ვეფხისტყაოსნის რთული პრობლემატიკის შესწავლას. აქ მხედველობაში მაქვს არა ის გამომხაურებანი, რომელიც გამოიწვია, კერძოდ, 1910 წელს გამოქვეყნებულმა მისმა ნაშრომმა¹⁴⁹, არამედ პოზიტიური კვლევა-ძიებანი, რომელთა ერთ-ერთი შთამაგონებელი სწორედ ნ. მარის აღნიშნული ნაშრომები იყო¹⁵⁰.

უპირატესად აქ საჭიროა აღინიშნოს ნ. მარისავე მოწაფე, შემდეგ-

¹⁴⁷ გ. წერეთელი, ვეფხისტყაოსნის კრიტიკულ-მეცნიერული ტექსტის გამოცემისათვის, ეურნ. „მაცნე“, 1966, გვ. 189.

¹⁴⁸ ნ. მარი შემდეგაც თითქმის ათეული წლის მანძილზე განაგრძობდა ასეთივე ტიპის კვლევა-ძიებას „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე. მას, როგორც ჩანს, განზრახული ჰქონდა დაეწერა ზემოდასახელებული ტიპის გამოკვლევა (იხ. Вступ. и закл. статьи.. Т. P. XII, 1910) ვეფხისტყაოსნის მთელი ტექსტისათვის. ამას მოწოდებს მკვლევრის არქივში დაცული ხელნაწერი შრომები. მაგ., A—72, რომელიც ეხება პოემის ძირითად ტექსტს და A—163, სადაც ცალკეა გამოყოფილი მკვლევრის მიერ ჩანართებად (спуриа) მიჩნეული სტროფები. ეს ხელნაწერები ამჟამად გამოცემულია და ირკვევა, რომ აქაც ნ. მარი მეტწილად კრიტიკულად განიხილავს ჩუბინაშვილის, კარიჭაშვილის (1903 წ.), კაკაბაძის (1913), ი. აბულაძის (1914წ.) გამოცემებს და არა საკუთრივ ხელნაწერთა მოწინავეებს. ნ. მარის დაკვირვებანი მნიშვნელოვანია ვეფხისტყაოსნის კვლევის თანამედროვე ეტაპზეც. იხ. ნ ი კ მ ა რ ი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის საკითხები. გამოცემად მოამზადეს, კომენტარები და შენიშვნები დაურთეს მერი გუგუშვილმა და ლალი ძოწენიძემ, 1965.

¹⁴⁹ ნ. მარს აკრიტიკებენ მაგ. მ. ჯანაშვილი (იხ. მისი ნაშრომი „რუსთაველის გარეშეობა“, 1910 წ.); ვაჟა-ფშაველა, ფიქრები ვეფხისტყაოსნის შესახებ (ეურნ. განათლება, 1911 წ. VIII, გვ. 441—452). ნ. მარის შრომის ღირსებებს აღნიშნავენ, მაგალითად, კოტა აბაშიძე (იხ. მისი ნაშრომები, გაზეთ „დროებაში“, 1910, № 4, გაზ. „სახალხო გაზეთში“, 1910, № 11), ალაროდელი (იხ. წერეთელი), ნ. მარი და მათ მოპირდაპირენი ჩვენში, ეურნ. საქართველოს მოამბე, 1910, № 11, ს. გორგაძე, ნიკოლოზ მარი და მისი სამეცნიერო მოღვაწეობა, გაზ. სახალხო გაზეთი, 1910, № 189 და ა. შ.

¹⁵⁰ ნ. მარის კონსულტაციით გამოიცა 1912 წ. მარკორო უორდროპის ინგლისური თარგმანი: The Man in the Panther's Skin: A Romantic Epic by Shot'ha Rust'havehli, London, 1912.

ში ცნობილი ირანისტის იუსტინე აბულადის და ისტორიკოს ს. კაკაბაძის ღვაწლი ვეფხისტყაოსნის ტექსტის შესწავლის საქმეში.

როგორც წინასწარი განცხადებიდან ჩანდა, სარგის კაკაბაძეს ფართო გეგმით ჰქონია განზრახული ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემის განხორციელება: „დაიწყო ბეჭდვა და ამ წლის დეკემბრის ოცში გამოვა გასასყიდად ახალი გამოცემა ვეფხისტყაოსნისა სარგის კაკაბაძის რედაქტორობით.

ტექსტი იმდენად იქნება დაწყობილი, რომ ნაჩვენები იქნება, თუ როგორ თანდათან საუკუნეების განმავლობაში, თოთხმეტი რედაქციის გავლის შემდეგ, 1500 ტაეპოვანი ვეფხისტყაოსანი გადაიქცა 2400 ტაეპოვნად. თოთხმეტი რედაქცია საითთაოდ იქნება ნაჩვენები. წიგნს თან დაერთვის ვრცელი გამოკვლევა, რომელშიც განხილული იქნება ვეფხისტყაოსანი და მისი რედაქციები, აგრეთვე თუ ვინ იყო და როდის ცხოვრობდა შოთა რუსთაველი და რამოდენიმე ვეფხისტყაოსნის უმთავრესი კომენტატორი. ბოლოს დართული ექნება სრული ვარიანტები წერაკითხვის საზოგადოების ხელთნაწერების მიხედვით და კიდევ უცხო და საკუთარ სიტყვათა ლექსიკონი...“¹⁵¹.

მართლაც, 1913 წელს სარგის კაკაბაძის რედაქტორობით გამოდის ვეფხისტყაოსანი, ნამდვილი და ჩანართი, რომელშიც, როგორც სათაურიდანვე ჩანს, შესულია არა მარტო მანამდე რუსთველისეულად მიჩნეული ტექსტი, არამედ ის სტროფებიც, რომლებიც მოიპოვებიან ხელნაწერებში.

სამწუხაროდ, და ეს აღნიშნულია შესავალშიც, რედაქტორს ვერ მოუხერხებია (სხვადასხვა ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზთა გამო, იხ. ამ გამოცემის წინასიტყვა) მისი ჩანაფიქრის მთლიანად განხორციელება. მაგალითად, როგორც თვითონ აღნიშნავს, მან ვერ ისარგებლა ვეფხისტყაოსნის რამდენიმე საუკეთესო ხელნაწერით, გარდა ამისა „ამ გამოცემისათვის — აღნიშნავს ს. კაკაბაძე, — განზრახული მქონდა ტექსტის სრული ვარიანტების დართვა ზოგიერთ ხელნაწერების მიხედვით, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა“¹⁵².

ამ გამოცემის უმთავრესი ღირსება ის იყო, რომ ს. კაკაბაძემ დაარღვია ვახტანგის გამოცემიდან მომდინარე ტრადიცია და გამოსცა ხელნაწერებში დაცული პოემის ვრცელი ტექსტი ჩანართებითა და გაგრძელებებითურთ. ამით ვეფხისტყაოსნის მკვლევართ თვალწინ გადაეშალათ ხელნაწერებით ნაანდერძევი ტექსტის სრული სურათი¹⁵³. გა-

¹⁵¹ გაზეთი „სახალხო გაზეთი“, 1913, № 1051.

¹⁵² 1913 წ. გამოცემა, გვ. 3—4.

¹⁵³ იხ. ჩემი წიგნი „შოთა რუსთაველი და მისი პოემა“, 1966, გვ. 50.

ნოცემას წინ ერთვოდა რედაქტორის ვრცელი წერილი ვეფხისტყაოსნის, როგორც ისტორიულ-ლიტერატურულ, ისე ტექსტოლოგიურ საკითხებზე.

აქ არ შევეხებით ამ წერილის ისტორიულ ნაწილს, რომელშიც წამოყენებული იყო სრულიად ორიგინალური თეორიები ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობისა და პოემის დაწერის თარიღზე, რადგან იგი შემდეგ უარყოფილ იქნა როგორც რუსთველოლოგთა ისე თვით ავტორის მიერაც¹⁵⁴. მაგრამ გამოკვლევის ის ნაწილი, რომელიც შეეხებოდა ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორიის საკითხებს, თავის დროისათვის საინტერესო და წინგადადგმული ნაბიჯი იყო. მკვლევრის მართებული დაკვირვებით, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებით ნაანდერძევი ტექსტები არ იყო ერთიანი და იგი სხვადასხვა გზით, საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბდა. აქვე იყო მოცემული ცდა ხელნაწერთა რედაქციულ თავისებურებათა დასადგენად და, შესაბამისად, გამოიყო რამდენიმე ასეთი რედაქციული ჯგუფიც. ავტორის მიერ მართებულად იყო მიგნებული პოემის შედარებით მოკლე რედაქციის მქონე ხელნაწერები, ნაწილობრივ მისაღებია ზოგადი დასკვნაც, რომ ამ მოკლე რედაქციათა შემდგომმა განვრცობამ წარმოშვა პოემის ბევრად უფრო ვრცელი რედაქციები¹⁵⁵.

როგორც ამ გამოკვლევას, ისე მასზე დაყრდნობით შესრულებულ გამოცემებსაც დაჰყვა სერიოზული ხარვეზები, რომლებსაც გზადაგზა შევეხებით, როცა ვეფხისტყაოსნის რედაქციებზე გვექნება საუბარი, ოღონდ აქ მაინც შევნიშნავთ რამდენიმეს.

პირველ რიგში საჭიროა აღინიშნოს, რომ ავტორის მიერ ვერ იქნა მონახული ზუსტი კრიტერიუმი ხელნაწერთა რედაქციული ჯგუფების დაყოფის დროს. ვეფხისტყაოსნის ტექსტის ცალკეული ელემენტების შედარებითი შესწავლის, ცალკეულ ხელნაწერთა შედგენილობისა და ენობრივ თავისებურებათა გათვალისწინების გარეშე, ავტორმა მხოლოდ მათ სივრცე-სიმოკლეზე დაამყარა რედაქციული ნიშნების განსაზღვრა. შედეგიც შესაბამისი გამოდგა: ნაცვლად იმისა, რომ ვეფხისტყაოსნის ძირითადი რედაქციები მათი კომპლექსური შესწავლის ნიადაგზე რამდენიმე ერთმანეთთან ახლო დაკავშირებულ რედაქციულ ჯგუფებად

¹⁵⁴ იხ. ს. კაკაბაძის 1927 წ. გამოცემული ვეფხისტყაოსნის წინასიტყვაობა, მისივე ახალი წიგნი, რომელიც გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე გამოაქვეყნა ავტორმა („რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი“, 1966, გვ. 12—137, 245—277); იხ. აგრეთვე, ი ვ ა ნ ე ჯ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ერის ისტორია, ტ. II, 1914, გვ. 644—665, ქ. ქ ე ლ ი ძ ე, „კიდევ ვეფხისტყაოსნის გარშემო“, ეურნ. მნათობი, 1927, № 5-6 და სხვა.

¹⁵⁵ 1913 წ. გამოცემა გვ. 24.

გამოეყო¹⁵⁶, მან ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებში, სულ ცოტა, თხუთმე-
ტი რედაქცია აღნიშნა¹⁵⁷.

ამავე მეთოდის გამოყენების შედეგად მკვლევარმა უარყოფითი და-
სკვნები მიიღო ვეფხისტყაოსნის პროლოგის შედგენილობის საკითხში.
იმის გამო, რომ იგი დაემყარა ზოგ ხელნაწერის მონაცემებს და არ გაი-
თვალისწინა ამ ხელნაწერთა წარმოშობის რეალური გზები, გვიანდელ
ჩანართებდა მიიჩნია აშკარად ავთენტური სტროფები და მათ შორის
პროლოგისათვის ის აუცილებელი შესავალი (მომართვა ღვთაებისადმი,
მეფე პატრონთა ქება და ა. შ.), რომელთა გარეშე ვეფხისტყაოსნის შე-
სავალი კარგავს თავის პირვანდელ სახეს (მაგ., აქ ქვედა სართულში ვხე-
დავთ ისეთ სტროფებს, როგორიცაა: „ჰე, ღმერთო ერთო“..., „ვის შეე-
ნის ლომსა...“, „თამარს ვაქებდეთ მეფესა...“, „მიბრძანეს მათად საქებ-
რად...“ და სხვ.)¹⁵⁸.

აქვე მან გამოთქვა შეხედულება (რაც სხვათა შორის, სრულიად არ
გამომდინარეობდა ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ანალიზიდან) პოემის
სავარაუდო დასასრულის შესახებ. კერძოდ, პოემა მას დასრულებულად
მიანჩნია არაბეთის ამბების გადმოცემით და ასევე გამოსცა კიდევ „ვე-
ფხისტყაოსანი“ 1927 წელს. ამ საკითხს ჩვენ შემდეგ საგანგებოდ შევე-
ხებით, ოღონდ აღვნიშნავთ, რომ მკვლევარი ამ შემთხვევაში ემყარე-
ბოდა მეტად ფორმალურ პრინციპს: პოემა იწყება არაბეთის ამბებით
და მითვე უნდა დასრულდეს¹⁵⁹.

1913 წლის გამოცემის რედაქტორი ასევე ბოლომდე ვერ გაერკვა
თავისებური ტიპის რედაქციებში (ვახტანგისეული, არტანუჯული), რა-
მაც სერიოზული ხარვეზები დააჩნია ტექსტის ისტორიის მეცნიერული
სურათის აღდგენას¹⁶⁰. ორივე ამ რედაქციამ სრულიად შეუსაბამო ად-
გილი დაიკავა ხელნაწერთა მიხედვით წარმოდგენილ გენეალოგიურ სქე-
მებში (ამაზე დაწვრილებით შემდეგ თავებში).

რაც შეეხება თვით გამოცემას, მისი უმთავრესი ნაკლი ის იყო, რომ
დასახული მიზნის შესაბამისად (ხელნაწერთა შემკვიდრების გამოვლენ-
ა), რედაქტორს ამჯერად ხელი უნდა აეღო ტექსტის შედგენილობის

¹⁵⁶ ს. ც ა ი შ ე ლ ი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, 1963. დაწვრილებით
იხ. წინამდებარე ნაშრომის იმ თავში, სადა ვეფხისტყაოსნის რედაქციებზეა საუბარი.

¹⁵⁷ 1913 წ. გამოცემა, გვ. 24—26. იხ. აქვე, რედაქციათა გენეალოგიური სქემა,
რომელიც, სერიოზულ ხარვეზებს შეიცავს.

¹⁵⁸ აქ ჩატარებულ ტექსტოლოგიურ ოპერაციებს ეტყობა აგრეთვე ნ. შარის გამო-
კვლევის გავლენა.

¹⁵⁹ შდრ. 1927 წ. გამოცემის ბოლო თავები.

¹⁶⁰ ვახტანგის რედაქციის შესახებ დამახასიათებელია მკვლევრის განცხადება: ეს
„რედაქცია, ეპეს გარეშეა, ძველი წარმოშობისაა და ვახტანგს არ ეკუთვნისო“ (ვეფხის-
ტყაოსნის 1927 წ. გამოცემა, გვ. XIII).

კრიტიკულ დადგენაზე და პირველ რიგში უცვლელად მოეცა წინასწარ შერჩეული ერთი რომელიმე ხელნაწერი, ხოლო დამატებით კი ის სტროფები, რომლებიც ამ ხელნაწერში არ იქნებოდა წარმოდგენილი. ეს იქნებოდა ყველაზე უფრო უტყუარი სურათი, რომელიც გვიჩვენებდა ხელნაწერთა მეგვეიდრეობის რეალურ ვითარებას.

მიუხედავად ზემოთქმულისა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ს. კაკაბაძის ტექსტოლოგიურმა ცდებმა, რომლებიც განხორციელებული იყო როგორც ვეფხისტყაოსნის 1913 წ. და 1927 წლის გამოცემებში, ისე ს. კაკაბაძის სხვა მრავალრიცხოვან გამოკვლევებში, გარკვეულად დადებითი როლი ითამაშა ამ საკითხების უფრო ღრმად და მეცნიერულად შესწავლის საქმეში.

თუ სარგის კაკაბაძე ჩვენთვის საინტერესო საკითხების კვლევის დროს მეტწილად ტექსტების გენეალოგიით ისაზღვრებოდა, იუსტინე აბულაძეს თუმცა არც ამ საკითხებისათვის აუვლია გვერდი, მაგრამ მაინც მისი მუშაობის მთელი სიმძიმე უფრო პოემის ტექსტის კრიტიკაზე იყო გადატანილი. საფუძვლიანი ფილოლოგიური მომზადება და აღმოსავლური მწერლობის კარგი ცოდნა ამის სრული თავმდები იყო. პირველი ნაბიჯები ჰქონდა ადგმული იუსტინე აბულაძეს, როგორც რუსთველოლოგს, როცა მისი მუშაობის შესახებ ნ. შარი წერდა: «В литературе по вопросу на грузинском языке работа Ю. И. Абуладзе представляет первый научный шаг вперед (ხაზი ავტორისა). Достаточно сказать что автор знает персидский язык и с этой стороны правомочен судить о грузиноперсидских литературных отношениях, да и вообще старается работать с более широким научным горизонтом»¹⁶¹.

მე-20 საუკუნის ათიან წლებში გამოქვეყნდა იუსტ. აბულაძის რამდენიმე რუსთველოლოგიური ხასიათის ნაშრომი: „ვეფხისტყაოსნის შესწავლის გამო“ (გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903 წ. 14 და 15 ოქტომბერი, ეხებოდა კარიჭაშვილის მიერ გამოცემულ ვეფხისტყაოსანს), „მე-12 საუკუნის ქართული მწერლობის საერთო ხასიათი და რუსთველის ვეფხისტყაოსანი“ (კრებ. ძველი საქართველო. ტ. 1, განყ. II. გვ. 69—196; ნაშრომს დამატებით ახლავს „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონი), ხოლო 1914 წელს ამას მოჰყვა მკვლევრის მიერ მომზადებული ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემა, რომელსაც დართული ჰქონდა ვრცელი გამოკვლევა (რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი), ლექსი-

¹⁶¹ Т. П. XII, 1910 г. стр. II, იხ. აგრეთვე, გ. ი მ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, რუსთველოლოგია, 1941, გვ. 117—119; ი. მეგრელიძე, წინასიტყვაობა კრებულისა: იუსტინე აბულაძე, რუსთველოლოგიური შრომები, 1967, გვ. 5.

კონები, საძიებლები და ხელნაწერების მიხედვით შესრულებული ძირითადი ვარიანტების ნუსხა. როგორც ცნობილია, მკვლევარი შემდეგაც ხეწდა აღნიშნულ გამოცემას (იხ. მისი წერილი „შესწორებანი და შენიშვნები ვეფხისტყაოსნის 22-ე გამოცემის შესახებ“)¹⁶². ამავე გამოცემის შევსებულსა და დასრულებულ სახეს წარმოადგენს არსებითად მის მიერვე გამოცემული ვეფხისტყაოსნის 26-ე გამოცემა¹⁶³.

მკვლევრის ტექტოლოგიური მუშაობის უმთავრეს ღირსებათა შორის უნდა აღინიშნოს შემდეგი: ი. აბულაძემ თავისი დროის მეცნიერთაგან პირველთაგანმა მიმართა კომპლექსურ მეთოდს. ტექსტის აღდგენას საფუძვლად დაუდო ხელნაწერთა მონაცემები, ხოლო პოემის ცალკეული ადგილების ანალიზი ემყარებოდა ვეფხისტყაოსნის ენის თავისებურებათა შესწავლას. კვლევის ფარგლების გაფართოებამ საშუალება მისცა მკვლევარს ტექსტის ზოგიერთი დამახინჯებული ადგილის აღდგენასთან ერთად წარმოედგინა ძალზე საინტერესო დაკვირვებები რუსთაველის პოეტური ენის ბუნებაზე, მეტაფორული მეტყველების თავისებურებაზე (სათანადო პარალებლების ჩვენებით). პოემის მდიდარ ბგერწერაზე (ალიტერაცია) და ა. შ. საკმარისია აღინიშნოს აგრეთვე, რომ იუსტ. აბულაძემ პირველმა მიაქცია ყურადღება ვეფხისტყაოსნის ავტორის მეტყველებაში გამოვლენილ აშკარა ტენდენციას, რაც გამოიხატებოდა მწიგნობრული ენის გავლენისაგან განთავისუფლებაში. მკვლევარმა ვეფხისტყაოსნის 1926 წლის გამოცემას დაურთო მისი ამ მიმართულებით გაწეული კვლევა-ძიების შემაჯამებელი ნაშრომი „პოემის ენის ხალხურობა“, რაც დღესაც საუკეთესოთაგანია ვეფხისტყაოსნის პოეტურ ენაზე დაწერილ გამოკვლევათა შორის¹⁶⁴.

იუსტინე აბულაძის ტექტოლოგიური მუშაობის უდავო ღირსებაა ისიც, რომ ვეფხისტყაოსნის როგორც 1914 წლის, ისე 1926 წლის გამოცემას მან დაურთო ხელნაწერებიდან ამოკრებილი ნაირკითხვაობანი (წაკითხვათა ვარიანტები), რაც პირველი შემთხვევა იყო ვეფხის-

¹⁶² წერილი დაწერილია 1917 წ. იხ. მისი რუსთველოლოგიური ნაშრომები, ი. მეგრულიძის წინასიტყვ. და რედაქციით. 1967, გვ. 70—89.

¹⁶³ შოთარუსთველი, ვეფხისტყაოსანი, ტექსტი ახლად შეიმუშავა, ვრცელი წინასიტყვაობა ვარიანტებით და ლექსიკონი საძიებლებით დაურთო და მეორედ გამოსცა იუსტინე აბულაძემ, 1926 წ.

¹⁶⁴ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ იუსტინე აბულაძის ბევრი ფასეული დაკვირვება გამოვრებულია მომდევნო მკვლევართა ნაშრომებში, ოღონდ პირველმთქმელის პრიორიტეტის აღუნიშნავად. ამის შესახებ იხ. იუსტ. აბულაძის წერილი „ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენის ვითარება ვახტანგის რედაქციასთან დაკავშირებით“, ჟურნ. საბჭოთა ხელოვნება, 1936, № 7—8; წერილი გადმობეჭდილია ი. აბულაძის რუსთველოლოგიურ ნაშრომთა კრებულშიც, 1967 წ. გვ. 257—269.

ტუაოსნის გამოცემათა ისტორიაში. ნათელი შეიქმნა, თუ რაოდენ მდიდარ მასალას შეიცავს ვეფხისტყაოსნის ხელნაწერული მემკვიდრეობა.

ყოველივე ამის გამო იუსტინე აბულაძის გამოცემანი უდავოდ წინვადადგმული ნაბიჯი იყო. როგორც ორთოგრაფიის, ისე საერთოდ ენობრივი თვალსაზრისით ამ გამოცემებს ეტყობოდა მაღალკვალიფიკური რედაქტორის ხელი¹⁶⁵.

საილუსტრაციოდ კმარა აღინიშნოს, რომ იუსტ. აბულაძემ პირველთაგანმა აულო ალლო ვეფხისტყაოსნის ენისათვის ისეთ დამახასიათებელ თავისებურებას, როგორიცაა მცა ნაწილაკის სინტაქსური ფუნქცია წინადადებაში და ხელნაწერებზე დაყრდნობით უკვე 1913 წლის გამოცემაში აღადგინა მრავალი დამახინჯებული ადგილი¹⁶⁶.

ამ გამოცემებში გასწორდა მრავალი მანამდე დამახინჯებული ან ცუდად წაკითხული სიტყვა. რამდენიმე მაგალითი: ა) ჩვენ ზემოთ დაწვრილებით შევეხეთ პროლოგის 22-ე სტროფს, სადაც ძველ გამოცემაში იკითხებოდა: „კვლა ზოგთა ქვე უც ბუნება კეკლუცთა ზედა ფ რ ე ნ ი თ ა“. ხელნაწერებზე დაყრდნობით, ვეფხისტყაოსნის სხვა მონაცემთა და ამ სიტყვის რეალური შინაარსის გათვალისწინებით იუსტ აბულაძემ აღადგინა წაკითხვა: „კეკლუცთა ზედან ფ რ ფ ე ნ ი თ ა“ (ფრფენა, მისივე განმარტებით, ტრფიალება). ბ) აღსანიშნავია, რომ ი. აბულაძემ თავის გამოცემებში პირველმა აღადგინა პროლოგის ერთ-ერთი ყველაზე წარყვნილი და ამავე დროს ძნელად ამოსაცნობი ადგილი. ეს არის მესამე სტროფის ბოლო სიტყვები (მე-9 და მე-4 სტრიქონი): ზ შ ი რ ი ს ა და მ შ ი ე რ ი ს ა, რომელიც ასე იკითხებოდა ყველა გამოცემაში. იუსტინე აბულაძის გასწორება:

მას, არა ვიცი შევეადრო, შესხმა ხობისა შერისა;
მისთა მკერეტელთა ყანდისა მირთმა კამს მართ მიშერისა.

როგორც ცნობილია, გ. წერეთლის წინადადებით ასეთი წაკითხვა იქნა მიღებული ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიისა და 1966 წლის საიუბილეო გამოცემებში¹⁶⁷.

¹⁶⁵ შდრ. გ. ი მ ე დ ა შ ვ ი ლ ი, რუსთველოლოგია, 1941, გვ. 118; ს. ც ა ი შ - ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, წიგნში: შოთა რუსთაველი და მისი პოეზია, 1966, გვ. 50.

¹⁶⁶ გასწორებათა ნუსხა იხ. 1913 წლის და 1926 წლის გამოცემათა დანართებში. როგორც ზემოთაც ითქვა, არ იყო მართებული ვ. ბერიძის შენიშვნა, თითქოს მ ც ა ნაწილაკს პირველად მხოლოდ ა. შანიძემ მიაქცია ყურადღება (ა. შანიძის ნაშრომი გამოქვეყნდა 1918 წ.).

¹⁶⁷ თუმცა გ. წერეთელი სხვაგვარად შიფრავს პროლოგის აღნიშნულ ადგილს (იხ. ზემოთ).

გ) იუსტინე აბულაძემ შეასწორა ნ. მარისეული კონიექტურა „და კალმად ნაჲ რხეული“ (4) — „და კალმად მე ნა რხეული“. მართალია ეს წაკითხვაც არ დასტურდება ხელნაწერებში, მაგრამ ამის უფლება მკვლევარს მისცა შემდეგმა გარემოებამ: ვეფხისტყაოსანი იცნობს ამ სიტყვას ფორმით ნ ა (მღრ. სტრ. 179 და სხვ.), თანაც თუ თავდაპირველად, მართლაც, იყო ასეთი წაკითხვა მე ნ ა, აქედან უფრო ბუნებრივად ჩანს წაკითხვის „მინას“ მიღება, რასაც გვაწვდის ყველა მნიშვნელოვანი ხელნაწერი. იუსტინე აბულაძის მიერ შემოთავაზებულ წაკითხვას ჭერჯერობით იზიარებს ყველა თანამედროვე გამოცემა.

რასაკვირველია, 1914 წლისა და 1926 წლის გამოცემებში გვხვდება საკმაო რიცხვი სადავო გასწორებებისა. ეს განსაკუთრებით რედაქტორისეულ კონიექტურებს ეხება. როგორც ცნობილია, რუსთველოლოგთა შორის იმთავითვე დიდ გაუგებრობას იწვევდა პროლოგის მე-5 სტროფის ბოლო სტრიქონი: „გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა“. მაგალითად, ალ. სარაჯიშვილმა მთელი ეს სტროფი ჩანართად მიიჩნია. დამახასიათებელია მკვლევრის მსჯელობა: „ნუთუ თამარ მეფე უბრძანებდა პოეტს ჩემი ლოყები და კბილები მიქეო? ეს არ შეჰფერის მორცხვ დედოფალს. ასე რომ ყოფილიყო, პოეტი როდი გამოაცხადებდა, რომ ბრძანებით, იძულებით ვწერო. სტილიც მშრალია. „გრდემლი ტყვიისა ლბილისა არსად ნახულა და თანაც როგორც პოეტური შედარება, ცუდია: თუ ტყვიის გრდემლი თამარის ბრძანებაა ან მისი მშვენიერება, მაშინ პოეტის გული ქვად უნდა ვიგულისხმოთ: რომელი პოეტი დაიჩემებს გულქვაობას? ამ სტროფის აზრი პოემაში არ მართლდება...“¹⁶⁸ და ა. შ.

იუსტ. აბულაძემ სხვა ხერხს მიმართა. მას რუსთველისეულად მიაჩნია ეს სტროფი, ოღონდ გადამწერთა დამახინჯებლად ჩათვალა ასეთი წაკითხვა. ამის გამო მიმართავს კონიექტურას და, მისი აზრით, მეტ სინათლეს ანიჭებს აღნიშნულ მეტაფორულ სახეს: „გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი სიტყვისა ლბილისა“ (ასე იკითხება ეს ადგილი 1913-სა და 1926 წლის გამოცემებში). მკვლევარმა ცალკე ნაშრომში დაასაბუთა კიდევ თავისი გასწორება: პირველო, რაც, მკვლევრის აზრით, ექვს იწვევს, ეს არის ტყვიის გრდემლი, რადგან,

¹⁶⁸ ეურნ. მოამბე, 1895, XI, გვ. 10—11, ალ. სარაჯიშვილის ამ შეხედულებას მხარს უჭერდნენ სხვა მკვლევარებიც, მაგ., გრიგოლ ყიფშიძე («НОВОЕ ИЗДАНИЕ», 1896, № 4219, 13 апреля); მღრ. აგრეთვე კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958, გვ. 109, შენიშვნა, სადაც ავტორი ჩანართად მიიჩნევს ამ სტროფს.

ჩვეულებრივ, გრდემლს მაგარი რკინისაგან (ფოლადისაგან) აკეთებენო „აქედან ცხადია, „ლბილი ტყვიის გრდემლის“ ნაცვლად აქ უნდა ყოფილიყო რაღაც სხვა სიტყვა... ამიტომ ვფიქრობთ, კონტექსტის მიხედვით, სიტყვა „ტყვიისა“ უნდა იყოს გადამწერის მიერ წარყვნილი სიტყვა „სიტყვისა“, ე. ი. აქ უნდა იგულისხმებოდეს თამარ დედოფლის ნაზისა და ლბილის სიტყვის სიძლიერე, ძალი, ამიტომ უფრო ბუნებრივად მიგვაჩნია ამ ადგილის წაკითხვა ამ სახით:

«გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი სიტყვისა ლბილისა», რომლის აზრიც შემდეგია: ლბილისა და ნაზის სიტყვის სიძლიერე (მეტაფ. გრდემლი — იგულისხმება თამარის ბრძანება) მაგარ ქვასაც კი გასტეხსო. ეს, ვიმეორებთ, მით უფრო ბუნებრივად მიგვაჩნია, რომ რუსთველს არაერთგზის უხმარია მსგავსი პოეტური ფიგურა: „გველსა ჯვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი.¹⁶⁹ და ა. შ.

უქანასკნელ ხანებში აღნიშნულ სტროფს დაწვრილებით შეეხო რუსთველოლოგი ვ. ნოზაძე¹⁷⁰. მან, პირველ რიგში, მკვლევართა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ, როგორც ჩანს, საანალიზო სტრაქონის შინაარსი კარგად ესმოდათ ძველ რუსთველოლოგებსაც. მაგალითად, ვახტანგ VI მიაჩნდა, რომ ვეფხისტყაოსანში ნახსენები მაგარი ქვა არის აღმასი, ხოლო აღმასს ტყვიაზედ გასთლიან, ლექსის გაწყობისათვის გატეხად უთქვამს...“ (ეს სტრ. განმარტება). უფრო ვრცელი და ამომწურავი განმარტება თეიმურაზ ბაგრატიონთან გვხვდება: „გრდემლი ტყვიისა მსგავსად სიმრგრგვლითა მცირისა წისკვილისა კელით საბრუნოსა არს ქმნილი. ესე გრდემლი საბრუნო სრულიად ტყვიისაგან არს ქმნილი და სადგარსა, გინა სტოლსა ზედა არს მომართული ქუჭმედამ ჩარხითა, რომლითაცა აბრუნებენ მცირესა მას სათლელსა და მას ზედა ჰსთლიან და აელვარებენ და ასწორებენ პატიოსანთა ძვირფასთა ქვათა (ესე გუარა ჩარხი მე თვით თჳალითა ჩემითა მიხილავს სპარსეთსა შინა, მაგრამ ბრილიანტისა და აღმასისა გასათლელი ჩარხები სხვებრ არს ქმნილი)“; ამის შემდეგ კი თეიმურაზი მეტაფორის გადატანით მნიშვნელობას ეხება: „ქვად მაგრად გულსა გმირისა და მაჰაცისა იტყვის მოშაირე, რომელიც არს ტრფიალებითა შეპყრობილი, ხოლო გრდემლად ტყვიისა ლბილისა ჩჩვილსა და მოწლესა გულსა ქალისა სატრფიალოსასა იტყვის, რომე-

¹⁶⁹ რუსთველოლოგიური ნაშრომები, 1967, გვ. 88—89, ეს წერილი („შესწორება-ნი და შენიშვნები...“) იუსტ. აბულაძემ გამოაქვეყნა 1917 წელს.

¹⁷⁰ იხ. მისი „ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველება“, 1954, ბუენოს-აირესი, გვ. 103—109.

ლიცა თვისითა ჩივილითა და მიძინდველისა გულითა მრავალთა ძლი-
ერთა და გმირთა გულისა მძლეველ იქმნების და შემემუსკრელ“¹⁷¹.

თეიმურაზის ცნობები საგულისხმოა და ფაქტიურად ნათელყოფს
კიდევ საანალიზო სტროფის როგორც რეალურ, ისე გადატანით მნი-
შვნელობას. ვ. ნოზაძე ახალი მასალებით აშუქებს ამ საკითხს. იგი
იშველიებს, როგორც ძველ ქართულ წყაროებს, ისევე პატიოსან თვა-
ლთა დამუშავების დიდძალ უცხოურ ლიტერატურას და გვაუწყებს:
— უმაგრესი ქვაა საერთოდ და ვეფხისტყაოსანშიც არის აღმასი. მაშა-
სადამე, გასტეხს ქვასაცა მაგარსა...“ იგივეა, რაც აღმა-
სის გატეხა. ძველი არაბული წყაროები არკვევენ იმას, თუ როგორ
ამუშავებდნენ შუა საუკუნეებში აღმასს. მაგალითად, არაბი ტეიფაში
(მე-13 საუკ.) აღწერს აღმასის დამუშავების წესებს და ამბობს, რომ
აღმასს ტყვიის მაგიდაზე გათლიან, ტეხენ, ამუშავებენ. ირკვევა
ისიც, რომ ტყვიის მაგიდა იგივეა, რაც ტყვიის გრდემლი („ქართული
ბიბლიის“ ცნობები). აქედან გადატანით: როგორც უმაგრესი ქვა (აღ-
მასი) უღბილესი ტყვიის გრდემლით გაითლება, ასევე თამარის შგნებით
(ჰაეროვნებით) გატყდება მტკიცე გული პოეტისა. საინტერესოა, რომ
ზუსტად ასეთივე სახე-მეტაფორისთვის მიუმართავს ნიზამის თავის პო-
ემაში „ისკანდერ-ნამე“: „ტყვიით სტეხენ უუმაგრეს აღმასს“-ო.

ნიზამის მსგავსად, შოთა რუსთაველს კარგად სცოდნია ისიც, რომ
აღმასს ამუშავებდნენ და ტეხდნენ სწორედ ტყვიითვე (რბილი, მაგრამ
მძიმე ტყვიის დარტყმისას აღმასი კი არ იფშენებოდა, არამედ ტყდე-
ბოდა და შემდგომი დამუშავებისათვის სასურველ ფორმას იღებდა).
ეს ცოდნა პოეტს გამოუყენებია მშვენიერი მეტაფორის შესაქმნელად.

აღსანიშნავია, რომ აღმასის დამუშავების თანამედროვე ტექნო-
ლოგიაში ძირითადში იმავე მეთოდებს მიმართავენ¹⁷². ასევე ტეხენ აღ-
მასს. საინტერესოა აღმასის დამუშავების წესიც, რომელიც ძველ-
თაგანვე მომდინარეობს¹⁷³. დაწვრილებით ამაზე საუბარი გვაქვს სხვა
ნაშრომში.

¹⁷¹ თ ე ი მ უ რ ა ზ, ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გ. იმედავილის რედაქც. 1960, გვ. 4—5; თეიმურაზის ამ ცნობაზე მიუთითებს აგრეთვე ი. მეგრელიძე წერილში: „ვეფხისტყაოსნის ლექსიკის საკითხები“, ეურნ. „ცისკარი“, 1958, № 9, გვ. 131—132, მკვლევარი აქვე შენიშნავს, რომ არ მაჩნია სწორად გრდემლის თარგმნა, როგორც наковальня, молот, млат. მას შინაარსით гранило შეეფერებაო (გვ. 132).

¹⁷² აღმასი ითვლება ნივთიერებათა შორის უმაგრესად, 1 კლასის უძვირფასეს ქვად. იხ. Т р о ф и м о в В. С., Ресурсы алмазов..., 1947; Н. К о н а в а, Драгоценные камни в поэме Руставели, сб. Руставели. 1938, стр. 69—96;

¹⁷³ „Алмаз шлифуются алмазным-же порошком“, см. Энциклопедический словарь Брокгауз-Ефрон, т. I, 1890, стр. 472; იხ. აგრეთვე М. П ы л я е в, Драгоценные камни; შტრ. Т. Н. Лкандзе, Г. В. Бокучава, изнсс алмазов и алмазных кругов.

ამდენად პროლოგის მე-5 სტროფში ყველაფერი თავის ადგილასაა, ზოლონდ საჭიროა ვიცოდეთ, თუ რაზეა აქ საუბარი. იუსტინე აბუ-ლაძის მიერ მოხმობილი კონიექტურა სრულიად უადგილოა. ამავე დროს ამ მაგალითზე კარგად ჩანს, თუ როგორ ფრთხილად უნდა მოვეპყროთ პოემის ნაანდერძევ ტექსტს და უნდა მოვერიდოთ ზედმეტად გაბედულ კონიექტურებს (ჩვენ უნდა ვცდილობდეთ ტექსტის რეალური შინაარსის ამოცნობას და არა მის სწორებას). რადგან „ხშირად ის, რაც ერთი შეხედვით გაუგებარი და გაუმართავი ჩანს, დეტალური შესწავლის შემდეგ სრულებით ბუნებრივი და გასაგები აღმოჩნდება ხოლმე“¹⁷⁴.

ასევე კრიტიკულ მიდგომას იმსახურებს ზოგი სხვა გასწორებაც: მაგ., „ღაველი“ „და ვალთა“ (361,4; 637,4); „ნათელთა მსახემან“ (738)¹⁷⁵; „ვისთვისმე ცხელი“ „ვისთვისმე ხელი“ (249)¹⁷⁶; არ არის გათვალისწინებული ხელნაწერთა რიგი მართებული წაკითხვა, რომლებსაც ყურადღება მიექცა მომდევნო ხანის გამოცემებში და ა. შ.¹⁷⁷.

მინც ერთ-ერთი უმთავრესი ხარვეზი ამ გამოცემებზე დართულ გამოკვლევებისა იყო ის, რომ მკვლევარმა ვერ აღადგინა ხელნაწერებში დაცული ტექსტების რედაქციული სახე (ს. კაკაბაძის მსგავსად), ვერ მოგვცა მათი განვითარების რეალური სურათი, რამაც თავისი ნაცოფი გამოიღო ტექსტის ცალკეული ადგილების კრიტიკული განხილვის დროს. საკმარისია ითქვას, რომ მცდარია მკვლევრის ამოსავალი დებულება, რომლითაც ვახტანგისეული რედაქცია ერთ-ერთ უმთავრეს დასაყრდენ წყაროდაა საგულგებელი: „ამნაირად ვახტანგის რედაქციის ზემოთ დასახელებულ ხელნაწერებთან შეჯერებით და იმ ხანათა გამოკლებით, რომლებიც ამ ხელნაწერებს აკლია, ვახტანგის რედაქციასთან შედარებით, ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ დაახლოებით წმინდა და შეურყენელი ვეფხისტყაოსნის ტექსტი“¹⁷⁸.

ამის საწინააღმდეგოდ, როგორც ჩვენ ქვემოთაც ვნახავთ, ისიც მტყუველებს, რომ ვახტანგისეული გამოცემის ხელნაწერთა რიგში განხილვა უკვე თავისთავად პრინციპული ხასიათის შეცდომაა, რადგან იგი წარმოადგენს პირველ გამოცემას (Editio princeps) და

¹⁷⁴ გ. წერეთელი, ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის გამოცემის (1966 წ.) ბოლოსიტყვაობა, გვ. 315.

¹⁷⁶ დაწერილობით ამ წაკითხვაზე იხ. ზემოთ.

¹⁷⁸ კონიექტურაა, ხელნაწერებში არ დასტურდება ეს წაკითხვა. იხ. ვეფხისტყაოსნის ახალ გამოცემებში: „ვისთვისმე ხელი უცილოდ, მას ცრემლი ემაღმალების“ — ამ ბოძს ავთანდილი ასმათზე.

¹⁷⁷ შტრ. ა. შანიძისა და ა. ბარამიძის მიერ 1966 წ. გამოცემულ ვეფხისტყაოსანზე დართულ გამოცემათა ვარიანტებს.

¹⁷⁸ 1914 წ. გამოცემა, გვ. XIII.

ტექსტზე კრიტიკული მუშაობის შედეგად არის წარმოქმნილი¹⁷⁹. საკმარისია აქვე აღინიშნოს, რომ მკვლევარმა პოემის უძველეს რედაქციებად მიიჩნია ვახტანგისეულ გამოცემისა და არტანუჯულის სახელით ცნობილი ხელნაწერების ტექსტი. არამც თუ პირველ, არამედ ვეფხისტყაოსნის 1926 წლის გამოცემაშიც იუსტ. აბულაძე შენიშნავდა, რომ „თუ სახეში მივიღებთ პ. ლარაძის ცნობას იმის შესახებ, რომ პ. ლარაძის გადაწერილი ვეფხისტყაოსანი უძველესი და შეურყენელი რედაქციის პირს წარმოადგენს და იმ გარემოებას, რომ სხვა გაგრძელებების მქონე რედაქციებს, როგორც ჩანართი, ისე გაგრძელების ხანები, სტილისა და ლექსის მხრით, რუსთაველის ნაწარმოებს ფრიად ეუცხოება, სრულიად ბუნებრივი იქნებოდა დავასკვნათ, რომ ვახტ.-არტანუჯის რედაქციები მართლაც არსებობდა და, მაშასადამე, როგორც ვახტანგის რედაქცია, ისე პ. ლარაძის გადაწერილი ვეფხისტყაოსანი, ერთსა და იმავე უძველესი რედაქციის პირს წარმოადგენენ“¹⁸⁰.

თუ რამდენად მართებულია მკვლევრის ეს დასკვნა, ამაზე სათანადო თავებში (ვახტანგისეული რედაქცია, არტანუჯული ვარიანტი) სპეციალურად იქნება საუბარი; ოღონდ აქვე შევნიშნავთ, რომ ამ რედაქციათა ამგვარი დახასიათება აშკარა წინააღმდეგობაშია ვეფხისტყაოსნის ტექსტების გენეალოგიის რეალურ ვითარებასთან.

ნაკლებად შესაწყნარებელი ჩანს აგრეთვე მკვლევრის ძალზე მკაცრი განაჩენი პოემის ბევრ ისეთ სტროფზე, რომელთაგან მეტი წილი ვეფხისტყაოსნის მომდევნო გამოცემაში რუსთაველისად იქნა მიჩნეული და ყველა ნიშნებით ძირითად ტექსტს განეკუთვნებია¹⁸¹. დღეს ასევე მიუღებელი ჩანს ვეფხისტყაოსნის პროლოგისადმი ისეთი სექპტიკური პოზიცია, როგორც გამოავლინეს ალ. სარაჯიშვილმა, დ. კარიჭაშვილმა ნ. მარმა (ნაწილობრივ) და დასასრულ, იუსტ. აბულაძემ. საკმარისია აღინიშნოს, რომ მის მიერ განხორციელებულ გამოცემებში პროლოგს მოეპოვება შემდეგი სათაური: „შესავალი, რომელიც მიეწერება შოთა რუსთველს“.

ჩასაკვირველია, ეს ნაკლოვანებები ვერ ამცირებენ იმ დიდ ღვაწლს, რომელიც ვეფხისტყაოსნის ტექსტის შესწავლის საქმეში მი-

¹⁷⁹ უფრო დაწერილებით ვახტანგისეული გამოცემისადმი მიძღვნილ თავში. იხ. აგრეთვე, ა. შანიძის მიერ 1712 წლის აღდგენილ გამოცემაზე დართული გამოკვლევა; ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1957.

¹⁸⁰ 1926 წ. გამოცემა, გვ. IV—V.

¹⁸¹ შდრ. ვეფხისტყაოსნის ძირითად გამოცემათა ვარიანტებზე დართული სტროფული შედგენილობის საძიებელი.

უძღვის მის ერთ-ერთ პიონერთაგანს, იუსტინე აბულაძეს, რომლის საერთო დამსახურება რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში ამჟამად საყოველთაოდ არის აღიარებული ჩვენს მეცნიერულ წრეებში¹⁸².

ვ) ვეფხისტყაოსნის ტექსტის საკითხები ქართულ მეცნიერებაში საბჭოთა ხელისუფლების დაჩყარების შემდეგ

(1934 და 1953 წლის ვეფხისტყაოსნის გამოცემები)

როგორც საერთოდ რუსთველოლოგიაში, ისე კერძოდ ვეფხისტყაოსნის ტექსტის საკითხებზე მუშაობა ახალი ძალით გაიშალა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ. მრავლის მეტყველია თუნდაც ის ფაქტი, რომ ვეფხისტყაოსნის გამოცემათა (დღეისათვის შოთა რუსთაველის პოემა გამოცემულია 50-ჯერ) თითქმის ნახევარზე მეტი განხორციელდა სწორედ ამ უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში.

რასაკვირველია, ბევრ მათგანს არა აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა და უბრალოდ წინამორბედ გამოცემათა განმეორებას წარმოადგენს, ამდენად, მათ რამდენადმე მნიშვნელოვანი კვალი ტექსტის შესწავლის საქმეში არც დაუტოვებიათ. სამაგიეროდ, დროის ამავე მონაკვეთში გამოქვეყნდა სპეციალისტ რუსთველოლოგთა ნაშრომები, რომლებშიც აღძრულია პოემის ტექსტის შესწავლისათვის საინტერესო მრავალი საკითხი.

აქ საჭიროა პირველ რიგში აღინიშნოს პაველ ინგოროცევის გამოკვლევები, რომლებიც შეჯამებული სახით მოთავსებულია მის მონოგრაფიაში „რუსთველიანა“ (1926). ამ წიგნის ორი მოზრდილი თავი მიძღვნილია სწორედ ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორიისადმი.

თავის დროზე ამ ნაშრომმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა, რადგან ავტორმა ტექსტის თავისებურ კვლევასთან ერთად ორიგინალური შეხედულებები წამოაყენა პოემის ავტორის ვინაობისა და თარიღის შესახებ.¹⁸³ ამ წიგნში წამოყენებულ მოსაზრებათა განვითარებაა პ. ინ-

¹⁸² იხ. მაგალითად, თსუ-ს შრომები, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, 1964, გვ. 11—21; პროფ. დ. კობიძის წერილში აღნიშნულია, და სრულიად სამართლიანად, რომ იუსტ. აბულაძე, პოემის ორი გამოცემისა და ვეფხისტყაოსნის ლექსიკონების ავტორი, „ითვლებოდა ვეფხისტყაოსნის ტექსტის, მისი ხელნაწერებისა და ლექსიკის საუკეთესო მცოდნედ“, გვ. 15.

¹⁸³ მაგალითად, თუ ერთის მხრით ამ წიგნს დადებითად აფასებდა ს. გორგაძე (იხ. მისი წერილი, სამაგალითო წიგნი, ჟურნ. ქართული მწერლობა, ტფილისი 1926 წ. № 6—7, გვ. 234—237); ის ეკალაძე (ქართ. მწერლ. ანთოლოგია, ტ. I, 1927, გვ. 191) და სხვ. სამაგიეროდ, მკაცრი კრიტიკით შეხედნენ მას კ. კეკელიძე (რუსთველიანაზე, ჟურნ.

გოროყვას მიერ უქანასკნელ ხანებში გამოქვეყნებული ნაშრომი „რუსთველიანას ეპილოგი“¹⁸⁴. ორივე ამ ნაშრომში დაწერილებით არის საუბარი ტექსტის საკითხებზე და, რაც მთავარია, ავტორისეულ ზოგად კონცეფციას ვეფხისტყაოსნის სხვადასხვა საკითხებზე ერთ-ერთ ქვაკუთხედად სწორედ პოემის ჩვენამდე მოღწეული ტექსტების ანალიზი უღვეს საფუძვლად.

გზადაგზა ჩვენ მოგვიხდება ამ საკითხებზე შეჩერება, ოღონდ აქ შევეცდებით მოკლედ, ძირითად ხაზებში განვიხილოთ ზოგიერთი დებულება (კერძოდ, ფილოლოგიური კვლევა-ძიების სფეროდან), რომელიც წამოყენებულია პავლე ინგოროყვას რუსთველოლოგიურ შრომებში. შეძლებისამებრ შევეხოთ პირველ წყაროებს, რომელთა პრეციზულმა ანალიზმა, როგორც ავტორი აღნიშნავს, მისცა მას საშუალება გამოეტანა ესოდენ მნიშვნელოვანი დასკვნები. ჩვენ ამასთან იძულებული ვიქნებით შევეხოთ ავტორისეული კვლევა-ძიების მეთოდებს, რადგან, ვფიქრობთ, პირდაპირი კავშირია ამ მეთოდებსა და „საუკუნეთა საიდუმლოების ამოხსნის ახალ დადასტურებას“ შორის¹⁸⁵.

ვიღრე ვადავიდოდეთ საკითხთა განხილვაზე, წინასწარ გვინდა შევნიშნოთ შემდეგი: თუმცა პ. ინგოროყვას „რუსთველიანა“ გამოვიდა ამ ოცდაათი წლის წინ, ჩვენ მას განვიხილავთ, „რუსთველიანას ეპილოგის“ რიგში, რადგან იგი არსებითად „რუსთველიანას“ გაგრძელებას წარმოადგენს, თანაც ეს უქანასკნელი შევსებული და განახლებულია ახალი მასალებით, რასაც ავტორი თვითონვე აღნიშნავს: „წინამდებარე გამოცემისათვის გადავხედეთ ამ პირველ რუსთველოლოგიურ ნაშრომს „რუსთველიანასა“ და შევიტანეთ მასში საჭირო ცვლილებანი და დამატებანი“¹⁸⁶.

საკითხი „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული რედაქციისა: „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემის უპირველესი თავისებურება ის არის, რომ ხელნაწერებთან შედარებით აქ ტექსტი ბევრად მოკლეა, განსაკუთრებით ბოლო თავებში; ფაქტიურად, ამ გამოცემა-

მნათობი, 1927, № 2, გვ. 181—203); ს. კაკაბაძე (ვეფხისტყაოსნის საკითხის გარშემო, უფრ. მნათობი, 1927, № 11—12), ალ. ბარამიძე, (ვეფხისტყაოსნის პლასტების დათარიღებისათვის, ტსუ-ს მოაზებ, 1929, ტ. IX, გვ. 121—131); პ. ინგოროყვას ნაშრომს გამოეხმაურა აგრეთვე ნ. მარი (K. Rusthaveliana, Известия АН. 1927, стр. 361—368) და ა. შ.

¹⁸⁴ პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტ. I, 1963, გვ. 525—858.

¹⁸⁵ ასეთ კვალიფიკაციას აძლევს მკვლევარი საკუთარ შეხედულებებს ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობაზე (შოთა—ჭერეთის ერისთავი და სხვ.).

¹⁸⁶ პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტ. I, 1963, გვ. 9.

ში პოემა არაპეთის ამბებით თავდება (ტარიელისა და ნესტანის გახელმწიფება ინდოეთში გადმოცემულია რამდენიმე სტროფით)¹⁸⁷.

იმის გამოჩვენებას, თუ საიდან, ან როგორ წარმოიშვა ამგვარი რედაქცია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტების განვითარების ისტორიისათვის, ისე კონკრეტულად თვით პოემის ტექსტის აღდგენის საქმეშიც.

აღსანიშნავია ერთი საგულისხმო გარემოება: როგორც ჩანს, თავის დროზე ვახტანგის ტექსტს დიდი ავტორიტეტი მოუპოვებია. მაგალითად, გადამწერები ხშირ შემთხვევაში უკვე აღარ მიმართავდნენ ძველ ხელნაწერებს და დედნად ვახტანგისეულ გამოცემას იყენებდნენ. მაგრამ შემდეგში ამ გამოცემის ავტორიტეტი კლებულობს. მაგალითად, „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემაში, რომელიც რიგით მეორე იყო, ნაწილობრივ დარღვეულია ვახტანგის ტექსტი. საკმარისია აღინიშნოს, რომ ამ გამოცემაში შევიდა 50 ახალი სტროფი. ასევე მოხდა 1888 წელს, როცა მწერალთა კომისიამ მოამზადა „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემა. ამ კომისიის მასალებიდან, როგორც ზემოთ ვხედავთ, კარგად ჩანს, რომ პირველ ხანებში მწერალთა დიდ ჯგუფს გრიგოლ ორბელიანის მეთაურობით განსაკუთრებული ნდობა გამოუცხადებია 1712 წლის გამოცემისათვის. მაგრამ შემდეგში ხელნაწერთა გავლენით მაინც სხვა რედაქცია შეუმუშავებათ, კერძოდ, აქ ვახტანგის ტექსტი შეუცვლიათ არა მხოლოდ წაკითხვებით, არამედ ზოგი სტროფი ამოუღიათ და ზოგი ადგილი კი ხელნაწერებიდან შეუვსიათ. ამ ხანებში ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი, თუ რამდენად ავთენტიკურ ტექსტს წარმოადგენდა ვახტანგისეული გამოცემა. აღსანიშნავია ამ მხრივ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ე. თაყაიშვილის ღვაწლი, მან აღწერა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა ერთი ნაწილი და გამოიტანა საგულისხმო დასკვნა: ვახტანგს გაუცხრილავს გვიანდელი დანართებისაგან მე-17 საუკუნის ხელნაწერები და მოუცია პოემის შემოკლებული ტექსტი. ე. ი. ვახტანგის გამოცემა არის კრიტიკულად დამუშავებული ტექსტი. მაგრამ იმასაც დასძინდა მკვლევარი, რომ, რასაკვირველია, ვახტანგი მთლიანად ვერ აღადგენდა პირვანდელ დედანსო.

პაველ ინგოროყვა არის ერთ-ერთი მათგანი, ვინც არ გაიზიარა ეს შეხედულება. თავისი მოსაზრება მან საბოლოო სახით ჩამოაყალიბა „რუსთველიანას“ პირველ გამოცემაში, რაც მცირეოდენი ცვლილებებით გაიმეორა შემდეგ ნაშრომებშიც. ვახტანგისეულ გამოცემას

¹⁸⁷ ვახტანგისეული გამოცემის დახასიათება იხ. ცალკე თავში.

პ. ინგოროყვა განსაკუთრებულ ადგილს უთმობს და მას უკავშირებს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ისტორიის კარდინალურ საკითხებს.

გავეცნოთ მკვლევრის უმთავრეს დასკვნებს, რომლებიც გადმოცემულია ახალ წიგნში: „კრიტიკული ანალიზი ვახტანგის ტექსტისა არ ტოვებს არავითარ ეჭვს აღძრული საკითხის შესახებ. ტექსტის შესწავლიდან უცილობლად მტკიცდება, რომ ვახტანგს არავითარი შესწორება არ შეუტანია „ვეფხისტყაოსნის“ დედანში და მას უცვლელად დაუბეჭდავს რომელიღაც ძველი ხელნაწერი“¹⁸⁸, სხვა ადგილას იგი თვით ხელნაწერის (ე. ი. ვახტანგისეული გამოცემის უცნობი დედნის) თარიღსაც ადგენს: „ვახტანგისეული დედანი არსებული სახით ჩამოყალიბებული ყოფილა არა უგვიანეს მე-14 საუკუნის პირველი ნახევრისა, ამ საუკუნის 40-იან წლების უწინარეს“¹⁸⁹.

უნდა ამთავითვე ითქვას, რომ პ. ინგოროყვას აღნიშნული დებულებები არ არის დამყარებული მეცნიერულ არგუმენტაციაზე. პირველი — მართლაც, თუ ვახტანგისეული გამოცემა ემყარება ასე ძველ ხელნაწერს, მაშინ მკვლევარს მკითხველისათვის უნდა გაეცნო ენობრივი მონაცემები, რომლებიც დაამტკიცებდნენ აღნიშნული ტექსტის არქაულობას. ეს იქნებოდა მართლაც ტექსტის კრიტიკული ანალიზი. მაგრამ პ. ინგოროყვას არ მოაქვს არც ერთი ასეთი ნიმუში.

დღეს კი უკვე კარგად არის ცნობილი, რომ ვახტანგისეული გამოცემის ენობრივი ფორმები ადექვატურნი არიან მე-17 საუკუნის ხელნაწერებისა. აქაც ისეთივე უსწორ-მასწორო ფორმები დასტურდება, როგორც ეს დამახასიათებელია მე-17, მე-18 საუკუნის ქართული ენისათვის. მაგალითად, ფორმათა ნაირობის ნიმუშია: მსგავსი და მზგავსი, დარბასი და დარბაზი, კულავ და კვლავ, ერდგული და ერთგული და უამრავი სხვა (მათი ნუსხა იხ. ა. შანიძის მიერ აღდგენილ ვახტანგისეულ გამოცემაში, გვ. 344—345). ასევე აღრეულია სინტაქსური თავისებურებები, მაგალითად, მცა ნაწილაკი, რომელსაც ძველ ქართულში განსაკუთრებული ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული, ხან სწორადაა წარმოდგენილი, ხან კი მცდარია მისი გაგება (იხ. სტრ. რაა, უიშ, ფვ და სხვ.) მაშინ, როცა გარკვეულია, რომ ზუსტად ასეთივე ენობრივი სიჭრელე ახასიათებს ვეფხისტყაოსნის მე-17 საუკუნის ხელნაწერებს.¹⁹⁰ უფრო მეტიც, ჩვენს მეცნიერებაში გარკვეულია არა მარტო ამ ფორმების ადექვატურობა, არამედ ისიც, რომ ვახტანგის

¹⁸⁸ პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტ. 1, 1963, გვ. 17.

¹⁸⁹ იქვე, გვ. 43.

¹⁹⁰ შ. შანიძე, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემის ზოგიერთი ენობრივი თავისებურება, თსუ-ს კრებული: „შოთა რუსთაელი“, 1966, გვ. 380.

გამოცემაში არ მოიპოვება რაიმე ისეთი წაკითხვა, რომელიც არ იყოს აგრეთვე მე-17 საუკუნის ხელნაწერებშიც.¹⁹¹ ყველაფერი ეს კი მოწმობს, რომ ვახტანგისეული გამოცემა უნდა მომდინარეობდეს სწორედ მე-17 საუკუნის ხელნაწერებიდან.

3. ინგოროყვა გვერდს უელის და არ გვიხსნის იმ ფაქტს, რომ ვახტანგის გამოცემას ახლავს აშკარა ტექსტუალური ხარვეზები. როგორც ჩანს, 1712 წლის გამოცემის რედაქტორს (ვახტანგსა თუ მის თანაშემწეებს), როცა იგი ამოკლებდა მე-17 საუკუნის ხელნაწერებში დაცულ ვრცელ რედაქციას, ზოგჯერ ამოუგდია აშკარა რუსთველური სტროფებიც. თინათინის დავალებით ავთანდილი უცხო მოყმის საძებრად ემზადება და შერმადინს ანდობს გულის საიდუმლოს. ეს სცენა ვახტანგისეულ გამოცემაში ასეა გადმოცემული:

უბრძანა: აბა, შერმადინ, ამაღ მე შენგან მრცხენიან,
ჩემნი საქმენი ყოველნი გცოდნიან, გაგვიღენიან,
მაგრა არ იცი აქამდის, რანიცა ცრემლი მღენიან,
მე ვისგან მქონდეს პატიენი, აწ მასვე მოულხენიან. (151)

მიბრძანა: „მიტან ამბავი მის ყმისა დაკარგულისა,
მოხვიდე, სრულ-ვექმნა მაშინდა შენი წადილი გულისა,
ქმარი არ შინდა უშენო, მომხვდეს ხისაცა რგულისა!“
მომთა წაპალი გულისა, აქამდის დადაგულისა... (153).

ამ ადგილას ეჭვმიუტანელი ხარვეზია. აქ არ ჩანს, ვინ უბრძანა ავთანდილს, მით უმეტეს, რომ შერმადინს არ სცოდნია ავთანდილისა და თინათინის გამიჯნურების ამბავი. ხელნაწერებში ამ ხარვეზს ავსებს სტროფი, რომელიც ვახტანგისეული გამოცემიდან ამოკვეთილია, აი, ეს სტროფიც:

მე მოეუკლავ თინათინის სურვილსა და სიყვარულსა,
ცრემლი ცხელი ასოვლებდის ნარგისთავან ვარდსა ზრულსა,
ვერ ვაჩენდი აქანამდის ჳირსა ჩემგან დაფარულსა,
აწ მიბრძანა საიბედო, ამაღ მხედავ მხიარულსა (152).

ეს აშკარა რუსთველური სტროფი შესანიშნავად ავსებს ზემოთ მოტანილ ორ სტროფს შუა გაჩენილ ხარვეზს. სხვათა შორის, პირველად ეს ხარვეზი დავით რექტორმა შეამჩნია და გაკვირვებით აღნიშნავდა, იქნებ ვახტანგს შემთხვევით გამოორჩა იგიო (თ. ბაგრატიონის ცნობა). საგულისხმოა, რომ ეს სტროფი 1841 წ. შეიტანა მარი ბროსემ, აგრეთვე მწერალთა კომისიამ 1888 წლის გამოცემაში და ა. შ.

¹⁹¹ ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული რედაქცია, 1957, გვ. 57—58.

ამგვარი ხარვეზები მრავალია ვახტანგის გამოცემაში (ზოგი მათგანი აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში), მაგრამ 1712 წლის გამოცემის ყველაზე დიდი შეუსაბამობა მაინც პომის დაბოლოებაში მოჩანს. ამ გამოცემის რედაქტორს საეკვოდ მიუჩნევია ე. წ. ინდო-ხატაელთა ამბავი, შეუკვეცია იგი, მაგრამ შეკვეცილი ტექსტი ველარ გაუმართავს. მაგალითად, საიუბილეო გამოცემის 1556-ე სტროფს, სადაც ლაპარაკია ფრიდონზე, მოსდევს სტროფი: „როსტენისთვის წაატანა საძღვნოდ ტურფა ჭუბაჩები“ (1658). გამოდის, რომ ტარიელი ფრიდონის ხელით უგზავნის ძღვენს როსტევან მეფეს, მაშინ, როცა რამდენიმე სტროფის შემდეგ ვიკებთ, რომ არაბეთში მისვლამდე გაიყარნენ ავთანდილი და ფრიდონი („გზამან გაყარანა, წავიდეს თავის-თავ ანატირენი“ — სტრ. 1661). ამ ხარვეზს ასწორებს 1957 წლის გამოცემის 1657-ე სტროფი, რომელიც ამოღებულია ვახტანგის გამოცემაში, ხოლო არის ხელნაწერებში, სადაც სწორედ ავთანდილზეა საუბარი.

ამგვარ შემოკლებათა გამო დარღვეულია თვით თხრობის რიგიც. ვახტანგისეული გამოცემით, გმირები არაბეთში დიდ სამზადისში არიან ინდოეთში წასასვლელად, ვინ იცის, იქ რა მოელით! როსტევანი 80-ათასიან ლაშქარს გააყოლებს ტარიელს, მიდიან ყველანი, იარეს სამი თვე და ერთ დღეს „სადილად გარდახდეს“ (სტრ. 1578), ფაქტია, აქ თხრობის ელემენტარული წესი მოითხოვს, რომ რაღაც ახალი ამბავი უნდა მოხდეს, ნაცვლად ამისა, ვახტანგთან ამოღებულია შემდგომი ამბები (რაც ხელნაწერშია მოთხრობილი) და პირდაპირ ინდოეთში ქორწილზე გადადის თხრობა. ფაქტია, რომ 1712 წლის გამოცემის რედაქტორს ან უნდა დაეტოვებინა ინდო-ხატაელთა ამბავი, ან მასთან ერთად უნდა ამოელო წინა სტროფებიც.

ვახტანგისეული გამოცემის თავისებურებათა გარკვევის დროს არ არის მართებული აღნიშნული ფაქტების მიჩქმალვა. ისინი აშკარად ამხელენ. რომ 1712 წლის გამოცემა არის მე-17 საუკუნის ხელნაწერების ხელოვნურად შემოკლებული ტექსტი, პომის კრიტიკული რედაქცია.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენი გამოჩენილი მეცნიერის ა. შანიძის დაკვირვება. ის, რაც ფილოლოგიური ანალიზის შედეგად ითქვა ვახტანგისეული გამოცემის ხასიათზე, ა. შანიძემ დაადასტურა დოკუმენტური მასალებით. ა. შანიძემ ვახტანგისეული გამოცემის ტექსტისა და ვახტანგის კომენტარების შედარებისას შეამჩნია, რომ კომენტარებში განმარტებულია ზოგიერთი ისეთი სტროფი, რომელიც ვახტანგის დაბეჭდილ ტექსტში არ გვხვდება. ვახტანგი შედარებით უფრო ვრცელ ხელნაწერს უკეთებდა კომენტარს. როგორც ჩანს, გამოცემის პროცესში ტექსტი კიდევ შეუმოკლებიათ,

ხალო ზოგიერთი ამოდებული სტროფის კვალი შემთხვევით გადარჩენილა განმარტებაში. არა მარტო შემოკლება, არამედ ტექსტის სწორება მიმდინარეობდა თვით ბეჭდვის პროცესშიც, ერთი რომელიმე წაკითხვის ნაცვლად ხელნაწერებიდან შემოჰქონდათ სხვა წაკითხვები¹⁹².

მეცნიერებაში ცნობილია რამდენიმე ხელნაწერი, რომლებიც თავისი რედაქციული აღნაგობით ახლოს დგანან ვახტანგისეულ გამოცემასთან, მათი შესწავლა იმ თვალსაზრისით იყო საინტერესო, რომ იქნებ ვახტანგზე ადრეც შემუშავდა ამგვარი შემოკლებული ტექსტი პოემისა მაგრამ დღეს ვარკვეულია, ეს ხელნაწერები ჩამოყალიბდნენ 1712 წლის გამოცემის შემდგომ თვით ვახტანგისეული გამოცემის გავლენით. შედარებით ეჭვის ქვეშ იდგა რუსთველოლოგიაში კარგად ცნობილი მხატვრული ხელნაწერი S — 5006. ამ ხელნაწერს ზოგი მკვლევარი მე-17 საუკუნისად თვლიდა (ვახტანგის გამოცემაზე უძველესად), თანაც აქ შესამჩნევია ისეთივე რედაქციის კვალი, როგორც ეს 1712 წლის გამოცემაშია. ხელნაწერს პირველად ყურადღება მიაქცია, დ. კარიჭაშვილმა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მას პ. ინგოროყვა ჯერ კიდევ „რუსთველიანას“ 1926 წლის გამოცემიდან მოკიდებული. თურმე ამის მიხედვით „დასტურდება ვახტანგისეული მოკლე დედნის მსგავსი მოკლე რედაქციის ხელნაწერის არსებობა“¹⁹⁸, რომ ეს ხელნაწერი ამ თვალსაზრისით გვაძლევს „გადამწყვეტი მნიშვნელობის ჩვენებას“ (იქვე).

დღეს დოკუმენტურად არის ცნობილი ამ ხელნაწერის რედაქციული აღნაგობა. სპეციალური შესწავლის შედეგად გაირკვა¹⁹⁴, რომ S—5006 ხელნაწერის გადამწერი რამდენიმე დედნით სარგებლობდა. მათ შორის თვით ვახტანგისეული გამოცემითაც. კერძოდ, იმ თავიდან, სადაც გადმოცემულია ავთანდილის მისვლა ფრიდონის სამეფოში ინდო-ხატაელთა ამბამდე. ამის შემდეგ, როცა გადამწერს დაუნახავს ვახტანგისეული გამოცემის მოკლე დაბოლოება, კვლავ ვრცელი ხელნაწერისათვის მიუმართავს. ზემოთ აღნიშნულ მონაკვეთში ვახტანგის გამოცემის გავლენა ზუსტი მონაცემებით მტკიცდება. ხელნაწერს ზუსტად გადმოაქვს არა მარტო 1712 წლის წაკითხვები, არამედ კორექტურული შეცდომები და სხვა ბეჭდური ცდომილებანიც კი. საგულისხმოა ერთი დეტალიც, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენი-

¹⁹² ა. შ ა ნ ი ძ ე, ვეფხისტყაოსნის 1712 წლის აღდგენილი გამოცემა, 1937, გვ. 343—348.

¹⁹³ პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტ. I, 1963, გვ. 20.

¹⁹⁴ ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1957, გვ. 59—61; ამ ხელნაწერის თავისებურებებზე იხ. შემდეგ თავებში.

ქება ამ საკითხისათვის: „ვეფხისტყაოსნის“ მე-17 საუკუნის ყველა ხელნაწერი იცავს სიტყვათა გამყოფი ორწერტილის ტრადიციას. ვახტანგის გამოცემის რედაქტორი, ალბათ, სტამბური ბეჭდვის სიძნელეთა გამო, ამარტივებს ამ წესს და მხოლოდ სტრიქონის შუაზე (ცეზურაზე) და ბოლოში სვამს ორ წერტილს. გამოიჩვენა, რომ S — 5006 ხელნაწერის პირველ ნაწილში ყველა სიტყვას წერტილები უზის, ხოლო იმ ადგილიდან კი, საიდანაც ვახტანგის ტექსტის გადაწერა დაწყებული, ეს წერტილები სწორედ შუაზეა (ცეზურაზე) დასმული. ამგვარი დეტალები მრავალია, აქ კვლავ უნდა გავიმეოროთ იგივე დასკვნა, რაც ამ ხელნაწერთან დაკავშირებით გამოტანილია ჩვენს წიგნში „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული რედექცია“: „ხელნაწერი S—5006 წარმოადგენს ვახტანგისეული გამოცემისა და მე-17 საუკუნის რომელიც ხელნაწერის პირს და გადაწერილია მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში (და არა მე-17 საუკუნეში). აქედან კი ბუნებრივად გამოდინარეობს მეორე დასკვნა; ის ერთადერთი მოსაზრებაც, რომელიც საეჭვოდ ხდიდა „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემის კრიტიკულობას, უარყოფილი უნდა იქნეს“¹⁸⁵.

პ. ინგოროყვამ თავის ნაშრომში გვერდი აუარა როგორც ა. შანიძის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტურ ცნობებს, ისევე S—5006 ხელნაწერის შესახებ აღმოჩენილ ახალ მასალებს. დაქმყოფილდა სქოლიოზე მითითებით, სადაც მკითხველი იპოვის მხოლოდ განცხადებას, რომ ავტორი ამ საკითხებს დაუბრუნდება მომავალ ტომებში¹⁸⁶.

ჩერ კიდევ მე-17, მე-18 საუკუნის მოღვაწეთათვის კარგად იყო ცნობილი, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ძალზე წარყვნილი იყო გვიანდელი ჩანართებით (საკმარისია აღინიშნოს არჩილ მეფის ცნობები „ვეფხისტყაოსნის“ გამგრძელებელ ნანუჩაზე). ვახტანგმა გაითვალისწინა ყველაფერი ეს, თავის შეხედულებისამებრ გაცხრილა პოემა გვიანდელი ჩანართებისაგან და დაბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ შემოკლებული ტექსტი. ამდენად, არ არის მართებული პ. ინგოროყვას მოსაზრება, რომ ვახტანგის გამოცემას განსაკუთრებული ადგილი უნდა მიეკუთვნოს ხელნაწერებთან შედარებით და რომ ვახტანგისეული გამოცემა იმეორებს მე-14 საუკუნის პირველი ნახევრის დედანს და ა. შ.

როგორც გაირკვა, ვახტანგის გამოცემა არის მე-17 საუკუნის ხელნაწერებში დაცული ვრცელი რედაქციების შემოკლების შედეგად ჩამოყალიბებული ტექსტი.¹⁸⁷ ამდენად, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის

¹⁸⁵ ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1957, გვ. 61.

¹⁸⁶ პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტ. I, 1963, გვ. 19—20.

¹⁸⁷ დაწერილებით იხ. ცალკე თავში.

აღსადგენად პირველ წყარობად უნდა ვიგულოვოთ მე-17 საუკუნის ხელნაწერები და არა ვახტანგისეული გამოცემა. ეს უკანასკნელი თვით ეყრდნობოდა მე-17 საუკუნის ხელნაწერებს.

„ვეფხისტყაოსნის“ პლასტების დათარიღების საკითხები: პოემის ტექსტის ჭეროვან აღდგენას მრავალი დაბრკოლებანი ელობება წინ. თუმცა ჩვენ ხელთ არის 160-მდე ხელნაწერი, არც ერთი მათგანი არ არის გადაწერილი მე-17 საუკუნეზე ადრე, ე. ი. „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის ხანას ეს ხელნაწერები შორდებიან თითქმის ხუთი საუკუნით და გადაწერათა დროის ენობრივი მონაცემებით ამძიმებენ პირვანდელ ტექსტს, თანაც მე-17 საუკუნის ხელნაწერები დიდი რაოდენობით შეიცავენ გვიანდელ ჩანართებს. ამასთან პოემას გაგრძელებათა სახით ერთვის რამდენიმე დამოუკიდებელი ამბავთა ციკლიც. აღსანიშნავია, რომ არც ერთ შედარებით ძველ ხელნაწერში პოემა არ თავდება იმგვარად, როგორადაც მას ჩვენი მკითხველი იცნობს. პოემის ამბავი გმირთა გარდაცვალებამდეა მოტანილი.

ფაქტია, რომ დამატებათა ეს ციკლები იქმნებოდა სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ავტორთა მიერ. ერთ-ერთი უმთავრესი საკითხთაგანი სწორედ ისაა, თუ როდის მოხდა ამ ციკლების ჩამოყალიბება. პავლე ინგოროყვამ თავისი მოსაზრება აღნიშნულ საკითხზე ადრევე წარმოადგინა („რუსთველიანას“ პირველი გამოცემა) — ვახტანგისეული გამოცემის დედანი არის უძველესი ტექსტი („პირველი პლასტი“) და იგი ჩამოყალიბებულია მე-14 საუკუნის პირველ ნახევარში. მე-14 საუკუნის ნახევრის შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს მე-15 საუკუნის დასაწყისისა გაჩნდნენ ის დამატებანი („ხვარაზმელთა ამბავი“ და სხვ.), რომლებიც შეადგენდნენ „მეორე პლასტს“, ხოლო მე-16 საუკუნისათვის უკვე დამთავრებულია ძირითადად „მესამე პლასტის“ ჩამოყალიბება (გმირთა გარდაცვალება და მათი ანდერძები).

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი: „პლასტების დათარიღების თეორიას“, რომელიც მკვლევარმა წამოაყენა, პირველ რიგში. არღვევს ვახტანგისეული გამოცემის თავისებურებანი, რაზედაც ჩვენ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. პ. ინგოროყვას მიერ წარმოდგენილი პირველი, უძველესი პლასტი (ვახტანგის ტექსტი) თვითონ არის ყველაზე გვიან ჩამოყალიბებული და შემუშავებულია მე-17 საუკუნის ხელნაწერთა შემოკლების ნიადაგზე.

მეორე პლასტის დათარიღებისათვის ასევე ნაშრომში არ არის მოტანილი დამაჩერებელი საბუთები. სარგის თმოგველისა და სხვა ისტორიულ პირთა მოხსენება შესაძლო იყო არა მარტო მე-14 საუკუნეში, არამედ მის მომდევნო ხანებში. თანაც „ხვარაზმელთა ამბის“ ტექსტუალური ანალიზი საწინააღმდეგოზე მეტყველებს. მაგალითად,

ღვისტყაოსნის“ გაგრძელებათა ახალ-ახალი ციკლების წარმოშობაც. ამავეს ადასტურებს ამ დამატებათა ყოველმხრივი ანალიზი, რისი ერთი ნიმუშიც ზევით დავასახელებთ. მეცნიერებაში აღნიშნულია, რომ მე-16 საუკუნიდან მოკიდებული, მე-17 საუკუნის ზუსტად პირველი მეოთხედისათვის უკვე ცნობილია ისეთი დამატებები, როგორცაა „ხეარაზმელთა ამბავი“ და გმირთა გარდაცვალება. მაგალითად, 1629 წლისათვის თეიმურაზ პირველი თავის „იოსებზილიხანიანში“ უკვე იცნობს „ვეფხისტყაოსნის“ ამგვარ დაბოლოებას.²⁰⁰ რაც შეეხება სხვა ანდერძებს, თითქმის უკლებლივ ვიცით მათი ავტორების ვინაობა და რომელ ხელნაწერში გამოჩნდნენ ისინი პირველად.

სამწუხაროდ, პ. ინგოროყვამ თავის ახალ გამოცემაში აღარ გაითვალისწინა აღნიშნული მონაცემები, რადგან ისინი აშკარად სხვაგვარად სვამენ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის გენეალოგიის საკითხებს.

ზემოთ აღნიშნულია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ისტორია სხვა ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებთან ერთად მჭიდროდ უკავშირდება ტექსტის აღდგენას და მართებულად გამართვას. მაგრამ პირველ საკითხზე არასწორი თვალსაზრისი მას გარკვეულ ზიანს აყენებს. ეს რელიეფურად გამოჩნდება პ. ინგოროყვას შეხედულებათა მაგალითზეც. არა ფაქტებიდან გამომდინარე, წინასწარ შემუშავებული მოსაზრებათა გამართლების მიზნით, პ. ინგოროყვა გაუგებარი სიმკაცრით ეპყრობა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს. სანიმუშოდ განვიხილოთ „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი. რუსთველისეული პროლოგი „ვეფხისტყაოსნის“ მშვენებაა. აქ პოეტის მიერ დასმულია ბევრი ისეთი საკითხი, რაც შემდეგ მხატვრულად ხორცშესხმულია პოემაში. პროლოგის ცალკეული ადგილები უდიდესი პოეტური ძალით არის დამუშავებული და, მართლაც, ხელიხელ საგოგმანებელ მარგალიტებს წარმოადგენენ. როგორც ვნახეთ, არ იყო სწორი ერთ დროს გავრცელებული შეხედულება, რომ თითქოს პროლოგი ცალკეული სტროფების კრებულია. სხვათა შორის, ასეთ შეხედულებას ერთგვარად უწყობდა ხელს ვახტანგისეულ გამოცემაში წარმოდგენილი პროლოგის ტექსტი, სადაც აღრეული იყო სტროფთა თანამიმდევრობა. დღეს გარკვეულია, რომ ვახტანგის გამოცემის ეს ნაკლოვანება მე-17 საუკუნის ერთ-ერთი ხელნაწერიდან მოდის²⁰¹ და პოემის ახალ გამოცემაში აღდგენილია პროლოგის პირვანდელი თანამიმდევრობა. პროლოგის შესწავლის ისტორიამ განვლო ე. წ. სკეპტიკური პერიოდიც, როცა ეპვით უყურებდნენ მის რუსთველისადმი კუთვნილებას, მა-

²⁰⁰ ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1957, გვ. 25.

²⁰¹ ი კ ვ ე, გვ. 92.

გრამ, ვფიქრობთ, ამგვარი შეხედულება დღეს ოდიოზურად ჩაითვლებოდა. რასაკვირველია, პროლოგის იმ ტექსტში, რომელიც ახლა საყოველთაოდ არის გავრცელებული, რამდენიმე ჩანართი უეჭველად შეინიშნება, მაგრამ ძირითადი სახით პროლოგი პოემის განუყოფელი ნაწილია. ამ ფონზე სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა პ. ინგოროყვას პოზიცია. ახალ წიგნში მკვლევარმა ყოველგვარი კრიტიკული ანალიზის გარეშე ვეფხისტყაოსნის პროლოგის 31 სტროფიდან „ყალბად“ გამოაცხადა 19 სტროფი (ასე რომ მიეყვებო, რალა შეგვრჩება ხელში!). ყველა იცნობს, მაგალითად, პროლოგის ერთ-ერთ უბრწყინვალეს ადგილს:

ვის შეენის, — ლომსა — ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა,
მეფისა მზის თამარისა, ლაწვ-ბალახშ, თმა-გიშერისა.
მას, არა ვიცი, შეუქადრო შესხმა ხოტბისა შერისა?
მისთა მკვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს, მართ მიშერისა.

თავის დროზე ერთი მკვლევარი აღტაცებული იყო ამ მართლაც, მშვენიერი სტრიქონებით. იგი წერდა, რომ ეს სტროფი შექმნილია „წმინდა რუსთველური ინსტრუმენტაციით“, რომ ვინც ამგვარ შედეგებს ყალბად გამოაცხადებს, „ეს არსებითად იგივეა, რაც მთელი „ვეფხისტყაოსნის“ ყალბად გამოცხადება“. მკითხველმა არ უნდა იფიქროს, რომ აქ მოტანილი სიტყვების დამწერი სხვაა და პ. ინგოროყვა სხვა. მით უფრო უცნაურია, რომ ამავე სიტყვების ავტორი ახალ წიგნში, ყოველგვარი კომენტარის გარეშე ყალბად მიიჩნევს „წმინდა რუსთველური ლექსის ინსტრუმენტაციით“ აქლერებულ სტროფს და ამასთან ერთად პროლოგის სხვა შესანიშნავ ადგილებსაც (მაგალითად, მეშვიდე სტროფს: „მო, დავსხდეთ ტარიელისთვის“... მერვე სტროფს: „მე, რუსთველი, ხელობითა“... მეცხრამეტე სტროფს: „ვთქვა მიჯნურობა პირველი“... და ა. შ.).

მაინც რატომ უარყო ციტირებული სტროფი პ. ინგოროყვამ? აქ თამართან ერთად შექმნილია დავით სოსლანი (მეტაფორულად — თამარის ლომი), ხოლო დავითი ალბათ „ზედმეტი“ ჩანს მკვლევრის მიერ შემუშავებულ რუსთველის ბიოგრაფიაში. ამ შემთხვევაშიც პ. ინგოროყვა ამოდის არა ფაქტიური მონაცემებიდან, არამედ წინასწარ დასახულ თვალსაზრისს უმორჩილებს პოემის ტექსტის აღდგენის საკითხებს²⁰².

²⁰² პ. ინგოროყვას „რუსთველიანის ეპილოგზე“ იხ. ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, პავლე ინგოროყვას თხზულებათა კრებული პირველი ტომის გამოქვეყნების გამო, ნარკვევები, IV, 1964, გვ. 368—437; ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, ფილოლოგიური შენიშვნები, უკრა. „მაცნე“, 1965, № 6, გვ. 264—277.

მაგრამ აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ზემოაღნიშნული, ჩვენის აზრით, პრინციპული ხასიათის შეცდომებისა, პ. ინგოროყვან კვლევა-ძიებას, კერძოდ, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორიის დარგში უქვეყნულად გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება. უკვე პირველსავე წიგნში („რუსთველიანა“) აღძრული და ახლებურად იყო გააზრებული რიგი საკითხი. „რუსთველიანას ეპილოგში“ ეგვევ საკითხებია განვითარებული, რომელთაც უქვეყნულად დიდი ინტერესი გამოიწვევს სპეციალისტთა წრეებში. მართებულად შენიშნავს ალ. ბარამიძე, რომ „არასგზით არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ პ. ინგოროყვამ კოლოსალური შრომა გასწია. ზოგი რამე ამ დიდი შრომიდან ჩვენ მიუღებლად გვეჩვენება, ზოგ რამეც სადავოდ ან საეგებო ჰიპოთეზად ვფიქრობთ. მაინც ეს შრომა (ლაპარაკია „რუსთველიანას ეპილოგზე“ — ს. ც.) უთუოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა უკანასკნელი დროის რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში. ამ შრომაში წამოჭრილი საკითხები დიდხანს იქნება სპეციალური დაკვირვებისა და შემდგომი შესწავლის საგანი. პ. ინგოროყვას შრომა ყველაფერთან ერთად ბიძგს აძლევს ქართულ მეცნიერულ აზროვნებას, მეცნიერული კვლევა-ძიების საქმეს“²⁰³.

ამასთან უნდა დავსძინოთ, რომ პავლე ინგოროყვამ ერთ-ერთმა პირველთაგანმა გააფართოვა ვეფხისტყაოსნის ტექსტის აღდგენის კვლევის სფერო და იგი ვეფხისტყაოსნის ზოგად პრობლემატიკას დაუკავშირა. მკვლევარი შეეცადა ჩვენთვის წარმოედგინა ვეფხისტყაოსნის ტექსტის თანდათანობითი განვითარების მთელი ისტორია და ამის საფუძველზე ეკვლია, როგორც ტექსტის აღდგენის ცალკეული, ისე ვეფხისტყაოსნის შესწავლასთან დაკავშირებული სხვა საკითხებიც. ეს უკვე იყო პირველი და სერიოზული ნაბიჯი პოეტის ტექსტის კვლევის მრავალწლოვან ისტორიაში, რაც თავისთავად დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს რუსთველოლოგიის განვითარების თანამედროვე ეტაპზეც.

ზემოთ მოგვიხდა პავლე ინგოროყვას სხვადასხვა დროს დაწერილ ნაშრომთა მიმოხილვა, რადგან ისინი ფაქტიურად ერთი და იმავე საკითხთა წრეს ეხებოდნენ. ასევე მოვლენებს წინ უნდა გავუსწროთ და ორიოდ სიტყვით მაინც უნდა შევებოთ ამ ათიოდე წლის წინ გამოქვეყნებულ ვეფხისტყაოსნის გამოცემას (1953 წ.), რომელიც დაიბეჭდა პავლე ინგოროყვას რედაქციით. გამოცემა ორმხრივია საინტერესო. მასზე დართულ გამოკვლევაში საუბარია ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებზე, ტექსტის აღდგენის პრინციპებზე (ფაქტიურად იგი.

²⁰³ ალ. ბარამიძე, ნარკვევები, ტ. IV, 1964, გვ. 434.

„რუსთველიანაში“ გამოთქმულ შეხედულებათა განმეორებაა და ამდენად მათ აქ აღარ შეეხებოდა, ამავდროს, გამოცემაში შეტანილია რიგი ახალი გასწორება, რომელიც ამასთან დასაბუთებულია (თუმცა მეტად ძუნწად) ბოლოში დართულ რედაქტორის შენიშვნებში.

მიუხედავად ვარკვეული მეთოდოლოგიური ხარვეზებისა (რომელთა გამო ზემოთ ვისაუბრეთ), ვეფხისტყაოსნის 1953 წლის გამოცემაში მკვლევარმა წარმოადგინა რიგი ახლებური წაკითხვა, შეეცადა დამახინჯებული ადგილების გასწორებას. მათგან ვარკვეული ნაწილი, უეჭველად, მისაღები ჩანს და მეტყველებს მკვლევრის ტექსტოლოგიური კვლევა-ძიების ალღოზე.

აქ საჭიროა აღინიშნოს, რომ ზოგი გასწორება დასტურდება ძველ გამოცემებშიც, მაგრამ, ვფიქრობთ, ამას არსებითი მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს. 1953 წლის გამოცემა ასწორებს 1937 წლის საიუბილეო და 1951 წლის გამოცემებს (რედაქტორები: ალ. ბარამიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე), ხოლო რიგ შემთხვევაში აღადგენს ძველ გამოცემებში გატარებულ წაკითხვებს.

ერთ-ერთი უდავო ღირსება 1953 წლის გამოცემისა ისიც არის, რომ აქ განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ვეფხისტყაოსნის ლექსის სათანადოდ გამართვას. კერძოდ, საკითხი ეხება რუსთველური ლექსის ისეთ ძირითად კომპონენტს, როგორცაა რითმა. მე აქ არ შეეჩერდები იმ სახელებზე, რომლებიც დაკავშირებულია რუსთაველის სახელთან ან საერთოდ იმ კანონზომიერებებზე, რომლებსაც ვეფხისტყაოსანში ქმნის რიტმისა და რითმის შეხამება, რითმის შედგენილობა ან ეფფონიური თავისებურებანი²⁰⁴. მაგრამ აქ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ყოველი გადახვევა რუსთველური რითმის მტკიცედ შეკრული კანონებიდან უეჭველად ბადებს საქმეში ჩახედული მკვლევრის ეჭვსა და უნდობლობას: ან ინტერპოლატორს ეკუთვნის ასეთი სტროფი, ან კიდევ გადამწერთა მიერ არის ტექსტი დამახინჯებული.

3. ინგოროყვა, ვეფხისტყაოსნის პოეტიკის ჩინებული მცოდნე, ბუნებრივია, ამ მომენტს განსაკუთრებული ყურადღებით მოექცეოდა

²⁰⁴ იხ. კ. ჭიჭინაძე, ვეფხისტყაოსნის 1934 წ. გამოცემაზე დართული გამოკლევა; ა. გაწერელია, ქართული კლასიკური ლექსი, 1953, გვ. 162—200; ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, 1966, 354—359; შ. ლლონტი, ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის სპეციფიკურობის პრობლემა, 1966, გვ. 130—138; რ. ფიცხალაიშვილი, ტავტოლოგიური რითმის შესახებ ვეფხისტყაოსანში, კრებ. ძველი ქართული ლიტერატურის საკითხები, II, 1964, გვ. 275—278; ი. იმნაიშვილი, ქართული პოეტური ენის საკითხები, 1966, გვ. 81—97; ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის პოეტიკა, წიგნში: შოთა რუსთაველი და მისი პოემა (ნ. ნათაძის თანავტორობით), 1966, გვ. 116—137 და სხვ.

და, მართლაც, 1953 წლის გამოცემის ყველაზე ნათელი ადგილები ასეთი ტიპის გასწორებაზე მოდის.

ქველ გამოცემებში და მათ შორის 1937—1951 წლისაშიც აშკარად გაუმართავი იყო პოემის 1210-ე სტროფი.

მუქაფა ღმერთმან შემოგზლოს, — მალსა გკადრებდე მე რასა, —
რომელმან დამხსენ მშვიდობით იმა ველისა მზერასა!
აწ ამას იქით ვნატრიდე ჩემსა ეტლსა და წერასა,
ალარ ეიშიში სიკვდილსა, ჰაი, ჩავიჭერ მე რასა!

ექვს ბადებდა პირველი და მეოთხე ერთნაირ ნაცვალსახელთაგან შედგენილი ტავტოლოგიური რითმა (თუ ამ შედგენილი რითმის მეორე წევრს მოეპოვება მცირეოდენი ნიუანსური განსხვავება: პირველი სტრიქონის „რასა“ მიცემითშია, ხოლო მეორე მიმართულების აღმნიშვნელია, პირველი წევრები „მე“ ნაცვალსახელით გამოხატული ზუსტად ერთნაირი ფორმით არიან წარმოდგენილნი). 1953 წლის გამოცემის რედაქტორი ზოგადად, მაგრამ მართებულად აღნიშნავს: „პირველ და მეოთხე ტაეებში ერთი და იგივე სარიტმო სიტყვებიაო“ და ხელნაწერებზე დაყრდნობით ასწორებს: „ჰაი, ჩავიჭერ ქვე რასა“. საგრძობლად გასწორდა რითმული უხერხულობა, თანაც აღსანიშნავია: რომ ხელნაწერთა ერთი ჯგუფი (ლიტერატურის ინსტიტუტის ლიტერით D G N K O V F' G' L' Q' და სხვ.) სწორედ ასეთ წაკითხვას უჭერს მხარს. ასეთივე წაკითხვა გაიზიარა ალ. ბარამიძისა და ა. შანიძის 1966 წლისა და ახალმა საიუბილეო გამოცემებმა.

1520-ე სტროფი, რომელშიც როსტეფანისადმი მიმართული ტარისელის სიტყვებია გადმოცემული, 1937 წლის და შესაბამისად 1951 წ. გამოცემებში ასეა წარმოდგენილი:

აწ ამას კადრებთ ორნივე ხვეწნით და შემუდარებით,
ავთანდილ დამღვა წამალი მისგან თავისა და დე ბით,
დაიწყდეს, რომე პატიჟნი სკირდეს ჩენთავე დარებით,
არ გაწყენ, გრძელი ამბავი არს ჩემგან მიუმხედარებით.

აშკარად დარღვეულია რუსთველური რითმის ელემენტარული კანონი. მეორე სტრიქონის ბოლო სიტყვას „დადებით“ დისონანსი შეაქვეს სარიტმო კლაუზულაში. რუსთველური ლექსი თვით ასონანსურ რითმასაც კი იშვიათად მიმართავს (და ისიც გარკვეული კანონზომიერებით)²⁰⁵, აქ კი სრულიად მოულოდნელად ბეგრა დ (ხმული)

²⁰⁵ ი. იმნაიშვილი კატეგორიულადაც კი უარყოფს რუსთველთან არამეტოჟ კონსონანსურ, არამედ ასონანსურ რითმასაც კი: „რუსთველის რითმას საფუძვლად უძველესი მკაცრი კანონი: სიტყვის სარიტმო ნაწილი, მთელი კლაუზულა თავიდან ბოლომდე უნ-

ერთმემა რ-ს (ნარნარა) და აუხეშებს „არებით“ კლაუზულაზე გაწყობილ სტროფის ეფონიურ მხარეს. აღსანიშნავია, რომ ძველ გამოცემათა დიდ უმრავლესობაში, ვახტანგიდან მოყოლებული, მოწერაგებული იყო სტროფის აღნიშნული ნაკლოვანება და მეორე სტრიქონში იკითხებოდა: „მისგან თავისა და რ ე ბ ი თ“. და მხოლოდ 1937 წ. გამოცემაში გაჩნდა პირველად ეს წაკითხვა (შესაბამისად, 1951 წლისამც). პ. ინგოროყვამ კვლავ აღადგინა ძველი წაკითხვა, რომელიც როგორც ჩანს, ხელნაწერებიდანვე მომდინარეობდა (ხელნაწერებში: A, B, C, D, E და სხვ., სადაც იკითხება სწორედ ასევე: „დარებით“).

მაინც რამ გამოიწვია 1937 წლის გამოცემაში ამგვარი ცვლილება? პ. ინგოროყვა, ისე როგორც მეტწილ შემთხვევაში, არ გვიხსნის გასწორების საფუძველს (აღნიშნავს მხოლოდ, რომ რითმა შესწორდა) და მით უფრო 1937 წლის გამოცემის ასეთი წაკითხვის მიზეზს.

როგორც ჩანს, დაეჭვება გამოიწვია ტავტოლოგიური რითმის საშიშროებამ. თუ მივიღებთ მეორე სტრიქონში წაკითხვას „დარებით“, მაშინ მესამე სტრიქონთან იგი ომონიმურ რითმას („დარებით“ — „დარებით“) ქმნის. უნდა ვიფიქროთ, რომ 1937 წლის რედაქციამ ვერ დაინახა აქ ომონიმები და ტავტოლოგიურ რითმად ჩათვალა იგი. ამის თავიდან აცილების მიზნით მიმართა მან რამდენიმე ხელნაწერში არსებულ წაკითხვას „დადებით“, რაც თითქოს შინაარსობრივადაც უფრო მისაღები ჩანს.

მაგრამ ამ სტროფზე დაკვირვება და საერთოდ ვეფხისტყაოსნის ენის თავისებურებათა გათვალისწინება გვაფიქრებინებს, რომ აქ ტავტოლოგიას („დარებით“ — „დარებით“) ადგილი არ უნდა ჰქონდეს. მეორე სტრიქონში სიტყვა დარება უნდა ნიშნავდეს სიარულს, რებას და ნაწარმოებია ისე, როგორც რება ზმნის სხვა ზმნისწინიანი ფორმები (შდრ. ვეფხისტყაოსანში: „ვისგან ნაკრავნი გვინახვან მხეცნი ვერ წაღმა წარებით“ — სტრ. 80,4 და სხვ.). რაც შეეხება მესამე სტრიქონის სარიტმო სიტყვას „დარებით“, აქ იგი მსგავსებას ნიშნავს და ამავე ფორმით, ამავე მნიშვნელობით სხვაგანაც გვხვდება (შდრ. „ყოლა ვერ ვიტყვი შენსა მაგისა დარებით“ — 80,2). აღნიშნულ სიტყვათა ამგვარი გაგების შემდეგ, ჩემი აზრით, ნათელი უნდა იყოს მეორე და მესამე სტრიქონის შინაარსიც: ავთანდილმაო — ამბობს ტარიელი, — თავის სიარულით, რებით (იგულისხმება ნესტანის საქმე-

და იყოს საესებით ერთნაირი, არავითარი გადახვევა, არავითარი შეცვლა... (ქართული პოეტური ენის საკითხები, 1966, გვ. 92). თუმცა მკვლევარი იმასაც მიუთითებს, რომ პოემაში მაინც არის ასონანსური რითმების შემთხვევები, მაგრამ ამ შემთხვევაში ახლომდგომი ბგერები (ნარნარა: რ, ლ, ნ, და ბავისმიერნი ბ, ვ, მ და სხვ.) ენაცვლებიან ერთობს.

რად წასვლა) მიმკურნალა (წამალი დამდევა) და დაივიწყა. რომ მასაც ჩვენდავგარი ტინჯვა (პატეი) სჭირდაო.

ამდენად, ვფიქრობ, სტროფის აღდგენილი რედაქცია შინაარსობრივად და მხატვრულადაც სრულიად გამართული ჩანს²⁰⁶.

ჩვეულებრივ რითმებთან ერთად ვეფხისტყაოსნის ზოგ სტროფში ლექსი გაწყობილია ღრმა ანუ საყრდენ თანხმოვნიათ რითმებით, რაც არაჩვეულებრივად მომხიბვლელ ელერადობას ანიჭებს რუსთველურ ლექსს²⁰⁷. ზოგ სტროფში მხოლოდ ორ, ან სამ სტრიქონშია განხორციელებული გართიმვის ეს წესი, ხოლო ზოგან ამის მიზეზი ტექსტის დამახინჯება უნდა იყოს. ასეთ შთაბეჭდილებას ახდენდა 1937 წლის გამოცემაში²⁰⁸ 287-ე სტროფი:

შენ მინდორს გნახეთ ვაკრილი, ჩვენ ზედა გარდგეკდენით:

პატრონი ჩემი ვაგიწყრა, ჩვენ ხაფად წაგეკიდენით:

გიხმეთ, არ მოხველ, ლაშქარნი უქანა გამოგკიდენით,

შენ ველნი წითლად შეკლებენ სრულად სისხლისა მ ი დ ე ნ ი თ .

კ ა ნ ზ ე გაწყობილი საყრდენთანხმოვნიათ რითმა ბოლოში დარღვეულია, მაშინ როცა ამის საჭიროება არ ჩანს. ხელნაწერების დიდი უმრავლესობა გვაწვდის ბოლო სართიმო სიტყვის ასეთ წაკითხვას „კი დენით“, რაც სავსებით აღადგენს სტროფის ეფთონიურ მხარეს და შინაარსობრივადაც სავსებით მისაღებია: ავთანდილი შეახსენებს ტარიელს მონების დახოცვის ამბავს; შენ სისხლის დენით შეღებე მინდორიო, ხოლო დადასტურების ნაწილაკი კიდევ უფრო აძლიერებს მხატვრულ სურათს. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ ნაწილაკის გამოყენებით ვეფხისტყაოსანში გვხვდება მსგავსი რითმები (გაეკიდენით — მოვეკიდენით — წაგეკიდენით — კი დენით — სტრ. 1234; იხ. აგრეთვე 208,4)²⁰⁹. ვახტანგის გამოცემიდან მომდინარე მართებული წაკითხვა აღდგენილ იქნა 1953 წ. გამოცემაში.

ასევე დარღვეული იყო 1937 წ. გამოცემის 735-ე სტროფში ნ ა რ ზ ე დაყრდნობილი სართიმო კლაუზულა (მოვიტან მხოლოდ სართიმო სიტყვებს: საშინელთა-საწუნელითა-ბნელითა-ცხელითა), მაშინ როცა ხელნაწერთა მოზრდილი ჯგუფი და პოემის ძველი გამოცემები სწორად აღადგენენ ამ ადგილს (ც ე ე ხ ლ ი თ ა ც ს ე ლ ი თ ა-ს ნ ა

²⁰⁶ ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემები იზიარებენ ამ წაკითხვას.

²⁰⁷ შდრ. კ. კ ი კ ი ნ ა ძ ე, ვეფხისტყაოსნის 1934 წ. გამოცემა, გვ. 314—320.

²⁰⁸ იხ. აგრეთვე 1951 და 1957 წწ. გამოცემები.

²⁰⁹ შ. ლონტის ზემოაღნიშნულ წიგნში მოთავსებულ სართიმო კლაუზულასათვის საყრდენად გამოყენებულ თანხმოვანთა ინდექსში, სხვათა შორის, გამორჩენილია კ ა ნ ზ ე დაყრდნობილი რითმები.

ცვლად: ც ე ც ხ ლ ი თ ა ნ ე ლ ი თ ა) და რითმაც სრულყოფილი ზღე-
ბა: საშინელითა-საწუნელითა-ბნელითა-ნელითა; 1953 წ. გამოცემაში
კვლავ მოიპოვა უფლება მართებულმა წაკითხვაში²¹⁰.

ამავე რიგისა პ. ინგოროყვას გასწორებათა ერთი ნაწილი. იხ.
მაგალითად, სტრ. 1423, სადაც „საუბარითას“ ნაცვლად იკითხება „სა-
უბნარითა“ (აღდგა სარითმო სიტყვა), სტრ. 514 „საქმნელის“ ნაცვ-
ლად „სათქმელია“ (რითმის გამო) და ა. შ. უკანასკნელმა გამოცემებ-
მა გაიზიარეს პ. ინგოროყვას კონიექტურა „მარტო ასულის“ ნაცვლად
„მარტოდ ასული“, რითაც გასწორდა ეფთონიურად მშვენიერი რით-
მა ოთხივე სტრიქონში (იხ. სტრ. 33 — „მარტოდ ასული-დასული და-
სული — ბევრად ასული) და ა. შ.²¹¹.

მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ მკვლევრის მიერ არ იყო სა-
თანადოდ მომარჯვებული თანამედროვე ტექსტოლოგიური მეთოდები
(იგულისხმება წყაროთა კომპლექსური დამუშავება), არ იყო აღდგე-
ნილი ვეფხისტყაოსნის ტექსტის განვითარების სწორი სურათი და
ამასთან ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში არ იყო ჩატარებული ტე-
ქსტის ლინგვისტური ანალიზი, 1953 წლის გამოცემა სერიოზულ ხარ-
ვეზებს შეიცავს. ეს აღნიშნულ იქნა კიდევ ჩვენს მეცნიერებაში²¹².

საკმარისია ითქვას, რომ 1953 წლის გამოცემა ზოგ შემთხვევაში
არ იყო გამართული ძველი ქართული ძეგლებისათვის დამახასიათებე-
ლი ელემენტარული ენობრივი ნორმების თვალსაზრისითაც. მაგ.,
ზოგან სიტყვა ძველი ფორმითაა („ნავღელთა“), ზოგან ახლით („ნა-

²¹⁰ არ არის სწორი ლ. მენაბდე, როცა ამ გასწორების გამო ეკამათება 1953 წ. რედაქ-
ტორს („არავითარი აუცილებლობა არაა საკმაოთ ტაეპის შეცვლისა“ — წერს იგი),
მაშინ, როცა ამ გასწორებით აღდგა რუსთველური რითმა, შინაარსობრივად მისაღებია
და თანაც შესიტყვება „ცეცხლითა ნელითა“ ისევე ხშირად იხმარება პოემაში, როგორც
„ცეცხლითა ცხელითა“.

²¹¹ გასწორებათა სია იხ. 1953 წ. გამოცემის დანართში. მაგრამ უნდა ითქვას, რომ
აქ მოტანილ ახალ წაკითხვათა მეტი წილი წყაროს აღუნიშნავად აღებულია წინამორ-
ბედი გამოცემებიდან (შდრ. ლ. მენაბდე, ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემის გამო, თსუ-ს
შრომები, ტ. 55, 1954, გვ. 378).

²¹² მეტი წილი გამოქვეყნებული წერილებისა კრიტიკული ხასიათისა იყო: ა) კ.
ქ ი ქ ი ნ ა ძ ე, რუსთაველი და მისი პოემა, 1960, გვ. 196—229; ბ) ზ. ქ უ შ ბ ლ რ ი-
ძ ე, სალიტერატურო ენა და მწერლობა, 1962, გვ. 178—184; გ) ლ. მ ე ნ ა ბ დ ე,
ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემა, თსუ-ს შრომები, ტ. 55, 1954. დ) ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი,
ვეფხისტყ. ახალი გამოცემის გამო, „ახალგ. კომუნისტი“, 1954, 5 აპრილი. ე) მ. გ. ი-
გ ი ნ ე შ ვ ი ლ ი, კვლავ ვეფხისტყ. ახალი გამოცემის გამო, „ახალგ. კომუნისტი“,
1954, 8 ივლისი; ვ) ს. ჩ ხ ა ი ძ ე, შენიშვნები, „ახალგ. კომუნისტი“, 1954, 26 ოქტ.
ზ) ა. ლ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემა, კრებ. ლიტერ. ძიებანი,
1955, IX, გვ. 455 — 474; პრესაში დადებითი შეფასებით გამოვიდა მხოლოდ ს. ყაუხ-
ჩიშვილი, რუსთველოლოგიის ახალი წარმატება, ეურ. მნათობი, 1955, № 5.

დკლტა“). „სრვასა“ და „სრაასა“ (ერთი და იგივე მნიშვნელობით). შეიმჩნევა ფორმათა ნაირობა, რიცხვში არ შეთანხმება (იხ. სტრ. 290,4: 458,3: 62,4 და სხვ.). ზოგჯერ ესა თუ ის სიტყვა რედაქტორს თანამედროვე მნიშვნელობით ესმის, მაშინ როცა პოემაში იგი ძველი კავებითაა ნაწმარნი. მაგალითად, ამის გამო მკვლევარმა შეცვალა წაკითხვა: „ჩემთა მებრძოლთა სისხლითა მინდორი შევადებინე“, სრულიად გაუმართლებლად: „სისხლთა მძეპნელთა ჩემთასა მინდორი შევადებინე“ (სტრ. 455; იხ. მ. გიგინეიშვილის ზემოთ დასახელებული წერილი), რადგან სიტყვა „მებრძოლი“ გაიაზრა თანამედროვე მნიშვნელობით და არა მისი ძველი გაგებით (მებრძოლი — მოწინააღმდეგე, მეტოქე), რაც ბუნებრივად ზის კონტექსტში (ჩემს მოწინააღმდეგეთა სისხლით მინდორი შევადებო — ამბობს ტარიელი).

ზოგი გასწორება აშკარად თვითმიზნურ ხასიათს ატარებს. მაგალითად, 1937 წლის გამოცემაში კარგად არის გამართული 1244-ე სტროფი:

„ესე ამბავი აეთანდილ, პირ-მზემან, მაგარ-ავადამან,
რა მოღმინა, ეამა, სხვად არა გაუცხადა მან“...

რედაქტორის ექვი გამოუწვევია კომპოზიტს მაგარ-ვადამან,²¹³ რომელაც აეთანდილს მიემართება. 1953 წლის გამოცემა იუსტინე ბუღაძის კონიექტურაზე დაყრდნობით ასწორებს მას: „ესე ამბავი, აეთანდილ, პირ-მზემან, მაგარ-ავადამან“. რას ნიშნავს ავადამან (ავადმყოფმა თუ ავად, ცუდად მყოფმა?), ასევე უჩვეულოა კავშირის ეს ფორმაც (მაგარ ფორმას ვეფხისტყაოსანი არ იცნობს). პ. ინგოროყვა თვითონაც გამოთქვამს ერთგვარ ეჭვს: „ავთანდილზე ავადმყოფობა, მართლაც, ითქმის გადატანით, რამდენადაც იგი მოშორებულია თინათინს, ტარიელს, სამშობლოს (მაგრამ ასეც რომ იყოს, „ავადამან“

1 ²¹³ ამ ტიპის კომპოზიტები ვეფხისტყაოსანში მრავალზე-მრავალია (მაგ., მკლავ-მაგარი, გულ-მზიარული, პირ-მსუქანი და ა. შ.). შდრ. ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, არ-ტოლად შერწყმული სახელები, 1, 1953, § 191—192; არნ. ჩოქოზაძე ა. ვგზოცენტრული კომპოზიტები ვეფხისტყაოსნის ენაში, მაცნე, 1966, № 5, გვ. 20—24; არნ. ჩიქობავა კონკრეტულად ამ კომპოზიტს არ ეხება, თუმცა საინტერესო იქნებოდა, რადგან ზემოთ მოტანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ამ შემთხვევაში ზედსართავი (კომპოზიტის მეორე წევრი) წინ უსწრებს სახელს (პრეპოზიციული წყობა). შებრუნებული (პოსტპოზიციური) რიგი პოეტმა გამოიყენა, რადგან სიტყვა „ვად“ ხმოვანზე თავდება, ხომ არ იფარება: ვადამაგარი (ეს უკვე სინტაგმა და განსაზღვრება შიგ არის გადატანილი — ენდოცენტრული სინტაგმა). ასეთ ღროს კომპოზიტში პირველი სიტყვა თანხმოვანფუძიანია ხოლმე: მკლავ-მაგარი, ცხვირ-გრძელი, ან კი ა-ს დათვიც: თავ-დიდა და ა. შ.

ნიშნავს „ავადმყოფი“—ს? — ს. ც.), მაინც ამ კონიექტურაში ეჭვს იწვევს ხელოვნური ფორმა „მაგრ“ (ნაცვლად ფორმისა „მაგრა“. როგორც მელიც მიღებულია პოემაში), თუმცა ამ რიგის ხელოვნური ფორმები ჩვენ სხვა შემთხვევაშიაც გვხვდება.

ჩვენ გამოცემაში ვტოვებთ იუსტ. აბულაძის კონიექტურას. როგორც სხვებზე უფრო მისაღებს²¹⁴.

ეს ადგილი ძალზე დამახინჯებულია ძველ გამოცემებშიც და ხელნაწერთა უმრავლესობაშიც²¹⁵, მაგრამ ისევ ხელნაწერების შესწავლა გვიჩვენებს სწორ გამოსავალს. ორ, შედარებით ძველ, ხელნაწერში ყ(H—740) და F(S—2829) შემონახულია, ჩვენის აზრით, მართებული წაკითხვა: „პირმზემან, მაგარ-ვადა მან“. რაც სავსებით ეგუება კონტექსტს და ფორმითაც გამართულია.

მაგარ-ვადა ავთანდილის ეპითეტია, მას მიემართება და სტრიქონში ავთანდილის სილამაზესთან ერთად (პირ-მზემან) ხაზგასმულია მისი გმირობაც (გადატანით, როგორც ავთანდილია უმაგრესი სხვა მოყმეთა შორის, ასევე გამოირჩევა მაგარ-ვადიანი ხმალი). ავთანდილის არის, ვისაც ხმლის ვადა ძლიერი აქვს²¹⁶. როგორც ვხედავთ, სრულიად ზედმეტი იყო კონიექტურის მოხმობა, ხელნაწერთა მონაცემები და ვეფხისტყაოსნის მხატვრული მეტყველების გათვალისწინება ნათელს ჰფენს დამახინჯებულ წაკითხვას²¹⁷.

ფრიდონმა უამბო ავთანდილს. თუ როგორ ვითარებაში ნახა მან ზანგთაგან დატყვევებული ნესტანი:

„აქა მათ ზანგთა მონათა მზე მოყვანეს ნებითა,
კბილ-თეთრი, ბაგე-ბაღანში, სახე და ვითა შავითა“. (1023)

1953 წლის გამოცემის რედაქტორი დაუფიქრებია ხაზგასმულ სიტყვებს და შენიშნავს, როგორც ჩანს, „აღწერა ეხება ნესტანს. ამიტომ სახე და ვითა შავითა — სავსებით უადგილოა“. აქაც მეორდება ნაცადი მეთოდი. კონტექსტის გაგების, ტექსტის გაშიფრვის მაგიერ ახალ წაკითხვათა ძიება. ხელნაწერთა ერთი შედარებით მცირე, ჯგუფის მონაცემებზე დაყრდნობით მან ასე წარმოადგინა აღნიშნული სტრიქონი:

²¹⁴ 1953 წ. გამოც. გვ. 480.

²¹⁵ იხ. ვეფხისტყაოსნის ვარიანტების (ტ. III) და გამოცემათა ვარიანტების წიგნში.

²¹⁶ ვეფხისტყაოსანი იცნობს ასეთ გამოთქმებს (თინათინი — ჯვარ-წყალი, ფრიდონი — მახვილ-ხრმალი და ა. შ.).

²¹⁷ დაწვრილებით იხ. ს. ც ა ი შ ე ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემის შესახებ, გაზ. ახალგ. კომუნისტი, 1954, 5 მაისი.

მაგრამ იქნებ ამ ხელნაწერების (ლიტერატურის ინსტ. ლიტერატურით FIJKORTZR') შემსრულებელთა ხელში მოხდა ეს ცვლილება და სწორედ იმავე მიზეზის გამო (საფუძველი — ტექსტის ვერ გაგება!? ხოლო ამ ნიადაგზე მისი გამარტივება ანუ ე. წ. Emendatio).

რაც შეეხება საანალიზო ადგილს, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ აქ ლაპარაკია ნესტანის გარეგნობაზე, აღწერილია სახე (კბილ თეთრი, ბაგე-ბადახში), რომელიც შავი რიდიით იყო შებურვილი და შესახედავად შავი იყო (ნესტანის რიდე შავია: „იგი უცხო და ღარიბი, მტკიცისა რასმე შავისა“ და სხვ.)²¹⁸. უფრო მართებული ჩანს მოსაზრება, რომ „სახედავითა შავითა“ შავ თვალებს ნიშნავს და ამით სტრიქონში დასრულებულია ნესტანის სახის, სილამაზის აღწერა²¹⁹. მართლაც, როგორც ეს დასტურდება სხვა ძეგლთა მონაცემებითაც, „სახედავი“ თვალებს ნიშნავს. მხოლოდ რამდენიმე მაგალითი: „მე ველარ ვჰნახავ ვენშიგან მასკულავსა, მთუარესა და მზესა, რომლისა სიშორითა დამბნელებიან სახედავნი“²²⁰. „აბა, რადლა მინდა სახედავიო? ორივე ხელი თვალში ჩაეყარა და ისრე ამოეღო“²¹. სულხან-საბაქ ემოწმება ასეთ გაგებას: „სახედველი-თვალი“. მაშასადამე, სტრიქონში ყველაფერი რიგზეა და იგი ზემოთ აღნიშნულ ტექსტუალურ ოპერაციას არ საჭიროებს.

ძალზე დამახასიათებელია პ. ინგორკყვასეული გასწორების ერთი ნიმუშიც. სტროფი, რომელიც ჩვენ ქვემოთ მოგვყავს, ამოღებულია თავადან „ტარიელისაგან ზღვათა მეფისას მისლვა“—და 1937 წ. (აგრეთვე 1951 წ.) გამოცემებში ასეა წარმოდგენილი:

„ქალი ფატმანს ეხვეოდა, ტბილად იტყვის, არ-გამწყრალი:
ღმერთმან გული განმინათლა გახეთქილი, გ ა ც ა მ წ კ რ ა ლ ი,
აწ ეგრე ვარ გავსებული, წინას ვიყავ ვითა მცხრალი,
მზემან შუქნი შემომადგნა, ვარდი მით ვჩან არ-ღამზრალი“ (1436)

პ. ინგორკყვამ. იმის გამო, რომ გაუგებრად მიიჩნია ხაზგასმული სიტყვა, ექვის ქვეშ დააყენა ამგვარი წაკითხვა. იგი წერს: „გაცამწყრალი“ — გაუგებარი სიტყვაა, რომელიც არსად დამოწმებული არაა“ (გვ. 492) და გვთავაზობს ასეთ წაკითხვას: გ ა ც ა მ წ კ რ ა ლ ი.

²¹⁸ ანუ გვესმოდა ეს სიტყვები ჩვენ ზემოთ დასახელებულ წერილში.

²¹⁹ იხ. მ. გვიგინიშვილის ზემოთ დასახელებული წერილი.

²²⁰ ვისრამიანი, ა. გვახარიასა და მ. თოდუას რედაქტ. 1962, გვ. 147, 1.

²²¹ რუსულანინი, ი. აბულაძისა და ი. გვიგინიშვილის რედაქტ. 1957, გვ. 151, 14.

აღ. ბარამიძე მართებულად შენიშნავს და ამის გამო, რომ გაცამჰკრალი ისევ ნაკლებად გავრცელებული და გაუგებარი სიტყვაა, როგორც პირველი, მხარს უჭერს სწორედ წაკითხვას „გაცამჰკრალი“²²²

ამ ადგილის არსებითი განხილვა ახალ მომენტს წარმოაჩენს. ხელნაწერთა ერთი ჯგუფი იცავს წაკითხვას: გ ა ც ა მ ჰ რ ა ლ ი, გ ა ც ა მ ჰ რ ა ლ ი (EFHTJKORTLA' და ზოგი გამოცემა: კარ². კაკ). იგი მიუღებელია, რადგან „დამზრობა“ სიტყვისაგან მეოთხე სტრიქონში ნაწარმოებია სარიტმო სიტყვა „დამზროლი“ და ამდენად სტროფში მივიღებდით ტავტოლოგიურ რითმას (გაცამჰრალი — არ დამზროლი). ასევე ნაკლოვანია ზოგ ხელნაწერში (მაგ. A.), წაკითხვა: გაცამჰკრალი, რადგან იგიც ტავტოლოგიურ რითმას აჩენს პირველ სტრიქონთან მიმართებაში (არ გამჰკრალი — გაცამჰკრალი). რაც შეეხება წაკითხვას „გაცამჰკრალი“, იგი იკითხება მხოლოდ ერთ ხელნაწერში (U ანუ იგივე S — 5006) და ვახტანგისეულ გამოცემაში. ახლა გარკვეულია, რომ S — 5006 ხელნაწერი სწორედ ამ მონაკვეთში გადაწერილია ვახტანგისეული გამოცემიდან²²³. მასასადამე, მოხსნილია ამ ხელნაწერის ჩვენებაც და გვრჩება მხოლოდ ვახტანგისეული გამოცემა. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ვახტანგისეული გამოცემა ერიდებოდა ისეთი წაკითხვების გატარებას, რომლებიც ხელნაწერებში არ იყო²²⁴, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სიტყვა, რომელსაც ამ ფორმით საერთოდ არ იცნობს რუსთაველის პოემა, ვახტანგთან კორექტურის შედეგად არის წარმოშობილი²²⁵.

ახლა დავუბრუნდეთ ძველ წაკითხვას: გაცამჰკრალი (ან უკეთ, ც ა ნაწილაკის გამოყოფით გა-ცა-მჰკრალი). იგი დასტურდება საკმაოდ ბევრ და საკმაოდ მნიშვნელოვან ხელნაწერებში (BCDMVXE' ამავე წაკითხვის უნებლიე დამახინჯების შედეგია: გ ა ც ა მ ჰ კ რ ა ლ ი — GQ გ ა ც ა მ ჰ კ რ ა ლ ი — R!). ამასთან თუ გავითვალისწინებთ სტროფებში რითმათა შეხამებას, აღნიშნული წაკითხვის უპირატესობა აშკარაა. საინტერესოა ამ სიტყვის სემასიოლოგიური ანალიზი. ც ა ნაწილაკის გარეშე აქ გვაქვს სიტყვა: გამჰკრალი. თუ ფორმის მაწარმოებლებს მოვაცილებთ (გ ა ზმნისწინი, მ-ა ი მიმღეობის აფიქსები), გვრჩე-

²²² აღ. ბარამიძე, ნარკვევები, ტ. IV, გვ. 336.

²²³ ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1957, გვ. 42—65; იხ. აქვე თავი „ვახტანგისეული რედაქცია“.

²²⁴ იხ. აქვე, თავი „ვახტანგისეული რედაქცია“.

²²⁵ ვახტანგისეული გამოცემის მრავალზე მრავალი კორექტურის ნუსხა იხ. 1712 წ. აღდგენილი (ა. შანიძის მიერ) გამოცემის ბოლოში.

ბი ძირი წკრ. ა. შანიძე ამ სიტყვას, დამოწმების გარეშე ლექსი-
კონში ასე განმარტავს: გამწვარალი — გაბზარული, რაც სავსებით ეგუ-
ება კონტექსტს; ნესტანი ამბობს ჩემი გული, რომელიც ამდენხანს
ვახეთქილი და გაბზარული იყო, აწ გამიმზიარულდა, გამინათლდაო
(წიაქციეთ ყურადღება რუსთველური პოეტიკის ხერხს — დადებით პა-
ოალელიზმს: ვახეთქილი, გაბზარული).

ეს სიტყვა ამავე მნიშვნელობით (ვახეთქილი, გაბზარული) დღე-
საც დასტურდება ხევსურეთში: „დამწკერულის ხისაგან ვარცლი არ
გაითლების“ (ხევს. ანდაზა) დამწკერული — ვახეთქილი, დაბზა-
რული²²⁶.

ამ სიტყვის მნიშვნელობის გასარკვევად საინტერესოა სხვა მონა-
ცემებიც. მეგრულ-ლაზურ ენებში შემონახულია სიტყვა: წკირუ ა.
რაც სწორედ გამობას, გაბზარვას ნიშნავს. აქედან დოვწყირი, გონწყი-
რი ე. ი. გავაპე, გააპე და ა. შ.

მაშასადამე, ყველა მონაცემთა (ტექსტის ისტორია, ხელნაწერთა
მონაცემები, პოეტიკის თავისებურებანი, სიტყვის სემასიოლოგიური
ანალიზი და დასასრულ, კონტექსტი) გათვალისწინება აშკარას ხდის.
რომ აღნიშნული სიტყვა თავის ადგილზეა და სტრიქონს არავითარი
ტექსტუალური ოპერაცია არ სჭირდება²²⁷.

ვეფხისტყაოსნის ტექსტის მიმართ ამგვარ ეგზოტიკურ კვლევა-
ძიებათა გამო სამართლიანად შენიშნავს გიორგი წერეთელი: „ზოგიერ-
თი გამოცემის ავტორს ახასიათებს გატაცება იშვიათი სიტყვებით.
საქმარისია, მან რაიმე იშვიათ სიტყვას ან ცნობილი სიტყვის რაიმე
იშვიათ მნიშვნელობას მიაგნოს ძველ-ქართულ ტექსტებში, რომ სწო-
რედ ეს ეგზოტიკური ფორმა მიიჩნიოს ტექსტისათვის აუცილებელ და
ერთადერთ ფორმად, თუნდაც ამის საჭიროება არ იყოს“²²⁸.

გარდა ზემოაღნიშნულისა (ეგულისხმობ მის მიერ წარმოდგენილ
„პლასტების თეორიას“), პ. ინგოროყვას ტექსტოლოგიურ მუშაობას
უქველად ახლდა აქ აღნიშნული ნაკლოვანებებიც.

* * *

ვეფხისტყაოსნის საბჭოთა პერიოდის მკვლევართა შორის ერთ-ერთ-
თი საპატიო ადგილი უჭირავს ცნობილ პოეტსა და რუსთველოლოგს

²²⁶ ცნობა მოგვაწოდა დ. გოგოჭურმა. იხ. აგრეთვე ალ. ჰინჭარაული, ვეფხისტყა-
ოსნის ლექსიკიდან, ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა თეზისები, მეცნ. აკადემია, 1956,
გვ. 26—27.

²²⁷ 1953 წ. გამოცემის არა ერთი მცდარი წაკითხვა მითითებულია აგრეთვე ამ გა-
მოცემის გამო დაწერილ ზემოაღნიშნულ რეცენზიებში.

²²⁸ ვეფხისტყაოსნის 1966 წ. გამოცემა (ვეფხისტყაოსნის კომისისა), გვ. 314.

კონსტანტინე ჭიჭინაძეს. ამ საუკუნის 20-იანი წლებიდან მან ამ დარგში გამოაქვეყნა რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაშრომი: „ალიტერაცია ქართულ შაირში და ვეფხისტყაოსნის პრობლემა“, 1925 წ.; „რუსთაველის გარშემო“, 1928 წ., „ვეფხისტყაოსანი დაბოლოება და შინაგანი მოცულობა“, 1934 წ. მრავალი ცალკეული წერილი და გამოკვლევა და დასასრულ, 1934 წელს მან თავისი რედაქციით დაბეჭდა ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემა.

თუმცა მანამდეც არსებობდა საინტერესო დაკვირვებები ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის ცალკეულ თავისებურებებზე (ნ. მარი, იუსტ. აბულაძე და სხვ.), მაგრამ ასე ვრცლად და ფუნდამენტალურად არაფერს შეხებია შოთა რუსთაველის პოეტიკის ისეთ მნიშვნელოვან მხარეებს. როგორცაა რუსთველური ლექსის ბგერწერა (კერძოდ, ალიტერაცია), რითმა და რიტმი, მეტაფორები. მან პირველმა სცადა ვეფხისტყაოსანში არსებულ მხატვრულ გამომსახველობით საშუალებათა თავმოყრა. კლასიფიცირება და თავისებურებათა ამოხსნა. კ. ჭიჭინაძემ პირველთაგანმა გამოავლინა ვეფხისტყაოსნის ალიტერაციისა და ასონანსთა უდიდესი მარაგი და სცადა კანონზომიერებათა დადგენა. აქ მიღებული დასკვნები. ცოტა არ იყოს, გადაჭარბებულია, ამის მიზეზი, ჩვენის აზრით. მკვლევრის მიერ არჩეული ფორმალისტური მეთოდი იყო. კანონზომიერებათა ძიება იქ, სადაც არ შეიძლება მოინახოს ისინი. ამ შრომების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანთაგანია. შოთა რუსთველისთვის სრულიად უცხოა ფორმალისტური ძიებანი. რუსთველოლოგიის დღევანდელ ეტაპზე მართებული ჩანს დებულება, რომ რუსთაველი თუმცა არაპოსტიმეტურად, მაგრამ მაინც; საკმაოდ ხშირად იყენებს ალიტერაციას. ბგერითი გენმეორებანი არ წარმოადგენს პოეტისათვის თვითმიზანს, მაგრამ ამასთან მისი ლექსის მუსიკალური მხერგე საოცრად მდიდარი და მოწესრიგებულია²²⁹. ამ დებულების გახსენება იმიტომ დაგვიჭირდა, რომ კ. ჭიჭინაძე მხოლოდ კანონზომიერებათა აღმოჩენით არ იფარგლება და ტექსტოლოგიური (და არა მარტო ტექსტოლოგიური) მუშაობისათვის დასაყრდენ მეთოდად მიიჩნევს მათ: „ალიტერაცია და საერთოდ ბგერების მუსიკალური შეხამება — აი, ის მთავარი ნიშანდობლივი თვისება რუსთაველის ლექსისა, რომლის საშუალებით საბოლოოდ უნდა გადაიჭრას კარდინალური საკითხები ვეფხისტყაოსნის გარშემო²³⁰“. მართებულად შე-

²²⁹ შდრ. ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, რუსთაველის პოეტიკა, ზემოთ დასახელებულ წიგნში: რუსთაველი და მისი პოემა, 1966.

²³⁰ კ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, „ალიტერაცია“... 1925, გვ. 12.

ნიშნავს ა. ბარამიძე, რომ „მკვლევარმა ალიტერაციას მიაწერა მისთვის შეუფერებელი როლი... ამ თვალსაზრისით ხელმძღვანელობის გამო ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის მძიმე შეცდომები იქნა დაშვებული“²³¹.

ალსანიშნავია, რომ კ. ჭიჭინაძემ ვეფხისტყაოსნის 1934 წლის გამოცემას დაურთო რითმათა ინდექსი და ვეფხისტყაოსნის სიმფონია, რომელშიც თვალნათლივ გამოჩნდა ვეფხისტყაოსნის ლექსიკის უმდიდრესი მარაგი და რითმათა არაჩვეულებრივი მრავალფეროვნება. ამგვარი შრომა პირველი იყო რუსთველოლოგიის ისტორიაში, რის დავიწყებაც დიდი უსამართლობა იქნება.

მაგრამ ამასთანავე შეუძლებელია არ ითქვას, რომ რამდენადაც ფასეული იყო კ. ჭიჭინაძის მეცნიერული ცდანი ვეფხისტყაოსნის პოეტური ენის შესასწავლად, იმდენად სერიოზულ ნაკლოვანებებს შეიცავენ მისივე კვლევა-ძიებანი ვეფხისტყაოსნის ტექსტის შესწავლა-აღდგენის საქმეში. ამის მიზეზი (სამწუხაროდ, ეს გარემოება უნდა აღინიშნოს), პირველ რიგში, იყო მკვლევრის ფილოლოგიური მომზადების არც თუ მაღალი დონე, რაც უმთავრესად გამოიხატა ვეფხისტყაოსნის (და საერთოდ კლასიკური ეპოქის ძეგლთა) ენის სუსტ ცოდნაში და ვეფხისტყაოსნის ტექსტის დასადგენად აუცილებელი წყაროების (პირველ რიგში ხელნაწერების); შესწავლის იგნორირებაში.

სხვანაირად არ შეიძლება აიხსნას კ. ჭიჭინაძის ის დასკვნა, რომელიც მან არაერთგზის გამოთქვა ვეფხისტყაოსანზე დაწერილ მის ნაშრომებში: „ყველა ეს ტაეპი (ლაპარაკია გამოცემის გარეშე დარჩენილ სტროფებზე — ს. ც.) წარმოადგენს თვითონ რუსთაველის მიერ დაწერილსა და შემდეგ მისგანვე გადაკეთებულ ტაეპებს“²³². ეს მოსაზრება თავისი გულუბრყვილო ხასიათით ძალზე ჩამოგავს მე-16, მე-17 საუკუნის მწერალთა შეხედულებას, თითქოს პოემა რუსთაველმა გმირთა გარდაცვალებით დაამთავრა²³³. რა გვიჩვენა ამ საკითხის შემდგომმა გაღრმავებულმა შესწავლამ? სწორედ ის სტროფები და მთელი ეპიზოდებიც ჩანართად იქნა აღიარებული. უფრო მეტიც, დღეს ჩვენ ვიცით არა მარტო ამ ჩანართთა ავტორები, არამედ რიგ შემთხვევაში — მათი ჩამოყალიბების დროც²³⁴. როგორც მოსალოდნელი

²³¹ შოთა რუსთაველი და მისი პოემა, 1966, გვ. 341; ვეფხისტყაოსნის ტექსტის კონკრეტული კვლევის დროს თუ რამდენად უარყოფითი შედეგები გამოიწვია აღნიშნულმა მეთოდმა, ამაზე იხ. ქვემოთ.

²³² მნათობი, 1928, № 7; იხ. აგრეთვე „ალიტერაცია...“ 1928 წ.

²³³ ამაზე იხ. თავში, სადაც საუბარია ვახტანგამდელ პერიოდზე რუსთველოლოგიაში.

²³⁴ მკითხველი წინამდებარე შრომაშიც ნახავს ბევრ ამის მაგალითს.

იყო, მკვლევარმა მომდევნო გამოკვლევებში ნაწილობრივ თვით უარყო ეს შეხედულება, როცა 1934 წელს გამოაქვეყნა ვეფხისტყაოსნის ტექსტი²³⁵.

მაგრამ ამ გამოცემაში თავი იჩინა, და საკმაო დოზითაც, ზემოთ აღნიშნულმა შეხედულებამ ჩანართების თაობაზე. ნაცვლად იმისა, რომ ხელნაწერების შეჭერებით მკვლევარს მოეცა გარკვეული თვალსაზრისი პოემის შედგენილობის შესახებ, გამოცემაში დიდი რაოდენობით მოხვდა ვეფხისტყაოსნის გვიანდელი პლასტების ფრაგმენტები. ამაზე შეტყვევებს თვით გამოცემის მოცულობაც. თუ ვახტანგ მეექვსის ცდა, გაეწმინდა პოემის ტექსტი გვიანდელი ჩანართებისაგან, იმით დამთავრდა, რომ 1712 წ. გამოცემაში დაახლოებით მაინც მოიხაზა პოემის სავარაუდო შედგენილობა (ვახტანგის გამოცემა შეიცავს 1587 სტროფს), 1934 წლის გამოცემაში პოემა გაიზარდა 158 სტროფით, ე. ი. ვეფხისტყაოსნის სტროფთა რაოდენობამ მიაღწია 1745 სტროფს.

ამ დამატებით სტროფთა ავტორიანობის განხილვა შორს წაგვიყვანდა. დავასახელებ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს, რათა ვაჩვენოთ კვლევის მეთოდოლოგიის აშკარად სუსტი მხარეები.

1934 წლის გამოცემის იმ ეპიზოდში, როდესაც ავთანდილი შერმადინს გაუმხელს თავის გამიჯნულების ამბავს, შეტანილია შემდეგი სტროფი:

შენცა იცი, თინათინის სხივი მზესა უარესობს;
გული ჩემი ვაახუდე, იგი ჩემზე ტალობს, კვესობს.
აწ გიცხადებ დაფარულსა, გაბრკე, რაცა უმჯობესობს;
მონათათვის ბრძანებულსა აღსრულება სჯულად წესობს.

მე არ დავშვრები ამ სტროფის „მხატვრულ“ ღირსებათა შეფასებაზე. ოღონდ აღვნიშნავ, რომ გამოცემაში მისი მოთავსება არის სწორედ ნიმუში ხელნაწერებისადმი განურჩეველი მიდგომისა. არც ერთ, ასე თუ ისე მნიშვნელოვან, ხელნაწერში ეს სტროფი არ მოიპოვება და არც შეიძლება მოიპოვებოდეს. მისი ავტორია მე-19 საუკუნის პოეტი და მოღვაწე გიორგი თუმანიშვილი, რომელმაც ვახტანგისეული გამოცემა შეავსო, მისი ვარაუდით, ამ ტექსტში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად²³⁶. სხვა მონაცემთა გარდა, ამაზე

²³⁵ თუმცა ეს არ ჩანს მის ერთ-ერთ უკანასკნელ წერილში: „იყვნენ თუ არა გიორგი თუმანიშვილი და იოსებ თბილელი ყალბისმქნელები“.

²³⁶ როგორც შემდეგში ვნახავთ, ასე წარმოიშვა ვეფხისტყაოსნის ე. წ. არტანუჯული ვარიანტი.

მეტყველებს ნუსხა H — 1079, სადაც ვიორგი თუმანიშვილს თავისი ხელით აწივებზე მიუწერია მის მიერ შეთხზული სტროფები²³⁷.

პოემაში ფორმალურ მიღწევათა გადაქარბებულმა ძიებამ გამოიწვია, მაგალითად, რომ 1934 წ. გამოცემაში მოხვდა შემდეგი სტროფი:

რაღა იგ სიოცხლე, ვინ არა შენდა ყოფილი!

ღვარი გამრავლდა ცრემლისა, ბაღს არ აშენდა ყოფილი.

გულსა ქვად ქმნილსა, დანისა ვით არა შენდა ყოფილი.

შვილთა მნათობთა სინათლე გაქვს არა შენ დაყოფილი (ქიქ. გამოც. 376).

ეს სტროფი მკვლევარს ცალკეც გამოუტანია, ვით ნიმუში ვეფხისტყაოსნის ავტორის ენაშუობისა, და სპეციალურად საუბრობს იმ თავში, სადაც რუსთველური მჯამებია განხილული. დაფიქრებას კი მოითხოვდა ის ამბავი, რომ ტექსტის მდინარებიდან ეს სტროფი სრულიად ამოვარდნილია და ფაქტიურად ინტერპოლატორის კომენტარია ტექსტის მიმართ. ასე იქმნებოდა ინტერპოლაციების დიდი უმრავლესობა. გადამწერს თუ მკითხველს, რომელსაც მოსწონებია ტარეღლის მიერ მამის ტრადიციული გლოვა, თვითონაც განუზრახავს ამ შემთხვევის გამო აზრის გამოთქმა. ამას ემატება ხელნაწერთა მონაცემებიც. ეს სტროფი არ არის მე-17 საუკუნის თვით ყველაზე ვრცელ ხელნაწერებშიც კი. როგორც ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, მე-17 საუკუნის ბოლოსა და მე-18 საუკუნის დასაწყისში შექმნილა კიდევ ახალი დამატებითი პლასტები, რომლებიც ამ ხანის რამდენიმე ხელნაწერში ჩაურთავთ. მართლაც, ეს სტროფი მოიპოვება მხოლოდ და მხოლოდ ორ ერთგვაროვან რედაქციის შემცველ ხელნაწერში (H — 461, W—17). რომელთა დახასიათების დროს სპეციალურად იქნება საუბარი პოემის ნაგვიანვე ინტერპოლაციებზე.

იმ სტროფების ანალიზი, რომელიც მკვლევარმა დაურთო თავის გამოცემას. მეტწილ შემთხვევაში წარმოაჩენს მეცნიერული თვალსაზრისით სრულიად გაუმართლებელ პოზიციას, მაგრამ მათი ცალკეული განხილვა შორს წაგვიყვანდა, მაშინ როცა სურათი ნათელია.

ასევე ხელშესახებია რედაქტორის მიერ წარმოდგენილ გასწორებათა ნაკლოვანებები. 1934 წლის გამოცემაში არ იგრძნობა გაწვრთნილი ფილოლოგის ხელი. რის გამოც ტექსტი დაბეჭდილია აღრეული ორთოგრაფიით, მძიმე მორფოლოგიური (მაგ., სახელებისა და ზმნათა დაუხვეწავი ფორმები) და სინტაქსური (შეთანხმებლობა რიცხვსა და დროში, მცა—ნაწილაკის უგულვებელყოფა და სხვ.) ცდომილე-

²³⁷ ამაზე მიუთითებს სხვა დოკუმენტური ცნობები, რომელზეც ჩვენ არტანუჯული ვარიანტის განხილვის დროს შევჩერდებით.

ბებით. ნაცვლად ცალკეულ დამახინჯებულ ადგილთა ანალიზისა, ძველ ჭართულ წყაროებში პარალელების ძიებისა, ავტორი²³⁸ ხშირად კმაყოფილდება შენიშვნით: „შემდეგში რომელიმე ხელნაწერი მხარს დაუჭერს ასეთ წაკითხვასო, ან „ჩემი გასწორების მართებულობა დაადასტურა ხელნაწერმა № 363... ხელნაწერი ვნახე გასწორების შემდეგო“²³⁸.

საკმარისია ითქვას, რომ რედაქტორი ვერ გაერკვა ვეფხისტყაოსნის ისეთი გავრცელებული ფორმის — შემოკლებული ზმნისზედა „რეს“ — ხმარების თავისებურებაში, რომელიც გვხვდება სიტყვებში: „მხნედრე“, „მეტადრე“ და სხვ. და იგი ზმნა „რებას“ დაუკავშირა²³⁹, ან კიდევ სიტყვა ს ა შ ი ნ ე ლ ი მ ან თანამედროვე მნიშვნელობით გაივო და შეცვალა კიდევ ეს წაკითხვა. ყოველივე ამის შემდეგ, აშკარად თამამი განცხადება იყო 1934 წ. გამოცემის რედაქტორის სიტყვები: „ვეფხისტყაოსნის ტექსტი არსებითად უკვე დადგენილად უნდა ჩაითვალოს და შემდეგი დიდმნიშვნელოვანი სიტყვა რუსთაველის უკვლავი პოემის შესახებ უნდა მიეცეს მხატვრულ კრიტიკას“²⁴⁰.

თავის მუშაობაში კ. ჭიჭინაძე მეტწილად ინტუიტიურ მიგნებებს ეყრდნობოდა (მაშინ როცა იგი მხოლოდ დამხმარე საშუალება უნდა იყოს), მაგრამ მაინც 1934 წლის გამოცემაში აქა-იქ გაივლევებს მკვლევრის კარგი მიხვედრები, რომელთაგან ზოგი სხვა გამოცემების მიმოხილვის დროს უკვე აღვნიშნეთ. მაინც ერთ-ერთი უმთავრესი დამსახურება მკვლევრისა იყო ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული დაბოლოების კრიტიკა, რამაც შემდგომი განვითარება პოვა რუსთაველოლოგიურ კვლევა-ძიებაში.

ზ) ვეფხისტყაოსნის პირველი საიუბილეო (1937 წ.) გამოცემები

(ვეფხისტყაოსნის რედაქციები და პოემის ზოგიერთი ტექსტუალური საკითხი)²⁴¹

1935 წელს დიდი ქართველი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი სრულიად სამართლიანად აღნიშნავდა, რომ საზოგადოდ შუა საუკუნეების ძეგლთა გამოცემა როგორც ჩვენში, ისე სხვა კულტურულ ქვეყნებში

²³⁸ 1934 წ. გამოცემა, გვ. 280. შტრ. პ. ინგოროყვა, ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემის გამო, ლიტ. გაზეთი, 1954, № 11, და № 12.

²³⁹ შტრ. ვ უ კ ო ლ ბ ე რ ი ძ ე, ვეფხისტყაოსნის გარშემო, შრომები, III, 1936, გადმობეჭდილია ავტორის თხოვნილობათა კრებულში.

²⁴⁰ იხ. ვ. ჭიჭინაძის წერილი ლიტ. გაზეთში, 1934, № 21.

²⁴¹ გამოკვლევა პირველად შემოკლებული სახით დაიბეჭდა კ. კეკელიძისადმი მიძღვნილ კრებულში, თსუ, 1960, გვ. 379—387.

ერთ-ერთი ურთულესი ფილოლოგიური პრობლემაა. მაგრამ ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ ვეფხისტყაოსნის ტექსტის საკითხების გადაწყვეტა არა მარტო ვიწრო ფილოლოგიური, არამედ მთელი ჩვენი საზოგადოების უპირველესი ზნეობრივი მოვალეობაა. ამიტომ სვამდა იგი ასეთ კითხვას: „მოიხადა თუ არა, ამ მხრივ მაინც, ასევე პირნათლად საქართველომაც თავისი დიდებული მგოსნის წინაშე თავისი ზნეობრივი მოვალეობა?“ და საკითხის ისტორიის მიმოხილვის შემდეგ გულისტკივილით დასძენდა: რომ ბევრი რამ ჯერ კიდევ არ არის გაკეთებული და „ქართულ მეცნიერებას თავისი გენიოსი მგოსნის წინაშე ზნეობრივი მოვალეობა მოხდელი არა აქვს“²⁴².

ბუნებრივია, რომ შოთა რუსთაველის პირველი იუბილეს დღეებში საჭირო შეიქნა ვეფხისტყაოსნის ტექსტის მეცნიერული გამოცემა. მაგრამ ნათელი იყო ისიც, რომ მოკლე ვადაში და სათანადო მეცნიერულ სიმაღლეზე ამ ამოცანის გადაჭრა ცალკეულ პირთა ძალღონეს აღემატებოდა. მთავრობის დადგენილებით გამოიყო საგანგებოდ კომისია, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ ამ დარგის ცნობილი სპეციალისტები: იუსტ. აბულაძე, ალ. ბარამიძე, ვ. ბერიძე, პ. ინგოროყვა, ს. იორდანიშვილი (მდივანი), ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე (I თავმჯდომარე), ა. შანიძე (II თავმჯდომარე) და კ. ჭიჭინაძე²⁴³.

როგორც ამ კომისიის გამოქვეყნებული მასალებიდან ჩანს, მას მუშაობის ფართო პროგრამა ჰქონდა დასახული²⁴⁴. კომისიის მდივანი სოლ. იორდანიშვილი მოკლედ ასე გვაცნობს მუშაობის მეთოდებს: „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა მიხედვით ტექსტის დადგენას წინ უძღოდა ტექსტის სრული ვარიანტული შესწავლა დასახელებულ ხელნაწერებზე დაყრდნობით. ამ მიზნით აღებულ იქნა ს. კაკაბაძის 1913 წ. ვეფხისტყაოსნის გამოცემა და თითოეული სტროფი, როგორც ძირითად ტექსტისა, ისე ჩანართისა, შედარებულ იქნა ხელნაწერებთან. ამ შედარებით მიღებულ ცალკეული სიტყვების ვარიანტული სხვაობანი ამოწერილ იქნა სათანადო წესით. მხოლოდ ამგვარი წინასწარი მუშა-

²⁴² შოთა რუსთაველის 750 წლისთავის ზეიმის გამო, ლიტ. მემკ. 1, 1935, გვ. 10, 17; რა შორსაა ივ. ჯავახიშვილის ეს სიტყვები კ. ჭიჭინაძის თამამ განცხადებისაგან, რომელიც ჩვენ წინა თავში მოვიტანეთ?

²⁴³ ა. შანიძის ცნობით, ამ კომისიას ეხმარებოდნენ და ხელნაწერებიდან ვარიანტულ მასალას იწერდნენ: ილია აბულაძე, ი. გვიგინიშვილი, მ. დუდუჩავა, ტ. რუხაძე და მ. ხუბუა.

²⁴⁴ ს. იორდანიშვილი, ვეფხისტყაოსნის აკადემიური გამოცემისათვის, ლიტ. საქართვე. 1937, №№ 22, 23; კ. კეკელიძე, О'работах Комиссии по установлению критического текста поэмы Вепхисткаосани для юбилейного (1937) издания, ეტიუდები, 1961, ტ. VII, გვ. 279—290.

ობის ჩატარების შემდეგ ხდებოდა მსჯელობა თითოეული დადგენილი სტროფის შესახებ.

ტექსტის კრიტიკულ განხილვას კომისია აწარმოებდა შემდეგი პრინციპებით: ა) განსახილველი ადგილების კონტექსტით — მოთხრობის სიუჟეტურ განვითარებასთან დაკავშირებით, ბ) კლასიკური პერიოდის სტილით, გ) ენობრივი მოვლენებით, დ) პოეტიკით და ე) ხელნაწერთა ტრადიციით²⁴⁵.

უნდა ამთავითვე ითქვას, რომ ამ მუშაობამ ძირითადად სასურველი ნაყოფი გამოიღო. 1937 წლის გამოცემით მკითხველმა საზოგადოებამ მიიღო შედარებით სრულყოფილი ტექსტი²⁴⁶. ეს ეხება როგორც ცალკეული დამახინჯებული ადგილების აღდგენას, ისე ნაწილობრივ პოემის შედგენილობასაც. სანიმუშოდ მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებ.

ჯერ კიდევ ვეფხისტყაოსნის 1712 წლის გამოცემიდან მოკიდებული დიდ ბუნდოვანებას ქმნიდა პოემის ერთი ადგილი. ფარსადან მეფე და მისი მეუღლე ტარიელს სავაზიროდ დაიბარებენ. საქმე ნესტანისათვის საქმროს შერჩევას ეხებოდა. ტარიელი მოგვითხრობს: როცა მეფეთა სადგომში შევედი, „ვნახე, ორნივე ერთგან სხდეს, ს ა ხ ი თ ა ო დ ე ნ ს ა მ ი თ ა“-ო. მართლაც, გაუგებარია ხაზგასმული სიტყვები, რას ნიშნავს: „სახითა ოდენ სამითა“. ამაზე, როგორც ჩანს, ბევრი უფიქრია ვახტანგ მეექვსეს და კომენტარშიც შეუნიშნავს: „სახითა ოდენ სამითა რომე სწერია, მართლა კი არ ვიცი და მე ასრე მგონია, ორნი მეფე დედოფალი და მესამე ერთი ვეზირი მისანდოც. თუ ასრე არ დაეწერა სახითა ოდენ სამითა ლექსი არ გაიწყობოდა და ერთს კიდევ ამას ვეჭობ, რომ ვითაც ჯელწიფენი ღთის ჩრდილად რომ არიან თქმულნი. ორნი ერთად რომ ისხდენ. სახით სამითა ვითამ კინაღამ სამების სახედ ისხდენო; ძლიერებასა და საზარელობას უქმებს თავის პატრონს“²⁴⁷.

ვახტანგ მეექვსე, როგორც ცნობილია, ქრისტიანულ-მისტიკურ განმარტებას აძლევდა საერთოდ ვეფხისტყაოსნის იდეურ შინაარსს. ამდენად, ასეთი გაგება მისთვის არაფერ მოულოდნელობას არ შეიცავდა. მაგრამ ამ ადგილის ასეთი ახსნა გაუგებრობაა (გავიხსენოთ ესიც. რომ ეკლესიის მოღვაწეთა ერთ-ერთი ბრალდება სწორედ ის

²⁴⁵ იხ. ზემოთ დასახელებული წერილი.

²⁴⁶ ტექსტი ერთი ივო, ხოლო გამოცემები სხვადასხვა სახისა (მდიდრული, მასობრივი და სხვ.).

²⁴⁷ ფ სტროფის კომენტარი, გვერდი ტ ვ თ (ა. შანიძის აღდგ. გამოც.).

იყო, რომ რუსთაველი კონკრეტულად არსად არ იხსენიებს სამებას: „არ ახსენებს სამებასა ერთ არსულად“).

ამჟამად, რომ აქ ტექსტის დამახინჯებასთან გვექონდა საქმე. მაგრამ მისი გასწორება ვერ შეძლო ვერც ერთმა გამოცემამ. მხოლოდ 1937 წლის გამოცემაშია წარმოდგენილი ახლებური წაკითხვა: „ენასე ორნივე ერთგან სხდეს, ხასითა ოდენ სამითა“, ე. ი. ტარიელი რომ შესულა, უნახავს მეფენი სამ დიდებულთან, სამ მისანდო პირთან ერთად სათათბიროდ მჯდარი (ხასი საერთოდ, და ვეფხისტყაოსანშიც დიდებულს ნიშნავს, ხასნი — დარბაზის ერნი).

ძველი ქართული ლექსიკის გათვალისწინებამ, კონტექსტის გაშიფრვამ და ხელნაწერთა მარჯვედ გამოყენებამ მისცა საშუალება 1937 წლის გამოცემის მესვეურთ აღედგინათ ეს ადგილი. მართლაც, ეს წაკითხვა დაუტავს რამდენიმე ხელნაწერს (CFGILVF'L'Q' ხოლო J-ში მისი ახლო ვარიანტი, ხასნითა).²⁴⁸

528-ე სტროფი, რომელშიც განრისხებულ ნესტანთან ტარიელის შეხვედრაა ვადმოცემული, ვახტანგის გამოცემაში ასე იკითხებოდა:

მე ლობიერად მომიტკბა გამწყრალი, გამქისებული,
ანუ მზე იყო ქვეყანად, ან მოვარე პირ გავსებული,
ახლოს დამისვა, დამიტკბა აქამდის არ ღირსებული,
მეუბნებოდა, დამიესო ცეცხლი ამითა გზებული.

ვახტანგის ტრადიციას გაჰყვენ სხვა გამოცემებიც. ეჭვი კი მრავალგვარი აღიძვრის. მომიტკბა — დამიტკბა პირველსა და მესამე სტრიქონში უეჭველად ამძიმებენ სტროფს (ორი ერთი და იგივე სიტყვა, თითქმის ერთნაირი ფორმით), თანაც გაუგებარია და ენობრივად გაუმართავი — „დამიტკბა აქამდის არ ღირსებული“. მრავალ ხელნაწერთაგან მცირე ჯგუფის ნუსხები (EFILTZ) ასწორებენ ამ შეუსაბამობას: „ახლო დამისვა, მალისა აქამდის არ-ღირსებული“. მოიხსნა ტავტოლოგიაც და სტრიქონი რუსთველური სინატიფით აღდგა (რუსთველისათვის ჩვეული განმეორება, ვერბალური, ალიტერაციის ტიპისა). 1937 წლის გამოცემის რედაქტორები სწორად გაერკვნენ ხელნაწერთა მემკვიდრეობაში და აღადგინეს ამჟამად დამახინჯებული ადგილი.

უნებურად მივადექით საკითხს, რომელზედაც ქვემოთაც გვექნება საგანგებოდ საუბარი. ორიოდე სიტყვით აქაც შევნიშნავთ. არც

²⁴⁸ შტრ. ალ. ბარამიძე, ნარკვევები, 1952, ტ. III, გვ. 71, ს. ცაიშვილი, ფილოლოგიური შენიშვნები, მნათობი, 1959, № 5, გვ. 130 — 131; კ. კეკელიძე, ეტიუდები, VII, 1961, გვ. 288.

ხელნაწერთა რიცხვი, და ზოგჯერ ერთი შეხედვით, მოჩვენებითი ღირსება არაა თავისთავად გადამწყვეტი. ზოგად მონაცემთა ვათვალისწინებასთან ერთად ყოველ ცალკეულ შემთხვევაში კონკრეტული ანალიზია საჭირო. 1937 წლის გამოცემის დაწვრილებითი მასალები არ გამოქვეყნებულა, მაგრამ, ვფიქრობთ, რიგ შემთხვევაში სწორედ ამგვარი მეთოდით ხელმძღვანელობდნენ ამ გამოცემის მესვეურნი. გარდა ზემოთ მოტანილი მაგალითებისა, ამასვე მიუთითებს ერთი დამახინჩებული ადგილის გასწორება. ისევ ვახტანგის გამოცემას მივმართავ:

მეფემან ბრძანა მოჰკახმეთ კარვითა მოედანია
გამოსივენოს სიძემან დაყოს ცოტაი ხა:ია
მუნ მისდა ნახვად გაიღენ უშუროდ სპანი სხვანია
შ ე ნ ა ქ ა ნ ა ხ ე ნ კ მ ა რ ი ა ნ ა ქ ა ნ ა ხ ე ნ ი ს ა კ მ ა ნ ი ა
(სტრ. 551).

მცირეოდენი ცვლილებებით, მაგრამ ძირითადად ასევე იკითხება მომდევნო ხანის გამოცემებში. ხაზგასმული სტრიქონი კი, ჩემი აზრით გაუმართავი ჩანს. შინაარსობრივ უზუსტობასთან ერთად სრულიად მოულოდნელად ერთი და იგივე სიტყვა ჯერ სწორად (კმანია), ხოლო მეორეგან პარალელური ფორმითაა (კმანია) წარმოდგენილი. არც ხელნაწერები გვაძლევენ სანუგეშო სურათს: თუ მეოთხე სტრიქონის წინა სიტყვებში არის მცირეოდენი ვარიანტული სხვაობანი, სარიტმოდ სიტყვა ყველგან ერთნაირადაა — „კმანია“. მაგრამ ერთადერთ, მე-17 საუკუნის ხელნაწერს (L ანუ A — 363) დაუცავს განსხვავებული წაკითხვა — „ყმანია“. ეს წაკითხვა თითქოს სწორი უნდა იყოს და თანაც ზუსტად ეგუება კონტექსტს: მეფე ეუბნება ტარიელს: შენ სასიძო აქ ნახე, ხოლო იქ (იქ — ხელნაწერის წაკითხვა აგრეთვე) ყმანი ინახულებენო. უნდა ვიფიქროთ, რომ ყმანია კმანია, აღრევა გრაფიკულ ნიჟადაგზე მოხდა, ყარის კანში აღრევის შედეგად (ამის მაგალითები სხვადასხვა ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებში. მაგ., იხ. სტრ. 1161 და ა. შ.), რაც პროტოგრაფშივე მოხდა ალბათ და მხოლოდ ერთ ხელნაწერს დაუცავს სწორი წაკითხვა, თუმცა ამას კვლავაც უნდა შემოწმება.

1937 წლის გამოცემამ, ჩემი აზრით, მართებულად აღადგინა ხელნაწერის წაკითხვა და სტრიქონიც შესაფერისად გამართა²⁴⁹. ასევე, როგორც ჩვენ ზემოთ ვნახეთ, 1937 წლის გამოცემაში პირველად გასწორდა ისეთი დამახინჩებული ადგილები, როგორიც გვხვდებოდა 1244-ე სტროფში („პირ-მზემან მ ა გ ა რ - ვ ა დ ა მ ა ნ“), 1062-ე სტროფ-

²⁴⁹ 1937 წლის ეს წაკითხვა განმეორებულია მომდევნო გამოცემებშიც. შტრ. კ. კ ე - კ ე ლ ი ძ ე, ეტიუდები, VII, 1961, გვ. 289, სადაც აღნიშნულია, რომ გასწორებისას 1937 წლის გამოცემაში გასწორდა კონტექსტის მიხედვით.

ში („დამიზღებულნი! დრამითა“) და ა. შ. ამ გამოცემაში გაიზიარა ს. კაკაბაძის მეორე გამოცემაში (1927 წ.) განხორციელებული მართებული წაკითხვა: „ფრიდონ საჯდომნი დამიდგნა ადგილსა საპატრონოსა“, რომელიც ყველა მანამდე არსებულ გამოცემაში იკითხებოდა აშკარად დამახინჯებული სახით: „ფრიდონ საჯდომნი დამიდგა ადგილსა საპატრონოსა“. 641-ე სტროფში ხაზგასმული სიტყვა საპატრონოსა აშკარად ანაქრონიზმია კლასიკური ხანისათვის და მისი ხელნაწერებში გამოჩენა სწორედ გვიანფეოდალური (მე-15, მე-17 სს.) პერიოდის ანარეკლია²⁵⁰. აქვე აღსანიშნავია, რომ ყველა ხელნაწერი როდი იმეორებს ასეთ დამახინჯებულ წაკითხვას. მაგ., ხელნაწერებში DFJKOTUVZG'I'R' იკითხება მართებულად: საპატრონოსა, რაც დადებითად წყვეტს აღნიშნულ საკითხს²⁵¹.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ არა მარტო ცალკეული წაკითხვების (მათი აღნუსხვა და მით უფრო კონკრეტული ანალოზი შორს წაგვიყვანდა). არამედ ტექსტის ორთოგრაფიისა და მთლიანობაში ენობრივი ღვაწლსაზრისით გამართვის მხრივ, 1937 წლის გამოცემა ბევრად მაღალი საფეხურია წინამორბედ გამოცემებთან შედარებით.

მაგრამ ამ გამოცემაში მაინც ბოლომდე ვერ გადაწყვიტა რიგი კარდინალური საკითხი და ვერც წინასწარ დასახული პროგრამა მიიყვანა ბოლომდე²⁵². პირველ რიგში, ეს ითქმის ისეთი მტკივნეული პრობლემის გადაჭრაზე, როგორცაა ვეფხისტყაოსნის მოცულობა-შედგენილობის საკითხი.

შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ ყველა იმ ცდას, რომელიც მიზნად ისახავდა ტექსტის აღდგენას, ერთი საერთო ნაკლი ახასიათებდა. ტექსტის ფილოლოგიურ დამუშავებას წინ არ უძლოდა ხელნაწერთა მთელი მემკვიდრეობის რედაქციული შესწავლა. ეს კი, ჩვენი აზრით, აუცილებელი პირობაა. მკვლევარი, რომლისთვისაც ნათლად არაა გარკვეული, თუ რას უნდა ეყრდნობოდეს ვეფხისტყაოსნის ტექსტის აღდგენა, რასაკვირველია, დამაკმაყოფილებელ შედეგს ვერ მიიღებს. ამ თვალსაზრისით შედარებით სერიოზული ცდა მოგვცა პროფ. სარ-

²⁵⁰ ტერმინების პატრონი — ბატონის შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. სამართლის ისტორია, წიგნი, II, ნაკვ. პირველი, 1928, გვ. 64—74, 102.

²⁵¹ კ. კეკელიძის ზემოაღნიშნულ წერილში მცდარია შენიშვნა, თითქოს მანამდე ყველა გამოცემაში საპატრონო იკითხებოდეს, იხ. გვ. 289. როგორც ვნახეთ, კ. კაკაბაძის გამოცემაში უკვე იყო წაკითხვა „საპატრონოსა“.

²⁵² ზოგი ამის მიზეზი კომისიის წევრთაგან დამოუკიდებელმა ფაქტორებმა განსაზღვრა, რომელთა შესახებ დაწერილებით არის საუბარი ა. შანიძის წერილში: დღევანდელი ვითარება ვეფხისტყაოსნის ტექსტის აღდგენის საქმეში, მნათობი, 1965, № 10, 11.

გის კაკაბაძემ, როცა 1913 წელს გამოაქვეყნა ვეფხისტყაოსნის ვრცელი რედაქციები. გარკვეული მიზეზების გამო და ამას თვით ავტორიც აღიარებს, ამ გამოცემას. როგორც უკვე ითქვა, თან ახლდა მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური ხარვეზებიც. გარდა ამისა ს. კაკაბაძეს ხელთ არ ჰქონდა რამდენიმე პირველხარისხოვანი ხელნაწერი, ხოლო ეს კი უშუალოდ აძნელებდა პოემის სხვადასხვა რედაქციების თავისებურებათა დანახვას და მათი თანდათანობითი განვითარების ზუსტად დახასიათებას. სხვას რომ თავი დავანებოთ, აქ აშკარად გაზვიადებული იყო მნიშვნელობა ისეთი რედაქციებისა, როგორცაა ვახტანგისეული და ე. წ. არტანუჯული ვარიანტი პოემისა. რედაქციათა გენეზისის დროს ავტორი მათ ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილს ანიჭებდა, რაც, როგორც დღეს უკვე გარკვეულია, სრულიად პირუტყუ უნდა წარმოვიდგინოთ, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

როგორც ვნახეთ, ვეფხისტყაოსნის შედარებით სრულყოფილი ტექსტის დასადგენად დიდი მუშაობა გასწია 1937 წლის ვეფხისტყაოსნის საიუბილეო კომისიამ.

ჩვენი აზრით, პოემის ამ ახალ გამოცემასაც ახასიათებს ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანება. კომისიას საშუალება ჰქონდა ესარგებლა ხელნაწერთა თითქმის მთელი მემკვიდრეობით, მაგრამ ისევე როგორც მის წინამორბედ გამოცემებში, აქაც სათანადო ყურადღება არ მიექცა ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა რედაქციულად დამუშავებას. ამან კი, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი ზიანი მიაყენა მას. ნათქვამი რომ უფრო ნათელი გახდეს, მოვიტანთ ზოგიერთ საგულისხმო მაგალითს. 1937 წლის გამოცემის ყველაზე სუსტი მხარე არის პოემის აქ წარმოდგენილი შედგენილობა: ტექსტში მოხვედრილია ისეთი სტროფები, რომლებიც აშკარად გვიანდელ ჩანართებს წარმოადგენენ.

ცალკეული ანალიზის დროს ვსარგებლობთ იმ შედეგებით, რომელიც მოგვცა სწორედ ხელნაწერთა რედაქციულად შესწავლამ, რაც სრული სახით წარმოდგენილია ნაშრომის მომდევნო თავებში.

დავიწყოთ პოემის ერთ-ერთი პირველი თავიდან. პოემაში არის ასეთი ეპიზოდი: ავთანდილი მძიმე ფიქრებს შეუპყრია. უცხო მოყმის უშუალო ძიებაში თითქმის ყველა ვადა ამოიწურა („თვენი ესხნეს ორანილა“, ე. ი. დარჩენილი იყო ორი თვე). განაგრძოს ძებნა, ვაი თუ კვლავ უშედეგოდ, ხოლო, პირობისამებრ, წამოსვლიდან სამი წლის თავზე შერმადინმა მისი სიკვდილი უნდა აუწყოს სამეფო კარს, შეიქნება გლოვა-ტირილი. მერე როგორღა დაუბრუნდეს გაწბილებული და შერცხვენილი თავის მიჯნურს? 1937 წლის ტექსტში ავთანდილის მწარე საგონებელი შემდეგი სტროფებით მთავრდება:

„ვლაცა იტყვის: „ღათობა სჯობს“ და თავსავე ეუბნების:
„ღღეთა მეტად ნუ მოჰკვდები, გული ჩემი ნუ დაღნების,
ულმართოდ ვერას ვერ მოვაწევ. ცრემლი ცუდად მდინების,
განგებასა ვერეინ შესცელის, არ-საქმნელი არ იქმნების“.

190

თავს უთხრა: „მოჰკვე გიჯობსო სიცოცხლეს აუფიანსა;
მიხვალ, დაგხედების თინათინ, ანათებს ღღესა მზიანსა,
გუთხოს მის ყმისა ამბაუი, რა გმართებს ვაგლახიანსა?“
იგონებს წამ-წამ, მიჰყვების ტყის პირსა შამბნარ-წყლიანსა.

191

ყოვლნი არსნი ცით ქვეშეთნი ერთობ სრულად მომივილიან.
მაგრა საქმე მის კაცისა ვერა სადა შემივიან;
ულონიოდ მართალ იყენეს, რომელთაცა ქაჯად თქვიან,
აწ ტირილი არას მარგებს, ცუდად ცრემლნი არას მდიან?

192.

დაკვირვებული თვალი აშკარად დაინახავს, რომ 191-ე სტროფი ჩანართია. აქ, რასაკვირველია, მთავარი ის არაა, რომ მხატვრული თვალსაზრისით სტროფი სუსტია, ან ის, რომ არარუსთველური ჩანს თინათინის დახასიათება „თინათინ — ანათებს ღღესა მზიანსა“; საქმე ისაა, რომ ეს სტროფი ატარებს ინტერპოლაციის ტიპიურ ნიშნებს. იგი ხელს უშლის ამბის ჩვეულებრივ მდინარებას. ავთანდილი მოიგონებს დადებულ პირობას (186—188 სტროფები) და გადაწყვეტს, რომ აღარ ღირს ძებნის გაგრძელება, მორჩა, გათავდა (190 სტრ.). ამ გადაწყვეტილებას ასაბუთებს კიდევ, რომ ნამდვილად მართალნი იყვნენ ისინი, „რომელთაც ქაჯად თქვიან“ (192 სტრ.). ამით დამთავრდა პოემის ერთი სიუჟეტური რგოლი და უცებ იწყება ამბის შემოტრიალება: (რაც ეპიურ თხზულებათა თავისებურებაა) ავთანდილი წააწყდება ტარიელის კვალს. შუა სტროფში (191) კი სრულიად მოულოდნელად ავთანდილი თავიდან იწყებს მსჯელობას იმის გამო, თუ რა უთხრას თინათინს, როცა გაწბილებული დაბრუნდება არაბეთს. თუმცა, როგორც ვთქვით, ზევით უკვე იყო ამაზე საუბარი (186-ე სტრ. „ჩემსა რა ვჰკადრო მნათობსა...“ და ა. შ.).

191-ე სტროფი რომ ჩანართია, ამას ამტკიცებს შემდეგი საბუთიც: სტროფის მე-4 ტაქტში ნათქვამია: ავთანდილ „იგონებს წამ-წამ, მიჰყვების ტყის პირსა შამბნარ-წყლიანსა“. ეს არის, მართლაც, საყურადღებო დეტალი. ინტერპოლატორს ავიწყდება, რომ ავთანდილი მთის წვერზე დგას და სწორედ იქ მისცემია ჰუმუნვას („მას მიჰხვდა წვერი სადგურად მალღისა მთისა დიდისა“ — 184 სტრ.) და მხოლოდ შორით, ტაფობში მოჩანს ტყიან-მდინარეიანი მინდორი.

ჩვენ შეგნებულად ავუარეთ გვერდი ჩანარჯის პოეტურ ღირსებათა დახასიათებას, რადგან ამ დროს სწორად ტენდენციური ვხდებით, თანაც ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ არა ერთი ჩანართი თავისთავად მშვენიერ პოეტურ გამომსახველობას აღწევს, მაგრამ ისინი თავისი თუნდაც მაღალი ღირსებებით, ზიანს აყენებენ „ვეფხისტყაოსნის“, როგორც ერთ იდეურ-ესთეტიკურ მთლიანობას²⁵³. 191 სტროფთან დაკავშირებით მთავარია კიდევ ერთი უტყუარი მოწმობა. როგორც ქვემოთ ვნახავთ, მე-17 საუკუნის ხელნაწერებს შორის შედგენილობის თვალსაზრისით განსაკუთრებული ღირსებებით გამოირჩევა ნუსხათა ერთი ჯგუფი, რომელსაც, უპირველად, დაუცავს პოემის შედარებით უფრო მოკლე და შედგენილობით მაღალი ღირსებების მქონე რედაქცია. ამ რედაქციის ტიპური სახეს გვაძლევენ ხელნაწერები: H—599 (გადაწ. 1646 წ.), S — 2829 (1688 წ.), H — 740 (XVII საუკ.), თარხან-მოურავისეული (ოქსფორდული, W—27) და სხვ., არც ერთ ამ ხელნაწერში 191-ე სტროფი არ არის. ეს კი ზემოაღნიშნულთან ერთად გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს სწორედ ინტერპოლაციასთან²⁵⁴.

ამავე ჯგუფის ხელნაწერები აშკარად სვამენ აგრეთვე საკითხს, რომ ინტერპოლაციად მივიჩნიოთ საიუბილეო გამოცემაში შესული 655-ე სტროფი:

ღეთა ყვირილი, ზახილი ზეცაჲდის ააწეოდა;
მათისა-ლახტის ცემითა ქეყანა შეირყეოდა:
მზე დააბნელეს მტვერითა, ალვის შტო შკირხეოდა,
ასი ერთ კერძო მამიხდეს, დავფრიწე, დაიხეოდა.

ვინც იცნობს ვეფხისტყაოსნის ძირითად სულისკვეთებასა და რუსთველის დამოკიდებულებას ზედმეტად ფანტასტიკურ ამბებთან, ამ სტროფში უთუოდ დანახავს ე. წ. აღორძინების დროს (XVI—XVII) ინტერპოლატორის მუშაობას თავისი ერთ-ერთი ძირითადი ნიშნით, ცრუ-კლასიკური ხასიათის საღვევმირო ფანტასტიკით, როგორც

253 ავიღოთ, მაგალითად, აშკარა ჩანართი პოემის ვაგრძელებათაგან (2106-ე სტრ.). რომელიც თუმცა მშვენიერ პოეტურ სიტყვას შეიცავს, მაგრამ შორს დგას „ვეფხისტყაოსნის“ იდეური სამყაროსგან:

აზომ არ არის სოფლისა საღამო, არცა დღია.
სიზმრისა უფრო სიზმარი. ჩრდალისა ეფრო ჩრდილია...

254 ირკვევა, რომ ეს სტროფი არ არის აგრეთვე სხვა ტიპის რედაქციაში, როგორსაც გვაძლევენ. მაგ., ხელნაწერები: H—461, S—499. მზესაუფლისეული (W—17) და სხვ., რომლებიც ფაქტიურად პირველი უმოკლესი რედაქციის განვრცობილ სახეს წარმოგვიდგენენ (იხ. ქვემოთ).

აღვნიშნე. ეს სტროფი არ მოეპოვება ისეთ ავთენტიკურ ხელნაწერებს, როგორებიც არიან H — 579, S — 2829, თარხან-მოურავისეული (W — 27) და სხვ.

აღნიშნული ხელნაწერები ასევე ექვს აღძრავენ სხვა სტროფებზეც, რომელთა შესახებ ქვემოთაც გვექნება საუბარი, მაგრამ აქ, პირველ რიგში, გვინდა დავასახელოთ რამდენიმე შედარებით ცნობილი ადგილი. საქმე ეხება იმ ეპიზოდს, რომელშიც გადმოცემულია ავთანდილის კოსმიური გალობის ამბავი. ამ დიდებული სიმღერის დასასრულს რუსთველი გვიხატავს ახალ პოეტურ სურათს, რომელიც, რასაკვირველია, მხოლოდ და მხოლოდ მეტაფორულად უნდა გავიგოთ:

რა ესოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან:
მისეე ხმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა გამოსხდიან;
ისმენდიან, ვაკვირდიან, რა ატირდის, ატირდიან,
იმღერს ლექსთა საბრალოთა, ღვარისაებრ ცრემლნი სდიან.

967

ინტერპოლატორს, როგორც მოსალოდნელია, არ აკმაყოფილებს ეპიზოდის ასე დასრულება და კვლავ გაზვიადების ნაცნობ ხერხს მიმართავს. მეტაფორული სურათი მის ხელში კარგავს პოეტურ პირობითობას. პროზაიზმებით დატვირთულ სტროფში მოთხრობილია (უკვე ყოველგვარი პირობითობის გარეშე), თუ როგორ გამოვიდნენ სულიერნი და უსულონი, სხვადასხვა მხრის და ეროვნების წარმომადგენელნი, რათა მოუსმინონ ავთანდილის სიმღერას:

მოვიდიან შესამკობლად ქვეყნით ყოვლნი სულიერნი:
კლდით ნადირნი, წყალშიგ თევზნი, ზღვით ნიანგნი. ცით მფრინველნი,
ინდო-არაბ-საბერძნეთით, მაშრიყით და მალრიბელნი,
რუსნი, სპარსნი, მოფრანგნი და მისრეთით მეგვიპტელნი.

968

როგორც აღვნიშნე, ამ სტროფის ჩანართობას განსაკუთრებით ამჩნელს ის გარემოება, რომ იგი არ არის მთელ რიგ ძველ ხელნაწერებში, რომელთაგან მე აქ მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებ (H — 559, S — 2829, W — 27 და სხვ.).

ხალხურ საგმირო ეპოსში არის ერთი ცნობილი მოტივი, გმირები ნახულობენ ან მოიპოვებენ საიდუმლო საჭურველს, რაც ხელს უწყობს მათ მტრების დამარცხებაში. ეს მოტივი, სხვადასხვა ვარიაციით, რამდენჯერმე აქვს გამოყენებული რუსთველსაც. გავიხსენოთ ეპიზოდი, როცა ნესტანის პოვნით გახარებული ტარიელი და ავთანდილი სალაშქრო სამზადისს იწყებენ. ტარიელი გაანდობს ძმადნაფიცს. რომ გამოქვაბულში დიდძალი საჭურჭლე ძევს და მოდი, გავსინჯოთო. სწო-

რედ აქ ისინი წააწყდებიან საკვირველ იარაღს და ამას მომავალი გემარჯვების სიმბოლოდ მიიჩნევენ. აღფრთოვანებულნი ამ ამბით, მოუთმენლად ელიან ვათენებას, რათა დაიწყონ აქტიური მოქმედება. შემდეგ თავში უკვე მოთხრობილია მათი გამგზავრება მესამე მხადშეფიცულთან და ქაჯეთს გამგზავრება. გამოქვბაზულში აღწერილი ეპიზოდი ინტერპოლატორს დასარულეზულად არ მიუჩნევიდა და ახალი თავის დაწყებამდე ჩაურთავს მხატვრულად არცთუ სუსტი ლექსი:

აქა, მხატვარო, დახატე, მხად უმტკიცესად მძობილნი²⁵⁵,
იგი მიჯნური მნათობთა, სხვისა ვერვისგან სწრობილნი,
ორნივე გმირნი, მოყმენი, მამაცობისა ცნობილნი;
რა ქაჯეთს მივლენ, გასინჯოთ ომი ლახვართა სობილნი.

1373

თუმცა, როგორც აღვნიშნე, აქ არის პოეტურად არცთუ მდარე სტრაქონები, მაგრამ იგი შორსაა რუსთველურობისაგან. მაგალითად, უბრალო პროზაიზმია მიჯნურთა ასე დახასიათება: „სხვისა ვერვისგან სწრობილნი“, ხოლო სრულიად გაუგებარი ასეთი ფრაზა: „ორნივე გმირნი მოყმენი, მამაცობისა ცნობილნი“ (ასევე ბუნდოვანია თქმა: „ომი ლახვართა სობილნი“). ხელნაწერთა რედაქციულად შესწავლა უარყოფითად წყვეტს ამ სტროფის საკითხსაც. ირკვევა, რომ იმავე ძველი ტიპის რედაქციათა შემცველ ხელნაწერებში არ მოიპოვება გაანალიზებული სტროფი. მაგალითად, იგი არ არის S—2829, A—363, Q — 261 და სხვა ხელნაწერებში. აღნიშნული სტროფი, როგორც ჩანს, არ ყოფილა უძველეს თარიღიან ხელნაწერში (H—599), მაგრამ წემდეგში ჩაუმატებიათ სხვა ნუსხებიდან. ყოველივე ეს, ჩვენი აზრით, საკმაო საბუთს გვაძლევს, რომ 1373-ე სტროფიც ჩანართად მივიჩნიოთ.

ხელნაწერთა რედაქციული შესწავლისა და ხელნაწერთა ამ თვალსაზრისით შეჯერების ნიადაგზე ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში, როცა აქ მზადდებოდა ვეფხისტყაოსნის ახალი მასობრივი გამოცემა²⁵⁶, ჩვენ წარვადგინეთ ზემოაღნიშნული ხასიათის

1 255 პირველ სტროფში მდარია წაკითხვა „მხად უმტკიცესად მძობილნი“, ხელნაწერები, რომლებიც იცნობენ ამ სტროცს, ასწობებენ წაკითხვას მართებულად: „მმათ უმტკიცესნი მძობილნი“, ე. ი. ძმებზე უფრო მტკიცე მძობილნი. ამაზე მიუთითა 1903 წ. დავით კარიჭაშვილმა (იხ. მის გამოცემაზე დართული შეწინაშენა).

256 ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს გიორგი წერეთელმა, სარკის ცაიშვილმა და გურამ კარტოზიამ (რედაქტორები: გ. წერეთლი, ი. აბაშიძე), თბილისი, 1966, მასვე იმეორებს, მტირუღენი ცვლილებებით, ვეფხისტყაოსნის 1966 წ. საიუბილეო გამოცემები.

მოსაზრებები. რის შედეგად 1937 წ. გამოცემის ძირითადი ტექსტიდან ჩანართად იქნა აღიარებული შემდეგი სტროფები:

- 191 — „თავს უთხრა მოკვე გიჯობსო...“
- 320 — „ასმათ, მითხრობდი, რაცა სცნა...“
- 655 — „ღევთა ყვირილი, ზახილი...“
- 968 — „მოვიდიან შესამკობლად...“
- 1275 — „წალი, უსტარო ისწრაფე...“
- 1373 — „აქა, მხატვარო დახატე...“.

როგორც ვხედავთ, შედგენილობის თვალსაზრისით ტექსტის კრიტიკის დროს ეს არის ერთ-ერთი საიმედო გზა²⁵⁷ და იგი მთელი სისრულით არ იქნა გამოყენებული 1937 წლის გამოცემის მომზადების დროს.

აქ გვინდა მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ კიდევ ერთ ფაქტზე, რომელიც ცხადყოფს 1937 წლის გამოცემის ტექსტში ზემოაღნიშნული პრინციპების უგულვებლყოფას.

საქმე ეხება არა ცალკეულ სტროფებს, არამედ სტროფთა ერთ გარკვეულ ჯგუფს, რომლებიც გვხვდება ინდო-ხატაელთა ამბავში. წინააღმდეგ ზოგიერთი მკვლევრისა, ჩვენ ვიზიარებთ შეხედულებას, რომ აღნიშნული სადავო ეპიზოდი ვეფხისტყაოსნის მოუცილებელი ნაწილია და იგი დაზიანებით არის ჩვენამდე მოღწეული. ამას მხარს უჭერს როგორც სიუჟეტური მონაცემები, ისე პოემის იდეური შინაარსი. ჩვენ შემთხვევა გვქონდა გვეჩვენებინა, რომ სხვა საბუთებთან ერთად აღნიშნულ ვითარებას აშკარად მხარს უჭერენ მე-17 საუკუნის ხელნაწერები და, კერძოდ, პოემის რამდენიმე სხვადასხვა ტიპის ეპილოგის შედარებით შესწავლა²⁵⁸. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ დამახინჯებათა კვალი ყველაზე უფრო სწორედ აღნიშნულ ეპიზოდს ეტყობა. მით უფრო გულსწყურით უნდა მოპყრობოდნენ „ინდო-ხატაელთა“ ამბავს 1937 წლის გამოცემის მესვეურნი, რადგან, როგორც ცნობილია, კ. ჭიჭინაძის გამოცემასთან ერთად სწორედ საიუბილეო

²⁵⁷ ერთ-ერთი და არა ერთადერთი, რადგან ხელნაწერთა ჩვენამდე მოღწეულ ძველ რედაქციებს არ შემოუნახავთ ტექსტი შეურყვენელი სახით და აქაც ჩანართთა საკმარაოდნობას ეპოულობთ (დაწვრ. იხ. მომღვენო თავებში). ეს რომ ასეა, ამას ამტკიცებს თუნდაც 1965 წლის ზემოაღნიშნული გამოცემები, სადაც სხვა საბუთთანობით რედაქტორებმა ამოიღეს აშკარად არარუსთველური სტროფები (მათი ნუსხა იხ. ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დაძღვენი კომისიის მიერ გამოცემულ ვეფხისტყაოსანზე დართულ გ. წერეთლს წერილში). რასაკვირველია, კვლევა-ძიება ამ მიმართულებით კვლავ უნდა გაგრძელდეს.

²⁵⁸ ვეფხისტყაოსნის დასასრულის საკითხები, ეურნ. „ციცქარი“, 1957, № 1, დანართლებით ვეფხისტყაოსნის გაგრძელებათა პლასტების მიმოხილვის დროს.

ტექსტშია შემოტანილი პირველად ეს ეპიზოდი. რამდენიმე ცალკეული სტროფის მაგალითზე ჩვენ ზევით ვაჩვენეთ, რომ, როგორც ჩანს, 1937 წლის გამოცემა არ უწევს საკირო ანგარიშს ზოგიერთი, შედარებით ძველი, რედაქციის ჩვენებას. ირკვევა, რომ ანდო-ხატელთა ამბის საკითხშიც ყურადღება არ მიუქცევიათ სიძველის მხრივ თუნდაც მეორე ან მესამე ხარისხის რედაქციებისათვის. მაგალითად, „ანდო-ხატელთა ამბავში“ მოთხრობილია, რომ ტარიელი დიდი ერთგულების სა-მაგიეროდ ასმათს უხვად დაასაჩუქრებს და, სხვათა შორის, დიდ სა-კარგავსაც გადასცემს. ეს ამბავი ხელნაწერების დიდ უმრავლესობაში გადმოცემულია ორ სტროფში (იხ. 1649 და 1650 სტრ. 1937 წ. საიუბი-ლო გამოცემით), მაგრამ ეს გამოცემა ამაზე არ ჩერდება და ურთავს რამდენიმე ყოვლად უსუსურ სტროფს:

მოახსენა: „ხელმწიფეო, ვიკადრებ და ნუ გაწყრები;
თუ ხმელეთი სრულად მქონდეს, ვერცა მაშინ გავეყრები,
მე მეყოფა შეუქი თქვენი, ვარ მხის ეტლთა შენასწრები,
ვერ გავსწირავ ჩემგან ზრდილსა, არცა სხვაგან ვიარები“.

1651

კვლაცა უბრძანა ტარიელ: „ქმარს შენი ჰკირთ ნახულები;
გვახსოვან შენი ჩვენზედა თვალნი ცრემლ-ნაფხულები,
სჯობს, მოისმინო ნათქვამი, ქმნა ჩემგან გაზრახულები,
ბოროტი სცვალო კეთილად, გყვენ სპანი ხრამლ-მახულები“.

1652

დაჰმორჩილდა, მოახსენა: „ჰკირთა ჟამი ერთხელია“;
მოიყვანეს კარგი მოყმე, გონიერი, არ ხელია:
ასმათ მისცეს, მიუძღვების, დაუქირა სახელია,
იგი კაცი გაადიდეს, აქვს მეფობის სახელია.

1653.

რასაკვირველია, ღია კარების მტვრევა იქნება ამ სტროფების კრი-ტიკა. იგი აშკარა ინტერპოლაციაა- ამაზე თვითონ ტექსტები მეტყვე-ლებენ. მაგრამ აქ გვსურს ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ეს სტროფები მოიპოვება ყვილაზე წარყვნილ ერთ-ერთ რედაქციაში. რომელიც დაუცავს H—461 ხელნაწერს და რომელსაც სხვა ხელნა-წერებთან შედარებით აქვს მეტად აღრეული ტექსტი. იგივე სტროფე-ბი არის აგრეთვე H—4499-შიც. რომელიც ახლოს დგას H—461 ხელ-ნაწერთან და რომელსაც, როგორც ახლა ცნობილია, მოეპოვება თით-ქმის ყველაზე გვიანდელი ჩანართები²⁵⁹. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს არის

²⁵⁹ ვ. ი ნ გ ო რ ყ ვ ა, რუსთველიანა, 1926, ივ. 24; აგრეთვე, ჩვენი, ვეფხის-ტყაოსნის ვახტანგისული რედაქცია, 1957, გვ. 21—3; როგორც მომდევნო თავებში ვნა-ხავთ, ეს ხელნაწერები თუმცა მოკლე რედაქციებიდან მომდინარეობენ, მაგრამ ურთავენ მათ სრულად ახალ ჩანართებს. ზემოთ აღნიშნული ჩანართებიც ასეა წარმომოზილი.

აველაზე უფრო ნათელი მაგალითი, რათა გავხაზოთ 1937 წლის გამოცემის პრინციპულად არასწორი დამოკიდებულება ხელნაწერთა მემკვიდრეობის რედაქციულ თავისებურებებთან²⁶⁰. აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ, წინა გამოცემების მსგავსად, 1937 წლის ტექსტიც უმკველად ატარებს ვახტანგისეული გამოცემის ძლიერი გავლენის კვალს. ახლა, როცა გარკვეულია, რომ ვახტანგისეული გამოცემის ძირითადი წყარო მე-17 საუკუნის ხელნაწერთა ერთ-ერთი ვრცელი რედაქციაა (კერძოდ, „ზნახსეული“ ტიპისა²⁶¹), ნათელა ხდება ამ გამოცემის სუსტი ადგილების წყაროები; ამასთან ცხადია ისიც, რომ ზოგი ეს სუსტი მხარე ვახტანგისეული ტექსტიდან გადმოვიდა 1937 წლის გამოცემაში. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება იგივე სტროფები (191, 655, 968, 1373 და სხვ.), რომლებიც აღნიშნული ვრცელი რედაქციის გავლენით შევიდა ვახტანგისეულ გამოცემაში, აქედან კი — 1937 წლის ტექსტშიც.

ზემოაღნიშნული მიზეზები მიგვითითებენ 1937 წლის გამოცემის ზოგ სხვა ნაკლზეც. კერძოდ, საიუბილეო ტექსტს აკლია რუსთველის ნამდვილი სტროფები, რომლებიც ხელნაწერებს დაუცავთ; მასში არ არის დაცული ზოგჯერ სტროფების ოდინდელი თანმიმდევრობა, რაც აგრეთვე ვკიანდელი რედაქციებიდან (ან ვახტანგისეული გამოცემიდან) მოდის. როგორც ცნობილია, პოემის ტექსტზე საინტერესო დაკვირვებანი მოეპოვებათ დავით რექტორსა და თეიმურაზ ბატონიშვილს. იმ ოთხი სტროფიდან: ვრცელი გამოც. 169— („თუ ყოფილა იგი მოყმე...“); 152 (217) — („მოუკლავარ თინათინის...“); 553 (699) — („მე დავშერ ვითა...“) და 586 (736) — („შევე ფიცხლავ...), რომელთა გამოტოვებაც მათ ვახტანგისეული გამოცემის აშკარა დეფექტად მიაჩნდათ, სამი უკანასკნელი შევიდა ბოლო გამოცემებში და 1937 წელს დადგენილ ტექსტშიც. რაც შეეხება პირველ სტროფს, რომელიც დღეს ჩანართად ითვლება, ამ შემთხვევაშიც მართალი უნდა იყოს დავით რექტორისა და თეიმურაზ ბატონიშვილის მოსაზრება²⁶².

ამ სტროფის რუსთველურობას რამდენიმე სერიოზული საბუთი უჭერს მხარს. განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ, როგორც

²⁶⁰ უნდა აქვე ითქვას, რომ, საერთოდ, „ინდო-ხატაელთა“ ამბავი, როგორც ამას ა. შანიძე აღნიშნავს ზემოხსენებულ წერილში, 1937 წ. კომისიას გარედან მოახვიეს თავს და ამიტომ იგი სრულიად გაუმართავად მოხდა ამ გამოცემაში, შდრ. აგრეთვე, ა. ბ ა რ ა შ ი ძ ე, ნარკვევები, ტ. III, გვ. 92.

²⁶¹ ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1957, გვ. 74—119; ამ საკითხზე ახალი მასალები იხ. წინამდებარე ნაშრომის სათანადო თავში.

²⁶² იხ. აგრეთვე, გ. იმედაშვილის თეიმურაზ ბატონიშვილის რუსთველოლოგიური ცოდნა, ლიტერატურული ძიებანი, ტ. V.

აღნიშნეთ, ხელნაწერთა რედაქციული შესწავლა გამოავლენს შედარებით ძველი ტიპის რედაქციებს, რომლებსაც დიდი უპირატესობა უნდა მიენიჭოს პოემის შედგენილობის დადგენის საქმეში. ირკვევა, რომ ეს სტროფი არის შესული სწორედ ამ ძველ რედაქციებშიც, რაც ერთგვარად მხარს უჭერს მისი რუსთველურობის საკითხს²⁶³. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ეს სტროფი მკიდროდ უკავშირდება ამბის მდინარებას და ამასთან ზოგიერთი მხატვრული დეტალით უეჭველად ამჟღავნებს ავთენტიკურობას. აი, ეს სტროფიც:

თუ ყოფილა იგა მოყმე ხორციელი, ხმელთა მვლელად,
მას ნახვილა სხვათა ვინმე, გამოჩნდების მასწავლელად,
თუარა ეშმა გჩვენება ღვინთა შე,თა შე-კა-მშლელად,
სევდისაგან მოიცალე, რად შექმნილხარ მოუცლელად?

(ერკ. გაპოე. 169-ე სტრ.)

რასაკვირველია, სრულიად არ არის საკმარისი, რომ ეს სტროფი ერთი შეხედვითაც ტოვებს საამო შთაბეჭდილებას, რადგან, როგორც აღნიშნეთ, ზოგი ინტერპოლატორი მართლაც მოხერხებულად ბაძავს რუსთველს, რაც ორმაგად აძნელებს ნამდვილი ტექსტის აღდგენას. მაგრამ ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს სხვა მომენტებსაც. ჯერ ერთი, აქ არა გვაქვს პოემის ენობრივ მონაცემთაგან რაიმე სტილისტიკური ან ლექსიკურ-გრამატიკული გადახვევა, თანაც აქ ვხვდებით რუსთველის პოეტური ენისათვის დამახასიათებელ მხატვრულ დეტალებს, განსაკუთრებით პირველ და მეორე ტაეპებში. ვინც რუსთველის პოეტურ ენას იცნობს, შეუძლებელია ამ ტაეპებში არ შეამჩნიოს პოემისათვის დამახასიათებელი ხერხი, ე. წ. სახეთა პარალელიზმისა. აქ პირველ ტაეპში გვაქვს დადებითი პარალელიზმის აშკარად რუსთველური გამოყენება: „თუ ყოფილა იგი მოყმე ხორციელი, ხმელთა მვლელად“; „ხორციელი“ და „ხმელთა მვლელი“ ტიპური რუსთველური პარალელიზმია, რაც შეეხება მეოთხე ტაეპს: „სევდისაგან მოიცალე, რად შექმნილხარ მოუცლელად“, — ეს არის არა მარტო განმეორება, არამედ ე. წ. კონტრასტული პარალელიზმით შესრულებული ფრაზა (შდრ. „თავსა მრთელსა რად შეიკრავ, წყულულსა ახლად რად იწყულულებ“—876 და სხვ.). საინტერესოა აგრეთვე მესამე ტაეპში გამოყენებული ტმესი („შე-ცა-მშლელად“).

მაგრამ, რაც მთავარია, აღნიშნული სტროფის ინტერპოლაციად მიჩნევას განსაკუთრებით ხელს უშლის ის გარემოება, რომ იგი ბუნებრივად თავსდება 114-ე სტროფის შემდეგ, როგორც ეს ყველა ხელ-

²⁶³ რასაკვირველია, არც ეს ძველი რედაქციებია მთლიანად თავისუფალი ინტერპოლაციებისაგან და ამდენად აქაც კრიტიკული მიდგომა გვმართებს.

ნაწერშია დატული. აღსანიშნავია ისიც, რომ სადავო ტაეპი თინათინის სიტყვებია. ის ურჩევს მამამისს უცხო მოყმის ძებნას. თუ ვერ მოვძებნეთო. მაშინ ნამდვილად: „ეშმა გჩვენებია“ და არც კი ღირს ამაზე ჰმუნვაო. საინტერესოა, რომ რამდენიმე სტროფის შემდეგ როსტევანი, თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს თავისი ასულის სიტყვებს. რადგან არავინ გამოჩნდა უცხო მოყმის მნახელი. მართლაც, აქ რაღაც ზებუნებრივი ამბვი უნდა იყოს: „მეფე ბრძანებს: „მართალ იყო ასული და ჩემი ძეო, ვნახე რამე უშმაკისა სიცრუე და სიბილწეო“ (119).

ეს არის პირდაპირი პასუხი თინათინის რჩევაზე („თვარა ეშმა გჩვენებია“). რაც ერთხელ კიდევ თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ზემოაღნიშნული, ამჟამად ჩანართად აღიარებული, სტროფი, ორგანულ კავშირშია პოემის ტექსტთან და იგი მომავალ გამოცემაში უნდა შევიდეს²⁶⁴.

რაც შეეხება მეორე საკითხს, ე. ი. პოემის სტროფთა თანმიმდევრობას. აქაც ერთი მაგალითით უნდა დაგვკაყოფილდეთ.

უნდა გავიხსენოთ ეპიზოდი: „ამბავი ტარიელის გამიჯნურებისა“. ნადირობიდან დაბრუნდნენ ფარსადან მეფე და ტარიელი. მეფე დაავალეებს ტარიელს ღურაჯები მიართვას ნესტანს. აქ არის გადმოცემული სწორედ მიჯნურთა შეხვედრის ამალეღვებელი ამბავი. საიუბილეო გამოცემაში ვკითხულობთ:

... მიბრძანა (მეფემან) თუ: „ქალი ვნახოთ“, ხელი ხელსა დამიჭირა;
მის ეამისა ნხსეგბელი მე სულდგმული არ გიკვირა?³⁴⁰

340

ბაღჩა ვნახე უტურფესი ყოვლისავე საღბინოსა;
მფრინველთაგან ხმა ისმოდა უამესი სირინოსა;
მრავლად იყო სარაჯები, ვარდის წყლოსა აბანოსა.
კარსა ზედა მოთარეიდა ფარდაგები ოქსინოსა.

341

მეფემან ახმა ღურაჯთა მითხრა მიტანად ქალისა;
გამოუხუზენ და წავედით ჩემად სედებლად აღისა;
მაშინ დაეიწყე გარდახდა მე საწუთროსა ვალისა,
აღმასისა ხამს ლახვარი ლახვრად გულისა სალისა.

342

ვიყოლი, სწაღდა არვისგან ნახვა მის მზისა დაჩისა,
მე გარე ვღეგ“ და სხვ...³⁴³

343

²⁶⁴ საინტერესოა, რომ ეს სტროფი შეიტანა მწერალთა კომისიამ ქართველიშვილისეულ გამოცემაში. არის იგი აგრეთვე ბროსეს, ჩუბინაშვილის, კარიჭაშვილის, აბულაძის და ჭიკინაძის გამოცემებში.

ძნელი არ არის, რომ აქ აშკარა დარღვევა დავინახოთ ამბის გადმოცემაში. ჭერ შედის ტარიელი ნესტანის სამყოფში, ტურფა წალკოტში, მომდევნო სტროფით კი ირკვევა, რომ მეფე ღურაჯთა მირთმევას უბრძანებს ტარიელს. ამ დარღვევას სრულიად უბრალოდ ასწორებს არა მარტო ზემოაღნიშნული ძველი რედაქციები, არამედ მე-17 საუკუნის ხელნაწერთა თითქმის მთელი შემკვიდრებობა. აქ ყველგან 341-ე სტროფი —

„ბაღია ვნახე უტურფისი“ —

მისდევს 342-ე სტროფს:

„მეფემან ახმა ღურაჯთა მოხრა...“

ამით ამბის მდინარება თავის ადგილს იკერს და მთელი ეპიზოდი ახალ სინათლეს იძენს. ნესტანის სამყოფში გარეშე არავინ შედიოდა და ტარიელი იმიტომ მოხვდა ამ მშვენიერ წალკოტში, რომ მეფემ ღურაჯთა მიტანა დაავალა²⁶⁵.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ საიუბილეო ტექსტში ეს აღრევა მოდის სწორედ ვახტანგისეული გამოცემიდან. აქაც ასევეა გადასმული ზემოაღნიშნული სტროფები. ირკვევა, რომ სწორედ იმ ტიპის ვრცელ რედაქციებში, რომელთაც ჩვენ „ზახასეულ“ ხელნაწერს ვუწოდებთ, ასევე აღრეულია აღნიშნული სტროფების თანმიმდევრობა. ე. ი. ვახტანგისეული გამოცემა ამ შემთხვევაში თავის წყარომ შეიყვანა შეცდომაში. მაგრამ აქ ჩვენთვის მთავარი ისაა, რომ ამავე წყაროს ნაკლოვანება ვახტანგისეული გამოცემის გავლენით განმეორდა 1937 წლის ტექსტშიც.

აღსანიშნავია, რომ მომდევნო გამოცემებში და ბოლო 1937 წ. გამოცემაშიაც ზოგჯერ მექანიკურად გადმოსულა ვახტანგისეული გამოცემის არამც თუ შედგენილობასა და სტროფთა თანმიმდევრობაში დაშვებული შეცდომები, არამედ კორექტურული შეცდომებიც კი.

ამის ერთი ძალზე დამახასიათებელი მაგალითი მოაქვს ი. გიგინეიშვილს 1966 წ. ჟურნ. „მაცნეში“ (№ 3) გამოქვეყნებულ წერილში. ვახტანგისეული გამოცემიდან მომდინარეობს წაკითხვა: „უთქვენოდ მყოფთა არ გვინდა ნიშაგნი ნაჩაგ დაფენი“ (სტრ. ჩულე, ამ სტროფ-

²⁶⁵ ჩვენი ეს მოსაზრება ვიზიარა ა. შანიძემ (იხ. მისი ზემოაღნიშნული წერილი, მნათობი, 1965, № 11, გვ. 140). სტროფთა თანმიმდევრობაში დაშვებული ეს ხარვეზი გასწორდა აგრეთვე ეფუხისტყაოსნის ახალ გამოცემაში. 1965 წ. ჟურნ. „მაცნე“, მე-3 ნომერში დაიბეჭდა ი. გიგინეიშვილის წერილი „ეფუხისტყაოსნის ტექსტის დადგენის ზოგიერთი საკითხი“. მკვლევარი იზიარებს ჩვენს მოსაზრებას აღნიშნულ სტროფთა თანმიმდევრობის, აგრეთვე S—5006 ხელნაწერსა და ვახტანგ VI გამოცემის მიმართების შესახებ, მაგრამ, რატომღაც, არც ერთ შემთხვევაში წყაროს არ უჩვენებს. იხ. ი. გიგინეიშვილის ნაშრომის 211-ე და 212 გვერდები.

ში გადმოცემულია ზღვათა მეფესთან გაყრის ამბავი). დამახინჯებას აზნეოს, როგორც სიტყვა ნიშანის, ისე გაუგებარი სიტყვათა ჩგუფი: ნაჩავ დაფენი²⁶⁶. ხელნაწერები ასწორებენ ორივე ადგილს: ნიშანის (EJTYZ ნიშნის F), ნიშანი (GF'L'Q'R') ნაშტის (KO) და სხვ. (ნიშანი — მხიარულებას ნიშნავს) და საჩანგ-დაფენი (საჩანგე დაფენი — FKO სჩანგს-დაფენი — L, საჩავდაფენი — X), ამით ეს უკანასკნელი გასაგებიც ხდება და ფორმაც აღდგენილია; სტროფის შინაარსი: უთქვენოდ მყოფს მხიარულება არ გვმართებსო.

ვახტანგთან, როგორც სამართლიანად შენიშნავს ი. გიგინეიშვილი, კორექტურული შეცდომა მოსვლიათ: ტ-ს ნაცვლად გადაუბეჭდავთ, ხოლო მეორეგან ნ-ს-თი შეუცვლიათ და მომდევნო ნ-ც გამოუტოვებიათ. ასე შეიქმნა სრულიად გაუგებარი ადგილი, რაც ასევე გადმოსულა 1937 წ. გამოცემაში.

სხვანაირად ძნელია აიხსნას ეს გარემოება, რადგან, როგორც შემდეგ ვნახავთ ვახტანგისეული გამოცემის უფრო დაწვრილებით მიმოხილვის დროს, 1712 წლას გამოცემა არ მიმართავს კონიექტურებს და ყველა წაკითხვას ხელნაწერთაგან იღებს.

პრინციპულად რამდენადაც სწორია ზემოთ აღნიშნულ წაკითხვასთან დაკავშირებული ი. გიგინეიშვილის შენიშვნები, იმდენად, ჩვენი აზრით, არაა მართებული მოსაზრება, რომელიც ახლახან თავის მოხსენებაში გამოთქვა მკვლევარმა. საქმე ეხება რუსთველოლოგიაში უკვე საკმარის ცნობილ საკითხს. ვახტანგ მეექვსის გამოცემის კომენტარში იკითხებოდა: თვარ ვისმცა ექმნა გვრილითა (!) შეკვრა თივასა (!) მრთელისა“²⁶⁷. 257-ე სტროფის ეს ბოლო სტრიქონი ხელნაწერთა აბსოლუტური უმრავლესობის ჩვენებით ამგვარად გასწორდა მომდევნო და მათ შორის 1937 წ. გამოცემაშიც: „თვარ ვისმცა ექმნა გორლითა შეკვრა თივასა მრთელისა“ სტრიქონი, ჩემი აზრით, სრულიად გამართულია და თანაც გასაგებია. ავთანდილი ამბობს: ჯანმრთელი თავი გვარლით (სახვევლით) ვის შეუტრავსო. აღსანიშნავია, რომ ასეთი ფრთიანი ფრაზა, დაასლოებით ამავე ვნიშვნელობით, პოემაში სხვაგანაც გვხვდება: „თავსა მრთელსა რად შეიკრავ, წყულულსა ახლად რად იწყულულებ?“ (876).

²⁶⁶ ტექსტის ზოგი გამოცემელი მას ასე ჰყოფდა: ნა-ჩანგ-დაფენი ე. ი. საკრავი ინსტრუმენტების ჩამოთვლად მიანდათ ეს ადგილი, თუმცა მინც „დაფენი“ აშკარად ხელოვნური ფორმა ჩანდა (ან უნდა ყოფილიყო „დაფენი“ ან „დაფევი“).

²⁶⁷ 1712 წლის ტექსტში კი ასე იკითხება: „თვარ ვისმცა ექმნა გორლითა შეკვრა თივასა მრთელისა“ (სტრ. სნე).

მიუხედავად ამისა, ი. გვიგინიშვილი მაინც მხარს უჭერს წაკითხვას (სათანადო შესწორებით: „თვარ ვისმცა ექმნა გვარლითა, შეკვრა თივისა შრთელისა“). თითქოს აქ მთელი თივის ძნის შეკვრაზე იყოს საუბარი (მაგრამ მაშინ არ ჩანს, თუ რასთან შესადარებლად, ან რის საპირისპიროდაა მოტანილი ასეთი სახე).

ასეთი წაკითხვის მიმართ ეჭვს, გარდა ზემოთქმულისა, აღძრავს სწორედ ის, რომ ვახტანგთან სტრიქონი კორექტურული შეცდომებითაა დაბეჭდილი, თანაც ეს წაკითხვა დასტურდება მხოლოდ 1712 წ. გამოცემაში, რაც თავისთავად მეტყველებს შემთხვევითობაზე. ვახტანგის გამოცემის აღნიშნული წაკითხვა სამართლიანად უარყო 1937 წ. გამოცემამაც. ეს სხვათა შორის.

კ. კეკელიძის ზემოთ ნახსენებ წერილში, რომელიც წარმოადგენს 1937 წ. ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობის მოკლე ანგარიშს, ნათქვამია, რომ დადგენილ ტექსტთან ერთად უნდა გამოსულიყო ხელნაწერთაგან ამოკრებილი განსხვავებულ წაკითხვათა ვარიანტები და ვრცელი კომენტარები მეცნიერულ ლექსიკონთან ერთად²⁶⁸.

სამწუხაროდ, არც ერთი მათგანი, რომელზედაც საუბრობს კომისიის თავმჯდომარე, არ გამოქვეყნებულა, რითაც დიდად დაზარალდა არა მარტო 1937 წ. გამოცემა, არამედ საერთოდ რუსთველოლოგიური მეცნიერება და ყოველივე ეს თავიდან გასაკეთებელი შეიქმნა.

ამიტომ იყო, რომ თავისი დიდი გულისტკივილი გამოუთქვამს ამ საგანზე ივანე ჯავახიშვილს თავის ერთ დაუბეჭდავ ნაშრომში, რომელიც უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნდა: „დღემდე ჩვენ ვეფხისტყაოსნის არამც თუ სრული კრიტიკული გამოცემა ვერ მოგვიხერხებია, არამედ ისეთი გამოცემაც კი არ მოგვეპოვება, სადაც ხელნაწერებში დაკლებული ყველა განსხვავებული წანაკითხები მაინც გვექონდეს აღბეჭდილიო“²⁶⁹.

დასასრულ თუმცა 1937 წ. გამოცემა როგორც წაკითხვებით, ისე განსაკუთრებით ენობრივი ფორმების გამართვის თვალსაზრისით, აშკარად წინადადდებული ნაბიჯი იყო, მაინც მასში გაიპარა ბევრი უსწორ-მასწორო ფორმა, გრამატიკულ-ორთოგრაფიული ხასიათის ცდომილებანი, რომელთა ვრცელ ნუსხას იპოვის დანტერესებული მკითხ-

²⁶⁸ დაიბეჭდა მხოლოდ. ისიც ხარვეზებით (რადგან მასში ვერ მოხვდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ხელნაწერის მასალა), ვეფხისტყაოსნის ჩანართი სტროფების საძიებელი (ს. იორდანიშვილის რედაქციით, 1948 წ.), ხოლო 1937 წ. გამოცემას ახლდა არა ვრცელი, კომპლექტური შრომის შედეგად შესრულებული ლექსიკონი, არამედ იუსტ. აბულაძისა.

²⁶⁹ იხ. მისი წიგნი: ქართული ენისა და მწერლობის საკითხები, 1956, გვ. 74.

ველი ა. შანიძის მიერ 1956 წელს დაბეჭდილ ვეფხისტყაოსნის სიმფონიის შესავალ წერილში²⁷⁰.

უკანასკნელ ხანებში დიდი და მრავალმხრივი მუშაობა მიმდინარეობს ამ მიმართულებით; ახალი აღმავლობა გამოიწვია შოთა რუსთაველის ამასწინანდელმა იუბილემ, რომლის გრანდიოზულმა მასშტაბებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ვეფხისტყაოსნის ტექსტის აღსადგენი სამუშაოების სიმძიმე, სრულიად სამართლიანად, წინასწარ მოსამზადებელ კვლევა-ძიებაზე იქნა გადატანილი, ფართო პროგრამით მუშაობს ამ საკითხებზე შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურისა და ძველი ქართული ენის კათედრები და ცალკეულ სპეციალისტთა დიდი რიცხვი.

საკმარისია დავასახელოთ ა. შანიძის მიერ აღდგენილი 1712 წლის გამოცემა, მისივე ხელმძღვანელობით შედგენილი ვეფხისტყაოსნის სიმფონია, რომელიც თავისი მეცნიერული ღირსებებით რადიკალურად განსხვავდება ამ ტიპის წინამორბედი შრომისაგან. ლიტერატურის ინსტიტუტმა გამოსცა ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა და გამოცემათა ვარიანტები, რითაც არა მარტო სპეციალისტებს, არამედ ვეფხისტყაოსნით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრეს საშუალება მიეცა, გაეცნოს პოემის ხელნაწერებს²⁷¹. დიდძალი ლიტერატურა დაგროვდა ვეფხისტყაოსნის ენის ცალკეული საკითხების შესასწავლად (როგორც ენათმეცნიერული, ისე ლიტერატურათმცოდნეობითი ხასიათისა²⁷²). გამოიცა რამდენიმე გამოკვლევა ვეფხისტყაოსნის ხელნაწერების, რედაქციების ურთიერთმიმართების და საერთოდ პოემის ტექსტის ისტორიის შესასწავლად, რომლის მონოგრაფიულად შეჭამების ცდაა წინამდებარე ნაშრომიც. ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენმა კომისიამ თავი მოუყარა ძველი ქართული ლექსიკის უდიდეს მარაგს, რაც საფუძველია პოემის ენის მეცნიერული შესწავლისათვის. ყველა პირობა იქმნება მომავალი აკადემიური ტექსტის სრულყოფილად გამოცემისათვის. „ყველა ამ მონაცემის გათვა-

²⁷⁰ და საერთოდ იმ მრავალრიცხოვან გამოკვლევებში, რომლებიც ეხებიან ვეფხისტყაოსნის ენის საკითხებს და გამოქვეყნდნენ 1937 წ. შემდგომ.

²⁷¹ სამუხებარო მხოლოდ ის არის, რომ გამოცემაში გათვალისწინებული არ არის ხელნაწერთა ზოგი ორთოგრაფიული თავისებურება.

²⁷² ძალზე მნიშვნელოვანია აგრეთვე ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში რუსთაველოლოგიური სერიის დაარსება (რედაქტორია ალ. ბარამიძე, სწ. მდივანი ი. მეგრელიძე), რომელშიც გამოქვეყნდა ნ. მარის ტექსტოლოგიური ნაშრომები და საერთოდ ვეფხისტყაოსნის შესწავლასთან დაკავშირებული სხვადასხვა ხასიათის გამოკვლევები.

ლისწინება — შენიშნავს ამის გამო გ. წერეთელი — საგრძნობლად შეუწყობს ხელს არა მარტო ტექსტის დადგენის საქმეს, არამედ რუსთველოლოგიური მეცნიერების ძირითადი და უმთავრესი მიზნის განხორციელებას: განსაზღვროს ადგილი ქართული და მსოფლიო კულტურის ისტორიის განვითარებაში“.²⁷³

ვეფხისტყაოსნის აკადემიურ ტექსტზე მომავალი მუშაობისათვის ძალზე ფასეულია უკანასკნელი საიუბილეო გამოცემები და ალ. ბარამიძისა და ა. შანიძის რედაქციით დაბეჭდილი ვეფხისტყაოსანი, ტექსტი და ვარიანტები, რომლის მეორე ტომი (ტომს დაერთვის ჩანართების ვარიანტები, ლექსიკონი და კომენტარები), როგორც ამას რედაქტორები გვპირდებიან, უახლოეს ზანში გამოქვეყნდება და საშუალება გვექნება არსებითად შევეხოთ აღნიშნული გამოცემის სიახლეებსა და კვლევა-ძიებისათვის გამოყენებულ მეთოდებს.

²⁷³ ვეფხისტყაოსნის ტექსტის მეცნიერული გამოცემისათვის, მნათობი, 1962 № 2.
10. ს. ცაიშვილი

ვეფსისტყაოსნის რედაქციები (ზოგადი მიმოხილვა)

ყოველ ლიტერატურულ ძეგლს, ძველსა თუ ახალს, ჩვენს დროში შექმნილს თუ ისეთს, რომელთანაც საუკუნეთა სიღრმე გვაშორებს, ტექსტის საკუთარი ისტორია მოეპოვება. როგორც ცნობილია, შედარებით ახალ მწერლობაში ტექსტის ისტორია მოქცეულია გარკვეულ ფარგლებში: მკვლევარს აინტერესებს ავტორის ხელში გამოვლილი ტექსტი; მისი პირველი ფიქსაციიდან საბოლოო რედაქციამდე, როცა ავტორი მას დასაბეჭდად გამზადებულად მიიჩნევს¹. ამდენად, ახალ პერიოდზე მომუშავე ტექსტოლოგის კვლევის მეთოდები და კვლევაძიებისათვის შერჩეული ხერხები განსხვავებულია².

ძველ და, კერძოდ, შუა საუკუნეთა ლიტერატურულ ძეგლთა ტექსტის ისტორიის აღსადგენად მნიშვნელობა ენიჭება ნაწარმოების არსებობის არა მარტო „ავტორისეულ“ პერიოდს, არამედ მის შემდგომ „სიცოცხლესაც“³. ეს თანაბრად ეხება, როგორც შუასაუკუნეთა დასავლურ, ისე აღმოსავლური მწერლობის ისტორიასაც⁴. ამგვარად გაეგებული ტექსტის ისტორია ქმნის არა მარტო საიმედო საფუძველს ტექსტის სათანადო გამოცემისათვის, არამედ აღადგენს ამა თუ იმ ნაწარმოების განვითარების მეცნიერულ სურათს ტექსტის ჩამოყალიბებათა ყველა ეტაპზე. ლიხაჩოვის მართებული შენიშვნით, უნდა გვანსოვდეს ისიც, რომ ნაწარმოების ტექსტის ისტორიის შესწავლა არ იფარგლება მხოლოდ ტექსტის თანდათანობითი ცვლილებებისა და ურთიერთმიმართების დადგენით. ტექსტოლოგი სწავლობს როგორც

¹ შტრ. Е. И. Прохоров, Текстология, 1966, стр. 53—55;

² შტრ. Б. М. Эйхенбаум, Основы текстологии, კრებულში «Редактор и книга», вы. : 19».

³ Д. С. Лихачев, Текстология, 1964, стр. 5.

⁴ შტრ. Е. Э. Бертельс, — Низами, 1956, стр. 21—23; Ф. Бабаяев, Работа над текстами Низами, Изв. АН СССР, отд. языка и литер. 1941, № 2, стр. 85.

ამ ტექსტების ხასიათს, ისე მიზნებს, რომელთა გამოც ისინი შეიქმნენ, მათ ცვალებადობათა მიზეზებს და ა. შ.

ყოველივე ამის გამო, მკვლევარი არ უნდა შემოიფარგლოს ვიწრო სამანებით. ტექსტის ისტორიის შესწავლისას იგი უნდა ჰკრეტდეს, სწვდებოდეს დაფარულ მიზეზებს, რამაც განაპირობა ტექტის ცვლილებანი. ამიტომაც, ტექსტის ისტორია დაკავშირებულია ისტორიული-ლიტერატურული, ისტორიულ-ყოფითი ხასიათის მრავალ საკითხთან და ცოდნის ამ დარგში მოპოვებულ შედეგებს იგი უნდა იყენებდეს ტექსტის განვითარების, მისი ცვალებადობის შესწავლის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში⁵.

მაგრამ კვლევის თავისთავადი ობიექტის არსებობა არ გამოიციხავს ამავე დროს ტექსტის ისტორიის შესწავლის პრაქტიკულ მნიშვნელობას. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, იგი გვაძლევს შესაძლებლობას ნათლად გავერკვეთ ჩვენთვის საჭირო მასალებში, ამოვარჩიოთ ტექსტის საუკეთესო რედაქციები და ობიექტური მონაცემების მიხედვით თანმიმდევრულად დავადგინოთ ამა თუ იმ ნაწარმოების ტექსტი

წინააღმდეგ ძველი შეხედულებისა, ლიტერატურის თანამედროვე ისტორიკოსი და ტექსტოლოგი თავის მუშაობაში უნდა ხელმძღვანელობდეს საყოველთაოდ აღიარებული დებულებით: პირველ რიგში საჭიროა ტექსტის ისტორიის შესწავლა და მხოლოდ ამის შემდეგ გამოვეთ ტექსტი და არა პირიქით, როგორც წინათ იყო: ჯერ გამოვეცთ და შემდეგ დავიწყოთ ტექსტის ისტორიის შესწავლა.

ყოველივე ზემოთქმული თანაბრად ვრცელდება ძველი და კლასიკური ხანის ქართული მწერლობის შესწავლაზეც, მით უფრო ითქმის ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორიაზე, რომელსაც თავისი სირთულითა და დღემდე გადაუჭრელი საკითხების სიმრავლით ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს თანამედროვე ქართულ ფილოლოგიურ მეცნიერებაში.

ავიღოთ თუნდაც ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა ვეფხისტყაოსნის შედგენილობა. ხომ ფაქტია, რომ პოემამ ჩვენამდე საოცრად სახეცვლილმა მოაღწია. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებით ნაანდერძევი ტექსტები დიდად განსხვავდება მკითხველისათვის ცნობილ, აშკამად ძირითადად აღიარებულ, ტექსტებისაგან. ეს კარგად

⁵ იხ. ლიხაჩევის დასახ. წიგნი, გვ. 6—7; როგორც ცნობილია, ედიციისაგან (ტექსტის გამოცემის ტექნიკა) ტექსტის ისტორიის ემანსიპაციის ფუძემდებელი რუსულ ფილოლოგიაში იყო ა. შახმატოვი. იხ. მისი, *Обозрение русских летописных сводов*, XIV—XVI вв. 1938.

იცოდნენ აღორძინების ხანის ქართულ მწერლობაში (არჩილი, იესე ტლაშაძე, ვახტანგი და სხვ.), მით უფრო ეს ვითარება ნათელია დღეს, როცა არაერთი სპეციალური გამოკვლევა მიეძღვნა ამ საკითხებს.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ ამგვარი სახეცვლა უბრალო მექანიკური პროცესი იყო. ვეფხისტყაოსნის ტექსტი საუკუნეთა მანძილზე მოიკვლევდა გზას და როგორც ცოცხალი ორგანიზმი რაღაცას იძენდა, რაღაცას კარგავდა. მასში ისევე, როგორც ყოველ ლიტერატურულ ნოველანაში, აირეკლა ჩვენი ხალხის ისტორიული წარსული, მისი ბედის ცვალებადობა, მრწამსი და მხატვრული მიდრეკილებანი.

ახალი და ახალი პლასტები ემატებოდა პოემას, ზოგი სიყვარულით, ზოგიც სიძულვილით (ესეც გარკვეული ეპოქის დამახასიათებელი იყო) და მათში. როგორც ნიჟარაში ჩარჩენილ წვეთში. ისმის დიდი ზღვის ხმაური, იგრძნობა ახალი ეპოქების სუნთქვა, თავისებური იდეალები. რომელთა გამოწველილვა, ყოველმხრივი შესწავლა გარკვეულ მასალას აწვდის რუსთაველის მომდევნო ეპოქათა მწერლობის მკვლევარს.

ავიღოთ მაგალითად ჩანართი სტროფი, რომელიც გარეგნულად ვეფხისტყაოსნის პოეტურ სტილს ენათესავება, ერთი შეხედვით იგივე მხატვრული აქსესუარები, გამოხატვის ლაქონიზმი, მეტყველების აფორისტული სტილი, მაგრამ ამ სტროფის წარმოშობის შინაგანი საფუძვლები სულ სხვა ეპოქის ისტორიული ცხოვრებიდან მომდინარეობს;

აზომ არ არის სოფლისა, საღამო არცა დილია,
სიპრისა უფრო სიზმარი, ჩრდილისა უფრო ჩრდილია;
არ ამოკრეფენ სწავლულნი, მათ მათგან გამოცილია;
აგი და კარგი სწორად სჩანს, სიცოცხლე თუ სიკვდილია
(ვრც. გამოც. 2106).

ჩვენ არ ვიცით ვის ეკუთვნის ეს სტრიქონები, თუმცა ტექსტის ისტორია გვაძლევს საშუალებას მივაკვილოთ ამ სტროფის შექმნის დაახლოებით თარიღს, აქ გამოხატული განწყობილებიდან სულ სხვა ეპოქის გამოძახილი ისმის. სტროფი თუმცა ვეფხისტყაოსანშია მოთავსებული. მაგრამ მას ბევრად მეტი საერთო მოეპოვება აღორძინების ხანის მწერლობასთან (კერძოდ, თეიმურაზსა და მის მომდევნო მწერლებთან). ვიდრე ვეფხისტყაოსანში გამოხატულ იდეოლოგიასთან.

მაგალითად, თეიმურაზთან, ისე როგორც აღორძინების ხანის მწერლობაში საერთოდ, წინ არის წამოწეული ერთ-ერთი უმთავრესი

* სტროფი მოთავსებულია იმ თავში, სადაც გმირთა სიკვდილია მოთხრობილი (ამ ეპიზოდის წარმოშობის დროზე მომდევნო თავებში კვებება საუბარი).

თემა, რომელიც, ამ დროის სპეციფიკური ტერმინით რომ გამოვხატოთ, არის „მღერვა სოფლისადმი“. ამ თემის გამოხატვა ალორძინების ხანის მწერლობაში მთელი სისტემაა და ამას მოეპოვებოდა თავისი ღრმა სოციალური და პოლიტიკური საფუძვლები. როგორც ცნობილია, სოფლის ამაოების, საწუთროს გაუტანლობისა და ადამიანის ბედის ცვალებადობის თემა ისევე ძველია, ვით კაცობრიობა. იგი ადამიანის თავში მისივე ინტელექტის ზრდასთან ერთად აღმოცენდა და ამდენად იმის პარაკვევა. თუ საიდან შემოვიდა ამა თუ იმ ქვეყნისა თუ ხალხის შეგნებაში, ან ამავე ხალხების ლიტერატურაში ასეთი ცნებები, რასაკვირველია, ძალზე შორდება ჩვენი განხილვის სფეროს. ქართველმა ხალხმა, ისე როგორც სხვა ხალხებმა, შეიმუშავა თავისი აზრი ამ საგანზე და იგი ბევრით კიდევ ემთხვევა და კიდევ განსხვავდება სხვა ხალხების ანალოგიური წარმოდგენებისაგან, „ბედი მწერელი“, რომელსაც ადამიანის შუბლზე უყვი წინასწარ გამოუჩანია მისი მომავალი ხედრი, საკუთრევე ქართული წარმოდგენაა, მაგრამ ეს პირველყოფილი წარმოდგენები იყოლობონინ კაცობრიობის ზრდასთან ერთად და ახალ შიხედულობებსა თუ რელიგიებთან ერთად. ქრისტიანულმა რელიგიამ სხვა სპიციფიკური ელემენტები შისძინა ამ წარმოდგენებს. თომცა მისთვის. როგორც მონოთეისტური მოძოგრებისათვის, ზოგი რამ ამ საკითხებიდან იმთავითვე გარკვეული იყო. ღმერთთა ყოვლის მოქმიდი და ყოვლის შემოქმიდი და მის ოზინაეს ნებას ემორჩილება ყოველი ქმნილი და სხიყლებრივი, ღმერთი ყველათირს თავისთავში ითავსებს და ამდინად მის გარეშე არათირი ოირიბულობა არ გაანია ბედის თუ ხვიდრის კატეგორიას. ქრისტიანობამ ძვილ ბიბლიურ წარმოდგენებზე დაპრონობით სახე უცვალო ამ შიხედულობებს და საკუთარი კონცეფციაც შეიმუშავა, ქრისტიანობას პასუხი ონოა გაეცა იმ კითხვებზეც, რომლებიც მარადიულად აწვალბდნენ ადამიანის გონებას:

ეს არის ადამიანის არასრულყოფილობა, მისი წარმავლობა და შიში ამოუცნობის წინაშე. როგორც ცნობილია, ამ ძირითად კითხვებს ქრისტიანობამ თავისიბური. მაგრამ თანამიმდვირყოლი პასუხი გასცა, რომელიც მონოთეისტური ღმერთის არსიბით არის გამართლებული. როგორც ცნობილია, ყოველგვარი რელიგიის თვალსაზრისი არსებითად პრაქტიკულია. მისი მიზანია ადამიანის კითილდობობა, ხსნა, ნეტარება. ქრისტიანული რელიგია—შენიშნაის ამის გამო ლ. თოიირბახი — სხვა რელიგიებთან სწორად იმით განსხვავდება, რომ არც ერთი სხვა რელიგია ისე დაბეჭითობით არ წამოსწიეს წინ ადამიანის ხსნას. როგორც ქრისტიანული რელიგია. მაგრამ ეს ხსნა არ არის ამქვეყნიური, ე. ი. მიწიერი ბედნიერება და კეთილდღეობა. პირიქით.

ულრმესი, უკვეშმარიტესი ქრისტიანები ამბობენ, რომ მიწიერი ბედნიერება ადამიანს ღმერთისაგან აშორებს. ამქვეყნიური უბედურება, ტანჯვა-წამებანი, ავადმყოფობანი ადამიანს ისევ ღმერთს უბრუნებენ და ა. შ.⁷

ზოგი რამ მორწმუნე ქრისტიანისათვის გაუგებარი რჩება: ღმერთი ბედთან ერთად რატომ მწუხარებასაც ანიჭებს ადამიანს? მაგრამ თეოლოგია ამაზე გარკვეულ პასუხს იძლევა: ბედის განაწილება და წინასწარ განჩინება ღმერთის ხელშია, ეს მისი საიდუმლოებაა და არავის არ აქვს უფლება, რომ ასეთი შეკითხვა დაუსვას უზენაესს. ამ შემთხვევაში ქრისტიანობა უშვებს ერთგვარ დუალიზმს სოფელსა და ღმერთს შორის. სოფელი წარმავალიცაა და ხშირად ავისმოქმედიც. ადამიანის მხსნელი ერთადერთი ღმერთია. ზოგჯერ ღმერთი ისეთ ტანჯვასაც კი აყენებს ადამიანს, რომელიც ამ უკანასკნელისათვის ბედნიერებაცაა და საუკუნო სასუფეველთან მიახლოების პროცესიც. ასეთი თვალსაზრისი მოჰქონდა ქრისტიანობას საერთოდ და, ისევე როგორც სხვაგან, ქართული წარმართობის ანალოგიური წარმოდგენები, მან თავის პრიზმაში გარდატეხა (რასაკვირველია, ეს არ ეხება ქრისტიანულ წიგნებს, არამედ აქ ლაპარაკია თვით ხალხში დამკვიდრებულ წარმოდგენებზე, რომლებშიც ხშირად ჩანს ამ შერწყმის გამოწვევა).

აქ შეიძლება ამ საკითხის გაშლა ფართოდ და ჩვენება იმისა, თუ რა სახე მიიღო „სოფლის ამოების“, „ბედისა“ და „სოფლისადმი მღურვის“ მოტივებმა ქართულ ქრისტიანულ მწერლობაში მისი პირველი ორიგინალური ჰაგიოგრაფიული ძეგლიდან („შუშანიკის წამება“) ახალ საუკუნეებამდე, მაგრამ ამჯერად იგი სცილდება ჩვენი განხილვის საგანს.

„ვეფხისტყაოსნის“ (საუბარია ძირითად ტექსტზე) ამ თვალსაზრისით განხილვა და ყველა იმ ადგილების ანალიზი, სადაც კი მისი აეტორი ეხება საწუთროსა და ბედის საკითხებს, გარკვეულ კონცეფციას გვიჩვენებს. შოთა რუსთველი. მისი ყველა გმირი, ბედის იდეას იზარებს, მაგრამ არც ერთი მათგანი ამ ბედს გარდაუვალად არ სთვლის, იგი მათ შეუცვალებად და მარადიულად არ მიაჩნიათ, რადგან ყველას წამს, რომ ბედის გადამწყვეტი თვითონ ღმერთია, ხოლო ღმერთი კი მოწყალეა და მას შეუძლია კაცს მისი ცუდი ბედი შეუცვალოს. „ვეფხისტყაოსნის“ გმირების აზრით, კაცს შეუძლია ბედს ებრძოდოს, ეცადოს, ანუ გმირობა გამოიჩინოს, იმოქმედოს, გაიმარჯვოს, ოღონდ ყველაფერი ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში. თუ ამას ღმერთი მოისურვებს. ბედი ღმერთის ხელშია და მასზეა დამოკიდებული ბედის შეცვლა. ყოველივე ეს კი ამტკიცებს იმასაც, რომ „ვეფხის-

⁷ „ქრისტიანობის არსება“ (ქართ. გამოც.), 1956, გვ. 240.

ტყაოსნის“ ბედი არაა ფატალისტური. აქ ბედს არავინ ბრმად და უბრ-
წოლველად არ ემორჩილება, ხოლო ყველაფერი რომ ღმერთზეა დამო-
კიდებული — ეს რწმენისა და თეოლოგიის საკითხია⁸.

როგორი სურათი გვაქვს ამ თვალსაზრისით თეიმურაზთან და,
საერთოდ, აღორძინების პერიოდის ქართველ მწერლებთან⁹. აქ სრულ-
ლიად საწინააღმდეგო ასპექტშია გადაჭრილი ეს საკითხი. სოფელი
მუხთალია, გაუტანელი. ბედნიერება არ არსებობს და ის, რაც ჩვენ
ბედნიერება გვგონია, ხვალ უბედურებად გადაიქცევა, სოფლისათვის
ჯრუნვა მომავალი ტანჯვა-წვალების მიზეზი იქნება — აი, რამდენიმე
სიტყვით გადმოცემული ამ ხანის მწერლობის თვალსაზრისა. ამ ხანის
მწერლობაში, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ასეთი შეხედულებები
ანუ „მდურვა სოფლისადმი“ მთელი სისტემაა და თეიმურაზმა იგი
სხვაზე უფრო სრულყოფილად გამოხატა. ეს განწყობილებები, როგორც
მოსალოდნელია, უფრო რელიგიურად გამოსჭვივის თეიმურაზის ლი-
რიკულ ქმნილებებში და იმ თავისებურ წიაღსვლებში, რომლებიც და-
ნართების სახით ერთვის მის მიერ დამუშავებულ პოემებს. თეიმურაზს,
როგორც ცნობილია, მოეპოვება გრცელი ლირიკული ლექსი, რომელიც
მართლაც, იმსახურებს ასეთ სათაურს—„სოფლის სამდორავი“. ეს არის
გაბმული ვაება ამ ქვეყნის გაუტანლობაზე და ადამიანის ბედის ცვალებ-
ადობაზე. კომპოზიციურად ეს ლექსი იმავე ტრადიციების მიხედვით
არის აგებული, როგორც ეს მიღებულია მის მიერ დამუშავებულ პოე-
მებში, ავტორი თავის გულისტკივილის გადმოცემამდე ჭერ ღმერთს მი-
მართავს და ჩამოთვლის ყველა იმ ღვთაებრივ ნიშნებს, რაც ღმერთის
დახასიათებისათვის არის საჭირო: „შენ ხარ საესება ყოველთა“, „არსთა
მპყრობი“, „ემშაკთა დამორგუნველი“ და ა. შ. მხოლოდ ამის შემდეგ
გვიზიარებს თავის გულისნადებს. ზოგად შეხედულებებთან ერთად ამ
ქვეყნის გაუტანლობაზე ავტორი თავის უბედურებასაც გვაძინობს.
აღსანიშნავია, რომ სახარების აშკარა გავლენასთან ერთად, აქ პირდა-
პირ არის გადმოტანილი „ვეფხისტყაოსნის“ ზოგი სპეციფიკური გუ-
მოთქმაც. ავიღოთ მე-18 სტროფი, სადაც ავტორი ზოგადად, შეგონე-
ბის სახით, იძლევა ერთგვარ ფორმულას „აიო სოფლის მუხთალ
თვისებებზე:

ნეთი ყველამ იყოლეთ, სოფელი როგორ მქმნელია,
კაცსა მიინდობს ლალატად, მცბიერი — ვითა მელია,
ანასდად გარდუბრუნდების, მით გული გარდამელია,
„მას არვინ უნდა მიენდოს“ — ესე ნათქვამი ძველია (18)⁸

⁸ ვ. ნ. ზ ა ძ ე, ვარსკვლავთმეტყველება, 1957, გვ. 145, შტრ. В. Б е р и д з е, К вопросу о мировоззрении Руставели, сб. Руставели, 1938, გადმობეჭდილია ავტორის თხზ. კრებულში. 1961, გვ. 298—312.

⁹ თ ე ი მ უ რ ა ზ პ ი რ ვ ე ლ ი, თხზულებანი, 1934, აღ. ბარამიძისა და ჩაკობიას რედაქციით.

ეს არის პირდაპირი ციტატი რუსთაველის ცნობილი აფორიზმი-
დან: „იგი მიენდოს სოფელსა, ვინცა თავისი მტერია“ (1348). მაგრამ
თუ რუსთაველთან ამ სიტყვებს თვით კონკრეტული სიტუაცია ამართ-
ლებს (ავთანდილის მიერ მოტანილი მოულოდნელი ამბავი და ტარიე-
ლის დაბნედა), თეიმურაზთან ასეთი შეხედულებები ამოსავალი წერ-
ტილია და ასეთი თვალთ უყურებს იგი ამქვეყნიურ ცხოვრებას. მომ-
დევნო სტროფში თეიმურაზი კიდევ უფრო აღრმავებს ამ დებულებას:

ჩემმა ცოდვამ სინანულად დრო არ მომცა დანაცალი,
კაენისა ტვირთი მკიდავს, იგ შემქმნია დანაცალი,
მეუ მემონის, ოდეს შექმნას სულმან ხორცის დანაცალი
ყოჯოხეთად ჩვენთვის მზა ჰყო სახმილი და დანაც, ალი“. (195)

ხოლო სხვაგან:

უწყის უფალმან, სოფელი არავის
გ ა უ თ ა ვ დ ე ბ ი ს,
პირველად ამოდ შეიტკობს, საყვარლად დაუამდების,
აღარ გაჰყვების, ბოლოს ეამ უმუხთლებს, გაუაფდების,
მე მას ვკვებობ, ვინცა მიენდოს, ანუ ვინმე დაუზაფდების (11)

ეს არის მორწმუნე ქრისტიანის თვალსაზრისი ამა ქვეყნის წარ-
მავლობაზე და იმ ასკეტური მიდრეკილებების გაღრმავება, რომელიც
თავისთავად არის მოცემული პირველ ქრისტიანულ წიგნებშიც. მაგ-
რამ ჩვენ არ ვიქნებოდით სწორი, რომ მხოლოდ ქრისტიანული აღმსა-
რებლობის გავლენით აგვეხსნა თეიმურაზის ასეთი მძიმე, ამ ქვეყნის
უარისმყოფელი განწყობილებები. პირველ რიგში ეს არის სულიერი
მიდრეკილება მთელი ეპოქისა, რომელსაც ვერ უპოვია სინათლისა
და ოპტიმიზმის ნათელი სარკმელი. მეორეც: თეიმურაზის ამ განწყო-
ბილებებს უხვ საზრდოს აწვდიდა თვით მისი პირადი ტრაგედია, მისი
მძიმე ცხოვრება და გაუთავებელი მარცხი პოლიტიკურ სარბიელზე.
თეიმურაზმა შეძლო არა მარტო მორწმუნე ქრისტიანის ზემოაღნიშ-
ნულ განწყობილებათა გამოხატვა, არამედ მან კიდევ უფრო ძლიერი
მხატვრული ფორმით დაგვიხატა პირადი ცხოვრება, საკუთარი მძიმე
ხვედრი. ისევე როგორც შემდეგში დავით გურამიშვილმა, თეიმუ-
რაზმა ერთ-ერთმა პირველთაგანმა შეძლო თავისი ცხოვრების გად-
მოცემის დროს მასში ჩაეჭსოვა ტყვივლები მთელი ერისა. იერემიას
გოდებასავით ისმის თეიმურაზის სიტყვები:

ჩად, სოფელი, სხვა არ დასწვი ჩემებრ, მე მქენ დასადაგე?
გლახს, ლახვარი სასიკედონე ყველა მე მქარ, დასად აგე?
დამიკარგე ძე, ასული, მძა არ ვიცი, და სად აგე?
სხვა ნაყოფი მათებრ ტურაფა რა აშენე და სად აგე? (მ 5)

ანალოგიურია ზემოთ აღნიშნული ჩანართი სტროფის „ჩრდილ-ზე და უფრო ჩრდილი“ სოფელი, რომელშიც ერთნაირი ბოროტებაა სიკვდილიცა და სიცოცხლაც. იგი, ისევე როგორც თეიმურაზის მაგალითზე ვნახეთ, სრულ წინააღმდეგობაშია რუსთველის მებრძოლ, ოპტიმისტურ განწყობილებასთან, რომლის აზრითაც, ადამიანს შეუძლია დათრგუნოს სიმუხთლე სოფლისა და გამარჯვება ამ ქვეყანაზეც იზვიმოს. აქ ორი სრულიად სხვადასხვა ეპოქის მსოფლშეგარძნება უპირისპირდება ერთმანეთს.

პოემაში გამოხატულ იდეურ შინაარსთან წინააღმდეგობა ახასიათებს არა მარტო გავრძელებებში ჩართულ ეპიზოდებსა თუ ცალკეულ სტროფებს, არამედ ძირითად ტექსტთან დაკავშირებულ ცალკეულ ადგილებსაც. ზემოთ ჩვენ ორიოდე სიტყვით ვახსენეთ ფატალიზმის საკითხის თავისებური გადაწყვეტა რუსთაველთან, რაც პოეტის მსოფლშეგარძნების ერთ-ერთი ნათელი გამოხატულებაა. ბედთან დამორჩილების მოტივი, რომელიც საერთოდ რელიგიური შეზღუდულობით აიხსნება, უცხოა ვეფხისტყაოსნისათვის. მისი გმირები ბრძოლით იკაფავენ გზას. პოეტის აზრით, სიკეთისათვის ბრძოლის ამ ძნელად სავალ გზაზე ღმერთი დამხმარე და ხელის შემწყობია: „ღმერთი კარგსა მოაველინებს და ბოროტსა არ დაბადებს“ (1492 2). მაგრამ უიმედობისა და განწირულების ხმა ისმის ე. წ. ალორძინების ხანის პოეზიაში, იგი მსჭვალავს პოემაში ჩართულ სტროფებსაც:

ამ სოფელსა კარგათ ყოფით კეისარი იყოს ე-თა;
რა მოკვდების, წარიყვანონ. მძიმედ შეკარნ ბორკილითა;
მიბარონ გენიას, დაწვან მისით სიბნელითა,
ეს სოფელი ამას გიზამთ, კარგსა ნუ ვინ მოელოთა (ერც. გამოც. 892).

აქ აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ეს სტროფი მხოლოდ შედარებით გვიანდელ, ძალზე ვრცელი რედაქციების შემცველ ხელნაწერებში მოიპოვება (A, B, C და სხვ.) და, როგორც ჩანს, ალორძინების პერიოდის შედარებით მოგვიანო ხანაშია შექმნილი.

ვეფხისტყაოსნის ავტორი, რომელიც ადამიანის თავისუფალ იდეალს ელტვოდა, რომლისთვის უცხო იყო ვიწრო რელიგიური აზროვნება, ბუნებრივია, რომ იმთავითვე გაიჩენდა მტერს ეკლესიის წიაღში. განსაკუთრებით ეს ეხება სწორედ გვიანფეოდალურ ხანას (XV-XVIII სს.). როცა სახელმწიფოს დაშლამ ოა ერის სოლოიკრ კხოვრებაში უპერსპექტივობის განწყობილების მომძლავრებამ ეკლესიის აზროვნებას ერის იდეოლოგიურ ცხოვრებაში ჰეგემონია მიანიჭა. კლასიკურ ხანაში მოპოვებული აზროვნების თავისუფლების სიმაღლეები თანდათანობითი გაქარწყლების გზაზე იდგა. ეკლესიამ ბრძოლა გამოუცხადა ვეფხისტყაოსნის იდეოლოგიას და მასში გადმოცე-

მულ მხატვრულ სინამდვილეს. განსაკუთრებით მწვავედ აღიქმებოდა პოემის სიუჟეტის გადატანა მაჰმადიანურ სამყაროში, რაც გაკიცხულია კიდევ ერთ პოლემიკური ხასიათის სტროფში და გაფრთხილებასავით წინ უძღოდა ვეფხისტყაოსნის ტექსტს¹⁰. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ ვეფხისტყაოსნის წაკითხვა ეკრძალება სასულიერო პირებს, რადგან მისი ავტორი ქადაგებს ხორციელ სიყვარულს და ქრისტიანულ სამებას არსად არ ახსენებს. ეპისკოპოსი ტიმოთე გაბაშვილი, რომელმაც მე-18 საუკუნის შუა წლებში ჩამოგვიტანა ძვირფასი ცნობები რუსთაველის იერუსალიმში არსებულ პორტრეტზე; ამავე დროს ეხება ვეფხისტყაოსნის მორალურ-ეთიკურ მხარეს. მისი აზრით, ვეფხისტყაოსანში აღწერილი სასიყვარულო ამბები ცუდად მოქმედებდა ქართველ ქალთა ზნეობაზე. ამგვარი ხასიათის ცნობები ჩვენ სხვაც მოგვეპოვება [საკმარისია თუნდაც ვახტანგის პოლემიკა ამ საკითხზე] და სამართლიანად ფიქრობენ, რომ სწორედ ასეთ „მოყვარულთა“ მიერ არის შერყენილი ვეფხისტყაოსნის ზოგი ადგილი, რაც კიდევ უფრო ართულებს პოემის თავდაპირველი სახის აღდგენას¹¹.

ვეფხისტყაოსნის ჩანართების წარმოშობას ახალი ეპოქის მხატვრული სტილიც განსაზღვრავდა. რუსთაველის ეპოქას, როგორც

¹⁰ იგულისხმება პოემის ხელნაწერებზე დართული პირველი სტროფი:

პირველ თაჲ დასაწყისი ნათქვამია იგ სპარსულად,
უხმობთ ვეფხისტყაოსნობით, არსსა შეიქმს ხორც არ სულად,
საეროა, არ ახსენებს სამებასა, ერთ-არსულად,
თუ უყურა მონაზონმან, შეიქმნების გაპარსულად.

¹¹ ვეფხისტყაოსნის გარშემო წარმოებული ბრძოლის შესახებ საინტერესო მასალებია წარმოდგენილი პ. ინგროყავს („რუსთველიანა“, 1926, გვ. 43—57), ალ. ბარამიძის „(ბრძოლა რუსთველის გარშემო...“, ნარკვევები, ტ. III, გვ. 7—24) და სხვ. რუსთველოლოგთა ნაშრომებში ამ ფონზე არ ჩაწინდებულია დამატებითი ვ. ნოზაძის მტკიცება, თითქმის ვეფხისტყაოსანს იდეური დენა არ განეკუთვნება კლერიკალთა მხრივ, ამას ბოლომდე ვერც თვით ურყოფს და ზოგ ბერ-მონაზონთა პირად ინიციატივად მაინცია ეს მოვლენა (იხ. ვ. ნოზაძე, ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება, 1963, წ., გვ. 7—19), ამ დებულებას უკანასკნელ ხანებში მხარი დაუჭირა მ. გუგუშვილმა („პოლემიკა რუსთველის გარშემო“, გვ. 15—56), მან სიტყვა „პოლემიკა“ შეცვალა „ვეფხისტყაოსნის კრიტიკით“, რაც არსებითად სხე ძველ დებულებასთან დაბრუნებას წარმოადგენს. „პოლემიკის“ უარყოფელთ ავიწყდებათ, რომ სულ სხვა ადგილი ეკავა სასულიერო იდეოლოგიას ქრისტიანულ ხანაში და სხვა ე. წ. აღორძინების ეპოქაში: ამაზე მეტყველებს ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრება და თვით ქართული ეკლესიის ისტორია, რომელთა შესწავლა დიფერენციურად იკრებინა გარეშე შეუძლებელია. სულ სხვა საქმეა პოემის ფიზიკურად განადგურებაზე არსებული ცნობები, რომელთა საბოლოო აღიარებას ჯერ კიდევ სჭირდება დამატებითი საბუთები. შტრ. ართუვე კ. ესმამევილი (კ. ცინცაძე), ვეფხისტყაოსნის ავტორის მსოფლმხედველობისათვის, ხელნაწ. ინსტიტუტის კრებ. „მოთა რუსთაველი“ 1966, გვ. 222—244.

ცნობილია, საოცარი ქართველები მოყვა და ივანე ჯავახიშვილის სიტყვით სულიერი შემოქმედებისთვის აღარავის ეცალა: „იმდროინდელი წერილობითი ძეგლებიდან ცხადადა ჩანს — დასძენს დიდი ისტორიკოსი — რომ ერის კულტურული დონე დაწეული იყო. დადუმდა ამ დროს მშვენიერი ქართული მხატვრული მწერლობაც და შემოქმედების კერაში ცეცხლი უკვე ძალზე იყო დაფერფლილი“¹².

მართალია, მე-16 და მე-18 საუკუნეებში ქართულ მწერლობაში აშკარად შეინიშნება ერთგვარი გამოცოცხლება, მაგრამ კლასიკური ტრადიციების ათვისება არც ისე ადვილი აღმოჩნდა. ამ ხანების ქართულ ლიტერატურას ორი უმთავრესი წყარო კვებავდა. პირველი იყო განსაკუთრებული დაინტერესება კლასიკური ხანის მწერლობით. მართლაც, როგორც ცნობილია, მთელი ეს პერიოდი წარმართა რუსთაველის განუზომელი გავლენით. ეს დებულება ვრცელდება მეტნაკლებად თითქმის ყველა ქართველ შემოქმედზე, რომელიც კი ამ ხანებში მოღვაწეობდა¹³.

ახალმა პოლიტიკურმა ვითარებამ კვლავ გამოაცოცხლა სპარსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობა. იგი პოლიტიკის დარგში ანტაგონისტური ხასიათისა იყო, მაგრამ მაინც ასე თუ ისე ხელს უწყობდა ამ ორი ქვეყნის კულტურულ დაასლოებას. აონიშნულ დებულებას უექველად ამაგრებს ის ვითარება, რომ ამ ხანის ქართული ლიტერატურის ნიმუშების მეტი წილი სპარსულიდან ნათარგმნ თხზულებებს წარმოადგენენ („შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიები, „იოსებ-ზილიხანიანის“ ორი თარგმანი, თეიმურაზის თხზულებათა დიდი ნაწილი, ნოდარ ციციშვილის მიერ შესრულებულ „შვიდი მთიების“ თარგმანი და ა. შ.), მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ყველა ეს თხზულება, გარეგნული ფორმით მაინც, გადამუშავებული იყო ქართულ ტრადიციებთან შეთანხმებით: და, კერძოდ, რუსთაველის ვეფხისტყაოსნის პოეტიკის უცილობელი გავლენით¹⁴.

მაგრამ აღნიშნულ საკითხს აქვს უფრო არსებითი მხარე — ამ ხანის მწერლობა თუმცა გარკვეულად ითვისებს კლასიკური ხანის და, კერძოდ, რუსთაველის მემკვიდრეობას, მაგრამ ეს მიმართება, რამდენიმე გამონაკლისის გარდა. ეპიგონურია. XVI-XVII საუკუნეების ქართული მწერლობა ვერ წვდება კლასიკური ხანის უმთავრეს

¹² ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, 1948, გვ. 186.

¹³ ახალ აღორძინებაში არ უნდა გამოვთხოთ მღიღარი ქართული ფოლკლორული ტრადიციებიც. და რაც უფრო ეწაფებოდნენ ქართული მწერლობის ამ წყაროს, მით უფრო საგრძნობი იყო ეროვნული ძირები (დ. გუჩუაშვილი და სხვ.).

¹⁴ ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, რუსთაველის გავლენა აღორძინების ხანის მწერლობაზე, წიგნში „ლიტერატურული წერილები“, 1966, გვ. 30—59.

ტენდენციებს, ან, თუ შეიძლება ითქვას, ამ მწერლობის სულსა და გულს. იგი მთელ თავის მიმართებას აგებს გარეგნულ მიბაძვაზე.

რადგან ჩვენ ჩანართების წარმოშობის მიზეზებსა და ჩანართების საბუნებრო თვისებებს ვეხებით, აქ ამის რამდენიმე მაგალითით დავკმაყოფილდებით.

ბევრი რამ რაც დიდი მხატვრულ შთაგონებითაა გადმოცემული ვეფხისტყაოსანში და მისი ავტორის უმაღლეს ღირსებად ითვლება ვერ აითვისა და ვერ გაიგო შესაფერისად ალორძინების ხანის მწერლობამ. აღმოსავლური და დასავლური საგმირო-საფალავნო, ავანტურისტული რომანებისაგან ვეფხისტყაოსანი დიამეტრალურად განსხვავდება იმითაც, რომ რუსთაველს არ აინტერესებს თავისთავად ამბების თხრობა, არ ახასიათებს გატაცება სიუჟეტის მოულოდნელი ტეხილებით. მისი ყურადღების სფეროში პირველ რიგში დგას ადამიანი, თავისი ვნებებითა და ინდივიდუალიზებული ხასიათით. ამიტომ არის, რომ პოემის რეალური კონფლიქტი გადატანილია გმირთა სულიერ ცხოვრებაში, სადაც ერთმანეთს უპირისპირდება ბრძოლა და უმოქმედობა, გრძნობა და გონება. ამიტომ არის, რომ მკითხველის ინტერესი, პირველ რიგში, მიმართულია გმირთა სულიერი ცხოვრებისაკენ და სწორედ ეს ბადებს იმ მძაფრ დრამატიზმს, რომლის გარეშეც რუსთაველის პოემა ვერ ამალღდებოდა შუა საუკუნეთა სამიჯნურო თუ სათავგადასავლო რომანებზე.

ნაცვლად ასეთი გაგებისა, ალორძინების ხანის მწერლობამ პოემის სწორედ მეორეხარისხოვანი ტენდენციები წამოსწია წინ და პოემა საგმირო-სათავგადასავლო ამბების თხრობად მიიჩნია. ამ ერთ ფაქტშიც აშკარად გამოსჭვივის ამ ხანის მწერლობის ცრუ-კლასიკური ხასიათი, რამაც განაპირობა ამ ტიპის არაერთი როგორც ნათარგმნი, ისე ორიგინალური თხზულების წარმოშობა.

აიიი თვალსაზრისი მსჭვალავს იმ გადამწერ-ლიტერატორებს. თუ მწერლობის მოყვარულთ, რომელთა ხელი ურევია პოემის სიუჟეტის დეფორმირებაში. საკმარისია გაეხსენოთ „ინდო-ხატაელთა“ ან განსაკუთრებით „ხვარაზმელთა“ ამბის მთელი რიგი ეპიზოდები, რომ ამაში აშკარად დაირწმუნდეთ. ასეთივე ინტერესის ნაყოფია აგრეთვე ტიპიური საგმირო-ფანტასტიკური ნაწარმოები „ომინიანი“, რომელიც ფაქტიურად ვეფხისტყაოსნის გაგრძელებათა გაგრძელებას წარმოადგენს.

საყოლონთა მანძილზე ვეფხისტყაოსნის ტექსტზე დართული (თუ შიგ ჩართული) სხვათაგან პლასტების თავისებურებათა კოლევას მოიპოვება სხვა საინტერესო მხარეც. იგი ამ პლასტების შიგნის პროცესში რუსთაველის პოემის გარეშე არსებულ წყაროთა გამოყე-

ნებას გულისხმობს. ეს ამხელს არა მარტო მათი წარმოშობის დროს, არამედ ამ ჩანართების ავტორთა მხატვრულ მიდრეკილებებს, განათლებასა და თვალსაზრისს, თუ როგორი სახისა უნდა ყოფილიყო მათი აზრით ეპიური თხზულება, კერძოდ, რუსთველის ვეფხისტყაოსანი.

ავილოთ მაგალითად ისეთი საკითხი, როგორიცაა ვეფხისტყაოსნისა და „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების ურთიერთმიმართება. აქაც ძალაში რჩება დებულება, რომ „შაჰ-ნამეს“ პირველ მთარგმნელებზე (ისე როგორც საერთოდ ამ ხანის ქართულ მწერლობაზე) აშკარა გავლენა მოუხდენია ვეფხისტყაოსანს. მოვიტან ჩვენს მეცნიერებაში უკვე დადასტურებულ ფაქტებს.

ვეფხისტყაოსანი:	შაჰ-ნამე:
რა ერთსა გვემდნენ ათასნი ევრთსა მოვერევიან (435,4)	რა ერთსა გვემდნენ ათასნი იცია, რა მოხდებოდა? (3246,4)
არ იცი, ვარდნი უეკლოდ არაეის მოუკრებიან (877,4)	ვარდო მოკრიფოს უეკლოდ, არეისგან იხვედრებოდა (4448,3)
მხეცნო, მათგან დაკოდლინი წალმა ბიგსა ვერ წადმოდეს (76,4)	მათ უქიროდ დახხოცია ბიგსა წალმა ვერ წასდგმოდეს... (1501,3)
მას დღეს გასცემს ყველაქასა სიუაისა მოგებულსა... (53,1)	ბრძანა თუ: გავსცემ, მომართვიო სიუაის მონაგებთა (260,4)
შუბი ვატყდა, ხელი ჩაყვავ. ვაქებ, ხრმალო, ვინცა გლესა (446,4)	აწ ჩაყავ ჩემი ხრმალი, რადგან, ვაქო ვინცა ლესა... (2889,2)

და ა. შ. რუსთველური ფრაზეოლოგიის არამც თუ გავლენა. ზუსტი კოპირება აქ აშკარაა და ასეთი მაგალითები მრავალზე მრავალია¹⁵ მაგრამ ისიც ფაქტია, რომ თავის მხრივ „შაჰ-ნამემ“ გარკვეული გავლენა მოახდინა ვეფხისტყაოსნის დანართ ტექსტებზე, განსაკუთრებით პოემის გაგრძელებათა იმ თავებზე, სადაც ისეთივე ხასიათის ბრძოლების გაზვიადებული სურათებია გადმოცემული, როგორც ეს საერთოდ დამახასიათებელია „შაჰ-ნამეს“ ციკლის თხზულებებისათვის:

ვეფხისტყაოსანი (ხვარაზმელთა ამბავი)	შაჰ-ნამე:
ქარა-მოკალ შეიპყარის ხმა თვით მრავალთაგან გაორდა	ლახტოთა სცემდეს, იზახდეს ქარ, მოკალ, შეიპყარითა
შემოსძახეს: შეკარ-მოკალ, შეიპყარის ხმაცა იყო.	ლაშქარშიგ: შეკარ, შეიპყარ, ხმა შექმნეს, იყო ოშია

¹⁵ დაწერილებით ამ საგანზე და ასეთ შეხვედრათა ვრცელი ნუსხა იხ. შ. ლ. ო. ნ. ტ. ი, ვეფხისტყაოსნის მხატვრული ვნის გავლენა აღორძინების ხანის ქართულ მწერლობაზე, კრებ. შოთა რუსთაველი, მეცნ. აკადემია, 1966, გვ. 130—133.

ან კი ავიღოთ „ხვარაზმელთა“ ეპიზოდებიდან ასეთი ადგილი: „ცისკრად კრეს ქოსთა, დაბდაბთა, ორთა ქიშვარდთა მეფეთა“, რაც „შაჰ-ნამეს“ ცნობილი სპეციფიკური გამოთქმაა (სპარსულ დედნიდან მომდინარე), „დასასრულ — დასქენს ალ. ბარამიძე — ბრძოლის აღწერილობა („ხვარაზმელთა“ ამბავში — ს. ც.) „შაჰ-ნამეს“ დაუსრულებელ ანალოგიურ სურათებს გიშლისთ თვალწინ“¹⁸. ამ დაკვირვებიდან ჩანს, არა მარტო „შაჰ-ნამეს“ გავლენა ვეფხისტყაოსნის დანართებზე, ან აღნიშნულ ჩანართთა წარმოშობის დრო, არამედ ინტერპოლატორთა მხატვრული გემოვნება, რომელიც გაპირობებული იყო „შაჰ-ნამეს“ ტიპის საგმირო თხზულებათა კითხვით.

ვეფხისტყაოსნის ინტერპოლატორები კარგად იცნობენ ქართულ ფოლკლორს, კერძოდ, ხალხში გავრცელებულ „ტარიელიანს“ და არ კარგავენ შესაძლებლობას, რათა დაუკავშირონ იგი ვეფხისტყაოსანს. ესეც ჩანართების წარმოშობის ერთ-ერთი მიზეზია და აქ ამის ერთ მაგალითზე შევჩერდებით.

ქართულ ფოლკლორში გვხვდება ერთი შესანიშნავი ლექსი, რომელიც თავისი მონუმენტური სტილით და სიუჟეტურა სიმძაფრით ხალხურ ბალადებს უახლოვდება. მასში გადმოცემულია მოყმე ავთანდილის ნადირობის ამბავი. ჩვენში ბევრმა ზეპირად იცის ეს ლექსი, რომელიც ასე იწყება:

ავთანდილ გადინადირა ქედი მაღალი ტყიანი,
ვერც ხარი მოკლა, ვერც შური, ვერცა ირემი რქიანი,
ნახტომსა შევლსა ფერდსა ჰქრა ისარი, ორბის ფრთიანი,
ჩამოხტა მთების ძირასა...და სხვ.

ზოგ ვარიანტში ეს ნადირობა ავთანდილის სიკვდილით თავდება, როცა მას მოულოდნელად მტერი წამოადგება თავს. ზამაცურად იბრძვის ავთანდილი, მაგრამ თავიდანვე მინიშნებულია, რომ ეს ნადირობა მისთვის საბედისწერო იქნება. ავთანდილი მარტოა ამ უთანასწორო ბრძოლაში. მოქმელი სინანულით შენიშნავს, რომ მტრები ვერაფერს დააკლებდნენ ავთანდილს, მასთან რომ მისი ძმადნაფიცები ტარიელი და ფრიდონი ყოფილიყვნენ. „ავთანდილ გადინადირას“ ეს ლექსი ხალხური „ტარიელიანის“ ერთ-ერთი საუკეთესო ადგილია და, როგორც „ტარიელიანის“ მთელი თქმულება, ეს ეპიზოდიც „ვეფხისტყაოსნიდან“ იღებს სათავეს. სამართლიანად ფიქრობენ, რომ ხალხური „ავთანდილ გადინადირა“ თავისებური დამუშავებაა რუს-

¹⁸ ვეფხისტყაოსნის პლასტების დათარიღებისათვის, თსუ-ს მოამბე, 1928, გვ. 127,

თაველის პოემის იმ ადგილისა, სადაც გადმოცემულია ავთანდილის მღელვარება, როცა მან თითქმის სამი წლის ხეტიალის შემდეგ მიიწვი ვერ მიაგნო უცხო მოყმის ნაკვალევს. აქ, მთელი პასაჟების დამთხვევასთან ერთად, აშკარად საერთოა ერთგვარი მძიმე განწყობილება და, როგორც აღვნიშნეთ, ხალხური „ტარიელიანის“ ზოგ ვარიანტში ეს განწყობილება კიდევ უფრო გამუქებულია — ამბავი ავთანდილის დაღუპვით სრულდება¹⁷.

ცნობილია, რომ როგორც მთელი ხალხური „ტარიელიანი“, ისე ავთანდილის ნადირობის ეს განთქმული ეპიზოდი მხოლოდ გვიანდელი ჩანაწერებითაა ცნობილი. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ჩვენი ხალხური შემოქმედების ნიმუშების ჩაწერა სისტემატურად მხოლოდ მე-19 საუკუნის პირველი ნახევრიდან დაიწყო, ხოლო აღრეული ჩანაწერები ექსცერპტების სახით თუ მოგვეპოვება (ისიც მე-17, მე-18 საუკუნიდან). ასეთივე სურათია ხალხური „ტარიელიანის“ მიმართაც. მხოლოდ მე-19 საუკუნის დამდეგიდან დაიწყეს ამ ბეჭად გავრცელებულ თქმულებათა ჩაწერა-დამუშავება¹⁸.

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებზე მუშაობის დროს ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა ნუსხამ, რომელშიც ამ თვალსაზრისით საინტერესო ფაქტი აღმოჩნდა (იხ. ქვემოთ ხელნაწერი S-2829, გადაწერილია 1688 წ.).

ხელნაწერის შესწავლის დროს გამოიჩვენა, რომ აქ არის მოთავსებული ხალხური ტარიელიანის ერთი ფრაგმენტი, კერძოდ — „ავთანდილ გადინადირას“ ეპიზოდიდან ერთი ყველაზე უფრო ცნობილი სტროფი. და რაც საყურადღებოა, გადამწერს იგი მოუთავსებია „ვეფხისტყაოსნის“ ძირითად ტექსტში, სწორედ იმ ადგილას, სადაც ავთანდილის მიერ ტარიელის უშედეგო ძებნით გამოწვეული მწუხარებაა გადმოცემული. აღნიშნულ ხელნაწერში ხალხური „ტარიელიანის“ ეს ფრაგმენტი ოღნავ სახეცვლილი ვარიანტითაა წარმოდგენილი:

ავთანდილ უკუირბინა გვერდი მყაფარი კლდიანი,
გამხლტომს ირემსა ფერდსა ჰკრა ისარი, ორბის ფრთიანი,
მას რო გარდახდა პატიყნი, აწ კაცი უნდა მხრიანი,
მინდვრისა პირსა სადილად ჩამოხდა გულ-სედეიანი.

17 ეს მომენტი იმაზე მიუთითებს, რომ ხალხური „ტარიელიანი“ შედარებით მოგვიანო ხანის ქმნილებაა და აშკარად ატარებს „აღორძინების“ ეპოქის ნიშნებს, ქრისტიანული აზროვნების კარბ ნაკადს, რაზეც სხვათა შორის 1910 წ. ნ. მარმაც მიუთითა (T. P. XI, გვ. II, შენიშვნ.), თუმცა ამის მიზეზს იგი სხვაგვარად ხსნიდა.

18 მ. ჩიქოვანი, შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი, 1965, გვ. 75—79.

ეს მომენტი მრავალმხრივ არის საინტერესო. უწინარეს ყოვლი-
სა, ეს არის პირველი ჩანაწერი ხალხში თქმულებად გასული ტარიე-
ლიანისა და, რაც მთავარია, იგი თითქმის საუკუნე ნახევრით წინ
უსწრებს „ტარიელიანის“ აქამდე ცნობილ ყველა ჩანაწერს¹⁹. რუს-
თველოლოგთა უმრავლესობა მხარს უჭერს ხალხური „ტარიელიანის“
„ვეფხისტყაოსნიდან“ წარმომდინარეობას. „ვეფხისტყაოსნის“ ხელ-
ნაწერში აღნიშნული ფრაგმენტის არსებობა ხაზს უსვამს, რომ მე-17
საუკუნის განათლებული ქართველებიც ასევე აკავშირებდნენ ხალ-
ხურ „ტარიელიანს“ რუსთველის პოემასთან. აქედან შესაძლებელია
ესიც დავუშვათ, რომ S-2829 ხელნაწერის გადაწერმა იცის ხალხუ-
რი „ავთანდილ გადინადირას“ პირდაპირი წყარო.

დასასრულ, აქ კიდევ ერთხელ ვლინდება „ვეფხისტყაოსნის“
გადაწერტა ცნობილი თავისებურება: ისინი პოემის ტექსტს უმატე-
ბენ არა მარტო საკუთარ ინტერპოლაციას, არამედ ყველაფერს, რაც
კი, საერთოდ, „ვეფხისტყაოსანთან“ იყო დაკავშირებული²⁰.

საინტერესოა აგრეთვე, რომ ჩანარების ავტორთა შემოქმედება-
ში გამოსჭვივის „ქართლის ცხოვრების“ წიგნთა ცოდნა და სიყვარუ-
ლი. ბევრი ადგილი, სახე თუ შედარება ქართული მატიაეებიდან უნ-
და მომდინარეობდეს. ამაში დაგვარწმუნებს ჩანართი პლასტების შეს-
წავლა. ავიღოთ, მაგალითად, პოემის პირველივე თავში მოთავსებული
სტროფი, რომელიც ფაქტიურად ძირითადი ტექსტის („იყო არაბეთს
როსტევან...“) ვარიაციას წარმოადგენს:

იყო არაბეთს მეფობა მეფისა როსტევანისი;

მას ჰქონდა სპარსთა ქვეყანა, მართ ეთა შანშეს ანისი;

უძრწის და მონებს ყოველი, ხელთა აქვს მას საბრძანისი;

თქვეს თუ: „ხამს ხმელთა პატრონად ან ალექსანდრე ან ისი“.

სტროფი საინტერესოა მხატვრულად, კარგად არის შერჩეული
საზეიმო ამბავთა გადმოცემი კილო, მეფის სიდიადისა და ძლიერე-
ბის დამახასიათებელი სიტყვები, რითმებიც მაღალხარისხოვანია რო-
გორც ეფფონიურად, ისე აღნაგობით. მაგრამ მის ჩანართობას ამხელს
მრავალი მომენტი, რომელთა შორის უმთავრესია შემდეგი. ჩანართ
სტროფში გადმოცემული ფაქტიური ვითარება ეწინააღმდეგება პოე-
მის სიუჟეტს, მისი ავტორი კარგად არ იცნობს ვეფხისტყაოსნის ში-

19 იხ. მ. ჩიქოვანის დასახელებული წიგნი, სადაც ავტორი იზიარებს ჩვენ ამ
შეხედულებას, ოღონდ ხალხური „ტარიელიანისა“ და ვეფხისტყაოსნის ურთიერ-
მობართება აქ სხვაგვარადაა ახსნილი, გვ. 75—76.

20 დაწერილ. იხ. ჩვენი „ხალხური ტარიელიანის პირველი ჩანაწერი“, წიგნში,
ლიტერატურული წერილები, 1966, გვ. 128—130.

ნაარს. პოემიდან არ ჩანს, რომ სპარსეთი არაბთა მოხარკე, ყმადნაფიცი ქვეყანაა. ეს რომ ასე იყოს, მრავალი სიუჟეტური წინააღმდეგობა განდებოდა ვეფხისტყაოსნის შინაარსში. მაშასადამე, ტარიელს დაუხოცავს არა მარტო არაბთა მეფის მონები, არამედ მოუკლავს მისი ყმადნაფიცი სახელმწიფოს (ამ შემთხვევაში სპარსეთის) მემკვიდრეც. გავიხსენოთ ეპიზოდი პოემის ბოლო თავებიდან, სადაც ტარიელი როსტევანს შენდობას თხოვს მეფეს მონების დახოცვის გამო:

...მე შენთა სპათა ვაჩვენე ნიშანი რამე წყენისა,
დავხოცე მონა მრავალი, მსახური სრისა თქვენისა (1505)
აჲ ამაღ მოველ წინაშე, დაეყარენ ჩემნი გზანია,
შემინდოთ, რაცა შეგცოდე, კჳმნნეთ გაწყრომისა კმანია... (1506)

თუ ჩანართ სტროფს დავუჭვრებთ (რომ სპარსეთი არაბეთის ყმადნაფიცი ქვეყანა იყო) ტარიელს პირველ რიგში როსტევანისათვის შენდობა ხვარაზმელთა სასიძოს მოკვლის გამო უნდა გამოეთხოვა, რადგან პოემაში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ხვარაზმელები სპარსელები არიან (სპარსეთი შედის ხვარაზმში ან იგივეა, რაც ხვარაზმეთი) გავიხსენოთ ხვარაზმელთა შესახებ ნათქვამი: „ჰკადრე, თუ: სპარსთა ვერა ვიქმ ინდოეთისა ჰამასა“, ან კი რა სახარბიელო უნდა ყოფილიყო ინდოეთისათვის სხვათა მოხარკე მეფის ძის სასიძოდ გამოწვევა? ყოველივე ეს აშკარად ამხელს ზემოაღნიშნული სტროფის ჩანართობას.

მაგრამ ამჟერად ჩვენთვის საინტერესოა სტროფის წარმოშობის წყაროც. იგი შთაგონებულია „ქართლის ცხოვრებით“. ამას პირველ რიგში მიუთითებს შანშე ანისის მფლობელის ხსენება. ჟამთააღმწერელი არაერთ გზის იხსენიებს მე-13 საუკუნის პირველი ნახევრის მხედართმთავარსა და დიდად აღზევებულ ფეოდალს შანშე მხარგრძელს („ძესა ზაქარია ამირსპასალარისასა“ — ეს უკანასკნელი თამარის დროის სახელგანთქმული სამხედრო მოღვაწეა). მაგრამ აღსანიშნავია, რომ მის უმთავრეს პატივთა შორის პირველ რიგში იხსენიება სწორედ ანისის პყრობა. იმ ეპიზოდში, სადაც მოთხრობილია ჯალალედინის წინააღმდეგ გარნისის ომის შემზადება, ნათქვამია: ჩინგისხანისაგან ლტოლვილი ჯალალედინი დასაველეთისაკენ წარმოემართა და თავისი ჭართი: „მოიწივნეს ქვეყანად მქარგრძელთა, რამეთუ ივანე ათაბაგს ეპყრა. დვინი, და ანისი მიეცა ძმისწულისა მისისა შანშეს და, მანდატურთ-უხუცესისათვის“²¹. ანისის მფლობელობა კიდევ უფრო ხაზგასმულია ჟამთააღმწერლის თხზულების იმ მონაკვეთში. სადაც საუბარია საქართველოში უმეფობის ჟამს (ორივე დავითი ამ დროს ტახტის საძიებლად იყვნენ ყარა-ყორუმს გამგზავრე-

²¹ ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქც., 1959, ტ. II, გვ. 169.

ბულნი) დამტყდარ უბედურებაზე. ქართველთა მხედრობის დიდი ნაწილი მონღოლების ლაშქარში იყვნენ და ალამუთის ციხის ასაღებად იბრძოდნენ. ამ დროს თურქთა ლაშქარი სარდალ ყარახანის მეთაურობით საქართველოში შემოჭრილა. ქართული ლაშქრის ორგანიზაცია და მეთაურობა სწორედ შანშეს უკისრია და დიდი შემართებაც გამოუჩენია უთანასწორო ბრძოლაში: „ხოლო შანშე უპირატეს ყოველთა მიეტევა, რომელმან ჰოროლითა განგურომა თურქი ერთი სახელოვანი. იქმნა ომი ძლიერი, და მოსწყდა სიმრავლე ურიცხვ სპათაგან თურქთასა, ხოლო სპანი შანშესნი კეთილად დაცულ იყვნეს შეწყენითა ძელისა კეშმარტიისათა, რომლისა მიმართ მინდობილ იყო და ვითარ შენივთთა ომი, იძლია ყარახან, იგი, და სპა მისი ივლტოდეს, და დევნა უყვეს ვიდრე ხლათამდე, მოსრეს და ტყუე ყვეს სიმრავლე ურიცხვ, და აისავსნეს ცხენითა, ჯორითა და აქლემითა, კარვითა და ხარგითა, და ალაფითა ურიცხვთა. ესრეთ სახელოვანი და გამარჯვებული მივიდა ანისსა, სახლსა და ტახტსა მისსა²².

მართალია, საანალიზო სტროფის ჩანართობაზე ისედაც მეტყველებს შანშეს მოხსენიება (იგი მე-13 საუკ. მოღვაწეა), არც შედარება როსტევეანთან არაა ზუსტი (ანისის მფლობელობა ამავე დროს ყმადნაფიცობას ნიშნავდა), მაგრამ სავარაუდებელი ჩანს, რომ ინტერპოლატორი ამ შემთხვევაში დავალებულია სწორედ ჟამთააღმწერლის ცნობებით, რაც პოეტურ შედარებად უქცევია მის მიერ შეთხზულ ჩანართ სტროფში. ასევე შესაძლოა, რომ ამავე სტროფში მოხმობილი მეორე პოეტური სახე (ხმელთა მფლობელი ან როსტევეანი უნდა იყოს ან ალექსანდრეო) ასევე „ქართლის ცხოვრებით“ იყოს შთაგონებული. რადგან ალექსანდრე (მაკედონელი) მთელი „ქართლის ცხოვრების“ მანძილზე მეფური ძლიერებისა და მხნეობის იდეალად არის დასახული²³.

მე-17 საუკუნის სამ ხელნაწერში A(H—757), B(H—54), C(H—2074) და. როგორც ჩანს. მათივე გავლენით მე-19 საუკუნის ორ ნუსხაში D'(H — 1893) და E'(Q — 483) ვეფხისტყაოსნის პროლოგში გვხვდება ასეთი სტროფი:

გაასწავლენ სურვილითა, ვინცა იწვით ვისგან ვინა;
 კვლავ ქებანი ეკადრენ ვის მე, არვის უთქმან ჩემგან წინა;
 ო ს პ ა დ მ ო ს ო მ ა ხ ო ს მ ს გ ა ე ს ი ა რ დ ა ე ა ც დ ე ნ ვ ი ს ც ა მ ი ნ ა,
 მისთვის ვლექსობ სიტურფითა, ვინ შუქთა ჰქენს ხელთა შინა²⁴
 (37-ე სტრ. ვრც. გამოც.)

²² ქართლის ცხოვრება, ს. ყაუჩიშვილის რედაქცი. ტ. II, გვ. 212.
²³ შტრ. ქართლის ცხოვრ. ტ. I, გვ. 17, 19, 20, 26, 43; ტ. II, გვ. 3, 24, 34, 123 და ო. შ.
²⁴ სტროფი ასე იკითხება A ხელნაწერში. საინტერესოა მხოლოდ C ხელნაწერის ნაირკითხვაობანი ა. მე გასწავლენ, ბ. ეკადრენ.

როგორც ჩანს, ეს ჩანართი სტროფი ამ ხელნაწერთა პროტოგრაფშივე გაჩენილა (ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ A და B ერთი დედნიდან მომდინარეობენ, ხოლო A, B და C-ს საერთო პროტოგრაფი მოეპოვებოდათ) და უნდა ვიფიქროთ, არა უადრეს მე-16 საუკუნის მიწურულისა და უფრო მე-17 საუკუნის პირველ მეოთხედში.

საინტერესოა მესამე სტრიქონი: აქ ისპაღ ვითარებით ბრუნვაში დასმული სპარსულიდან მომდინარე სიტყვაა — ისპაჰ, რაც სამხედრო საქმეს, მხედრობას ნიშნავს²⁵. სტრიქონის შინაარსი: ისპაობაში ე. ი. მხედრობა-ვაჟაკობაში ვარ მოსიმახოს მსგავსი. რასაც მინდა, იმას არ დავაცდენო. მოსიმახოს აქ აშკარად საკუთარი სახელია და იგი საკმაოდაც არის ცნობილი ქართულ მწერლობაში.

ეს არის ალექსანდრე მაკედონელის ჯარში მამაცი მეომრის, ჩინებული მოისარის, ებრაელი მხედრის სახელი, რომლის შესახებ კ. კეკელიძის მოწმობით ქართველებს უნდა გაეგოთ გიორგი ამარტოლის „ხრონოგრაფის“ ქართული თარგმანით, სადაც მოთხრობილია ალექსანდრე მაკედონელის მიერ იერუსალიმის აღება²⁶. ხოლო ეგვევ თარგმანი უნდა ვივთხარებოთ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის წყაროდ, სადაც ასევე მოხსენებულია მეომარი: „მოსიმახოს ვინმე იტქმის ებრაელი მოისრობის და კეთილმმართველობისათვის ალექსანდრეს სპათა შორის მკობად“.

კ. კეკელიძე და „აბდულმესიანის“ ახალი გამოცემის ავტორი ი. ლოლაშვილი ფიქრობენ, რომ შავთელის თხზულებაში (35,2) მოსიმახოს მოხსენება სწორედ დავითის ისტორიიდან უნდა მომდინარეობდეს²⁷. საანალიზო ჩანართი სტროფი, ჩემი აზრით, სწორედ „ქარ-

²⁵ ამ სიტყვას იცნობს „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიები (იხ. პირველ ტომზე დართული იუსტ. აბულაძის ლექსიკონი) და, როგორც ჩანს, აღნიშნული სპარსული სიტყვა აქედან გავრცელებულა სხვა ძეგლებშიც. მაგალითად, იგი დასტურდება „რუსულანინანში“ (გვ. 149, 290), ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტში (ქ. ცხ. ტ. II, 485) და, სხვათა შორის, ვეფხისტყაოსნის დანართშიც, კერძოდ, „ავთანდილის ანდერძში“ (სტრ. 2077), რომელიც ზოგი ხელნაწერის ჩვენებით (მაგ. „ზაზასული“) ნანუჩას მიეკუთვნება. თუ იოსებ თბილელის ეს ცნობა, რომ აღნიშნული ანდერძი ნანუჩას ეკუთვნის, სიმართლეს შეეფერება (თუმცა დაკვივებისათვის რამე ობიექტური საფუძველი არ არსებობს), შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ზემოთ აღნიშნული ჩანართი სტროფი (37), სადაც ეგვევ სიტყვა ისპა ანალოგიურ კონტექსტშია გამოყენებული, ნანუჩასვე მიეკუთვნეთ, რასაც მხარს უჭერს ამ სტროფის გაჩენის საუარაუღებელი თარიღი. ამას ემატება A ხელნაწერის გლოსარიც, როცა აშოიბზე მინაწერების მიხედვით ეს სტროფი (37) სხვა სტროფებთან ერთად ნანუჩას მიეწერება. საერთოდ, საჭიროა ამგვარ სტროფთა სტილოური ანალიზიც, რაც კიდევ უფრო დაგვახლოებს ქეშმარიტებს.

²⁶ ქართ. ლიტ. ისტორია, II, გვ. 270.

²⁷ მეხოტბეები, ტ. II, გვ. 198—199; აქვე, მითითებულია, რომ „ქართლის ცხოვრების“ მომდევნო წიგნებშიც კარგად იცნობენ ამ სახელს (იხ. ქართ. ცხ. II, გვ. 301—302).

თლის ცხოვრებას: უნდა ემყარებოდეს, სადაც არაერთხელ არის საზღვასმული მოსიამაზოს მოისრობის ამბავი, ხოლო „აბდულმესიანში“ მისი ეს სპეციფიკური დახასიათება (მოისრობა) ნათლად არა ჩანს²⁸.

ვეფხისტყაოსნის ჩანარებების წყაროთა ძიების უფრო გაფართოებაც შეიძლება. ჩვენ აქ გარდა საერო ძეგლებისა (ფირდოუსის „შაჰნამეს“ თარგმანი, „ვისრამიანი“, პეხოტბეები, აღორძინების ანანის თხზულებანი, და სხვ.) ვნახავთ უამრავი სასულიერო ძეგლის, განსაკუთრებით კი ბიბლიური წიგნების (როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმის), მრავალ გამონაკრთომს. მაგრამ ეს ძიებანი თვისობრივად ახალს აღარას მოგვცემენ. მოტანილი ნიმუშებითაც, ვიფიქრობთ, საკმაოდ ჩანს აღნიშნულ ჩანართთა წარმოშობის მიზეზები, იდეურ-მხატვრული თავისებურებანი და ის წყაროები, რომელთაც ისინი ამ შემთხვევაში ეყრდნობოდნენ.

ყოველივე ამის გამო ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებში ძალზე რთული ვითარებაა. ჩვენამდე მოაღწია სხვადასხვა შედგენილობის, წარმოშობის დროითა და ენობრივი თავისებურებებით ერთმანეთისაგან განსხვავებულმა ხელნაწერთა დიდმა რაოდენობამ. საკმარისია აღინიშნოს, რომ, როგორც სხვა მკვლევართა, ისე ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევები შედეგად ამჟამად ცნობილია პომის 162 ხელნაწერი და რამდენიმე ათეული ცალკეული ფრაგმენტი ეპიგრაფიული თუ სხვა ხასიათისა²⁹, რომელთა სრულ აღწერილობას ვიძლევიტ წინამდებარე ნაშრომის მეორე წიგნში.

პირველ რიგში საჭირო იყო ძირითადი ნიშნების მიხედვით ამ ზღვა მასალის კლასიფიცირება, ძირითადი რედაქციების გამოყოფა. შესწავლით გამოირკვა, რომ ხელნაწერები გვაძლევენ ამის საშუალებას³⁰. შედგენილობისა თუ მათი წარმოშობის თავისებურებათა გათვალისწინებით შესაძლებელი გახდა ოთხი ძირითადი რედაქციული ჯგუფის გამოყოფა. მათი ყველაზე რთული, მაგრამ პომის ტექსტის აღდგენისათვის სხვაზე მნიშვნელოვანი არის ხელნაწერთა ის ჯგუფი, რომელსაც ჩვენ ზოგა-

²⁸ უძრ. „მოსიამაზოსა მოს იამაზოსა, მახვილი თქვენთა მტერთა მწყობელი“ (მეხოტბ. ტ. II, სტრ. 35,2).

²⁹ ს. ყუბანეიშვილი თავის წიგნში, ვეფხისტყაოსნის ბექდვის ისტორიიდან 1966 წ. გვ. 5—6, ასახელებს ვეფხისტყაოსნის 153 ხელნაწერს, თუმცა ზოგი მათგანი ფრაგმენტს წარმოადგენს და მათ ჩვენ ცალკე აღწერთ.

³⁰ ეს საბუთაო ჩვენ დავიწყეთ 1957 წლიდან, როცა ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ დასახული პროგრამით საჭირო გახდა ვეფხისტყაოსნის უფრო მნიშვნელოვან ხელნაწერთა შერჩევა. ამის შესახებ იხ. ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის სტროფული შედგენილობა, 1959, გვ. 3; აგრეთვე ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები, აღ. ბარამიძის საერთო რედაქციით, ტ. I, 1960, გვ. 6.

დად ვეფხისტყაოსნის ძველ რედაქციებს ეუწოდებთ. მაგრამ აქ საჭიროა წინასწარ აღინიშნოს შემდეგი. ამ შემთხვევაში, ჩვენ საეხებით ვიზიარებთ თანამედროვე ტექსტოლოგიის ერთ-ერთ სახელმძღვანელო პრინციპს: ხელნაწერის თარიღი ყოველთვის არ არის ადექვატური ხელნაწერში მოთავსებული ტექსტის ღირსებისა. შესაძლოა შედარებით ძველ თარიღიან ნუსხაში არც ისე ძველი ტექსტი იყოს შემონახული და პირიქით, თარიღით შედარებით ახალ ნუსხაში დატული იყოს ტექსტის ძველი რედაქცია. ამ ნიშნით ვეფხისტყაოსნის ძველ რედაქციებში შევიდნენ ის ხელნაწერებიც, რომელთაგან ზოგი გვიან (მე-18, მე-19 სსუკ.) არის გადაწერილი, მაგრამ მაინც შედარებით ძველ ვითარებას ასახავენ. გარკვეული ტექნიკური მოსაზრებებით (კლასიფიკაციურ სქემაში მათი აუცილებელი გათვალისწინების გამო) აქვეა შემოტანილი ე. წ. კომპილაციური შედგენილობის (ანუ შერეული შემადგენლობის) მქონე ნუსხები, რომლებიც სხვადასხვა რედაქციათა ნაერთს წარმოადგენენ, მაგრამ მათი ტექსტის გარკვეული ნაწილი სწორედ ძველი რედაქციებიდან მომდინარეობს (სამაგიეროდ, ნაშრომის მეორე წიგნში, ხელნაწერთა აღწერისას ისინი ცალკე არიან გამოყოფილნი).

ცალკე რედაქციულ ჯგუფებს კმნიან ის ხელნაწერები, რომლებსაც ჩვენ ვუკავშირებთ ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეულ რედაქციას. აგრეთვე ე. წ. არტანუჯულ ვარიანტს და პოემის 1841 წ. გამოცემას, რომელიც ძირითადად მ. ბროსეს სახელს უკავშირდება.

ქვემოთ ამავე თანამიმდევრობით არიან შესწავლილნი ეს რედაქციული ჯგუფები. ამ რედაქციათა ძირითადი ნიშნების გამოყოფასთან ერთად შეძლებისამებრ დახასიათებულია ცალკეული რედაქციულ ჯგუფებში მოთავსებულ ხელნაწერთა თავისებურებანი და ურთიერთმიმართებანი (სიშორე-სიახლოვის თვალსაზრისით).

ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები (საკითხის დასმისათვის)

როგორც შესავალშივე აღვნიშნეთ, ნაშრომის წინამდებარე მონაკვეთის მიზანია ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა რედაქციული დახასიათება, ჩანართი პლასტების ჩამოყალიბების დროის მინიშნება (დაახლოებით მაინც) და, შეძლებისამებრ, ამჟამად არსებულ ხელნაწერთა ურთიერთმიმართების გარკვევა¹. გასაგებია, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება ამ საკითხების გაშუქებას პოემის შედგენილობის მართებული სახის აღდგენისათვის, ან პოემის ამა თუ იმ წარყვნილი ადგილის გასწორებისათვის. მაგრამ საკითხების ასე შესწავლას მრავალი დაბრკოლება ელოდება წინ. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ჩვენამდე მოაღწია პოემის ძალიან გვიანდელმა (უკეთეს შემთხვევაში მე-17 საუკ.) ხელნაწერებმა. რომლებიც თავისი რედაქციული სახით მეტწილად ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ზოგი ხელნაწერი იკავს პროლოგის თავისებურ რიგს, თავისებურ მოცულობას და ერთმანეთისაგან საკმაო სხვაობას ამჟღავნებს; ასევე გარკვეულ თავისებურებებს გვიჩვენებენ ამჟამად აღიარებული ძირითადი ტექსტის მანძილზეც (პოემის შუა მონაკვეთი ე. ი. პროლოგიდან „ხვარაზმელთა ამბამდე“). მკვეთრი სხვაობა შეინიშნება აგრეთვე პოემის ე. წ. გაგრძელებებში ცნობილი თავის „ხვარაზმელთა ამბიდან“. პროლოგი, პოემის შუა წელი, რომელსაც ძირითად ტექსტად თვლიან, და „ხვარაზმელთა ამბიდან“ მოკიდებული ვრცელი დასასრული — ეს არის ის ძირითადი სამი მონაკვეთი, რომლისგანაც შედგება ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა მთელი მემკვიდრეობა. ყიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ დაახლოებით ერთნაირ ხელნაწერებს სხვადასხვა თანამიმდევრობის ან სხვადასხვა მოცულობის მქონე პროლოგი გააჩნია. ან კი, ვთქვათ, პროლოგით და ძირითადი ტექსტებით (პოემის შუა წელით) დაახლოებით მსგავს ხელნაწერებს სრულიად სხვადასხვა მოცულობის მქონე დასასრული ახლავთ, გაჭიანურებული ე. წ. „გმირთა ანდერძებით“. ამ მოვ-

¹ საუბარი ამჯერად ეხება მხოლოდ ძველ რედაქციებს.

ლენის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ გადამწერები, ნებსით თუ უნებლიეთ, სხვადასხვა პლასტის მქონე ხელნაწერებს იყენებდნენ სახელმძღვანელოდ და თუ ერთი ხელნაწერიდან იღებდნენ პროლოგს ან ძირითად ნაწილს, სხვა დედნიდან ავსებდნენ დასასრულის ვრცელ თავებს. შორს რომ არ წავიდეთ, ამის კარგი მაგალითია ხელნაწერი H-757, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ ბეჭდურადაც გამოქვეყნდა². ამ ხელნაწერის შემსრულებელს ძირითადად გადმოუცია ბეგთაბეგისეული ხელნაწერის (H-54) ტიპის რედაქცია, ხოლო გმირთა ანდერძების ერთი ნაწილი კი „ზაზასეული“ ხელნაწერიდან (Q-1082) აქვს შემოტანილი³.

ამიტომაც ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყველა ამ ხელნაწერთა სხვადასხვა რედაქციული სახის უფრო მართებული გამოვლინებისათვის მეთოდოლოგიურად სწორი იქნება ამ ცალკეული ელემენტების (რომელთაც გარკვეული თავისებურებანი გააჩნიათ) შედარებითი შესწავლა ხელნაწერთა რედაქციების ერთობლივად და მხოლოდ მათი შემდეგ შეერთებით თითოეული ამ რედაქციის დახასიათება. ხელნაწერთა ამგვარი იანჩილა მოგვეცემს ნამდვილ გასაღებს. რათა დაახლოებით მაინც გამოვარწიოთ ჩიროთადი რედაქციული ტიპები.

აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგიც. რედაქციების ზუსტ დახასიათებას ხშირ შემთხვევაში ხელს უშლის ვეფხისტყაოსნის გადამწერთა ერთი თვისებაც. პოემის გადამწერის პროცესში მათ სხვა ხელნაწერებიდან, თავის გემოვნების მიხედვით, შემოაქონდათ ესა თუ ის ჩანართი სტროფი (ზოგჯერ რამდენიმეც), ან კი თვითონვე ქმნიდნენ მათ ანალოგებს. ამიტომაც, ასეთი ცალკეული შემთხვევები, თუმცა მიუთითებენ ხელნაწერთა გარკვეულ მიმართებას, მაინც არ იქნებიან მხედველობაში მიღებული მათი რედაქციული დახასიათების დროს. მაგალითისათვის კმარა ხელნაწერები H-740 ან H-1839. ამ ხელნაწერებში გადამწერებს შემოუტანიათ Q-1082 ხელნაწერიდან („ზაზასეული“) რამდენიმე ისეთი სტროფი, რომელიც, როგორც ახლა გარკვეულია, თვით იოსებ ტფილელს ეკუთვნის, მაგრამ რედაქციულად, თავისი ძირითადი სახით, ეს ხელნაწერები სულ სხვა სურათს გვაძლევენ და შორს დგანან „ზაზასეული“ ნუსხიდან.

თუმცა, რასაკვირველია, ამ უმთავრესი (ე. ი. პლასტების თანდათანობითი ჩამოყალიბების სურათი), მაგრამ მაინც ერთი პოზიციით განხილვა ვერ მოგვეცემს ბოლომდე ამომწურავ პასუხს. ჩვენ ზემოთ აღვნი-

² ვეფხისტყაოსანი, ჩანართი და დანართი ტექსტებით, გამოსაცემად მოამზადან. ყუბანეიშვილმა, 1956.

³ ს. ც ა ი შ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1957, გვ. 19—20.

შნეთ, რომ რედაქციულ თავისებურებათა გარკვევის დროს, სხვა კომპონენტსაც უნდა მიეჭყეს ყურადღება, როგორცაა ხელნაწერის წარმოშობის თარიღი, პალეოგრაფიული ნიშნები, ენობრივი თავისებურებანი, კერძოდ, ნაირკითხვათა შესწავლა სხვა ნუსხებთან მიმართებაში და ა. შ.

ყველა ეს მონაცემი. საჭიროების შემთხვევაში, მიღებულია მხედველობაში, ხოლო ნაირკითხვაობათა შესწავლასთან დაკავშირებული საკითხები ცალკეც არის აღნიშნული წინამდებარე თავის ბოლოში „პლასტების“ გამოკვლევით მიღებულ შედეგებთან ერთად.

ა) ვეფხისტყაოსნის პროლოგი ხელნაწერებსა და გამოცემებში

ვეფხისტყაოსნის პროლოგი ყოველმხრივ იწვევს მკვლევართა ყურადღებას. როგორც ცნობილია, შესავალში პოეტი იძლევა ძირითად თეორიულ შეხედულებებს, რაც მხატვრულად ხორცშესხმულია თვითონ პოემაში. კერძოდ, აქ ნათლად ჩანს ის თვალსაზრისი, რასაც თეორიულად იზიარებდა პოემის ავტორი. ეს ეხება როგორც აქ განვითარებულ შეხედულებებს პოეტიკაზე, ისე თვით პოემის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემის გადაწყვეტას — ამქვეყნიური, რეალურად არსებული სიყვარულის აღიარებას. რუსთველოლოგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად ყოველთვის ითვლებოდა ის, თუ რა მიმართებაშია რუსთველის ეს თეორიული მრწამსი მის საკუთარ პოეტურ შემოქმედებასთან. ამაზე დაწვრილებით მსჯელობის გაშლა აქ ჩვენს საგანს არ შეადგენს, მაგრამ ამ საკითხების დაყენებისა და მართებული გადაჭრისათვის უდავოდ გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება პროლოგის სრული სახით აღდგენას.

პროლოგის ტექსტთან დაკავშირებულ საკითხებს ბევრი მკვლევარი შეეხო. ზოგიერთმა მათგანმა წამოაყენა აშკარად სკეპტიკური თვალსაზრისი, რომელთაგან ზოგი ჩვენ ზემოთ მოვიხსენიეთ.

მაგალითად, პროლოგის რამდენიმე, ამჟამად რუსთველურად აღიარებული სტროფის წინააღმდეგ, როგორც ითქვა, ჯერ კიდევ 1895 წელს გამოვიდა რუსთველოლოგი ალ. სარაჯიშვილი. სხვათა შორის, იგი წინააღმდეგი იყო იმ მოსაზრებისა, რომელიც სრულიად უარყოფდა მთელი პროლოგის რუსთველურობას, მაგრამ თვითონაც საკმაოდ მკაცრ თვალსაზრისს ატარებდა თავის გამოკვლევაში „ვეფხისტყაოსნის ყალბი ადგილები“.

ამ მხრივ უკიდურეს სკეპტიციზმამდე მივიდა ვეფხისტყაოსნის მეორე ცნობილი მკვლევარი დ. კარიჭაშვილი. დაახლოებით სარაჯიშვილისეული ტიპის მსჯელობის კიდევ უფრო მკაცრი სუბიექტური ვარიაციით

იგი მივიდა დასკვნამდე, რომ მთელი პროლოგი ინტერპოლაციას წარმოადგენს: ვეფხისტყაოსნის თავისი პირველი გამოცემის (1903 წ.) შესავალში დ. კარიჭაშვილი პირდაპირ აღნიშნავდა: „წინასიტყვაობას და უკანასიტყვაობას არამც თუ არაფერი საერთო აქვთ—რა თვით თხზულების მოთხრობასთან, არამედ თვითონ ეს ნაწილები ცალ-ცალკე არაფერს ერთიანს არ წარმოადგენენ და როგორც წინასიტყვაობის, ისე უკანასიტყვაობის ტაეპები სხვადასხვა დროს სხვადასხვა პირთაგან უნდა იყვნენ დაწერილი“ (გვ. VIII)⁴.

პროლოგ-ეპილოგის საკითხებს, როგორც აღვნიშნეთ, 1910 წელს მიუძღვნა გამოკვლევა აკადემიკოსმა ნიკო მარმა. გამოკვლევას ტექსტის ღრმა მეცნიერულ ანალიზთან ერთად თან ერთვოდა მეცნიერულ-განმარტებითი თარგმანი რუსულ ენაზე, რამაც უდავოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პოემის ამ ნაწილის შემდგომ კვლევა-ძიებაში. ნ. მარმა აქვე სასტიკად გააკრიტიკა, განსაკუთრებით, დ. კარიჭაშვილის ზემოაღნიშნული სკეპტიკური თეორია და პროლოგი მან პოემის მოუცილებელ ნაწილად აღიარა. მეტიც, აქვე მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ვეფხისტყაოსნის ძირითადი იდეური შინაარსის სწორად ამოცნობისათვის მნიშვნელოვანი როლი პროლოგსა და იქ გამოთქმულ შეხედულებებს ენიჭება. ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ ამავე წიგნში მოთავსებული გამოკვლევის თეორიული ნაწილი „ქალის კულტი და რაინდობა „ვეფხისტყაოსანში“ ძირითადად დაყრდნობილია პროლოგიდან ამოშიფრულ ცნობებზე.

აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ თუმცა გამოკვლევის ავტორი მართებულად მოექცა ზემოაღნიშნულ მკვლევართა სკეპტიკურ თეორიებს; მაგრამ, როგორც ამ ნაშრომის გაცნობა გვიჩვენებს, აქაც იგრძნობა ზედმეტად კრიტიკული დამოკიდებულება.

საკმარისია აღინიშნოს, რომ მან რამდენიმე აშკარად რუსთველური სტროფა ამოიღო ვეფხისტყაოსნის პროლოგიდან. ასეთივე უკიდურესობა გამოიჩინა მკვლევარმა პროლოგის სტროფთა დალაგებაში და სრულიად ნებისმიერი თანამიმდევრობით დაბეჭდა მის მიერ რუსთველურად მიჩნეული სტროფები.

მიუხედავად ამისა, ნ. მარის შრომის კიდევ ერთი ღირსება იყო ის, რომ ავტორმა მკვეთრად დააყენა პროლოგის შედგენილობის გადასინჯვის საკითხი და შეეცადა მოეცა პოემის ამ ნაწილის იდეურ-მხატვრული ანალიზი და აქვე მწვავედ დასვა პროლოგისეული სტროფების თანამიმდევრობის პრობლემა, იგი პირდაპირ აღნიშნავდა, რომ პროლოგის ნა-

⁴ შდრ. ალ. სარაჯიშვილი, ვეფხისტყაოსნის ყალბი ადგილები, ჟურნ. „მომამე“, 1895, № 11, გვ. 10.

მდვილი სახის აღდგენისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მომენტი არის პოემის ამ შესავლის თავდაპირველი თანმიმდევრობის გამორკვევა.

ცნობილია, რომ ამ მხრით დიდი მუშაობა გასწიეს ს. კაკაბაძემ და იუსტ. აბულაძემ. იუსტ. აბულაძისა (1926 წ.) და ს. კაკაბაძის (1927 წ.) გამოცემებში უკვე ჩამოყალიბდა ის რიგი, რომელიც მე-17 საუკუნის ხელნაწერებიდან მოდის.

1937 წლის საიუბილეო კომისიამ ეს თანამიმდევრობა მთლიანად გაიზიარა. აქ იყო დაცული მწყობრი თანამიმდევრობა ერთიანი იოიორ-აზრობრივი ხაზი. შესავალი შედგებოდა იმ ძირითადი სამი ელემენტისაგან, რაც დამახასიათებელი იყო ფართო პლანის აღმოსავლური პოემებისათვის (ღვთის ქება, მეფე-პატრონთა ქება და ისტორიულ-ლიტერატურული ცნობების შემცველი სტროფები)⁵. ყოველგვარი ფორმალური ნიშნების ძიების გარეშეც აქ, როგორც ვთქვით, მწყობრი აზრობრივი კავშირია. ღვთაებისადმი პირველ სიტყვას („რომელმან შექმნა“) მოსდევს თამარისა და მისი მეუღლის ხსენება. აქვე პოეტი მიგვანიშნებს შთაგონების უშრეტ წყაროზე („თამარს ვაქებდეთ...“) და გვაცნობს, თუ ვინ არის პოემის მთავარი გმირი („მო დაიხილო...“). ამას მოსდევს რამდენიმე სტროფი, რომელთაც ზოგჯერ ერთი სათაურის ქვეშ გამოყოფენ — „ამბავთათვის“, ეს სათაური კარგად ასახავს ამ სტროფების ძირითად შინაარსს. ამის შემდეგ მოდის განთქმული სტროფები შაირობაზე და მიჯნურობაზე, სადაც, როგორც ცნობილია, ლაკონიურად არის ჩამოყალიბებული პოეტის ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებები.

პროლოგის ამ თანამიმდევრობას მხარს უჭერს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი. ხელნაწერთა უმრავლესობაში, როგორც ვნახავთ, დაცულია პროლოგის ასეთივე წყობა.

მაგრამ საკითხს უეჭველად ართულებს 1712 წლის გამოცემის ჩვენება. იგი იცავს პროლოგის სრულიად თავისებურ რიგს. მიჯნურობისადმი მიძღვნილი სტროფები გვხვდება სხვადასხვა ადგილას, ასევე ე. წ. სტროფები „ამბავთათვის“ დაშორებულია ერთმანეთს.

თუ რა იყო ვახტანგისეული გამოცემის წყარო ამ შემთხვევაში და საიდან შემუშავდა ამ გამოცემაში ამგვარი პროლოგი, ნათელი გახდება ჩვენთვის ხელნაწერთა მთელი მემკვიდრეობის შესწავლის შემდგომ.

პროლოგის რედაქციულ დახასიათებას უეჭველად ართულებს ის გარემოება, რომ პოემის ეს ნაწილი ხელნაწერებში თითქმის ყველაზე უფრო დაზიანებულია. უფრო მეტიც, მოიპოვება რამდენიმე მნიშვნე-

⁵ შტრ. ა. ლ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, მცირე შენიშვნები, თსუ-ს შრომები, 1936, ტ. V, გვ. 231—232.

ლოვანი ხელნაწერი, მაგრამ ჩვენამდე არ მოუღწევია მათ პროლოგს. მოუხედავად ამისა, ძირითადად მაინც ხერხდება მთავარ სახესხვაობათა გამოყოფა. ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ პროლოგის სხვადასხვა ტიპები ძირითადად განსხვავდებიან ორი ნიშნით — თანამიმდევრობითა და მოცულობით. ამდენად, სწორედ ამ ნიშნებით ხერხდება მათი გამოყოფა.

ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ერთ ჯგუფს, რომელსაც, როგორც ვნახავთ, დაუცავს შედარებით ძველი რედაქცია, აქვს გარკვეული თანამიმდევრობისა და მოცულობის პროლოგი. აქ პროლოგი თავისი მოცულობით ძალზე შემოკლებულია და ბევრი ისეთი სტროფი აკლია, რომელსაც ამჟამად პირვანდელი ტექსტის კუთვნილებად თვლიან. რომ უფრო ნათელი გახდეს ეს საკითხი, ავიღოთ ამ ხელნაწერთაგან ერთ-ერთი სხვაზე უფრო დაუზიანებელი და, ამავე დროს, ძალზე საინტერესო ხელნაწერის პროლოგი. ეს არის ცნობილი უძველესთარილიანი ხელნაწერი, რომელიც 1646 წელს სამეგრელოში, დადიანთა კარზე ყოფნის დროს, გადაუწერია მამუკა მდივანს. ხელნაწერში გვაქვს ასეთი პროლოგი:

9. ესე ამბავი სპარსული...
10. თვალთა მისთა უნათლოთა...
11. რაცა ვის რა ბედმან მ სცეს...
12. შაირობა პირველადე...
13. ვითა ცხენსა შარა გრძე - ი...
14. მაშინდა ნახეთ მელექსე
15. მოშაირე არა ჰქვიან...
16. მეორე ლექსი ცოტაი...
17. მესამე ლექსი კარგია...
18. ხამს მელექსე ნაქირეუბსა ...
19. ჩემი აწ ცა ით ყოველმან...
20. (ვთქვა) მიჯნურობა პირველი...
21. მას ერთსა მიჯნურობასა...
22. მიჯნური შმაგსა გვიქვიან...
23. მიჯნურსა თვალად სიტურჴე...
24. მიჯნურობა არის ტურჴა...
25. ხამს მიჯნური ხანიერი...
- მას ცოცხალი ნუ ეუვეს (33)
26. ამა საქმესა მიჯნურა
27. არს პირველი მიჯნურობა...
28. ხამს თავისსა ხეაშიადსა...
29. მას უშმაგო ვით მიე დოს...
30. მიკვირს კაცი რად იფერებს...
31. თუ მოყვარე მოყვრისათვის...⁶

⁶ სტროფების სათვალავი საიუბილეო გამოცემიდანაა. ხოლო ფრჩხილებში ჩასმული სათვალავი 1956 წელს გამოცემული ჩანართებიანი ვეფხისტყაოსნიდანა.

როგორც ვხედავთ, ხელნაწერი პროლოგის ფრიად საინტერესო სახეს იძლევა. საყურადღებოა პირველი ნაწილი; პროლოგი იწყება სტროფით: „ესე ამბავი სპარსული...“, რომელიც უკანასკნელ გამოცემებში რიგით მე-9 სტროფს წარმოადგენს. აქ საჭიროა აღინიშნოს, რომ ეს ხელნაწერი ამ მონაკვეთში არავითარ დეფექტს არ გვიჩვენებს: პირველი ფურცელი დაუზიანებლად არის მოღწეული. სხვათა შორის, ამ გარემოებამ საბაბი მისცა ზოგიერთ მკვლევარს, რომ პროლოგის პირველი 8 სტროფი, სადაც მოცემულია შიშართვა ღვთაებისა და თამარ მეფისადმი, აგრეთვე ბიოგრაფიული რეალიების შემცველი სტროფები, გამოეცხადებინა ჩანართად⁷.

საქმე ის არის, რომ თუმცა ხელნაწერი H-599 ამ ნაწილში არ არის დეფექტური, სრული შესაძლებლობა გვაქვს ვიფიქროთ, რომ თვით ამ ხელნაწერის დედანი დაზიანებული იყო ამ ადგილას და იწყებოდა სწორედ ამ სტროფით: „ესე ამბავი სპარსული...“ ე. ი. აკლდა პირველი ფურცელი, რომელიც აწ დაკარგულ სტროფებს შეიცავდა. აქ აკლია 8 ან 9 სტროფი, რომელიც სწორედ ერთ ფურცელს დაიჭერდა. თუ ამას დავუშვებთ, მაშასადამე, თავფურცელნაკლული ხელნაწერი აულია H-599-ის გადამწერს დედნად⁸. საინტერესოა, რომ H-599-ში არის თვით მამუკას მიერ ან კი მისივე დაკვეთით შესრულებული მინიატურები (ამას თვით მამუკაც აღნიშნავს⁹). ერთ-ერთ მათგანზე გამოხატულია რუსთველი, რომელიც მწერალს (გადამწერს) უკარანახებს თავის პოემას. მდივანი-გადამწერი იწყებს წერას (ეს მომენტიც აღებული) და იწყება ასეთი სიტყვებით: „ესე ამბავი სპარსული...“ და სხვ. როგორც ჩანს, მამუკას ხელნაწერის დედანი მართლაც იწყებოდა ამ სიტყვებით¹⁰.

ხელნაწერში განსაკუთრებით საგულისხმოა ის მომენტი, რომ გადარჩენილ ნაწილში პროლოგი თითქმის თავისუფალია ამჟამად ჩანართად აღიარებულია სტროფებისაგან (არის მხოლოდ ერთი ჩანართი: „მას ცოცხალი ნუ ელევის...“). ეს უკვე მიუთითებს ხელნაწერის ავთენტიკურობაზე, მით უმეტეს, რომ იგი გადაწერილია 1646 წელს. ხელნაწერი აგრეთვე კარგი საკონტროლო მასალაა მოცულობის თვალსაზრისით. აქედან ჩანს, რომ როგორც ვახტანგის გამოცემა, ისე უკანასკნელი გა-

⁷ იუსტ. ა ბ ჯ ლ ა ძ ე, ვეფხისტყაოსნის 1926 წ. გამოცემა, გვ. 225—226; ს. კ ა ბ ა ძ ე, ვეფხისტყაოსნის 1913 წ. გამოცემა და სხვ.

⁸ შესაძლოა, ეს ხარვეზი კიდევ უფრო ადრეული ხელნაწერიდანაც მოდიოდეს.

⁹ შტრ. ლ. შ ა რ ვ ა შ ი ძ ე, ვეფხისტყაოსნის 1646 წლის ხელნაწერის მინიატურების ავტორობის შესახებ. საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XVI, № 6, 1955, გვ. 487—494.

¹⁰ პირველი 8 სტროფის ჩანართობის წინააღმდეგ არის სხვა დოკუმენტური საბუთებიც, რომელთა შესახებ საუბარი ქვემოთაც გვექნება.

მოცემები, ძირითადად სწორად წყვეტენ პროლოგის შედგენილობის საკითხებს. ხელნაწერთა შედარებითი შესწავლა არკვეებს, რომ თანამიმდევრობით ასეთივე და ამასთან თავნაკლული პროლოგი დაუტყავს სხვა ხელნაწერებსაც. ამ მხრით განსაკუთრებით საყურადღებოა ე. წ. პარიზული ხელნაწერი (გადაწერილი 1702 წ.), რომლის ფოტოპირი ამ რამდენიმე წლის წინ იქნა მიღებული პარიზიდან (X ხელნაწერის ფოტოპირი აღინიშნება P-10). ამ ხელნაწერის პროლოგი დიდ სიახლოვეს ამქვეყნებს H-1599-ის ამავე მონაკვეთთან. თანამიმდევრობა სტროფებისა ზუსტად იგივეა და, რაც მთავარია, ეს პროლოგიც თავნაკლული დედნიდან იღებს სათავეს: იწყება მეცხრე სტროფით: „ეე ამბავი სპარსული...“, მაგრამ თუ H-599 ხელნაწერის ამავე მონაკვეთში ჩვენ მხოლოდ ერთი, ამჟამად ინტერპოლაციად აღიარებული სტროფი გვქონდა „მას ცოცხალი ნუ ელევის...“ (33), პარიზული ნუსხა P-10 გარდა აღნიშნული ჩანართისა უმატებს კიდევ ორ სტროფს: „თუ მიჯნურსა მიჯნურობა...“ (14) და „ვის ეს ყველა არა სჭირან...“ (30). ამდენად, პარიზული ხელნაწერის პროლოგი, უეჭველ სიახლოვესთან ერთად, უფრო გვიანდელ სახეს გვაძლევს და არის H-599-ის ტიპის პროლოგის შემდგომი განვითარება, თუმცა ეს სიახლოვე შემთხვევით ხასიათს უნდა ატარებდეს (ამაზე დაწვრილებით ქვემოთ).

პოემის რედაქციათა შედარებითი შესწავლის დროს ჩვენ ხშირად მოგვიხდება შევჩერდეთ ამჟამად უკვე საკმაოდ ცნობილ ხელნაწერზე E (S-2829), რომელიც თუმცა შედარებით ახალი თარიღისაა (1688 წ.), მაგრამ დაუზიანებლად შემოუნახავს რედაქციულად ერთ-ერთი საინტერესო ტექსტი (ოღნავ დაზიანებულია მხოლოდ პროლოგი, მაგრამ მისი აღდგენა ხერხდება). აქ საჭიროა აღინიშნოს, რომ პროლოგის მიხედვით ჩვენ ეს ხელნაწერიც თავნაკლული დედნიდან მომდინარე მიგვაჩნია. მაგრამ H-599-თან შედარებით აქ თავში ორი სტროფით მეტია. პირველი ეს არის ცნობილი ჩანართი „პირველ თავი დასაწყისი ნათქვამია იგ სპარსულად...“, ხოლო მეორე — უკანასკნელ გამოცემათა პირველი სტროფი: „რომელმან შექმნა სამყარო“... ხელნაწერში აქედან ნახტომია მე-8 სტროფზე: „მე რუსთველი ხელობითა“ და შემდეგ ზუსტად ისევე როგორც H-599-ის პროლოგში. მხოლოდ ურთავს კიდევ ერთ სტროფს. რომელიც H-599-ში არ არის — „თუ მიჯნურსა მიჯნურობა...“ (14). ყველა ამ ნიშნით ჩანს, S-2829 ხელნაწერის ჩვენამდე მოღწეული პროლოგი როგორც მოცულობით, ისევე თანრიგით H-599-ის ტიპის ყოფილა და შემდეგ შეუტანიათ აქ აღნიშნული სტროფები, რათა ნაწილობრივ მაინც შეეცნოთ დედნის ხარვეზები. შესაძლოა დავასკვნათ, რომ ეს ხელნაწერი ამ მონაკვეთში მოდის ისეთივე ტიპის თავნაკლული დედ-

ნიდან. როგორც H-599 ნუსხა, მაგრამ ნაწილობრივ წარმოადგენს მის შემდგომ განვითარებას.

ხელნაწერთა მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ხელნაწერთა ერთ ჯგუფს, რომელთაც პროლოგის ზუსტად ისეთივე თანრიგი აქვს, როგორც ეს ჩვენ ვნახეთ H-599 ხელნაწერის მაგალითზე, მაგრამ ამასთან თავისი შედგენილობით მკვეთრად განსხვავდება ზემოაღნიშნული ხელნაწერებისგან. აქ აღდგენილია, არა მარტო ის ხარვეზი, რომელიც ახლავთ დასაწყისში აღნიშნულ მოკლე ხელნაწერებს, არამედ სწორედ ეს მონაკვეთი (ე. ი. პროლოგი) ფრიად გადატვირთულია დიდძალი ჩანართებით. რომ ზეპირი არ იყოს ჩვენი მსჯელობა, მოვიტანოთ პროლოგი რომელიმე ამ ტიპის ხელნაწერებისგან. სანიმუშოდ შეიძლება აგველო ხელნაწერი H-54, რომელსაც, როგორც ვნახავთ, ერთ-ერთი ტიპური სახე გააჩნია ამ ხელნაწერთა შორის¹¹.

I. პირველ თავი, დასაწყისი...

- 1 (2) — რომელმან შექმნა საყარო...
- 2 (3) — ჰე, ღმერთო ერთო, შენ შექმენ...
- 3 (4) — ვის შეენის, — ლომსა, — ხმარება...
- 4 (5) — თამარს ვაქებდეთ მეფუა.
- 5 (6) — მიბრძანეს მათად საქებრად...
- 6 (7) — აწ ენა შინდა გამოთქმად...
- 7 (8) — მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის...
- (9) — ტ ა რ ე ლ ს კ ა რ გ ს ა მ ო ყ მ ე ს ა...
- 8 (10) — მე, რუსთველი, ხელობითა...
- 9 (11) — ესე ამბავი სპარსული...
- 10 (12) — თვალთა მისგან უნათლოთა...
- 11 (13) — რაცა ვისცა ბედმან მისცეს...
- (14) — თ უ შ ი ჯ ნ უ რ ს ა შ ი ჯ ნ უ რ ო ბ ა . . .
- 12 (15) — შაირობა პირველადე...
- 13 (16) — ვითა ცხენსა შარა გრძელი...
- 14 (17) — მაშინლა ნახეთ მელექსე...
- (18) — მ ე ვ ი კ ა დ რ ე ბ ლ ე ქ ს თ ა კ ა რ გ თ ა . . .
- 15 (19) — მოშაირე არა ჰქვიან...
- 16 (20) — მეორე ლექსი ცოთი...
- (21) — ა მ ბ ა ვ ი წ ვ რ ი ლ ა დ უ ა მ ბ ო ს . . .
- 17 (22) — მესამე ლექსი კარგი არს...
- (23) — მ ე გ ი ა მ ბ ო ბ, ვ ი ნ ც ა ი ყ ვ ნ ე თ . . .
- 18 (24) — ხამს მელექსე ნაჭირეებსა...
- 19 (25) — ჩემი აწ სცანით ყველამან...
- 20 (26) — ვთქვა მიჯნურობა პირველი...
- 21 (27) — მას ერთსა მიჯნურობასა...
- 22 (28) — მიჯნური შმაგსა გვიქვიან...
- 23 (29) — მიჯნურსა თვალად სიტურფე...
- (30) — ე ი ს ე ს ყ ვ ე ლ ა ა რ ა ს კ ი რ ა ნ . . .

¹¹ ამ ხელნაწერის პროლოგი აქ წარმოდგენილია აღდგენილი სახით.

- 24 (31) — მიჯნურობა არის ტურფა...
 25 (32) — ხამს მიჯნური ხანური...
 (33) — მ ა ს ც ო ც ხ ა ლ ი ნ უ ე ლ ე ე ი ს...
 26 (34) — ამა საქმესა მიჯნური...
 27 (35) — არს პირველი მიჯნურობა ...
 28 (36) — ხამს, თავისსა ხვაშიადსა...
 (37) — გ ა ა ს წ ა ე ლ ნ ე ს უ რ ვ ი ლ ი თ ა
 29 (38) — მას უშმაგო ვით მიეღოს...
 30 (39) — მიკეირს კაცი რად იფერებს...
 31 (40) — თუ მოყვარე მოყვარისათვის...¹²

როგორც ვხედავთ, აქ იგივე თანამიმდევრობაა სტროფებს შორის, რაც ჩვენ ვნახეთ H-599 ხელნაწერის პროლოგში, მაგრამ H-54-ში ყურადღებას იქცევს ორი მომენტი: პირველი — აღდგენილია (ან უკეთ აღარ არის ხარვეზი) პირველი ცხრა სტროფი, რომელიც აშკარად რუსთველურ ლექსებს უნდა წარმოადგენდნენ და მათ გარეშე პროლოგი დაკარგავდა მისთვის დამახასიათებელ ძირითად ნიშნებს (სამი ელემენტი: ლვთაებისადმი მიმართვა, მეთევ-პატრონია ქება, ისტორიულ-ლიტერატურული ცნობები). ამასთან, როგორც ვხედავთ, პროლოგი აქ გაზრდილია 40 სტროფამდე და ხაზგასმული სტროფები ამჟამად ჩანართებად არის მიჩნეული (სულ 9 სტროფი).

ირკვევა, რომ ხელნაწერთა ერთი ჯგუფი (რომელთაც, ამასთან ახასიათებს განსაკუთრებული ვრცელი რედაქცია სხვა მონაკვეთებში, მაგრამ ამაზე ქვემოთ) მთლიანად იზიარებს პროლოგის ამ სახეს. ასეთებია, მაგალითად, ხელნაწერი H-2074, რომელიც ამ ტიპის ხელნაწერებში ფრიად საყურადღებოა, ჩემი აზრით თარიღითაც საკმაოდ უნდა უსწრებდეს H-54 ნუსხას. ამავე პროლოგს იმეორებს ხელნაწერი H-757 (ვადაწერილი 1671 წ.), რომელიც, როგორც ერთ-ერთი ტიპიურად ვრცელი ნუსხა, საფუძვლად დაედო ვეფხისტყაოსნის ჩანართებიან გამოცემას¹³. ზუსტად ასეთივე პროლოგი გააჩნია შედარებით გვიანდელ ხელნაწერებს, როგორცაა H-1839 (XIX საუკ.), Q-483 (1856 წ.) და ა. შ.

პირველი საკითხი, რომელიც უეჭველად წამოიჭრება, არის ზემოთ აღნიშნული მოკლე პროლოგისა და აქ წარმოდგენილ ხელნაწერთა ურთიერთმიმართება. ორივე ეს პროლოგი, მიუხედავად მოცულობითი სხვაობისა, ერთნაირი თანრიგის მატარებელია არიან. ხომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ჯგუფის ხელნაწერებში (H-54 და სხვ.) არის მოცემული ცდა ზემოთ ნაჩვენები თავნაკლული პროლოგის აღდგენისა და შემდგომი განვითარებისა. და მაშინ უნდა დაგვეშვა, რომ ასეთი პრო-

¹² ნუმერაცია საიუბილეო გამოცემისაა, ხოლო ფრჩხილებში კი 1956 წლის ჩანართებიანი ვეფხისტყაოსნისა.

¹³ ვეფხისტყაოსანი, ჩანართ-დანართებით, 1956.

ლოვის შემცველი ხელნაწერები მომდინარეობენ პირდაპირ H-599-ის ტიპის პროლოგთაგან და წარმოადგენენ მათ უბრალო შევსება-განვითარებას. ასეთი დასკვნა კიდევ ერთხელ ექვის ქვეშ დააყენებდა პოემის პირველი რვა სტროფის საკითხს, რომლის გარეშე ვეფხისტყაოსნის პროლოგი, ჩვენი აზრით, დაქარავედა თავის მთლიანობას.

მაგრამ, გარდა აღნიშნული თეორიული მოსაზრებისა (პროლოგის სამი ელემენტი პირველ 8 სტროფში), ამას მხარს უჭერს თვით ხელნაწერთა ჩვენება და სწორედ ეს არის ყველაზე გადამწყვეტი. პროლოგის ეს ვრცელი რედაქცია სათავეს იღებს აწ დაქარაველი პროტოგრაფიდან, რომელსაც ზუსტად ისეთივე თანრიგი ჰქონდა, როგორც მოკლე, თავნაკლული პროლოგის რედაქციას, მაგრამ აქ ჯერ კიდევ არ იყო დაქარაველი ზემოაღნიშნული 8 სტროფი. ამის შემდეგ თანდათან მოხდა ასეთი ტიპის პროლოგის შევსება გვიანდელი ჩანარებით (რასაც კარგად ავლენს ხელნაწერთა შედარებითი შესწავლა, მაგრამ ამაზე ქვემოთ) და მივიღეთ ის სახე, რომელიც ჩვენ გვაქვს H-54-ის მსგავს ხელნაწერებში თავისი 40-სტროფიანი პროლოგით. ამ მოსაზრებას დამაჩერებელს ხდის ის გარემოებაც, რომ ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ერთი ჯგუფი („ზაზასეული“ და სხვ.), რომელიც აშკარად სხვა ტიპის პროლოგს შეიცავს და თავისი შემადგენლობით განსხვავებული დედნიდან უნდა მოდიოდეს, გვიჩვენებს, რომ ეს რვა სტროფი პროლოგის უეჭველი კუთვნილებაა. ეს მოსაზრება მით უფრო მყარი ჩანს, რომ, როგორც ჩვენ შემდეგ ვნახავთ, პროლოგის ეს რედაქცია („ზაზასეული“ და სხვ.) შედარებით თავისუფალია გვიანდელი ჩანარებისაგან და მოცულობის თვალსაზრისით საკმაოდ ავთენტიკური უნდა იყოს.

აღნიშნული დასკვნა H-54-ის ტიპის ვრცელი პროლოგის გამო, ერთხელ კიდევ სვამს საკითხს, რომ, მიუხედავად ინტერპოლაციათა დიდი კვალისა, პროლოგის ეს ვრცელი რედაქციები კრიტიკული შესწავლის შემდეგ უნდა მივიღოთ ერთ-ერთ საფუძვლად ვეფხისტყაოსნის პროლოგის საბოლოოდ დადგენის დროს¹⁴.

ჩვენ უკვე დავახასიათეთ ხელნაწერებში დაცული პროლოგის ორი სახე, რომელთაც სტროფების ერთნაირი თანამიმდევრობა აქვთ. მაგრამ მოცულობით ერთი მოკლე, თავნაკლულ ტექსტს იძლევა (H-599 და სხვ.), ხოლო მეორე — ბევრად უფრო ვრცელ რედაქციას (H-54 და სხვ.) და ამასთან გაკვირით აღვნიშნეთ, რომ ხელნაწერთა შედარებითი შესწავლა გვიჩვენებს სხვაგვარი სახის მქონე პროლოგსაც, რომელიც მკვე-

¹⁴ რადგან ამ მონაკვეთში მოკლე რედაქციის შემცველი ხელნაწერები მძიმედ არიან დაზიანებულნი.

თრად განსხვავდება ზემოთ აღნიშნულ ხელნაწერთაგან. განსხვავება არის არა მარტო სტროფების თანამიმდევრობაში, არამედ შედგენილობაშიც (ეს უკანასკნელი კი ამ სახის პროლოგში განსაკუთრებით საინტერესოა). პროლოგის სახეების დახასიათების დროს ჩვენ პირველ რიგში ვაყენებთ „ზაზასეულ“ ხელნაწერს (Q-1082) არა იმიტომ, რომ იგი თითქოს უძველესი იყოს ხელნაწერთა ამ ჯგუფში, არამედ აქ დაცული პროლოგის შედარებით ნაკლებად დაზიანების გამო (ამ ხელნაწერის პროლოგის აღდგენის გარშემო იხ. ჩვენი „ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია“, 1957 წ., გვ. 99 — 101).

„ზაზასეული“ ხელნაწერის პროლოგი:

1 პირველ თავი, დასაწყისი...

- 1 (2) — რომელმან შექმნა სამყარო...
- 2 (3) — ჰე, ღმერთო ერთო, შენ შექმენ...
- 3 (4) — ვის შეენის, ლომსა ხმარება...
- 4 (5) — თამარს ვაქებდეთ მეფესა.
- 5 (6) — მიბრძანეს მათად საქებრად. ...
- 6 (7) — აწ, ენა მინდა გამოთქმად...
- 7 (8) — მო, დავხდეთ ტარიელისთვის...
- 23 (29) — მიჯნურსა თვალად სიტურფე..
- 24 (31) — მიჯნურობა არის ტურფა...
- 25 (32) — ხამს მიჯნური ხანიერი...
- 26 (34) — ამას საქმესა მიჯნური...
- 27 (35) — არს პირველი მიჯნურობა...
- 28 (36) — ხამს თავისსა ხეაშაღსა...
ვერეინ ხელყოფს შესაფერად...¹⁸
მიჯნურნო ხედავთ რუსთველი...
მელექსეთ აწვრთნის, ნუ ცდილობთ...
- 29 (38) — მას უშმაგო ვინ მიენდოს.
(9) — ტარიელ კარგსა მოყმესა...
- 8 (9) — მე რუსთველი ხელობითა...
- 9 (10) — ესე ამბავი სპარსული...
- 10 (12) — თვალთა მისთა უნათლოთა...
- 11 (13) — რაცა ვის რა ბედმან მისცეს...
- 12 (15) — შაირობა პირველადვე...
- 13 (16) — ვითა ცხენსა შარა გრძელა...
- 14 (17) — მაშინლა ნახეთ მელექსე.
- 15 (19) — მოშაირე არა ჰქეიან...
- 18 (20) — მეორე ლექსი ცოტაი...
- 17 (22) — მესამე ლექსი კარგია...

¹⁸ ეს სტროფები „თვით ზაზასეული“ ხელნაწერის გადაწერის იოსებ ტვილელს ეკუთვნის და მხოლოდ ამ ხელნაწერის თავისებურებას წარმოადგენს, იხ. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1957, გვ. 100—101.

- 18 (24) — ხამს მელექსე ნაჭრეებსა...
 19 (25) — ჩემი აწ სცანით ყოველმან...
 20 (26) — ვაჟკა მიჯნურობა პირველი...
 21 (27) — მას ერთსა მიჯნურობასა. ..
 22 (28) — მიჯნური შმაგსა გვიქვიან...
 30 (39) — მიკვირს კაცი რად იფერებს...
 31 (40) — თუ მოყვარე მოყვრისათვის...

ეს არის „ზაზასეული“ ხელნაწერის პროლოგის სრული სახე (აღდგენის შემდგომ) და, როგორც ვხედავთ, აქ მკვეთრი სხვაობაა პროლოგის ზემოთ დახასიათებულ ტიპებთან შედარებით. სტროფების თანამიმდევრობის თვალსაზრისით აქ სამი ნახტომია. საიუბილეო გამოცემის მე-7 სტროფიდან პირდაპირ გადადის 22-ე სტროფზე, 29-ე სტროფს მისდევს მე-8 სტროფი, ხოლო 22-ეს კი—პირდაპირ 30-ე სტროფი. თუ ზემოთ დახასიათებული პროლოგის თანრიგს იზიარებენ ვეფხისტყაოსნის უკანასკნელი გამოცემები, „ზაზასეული“ პროლოგის თანრიგს, როგორც ცნობილია, იცავს პოემის 1712 წლისა და შემდეგ მისი გავლენით მე-19 საუკუნის გამოცემები.

აქვე ირკვევა ვახტანგისეული გამოცემების ერთი თავისებურებაც: ისევე როგორც პოემის სხვა ნაწილისა, პროლოგის რიგის შემუშავებაც არ ეკუთვნის ვახტანგისეული რედაქციის შემქმნელებს, იგი წარმომდინარეობს მე-17 საუკუნის ხელნაწერებიდან. კონკრეტულად ვახტანგისეული გამოცემა ამ შემთხვევაში „ზაზასეული“, ან მასთან ახლო მდგომ რომელიმე ხელნაწერს ეყრდნობოდა¹⁶.

იბადება ასეთი კითხვაც. რატომ სწორედ ასეთი, ხარვეზების (ან უკეთ ნახტომების) შემცველი რიგი აიჩრია 1712 წლის გამოცემის რედაქტორებმა ბექლური ვეფხისტყაოსნის პროლოგის შემუშავებისას? კითხვაზე, ჩვენი აზრით, მხოლოდ ამგვარი პასუხი ჩანს მართებული. ის ხელნაწერები, რომლებიც პროლოგის ე. წ. ჩვეულებრივ თანრიგს იცავენ, როგორც ვნახეთ, შედგენილობის მხრით ორ ძირითად ჯგუფად იყოფა — პირველი ჯგუფის ხელნაწერები, მაგ. H — 599, S — 2829 და სხვ., აშკარა დეფექტური დედნებიდან მოდიან და პროლოგის მინიმალური რაოდენობის სტროფებს შეიცავენ. ალბათ. ამიტომ ასეთი პროლოგი არ მიიღეს სახელმძღვანელოდ ამ გამოცემის რედაქტორებმა. ხოლო მეორე ჯგუფის ხელნაწერები კი H — 54, H — 757, H—2074, როგორც ვნახეთ, წარყვნილია უამრავი ჩანართებით და, ცხადია, ესეც უდავოდ გამოიწვევდა რედაქტორთა უნდობლობას.

რაც შეეხება „ზაზასეული“ ხელნაწერის ღირსებას. აქ თუშცა პროლოგის ნახტომებიანი რიგია შემონახული, მაგრამ შედგენილობის მხრავ იგი ყველაზე სანდო ჩვენებას იძლევა (არის მხოლოდ ამჟამად

¹⁶ ამაზე დაწერილებით იხ. მომდენო თავებში.

ჩანართად მიჩნეული ორი სტროფი „პირველ თავი დასაწყისი...“ და „ტარიელს კარგსა მოყმესა...“). სწორედ ამ უკანასკნელი გარემოების გამო, ჩვენი აზრით, 1712 წლის გამოცემამ საფუძვლად მიიღო „ზაზასეული“ ხელნაწერის მსგავსი პროლოგი.

„ზაზასეული“ ტიპის პროლოგს იცავს რამდენიმე ხელნაწერი, მაგრამ სანამ მათ შევვხვებოდე, საინტერესოა ერთი საკითხი: როგორ, რა გზით მივიღეთ პროლოგის ორგვარი თანამიმდევრობა. ჩვენთვის ამჟამად ცნობილია, თუ როგორ მოხდა „ზაზასეულში“ დაცული სტროფული თანამიმდევრობის ჩამოყალიბება. იგი ზემოთ აღნიშნულ პროლოგთა თანრიგის შემთხვევითი აღრევით წარმოიშვა. კერძოდ, ერთი ფურცლის (რომელიც შეიცავდა 23-ე, 24-ე, 26-ე, 27-ე, 29-ე, სტროფებს) წინ გადასმით¹⁷. სწორედ ამიტომ, თანრიგის ამ თავისებურების გამო ჩვენ მას მეორეული ტიპის პროლოგს ვუწოდებთ და გამოვყოფთ ზემოთ აღნიშნული პროლოგის შემცველი ნუსხებიდან. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს აღრევა საკმაოდ აღრე უნდა მომხდარიყო, როცა ჯერ კიდევ H—599 ხელნაწერის ტიპის დედანი თავნაკლული არ იყო. სწორედ ამიტომ „ზაზასეული“ ტიპის ხელნაწერებში შემონახულია შედარებით წაურყვნელი პროლოგის შედგენილობა, რაც განსაკუთრებულად საინტერესოა პროლოგის ტექსტის დადგენისათვის.

ხელნაწერთა შედარებითი შესწავლა არკვევს, რომ პროლოგის ეს სახე დაცულია სხვა ნუსხებშიაც. აქ დავასახელებთ მხოლოდ უფრო მნიშვნელოვან ხელნაწერებს. მაგალითისათვის ავიღოთ ერთ-ერთი საინტერესო ნუსხა S—4988, რომელიც გადაწერილია მე-17 საუკუნის ბოლო წლებში და რომელიც, სხვათა შორის, ერთ დროს ილია ჭავჭავაძის კუთვნილება ყოფილა. აქ პროლოგი გადარჩენილია მხოლოდ ორ ფურცელზე, მაგრამ შესაძლოა გავარჩიოთ, თუ როგორი ტიპის პროლოგიდან მომდინარეობს. მეორე ფურცელზე საიუბილეო გამოცემის 22-ე სტროფს: „მიჯნური შმაგსა გვიქვიან“... მისდევს 30-ე სტროფი: „მიკვირს კაცი რად იფერებს...“, ე. ი. ამ ადგილას ზუსტად ისეთივე ნახტომია, როგორც „ზაზასეულში“, რაც კარგად ამხელს S—4988 ხელნაწერის პროლოგის თავისებურებას. ამასთან აღსანიშნავია სხვა მომენტიც. პროლოგის გადარჩენილ მონაკვეთში S — 4988 ხელნაწერს ახლავს ამჟამად ჩანართად აღიარებული ხუთი სტროფი: „თუ მიჯნურსა მიჯნურობა...“ (14), „მე ვიკადრებ ლექსთა კარგთა...“ (18), „ამბავი წერილად უამბო...“ (21), „მე ვიამბობ ვინცა იყვნეთ...“ (23), „მას ცოცხალი ნუ ელევის...“ (33)¹⁸. მაშინ როცა ამავე მონაკ-

¹⁷ დაწერილებით იხ. ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, დასახელებული წიგნი, გვ. 104—105.

¹⁸ სათვალავი აქ ზემოთ დასახელებული ვეფხისტყაოსნის ვრცელი გამოცემიდანაა.

ვეთზე „ზაზასეული“ არ ვვაქვს არც ერთი ე. წ. ჩანართი. როგორც ჩანს S — 4988 ხელნაწერის გადამწერს (ან შესაძლოა ეს ხელნაწერის უშუალო წყაროში მოხდა), დაუწყია სხვა, ვრცელ ხელნაწერთაგან სტროფების შემომატება. ამაზე ნათლად მიუთითებს კიდევ ერთი დეტალი. ჩანართი სტროფი „მას ცოცხალი ნუ ელევის...“ ამ ხელნაწერებში (ან მის დედანში) ჩაუწერიათ არა თავის ადგილას, როგორც სხვა ხელნაწერებშია. არამედ პროლოგის ბოლო სტროფის (თუ მოყვარე მოყვრისათვის“...) შემდეგ.

საინტერესოა აგრეთვე ხელნაწერი Q-799, რომელიც მე-18 საუკუნისა უნდა იყოს. იგი შეიცავს ორ პლასტს, რომელთაგან მეორე ვახტანგისეული გამოცემის პირს წარმოადგენს (საიუბილეო გამოცემით დაასლოებით 225-ე სტროფიდან). რაც შეეხება პირველ პლასტს. აქ განსაკუთრებით საინტერესოა პროლოგი; წინა ხელნაწერის მსგავსად. პირველი ფურცლები დაზიანებულია და იკითხება მხოლოდ 10 სტროფი. შესწავლამ გამოარკვია, რომ აქ დაცულია „ზაზასეული“ ხელნაწერის მსგავსი პროლოგი, ოღონდ S—4988 ხელნაწერის მსგავსად გადარჩენილ მონაკვეთზე მოდის იგივე ჩანართები. ე. ი. Q-799 ხელნაწერიც „ზაზასეული“ ტიპის პროლოგის შემდგომი შევსება-შემატების შედეგია.

პროლოგის აღნიშნულ თანამიმდევრობას გვაძლევს აგრეთვე ხელნაწერი S-5006, რომელიც თავსა და ბოლოში ვრცელ რედაქციას გვაძლევს¹⁹, ეს ხელნაწერი ამ მონაკვეთში საინტერესოა იმით, რომ იგი ზუსტად „ზაზასეული“ ხელნაწერის მსგავს პროლოგს შეიცავს (იოსებ ტფილელისეული სამი ჩანართი სტროფის გარეშე) და ამასთან აქ პროლოგი დაცულია სრულიად დაუზიანებლად.

ახლა რომ შევაჯამოთ ყოველივე ზემოთქმული, მივიღებთ ასეთ სურათს: ვეფხისტყაოსნის ძირითადი ხელნაწერები წარმოგვიდგენენ სამ სხვადასხვა ტიპის პროლოგს²⁰:

პირველი — პროლოგი, რომელიც თავნაკლულია (აქ არ არის მეტ-ნაკლებობით პირველი 8 სტროფი), ხოლო სტროფული თანამიმდევრობა ჩვეულებრივია, ე. ი. ისევე, როგორც უკანასკნელ გამოცემებში. ასეთი ტიპის პროლოგს შეიცავენ ხელნაწერები: H — 599, პარიზული ხელნაწერი P — 10, S — 2829 და სხვ.

¹⁹ როორც ახლა ვარკვეულა, შუა მონაკვეთში იგი ვახტანგისეული გამოცემის პირს წარმოადგენს. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1957, გვ. 55—61.

²⁰ იმის გამო, რომ პროლოგის სხვადასხვა ჩუქურები ძირითადად „შექანიკური“ და არა შეგნებული ხასიათის ცვლილებათა ნიშნით არის გამოყოფილი, ამიტომ თავს ვიკავებთ ტერმინიდან „რედაქცია“.

მეორე — პროლოგი, რომელიც აგრეთვე სტროფების ჩვეულებრივ (ან უკეთ პირვანდელ) თანამიმდევრობას იცავს, მაგრამ შედგენილობის მხრით ვრცელ რედაქციას გვაძლევს. პროლოგი აქ შეიცავს 40 სტროფს და უნდა წარმოადგენდეს ზემოაღნიშნულ ხელნაწერთა პროტოგრაფის შემდგომ შევსება-განვითარებას, როცა ამ უკანასკნელს, ჯერ არ ჰქონდა დაზიანებული პროლოგის პირველი ნაწილი. ასეთია ხელნაწერები: H—54, H—2074; H—757, Q—483, H—1839 და სხვ.

მესამე — ე. წ. „ზაზასეული“ ტიპის ხელნაწერებში დაცული პროლოგი, სადაც სტროფები სხვაგვარი თანამიმდევრობითაა მოცემული და ამასთან არის ნაკლები ჩანართები. ასეთია ხელნაწერები Q—1032 („ზაზასეული“). S—5006 და S—4988; Q—799. თუმცა ამ ორ უკანასკნელს დამატებით კიდევ რამდენიმე ჩანართი სტროფი ახლავს.

ახლა, თუ ჩვენ ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა მთელ მემკვიდრეობას გადავხედავთ, ნათელი გახდება, რომ მიუხედავად გარკვეული სახესხვაობისა (რომელთაგან ზოგი შემთხვევითია), პოემის ნუსხებში დაცული ეს მონაკვეთი ერთ-ერთ რომელიმე რედაქციულ ტიპს მიჰყვება (რასაკვირველია, თუ გადარჩენილია პროლოგის მცირე ფრაგმენტი მაინც). ხელნაწერთა განხილვას ვიწყებ იმ რიგით, როგორც ეს პოემის უკანასკნელ ჩანართებიან გამოცემებშია²¹:

1. H—757 ხელნაწერი (ვადაწ. 1671 წ.). პროლოგი დაცულია კარგად. შეიცავს 40-სტროფიან პროლოგს, ე. ი. 1937 წ. საიუბილეო გამოცემასთან შედარებით, ახლავს 9 ჩანართი სტროფი. სტროფული თანამიმდევრობის მიხედვით წარმოავლიდგენს ჩვიოლებრივ რიგს. რასაც სტროფების თავდაპირველ წყობას ვუწოდებთ. ჩვენი პირობითი აღნიშვნით აქ არის დაცული მეორე ტიპის პროლოგი.

2. H—54 (ვადაწ. 1680 წ.), პროლოგი დეფექტურადაა მოღწეული, თუმცა შესაძლოა მისი აღდგინა. (იხ. ზემოთ). თავიდან შეიცავდა 40-სტროფიან ჩვეულებრივი თანრიგის მქონე პროლოგს, ე. ი. ხელნაწერს დაუცავს მეორე ტიპის პროლოგი.

3. H—2074 (XVII საუკ. შუა წლები),²² პროლოგი მთლიანადაა შენახული. შეიცავს 40-სტროფიან ვრცელ პროლოგს. ე. ი. ზუსტად

²¹ მაგალით. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები. ტ. I, II, III, IV; ვეფხისტყაოსნის სტროფული შედგენილება (შედგენილი ს. ყუბანეიშვილს მიერ), 1959. და ა. შ. მხოლოდ აქ ვარ მოხვდა ხელნაწერები B¹ (H—964a), T¹ (H—248), რომლებიც შედროებით იყვენერ შეტანილი მნიშვნელოვან ხელნაწერთა რიგში. ორივე ეს ხელნაწერი ვახტანგი ეული გამოცემიდან მდის. ამჟებროდ გამოვლინდა სხვა ძვილი რედაქციების შემცველი ხელნაწერები, რომელთა მონაცემები გთვალისწინებულა წინამდებარე ნაშრომში.

²² ამ ხელნაწერზე იხ. 197 წ. გამოც. ჩემი წიგნი, ეოზისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, სადაც გამოთქმულია მოსაზრება, რომ ხელნაწერი შესაძლოა მიეკუთვნებოდ მე-17 საუკ. პირველ ნახევარს, ან უფრო ზუსტად — მავ საუკუნის შუა წლებს.

ემთხვევა წინა ხელნაწერებს. პროლოგის სტროფების თანამიმდევრობაც პირვანდელია. ე. ი. ხელნაწერი იძლევა მეორე ტიპის პროლოგს.

4. Q — 1082 (ზაზასეული“ ხელნაწერი. გადაწერილია მე-17 საუკ. 60-იან წლებში), ხელნაწერში დეფექტურია პირველი ფურცლები, მაგრამ სხვა ხელნაწერთა მოშველიებით შესაძლოა პროლოგის მთლიანი სახის წარმოდგენა. თავდაპირველად პროლოგი შეიცავდა 33 სტროფს, რომელსაც შუაში ერთვოდა თვით იოსებ ტფილელის მიერ შეთხზული კიდევ 3 ჩანართი, რომლებიც სხვა ხელნაწერებში არ მოიპოვება. 33 სტროფიდან ჩანართად ითვლება მხოლოდ ორი სტროფი: „პირველ თავი დასაწყისი ნათქვამია იგ სპარსულად...“ და „ტარიელს კარგსა მოყმესა...“ სტროფული თანამიმდევრობა პროლოგისა ხელნაწერში მეორეულია. ე. ი. შეიცავს რამდენიმე ნახტომს. ამრიგად, „ზაზასეულ“ ხელნაწერში გვაქვს მესამე ტიპის პროლოგი.

5. H — 599 (1646 წ.), შეიცავს თავნაკლულ პროლოგს (ჩვენი დაკვირვებით ეს ხარვეზი დედნიდან მომდინარეობს). არა აქვს საიუბილეო გამოცემის პირველი 8 სტროფი, ე. ი. აქ პროლოგი შეიცავს სულ 24 სტროფს. ამჟამად აღიარებული ჩანართებისაგან არის მხოლოდ ერთი სტროფი: „მას ცოცხალი ნუ ელევის...“ სტროფული თანამიმდევრობა პროლოგისა პირვანდელი ანუ ჩვეულებრივია. მამასადამე, ხელნაწერი H-599 შეიცავს პირველი ტიპის პროლოგს.

6. S—2829 (გადაწ. 1688 წ.), პროლოგი დაუზიანებლადაა მოღწეული. H-599-ის მსგავსად ახასიათებს თავნაკლული პროლოგი, თუმცა აქ იგი ოდნავ შევსებულია. მაგალითად, გარდა ჩანართისა „მას ცოცხალი ნუ ელევის“... რაც H—599-შიც გვხვდება, იგი მეტია შემდეგი სტროფებით: „პირველ თავი დასაწყისი ნათქვამია იგ სპარსულად...“ „რომელმან შექმნა სამყარო...“ (საიუბ. გამოცემის პირველი სტროფი), „მე რუსთველი ხელობითა...“ და „ესე ამბავი სპარსული...“ (საიუბ. გამოცემის მე-8 და მე-9 სტროფები). არის აგრეთვე კიდევ ერთი ჩანართი: „თუ მიჯნურსა მიჯნურობა...“ სტროფული თანამიმდევრობაც H—599-ის მსგავსია, ე. ი. არის თავდაპირველი თანრიგი. ამდენად, ხელნაწერი შეიცავს პირველი ტიპის პროლოგს.

7. S—1988 (XVII საუკ. ბოლო მეოთხედი), პროლოგი გადარჩენილია მხოლოდ ორ ფურცელზე. გადარჩენილი ფრაგმენტი ამხელს (იხ. ზემოთ), რომ აქ გვაქვს „ზაზასეული“ ხელნაწერის მსგავსი, მეორეული თანამიმდევრობის მქონე პროლოგი, თუმცა დამატებით ხელნაწერი ურთავს რამდენიმე, დღეს ჩანართად აღიარებულ, სტროფს („თუ მიჯნურსა მიჯნურობა...“, „მე ვიკადრებ ლექსთა კარგთა...“, „ამბავი წვრილად უამბოს...“, „მე ვიამბობ ვინცა იყვნენ...“, „მას ცოცხალი ნუ ელევის...“). ე. ი. ხელნაწერის ეს მონაკვეთი წარმოადგენს „ზაზასეული“ პროლო-

გის შევსება-განვითარებას. მიუხედავად ამისა, თავისი ძირითადი ნიშნებით ხელნაწერში დასტურდება მესამე ტიპის (ანუ „ზაზასეული“) პროლოგი.

8. H—2610 (XVII საუკ. ბოლო მეოთხედი), ხელნაწერის პროლოგი მთლიანად დაზიანებულია. რადგან ეს ხელნაწერი დაუზიანებელ ნაწილში ამჟღავნებს მსგავსებას „ზაზასეულ“ ნუსხასა და A—363 ხელნაწერთან, შესაძლოა გვეფიქრა, რომ აქაც პროლოგში შედარებით ნაკლები ჩანართები იყო (რაც შეეხება სტროფთა თანამიმდევრობას, ამის გარკვევა არ ხერხდება). ამდენად, პირობით ამ ხელნაწერის პროლოგიც შესაძლოა ვივარაუდოთ მესამე ტიპის პროლოგთა შორის.

9. Q—261 (XVII საუკ. ბოლო), ხელნაწერის ეს მონაკვეთი მეტად აღრეულია და სტროფები გადასმულ-გადმოსმული, მაგრამ მაინც შეიმჩნევა, რომ აქ იყო ჩვეულებრივი ანუ პროლოგის პირვანდელი თანრიგი; კერძოდ, არ არის ნახტომი საიუბილეო გამოცემის მე-7 და 22-ე სტროფებს შორის. გარდა ამისა, ხელნაწერში არის ორი თავისებური ჩანართი: „შინ შეჰქმენ დავით“... და „მეთობა. ტახტი გვირგვინი...“, რომლებიც ვრცელ, ჩანართებიან ვეფხისტყაოსნის გამოცემაში აღნიშნულია 2¹ და 2² ნომრით. აღსანიშნავია, რომ პროლოგის ეს ორი ჩანართი არის მხოლოდ რამდენიმე ხელნაწერში, როგორცაა: K—205, S—4527. ლიტერატურული მუზეუმის — C—10768/191 და ვახტანგ ასლანიშვილის კოლექციის ხელნაწერში²³. Q—261-ში არის აგრეთვე სხვა ხელნაწერებიდან ცნობილი ჩანართებიც, როგორცაა: „მას ცოცხალი ნუ ელევის...“ „თუ მიჯნურსა მიჯნურობა...“, „ჰე, ღმერთო, შენგან იქების...“ (ეს პროლოგიდან ცნობილი მეორე სტროფის უბრალო სახესხვაობაა) და „ტარიელს კარგსა მოყმესა...“ (აღსანიშნავია, რომ ხელნაწერის პირველ ფურცელზე სხვა ხელითაა აღდგენილი ერთი სტროფი: „თამარს ვაქებდეთ მეფესა...“).

ყველა ამ ნიშნით ხელნაწერი შეიცავს ე. წ. მეორე ტიპის ვრცელ პროლოგს.

10. H—461 (XVII—XVIII საუკ. მიჯნა), როგორც ცნობილია, ეს არის ყველაზე ტიპური იმ ხელნაწერთა შორის, რომელთაც განსაკუთრებით ატყვია თვითნებური გადაწერ-რედაქტორის ხელი. ეს კარგად გამოჩნდება ამ ხელნაწერის მთლიანად დახასიათების დროს, მაგრამ აღნიშნული აღრეულობა პროლოგსაც ეტყობა. თავი რომ დავეანებოთ იმას, რომ აქ გადასმულია პროლოგის თითქმის ყველა სტროფი, ამ ხელნაწე-

²³ ეს ხელნაწერი ახლა დაცულია მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში:

რის რედაქტორსა თუ გადამწერს ეპილოგიდანაც კი წამოულია ცნობილი სტროფი: „ამირან-დარეჯანისძე მოსეს უქია...“ ანდა პროლოგის 31 (40) სტროფი ხელნაწერში მისდევს 702 (861) სტროფს, ე. ი. ჩასმულია იმ ეპიზოდში, სადაც ავთანდილი თინათინს უამბობს უცხო მოყმის ამბავს²⁴. ასევე სხვა ადგილას არის ხელნაწერში გადასმული ცნობილი მე-9 სტროფი—„ეე ამბავი სპარსული...“ და სხვ. მიუხედავად ამისა ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა შევნიშნოთ, რომ აქ პროლოგის სტროფებს შორის ძირითადად პირვანდელი თანამიმდევრობაა დაცული (კერძოდ. 22-ე სტროფს ჩვეულებრივ მოჰყვება 23-ე სტროფი, 28-ეს — 29-ე და ა. შ.). შეინიშნება რამდენიმე ჩანართიც: „თუ მიჯნურსა მიჯნურობა...“, „ამბავი წერილად უამბოს...“, „მას ცოცხალი ნუ ელევის...“ და ეპილოგიდან გადმოტანილი „ამირან-დარეჯანის-ძე მოსეს უქია...“. ხელნაწერში შესაძლოა იყო სხვა ჩანართებიც, მაგრამ ამჟამად ძნელია მათი ამოკითხვა, მაშასადამე, აქ გვაქვს ძირითადად პროლოგის პირვანდელი თანრიგი, ხოლო შედგენილობით იგი საკმაოდ გავრცობილია, ამდენად, ხელნაწერის პროლოგს ჩვენ მეორე ტიპისას ვუქავშირებთ.

11. S—4499 (XVII საუკ.), პროლოგი გადარჩენილია მხოლოდ ერთ ფურცელზე 8-სტროფიანი ფრაგმენტის სახით. მაგრამ ჩანს, რომ სტროფების თანამიმდევრობა ჩვეულებრივი ყოფილა. იწყება 21-ე სტროფით: „მას ერთსა მიჯნურობასა...“ გადარჩენილ ფრაგმენტში არის მხოლოდ ერთი ჩანართი: „მას ცოცხალი ნუ ელევის...“, ისევე როგორც H — 599-ში, ხოლო ამავე მონაკვეთში ვრცელი პროლოგიანი ხელნაწერები შეიცავენ მეორე ჩანართსაც: „ვის ეს ყველა არა სჭირან...“ (იხ. ხელნაწ. H — 757 და სხვ.), ჩემი აზრით, აქ საქმე გვაქვს მეორე ტიპის პროლოგთან²⁵.

12. (A — 363 (XVII საუკ.), ფურცელთა დაკარგვის გამო მთლიანად დაზიანებულია პოემის პროლოგი და პირველი თავები. (პროლოგის აღდგენა არ ხერხდება, რადგან ეს ხელნაწერი თუმცა შუა მონაკვეთით ახლოა „ზაზანეული“ ნუსხის მსგავს ხელნაწერებთან, მაგრამ მათ საერთო შორეული პროტოგრაფი უნდა ჰქონდეთ საფუძვლად, სადაც შესაძლოა არც იყო აღრეული პროლოგის რიგი).

13. Q — 779 (XVII საუკ.), ხელნაწერს, დაზიანების გამო, ამჟამად პროლოგი არ მოეპოვება. მას მეორე ტიპის პროლოგი უნდა ჰქონოდა.

²⁴ საინტერესოა, რომ პროლოგის ეს სტროფი ასევე გადასმულია „მზეხათუნისეულ“ ხელნაწერში (W—17). ამგვარ დამთხვევებზე ჩვენ უფრო დეტალურად შემდეგ შეეჩერდებით.

²⁵ S—4499 ხელნაწერის სხვა მონაკვეთებიც უკერძო ამას მხარს, რაზედაც იხ. ქვემოთ.

რადგან ხელნაწერის გადარჩენილ ნაწილში იგი ვრცელ რედაქციებს უახლოვდება (მაგ. H — 757 და სხვ.).

14. S — 3077 (XVII საუკ.), ამ ხელნაწერში, რომელმაც საერთოდ მხოლოდ ფრაგმენტის სახით მოაღწია (გადარჩენილია მხოლოდ 543 სტროფი), არ გვაქვს პროლოგი. მოკლე რედაქციებთან საერთო სიახლოვის გამო, შესაძლოა, აქ პირველი ტიპის პროლოგი იყო წარმოდგენილი.

15. K — 205 (XVII საუკ. ბოლო), აქ პროლოგი მეტად თვითნებურადაა დალაგებული, გადასმულია თითქმის ყველა სტროფი, მაგალითად, პირველ სტროფად აქ არის „ჰე, ღმერთო ერთო“, (საიუბილეო გამოცემის მეორე სტროფი), ხოლო მეორე სტროფად კი „რომელმან შექმნა სამყარო...“ და ა. შ. მაგრამ მაინც შეინიშნება, რომ თანამიმდევრობის მიხედვით აქ საქმე გვაქვს ჩვეულებრივ წყობასთან (არ არის ნახტომები საიუბილეო გამოცემით მე-7 სტროფიდან 23-ე სტროფზე, 22-დან 30-ზე და ა. შ.). ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ აქ უკვე არის პირველი სტროფები, რომლებიც თავნაკლული პროლოგის მქონე ხელნაწერებს (H — 599 და სხვ.) აკლია, ამას უნდა დამატოს ისიც, რომ არის ისეთივე ჩანაროები, როგორც ეს ვრცელ პროლოგიან ხელნაწერებშია: „პირველ თავი დასაწყისი...“, „ამბავი წერილად უამბოს...“, „მას ცოცხალი ნუ ელევის...“, რომელიც არის ვრცელ პროლოგებში და აგრეთვე ორი ჩანართი სტროფი: „შენ შექმენ დავით...“ და „მეფობა ტახტი გვირგვინი...“ ეს უკანასკნელი ჩანართი ჭერჯერობით მხოლოდ რამდენიმე — Q — 261, S — 4527, ლიტერ. მუზეუმის C—10768/191 და ვ. ასლანიშვილის კოლექციის ხელნაწერში დასტურდება.

ყველა ამ ძირითადი ნიშნით (ე. ი. თანრიგითა და შედგენილობით) ეს ხელნაწერი შეიცავს მეორე ტიპის (ვრცელ) პროლოგს.

16. S — 1418 (XVII საუკ.), ხელნაწერიდან გადარჩენილია მხოლოდ 86-სტროფიანი ფრაგმენტი. პროლოგი არ შენახულა. ძნელდება ხელნაწერის შედგენილობის გარკვევა.

17. K — 215 (XVII საუკ.), დაზიანებული ხელნაწერი (შეიცავს მხოლოდ 428 სტროფს). პროლოგი არ შენახულა. ხელნაწერი ახლოა (სხვა მონაკვეთების მიხედვით) „ზაზასეულ“ ნუსხასთან, რის გამოც შესაძლოა აქაც პროლოგის მესამე ტიპი ვივარაუდოთ.

18. Q — 930 (XVII საუკ. მეორე ნახევარი), ხელნაწერი დაზიანებისაგან აღდგენის შემდეგ შეიცავს დაახლოებით 1800-მდე სტროფს. პროლოგის შემცველი ფურცლები დაკარგულია. მაგრამ სხვა მონაკვეთებით ხერხდება მისი აღდგენა²⁶. ეს ხელნაწერი დიდ სიახლოვეს ამქლავნებს Q — 261-ე ხელნაწერთან, ჩვენ შემდეგ საგანგებოდ განვიხილავთ

²⁶ იხ. ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, ლიტერატურული წერილები, 1966, გვ. 117—120.

და ვნახავთ, რომ აქ უნდა გვექონოდა მეორე ტიპის (თუმცა შედარებით ნაკლებჩანართიანი) პროლოგი.

19. H — 3249 (XVII საუკ.), გადარჩენილია მხოლოდ ერთი ფურცელი და შეიცავს 625 — 632 სტროფებს (სულ 8 სტროფს). ძნელდება ტექსტის შედგენილობის განსაზღვრა (სხვა თავისებურებებზე იხ. ქვემოთ).

20. „მწეხათუნისეული“ ხელნაწერი — W — 17 (XVIII საუკ.), ამ ხელნაწერში დაზიანებულია პირველი თავები, რომლებიც 145 (210) სტროფამდე: „...კმა შევიდა, თავყანისცა, მადლი რამე მოახსენა...“ არის აღდგენილი შემდეგ სხვა ხელით. როგორც შედარებამ გააჩვენა, ხელნაწერის აღდგენილი პლასტი გადმოწერილია ვახტანგისეული გამოცემიდან. კერძოდ, ხელნაწერის პროლოგი ვახტანგისეული გამოცემის პირს წარმოადგენს. ამდენად, ამ ხელნაწერის ჩვენებას პროლოგის კლასიფიკაციის დროს მნიშვნელობა ეკარგება. მაგრამ სხვა მონაკვეთებში ეს ხელნაწერი, როგორც ვნახავთ, განსაკუთრებულ სიახლოვეს ამჟღავნებს H-461 ხელნაწერთან. აქედან, ბუნებრივია, უნდა ვიფიქროთ, აქაც თავდაპირველად მეორე ტიპის პროლოგი იყო წარმოდგენილი.

21. S — 5006 (XVIII საუკ.), ეს ხელნაწერი თავის შუა მონაკვეთში, როგორც ახლა გარკვეულია, გადმოწერილია ვახტანგისეული გამოცემიდან, ხოლო პირველი თავები და პოემის გაგრძელებანი—ვრცელი ხელნაწერიდან (თუმცა ხელნაწერი ერთი გადაწერის მიერ არის შესრულებული). შესწავლის შემდგომ გამოირკვა, რომ ამ ხელნაწერის პროლოგი შეიცავს ზუსტად „ზაზასეული“ ნუსხის ტიპის პროლოგს ისეთივე თანმიმდევრობით (პროლოგის მეორეული თანრიგი) და ერთი ჩანართი სტროფით: „ტარიელს კარგსა მოყმესა...“. მხოლოდ S — 5006-ში არ არის პროლოგზე დართული სამი ჩანართი სტროფი, რომლებიც თვით იოსებ ტფილელის შეთხზულია. ყველა ნიშნით S — 5006 გვიჩვენებს პროლოგის მესამე ტიპს.

22. H—3061 (XVIII საუკ.) აქაც, შედარების შემდგომ, გამოირკვა, რომ ხელნაწერის პირველი ნაწილი, კერძოდ, საიუბილეო გამოცემის 153-ე სტროფამდე გადაწერილია სხვა ხელით და, რაც აღსანიშნავია, გადაწერილია ვახტანგისეული გამოცემიდან. ამდენად, პროლოგის საკითხში ხელნაწერს მნიშვნელობა ეკარგება²⁷. თუ ხელნაწერის სხვა მონაკვეთებს გაუწევთ ანგარიშს, აქ შესაძლოა ვივარაუდოთ „ზაზასეულის“ მსგავსი მესამე ტიპის პროლოგი.

²⁷ ხელნაწერთა H-ვონდის აღწერილობის მე-6 ტომში ამ ხელნაწერის აღწერისას არ ჩანს, რომ ეს ხელნაწერი სხვადასხვა პლასტს შეიცავს.

23. პარიზული ხელნაწერი, P—10 (1702 წ.), პროლოგი ერთგვარ სიახლოვეს ამქალაქებს H—599 ხელნაწერთან. თანრიგი ანუ სტროფული თანამიმდევრობა ზუსტად იგივეა და, რაც მთავარია, ეს პროლოგიც თავნაკლული დედნიდან იღებს სათავეს: იწყება მეცხრე სტროფით: „ესე ამბავი სპარსული...“, მაგრამ საგულისხმოა, რომ H—599-თან შედარებით, ამ ხელნაწერში პროლოგი უფრო გვიანდელია, ან მის განვითარებას წარმოადგენს. თუ ამავე მონაკვეთში H—599-ში გვქონდა ერთი ჩანართი — „მას ცოცხალი ნუ ელევის...“ P—10-ში დამატებით კიდევ ორი ჩანართი გვაქვს: „თუ მიჯნურსა მიჯნურობა...“, „ვის ეს ყველა არა სჭირან...“ ე. ი. აქ პირველი ტიპის პროლოგის ვრცელი ვარიანტი მოცემული და, შესაძლებელია, იგი მეორე ტიპის პროლოგს მივაკუთვნოთ.

24. H—740 (XVII—XVIII საუკ. მიჯნაზე), პროლოგის შემცველი ფურცლები ხელნაწერში არ მოიპოვება. მაგრამ სხვა მონაცემების მიხედვით (ამაზე იხ. შემდეგ), აქ თავიდან პირველი ტიპის პროლოგი უნდა გვქონოდა.

25. თარხან მოურავისეული, W—27 (XVIII საუკ.), ხელნაწერს დაზიანებული აქვს პირველი თავები. პროლოგი სრულიად დაკარგულად ითვლებოდა და სხვა მონაცემების გათვალისწინებით აღრე აქაც პირველი ტიპის პროლოგს ვეარაუდობდით. ეს მოსაზრება საესიბით დადასტურდა. ახლახან ხელნაწერთა ინსტიტუტში აღმოჩნდა ამავე ხელნაწერიდან ამოღებული მინიატურა, რომლის მეორე გვერდზე მოთავსებულია პროლოგის ნაწყვეტი. დეტალურმა შესწავლამ გაარკვია, რომ აქ, მართლაც, პირველი ტიპის პროლოგია მოთავსებული (ამ ხელნაწერზე დაწვრილებით იხილე მომდევნო თავებში; იხ. აგრეთვე ე. მაქავარიანი, ვეფხისტყაოსნის უორდროპისეული ხელნაწერის უცნობი მინიატურა, კრებ. შოთა რუსთაველი, 1966, გვ. 123—124).

26. K—383 (XVIII საუკ.), პროლოგის შემცველი ფურცლები ამოხეული აქვს. სხვა მონაცემების გათვალისწინებით აქ პირველი ტიპის პროლოგი უნდა გვქონოდა (ყოველ შემთხვევაში ნაკლებ ჩანართებიანი).

27. H—1675/ა (XVII საუკ.), ხელნაწერში გადაჩენილია მხოლოდ 16 სტროფი. პროლოგი არ ჩანს. არ ახლავს ჩანართი სტროფებიც, საერთოდ შედგენილობის მიხედვით მისი რომელიმე რედაქციაზე მიკუთვნება ძალზე გაძნელებულია.

28. H—1830 (XIX საუკ.)²⁸, შეიცავს 40-სტროფიან, ვრცელ პროლოგს, თანრიგი სტროფებისა ჩვეულებრივია. ხელნაწერი ზუსტად იმე-

²⁸ ხელნაწერთა აღწერილობის მე-4 ტომში (H ფონდი) მითითებულია ქვირნიშანზე. ამასთან ჩვენ პირველ გვერდზე შევნიშნეთ თარიღი (მკრთალად) ჩელებ, ე. ი. 1832 წელი.

ორებს H—54, H—757 ხელნაწერების პროლოგს. ე. ი. გვაძლევს მეორე ტიპის ვრცელ პროლოგს.

29. Q—483 (1856 წ.), ხელნაწერი დეფექტურია და იწყება პროლოგის მე-15 სტროფით: „შაირობა პირველად...“, მაგრამ მაინც შესაძლებელია პროლოგის სახის ამოცნობა. გადარჩენილ მონაკვეთში ხელნაწერი ზუსტად იმეორებს ვრცელპროლოგიან ხელნაწერებს, როგორცაა, მაგალითად, H—757, H—2074, H—54 და სხვ. ასე რომ გადარჩენილ მონაკვეთში აქაც 6 ჩანართი სტროფია. ამდენად, ხელნაწერი შეიცავს მეოთხე ტიპის პროლოგს.

30. S—4527 (1805 წ.), ხელნაწერის შესწავლა არკვევს, რომ აქ არის პროლოგის მიორეული იანაზიმდეგრობა, როგორც აღვნიშნეთ „ზაზასეულ“ ხელნაწერში, ე. ი. არის ნახტომები პოემის ვრცელი გამოცემის მე-8 სტროფიდან 29-ე სტროფზე, 38-დან 9-ზე და 28-დან 39-ზე. ამასთან ხელნაწერში არის მრავალი ჩანართი, რითაც იგი „ზაზასეულს“ შორდება (როგორცაა 1, 2¹, 2², 9, 18, 21, 23 და 33). აღსანიშნავია, რომ 2¹ და 2² ჩანართები გვაქვს მხოლოდ რამდენიმე ხელნაწერში (K—205, Q—261, ლიტერ. მუზეუმის — 10768/191 და ვ. ასლანიშვილის ხელნაწერში). ამდენად, ეს ხელნაწერი შეიცავს მესამე ტიპის პროლოგს, რომელიც შემდეგ შევსებულია სხვა ხელნაწერებიდან შემოტანილი ჩანართებით.

31. Q—796 (XIX საუკ.), პროლოგი დაზიანებულია (როგორც ჩანს, ხელნაწერი დაზიანებული დედნიდან მოდის). საინტერესოა ამ ხელნაწერის პროლოგის თანამიმდევრობა:

2 (3) — ჰე, ღმერთო ერთო:

1 (2) — რომელმან შექმნა სამყარო...

(1) — პირველ თავი დასაწყისი... (ხელნაწერში შემდეგ გამოტოვებულია ერთი სტროფის ადგილი).

19 (25) — ჩემი აწ სცანით...

26 (39) — ამა საქმესა მიჯნურნი...

21 (27) — მას ერთსა მიჯნურობასა...

22 (28) — მიჯნური შმაგსა გვიქვიან ...

23 (29) — მიჯნურსა თვალად...

24 (31) — მიჯნურობა არის ტურფა...

(33) — მას ცოცხალი ნუ ეღვეის...

31 (40) — თუ მოყვარე მოყვრისათვის

(ამის შემდეგ მომდევნო გვერდზე დატოვებულია სამი სტროფის ადგილი).

გადარჩენილი ფრაგმენტით ირკვევა, რომ ეს პროლოგი, თავისი აღრეული სტროფული წყობით ზუსტად იმეორებს ზემოთ აღწერილ ხელნაწერს K—205 (დააკვირდით პირველი სტროფების თანამიმდევ-

რობას და ა. შ.). აქაც არ შეინიშნება ტიპური ნახტომები, რომლებიც მესამე ტიპის პროლოგის მქონე ხელნაწერებს („ზაზასეული“) ახასიათებს, ე. ი. აქ არის სტროფების ჩვეულებრივი წყობა, ხოლო, H—599 ხელნაწერისაგან განსხვავებით, გვაქვს ნიშნები, რომ ამ ხელნაწერის დედანში იყო პირველი 8 სტროფიც. ამდენად K—205-თან ერთად ეს ხელნაწერი შეიცავს მეორე ტიპის პროლოგს.

32. S—1727 (1825 წ.), ხელნაწერი გადაწერილია ვახტანგისეული გამოცემიდან და შემდეგ დართული აქვს ინდო-ხატაელთა ამბავი. ამდენად პროლოგის საკითხებთან იგი არ განიხილება.

33. H—412 (XIX საუკ.), დაზიანებულია ამ ნაწილში. თანაც A—363 ხელნაწერის მსგავსად, ეს ხელნაწერი მხოლოდ შორეულ მსგავსებას ამჟღავნებს „ზაზასეულის“ მსგავს ნუსხებთან და მათ საერთო პროტოგრაფში იქნებ არც იყო პროლოგის რიგი აღრეული. მაინც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აქაც მესამე ტიპის პროლოგი იყო თავიდან.

34. H—783 (1857 წ.), ჩანს ეს ხელნაწერი ვახტანგისეული გამოცემის გავლენას ატარებს და შემდეგ თავებში კი დაუწყიათ ვრცელი რედაქციების გადაწერა (ინდო-ხატაელთა ამბიდან). ამდენად, პროლოგის საკითხებთან იგი არ განიხილება.

35. S—2315 (XIX საუკ.), ინდო-ხატაელთა თავამდე ვახტანგისეული გამოცემიდან მოდის. ამდენად პროლოგის საკითხებთან არ განიხილება.

36. ვ. ასლანიშვილის კოლექციიდან B (1860 წ.), სტროფული თანამიმდევრობის მიხედვით მესამე ტიპის პროლოგს (შდრ. „ზაზასეული“ ჭგუფის ხელნაწერებს) მისდევს. მაგალითად, ნახტომები შეინიშნება საიუბილეო გამოცემის მე-8 სტროფიდან 29-ზე. ახლავს საკმაოდ ბევრი ჩანართი, როგორიცაა 1, 2¹, 2², 9, 18, 21, 23, 33 (სათვალავი ვრც. გამოცემით), რაც მიუთითებს, რომ იგი „ზაზასეული“ პროლოგის შევსება-განვითარების შედეგია²⁹. მიუხედავად ამისა, ჩვენი აღნიშვნით აქაც ძირითადად მესამე ტიპის პროლოგია წარმოდგენილი.

37. A—1128 (1833 წ.), გადაწერილია ვახტანგისეული გამოცემიდან და დართული აქვს გაგრძელებები ვრცელი რედაქციებიდან. პროლოგთან დაკავშირებით ეს ხელნაწერი არ განიხილება.

38. H—66 (1832 წ.), გადაწერილია ვახტანგისეული გამოცემიდან და დართული აქვს გაგრძელებები ვრცელი რედაქციებიდან. პროლოგთან დაკავშირებით ეს ხელნაწერი არ განიხილება.

²⁹ მაგალითად, ჩანართები 2¹ და 2², რომელიც არის მხოლოდ რამდენიმე ხელნაწერში, ამ ხელნაწერში მოთავსებულია სხვა ადგილას.

39. Q.—700 (XVIII საუკ.), ხელნაწერში საინტერესოა მხოლოდ პირველი პლასტი (პირველი ოცი ფურცელი), ხოლო დანარჩენი გადაწერილია ვახტანგისეული გამოცემიდან. პროლოგი დაზიანებულია, მაგრამ ხერხდება მისი თავისებურების ამოშიფვრა. სტროფული თანამიმდევრობით აქ მეორეული პროლოგი ჩანს. მაგალითად, შეინიშნება ნახტომი 22 (28) — სტროფიდან 30 (39) სტროფზე, რაც „ზაზასეული“ ჯგუფის ხელნაწერებს ახასიათებს. შეინიშნება რამდენიმე მეტი ჩანართი, ვიდრე „ზაზასეულში“ (მაგ., 18, 21, 23, ვრცელი გამოცემის სათვალავით). მაინც აქ გვაქვს ახალი ჩანართებით შევსებული მესამე ტიპის პროლოგი.

40. S—2525 (XIX საუკ.), ხელნაწერს დაკარგული აქვს პროლოგისა და შუა მონაკვეთის შემცველი ფურცლები. ახლავს მხოლოდ დასასრული.

41. ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი, D—10768/191 (XIX საუკ.), პროლოგი ძალზე დაზიანებულია, მაგრამ, ჩანს, რომ თანამიმდევრობა აქ ისევეა, როგორც „ზაზასეული“ ჯგუფის ხელნაწერებში. მართლაც, 22 (28)-ე სტროფს მოსდევს 30 (39) სტროფი. პროლოგის გადარჩენილ ნაწილში შეინიშნება ჩანართები: 2¹, 2², 14, 18, 21, 23, 33 (მითითებულია ვრცელი გამოცემით). მაშასადამე, აქ გვაქვს მესამე ტიპის პროლოგი, შევსებული გვიანდელი ჩანართებით.

42. ლიტერატურული მუზეუმის, ხელნაწერი, C — 12904/190 (1802 წ.). პროლოგი გადარჩენილია მხოლოდ ერთ ფურცელზე, სადაც გვაქვს პროლოგის შემდეგი სტროფები:

24 (31) — მიჯნურობა არის ტურთა...

25 (32) — ხამს მიჯნური ხანიერი...

(33) — მას ცოცხლი ნუ ელევის...

26 (34) — ამა საქმესა მიჯნური...

27 (35) — არს პირველი მჯნურობა...

28 (36) — ხ მს, თავისსა ხვაშიადსა...

29 (38) — მას უშმაგო ვით მიენდოს...

8 (10) — მე რუსთველი ხელობითა...

9 (11) — ესე ამბავი სპარსული...

10 (12) — თვალთა, მისგან უნათლოთა...

(აშიაზე ჩანს, რომ შემდეგ გვერდზე მიყვებოდა მე-11 სტროფი „რაცა ვისცა ბედმან მისცეს...“.

ნახტომი 29 (38)-ე სტროფიდან მე-8 (10) სტროფზე ამხელს, რომ აქ პროლოგის რიგი ისევე აღრეულია, როგორც „ზაზასეული“ ხელნაწერების ჯგუფში, ე. ი. გვაქვს პროლოგის მეორეული რიგი. ამასთან არის ჩანართი სტროფი „მას ცოცხალი ნუ ელევის...“ (რაც, სხვათა

შორის, არ არის „ზაზასეულ“ ხელნაწერში³⁰. ამდენად აქ გვაქვს მესამე ტიპის პროლოგი.

43. ლენინგრადის ხელნაწერი M — 48 (1823 წ.), ინდო-ხატაელთა თავამდე გადაწერილია ვახტანგისეული გამოცემიდან. ამდენად პროლოგის საკითხებთან არ განიხილება.

44. A—654 (1867 წ.), შეიცავს მარტო ინდო-ხატაელთა და მის მომდევნო გაგრძელებებს. ამდენად იგი არ განიხილება პროლოგის საკითხებზე მსჯელობისას.

45. ხელნაწერი ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკიდან — E (1840 წ.), გადაწერილია ვახტანგისეული გამოცემიდან და დართული აქვს ინდო-ხატაელთა და მომდევნო თავები. ამდენად, პროლოგის საკითხებთან არ განიხილება.

46. S—5207 (XIX საუკ.), შეიცავს მხოლოდ ბოლო თავებს, ამიტომ აქ არ განიხილება.

გარდა აღნიშნული ხელნაწერებისა ვრცელ და აგრეთვე კომპილაციურ რედაქციებს შეიცავენ ქვემოთ ჩამოთვლილი ხელნაწერები, რომელთაც ჩვენ უკანასკნელ ხანებში მიუაკვლიეთ, (მათ შესახებ დაწერილებით იხ. ამ ნაშრომის II ტომში: „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები“):

47. Q—1075 (XIX საუკ.), ხელნაწერის დასაწყისი ნაწილი ვახტანგისეული გამოცემიდან მომდინარეობს, ხოლო 1937 წ. საიუბილეო გამოცემის 157-ე სტროფიდან („ლაშქრობა და ნადირობა ჩემი...“) ჩანართებიან რედაქციას შეიცავს, რომელიც ახლოსაა პირველ რედაქციასთან (ამ საკითხზე დაწერილებით შემდეგ). შესაძლოა დავუშვათ, რომ ხელნაწერს პროლოგიც პირველი ტიპისა ჰქონდა.

48. Q—1335 (XIX ს. პირველი ნახევარი) — ხელნაწერში პროლოგი საკმაოდ დაზიანებულია ფურცლების დაკარგვის გამო, თუმცა მაინც არის შესაძლებელი მისი თავისებურებების გარკვევა. აქ შემონახულია ზუსტად ისეთი პროლოგი, როგორცაა ხელნაწერებში H—54, H—757 და სხვ., რომელსაც ჩვენ თანამიმდევრობისა და სტროფთა რაოდენობის გათვალისწინებით. პროლოგის მეორე ტიპი ეწეოდეთ.

³⁰ ხელნაწერ D—12904/190-სადმი იბაღება ექ იც. მავალითად, თუ ამ ხელნაწერის პროლოგი „ზაზასეული“ ტიპის პროლოგიდან მომდინარეობს, მაშინ აქ გადარჩენილ მონაკვეთში უნდა ყოფილიყო ჩანართი „ტარელს კარ: სა მოყმესა... (9). ისმება კითხვა: ეს ხელნაწერი ხომ არ ყალიბდებოდა ვახტანგისეულ გამოცემის გაუღენით? ამას მოწმობს პროლოგის სწორედ იგივე ადგილი, რომ აქ არ არის აღნიშნული ჩანართი (9). ხელნაწერში არის სხვა ნიშნებიც, რომლებიც ამხელენ მის ახლო მიმართებას ვახტანგის გამოცემასთან, თუმცა იგი ზოგ თავისებურებასაც ამჟღავნებს, მაგრამ ამაზე შემდეგ.

49. ვეფხისტყაოსნის ახალციხური ფრაგმენტი (XVI—XVII საუკ.)³¹ — გადარჩენილია სულ 20 სტროფი, ძნელდება მისი შედგენილობის თავისებურებათა და ამდენადვე პროლოგის აღნაგობის გაკვევაც.

50. H—422 (XIX ს.) — გადარჩენილია მხოლოდ პოემის გაგრძელებანი, ამდენად ძნელდება მისი პროლოგის აღდგენა.

51. Q—270 (XIX ს.)³² — ხელნაწერის პროლოგი და პოემის შუა მონაკვეთი ვახტანგისეული გამოცემიდან მომდინარეობს. ამდენად არ ხერხდება ხელნაწერის პროლოგის აღდგენა.

52. Q—768 (XIX ს.) — აქაც იგივე ვითარებაა. პირველი ორი მონაკვეთი ვახტანგისეულიდან მოდის. პროლოგის აღდგენა არ ხერხდება.

53. ბორჯომის მუზეუმის ხელნაწერი (XIX ს.) — ვახტანგისეული გამოცემიდან მომდინარეობს, ოღონდ დასასრული ვრცელი რედაქციისაა. პროლოგის აღდგენა არ ხერხდება.

54. აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერი — K—23 (XIX ს.) — ხელნაწერი წარმოადგენს P—10 (გადაწ. 1702 წ.) პირს. ამდენად, აქაც მეორე ტიპის პროლოგი ივარაუდება.

ახლა, რომ საბოლოოდ მოვიყვანოთ წესრიგში მთელი ეს მასალა, მივიღებთ ვეფხისტყაოსნის ყველა მნიშვნელოვან ხელნაწერში წარმოდგენილ პროლოგთა უმთავრეს ტიპებს:

პირველი ტიპის პროლოგი (პროლოგის თავნაკლული ტექსტი, სტროფთა პირვანდელი თანამიმდევრობა): H—599 (E); S—2829 (F); S—3077 (N*); H—740 (V*) W—27 (Z); K—383 (A¹*); Q—1075*;

მეორე ტიპის პროლოგი (სტროფთა პირვანდელი თანამიმდევრობა, ვრცელი სტროფული შედგენილობა): H—757 (A); H—54 (B); H—2074 (C); Q—261 (I); H—461 (J); S—4499 (K); Q—779 (M*); K—205 (O*); Q—930 (R*); W—17 (T*); P—10 (X); H—1839 (D¹); Q—483 (E¹); Q—796 (G¹); Q—1335; K—23 (ლენინგრ.);

³¹ ახალციხის მუზეუმში იპოვა ილია აბულაძემ (დახასიათება იხ. შემდეგ.).

³² ეს არის, ე. წ. ვეფხისტყაოსნის ყარაბაღული ვარიანტი (ასე უწოდებს მას მისი პირველი აღმწერი ლ. მელიქსეთბეგი. იხ. თსუ-ს შრომები, ტ. V, 1936, გვ. 201—205).

³³ ხელნაწერთა ფონდების ნომრებს ფრჩხილებში მიწერილი აქვს შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამოცემებში შემოღებული ლიტერები, ხოლო ის ხელნაწერები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული აღნიშნულ გამოცემებში, წარმოდგენილი არიან მხოლოდ ფონდების ნომრით. ვარსკვლავით აღნიშნული ხელნაწერების პროლოგი აღდგენილია ვარაუდით.

მესამე ტიპის პროლოგი (სტროფთა მეორეული თანამიმდევრობა, ჩანართთა შედარებით მცირე რაოდენობა): Q—1082 (D); S—4988 (G); H—2610 (H*); A—363 (L*); K—215 (Q*); S—5006 (U); H—3061 (V*); S—4527 (F*); H—412 (T*); ა K $\frac{25299}{2}$ (L¹) Q—799 (O¹); C—10768/191 (Q¹); D—12904 (190/R¹)²;

პროლოგის მიხედვით ასეთია ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციების შემცველ ხელნაწერთა კლასიფიკაციის სურათი. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ ამ ნიშნით, თუნდაც ამ მონაკვეთში არ შეიძლება ხელნაწერთა რედაქციულ ჯგუფებად დაყოფა. რადგან, ჯერ ერთი ხელნაწერების შედგენილობა მთლიანობაში უნდა იქნას განხილული—პოემის ტექსტის მთელ მანძილზე მათი სხვა კომპონენტების გათვალისწინებით და მხოლოდ ამის შემდეგ იქნება სწორი ძირითად რედაქციულ ჯგუფებზე საუბარი, მათი თანდათანობითი განვითარების უმთავრესი ეტაპების მიწიწება.

მით უფრო, რომ გარკვეულ მიზეზთა გამო (პროლოგი მოთავსებულია ხელნაწერთა პირველ ფურცლებზე), აქ ზოგჯერ არა წინასწარგანზრახულ თავისებურებებთან გვაქვს საქმე, არამედ შემთხვევით დეფექტებთან და ტექსტის თანამიმდევრობის აღრევისათან³⁴. ასეთ შემთხვევათა კონკრეტული ანალიზი ჩვენ მოგვიხდება, როცა ამა თუ იმ ხელნაწერს მთლიანობაში განვიხილავთ.

ბ) პოემის უშა მონაკვეთი ხელნაწერების მიხედვით

ხელნაწერთა ამ მონაკვეთს შუა მონაკვეთს ან ძირითად ტექსტს ვუწოდებთ და ვგულისხმობთ პოემას პირველი თავიდან ე. წ. ხვარაზმელთა ამბამდე; მაშასადამე, დაახლოებით იმ მოცულობას, რომელიც განხორციელდა ბოლო გამოცემებში (კერძოდ კ. ჭიჭინაძისა და 1937 წლის საიუბილეო გამოცემაში), ე. ი. ინდოხატაელთა ამბის ჩათვლით. ამჟერად ჩვენ არ გვიანტერესებს ამ შედგენილობის დაცვა და, შესაბამისად, ვახტანგისეული გამოცემის კრიტიკა. აქ ასევე, როგორც პროლოგის მაგალითზე ვნახეთ, გვინდა წარმოვადგინოთ პოემის აღნიშნული მონაკვეთი მთელ ხელნაწერთა მემკვიდრეობის შედარებითი შესწავლის შუქზე და დავახასიათოთ ძირითადი რედაქციული ტიპები. აქვე ზოგადად კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, რომ მაინც ეს არის ყველაზე

³⁴ როგორ ზემოთ ითქვა, ამიტომ ვერიდებით ჩვენ ამ შემთხვევაში ტერმინის „რედაქცია“ გამოყენებას.

უფრო საგულისხმო მონაკვეთი, რადგან პოემის ძირითადი ტექსტისა და შედგენილობის გარკვევა სწორედ ამ ფარგლებში უნდა ვეძიოთ.

როგორც ცნობილია, ყველა ხელნაწერი, რომელიც ვახტანგისეული გამოცემის (1712 წ.) უწინარეს არის ჩამოყალიბებული და თუნდაც გვიანდელია, მაგრამ ამ გამოცემის გავლენის გარეშეა დარჩენილი, შეიცავს პოემის ვრცელ რედაქციას. ეს მოსაზრება არ ეხება მხოლოდ გარკვეულბაზა არსებობას. არც ერთი ასეთი ხელნაწერი თავის ძირითად ტექსტშიაც არ ემთხვევა ვახტანგისეულს ან, ვთქვათ, საიუბილეო გამოცემას. ძირითადი ტექსტი ყველა ამ ხელნაწერში გადატვირთულია ინტერპოლაციებით და პოემას აქ მიღებული აქვს საკმაოდ თავისებური სახე.

მაგრამ ამასთან ცნობილია ისიც, რომ ყველა ეს ვრცელი ხელნაწერი ამ მონაკვეთშიც იძლევა სხვადასხვა სახეს და მათი დახასიათება აუცილებელი რგოლია ჩვენ წინაშე დასმული ამოცანის გადასაწყვეტად.

რომ უფრო ნათელი გახდეს ხელნაწერთა რედაქციული ხასიათი და პლასტების თანდათანობითი განვითარება, მათი დახასიათება უნდა დავიწყოთ უმოკლესი რედაქციებით; რომელთაც, როგორც ვნახავთ, შედარებით უკეთ დაუცავთ პოემის შედგენილობის პირვანდელი სახე. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ხელნაწერები, როგორცაა უძველესი თარიღიანი ნუსხა H — 599 (გადაწერილია 1646 წ.) და აგრეთვე, მოგვიანო ხანის, მაგრამ შედგენილობით მეტად მნიშვნელოვანი ხელნაწერი S — 2829 (გადაწერილია 1688 წ.). ორივე ეს ხელნაწერი თუმცა ვრცელ რედაქციებს წარმოგვიდგენენ, მაგრამ სხვა ხელნაწერებთან შედარებით შეიცავენ ბევრად უფრო ნაკლებ ჩანართებს. ამ მოსაზრების ნათელსაყოფად. შევადაროთ ეს ხელნაწერები 1937 წლის საიუბილეო ტექსტს. რადგან ამასთან S — 2829 ხელნაწერი ჩვენამდე უფრო დაუზიანებელი სახითაა მოღწეული, უმჯობესია იგი გავხადოთ შედარების საფუძვლად. საიუბილეო გამოცემის და S—2829 ხელნაწერის შედარება ცხადყოფს, რომ S — 2829 შეიცავს დამატებით 53 ამჟამად ჩანართად აღიარებულ სტროფს აღნიშნული მონაკვეთის მთელ მანძილზე. გარკვეული ინტერესის გამო მომაქვს ეს სტროფები 1956 წლის ჩანართებიანი ვეფხისტყაოსნის გამოცემის სათვალავის მიხედვით:

- 93 — მეფე ლალი და წყლიანი...
- 124 — მ. ფემან ბრძანა ვინ არის...
- 166 — თუ ცუდი რამე გინახავს...
- 169 — თუ ყოფილა იგი მოყმე...
- 171 — როსტენს სიტყვა ასულისა...

- 197 — თავი ჩემი სამსახურად...
 230 — განალა ლომსა იმედი...
 233 — მისი ცეცხლი გულსა ჩემსა...
 247 — შერმადინ უთხრა: მართალ ხარო...
 257 — იგი პირმზე შხისმაგვარი...
 271¹ — აეთანდილ უეუირბინა...
 277 — ჩვენ ასრე მყოფი არ ვარგვართ...
 292 — ჩვენი ძმა გლახ-დაკოდილი...
 301 — მე იმა ყმისა საკრავად...
 325 — ყმა ეტყვის: მხედავ სისხლისა...
 377 — მისი მძებნელი სჯობს...
 399 — მოსრულეარ შენად შეყრამდი...
 437 — ნადიმსა შიგან მოყმენი...
 450 — რა მინდორს შეეჯდი...
 458 — თავადობა ინდოთა და მრავალთაცა...
 467 — ზღუდელ მივლიდა ზურმუხტი...
 509 — ასმათ დგა ჩემთვის...
 578¹ — მას კაცსა დია უმუქჴე...
 645 — რიდენი და ყაბაჩანი...
 693 — გარე ვაქციე ასმათი...
 795 — ვთქვი რა მაქლდა...
 815 — აწ, ათია წელიწადი...
 873 — ყმა მხიარული წყლიანი...
 880 — საწოლს მჯლომბან...
 888 — ყმამან ვისცა არვის...
 889 — თქვა ამა ჟამსა წუხელის...
 934 — ყმამან უთხრა შენი წყრომა...
 935 — მოახსენა კელა ვეზირმან...
 946 — ოდეს ბრძენთა გავიგონოთ...
 948 — მან გამისრულა ყოველი...
 976 — ღმერთსა შემეედრენ...
 977 — დამხსნას ბნელსა და...
 983 — ყმა შეეკაზმა წასვლად...
 988 — მოსთქვამს და იტყვის...
 998 — გაზრდილო ცეცხლი მედების...
 1118 — ვირ ვარდი აუო და მზე...
 1139 — იტყვის თუ ჩემი ხელქმნელი...
 1198 — ქალაქს შევიდა ხმა გახდა...
 1465 — შენტ პატრონი არსთა მზე ხარ...
 1497 — ესე სიტყვა მართალია...
 1512 — მოქარავენეთა უბრძანა...
 1584 — ყოველგნით მრგვალი...
 1700 — აეთანდილ იცნეს გაისმა...
 1726 — ტარიელ ფრიდონ გავზანა...
 1795 — მაშინ გახდეს ყველაკანი...
 1796 — ზე ადგეს მოახსენეს...
 1797 — მადლი უბრძანეს...
 1815 — შინა წავიდეს გარდახდეს...

ეს არის S — 2829 ხელნაწერის ის სტროფები, რომლითაც ეს ხელნაწერი მეტია 1937 წლის გამოცემაზე. მაგრამ აღნიშნული ხელნაწერის დახასიათებისათვის არ გვექნება ზუსტი სურათი, თუ არ წარმოვიდგინეთ ის სტროფები, რომლებიც არ არიან ამ ხელნაწერში, ხოლო შევიდნენ 1937 წლის გამოცემაში. ხელნაწერში არ არის ასეთი :9 სტროფი (ნუმერაცია 1927 წლის გამოცემისა).

- 57 — თავსა ზის პირ-მზე ავთანდილ...
- 58 — თქვეს თუ მეფე ცუდსა რასმე...
- 61 — რა მეფემან მოისმინა...
- 174 — ლმერთო, ლომო, შენად...
- 185 — ზედ წაადგა, შეექცევის...
- 191 — თავს უთხრა: „მოკვეე“...
- 193 — მთით ჩამოვიდა ავთანდილ...
- 195 — თუცა მხეც-ქმნილი...
- 222 — ყმამან უთხრა: „დაო“...
- 339 — აღარა ვიცა, დამეწუდეს...
- 655 — დევთა ყვირილი, ზახილი...
- 670 — ავთანდილს ასმით ჩამოქა...
- 968 — მოვილია: შესამკობლად...
- 1142 — ვთქვი, უეამოდ არ წესია...
- 1275 — წადი, უსტარო, ისწრაფე...
- 1373 — აქა, მხატვარო, დახატე...
- 1651 — მოახსენა: „ხელმწიფეო“...
- 1652 — კვლაცა უბრძაფა...
- 1653 — დამპირჩილდა, მოახსენა...

ასეთია აღნიშნული ხელნაწერის შედგენილობის რედაქციული სახე და, ჩვენ ვნახავთ, რომ აქ თითქმის ყველაზე უფრო კარგად არის შენახული პოემის ძირითადი მონაკვეთის (პროლოგიდან ხვარაზმელთა ამბამდე) მოკლე რედაქცია. რასაკვირველია, ამ ხელნაწერს აქვს ზოგი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი. მაგალითისათვის შეიძლება ავიღოთ ჩანართი სტროფი:

ავთანდილ უკუირბინა გერდი მყაფარი, კლდინი,
გამხლტომს ირემსა ფერდსა ჰკრა ისარი ორბის ფრთიანი,
მას რომ გარდაჰხდა პატყენი, აწ კაცი უნდა მხნიანი,
მინდერისა პირსა სადილად ჩამოხდა გულ-სეფიანი. (271¹)

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ეს არის აშკარა პარალელი ხალხური ტარიელიანიდან³⁵. მაგრამ აქ ჩვენთვის მთავარი ის არის, რომ ხელნაწერთა შესწავლამ დაადასტურა აღნიშნული სტროფის მხოლოდ ამ ხელნაწერში არსებობა. იგი S—2829 ხელნაწერის სპეციფიკას შეადგენს და, როგორც ჩანს, თვით გადამწერმა შემოიტანა ხალხური ტარიელიანიდან.

³⁵ იხ. აგრეთვე ჩვენი წერილი გაზ. „სახალხო განათლება“, 1957, № 15.

ასევე ზემოთ აღნიშნული საიუბილეო გამოცემის სტროფებიდან 61 (რამეფემან მოისმინა...), 185 (ზედ წაადგა, შეექცევის...) და 195 (თუმცა მხეც-ქმნილი ავთანდილი...) არ არის მხოლოდ და მხოლოდ S—2829 ხელნაწერში, რაც აგრეთვე ამ ხელნაწერის თავისებურებაა. ასეთი მომენტები უსათუოდ უნდა გავითვალისწინოთ, რომ უფრო გაადვილდეს ძირითადი პლასტების დადგენა.

ასეთივე ტიპის მოკლე რედაქციას იცავს აგრეთვე ზემოთ ნახსენები ხელნაწერი H — 599 (გადაწერ. 1646 წ.). სამწუხაროდ, ხელნაწერმა ჩვენამდე დაზიანებული სახით მოაღწია, მაგრამ აშკარად ჩანს, რომ აქაც დაახლოებით იმდენივე ჩანართი სტროფი გვაქვს, რამდენიც უკვე დახასიათებულ S — 2829 ხელნაწერში. ასევე, მიუხედავად ზოგი ხარვეზისა, შეინიშნება, რომ ამ ხელნაწერსაც აკლია ზოგი ისეთი სტროფი, რომელიც არის ვახტანგისეულ ან საიუბილეო გამოცემაში.

174 — დ მ ე რ თ ი, ლ ო მ ო, შ ე ნ ა დ ნ ა ც ე ლ ა დ... .

191 — თ ა ე ს უ თ ხ რ ა: მ ო ჰ კ ე ე... .

222 — ყ მ ა მ ა ნ უ თ ხ რ ა: დ ა ო... .

339 — ა დ ა რ ა ვ ი ც ი, დ ა მ ვ ი წ ყ დ ე ს... .

655 — დ ე ე თ ა ყ ვ ი რ ი ლ ი, ზ ა ხ ი ლ ი... .

968 — მ ო ვ ი დ ი ა ნ შ ე ს ა მ კ ო ბ ლ ა დ... .

1043 — ძ ე ლ ი მ ო ს ტ ყ დ ა დ ა ა ვ თ ა ნ დ ი... .

1275 — წ ა დ ი, უ ს ტ ა რ ო, ი ს წ რ ა ფ ე... .

1302 — შ ე ნ, სა ყ ვ ა რ ე ლ ო ნ უ ს კ მ უ ნ ა ვ... .

1356 — ა ქ ა მ დ ის მი წ ყ ი ე ნ ა ხ ა... .

1651 — მ ო ა ხ ს ე ნ ა: ხ ე ლ მ წ ი ფ ე ო... .

1652 — კ ე ლ ა ც ა უ ბ რ ძ ა ნ ა ტ ა რ ი ე ლ... .

1653 — დ ა ჰ მ ო რ ჩ ი ლ დ ა, მ ო ა ხ ს ე ნ ა...³⁶

როგორც ვნახეთ, აქ ხაზგასმული სტროფები არ არის აგრეთვე S — 2829 ხელნაწერშიც, რაც აშკარად აჩვენებს ამ ორი ხელნაწერის სიახლოვეს ალებულ მონაკვეთში, მაგრამ ამასთან ჩანს, თუნდაც დანარჩენი სტროფებით (1043, 1302, 1356), რომ ხელნაწერი ერთგვარ სხვაობასაც გვიჩვენებს S — 2829-თან. აქედან რომელიმე, შესაძლოა, ჩვენ შემთხვევით დეფექტად მიგვეჩნია. მართლაც სტროფები—1302 „შენ საყვარელო ნუ სკმუნავ...“³⁷ და 1356 „აქამდის მიწყი ენახა...“ — არ არის მხოლოდ და მხოლოდ H — 599 ხელნაწერში, რაც, ჩვენი აზრით, შემთხვევითაა გამორჩენილი და ამ ხელნაწერის თავისებურებას წარმოადგენს. რაც შეეხება 1043 სტროფს — „ძელი მოსტყდა და ავთან-

³⁶ სათვალავი 1937 წ. საიუბილეო გამოცემისა.

³⁷ შესაძლოა, შემთხვევითი დეფექტის მიზეზი იყოს ისიც, რომ მომდევნო სტროფი იმავე სიტყვით იწყება, რაც საერთოდ სტროფის გამოტოვების მიზეზი ხდება ხოლმე. მექანიკური ხასიათის ლაფსუსის (Bourdons) ერთ-ერთი სახეობა.

დილ...“, რომელიც აგრეთვე არ არის H — 599 ხელნაწერში, არ ყოფილა ზოგ სხვა ხელნაწერშიც, როგორცაა, მაგალითად, H — 461, S — 3077, W — 17 და K — 383 ნუსხებში. ამდენად, თუნდაც ამ სტროფით H — 599 ხელნაწერი შორდება S — 2829 ნუსხას, თუმცა, როგორც აღვნიშნე, ორივე ეს ხელნაწერი იცავს ძირითადი ტექსტის მოკლე რედაქციას³⁸.

ხელნაწერთა ჩანართი პლასტების შესწავლა არკვევს, რომ აღნიშნულ რედაქციას განუცდია შემდგომი განვითარება. რომ უფრო ზუსტი გამოდგეს ჩვენი კლასიფიკაცია, უმჯობესია ავიღოთ შედარებით ვრცელი ძირითადი ნაწილის მქონე ხელნაწერთა გარკვეული ჯგუფი და შევადაროთ ისინი წინა ხელნაწერებს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ე. წ. „ზაზასეული“ ხელნაწერი (Q — 1082), რომელსაც ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს გარკვეული ტიპის ხელნაწერებში. შედარებამ გამოარკვია, რომ აღნიშნულ ხელნაწერთან ახლოს დგანან ისეთი მნიშვნელოვანი ხელნაწერები, როგორცაა S — 4988, H — 2610, Q — 799 და სხვ. ირკვევა ისიც, რომ ამავე ჯგუფთან ახლოსაა ხელნაწერი A — 363, რომელიც ერთ-ერთ საუკეთესო ხელნაწერს წარმოადგენს, მაგრამ შედარებისას უნდა გამოირიცხოს ამ ხელნაწერის ამიებზე მიწერილი. გვიანდელი ჩანართები (სამწუხაროდ, სწორედ ამის არ გათვალისწინებამ ამ ხელნაწერს გამოცემებში დაუკარგა ნამდვილი სახე. იხ. ს. კაკაბაძის 1913 წ. ვეფხისტყაოსნის გამოცემა, აგრეთვე ს. იორდანიშვილის ჩანართ-დანართის გამოცემა და სხვ. აქ ყველგან ერთმანეთშია არეული ხელნაწერის ძველი და ახალი, ამიებზე მიწერილი გლოსები). ყველა ამ ხელნაწერს, განსაკუთრებულ მსგავსებასთან ერთად, როგორც მოსალოდნელია, თან ახლავს ერთგვარი სახესხვაობანი, მაგრამ მათი გამორჩევა მაინც არ არის ძნელი, მაგალითად, თვით „ზაზასეული“ ხელნაწერს ძირითად ნაწილში თან ახლავს იოსებ ტფილელის კუთვნილი სამი სტროფი, („ამა ამბისა მოსმენა...“ 511¹, „მისსა მზესა გზა-გზა მოსთქვამს...“ 1139¹ და „ფატმან არ იცის ავთანდილ...“ 1268¹. იხ. ვეფხისტყაოსნის ჩანართებიანი გამოცემა 1956 წ.)³⁹. საინტერესოა, რომ „ზაზასეულის“ ზოგი სტროფი შესულია

³⁸ არის სხვა განსხვავებაც ამ ორ ხელნაწერს შორის, მაგალითად, S—2829 ხელნაწერს ძირითად ტექსტში არა აქვს ჩანართი სტროფი „ხვარაზშით გამოემართა რევანოზ მეფის შვილიო...“ (ხელნაწერთა უმრავლესობას ეს სტროფი გაგრძელებებში გადააქვთ), რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ამ ორ ხელნაწერს შორის არ უნდა ვიგულოთ უშუალო კავშირი, მაგრამ ამასთან ფაქტია, რომ ძირითად ნაწილში (და როგორც ვნახეთ, წინაგანთხილვის მონაკვეთებშიც) ეს ორივე ხელნაწერი შედგენილობით მსგავსი რედაქციონად მომდინარეობენ, ამავე დაწერილობით ქვემოთ.

³⁹ თუ რომელი სტროფები ჩაურთავს გზადაგზა თავის ხელნაწერში იოსებ ტფილელს, ამის დაზუსტებული ნუსხა იხ. წიკნაძე ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1957, გვ. 115—117.

სხვა ხელნაწერებშიც, როგორცაა: S—4988, H—2610 და სხვ. მაგრამ არ არის A — 363 ხელნაწერის ძირითად პლასტში (და არც არის მოსალოდნელი, რადგან, ჩემი აზრით, A — 363-ის წარმოშობა წინ უსწრებს „ზაზასეულს“). ასევე ზემოთ აღნიშნულ ხელნაწერებში S — 4988 და „ზაზასეულში“ არ არის ვრცელი გამოცემის 645-ე ჩანართი სტროფი — „რიდენი და ყაბაჩანი რომე მესხნეს...“,⁴⁰ მაგრამ იგი უნდა დავტოვოთ ამ ხელნაწერთა ძირითად პლასტში, რადგან იგი აშკარად აღრეული ჩანართია და „ზაზასეული“ და S — 4988 ხელნაწერების შემთხვევით დეფექტს უნდა წარმოადგენდეს (იქნებ მათი დედნის მიზეზითაც). ასევე H — 2610 ხელნაწერი, თავის მხრივ, კიდევ ურთავს ოთხ ჩანართ სტროფს 1714¹ — „კვლავ მეფე ჰკითხავს...“, 1723¹ — „ქალსაცა ჰკითხეთ...“ 1723² — თინათინს ჰკადრეს... და 1723³ — „ქალმან ჰკადრა...“ (ეს ოთხივე სტროფი არის სხვა ხელნაწერებშიც. იხ. H—461, S — 4499, K — 205, W — 17, Q — 796). დაბოლოს სტროფი 1815 — „შინა წავიდეს გარდახდეს...“, რომელიც არ არის H — 2610-ში, მაგრამ არის „ზაზასეულში“ და აგრეთვე სხვა ზემოთ აღნიშნულ ხელნაწერებში.

თუ ასეთი ხასიათის სტროფებისაგან გავათავისუფლებთ წარმოდგენილ ხელნაწერებს და ურთიერთშედარებით გამოვარჩევთ საერთო პლასტს, მაშინ დაგვრჩება ისეთი ტიპის პროტოგრაფი, რომელიც საფუძვლად დაედო ამ ხელნაწერებს (ვგულისხმობ პოემის შუა მონაკვეთს, პროლოგიდან ხეარაზმელთა ამბავამდე).

გამოირკვა, რომ ასეთი ხელნაწერი, ან უკეთ ჩვენ მიერ მინიშნებული პროტოგრაფი, საიუბილეო გამოცემასთან მიმართებით დამატებით შეიცავდა დაახლოებით 125-მდე სტროფს. ეს არის ერთ-ერთი ძირითადი რედაქცია პოემის აღნიშნული მონაკვეთისა და მას. ჩანართების სიმრავლის გამო, მოკლე რედაქციისაგან განსხვავებით, ვუწოდებთ პოემის შუა მონაკვეთის მეორე (ანუ საშუალო მოცულობის) რედაქციას და ცალკე გამოცყოფთ.

ძირითადი ტექსტის (პოემის შუა მონაკვეთი) თვალსაზრისით თავისებურ ჯგუფს ქმნიან გარკვეული ტიპის ხელნაწერები. მათ შორის ცენტრალური ადგილი უჭირავს H — 2074 და H — 54 ხელნაწერებს. ორივე ეს ხელნაწერი კარგადაა ცნობილი და მათ დეტალურ დახასიათებას აქ არ შეუვლდგებით (დაწვრ. ქვემოთ). პოემის ეს მონაკვეთი აქ საიუბილეო გამოცემასთან შედარებით გაზრდილია 170 სტროფით და,

⁴⁰ ვარიანტების II ტომში შეცდომით არის აღნიშნული D ხელნაწერში ამ სტროფის არსებობა.

ამდენად. ეს არის ყველაზე უფრო ვრცელი რედაქცია. ამის გამო ამ ნიშნით მას პოემის შუა მონაკვეთის მიხედვით მესამე რედაქციას ვუწოდებთ.

აი ეს არის შედგენილობის მიხედვით სამი ძირითადი სახე ხელნაწერებში დაცული პოემის შუა მონაკვეთისა და ხელნაწერთა ცალკეული დახასიათების დროს ჩვენ ვნახავთ, რომ პოემის ამჟამად ცნობილი ხელნაწერები ან პირდაპირ თანხედება რომელიმე ამ ტიპის რედაქციას, ან, ყოველ შემთხვევაში, საგრძნობლად უახლოვდება მას. მაგრამ, ვიდრე ცალკეულ ხელნაწერთა ამ თვალსაზრისით დახასიათებას დავიწყებდე, საჭიროა უფრო დეტალურად შევჩერდეთ პოემის შუა მონაკვეთის ამ რედაქციულ ტიპებზე და გამოვარკვიოთ მათი თავისებურებანი. ამისათვის გამოვიყენებთ მხოლოდ რამდენიმე ხელნაწერს.

პოემის შუა მონაკვეთის პირველი უმოკლესი რედაქცია: ამ რედაქციის ზოგადი დახასიათების დროს, ჩვენ იგი აღვწერთ S — 2809 ხელნაწერის მაგალითზე. ეს ხელნაწერი თარიღით არ არის უძველესი (1688 წელსაა გადაწერილი), მაგრამ, როგორც ვთქვით, მას შედარებით დაუზიანებლად შემოუნახავს აღნიშნული ტიპის მოკლე ტექსტი. მაგრამ უფრო ნათლად რომ წარმოვიდგინოთ ის სავარაუდოებელი დედანი, ან უფრო ზუსტად პროტოგრაფი, რომელიც წინ უსწრებდა ამ ჯგუფის ხელნაწერებს, მაშინ ისევე როგორც მეორე რედაქციის ძირითადი ხელნაწერების ურთიერთშედარების დროს გამოვარჩიეთ სავარაუდოებელი დედანი. აქაც შედარებითი მეთოდით ვინდა მივიჩნიოთ ამ ხელნაწერთა: საერთო პლასტი. ამისთვის ვიღებთ ოთხ მნიშვნელოვან და ამავე დროს ერთმანეთთან ახლომდგომ ხელნაწერს: S — 2829, (F), H — 599 (E). K — 383 (A'), H — 740 (Y).

აქ არ ვაჩვენებთ იმ სტროფებს, რომლებიც ამოვარდნენ საერთო პლასტიდან და ამა თუ იმ ხელნაწერის თავისებურებას წარმოადგენენ, რადგან ამ ხელნაწერთა ცალ-ცალკე დახასიათების დროს გამოვყოფთ მათ. ირკვევა, რომ აღნიშნულ ხელნაწერთა საერთო პლასტი (ან კი მათი სავარაუდო დედანი) წარმოდგენილია შემდეგი ჩანართი სტროფებით: 93, 124, 166, 169, 171, 197, 230, 233, 247, 257, 277, 292, 301, 325, 377, 399, 437, 450, 458, 459, 467, 509, 578¹, 645, 693, 795, 815, 873, 880, 888, 889, 934, 935, 946, 948, 976, 977, 983, 988, 998, 1118, 1139, 1198, 1465, 1497, 1512, 1584, 1700, 1726, 1795, 1796, 1797, 1815, 1866.

ეს სტროფები გამოყოფილია ამ ხელნაწერთა შედარების შედეგად. მაგალითად, აქ არ შეგვიტანია S — 2829 ხელნაწერის ჩანართი 271¹ — „ავთანდილ უკუიბრინა...“, რაც მარტო ამ ხელნაწერის სპეციფიკას შეადგენს, მაგრამ შესაბამისად შევიტანეთ 459-ე სტროფი, („ტარიელს

თვალნი სისხლისა“...), თუმცა იგი არ არის S — 2829, რადგან ეს ამ ხელნაწერის შემთხვევითი დეფექტი უნდა იყოს და ა. შ.⁴¹.

ე. ი. აღნიშნული პლასტი იძლევა საიუბილეო გამოცემასთან შედარებით 54 ჩანართ სტროფს. პლასტების თანდათანობითი განვითარების უფრო ნათლად წარმოდგენისათვის აღნიშნულ ჩანართებს, როგორც შედარებით უძველეს პლასტს, ა რუბრიკით აღვნიშნავთ. ამის შემდეგ დავიწყოთ იმ ხელნაწერთა დახასიათება პოემის შუა მონაკვეთის ნიხედვით, რომლებიც შემოდიან აღნიშნულ რედაქციაში და რომელსაც უმოკლესი, ანუ პირველი რედაქცია ვუწოდებთ.

H — 599 (E), ამ ხელნაწერს აღნიშნულ მონაკვეთში ზოგი დეფექტით მოუღწევია, მაგრამ მაინც ხერხდება მისი ძირითადი სახის აღდგენა. ირკვევა, რომ ხელნაწერში მთლიანად არის შესული ჩანართი სტროფები, რომელიც ა რუბრიკში შევიტანეთ (აქ თითქმის არცაა გამონაკლისი, თუ ხელნაწერის შემთხვევით დეფექტს არ მივიღებთ მხედველობაში).

ამასთან ირკვევა, რომ ხელნაწერი ურთავს აღნიშნულ პლასტს ზოგიერთ სტროფს, მაგალითად, 693¹: „ხვარაზშით გამოემართა რევანოზ მეფის შვილიო...“ ეს სტროფი სხვათა შორის ზოგ ხელნაწერს „ხვარაზმელთა ამბავში“ აქვს მოთავსებული, თუმცა ხელნაწერთა ერთ ჯგუფს (Q — 261, S — 3077 და თარხან-მოურავისეული W — 27) იგი სწორედ იმავე ადგილზე აქვს, როგორც H — 599 ხელნაწერს. აქ საჭიროა აღინიშნოს, რომ ეს სტროფი H — 599-ში, შესაძლოა, უფრო ახალი პლასტების გავლენითაა ამ ადგილას გადმოტანილი.

H — 599-ში არის ა პლასტის ჩანართებთან შედარებით მეორე ზედმეტი სტროფიც: „შერმადინ თქვა...“ (247), რომელიც არ არის რამდენიმე მოკლე ხელნაწერში (Q — 261, Q — 930 და სხვ.), მაგრამ არის S — 2829-ში და აგრეთვე ვრცელ ხელნაწერებშიაც. ეს კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს. რომ მიუხედავად ძველი წარმოშობისა (1646 წ.); ეს ხელნაწერი უკვე იცნობს რამდენიმე შედარებით ახლად წარმოშობილ ინტერპოლაციას. ამ ხელნაწერის დახასიათებისათვის აქ კიდევ გავიხსენოთ ის სტროფები (იხ. ზემოთ), რომლებიც არიან საიუბილეო გამოცემაში, მაგრამ არ არიან H — 599-ში 174, 191, 222, 339,

⁴¹ საეჭვოა 578¹ სტროფის — „მას ცაცსა ღია უმუქვე“... — „შეტანა ამ პლასტში, თუმცა იგი ამ მოკლე ტიპის ხელნაწერებში (H—599, S—2829, Q—930, W—27) ყველგან გვხვდება. საჭმე ის არის, რომ იგი აღარ არის სხვა, უფრო ვრცელ, რედაქციებში. როგორც ჩანს, ეს ჩანართი მამინვე გაჩნდა პირველი რედაქციის საფარაულებელ პროტოგრაფში, როცა ეს უკანასკნელი გამოეყო მეორე და მესამე რედაქციების საფარაულებელ საერთო პროტოგრაფს.

655, 968: 1043, 1275, 1302, 1356, 1651, 1652, 1653 (მითითებულია 1937 წლის საიუბილეო გამოცემით)⁴².

ყველა ამ ნიშნით პოემის შუა მონაკვეთის მანძილზე ხელნაწერი H — 599 მე-17 საუკუნის ხელნაწერთა შორის შედგენილობით პირველ, უმოკლეს რედაქციას იცავს.

S — 2829 (F), ჩვენ ზემოთ გაკვრით აღვნიშნეთ, რომ მიუხედავად ამ ხელნაწერის შედარებით ახალი წარმოშობისა, იგი იძლევა თითქმის ყველაზე საინტერესო ჩვენებას პირველი (მოკლე) რედაქციის ხელნაწერთაგან. როგორც გამოირკვა, ეს ხელნაწერი საერთო პლასტს, რომელიც ჩვენ ა რუბრიკით აღვნიშნეთ, ურთავს რამდენიმე ჩანართს. მაგალითად 271¹ სტროფი: „ავთანდილ უკუიბრინა...“, რომელიც მხოლოდ ამ ხელნაწერშია და მის სპეციფიკას შეადგენს. საინტერესოა აგრეთვე ჩანართები: „შერმადინ თქვა...“ (247), „იგი პირად მზისა...“ (257) და „მას კაცსა დია უმუქტე...“ (578), რომელიც ამ ხელნაწერთან ახლოს მდგომ ხელნაწერებშიც არის, მაგრამ, ჩემი აზრით, ახალი ჩანართი უნდა იყოს.

S — 2829 ხელნაწერში, როგორც ვნახეთ, არ არის 19 სტროფი საიუბილეო გამოცემიდან. აქ მხოლოდ ნომრებს ჩამოვთვლით: 57, 58, 61, 174, 185, 191, 193, 195, 222, 339, 655, 670, 968, 1142, 1275, 1373, 1651, 1652, 1653 (მათ შესახებ იხ. ზემოთ). ამასთან აქვე კვლავ შევნიშნავთ, რომ სტროფები — 61 („რა მეფემან მოისმინა...“), 185 („ზედ წაადგა, შეექტევის...“) და 195 („თუცა მხეცქმნილი ავთანდილ...“) — არ არის მხოლოდ S — 2829-ში, რაც აგრეთვე ამ ხელნაწერის სპეციფიკას შეადგენს.

მაშასადამე, ყველა ამ ნიშნით S — 2829 ხელნაწერიც პოემის ამ მონაკვეთში მოკლე რედაქციას მისდევს.

Q — 261 (T), ეს ხელნაწერი ძალიან ახლოს დგას ამავე რედაქციასთან და ამიტომ აქვე განვიხილავთ. ხელნაწერს აქვს შუაში რამდენიმე ხარვეზი, მაგრამ მაინც შესაძლებელია მისი რედაქციული სახის ამოცნობა. იგი ძირითადადში მისდევს ზემოთ დასახელებულ ხელნაწერებს (H—599, S—2829) და ირკვევა, რომ აქ არის ის 54 ჩანართი, რომელიც წარმოადგენს ამ ტიპის რედაქციის საერთო პლასტს და ჩვენ

⁴² აქედან 1043, 1302, და 1356 სტროფები ამ რედაქციის ხელნაწერთაგან მართო H—599 არ არის, რაზეც ზემოთაც იყო საუბარი.

ა რუბრიკაში შევიტანეთ (ეს 54 სტროფი მთლიანად შესულია ამ ხელნაწერში, რადგან ხარვეზები ხელნაწერს ისეთ ადგილებზე მოუდის, სადაც ეს ჩანართები არ არის).

მაგრამ გამოირკვა, რომ ხელნაწერი ა რუბრიკით აღნიშნულ პლასტს ურთავს ახალ ჩანართებს, რომელთა მეტი წილი აღებული უნდა იყოს ვრცელი რედაქციებიდან; აი, ეს სტროფები ვეფხისტყაოსნის ჩანართ-დანართიანი გამოცემის მიხედვით:

- 42 — იყო არაბეთს შეფობა...
- 69 — რა გადიდა ნადიობა...
- 89 — უბრძანა თუ მისმან...
- 100 — უბრძანა სრულად ლაშქართა...
- 120 — აქა ჩადის წყალი რამე...
- 289 — ჩვენ მისითა მიზეზითა...
- 321 — ქალი კიოდა ტირილით...
- 520 — კაცი იხმო გასაგზავნად...
- 540 — შინა მოველ სვედიანი...
- 542 — მიამა. უფრო გავხელი...

ირკვევა, რომ მეტი წილი ამ სტროფებისა, არ არის შუა მონაკვეთით შედარებით მოკლე რედაქციის შემცველ ხელნაწერებში (H—599, S — 2829, W — 27 და სხვ., სხვათა შორის, არ არის აგრეთვე Q — 1082, S — 4988 და ა. შ., რომლებიც შედარებით ვრცელ ტექსტს გვაძლევენ), მაგრამ არიან ყველაზე ვრცელი რედაქციის მქონე ხელნაწერებში. Q — 261 ხელნაწერში, H — 599 ხელნაწერის მსგავსად, წინ არის გადმოსული ზემოთ ნახსენები სტროფი „ხვარაზმით გამოემართა რევანოზ მეფის შეილიო...“ (ეს სტროფი, როგორც აღვნიშნეთ, ამავე ადგილზეა ხელნაწერებში: W — 27 და S — 3077-ში), რაც სხვა ნიშნებთან ერთად ქმნის ამ ხელნაწერის თავისებურებას. მაინც თავისი ძირითადი პლასტით ეს ნუსხა (Q — 261) ახლოა პირველ რედაქციების მქონე ხელნაწერებთან და ამასთან ვრცელი რედაქციებიდან უმატებს ათამდე ახალ სტროფს (იხ. ზემოთ).

S — 3077 (N), ხელნაწერი ძალზე დეფექტურია, სულ შეიცავს 543 სტროფს, მაგრამ პოემის შუა მონაკვეთში მაინც ხერხდება მისი რედაქციული სახის დადგენა. ირკვევა, რომ პირველი რედაქციის მქონე ხელნაწერთა მსგავსად, აქ არ არის ზოგი ის სტროფი, მაგ., 191, 193, 222, 264, 968, 1043, 1373, 1620, რომელიც შედის საიუბილეო გამოცემაში. ეს სტროფები (გარდა 264 და 1620 სტროფისა) არ არიან აგ-

რეთვე მოკლე რედაქციის მქონე ხელნაწერებში (S — 2829, H — 599 და სხვ.). რაც შეეხება 264-ე და 1620-ე სტროფს, ისინი შემთხვევით (Bourdons) უნდა იყვნენ ამოვარდნილი S — 3077-დან⁴³.

ამავე დროს ხელნაწერის გადაჩენილი ფურცლების შეჭერებით ირკვევა, რომ ჩანართ სტროფთაგან აქ მეტწილად არის მოკლე რედაქციის ე. ი. ა პლასტის დამახასიათებელი ჩანართი სტროფები (შდრ. 301, 377, 693, 795, 815, 873, 1198, 1815, 1866 სტროფები ჩანართებიანი ვეფხისტყაოსნის სათვალავით).

გამონაკლისს წარმოადგენს 4 სტროფი. პირველი სამი, როგორც გამოირკვა, ამ ხელნაწერს (ან მის დედანს) მეორე რედაქციის მქონე ხელნაწერთაგან (შდრ. A — 363, Q — 1082 და სხვ.) უნდა ჰქონდეს ამოღებული. ეს სტროფებია: 356-ე „ყმამან უთხრა: „ეარღო დაჰქნი...“, 810-ე — „პირველი რაზმი დავჰფრიწე...“ 811-ე — „დაღამდა ომი დასწყნარდა...“. რაც შეეხება მეოთხე სტროფს, რომლის ნომერია 1567¹ (იხ. ს. ყუბანეიშვილის „ვეფხისტყაოსნის შედგენილობა“, 1959), იგი ჩვენ გვხვდება მხოლოდ S — 3077-ში და ამ ხელნაწერის თავისებურებას შეადგენს:

მიუხდეს, ჯოგი წაუსხეს, დალენეს ჩიხი და ღობა,
ფ უყვეს შეუტყობელად მთ ლალთა კარგი ლაღობა,
იგრონ გაფრთხილდა საომრად, მაგრამ ტარიელ დაღობა,
სამთავ შენოდა სიცილი და ტყბილი ამხანავობა.

დასკვნა: თუ ამ თავისებურებებს გამოვრიცხავთ, ხელნაწერი აშკარად უახლოვდება მოკლე ხელნაწერებს და შეიცავს პოემის შუა მონაკვეთის პირველ რედაქციას.

Q — 930 (R), ცნობილი იყო მხოლოდ ფრაგმენტები, მაგრამ აღდგენის შემდგომ გამოირკვა, რომ შეიცავს 1800-მდე სტროფს⁴⁴. ამ ხელნაწერის ზუსტი რედაქციული დახასიათება ამჟამად შესაძლებელია.

ხელნაწერში მოკლე რედაქციის შემცველ ნუსხათა მსგავსად მოიპოვება მხოლოდ ჩანართები ა პლასტიდან (იხ. ზემოთ). ასევე ხელნაწერს აკლია, 1937 წ. გამოცემასთან შედარებით, იგივე სტროფები.

⁴³ აქაც ზემოთ მოტანილი შემთხვევა უნდა გვქონდეს: 264 — სტროფს (ქალმან უთხრა...) წინ უსრებს იმავე სიტყვით დაწყებული სტროფი 263 (ქალსა ყმამან...);

⁴⁴ ზუსტად 1749 სტროფს (სარესტავრაციო სამუშაოები სანიმუშოდ ჩაატარეს ხელნაწერთა ინსტიტუტში). ამ ხელნაწერზე იხ. ალ. ბარამიძე, ნარკვევები, III, გვ. 303—313, ხოლო რესტავრაციის შემდეგ, ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის კრიონისეული ხელნაწერი. მაგნე, 1963, № 3, გვ. 165—169; ც. კარბელაშვილი, ვეფხისტყაოსნის გურგენასეული ხელნაწერი, კრებ. ძვ. ქართული მწერლობის საკითხები, II, 1964, გვ. 303—313.

რომლებიც ქმნიან მოკლე რედაქციათა ერთ-ერთ თავისებურებას. თუმცა ხელნაწერში ზოგან ჩვენ აღენუსხეთ ჩანართი სტროფები, რომლებიც გადამწერს (იქნებ დედანშივე მოხდა ეს ოპერაცია) შემოუტანია მეორე რედაქციის მქონე ხელნაწერთაგან, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა (სხვათა შორის, აქ არის ზოგი სტროფი მესამე პლასტიდანაც, მაგ., სტროფი — 113 — „იგი მესრე მონანი...“) და სხვა.

ხელნაწერს აქვს სხვაგვარი გამონაკლისიც. მასში არ არის (აგრეთვე ხარვეზის გარეშე) პირველი პლასტის 247-ე ჩანართი სტროფი, მაგრამ გამოირკვა, რომ ზოგ მოკლე ხელნაწერშიც არ ყოფილა იგი (მაგ., Q—261, და სხვ. საერთოდ კი, Q—930 ძალზე ახლოსაა Q—261 ხელნაწერთან)⁴⁵.

ყველა ამ მონაცემით შეიძლება დავასკვნათ, რომ Q—930 ხელნაწერი შეიცავს პოემის შუა მონაკვეთის მიხედვით პირველ რედაქციას.

პარიზული ნუსხა P—10 (X), ეს არის ერთ-ერთი ნათელი ნიმუში, თუ როგორ ძნელად გამოსაცნობი ხდება ზოგჯერ ხელნაწერის თავდაპირველი სახე. პროლოგის მიმოხილვის დროს ვნახეთ, რომ P—10 ხელნაწერის პროლოგი თუმცა ახლოა პირველი ტიპის შემცველ ხელნაწერებთან, მაგრამ იგი გაზრდილია მეორე ტიპის პროლოგში შემავალი სტროფებით. რაც შეეხება პოემის შუა მონაკვეთს, აქ მეტად აღრეულია სხვადასხვა ტიპის ჩანართები. დაზიანებული დედნის გამოყენების გამო, თუ სხვა რამ მოსაზრებებით, ხელნაწერში სრულიად სხვადასხვა რედაქციის პლასტები მოხვედრილა. მაგალითად. ხელნაწერის შესწავლით ირკვევა, რომ აქ გარკვეულ ნაწილში პირველი პლასტია წარმოდგენილი (პირველი რედაქცია); ამაზე მიუთითებს შემდეგი: ხელნაწერში არ არის ზოგი ის სტროფი (მაგალითად, საიუბ. გამოცემის 174-ე და 193-ე სტრ.), რომელიც არის საიუბილეო გამოცემაში, რაც ხელნაწერს თითქოს აახლოებს პირველ რედაქციასთან. ამასთან, პირველი რედაქციის ჩანართები თითქმის ყველაა მოთავსებული ხელნაწერში⁴⁶. ხელნაწერში არის ჩანართები მეორე რედაქციის ძირითადი პლასტიდანაც, მაგრამ შედარება არკვევს, რომ ამას არა აქვს სისტემატური ხასიათი. მაგალითად, ხელნაწერში, ყოველგვარი დეფექტის

⁴⁵ ეს ხარვეზიც შემთხვევითი უნდა იყოს და ამ ხელნაწერთა პროტოგრაფიდან უნდა მოდიოდეს, რადგან 246 და 247 სტროფები ერთნაირი სიტყვით (შერმაღინ...) იწყება, რაც ხშირად ქმნის ამგვარ დეფექტს.

⁴⁶ არის გამონაკლისი, მაგალითად, პირველი პლასტიდან ხელნაწერში არ არის 230, 233, 247, 292, 437, 477 და 1497, მაგრამ, შესაძლოა, ეს დედნის დეფექტურობის გამო მოხდა. მართლაც, ხელნაწერში, ალბათ ამავე მიზეზით, არ არის საიუბილეო გამოცემის რამდენიმე ისეთი სტროფი, რომელთაც იცნობს უკლებლოე ყველა მნიშვნელოვანი ხელნაწერი (საიუბ. გამოცემით, 32, 46, 155, 244, 413, 478, 1350).

გარეშე, არ არის 40-მდე ჩანართი სტროფი, რომელიც შედის ე. წ. მეორე პლასტში⁴⁷. დასასრულ, გამოირკვეა შემდეგიც. ხელნაწერს გამოუყენებია მესამე პლასტის მქონე ხელნაწერიც. კერძოდ, აქ არის ჩანართები. რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ მესამე პლასტის მქონე ხელნაწერებს ახასიათებთ. მაგალითად, P — 10-ში არის მე-3 პლასტის მქონე ხელნაწერებისათვის (H — 54, H — 757) დამახასიათებელი ჩანართი ეპიზოდი ტარიელის მამის სარიდანისა და ფარსადანის ნადირობა-დროსტარებისა და ა. შ. ამგვარი ჩანართები ხელნაწერში 18-მდე შევნიშნეთ (225, 419, 422, 423, 424, 425, 426, 427, 428, 429, 430, 431, 432, 433, 484, 486, 488, 498 — ვრცელი გამოცემით).

ყოველივე ეს მაძლევს საშუალებას დავასკვნა, რომ P—10 ხელნაწერი მხოლოდ პირობით შეიძლება იქნას შეტანილი შედგენილობის მიხედვით პირველ რედაქციაში, ხოლო მისი საბოლოო რედაქციული სახე უფრო ნათელი იქნება, როცა სხვა კომპონენტებსაც შევისწავლით⁴⁸. ნათელია ისიც, რომ ხელნაწერის შედარებითი სიმოკლე სხვა მიზეზებითაა გამოწვეული და მისი პროტოგრაფი აშკარად მესამე რედაქციას უნდა დაუქვავშიროთ⁴⁹.

H—740 (Y), მიუხედავად იმისა, რომ ხელნაწერი ამ მონაკვეთში შიგადაშიგ საკმაოდ დაზიანებულია, ხერხდება მისი რედაქციული სახის დადგენა. ამ ხელნაწერის გადარჩენილ ფრაგმენტებში ყველა ჩანართი შემოდის ა რუბრიკით აღნიშნულ პლასტიდან. იგი ზუსტად მიჰყვება ამ ჯგუფის ხელნაწერებსა და იფარგლება ა ჩანართი პლასტებით. ამასთან, როგორც მოსალოდნელია, ხელნაწერში არ არის ზოგი სტროფი, რომელიც გვაქვს საიუბილეო გამოცემის ტექსტში. თუმცა ხელნაწერი დაზიანებულია, მაინც შევნიშნეთ ამგვარი ექვსი სტროფი: 191, 193, 339, 655, 968, და 1275 (საიუბილეო გამოცემის სათვალავით ხელნაწერი წყდება 1601 სტროფზე).

მაშასადამე ხელნაწერი იძლევა პოემის შუა მონაკვეთის პირველ რედაქციას.

⁴⁷ მომაქვს სტროფების ნომრები ჩანართებიანი ვეფხისტყაოსნის მიხედვით: 60, 74, 94, 100, 120, 123, 125, 153, 165, 170, 177, 189, 191, 200, 202, 286, 289, 306, 316, 321, 331, 345, 346, 347, 349, 356, 360, 361, 362, 408, 520, 571, 575, 1526, 1532, 1540.

⁴⁸ ხელნაწერის მთლიანობაში შესწავლა, როგორც ვნახეთ, მას უფრო მომდევნო რედაქციებს აახლოებს (მაზე იხ. ქვემოთ)

⁴⁹ გამოირკველია P—10-ზე მეოთხე რედაქციის გავლენა, რადგან ხელნაწერში არ მოიპოვება ამ რედაქციისათვის დამახასიათებელი სტროფები. აქვე უნდა შევიტანოთ აზრის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერი K—23, რომელიც P—10-ის ზუსტ პირს წარმოადგენს და თვით ბროსეს გადაწერილი უნდა იყოს.

თარხან-მოურავისეული — W—27 (Z), ხელნაწერი თავნაკლულია. იწყება სტროფით: „ყოველი პირი მიწისა... (142, 3 საიუბ. გამოც.) და შიგადაშიგ აქვს რამდენიმე ხარვეზიც. შედარებამ გააარკვია, რომ ხელნაწერს მოეპოვება მხოლოდ ა რუბრიკით აღნიშნული ჩანართები (პირველი პლასტი). სხვათა შორის, H—599-ის მსგავსად ამ მონაკვეთში გადმოაქვს ხელნაწერს გავრძელებიდან სტროფი — „ხვარაზმით გამოემართა რევანოზ მეფის შვილით...“ — ასევე აქ არის სტროფი: — „მას კაცსა დია უმუქტე...“ 578¹, რაც პირველი რედაქციის მხოლოდ რამდენიმე ხელნაწერშია.

ყველაფრიდან ჩანს, რომ ხელნაწერი იზიარებს პირველი რედაქციის აღნიშნულ საერთო პლასტს, მაგრამ, როგორც გამოირკვა, კიდევ ურთავს ორ სტროფს, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ამ ხელნაწერში მოიპოვება და მის სპეციფიკას წარმოადგენს:

მე ლმერთმან მიყო მუქაჟა ფიცისა გამტხელობა
კვლაცა მენახე დამეცნა ომშიგან თქვენი ქველობა;
ეს თემი გახდა უმეფოდ, გპირდა აქამდის ხელობა,
არა ვიცილი სიოცხლე, ღეთისაგან თქვენი მღხენობა (1813¹)

ფრიღონცა არის თავისსა მორკმული შეებით ხარებით,
მტერთა საშიში, ერთგულთა მოსახრმად დაუხარებით,
მათ ძმათა ამბის საყითხი არ გაწყდა კაცი კარებით,
გასდებით ოქრო-გუარსა, ლარს ნურეინ დაეკარებით. (1865¹)

ამასთან, ამ რედაქციის ხელნაწერთა მსგავსად, აქაც შეინიშნება სტროფები, რომლებიც ხელნაწერში არა გვაქვს, მაგრამ შესულან 1937 წლის გამოცემაში, ეს არის საიუბილეო გამოცემის სტროფები 191, 339, 655, 936, 968, 1064, 1275, 1538. არ არის აგრეთვე ის სამი სტროფი, რომლებშიც ასმათის გათხოვების ამბავია მოთხრობილი (1651, 1652, 1653)⁵⁰, ალბათ ამ სტროფების რიცხვი მეტი იქნებოდა, რომ არა ხელნაწერის ხარვეზიანობა.

მაშასადამე, ყველა ამ ნიშნით W—27 (თარხან-მოურავისეული) ხელნაწერი პოემის ამ მონაკვეთში შეიცავს ე. წ. პირველ რედაქციას, K—383 (A'), ხელნაწერი თავნაკლულია, იწყება სტროფით: „ვექვი, რას ცნა...“ (108,4) და შიგადაშიგ გააჩნია ხარვეზებიც. შედარება

⁵⁰ ხელნაწერში არ არის აგრეთვე საიუბილეო გამოცემის 979 სტროფი: „მათ ლაშქართაჲე წაიდა...“ რაც შემთხვევითი დეფექტი უნდა იყოს. საინტერესოა, რომ შემდეგი სტროფიც იმავე სიტყვით იწყება: „მათ ლაშქართა...“ ალბათ, ამაზე შეუწყო ხელი პირველი სტროფის დაკარგვას. საინტერესოა, რომ ეს სტროფი არ არის Q—930 ხელნაწერშიც, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ამ ხელნაწერებს არც ისე შორეული პროტოგრაფი მოეპოვებათ.

არკვევს, რომ ამ ხელნაწერის ჩანართი სტროფები, რაც კი ამჟამად გადაჩენილია. მთლიანად შედის ა რუბრიკით აღნიშნულ პლასტში (პირველ რედაქციისა). ამ მხრით არ შემიძინა არც ერთი გადახვევა.

ამასთან, როგორც მოსალოდნელია, ხელნაწერს აკლია ზოგი სტროფი საიუბილეო გამოცემის ტექსტთან შედარებით. შესაძლებელია ასეთი 8 სტროფის აღნიშვნა: 191, 193, 655, 1043, 1373 და სამი სტროფი, რომლებშიც მოთხრობილია ასმათის გათხოვების ამბავი: 1651, 1652, 1653. ხელნაწერს უეჭველად აკლდა ამ ხასიათის სხვა სტროფებიც, მაგრამ ხარვეზთა გამო მათი დაზუსტება არ ხერხდება.

მაშასადამე ყველა ნიშნით K-383 ხელნაწერი შეიცავს პირველ რედაქციას.

ლიტერატურული მუზეუმის — C—12904/190 (R'), ვიდრე ხელნაწერის რედაქციულ დახასიათებას შევეუდგებოდეთ, აქ საჭიროა აღინიშნოს შემდეგი. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა მეგვიდრეობაში ეს არის ჭერჭერობით ერთადერთი ხელნაწერი, სადაც ვეფხისტყაოსნის სიუჟეტი სრულდება ინდო-ხატაელთა ამბით. ვახტანგისეული გამოცემისაგან განსხვავებით, ხელნაწერში ინდო-ხატაელთა ამბავი წარმოდგენილია სრული სახით და პოემაც აქ თავდება. ამით დასტურდება, რომ პოემის დასრულება ინდო-ხატაელთა ამბით ჭერ კიდევ კ. ჭიჭინაძისა და 1937 წლის გამოცემებზე ბევრად აღრე ხელნაწერული ტრადიცია ყოფილა⁵¹.

რედაქციულად ხელნაწერი რამდენადმე უცნაურ სახეს წარმოგვიდგენს. როგორც ჩანს, ხელნაწერის პირვანდელი ფენა, ან უკეთ, მისი დედანი ახლოს იდგა ვახტანგისეულ გამოცემასთან. ამას მოწმობს ერთი დამახასიათებელი დეტალი. სტროფები „ასმათ უთხრა ცრემლით ლომო...“ (301 საიუბ.) და „შევე დავეჯე ტახტსა ზედა...“ (373 საიუბ.), როგორც ცნობილია არ არის ვახტანგისეულ გამოცემაში, თუმცა ისინი მოთავსებულია ყველა მნიშვნელოვან ხელნაწერში. ირკვევა, რომ ეს სტროფები არ არიან აგრეთვე აღნიშნულ ხელნაწერშიც, რაც ეჭვს გარეშე მიუთითებს ვახტანგისეულ გამოცემასთან სიახლოვეზე.

მაგრამ ამავე დროს ხელნაწერი არსებული სახით ბევრად სცილდება ვახტანგისეულ ტექსტს და მჭიდროდ უახლოვდება ხელნაწერულ რედაქციას. მაგალითად. მიუხედავად რამდენიმე ხარვეზისა, ხელნაწერის ამ მონაკვეთში შეინიშნება ჩანართი სტროფები, რომელთა რაოდენობა 51-მდე აღწევს. მეტი წილი ჩანართებისა პირველი პლასტის

⁵¹ ამ საკითხს ცალკე შესწავლა ჰქირდება. იხ. ჩენი, „ვეფხისტყაოსნის დაბოლოების საკითხი...“ ცისკარი, 1957, № 1.

კუთვნილებათა (ა პლასტიდან აქ მოთავსებულია 43 სტროფი), ხოლო რამდენიმე — მეორე და მეოთხე რედაქციებისა. ასე მაგალითად, მეორე რედაქციის კუთვნილებათა ჩანართი სტროფები 42,43, 46, 50, 1540 და 1598, ხოლო მეოთხე რედაქციიდან, ან უფრო ზუსტად ხელნაწერ H—461-დან აღნიშნულ ნუსხაში შემოტანილია ორი ჩანართი: 77¹ და 122². ირკვევა, რომ ეს ორი უკანასკნელი ჩანართი ჭერჭერობით მხოლოდ H—461-ში არის დადასტურებული.

ამავე დროს საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ პირველი რედაქციის შემკველ ხელნაწერთა მსგავსად, ამ ხელნაწერსაც აკლია საიუბილეო გამოცემის ზოგი სტროფი. მაგალითად, 193—„მითი ჩამოვიდა ავთანდილ...“, 222 — „ყმამან უთხრა...“, 1373 — „აქა მხატვარო დახატე...“ (ხელნაწერში არ არის საიუბილეო გამოცემის 310 და 1011 სტროფები, მაგრამ ეს შემთხვევითი დეფექტი უნდა იყოს).

ამდენად, პირობით ხელნაწერი შეგვაქვს ხელნაწერთა პირველ რედაქციათა ჩგუფში, თუმცა არ უნდა დაგვაიწუქდეს მისი წარმოშობის აღნიშნული რთული გზა.

Q—1075 (XIX ს.) პირველი 12 ფურცელი სხვა ხელითაა შესრულებული და შესწავლით გაირკვა, რომ ვახტანგისეული გამოცემიდან მოდის. პოემის ე. წ. ძველი რედაქცია იწყება სტროფით: „ლასქრობა და ნადირობა შენი ჩემსა დაასახე...“ (საიუბ. გამოც. 157). სხვა ხელნაწერებთან შეჭერებით და ჩანართი პლასტების გამოწვევების შედეგად ნათელი გახდა, რომ პოემის შუა მონაკვეთით ხელნაწერი ახლოს დგას მოკლე, ანუ პირველ რედაქციასთან. აქაც მთლიანად არის წარმოდგენილი ჩანართი სტროფები ა პლასტიდან. ოღონდ ერთი შენიშვნა: იმ ხელნაწერების მსგავსად, რომლებიც არსებითად მოკლე რედაქციას იცავენ, მაგრამ გადაწერილნი არიან შედარებით ახალ საუკუნეებში, აქაც შემოტანილია რამდენიმე სტროფი სხვა რედაქციებიდანაც. მაგ., მეორე რედაქციიდან: „მას დღესა ლომო ტარიელ“... 408, „შემიგნია იგი კაცნი“... 575, „გამოჭრილვარ საძებარად“... 1033, „ვიარები ღეთისა სადა“... 1034, „ვინცა შეესწრას ჰფარავსმცა... 1598, და იოსებ ტფილელისეული სტროფი: „მისსა მზესა გზა-გზა მოსთქვამს... 1139⁵².

⁵² ამ ხელნაწერის ერთი დეტალი ამხელს, რომ იგი Q—261 ხელნაწერთან ერთად სათავეს იღებს საერთო პროტოგრაფიდან და შემდეგ მომხდარა მათი შევსება სხვა ხელნაწერთა ელემენტებით. მაგ., სტროფი 810 და 811 (1937 წ. გამოც.) ორივეგან შებრუნებული რიგითაა წარმოდგენილი. ამის მიზეზი, შესაძლოა, ის იყოს, რომ პროტოგრაფში მომხდარა ორივე ერთნაირი სიტყვით დაწყებულ სტროფთა რიგის შებრუნება, თუმცა, შესაძლოა რომ ორივეგან დამოუკიდებლად მომხდარიყო ამავე მიზეზით სტროფთა შექანიკური გადასმა.

მსგავსად მოკლე რედაქციისა, აქაც არ არის რამდენიმე ისეთი სტროფი, რომლებიც მოიპოვებიან ვახტანგისეულსა და 1937 წ. გამოცემებში (მაგ., საიუბ. გამოცემის 174, 191, 222, 321 და სხვ. სტრ.), რაც დამატებით ამავგრებს მოსაზრებას ამ ხელნაწერის პირველ რედაქციასთან სიახლოვის შესახებ.

ვეფხისტყაოსნის ახალციხური ხელნაწერის ფრაგმენტი (XVI—XVII სს.)—სამწუხაროდ, არ ხერხდება აღნიშნული ფრაგმენტის შედგენილობის დახასიათება, რადგან გადარჩენილ ფურცლებზე არსებული ფრაგმენტები ყველა ხელნაწერში ერთნაირადაა წარმოდგენილი, ამ შემთხვევაში გვეხმარება ამ ხელნაწერის ნაირკითხვანი, რომლებიც, როგორც ი. აბულაძემ დაადასტურა, ძალზე ახლოს დგანან სწორედ იმ ხელნაწერებთან, რომლებიც ჩვენი კლასიფიკაციით პირველ რედაქციის იცავენ პოემის მონაკვეთის მანძილზე⁵³.

ამდენად, ეს ხელნაწერი საინტერესოა არა მარტო იმიტ, რომ იგი ძველია და ახლოს დგას პირველ რედაქციებთან, არამედ, ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ მოკლე რედაქციის მქონე ხელნაწერები შედარებით ძველი წარმოშობისანი არიან (ამაზე დაწვრილებით ქვემოთ).

პოემის შუა მონაკვეთის მეორე რედაქცია. ამ რედაქციას, როგორც ვნახეთ, იძლევა ხელნაწერთა გარკვეული ჯგუფი (Q—1082, A—363, S—4988, H—2610 და სხვ.). საიუბილეო გამოცემასთან შედარებით აქ ჩანართი სტროფები აღწევენ ასოცამდე. ირკვევა ისიც, რომ 120 სტროფში შედის აგრეთვე პირველი რედაქციის თითქმის ყველა ჩანართი სტროფი. მეორე რედაქციის მქონე ხელნაწერთა შეჯგურებით გამოვარჩიეთ 121 სტროფი, რომლებიც ამ ხელნაწერებისათვის საერთოა და, ამდენად, საფიქრებელია, რომ მათ პროტოგრაფშიც იყვნენ. აქ ეს სტროფები მომაქვს ვრც. გამოცემის ვეფხისტყაოსნის სათვალავით, მხოლოდ ხაზგასმულია ის სტროფები, რომლებიც პირველი რედაქციის კუთვნილებაა (ჩვენი რუბრიკით ა სტროფები); 42, 43, 46, 50, 57, 60, 69, 74, 93, 94, 97, 100, 120, 123, 124, 125, 153, 158; 165; 166, 167, 169. 170, 171, 177, 189, 191, 197, 200, 202, 208; 419; 230; 233, 247, 251, 254, 255, 257, 272, 277, 286, 289, 292, 301; 302, 306, 316, 321, 325, 331, 345, 346, 347, 349, 356, 360, 361, 362, 377, 390; 408, 437, 450, 456, 458, 459, 460, 461, 464, 467, 470, 506, 507, 509, 520, 540, 542, 570, 571, 575, 645, 693, 795, 810, 811, 815, 857, 873,

⁵³ ი. აბულაძე, ვეფხისტყაოსნის ახლად მიკვლეული უძველესი (XVI ს.) ხელნაწერის ფრაგმენტი, „მაცნე“, 1964, № 3, გვ. 142—150.

880, 882, 888, 889, 934, 935, 946, 946, 976, 977; 983, 988, 1033, 1034, 1118, 1139, 1198, 1465, 1497, 1512, 1526, 1532, 1540, 1584, 1598, 1700, 1726, 1795, 1796, 1797, 1815, 1866.

როგორც ვხედავთ, პირველი პლასტიდან აქ არ შესულა მხოლოდ 578¹ სტროფი: „მას კაცსა დია უმუქტე...“ და 998 სტროფი „გაზრდილო ცეცხლი მედების...“ პირველის გამო ჩვენ ზევით შევნიშნეთ, რომ იგი თუმცა არის მოკლე რედაქციის მქონე ხელნაწერებში, მაგრამ არ უნდა ყოფილიყო მათ სავარაუდებელ დედანში, რაც აქ კიდევ ერთხელ გამოჩნდა. ასევე 998-ე სტროფიც. იგი არის მხოლოდ რამდენიმე ხელნაწერში (H—599, S—2829, Q—261, S—4499, K—205, W—27, K—383, Q—796, H—783 და აგრეთვე H—757-ში. ამ უკანასკნელს იგი შემოუტანია მოკლე ხელნაწერებიდან). მაგრამ ჩანს, რომ არ ყოფილა ამ ხელნაწერთა პირვანდელ დედანში.

მაშასადამე, ირკვევა შემდეგი: ამ რედაქციით პოემის შუა მონაკვეთის ტექსტს ემატება ჩანართთა ახალი პლასტის დაახლოებით 70-მდე სტროფი⁵⁴. თუ ჩვენ წინა ჩანართები აღვნიშნეთ ა რუბრიკით, ამ ჩანართების ახალ პლასტს პირობით ბ რუბრიკაში შევიტანთ. ამის შემდეგ, პირველი რედაქციის ხელნაწერთა მსგავსად, ცალ-ცალკე დაევახსიათოთ მეორე რედაქციის ხელნაწერებიც.

Q—1082 (D), ეს არის ხელნაწერი, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში მისი პირველი მფლობელის — ზაზა ციციშვილის სახელითაა — ცნობილი („ზაზასეული“ ნუსხა). იგი საქართველოში ჩამოიტანეს 1934 წელს⁵⁵.

ირკვევა, რომ ძირითადი ტექსტის (ე. ი. პოემის შუა მონაკვეთი) მიხედვით იგი არ წარმოადგენს ყველაზე ვრცელ რედაქციას, როგორც ეს ზოგჯერ ეგონათ. პოემის შუა მონაკვეთის დახასიათების დროს ჩვენ ეს ხელნაწერი დავუკავშირეთ მეორე რედაქციის მქონე ჩანართების ძირითად პლასტს. მაგალითად, იგი ძალიან უახლოვდება მეორე რედაქციის ერთ-ერთ საყურადღებო ხელნაწერს A—363 (რასაკვირველია, თუ მას მოვაშორებთ აშინაზე მინაწერ გვიანდელ სტროფებს). ამდენად, Q—1082 წარმოგვიდგენს ა და ბ რუბრიკით აღნიშნულ ჩანართ სტროფებს. მაგრამ ამასთან „ზაზასეული“ ხელნაწერს აქვს თავისი სპეციფიკაც. როგორც ცნობილია, ეს ხელნაწერი გადაუწერია ცნობილ პოეტსა და კალიგრაფს იოსებ ტფილელს. მას ზუსტად გადაუწერია

⁵⁴ უფრო ზუსტად 121—54—67.

⁵⁵ ხელნაწერის შესახებ იხ. გ. ლეონიძის „გამოკვლევები“, ტ. I. 1958, გვ. 187—209; ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1957, გვ. 74—85.

პოემის შუა მონაკვეთის მეორე რედაქცია (ა და ბ ჩანართებით), მაგრამ ამასთან პოემის ამ ნაწილშიც დაურთავს საკუთარი ინტერპოლაციები⁶⁶. ახლა ზუსტად გარკვეულია⁶⁷, რომ მას ეკუთვნის ასეთი სამი სტროფი: 551' — „ამა ამბისა მოსმენა...“; 1139' — „მისა მზესა გზა-გზა მოსთქვამს...“ და 1268' — „ფატმან არ იცის ავთანდილ...“. სხვათა შორის, გადამწერთათვის ჩვეულებრივი მეთოდით, ეს სტროფები შეუტანიათ სხვა ხელნაწერებშიც და ხშირად, შესაძლებელია, ამან ერთგვარი გაუგებრობაც დაბადოს ხელნაწერთა დახასიათების დროს.

სხვა მხრით „ზაზასეული“ ხელნაწერი გვაძლევს მეორე რედაქციის ჩვეულებრივ სახეს (ისევე როგორც A—363) და ამ ტიპის ხელნაწერთა მსგავსად, აქაც არ არის ასმათის დაქორწინების გადმომცემი ეპიზოდი (1651, 1652, 1653 — საიუბ. გამოც.), რომელიც ხელნაწერთა სხვა ჯგუფის გავლენით შესულა 1937 წლის საიუბილეო გამოცემაში.

S—4988 (G), იგი მთლიანად ემთხვევა პოემის ამ მონაკვეთში მეორე რედაქციის მქონე ხელნაწერებს და შეიცავს იმავე ჩანართებს (ა და ბ), როგორც ვთქვით A—363 და „ზაზასეული“.

ხელნაწერი იცნობს, სხვათა შორის, „ზაზასეულ“ ხელნაწერში მოთავსებულ იოსებ ტფილელის სამი სტროფიდან ერთს; 1139' — „მისა მზესა გზა-გზა მოსთქვამს...“ ამით გარკვეულია ხელნაწერის თარიღიც, იგი 1660 — 1665 წლების შემდეგაა გადაწერილი, რადგან ამ წლებზე ივარაუდება „ზაზასეულის“ ჩამოყალიბება.

ხელნაწერს აქვს სხვა თავისებურებაც. როგორც ჩანს, ხელნაწერთა სხვა ჯგუფიდან აქ შემოსულა 66' ჩანართი: „უთრუთ, საამ, ზაალ, როსტომ...“ (ეს სტროფი არის H—461, S—4527 და სხვ. ხელნაწერებში).

ყოველივე ამის შემდეგ უნდა დავასკვნათ, რომ პოემის შუა მონაკვეთი თავის ძირითადი სახით ხელნაწერში წარმოდგენილია მეორე რედაქციით.

H—2610 (H), იგი ძალზე ახლოს დგას „ზაზასეულ“ და A—363 ხელნაწერებთან. აქაც დართულია იგივე ჩანართები (ა და ბ) და ამასთან იგი თავისი სისრულითა და ზუსტი ჩვენებით ერთ-ერთი საუკეთესოა ამ ხელნაწერთა შორის.

ისევე როგორც ამ ჯგუფის ზოგი სხვა ხელნაწერიც, ესეც იძლევა ზოგ მცირე გადახვევას აღნიშნული საერთო პლასტიდან. ხელნაწერი,

⁶⁶ ასევე დაურთო მან სტროფები პროლოგსა და პოემის დასასრულს.

⁶⁷ იხ. ჩემი, ვეფხისტყ. ვახტ. რედაქც., 1957, გვ. 116.

მაგალითად, იცნობს იმავე ჩანართ სტროფს, რომელიც იოსებ ტვი-
ლელს ეკუთვნის და რომელიც „ზაზასეული“ ხელნაწერიდან ამოიღო
S—4988 ნუსხის გადამწერმა. მაშასადამე, H—2610-ის თარიღიც გარ-
კვეულია, იგი გადაწერილია მე-17 საუკუნის 60-იანი წლების შემდგომ.

გარდა ამისა, H—2610 ჩვენს ყურადღებას იპყრობს შემდეგი თავი-
სებურებით. ხელნაწერს ეტყობა რამდენიმე ადგილას სხვა ჯგუფის
ხელნაწერთა გავლენაც, კერძოდ, იმ ნუსხებისა, რომელთაც, როგორც
ვნახავთ, ჩვენი კლასიფიკაციით მე-4 რედაქციის შეიცავენ (H—461,
W—17 და სხვ.)⁵⁸. მაგალითად, ამ ნუსხების უეჭველი გავლენით
H—2610 ხელნაწერს შემოუტანია ჩანართი სტროფები იმ თავიდან,
სადაც გადმოცემულია გმირთა დაბრუნება არაბეთში:

1714¹ — კვლავ მეფე ჰქოთხავს...

1723¹ — „ქალსაცა ჰქოთხეთ...“

1722² — „თინათინს ჰქადრეს ყოველი...“

1723³ — „ქალმან ჰქადრა თუ...“

მართლაც, ეს ჩანართი სტროფები გვხვდება აღნიშნული მეოთხე
რედაქციის შემცველ ხელნაწერებში (H—461, W—17, K—205,
Q—796) და, როგორც ჩანს, მათი გავლენით ეს სტროფები შემოსუ-
ლან მეორე რედაქციის შემცველ ხელნაწერებშიც.

ასევე ამ ჯგუფის ხელნაწერთა გავლენით H—2610-ში შემოუტა-
ნიათ საიუბილეო გამოცემის 1651, 1652, 1653 სტროფები (ასმათის
გათხოვების ამბავი).

თუ ჩვენ ამ თავისებურებებს გამოვრიცხავთ, უნდა დავასკვნათ,
რომ ხელნაწერი მომდინარეობს პოემის მეორე რედაქციიდან (შუა მო-
ნაკვეთის მიხედვით).

A—363 (L), ამ ჯგუფის ხელნაწერებში A—363-ის ტექსტი ყვე-
ლაზე ადრე უნდა იყოს ჩამოყალიბებული. მაგრამ, როგორც ზემოთაც
აღვნიშნე, აქ არ უნდა აეურიოთ ხელნაწერის ორი პლასტი, პირველი
ეს არის ხელნაწერის ძველი, ძირითადი პლასტი, ხოლო მეორე — აში-
ეზზე შემდგომ მიწერილი უამრავი ჩანართი სხვა ხელნაწერთაგან. აში-
აზე, ნაგვიანევი ხელით, ასეთი 24-მდე სტროფი შეენიშნეთ, რომელთა
გხოლოდ ნომრებს დავასახელებ ვეფხისტყაოსნის ვრცელი გამოცემის

⁵⁸ ამ რედაქციაზე დაწერილებით იხ. ქვემოთ.

პიხედვით: 275, 276, 300¹, 300², 328¹, 473¹, 473², 509¹, 510¹, 606¹, 610¹, 654, 661, 705, 732, 744, 746, 808, 841, 870, 926, 1320¹, 1347¹.
საინტერესოა, რომ აქ ხაზგასმული 12 სტროფი აღნიშნულ მინაწერთა შემსრულებელს თითქოს გადმოუღია H—757 ხელნაწერიდან (იხ. ამ ხელნაწერის დახასიათება აქვე), ხოლო დანარჩენი სტროფები სხვა ხელნაწერებში ამჟამად არ ჩანს და, იქნებ, აქაც ახალ ინტერპოლატორთან გვექონდეს საქმე. მაშინ მას ეკუთვნის დანარჩენი 12 სტროფი.

რაც შეეხება ხელნაწერის ადრეულ პლასტს, იგი ამჟამად უკავშირდება მეორე რედაქციის მქონე ხელნაწერებს და მიუხედავად ხელნაწერში ამჟამად არსებული ხარვეზებისა, აქ შესაძლოა გამოვარჩიოთ ა და ბ ჩანართი სტროფები (რაოდენობით დაახლოებით 121 სტროფი ივარაუდება).

ამ ჭგუფის ხელნაწერთა მსგავსად, A—363-ში უნდა ყოფილიყო აგრეთვე ყველა ის სტროფი, რომლებიც ამჟამად ძირითადად ტექსტად ითვლება და შესულია საიუბილეო გამოცემაში, გარდა საიუბილეო გამოცემის 1651, 1652, 1653 სტროფებისა (ასმათის გათხოვების ამბავი), რაც, როგორც წინა თავში ვნახეთ, გამოცემაში მეოთხე რედაქციის მქონე ხელნაწერთა გავლენით შევიდა.

თუ ზემოთქმულს გავითვალისწინებთ, მაშასადამე, აქ გვექონია მეორე რედაქციის ტიპური სახე (პოემის შუა მონაკვეთის მიხედვით).

K—215 (Q), ფრიად დიდი ხარვეზების მქონე ხელნაწერია. სულ შეადგენს 428 სტროფს და ისიც გადასმულ-გადმოსმულია, შედარებამ ცხადყო, რომ გადარჩენილ მონაკვეთში არის რამდენიმე ჩანართი სტროფი, რომელთა ნომრებს აქვე მოვიტან: 306, 331, 934, 935, 946, 948, 976, 977, 983, 1795, 1796, 1797, 1815. ამ სტროფებს, თუ გავიხსენებთ პირველ და მეორე პლასტს (პირველი რედაქციის ა და მეორე რედაქციის ბ ჩანართი სტროფები), სწორედ იქ შევხვდებით. მაგალითად, 306-ე და 331-ე სტროფები ეკუთვნიან მეორე პლასტს, ხოლო დანარჩენი კი — პირველს.

ამასთან გამოირკვა შემდეგი. გადარჩენილ ფურცლებში არ გვაქვს შემთხვევა, რომ ხელნაწერში არ იყოს რომელიმე სტროფი, რაც შესულია საიუბილეო გამოცემაში. ამ შემთხვევაში ეს ხელნაწერი უეჭველად უახლოვდება მეორე რედაქციის მქონე ხელნაწერებს.

ეს ჩვენი მოსაზრება გაამაგრა შემდეგმაც. ხელნაწერში საიუბილეო გამოცემის სტროფი 323 (439) — „წიგნი წიგნსა ეწეოდა...“ თითქოს არ ჩანს. მაგრამ დაკვირვება ამხელს, რომ ეს სტროფი ამ ხელნაწერში ყოფილა არა იქ, სადაც ეს მოკლე ხელნაწერებშია (და, სხვა-

თა შორის, საიუბილეო გამოცემაში 322-ე სტროფის შემდეგ), არამედ რამდენიმე სტროფის წინ, მეორე და სხვა რედაქციების მქონე ხელნაწერთა მსგავსად (იხ. Q—1082, S—4988 და სხვ.).

ყოველივე ზემოთქმული გვაფიქრებინებს, რომ K—215 ხელნაწერი რედაქციულად მიჰყვება მეორე რედაქციის მქონე ხელნაწერებს.

S—5006 (U), ამჟამად გარკვეულია, რომ ხელნაწერი მოდის ორ სხვადასხვა წყაროდან, თუმცა გადამწერი ერთია. პირველი თავები (ავთანდილის ფრიდონთან წასვლამდე) და ბოლო თავები (ინდო-ხატაელთა და შემდგომ) მოდის მე-17 საუკუნის ხელნაწერიდან, ხოლო შუა თავები კი — ვახტანგისეული გამოცემიდან⁵⁹. მაშასადამე, ჩვენთვის საინტერესოა ხელნაწერის მე-17 საუკუნის ნუსხიდან მომდინარე თავები. შედარებით ირკვევა, რომ ხელნაწერი მოდის ისეთი შედგენილობიდან, როგორსაც შეიცავს, მაგალითად. „ზაზასეული“ და მისი მსგავსი ნუსხები. მაშასადამე, აქ მცირე გამონაკლისის გარდა, პოემის შუა მონაკვეთი შეიცავს ა და ბ ჩანართებს, ე. ი. წარმოგვიდგენს მეორე რედაქციას.

საინტერესოა, რომ S—5006-ში ჩართულია აგრეთვე „ზაზასეულის“ გადამწერის, იოსებ ტფილელის, 511¹-ე სტროფი: „ამა ამბისა მოსმენა...“, ხოლო დანარჩენი ორი ტფილელისეული ჩანართი არ არის, რადგან S—5006 ამ ადგილებში ვახტანგისეული გამოცემიდან მოდის. ამ ხელნაწერის სიანლოვეს „ზაზასეულთან“ ჩვენ შევეხებით აგრეთვე პოემის დასასრულის განხილვის დროს (S—5006 ზუსტად იმეორებს ტფილელის მიერ შეთხზულ ანდერძებს).

H—3061 (V), ხელნაწერის პირველი მონაკვეთი, კერძოდ, საიუბილეო გამოცემის 153-ე სტროფამდე გადმოწერილია ვახტანგისეული გამოცემიდან, ხოლო შემდგომ კი ხელნაწერი მოდის ვრცელი რედაქციიდან⁶⁰. ხელნაწერი, როგორც პოემის შუა მონაკვეთით, ისევე დასასრულით (ამაზე შემდეგ) ძალზე უახლოვდება „ზაზასეული“ ტიპის ხელნაწერებს, კერძოდ, იმავე S—5006 და სხვ.

მაშასადამე, ხელნაწერი შეიცავს ა და ბ ჩანართებს და გვაძლევს პოემის მეორე რედაქციას. ხელნაწერის თავისებურებისათვის აღსანიშ-

⁵⁹ ს. ცაიშვილი, ზემოთ დასახელებული წიგნი, გვ. 58—60.

⁶⁰ ს. ცაიშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 9.

ნავია, რომ S—5006-ის მსგავსად, ისიც იცნობს ტფილელის ჩანართსა (511¹) და ანდერძებს.

საინტერესოა ერთი დეტალი, როგორც ჩანს, მიუხედავად ვრცელი რედაქციით (ამ შემთხვევაში მეორე რედაქციით) სარგებლობისა, ეს ხელნაწერი ზოგჯერ მაინც იშველიებს ვახტანგისეულ გამოცემას. მაგალითად, ჩემი აზრით, ჩანართი სტროფის: „ესე სიტყვა მართალია, არ-ჰერლად და არ-ხვასრულად...“ (1497) არ არსებობა H — 3061-ში (მაშინ როცა ეს სტროფი ყველა ძველ ხელნაწერშია) ერთგვარად ბადებს აღნიშნულ ექვს, რადგან ეს სტროფი არ არის ვახტანგის გამოცემაში და მისგან მომდინარე ხელნაწერებში (მაგ., S—5006 ამ ადგილას, S—1727 და სხვ.).

S—4527 (F¹), ხელნაწერი საკმაო სიზუსტით მისდევს მეორე რედაქციის მქონე ხელნაწერებს. აქ ზუსტად წარმოდგენილია ჩანართების იგივე პლასტიკა და ბ, როგორც ეს ვნახეთ „ზაზასეული“ ხელნაწერის ტიპის ნუსხების მიმოხილვის დროს. ამასთან, ხელნაწერში შემოტანილია რამდენიმე ზედმეტი ჩანართიც. მაგალითად, სტროფი 61 — „უკუვდგე ერთსა ადგილსა“ — და 66¹ — „უთრუთ, საამ, ზაალ. როსტომ“, პირველი მათგანი მოიპოვება ძირითადად მესამე რედაქციის ხელნაწერებში და, სხვათა შორის, რამდენიმე მეორე რედაქციის მქონე ხელნაწერშიც (S—4988, H—2610 და სხვ.), ხოლო მეორე კი, როგორც აღრეც ვნახეთ, მოიპოვება სულ რამდენიმე ხელნაწერში: S—4988, H—461, Q—799 და ასლანიშვილის კოლექციის ხელნაწერში (ამჟამად ინახება აკადემიის ბიბლიოთეკაში).

S—4527-ში არის აგრეთვე იოსებ ტფილელის შეთხზული ჩანართიც: „მისსა მზესა, გზა-გზა მოსთქვამს...“ (1139¹), რომელიც „ზაზასეულის“ გავლენით შესულია რამდენიმე სხვა ხელნაწერშიც (S—4988, H—2610 და სხვ.).

ხელნაწერებთან მიმართების გამოსარკვევად საინტერესოა რამდენიმე დეტალიც. საიუბილეო გამოცემის 260-ე სტროფი — „გითხრა თუ ცოდნა გწადიან...“ — არ არის ხელნაწერში და ამის მიზეზი არ ჩანს. ირკვევა, რომ ეს სტროფი არ ყოფილა აგრეთვე ხელნაწერებში: S—4988, H—2610, ლიტ. მუზეუმის C—10768/191 და ასლანიშვილის კოლექციის ხელნაწერში.

ასევე საიუბილეო გამოცემის 1407-ე სტროფი: „ფრიდონ ლაღობს ამხანაგობს...“ არ არის ამ ხელნაწერში. სხვათა შორის, ამის მიზეზის ამოცნობა არ არის რთული. წინა სტროფიც იმავე სიტყვებით იწყება და ასეთ დროს ვადაწყვეტო ხშირად მოსდით შეცდომები. კიდევ უფრო საგულისხმოა, რომ ეს ხარვეზი S—4257-ის კუთვნილება არაა, იგი მო-

დის ამავე რედაქციის უფრო ძველი ხელნაწერიდან, როგორცაა S—4988 ალბათ, ამავე ხელნაწერის გავლენით ეს სტროფი არაა ლიტერატურული მუზეუმის C—10768/191 და ასლანიშვილის ხელნაწერში.

საიუბილეო გამოცემის 1597 სტროფი:—„რა ტარიელს ესე...“ არ ყოფილა აგრეთვე Q—1082, H—3061, S—4527 და ასლანიშვილის ხელნაწერში, რაც, ზემოთქმულთან ერთად, კარგად მიუთითებს ამ ხელნაწერთა მიმართებაზე.

დასასრულ, მეორე რედაქციის მქონე ხელნაწერთა მსგავსად: S—4527-შიც არ არის საიუბილეო გამოცემის სამი სტროფი, სადაც მოთხრობილია ასმათის დასაჩუქრებისა და გათხოვების ამბავი (1651, 1652, 1653).

ყველა ამ ნიშნის გათვალისწინების შემდეგ, ცხადია, რომ S—4527 შეიცავს ტექსტის მეორე რედაქციას.

H—412 (I¹), ხელნაწერი დაზიანებულია თავსა და ბოლოში. იწყება საიუბილეო გამოცემის 97-ე სტროფით: „რა სცნა, მეფე მოვიდაო, ჰკრა მათრახი მისსა ცხენსა... „და წყდება 1414-ე სტროფზე... „რა ნახეს, კარნი გაახვნეს, ქალაქით გახდა ზრიალი“... ხელნაწერის შეჭერება ზუსტად არკვევს, რომ აქ არის დაცული პოემის მეორე რედაქცია, კერძოდ, ხელნაწერების ისეთი ჯგუფისა, რომელსაც ეკუთვნის A—363, Q—1082 და სხვ. ნუსხები. ე. ი. აქ არის ჩანართები (მცირე გამონაკლისის გარდა) პირველი (ა) და მეორე (ბ) პლასტიდან. ამასთან, ამ ჯგუფის ხელნაწერთა მსგავსად, მოიპოვება ყველა სტროფი, რომელიც კი არის შესული 1937 წლის საიუბილეო გამოცემაში. აღსანიშნავია ისიც, რომ ხელნაწერი განსაკუთრებულ სიახლოვეს ამჟღავნებს A—363-ე ხელნაწერთან (მაგ., არც აქ არის იოსებ ტფილელისეული ჩანართი სტროფები).

ხელნაწერის თავისებურებებისათვის აღსანიშნავია, რომ აქ არის მხოლოდ ერთადერთი სტროფი: „მოვიდა კაცი მეფისა...“ (419 სტროფი), რომელიც გვხვდება მხოლოდ მესამე რედაქციის შემცველ ხელნაწერებში (H—54, H—757, Q—483 და სხვ.), როგორც ჩანს, სხვა გვიანდელ ხელნაწერთა მსგავსად, გადამწერს სხვა ტიპის ნუსხებიდან შემოუტანია იგი.

მაშასადამე, ყველა ამ ნიშნის გათვალისწინებით უნდა დავასკვნათ: ხელნაწერი მისდევს პოემის მეორე რედაქციას.

ხელნაწერი ვ. ასლანიშვილის კოლექციიდან (L¹)⁶¹, თავისი ძირითადი სახით ხელნაწერი შეიცავს მეორე რედაქციას, ე. ი. ახლავს ჩანართები პირველი (ა) და მეორე (ბ) პლასტიდან. მაგრამ ამავე დროს ამჟღავნებს ზოგ თავისებურებასაც.

პირველი — ხელნაწერში შემთხვევით უნდა იყოს გამოტოვებული რამდენიმე ისეთი სტროფი, რომლებიც ივარაუდება ამ ტიპის ხელნაწერებში. მაგალითად, მე-17 საუკუნისა და შემდგომ გადაწერილ ხელნაწერებში არის საიუბილეო გამოცემის 120-ე, 405-ე სტროფები, ხოლო ეს ორი სტროფი არ მოიპოვება მხოლოდ დასახელებულ ხელნაწერში⁶². ყველა ნიშნით ეს შემთხვევითი დეფექტი უნდა იყოს (იქნებ დედნიდან მომდინარე). მეორე სტროფი 860¹, როგორც ჩანს, არის მხოლოდ და მხოლოდ ამ ხელნაწერში და 1827 წელს გადაწერილ ერთ ნუსხაში (S—473), რომელიც ჩვენი განხილვის სფეროში არ შემოდის (იხ. გამოცემა ჩანართებიანი ანუ ვრცელი ვეფხისტყაოსნისა, გვ. 334).

მეორე რედაქციის ნიშნებს ამ ხელნაწერში ემატება ისიც, რომ აქ არ არის საიუბილეო გამოცემაში შეტანილი ეპიზოდი ასმათის გათხოვების შესახებ (1651, 1652, 1653 საიუბ. გამოცემით).

თუმცა ხელნაწერი ზოგადი სახით მთლიანად თანხვედება მეორე რედაქციის მქონე ხელნაწერებს, მაგრამ აქ შეიძლება ზოგი რამ კიდევ უფრო დავაზუსტოთ. ირკვევა, რომ ამ ჭგუფის ხელნაწერთაგან იგი განსაკუთრებით ახლოა რამდენიმესთან (S—4988, S—4527 და ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი C—10768/191), რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია მე-17 საუკუნის ხელნაწერი S—4988, მაგალითად, საიუბილეო გამოცემის 260-ე, 1407-ე და 1597-ე სტროფები გამოარჩენილია ამ ხელნაწერებში და ასლანიშვილის კუთვნილ ნუსხაში. ასევე იოსებ ტფილელის მიერ შეთხზული 1139¹ — სტროფი „მისსა მზესა გზა-გზა მოსთქვამს...“ არის აღნიშნულ ხელნაწერებში.

⁶¹ იხილეთ აკადემიის ბიბლიოთეკაში; აკ $\frac{25299}{2}$.

⁶² 120-ე სტროფის ამოვარდნა აშკარად შემთხვევითია, რადგან მომდევნო სტროფიც იმავე სიტყვებით იწყება, რაც, როგორც აღვნიშნეთ, ხშირად იწყებს მექანიკურ შეცდომას.

დასკვნა: ეს ხელნაწერი თავისი ძირითადი სახით შეიცავს პოემის მეორე რედაქციას.

Q—799 (O¹), როგორც პროლოგის კლასიფიკაციის დროს აღნიშნეთ, ხელნაწერი შეიცავს ორ ფენას. პირველი ფენა (ფ. 1—20) გადაწერილია მე-17 საუკუნის ხელნაწერთაგან (300 სტრ.), ხოლო მეორე კი მოდის ვახტანგისეული გამოცემიდან. ამდენად, ჩვენთვის საინტერესოა აღნიშნული პირველი ფენა.

ხელნაწერის შესწავლის შედეგად გაირკვა: ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთში Q—799 ხელნაწერი კვალდაკვალ მისდევს მეორე რედაქციის ნუსხებს, ე. ი. აქ არის ა და ბ ჩანართი პლასტები. აღსანიშნავია, რომ მეორე რედაქციის შემცველ ხელნაწერთაგან Q—799 განსაკუთრებულად ახლოს დგას S—4988 ნუსხასთან. აქ საკმარისია დავასახელოთ ერთი მაგალითი. სტროფი — „უთრუთ, საამ, ზაალ, როსტომ...“ (66¹) მეორე რედაქციის ხელნაწერთაგან გვაქვს მხოლოდ S—4988-ში. ეს სტროფი ყოფილა აგრეთვე Q—799 ხელნაწერში.

დასკვნა: Q — 799 ხელნაწერი, თავისი პირველი მონაკვეთით, წარმოადგენს მეორე რედაქციას.

ლიტერატურული მუზეუმის — C—10768/191 (Q¹), ხელნაწერი ძალიან ახლოს დგას მეორე რედაქციის მქონე ხელნაწერებთან. ამას მოწმობს შემდეგი: მოცულობით ხელნაწერი ემთხვევა ამ ჯგუფის ნუსხებს. აქ არის იგივე ჩანართები პირველი (ა) და მეორე (ბ) პლასტიდან. ამავე ხელნაწერთა მსგავსად, არ არის ასმათის გათხოვების ეპიზოდი ინდო-ხატაელთა ამბიდან, რაც, როგორც ვნახეთ, შესულია საიუბილეო გამოცემაში.

ამასთან, ხელნაწერს აქვს ზოგი თავისებურება, რომელთა აღნიშვნა მეტ სინათლეს შესძენს რედაქციულ დახასიათებას. 1. ხელნაწერში არ არის 1937 წლის გამოცემის ზოგი სტროფი და, როგორც გამოირკვა, ამის მიზეზი ხელნაწერის სავარაუდებელი დედანი უნდა იყოს. მართლაც, ამ გამოცემის 260-ე სტროფი არ არის აგრეთვე S—4988, H—2610, S—4527 და ასლანიშვილის კოლექციის ხელნაწერში. სტროფი 1407-ე არ არის S—4988, S—4527 და ასლანიშვილის ხელნაწერში. 2. კიდევ უფრო საყურადღებოა, რომ პოემის ვრცელი გამოცემის 1770, 1771 და 1838-ე სტროფები არ არიან მხოლოდ და მხო-

ლოდ მე-17 საუკუნის ხელნაწერ S—4988-ში და ამ ხელნაწერში, რაც განსაკუთრებით გახაზავს აღნიშნული ორი ხელნაწერის მიმართებას. 3. ხელნაწერში, როგორც ჩანს, შემთხვევით არ არის საიუბილეო გამოცემის 1664-ე სტროფი. 4. ისევე როგორც S—4988-ში და ამ ტიპის ზოგ ხელნაწერში, C—10768/191-შიც არის იოსებ ტფილელის მიერ შეთხზული ჩანართი 1139' — „მისსა მზესა გზა-გზა მოსთქვამს...“.

ამრიგად, თავისი ძირითადი სახით პოემის ამ მონაკვეთში ხელნაწერი შეიცავს მეორე რედაქციას.

დანარჩენ ხელნაწერთა აღნიშნული მონაკვეთის რედაქციულ თავისებურებებს ჩვენ აქ არ შევეხებით, რადგან ისინი ვახტანგისეული გამოცემიდან მომდინარეობენ (ამაზე იხ. ზემოთ პროლოგის დახასიათების დროს, ხოლო უფრო დაწვრილებით წინამდებარე ნაშრომის II წიგნში).

პოემის შუა მონაკვეთის მესამე (ვრცელი) რედაქცია. აღნიშნული მონაკვეთის მანძილზე თავისებურ რედაქციას გვაძლევენ გარკვეული ტიპის ხელნაწერები. აქ ჩანართი სტროფები, I და II პლასტის მქონე ხელნაწერებთან შედარებით, უფრო მრავალრიცხოვანია. შედარებამ გაარკვია, რომ ამ თვალსაზრისით ერთგვარ დამატებით ჩანართებს შეიცავენ ხელნაწერები H—54 (გადაწ. 1680 წ.), H—757 (გადაწ. 1671 წ.), H—2074 (XVII საუკ.), H—1839 (XIX ს.), და Q—483 (1856 წ.). თუ ამ ხელნაწერებს მოვაშორებთ მხოლოდ მათთვის დამახასიათებელ ჩანართ სტროფებს (მათ შესახებ სპეციალურად შევჩერდებით ამ ხელნაწერთა ცალკე დახასიათების დროს), მაშინ წმინდა სახით, ისევე როგორც ხელნაწერთა პირველი და მეორე პლასტის გამორჩევის დროს, მივიღებთ ჩანართების ახალ მესამე პლასტს, რომელიც გ რუბრიკით აღინიშნება. ე. ი. ხელნაწერთა ეს ჯგუფი გარდა I და II პლასტის ჩანართებისა იძლევა შემდეგ სტროფებს: 53, 61, 81, 83, 85, 88, 89, 91, 104, 106, 109, 111, 113, 115, 117, 127, 131, 134, 136, 140, 142, 144, 146, 221, 225, 227, 344, 419, 422, 423, 424; 425, 426; 427; 428, 429, 430, 431, 432, 433, 484, 486, 488; 498, 552, 553, 559.

ე. ი. ეს ვრცელი რედაქციები დამატებით გვაძლევენ კიდევ 47 ახალ ჩანართ სტროფს, ხოლო მთლიანად თუ პირველი და მეორე პლასტების ჩანართებთან შევჯამებთ, ეს რიცხვი აღწევს 170 სტროფამდე (უფრო ზუსტად, პირველი პლასტი 54 სტროფი + მეორე პლასტი 69 სტროფი + მესამე პლასტი 47 სტროფი = 170 სტროფს.).

ვიდრე მესამე რედაქციის (პოემის შუა მონაკვეთის მიხედვით) ცალკეულ ხელნაწერთა დახასიათებაზე გადავიდოდეთ, აქ საჭიროა

აღინიშნოს შემდეგი. მესამე რედაქცია პირველ და მეორე პლასტს ურთავს არა მარტო ცალკეულ სტროფებს, არამედ აქ არის ჩართული ერთი პატარა ეპიზოდური ამბავიც, რომელიც მოთხრობილია ცამეტი სტროფით (419, 422—433). ეპიზოდი ჩართულია იმ თავში, სადაც გადმოცემულია ტარიელის მამის (სარიდანის) სურვილი და ინდოეთის გაერთიანება. აქ ინტერპოლატორს ჩაურთავს ეს ცამეტი სტროფი და უფრო დაწვრილებითაა მოთხრობილი ფარსადან მეფისა და მისი ახალი ვასალის სარიდანის დამეგობრების ამბები:

- 419 — მოვიდა კაცი მეფისა...
- 422 — მეფემან უძღვნა მრავალი...
- 423 — ვინადიროთ მხიარულთა...
- 424 — მუნ მეფესა მოუკაზმნეს...
- 425 — თუ რა სადა სახელმწიფო...
- 426 — დღესა ერთსა ავაზითა...
- 427 — კვირას ერთსა ინადირეს...
- 428 — რა გათავდა ნადრობა...
- 429 — გარდიხადეს ნადრობა...
- 430 — მეფემან უძღვნა მამაჩემს...
- 431 — ღვინობდეს და თამაშობდეს...
- 432 — კრულში არს ჩემი დაბადება...
- 433 — ამის მეტსა ველარ უძღვებ...

ეს ეპიზოდური ჩანართი ბევრის მეტყველია და კარგად მიუთითებს, თუ როგორ თანდათან იზრდებოდა ვეფხისტყაოსანი ახალი და ახალი ინტერპოლაციებით, სტროფების ნაცვლად ზოგჯერ მთელ ეპიზოდებსაც კი ურთავდნენ პირვანდელ ტექსტს. აქ საინტერესოა მეორე მხარეც. გადამწერთა დიდი უმრავლესობა არა მარტო თხზავდა ჩანართებს, არამედ სხვა ხელნაწერთაგანაც შემოჰქონდათ ისინი. ამის მრავალი მაგალითი მოვიტანეთ და კიდევ ბევრის მოტანა შეიძლება, მაგრამ აქ სწორედ ამ ცამეტ სტროფთან დაკავშირებით აღვნიშნავ ამგვარ მომენტს. ეს ჩანართი ეპიზოდი შეუტანია თავის ხელნაწერში ისეთი შედარებით თავისებური რედაქციის მქონე ხელნაწერს, როგორცაა პარიზული ნუსხა P—10. რასაკვირველია, ივარაუდება, რომ იქნებ ამ ხელნაწერის დედნის გადამწერმა შემოიტანა ან უფრო ადრე ვაკეთდა ეს, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს ამ საკითხში. P—10-ში ამ ეპიზოდის არსებობა კიდევ ერთხელ ადასტურებს ზემოთ გამოთქმულ ექვსს, რომ არა პირველ, არამედ სწორედ მესამე რედაქციიდან იღებს სათავეს ეს ხელნაწერი (ამაზე ქვემოთ).

ახლა ცალ-ცალკე შევებოთ იმ ხელნაწერებს, რომლებიც შეიცავენ პოემის შუა მონაკვეთის ვრცელ რედაქციებს.

H—757 (A), ამ ხელნაწერის მთლიანი სახე ჯერ კიდევ წიგნში — „ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია“ — გამოვარკვეით. ხელნაწერში პოემის ეს მონაკვეთი ზუსტად ემთხვევა ბეგთაბეგისეულ ნუსხას (H—54); ირკვევა, რომ ორივე ეს ხელნაწერი მოდის ერთი საერთო დედნიდან, ე. ი. ამ ხელნაწერშიც ზუსტად იგივე ჩანარებია, რაც H—54-ში (ა, ბ და გ ჩანართი სტროფები; 170-მდე სტროფი). ამასთან პოემის ამ მონაკვეთში H—757 ხელნაწერი თავის მხრივ ურთავს კიდევ 28 ახალ ჩანართ სტროფს. გარკვეული ინტერესის გამო აღვნიშნავ ამ სტროფების ნომრებს და დასაწყის სიტყვებს:

- 179 — ჩანგსა ჰკრავს პირმზე ავთანდილ...
- 250 — ტარიას ძებნად ავთანდილ...
- 275 — მკვდარი მოაქვთ ხატელთა...
- 276 — აქ ხატელთა ძმა მოჰყავთ...
- 654 — აქ მეფე არჩევს, ვაზირობს...
- 661 — აქ საწოლს მგდომი ტარიელ...
- 704 — აწ გაუცუდდეს ფარსადანს...
- 715 — შეჰმან საწყალმან ასმათმან...
- 731 — ნესტან-დარეჯან ქაჯთ მისცა...
- 732 — მზე დაუქარგა სოფელსა...
- 744 — ფრიდონ მოემე დაკოდილი...
- 746 — აქ ტარიელ შეეყრების, მიეგებვის...
- 808 — დეენი დახოცა ტარიელ...
- 841 — მოვიდა პირმზე ავთანდილ...
- 869 — მონა სელს უდგამს ავთანდილს...
- 870 — ნუთუ ვარგო რა მას ზელსა...
- 926 — მეფე სკამს ესერის ვაზირსა...
- 959 — საწოლს ზის პირმზე ავთანდილ...
- 998 — გაზრდილო, ცეცხლი მედების...
- 1048 — აქ დაბნედილი ტარიელ...
- 1049 — ლაქენი შექქმნია ზაფრანად...
- 1301 — უყურეთ ბოზსა დიაცსა...
- 1542 — ტარიელ, მითხარ სიმღერა...
- 1612 — ქაჯთს მიუხდეს საომრად...
- 1613 — ფრიდონ შეუტყუა, ეს იყო თათბირი...

1748 — რომ გენახეს ოთხნივ ერთად...

1749 — აბა ეს არის ლხინი და...

1750 — ქორწილი აეთანდილისა...

ხელნაწერთა მთელი მეგვიდრეობის გათვალისწინებით ჩვენ შევისწავლეთ ეს 28 სტროფი და გამოირკვა საინტერესო ვითარება. ეს სტროფები ამ ხელნაწერის თავისებურებაა. შედარებამ ცხადყო, რომ გარდა ორი სტროფისა (998-ე და 1542-ე, რომელთა შესახებ ქვემოთ) ყველა ეს სტროფი მოიპოვება მხოლოდ და მხოლოდ H—757 ხელნაწერში. საინტერესოა, რომ ზოგი ამ სტროფებიდან აულიათ და მოგვიანო ხელით აშიებზე მიუწერიათ A—363 ხელნაწერში (275, 276, 654, 661, 705, 732, 744, 746, 808, 841, 870, 926), რაც უნდა მეტყველებდეს H—757 ხელნაწერის გავლენაზე.

რაც შეეხება 998 და 1542 სტროფებს, ეს, როგორც ჩანს, H—757-ის გადამწერს შემოუტანია სხვა უფრო ძველი ხელნაწერებიდან და მათ შესახებ საუბარი გვაქვს სხვა პლასტის მქონე ხელნაწერების დახასიათების დროს.

ასე, რომ ამ სტროფების შესწავლით ირკვევა სრულიად ახალი ინტერპოლატორი (საფიქრებელია, თვით ამ ხელნაწერის გადამწერი, ცნობილი კალიგრაფი აღმურანთ ბაღდასარას შვილი გასპარა). რომელსაც, თუ აღნიშნულ ორ სტროფს გამოვაკლებთ, ვეფხისტყაოსანში ჩაურთავს 26 ახალი შაირი. საინტერესო იქნებოდა ამ ჩანართების სტილური ანალიზი, მაგრამ ამაზე დაწვრილებით ვერ შევჩერდებით. ირკვევა, რომ აღნიშნულ ჩანართებს ბევრი რამ აახლოებთ ენობრივ-მხატვრული თვალსაზრისითაც, დეკავირდეთ. მაგალითად. 276-ე. 654-ე, 662-ე, 705-ე, 746-ე, 1048-ე და სხვ. სტროფებს, რომლებშიც თხრობა იწყება ასე: „აქ“, „აწ“ და ა. შ. ანდა 1749-ე სტროფის პირველ სტრიქონს: „აბა, ეს არის ლხინი და, თუ გინდა, ერთად ჰამება“ და ა. შ.

ზოგი ამ თავისებურებათა აღნიშვნის შემდგომ უფრო ნათლად წარმოგვიდგება ამ ხელნაწერის სახე, რომელიც თავისი ძირითადი ნაწილით პოემის ამ მონაკვეთში შეიცავს მესამე, ანუ ვრცელ რედაქციას.

H — 54 (B), როგორც ზეითაც აღინიშნა, ეს ბეგთაბეგისეული ნუსხა გვაძლევს პოემის შუა მონაკვეთის მიხედვით მესამე რედაქციის ტიპურ სახეს. აქ არის ზუსტად ჩანართები ა, ბ და გ პლასტებიდან, არც მეტი არც ნაკლები (რაოდენობით 170-მდე). რაც შეეხება საიუბი-

ლეო გამოცემასთან მიმართებით, ისევე როგორც ამ ჯგუფის ხელნაწერებში (H—757, H—2074 და სხვ.), აქაც არ არის ამ გამოცემის 1651, 1652, 1653 სტროფები (ასმათის დაქორწინების ამბავი) და, როგორც აღვნიშნეთ, ისინი სხვა რედაქციიდან მოხვდნენ საიუბილეო გამოცემაში. ხელნაწერ H—757-ის დახასიათების დროს აღვნიშნულია, რომ ამ მონაკვეთში H—54 და H—757 ხელნაწერები ერთი დედნით სარგებლობდნენ⁶³.

H—54 ხელნაწერი პოემის ამ მონაკვეთში შეიცავს მესამე რედაქციას.

H—2074 (C). ჩვენი ვარაუდით მესამე რედაქციებში შემავალ ხელნაწერთა შორის H—2074 არის ყველაზე უფრო ძველი და ამასთან განსაკუთრებული ყურადღების ღირსი, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მონაკვეთში შიგადაშიგ ახლავს რამდენიმე ხარვეზი. მაგრამ, როდესაც ეს ხელნაწერი შევისწავლეთ სხვა ნუსხებთან და განსაკუთრებით H—54-თან მიმართებაში, გამოირკვა, რომ მისი სრული სახით წარმოდგენა შესაძლებელია.

იგი H—54-ის იგივეობას წარმოადგენს (მცირე, შემთხვევითი განსხვავებით) და იქნებ თვით არის H—54-ის დედანი, მაგრამ, ჩემი აზრით, უფრო საფიქრებელია, რომ ხელნაწერებს (A, B, C) საერთო დედანი ჰქონდათ⁶⁴.

ასევე ემთხვევა იგი H—54-ის იმ ადგილს, რომლითაც ეს უკანასკნელი ნაკლებია საიუბილეო ტექსტზე (1651, 1652, 1653 — ასმათის დაქორწინების ამბავი).

აქ საჭიროა აღვნიშნოს, რომ ამ ხელნაწერის დათარიღების დროს რამდენიმე შეცდომა იყო დაშვებული ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში. მიაჩნდათ, რომ ეს ხელნაწერი ჩამოყალიბდა „ზაზასეული“ ხელნაწერის შემდეგ, მისივე გავლენით (ს. იორდანიშვილი, იუსტ. აბულაძე). ამჟამად გარკვეულია, რომ ეს ხელნაწერი არავითარ ურთიერთობაში არ არის „ზაზასეულ“ ხელნაწერთან (იხ. ქვემოთ) და იგი ბევ-

⁶³ ამასთან H—757 ხელნაწერს ბოლოში უსარგებელია „ზაზასეული“ ტიპის ხელნაწერთა. იხ. ჩემი ვეუხსიტყ. ვაზტ. რედაქცია, 1957. გვ. 19—21.

⁶⁴ H—54 რამდენიმე სტროფით მეტია (მაგ. სტრ. 42 „იყო არაბეთს მეფობა...“), რაც მიუთითებს, რომ იგი ვერ ვახდებოდა H—2074-ის წყარო. ამასთან, რაც მთავარია, H—2074-ის შესწავლა არკვევს, რომ იგი უფრო ადრე გადაწერილი ნუსხაა.

რად უფრო ადრე (ჩემი აზრით, მე-17 საუკუნის შუა წლებში) უნდა იყოს გადაწერილი.

ყველა ამ ნიშნით უნდა დავასკვნათ, რომ H—2074 ხელნაწერი პოემის ამ მონაკვეთში შეიცავს მესამე რედაქციას. გვაძლევს ა, ბ და გ ჩანართებს.

Q — 779 (M), პოემის შუა მონაკვეთის ფარგლებში შედარებამ გამოარკვია, რომ ეს ხელნაწერი, თითქმის ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, მისდევს H—54 ტიპის ნუსხას იმ მონაკვეთში, რაც კი ჩვენამდეა მოღწეული. M ხელნაწერი იწყება სტროფით: „უბრძანა აჰა შერმადინ...“ 151 საიუბ. და თავდება: „ისია ჩემი გამზრდელი...“ 1151 საიუბ. ე. ი. M ხელნაწერშიც არის ა, ბ და გ რუბრიკის ქვეშ მოთავსებული ჩანართი სტროფები, ხოლო ამავე ჯგუფის ხელნაწერთა მსგავსად, დაუზიანებელ ნაწილში აქ არის საიუბილეო გამოცემის ყველა სტროფი.

ამრიგად, ყველა ამ ნიშნით გვაქვს კიდევ ერთი ხელნაწერი, რომელიც იცავს ძირითადი ტექსტის (პოემის შუა მონაკვეთი) მესამე, რედაქციას.

H—1839 (D') მართალია გვიანდელი ნუსხაა, მაგრამ საინტერესოა იმით, რომ შეიცავს ვრცელ რედაქციას. კერძოდ, კვალდაკვალ მისდევს ისეთი ტიპის ნუსხებს, როგორცაა H—2074, H—54 და სხვ. ე. ი. აქ არის, ა, ბ და გ ჩანართი პლასტები. ამასთან აღსანიშნავია შემდეგი. H—54 ტიპის ხელნაწერებში, როგორც ვნახეთ, არის ერთი მოზრდილი ჩანართი ეპიზოდი, რომელშიც გადმოცემულია სარიდანის ფარსადანთან მისვლა და ნადირობა-შექცევა (419, 422—433). ირკვევა, რომ ეს ეპიზოდი არ არის H—1839 ხელნაწერში. ეს ეპიზოდი დამახასიათებელია მხოლოდ H—54 ტიპის ხელნაწერთათვის და ირკვევა, რომ H—1839 ხელნაწერი ისეთი ვრცელი რედაქციით სარგებლობდა, რომელშიც ჯერ არ იყო ჩართული აღნიშნული ეპიზოდი⁶⁵.

ისევე როგორც ამ ჯგუფის ხელნაწერებში, H—1839-ში არის საიუბილეო გამოცემის ყველა სტროფი, გარდა ინდო-ხატაელთა თავში მოთავსებულ სამი სტროფისა — 1651, 1652, 1653 (ასმათის გათხოვების ეპიზოდი).

ხელნაწერის თავისებურებათაგან აღვნიშნავ ერთს. როგორც ჩანს, ხელნაწერის დედანში დაზიანებული ან დაკარგული ყოფილა ერთი

⁶⁵ იქნებ ამის მიზეზი იყოს ხელნაწერი H—2074, სადაც ეს ადგილი დაზიანებულია და შემდეგ აღდგენილი სხვა ხელნაწერის მიხედვით, სადაც არ ყოფილა ფარსადანისა და სარიდანის ნადირობის ჩანართი ეპიზოდი (სტრ. 419, 422—433), თუმცა ამას კიდევ უნდა შემდგომი დაზუსტება.

ფურცელი და ამიტომ ხელნაწერში არ არის სტროფები: 815. 817. 818, 819, 820, 821, 822, 823 (სათვალავი ჩანართებიანი გამოცემით) ყველა ეს სტროფი, როგორც ცნობილია, არის საიუბილეო გამოცემაში.

მაშასადამე, თუ ამ თავისებურებებს გამოვრიცხავთ, აქ ძირითადად წარმოდგენილია მესამე რედაქცია.

Q—483 (E') ზუსტად მიჰყვება ამ ნაწილში ისეთი შედიანილობის ხელნაწერს, როგორცაა H—54. არის მხოლოდ რამდენიმე, ჩვენი აზრით, შემთხვევითი განსხვავება. Q—483-ში არ არის სტროფი: „ვაზირთა ჰქადრეს მეფეო...“ (საიუბ. გამოცემით 37-ე), რომელიც არის ვეფხისტყაოსნის ყველა რედაქციაში და ყველა ხელნაწერში. ალბათ, ასევე შემთხვევით არ უნდა იყოს ხელნაწერში საიუბილეო ტექსტის 1392-ე სტროფი: „გვირაბის კარსა...“ და სხვ.

სხვა მხრით საკითხი ნათელია: Q — 483 ხელნაწერი პოემის შუა მონაკვეთის მანძილზე ზუსტად ემთხვევა H — 54 ხელნაწერს, ე. ი. შეიცავს ა, ბ და გ ჩანართ სტროფებს; ხელნაწერში არ არის საიუბილეო გამოცემის 1651, 1652, 1653 სტროფები (ასმათის გათხოვების ეპიზოდი).

Q—1335. ხელნაწერი ტიპიურია ამ რედაქციულ ჯგუფში შექაველთა შორის. შეჩერება არკვევს, რომ ხელნაწერს ამ მონაკვეთში ერთვის ა, ბ და გ პლასტების ჩანართი სტროფები, ე. ი. ხელნაწერში წარმოდგენილია ყველაზე ვრცელი, მესამე რედაქცია, ამასთან ხელნაწერში მოთავსებულია 1937 წ. საიუბილეო გამოცემის ყველა სტროფი, გარდა ამავე გამოცემის 1651, 1652, 1653 სტროფებისა, როგორც ეს ამ რედაქციის მქონე სხვა ნუსხებშია (ალსანიშნავია, რომ ეს ხელნაწერი ზუსტად მისდევს ზამთ უკვე აღწერილ H—54 ხელნაწერს, რომელიც 1680 წ. გადაუწერია მდივან-გადამწერს ბეგთაბეგს). ალსანიშნავია, რომ ხელნაწერი აქამდე უცნობი იყო და, როგორც ზემოთაც ითქვა, პირველად ჩვენ მიერ იქნა შესწავლილი და აღწერილი.



ცალკე უნდა განვიხილოთ ხელნაწერთა ერთი ჯგუფი, რომელიც მეტად თავისებურია პოემის ტექსტის აღნიშნულ მონაკვეთში. იგი ბერად სცილდება ჩანართი სტროფების რაოდენობით ჩვენ მიერ გამოყოფილ პირველ რედაქციას, მაგრამ როგორც შედარებამ გამოარკვია, ისინი დიდ სხვაობას უჩვენებენ როგორც მეორე, ისე მით უფრო მესა-

მე ტიპის რედაქციებთან. ამ თავისებურებათა შემცველ ხელნაწერთაგან ვიცნობთ ხუთს: H — 461, S — 4499, K — 205, მზეხათუნისიუელ W — 17 და ნაწილობრივ Q—796.

ეს ხელნაწერები დიდ სიახლოვეს გვიჩვენებენ ერთმანეთთან, ამასთან, როგორც აღვნიშნეთ, მიუხედავად ჩანართების დიდი რაოდენობისა, ისინი ქმნიან განსაკუთრებულ რედაქციას და ნაკლებ მსგავსებას იჩენენ ზემოთ დახასიათებულ მეორე და მესამე ტიპის ვრცელ რედაქციებთან. მაგრამ ირკვევა, რომ ყველა ამ ხელნაწერში როგორც უძველესი პლასტი, არის შესული პირველი რედაქციის კუთვნილი ა რუბრიკში მოთავსებული ჩანართი სტროფები⁶⁶. ამის გარდა, ყველა ეს ხელნაწერი, მცირე მეტნაკლებობით, ურთავს დაახლოებით 50-მდე ახალ სტროფს, ხოლო ეს ჩანართები, როგორც წესი, მხოლოდ და მხოლოდ აღნიშნულ ხელნაწერთა ჯგუფის სპეციფიკას წარმოადგენენ. ხუთივე ხელნაწერის შეჯერება-შესწავლის შემდგომ გამოჩეულ იქნა ამ რედაქციის ჩანართ სტროფთა ძირითადი პლასტი. გარკვეული ინტერესის გამო მოვიტან ამ საერთო ჩანართებს, რომლებიც წარმოადგენას გვიქმნის სავარაუდებელი დედნის შედგენილობაზე. ოღონდ აქ არ აღვნიშნავთ პირველ რედაქციაში შემავალ 54 ჩანართ სტროფს. ხელნაწერთა ეს ახალი ჯგუფი (H — 461, S — 4499 და სხვ.) დამატებით ურთავს შემდეგ სტროფებს:

- 471 — (თვალი) უშზოდ ბრაღია...
- 591 — (კვლავ) შოახსენეს მეფეო...
- 651 — მერმე მოვიდნენ ლაშქარნი...
- 661 — უთარუთ, საამ, ზაალ, როსტომ...
- 681 — (აწ) ნახეთ მეფე თინათინ...
- 771 — (თინათინს) ჰკადრეს იღუმალ...
- 1391 — მეფეს უანბეს, რაც იქნა...
- 1491 — შინა მოვიდა ხელმწიფე...
- 1761 — მეფე დაამდა ქალისა...
- 1841 — აეთანდილ ჰკადრა: „მეფეო...
- 2171 — პირველად მქონდა მე მისი...
- 2941 — ვეფხისა ტყავი ენიშნა...
- 4181 — კმარის ღმრთისაგან ჩემზედა...

⁶⁶ ამასთან, ამ ხელნაწერებში გვაქვს ისეთივე ვითარება, როგორც პირველი რედაქციის შემცველ ნუსხებში. საიუბილეო გამოცემის ზოგი სტროფი აქ არ არის. მათა-სადაშე, ისინი ამით კიდევ უფრო უახლოვდებიან პირველ რედაქციას.

- 456¹ — ავთანდილ ყურსა...
 458² — რალა იგი სიოცხლე...
 458³ — კვლავ ასმათ ჰკადრა „ვისიმცა...“
 458⁴ — ტარიელ ღენად ცრემლისა...
 643¹ — მოეგონა საყვარელი...
 790¹ — კვლა მოგახსენებ...
 791¹ — ტარ-ელ, გვითხარ სიმღერა...
 791² — მოახსნეს, ფრიდონ გაგზავნა...
 793¹ — სხვანი წარმოადგენს მისისა...
 799¹ — ღმერთი მყავს მოწმად...
 838¹ — რა მოისმინა მეფემან...
 1185¹ — პირველად ძებნად წამოსვლა...
 1185² — მივბრუნდი, ვჰკადრე ყოველი...
 1185³ — მეფეთა ღია ეაჰა...
 1204¹ — ფრიდონ მიუძღვნა მას გორსა...
 1204² — ავთანდილ უთხრა...
 1208¹ — გამოესალმნეს აკოცეს...
 1303¹ — ესე ფატმან მოისმინა...
 1305¹ — ჩვენთვის მოიღე ანაზღად...
 1322¹ — ფატმან რა ნახა ავთანდილ...
 1322² — ჰკითხეს: გინახავს ოგი მზე...
 1450¹ — ფატმან უთხრა არ ვიციდი...
 1450² — ავთანდილ თავი დადრიკა...
 1450³ — ვითაც დაედვა იმედი...
 1450⁴ — უამბო ყველა არაბთა...
 1450⁵ — იმა პირ-მზისა სახელი...
 1450⁶ — ჭალსა შენ აქებ, გინახავს...
 1450⁷ — ფატმან შეწუხდა მათისა...
 1577¹ — კვლავ ფრიდონ ჰკადრა...
 1640¹ — ფატმან ავთანდილს თვალითა...
 1643¹ — კვლავ ფატმა ჰკადრა სამთავე...
 1643² — ტარიელ ბრძანა: ჰე, ფატმან...
 1701¹ — მე ვით ვიმართლო თქვენ, წინ...
 1715¹ კვლავ მეუე ჰკითხავს...
 1723¹ — ჭალსაცა ჰკითხეთ, აცნობეთ...
 1723² — თინათინს ჰკადრეს ყოველი...
 1723³ — ჭალმან ჰკადრა თუ: „მეფეო...
 1855¹ — მოახსენა ხელმწიფეო, ვიკადრებ...
 1855² — კვლავცა უბრძანა ტარიელ...
 1855³ — დამორჩილდა, მოახსენა...

აქ ვაჩვენეთ 50 სტროფი, რომელიც საერთო პლასტად გამოდის ხელნაწერთა ამ ჯგუფში (ამას ემატება პირველი რედაქციის კუთვნილი 54 ჩანართი სტროფი). უნდა აღინიშნოს, რომ ამ 50 სტროფიდან ზოგი ეჭვს იწვევს და იქნება თავიდან არც იყო საერთო პლასტში (ე. ი. ამ

ხელნაწერთა პროტოგრაფში) მაგალითად, 139¹, 149¹, 184¹, 217¹, რომლებიც ამჟამად არ ჩანან ზოგ ხელნაწერში და ა. შ. მაგრამ ამ სტროფთა საბოლოოდ დაზუსტება ამჟამად გაძნელებულია (ხელნაწერთა დეფექტურობის გამო). ცალკეული ხელნაწერების დახასიათებისას ვნახავთ, რომ ზოგ მათგანს კიდევ მოეპოვება ჩანართი სტროფები, მაგრამ მეტწილად, ეს მათი თავისებურებაა და არა ძირითადი პლასტისა; ამაზე ქვემოთ.

რაც შეეხება წარმოდგენილ პლასტს, უნდა აღინიშნოს შემდეგი, აქ წინა რედაქციის მსგავსად, ჩანართებად გამოდის არა ცალკეული სტროფები, არამედ ზოგჯერ სტროფთა ჯგუფი, რომელშიც ინტერპოლატორი ცდილობს „გააღრმავოს“ პოემის ესა თუ ის ეპიზოდი. მაგალითად, სტროფები 458¹⁻⁴, 1185¹⁻³, 1450¹⁻⁷, ამ უკანასკნელში გადმოცემულია ფატმანის განცდები, როცა ის ავთანდილის ვინაობას გაიგებს და დასასრული სტროფები 1855¹⁻³, რომელშიც მოთხრობილია ასპათის დასაჩუქრებისა და გათხოვების ამბავი. როგორც შესავალშივე აღვნიშნე, ეს სტროფები სწორედ ამ ხელნაწერთა გავლენით მოხვედრილა უკანასკნელ გამოცემებში და, კერძოდ, 1937 წ. საიუბილეო გამოცემაში.

ხელნაწერთა ამ რედაქციას, რომლის ძირითადი პლასტიც ვაჩვენეთ, ვუკავშირებთ პოემის შუა მონაკვეთის პირველ რედაქციას და იგი მისი საეარაუდო პროტოგრაფის გაგრძელება-განვითარებად მიგვაჩნია. ხოლო პირობითად, რადგან ჩანს ამ რედაქციის გვიან ჩამოყალიბება, მას მეოთხე რედაქციას ვუწოდებთ. რაც შეეხება დამატებით ჩანართებს, იგი დ რუბრიკით აღინიშნება.

ახლა კი შევეხოთ ამ ჯგუფის ხელნაწერებს ცალ-ცალკე.

H — 461 (ა). ხელნაწერი რთული აღნაგობისაა და როგორც ხელნაწერის სხვა მონაკვეთის დახასიათების დროსაც ვნახეთ (მაგ., პროლოგი), გადამწერი თავისუფლად მოქცევია ტექსტს⁶⁷.

ხელნაწერი შეიცავს ა და დ რუბრიკით აღნიშნულ ყველა ჩანართ სტროფს, ე. ი. აქ არ არის მეორე (ბ) და მესამე რედაქციის (გ) ჩანართი სტროფები და ამიტომ ვუკავშირებთ ჩვენ ხელნაწერში წარმოდგენილ რედაქციას პირველს. H — 461 ჯგუფის ხელნაწერთა ტექსტი არსებ-

⁶⁷ არ არის გამორიცხული, რომ ეს აღრეულობანი იყო ამ ხელნაწერის უშუალო დედანშიც.

თად წარმოადგენს პირველი რედაქციის შემცველ ხელნაწერთა საერთო პროტოგრატის შემდგომ შევსებას სპეციფიკური ჩანართებით (დ), რომლებიც ამ ხელნაწერთა დამახასიათებელი თავისებურებაა.

H — 461 და მის მსგავს ხელნაწერებში არის აგრეთვე ის სამი სტროფი (1651, 1652, 1653) საიუბილეო გამოცემიდან, რომლებიც გადმოგვეყმენ ასმათის გათხოვების ამბავს.

მაგრამ აქვე უნდა შეეჩერდეთ ამ ხელნაწერის რამდენიმე თავისებურებაზეც. ირკვევა, რომ ხელნაწერში არის ზოგი ისეთი ჩანართი, რომელსაც არ იცნობს სხვა ხელნაწერები. მაგალითად, სტროფი 224¹-ე — „პაემანსა არ მოვესწრა...“, 379-ე¹ — „უთხრა თუ დაო, არა ვარ...“, 1315¹-ე — „უსენ წასულა ქალაქად...“, 1316¹ — „ავთანდილს გული შეეძრა... 1318¹ — „კვლავცა დავედრე სიფრთხილე...“⁶⁸ (ხელნაწერს აქვს სხვა თავისებურებებიც, როგორცაა სტროფთა გადასმა-გადმოსმა, მაგრამ მათზე აქ ვერ შეეჩერდებით, რამდენიმე მაგალითი ვნახეთ პროლოგის დახასიათების დროს).

მაშასადამე, ამ სპეციფიკური ადგილების გამორიცხვით შესაძლოა დავასკვნათ, რომ H—461 ხელნაწერი მომდინარეობს მეოთხე რედაქციიდან (პოემის შუა მონაკვეთის მიხედვით).

S — 4499 (K), იგი რედაქციულად პოემის ამ მონაკვეთში უახლოვდება H — 461, W — 17 და სხვა ამ ტიპის ხელნაწერებს (იხ. ზემოთ მეოთხე რედაქციის ძირითადი პლასტი), მართლაც აქ არის მცირე გამოწაკლისით ა და დ ჩანართები, ისევე როგორც ამ ჭგუფის ხელნაწერებში. აქაც ასევე შესულია ასმათის გათხოვების გადმომცემი სამი სტროფი (1651, 1652, 1653 საიუბ. გამოც.), რომლებიც ამ ხელნაწერთა გავლენით შევიდა 1937 წლის გამოცემაში.

ხელნაწერს აქვს ზოგი თავისებურებაც, რომელთაგან აქ აღვნიშნავ რამდენიმეს, რადგანაც დაკავშირებულია ჩანართ სტროფებთან; მაგალითად 395¹ — „გარდახდა და თაყვანისცა“... — არის მხოლოდ და მხოლოდ S — 4499-ში, იგი 302 სტროფის ვარიაციაა და აქ აშიაზეა მიწერილი. შემდეგ, სტროფი 379¹ — „მოახსენა ვპოვე ვინმე...“ — არ არის, მაგალითად, H — 461, ხოლო მოიპოვება K — 205-ში, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ამ ორი ხელნაწერის ახლო ურთიერთობაზე (ამას უფრო აშკარად ვნახეთ S — 4499-ისა და K — 205 დასასრულის განხილვის დროს). ასევე K — 205-ის მსგავსად, S—4499-ს მოკლე რე-

⁶⁸ არის სხვა სტროფებიც (მაგალითად, 47¹, 59¹ და სხვ., რომლებიც, თითქოს მართო H—461-შია, მაგრამ ირკვევა, რომ ამავე ჭუფის ხელნაწერებს ამ ადგილებში ხარვეზი აქვთ, და, ადუნად, შემთხვევით უნდა იყვნენ ეს სტროფები დაკარგულნი).

დაქციის ხელნაწერთაგან შემოაქვს ზემოთ აღნიშნული ცნობილი სტროფი: 578¹ — „მას კაცსა კარგად ვეუბნენ...“

ამდენად ამ მონაკვეთში თავისი ძირითადი სახით ხელნაწერი უკავშირდება მეოთხე რედაქციას.

K — 215 (O). რედაქციულად ხელნაწერი ახლოს დგას H — 461, S — 4499 და W — 17 ტიპის ხელნაწერებთან. აქ არის, თითქმის გამოწკლისის გარეშე, ა და ბ ჩანარები, ისევე როგორც ამ ჭგუფის სხვა ხელნაწერებში (მიუხედავად ხარვეზებისა ეს კარგად ჩანს ხელნაწერში). აქაც ასევე მოიპოვება ის სამი სტროფი, რომლებშიც გადმოცემულია ასმათის გათხოვება და რომლებიც შეტანილია საიუბილეო გამოცემაში.

ამასთან, როგორც ეს დამახასიათებელია მეოთხე რედაქციის მქონე ხელნაწერებისათვის, არ არის რამდენიმე სტროფი, რომელიც მოიპოვება საიუბილეო გამოცემაში (222 — იგი ტვერი გაეხშირა... 339 — „ალ-არა ვიცი დამვიწყდეს.. 968 „მოვიდიან შესამკობლად...“).

ხელნაწერის შეჭერება როგორც ამ მონაკვეთში, ისე დასასრულის მიხედვითაც, გვაფიქრებინებს, რომ იგი აღნიშნული ჭგუფის ხელნაწერთაგან ყველაზე ახლოს დგას S — 4499 და Q — 796 ნუსხასთან.

ამდენად, ყველა ნიშნით აქ არის წარმოდგენილი პოემის შუა მონაკვეთის მეოთხე რედაქციის ტექსტი.

მზეხათუნისეული ხელნაწერი W — 17 (T), ხელნაწერი შედარებით კარგადაა შენახული ამ მონაკვეთში. მეოთხე რედაქციის კუთვნილი ჩანართი პლასტების გამოყოფის დროს ჩვენ ნაწილობრივ შევჩერდით ამ ხელნაწერზეც, რადგან იგი ერთ-ერთი ტიპიურია აღნიშნული ჭგუფის ხელნაწერთა შორის. ხელნაწერი მთლიანად შეიცავს პირველი რედაქციის ჩანარებს (ა) და უმატებს მას დაახლოებით 50-მდე ახალ ჩანართ სტროფს (ღ), რომლებიც ზემოთ აღვნიშნეთ. აღსანიშნავია ხელნაწერის განსაკუთრებული სიახლოვე ამავე ჭგუფის მეორე H — 461 ხელნაწერთან. მოვიტან მხოლოდ რამდენიმე მაგალითს: ა) პროლოგის დახასიათების დროს, შევნიშნეთ, რომ ცნობილი სტროფი — „თუ მოყვარე მოყვრისათვის...“ (40) მიჰყვება 862-ე სტროფს:“ ყმა ეტყვის: „ვის აქვს“... რაც ორივე ხელნაწერის თავისებურებაა⁶⁹. ბ) H — 461 ხელნაწერში სტროფები 270 — „მთით ჩამოვიდა ავთანდილ...“ — და 271 — „მობრუნება დააპირა...“ — ერთმანეთის ადგილას სხედან და ირკვევა, რომ ისინი ასევე არიან განლაგებულნი მხოლოდ W — 17

⁶⁹ სტროფების ნომრები ვეფხისტყაოსნის ვრცელი გამოცემის მიხედვითაა ნაჩვენები.

ხელნაწერში. ამგვარი მაგალითების გაზრდა შეიძლება. ამაზე დაწვრილებით მაშინ, როცა ხელნაწერთა ურთიერთმიმართებაზე გვექნება საუბარი, აქ შევნიშნავ მხოლოდ, რომ ამ ხელნაწერებს საერთო წყარო უნდა ჰქონდეთ⁷⁰.

ისევე როგორც ამ ჯგუფის ხელნაწერებს, W — 17-ში არ არის რამდენიმე ისეთი სტროფი, რომელიც შესულია 1937 წ. საიუბილეო გამოცემაში. ამ გამოცემის ნუმერაციით ეს სტროფებია: 111, 125, 174, 191, 222, 310, 320, 339, 417, 418, 419, 968, 971, 1043, 1207, 1275, 1295, 1373, 1565 (ხაზგასმული სტროფების გარდა, ყველა ესენი მეტ-ნაკლებად არ გვხვდება პირველ და მეოთხე რედაქციის შემცველ ხელნაწერებში. რაც შეეხება ხაზგასმულ სტროფებს, W — 17-ში, ისინი შემთხვევით უნდა იყვნენ გამორჩენილნი). ასევე W — 17-ში არ არის საიუბილეო გამოცემის 1651, 1652, 1653 სტროფები (ასმათის გათხოვების ეპიზოდიდან), რაც მეოთხე რედაქციის ერთ-ერთი თავისებურებაა.

დასკვნა ნათელია: ხელნაწერი W-17 პოემის ამ მონაკვეთში მისდევს მეოთხე რედაქციას (ა და დ ჩანარები).

Q — 796 (C¹). გვიანდელი ხელნაწერია და ამავე დროს ძალზე რთული აღნაგობის მქონე. სხვათა შორის ეს ძალზე დამახასიათებელი გვიანდელ, კერძოდ XVIII — XIX საუკუნის ხელნაწერთათვის, რადგან ისინი ხშირად სარგებლობენ სხვადასხვა რედაქციის დედნებით.

Q — 796 ხელნაწერი მომდინარეობს საკმაოდ ხარვეზიანი დედნიდან, რის გამოც აქ არ არის რამდენიმე აშკარად ძირითადი ტექსტის კუთვნილი სტროფი და ზოგჯერ სტროფთა ჯგუფიც (მაგ., საიუბილეო გამოცემის 34, 125, 152, 222, 339, 646, 647 — 653, 968,, 1188 სტროფები. ხაზგასმული სტროფები კი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, არ არის პირველ და მეოთხე რედაქციის ხელნაწერებშიც. ასე, რომ ამ შემთხვევაში დეფექტი არ უნდა ვიგულისხმოთ).

მიუხედავად ამისა, შესაძლებელი შეიქმნა ამ ხელნაწერის რედაქ-

⁷⁰ გამორიცხული ჩანს მათი ერთმანეთთან უშუალო მიმართება, რადგან როგორც H—461-ში, ისევე W—17-ში არის ზოგი ისეთი თავისებურება, რომელიც ორივე ხელნაწერში ერთად არ მოიპოვება. საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ ორივე ხელნაწერს მოეპოვება მხოლოდ მათთვის დაახასიათებელი დეტალები, ცალკეული ჩანართი სტროფები და ა. შ...

ციული სახის დადგენა. ირკვევა, რომ იგი განსაკუთრებულ სიახლოვეს იჩენს პოემის შუა მონაკვეთის მიხედვით მეოთხე რედაქციასთან (H—461, S — 4499 ხელნაწერთა ჯგუფი). ამას ამხელს ბევრი მონაცემი. კერძოდ, Q — 796 მოიპოვება იგივე ჩანართები, რაც ამ ჯგუფის ხელნაწერებს ახასიათებს, ე. ი. ჩანართების ა და დ პლასტები. ამასთან, როგორც აქვე ვნახეთ, ხელნაწერს, მსგავსად ამ ჯგუფის ნუსხებისა, არ მოუპოვება ამჟამად ძირითად ტექსტში მოხვედრილი სტროფები (საიუბილეო გამოცემით 222, 339, 968, სტრ.).

ხელნაწერთა უფრო დეტალურმა შეჯერებამ გვიჩვენა ამ ხელნაწერის უფრო ზუსტი წყაროც. ირკვევა, რომ მეოთხე რედაქციის ხელნაწერთაგან Q — 796 განსაკუთრებულ ნათესაობას ამჟღავნებს S — 4499 და K — 205-თან. ამაზე მეტყველებს შემდეგი: 1) მხოლოდ და მხოლოდ S — 4499-სა და K — 205-ში მოიპოვება ინდო-ხატაელთა ამბავში ჩანართი სტროფები, რომლებშიც გადმოცემულია რამაზ მეფის დამარცხების დეტალური ამბები (1812¹⁻⁷). ეს 8-სტროფიანი ჩანართი გვხვდება აგრეთვე ხელნაწერში Q — 796; 2) Q — 796 ხელნაწერში არის რამდენიმე ჩანართი, მაგალითად: 456, 810, 811, 857 და 1598 სტროფები, მეორე (ბ) პლასტიდანაც. როგორც ზევითაც ვნახეთ, ეს ჩანართები მეორე რედაქციის გავლენით არის შემოტანილი S — 4499 და K—205 ხელნაწერებშიც; 3) 1204¹ და 1204² ჩანართი სტროფები შებრუნებული რიგითაა S — 4499-ში; ირკვევა, რომ ამ სტროფთა თანამიმდევრობა ასევეა Q—796-ში. ამგვარი მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლება, მაგრამ აქ კმარა⁷¹.

ამდენად, ყველა ამ ნიშნით Q — 796 ხელნაწერი მომდინარეობს მეოთხე რედაქციის მქონე ხელნაწერთაგან.

ჩვენ პოემის შუა მონაკვეთის მიხედვით დავახასიათეთ ხელნაწერთა მთელი მემკვიდრეობა, მაგრამ ზემოთ აღნიშნულ 54 მნიშვნელოვან ხელნაწერთაგან არ შევხებივართ ზოგიერთს. ამის მიზეზია შემდეგი: ირკვევა, რომ ზოგი მათგანი პოემის ამ მონაკვეთში გადაწერილია ვახ-

⁷¹ ასე ეწერა ჩვენ 1963 წ. გამოცემულ წიგნში (ვეფხისტყ. ძეგლი რედაქციები, გვ. 88 — 89). 1966 წელს ალ. ბარამიძე, ა. შანაძის რედაქციით გამოსული ვეფხისტყაოსნის წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ კვლავ გაურკვევიათ Q—796 (G¹)-ის დამოკიდებულება S—4499 (K) და K—205 (O) ხელნაწერებთან, მაგრამ წინასიტყვაობის ავტორისათვის უცნობაა ისიც, რომ ეს აზრი ჩვენს წიგნში ბევრად ადრე იყო გამოთქმული. ასეთივე კითარებაა წყაროთა დასახელების მხრივ სხვა ხელნაწერთა ურთიერთობის გარკვევის დროს, მაგრამ აქ ამაზე სიტყვის აღარ ვაგვრძელებთ.

ტანგისეული გამოცემიდან, ხოლო ზოგი კი, თუმცა ეს ერთი შეხედვით არ ჩანს, ამ გამოცემის ერთგვარი გავლენითაა ჩამოყალიბებული. ამიტომ, აქ მოკლედ შევეხებით ამ ნუსხებს.

ხელნაწერი H — 964/ა (B'). როგორც პროლოგზე მსჯელობის დროს შევნიშნე ეს ნუსხა შეცდომითაა შეტანილი ვეფხისტყაოსნის მნიშვნელოვან ხელნაწერებში. იგი შეიცავს სულ 148-სტროფიან ფრაგმენტს და გამოირკვა შემდეგი: ხელნაწერის ეს გადაჩენილი ფრაგმენტი აშკარა სიახლოვეს ამქდავნებს ვახტანგისეულ გამოცემასთან, რაც თავისთავად აქვეითებს ხელნაწერის მნიშვნელობას. ამ მოსაზრების სასარგებლოდ აქ საკმარისია დავასახელოთ შემდეგი: ხელნაწერს გადარჩენილ მონაკვეთში აკლია 1937 წ. გამოცემის სტროფები: „აწ, ესე მიკვირს რა იყო...“ (111), „ქალმან უბრძანა ზარი მღევს...“ (125), „მოუკლავარ თინათინის სურვილსა...“ (152), „ასმათ უთხრა, ლომო...“ (301), „მეხვეწებოდა ლაბოდა...“ (302), „წიგნი წიგნსა ეწეოდა...“ (323) და „შევე, დავკე ტახტსა...“ (373). როგორც ცნობილია ეს სტროფები არ არის ვახტანგისეულ გამოცემაში და მის თავისებურებას შეადგენს (ეს ხელნაწერი წინამდებარე ნაშრომის მეორე წიგნში აღწერილია ვახტანგისეული რედაქციის მქონე ხელნაწერებთან ერთად).

S — 1727 (H¹). ხელნაწერში ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთი, „ინდო-ხატაელთა ამბავამდე“ გადმოწერილია ვახტანგისეული გამოცემიდან, რაც თვალნათლივ ჩანს; ხელნაწერს ვრცელი რედაქციებიდან დართული აქვს გაგრძელებები (რომლებსაც შემდეგ შევეხებით).

H — 783 (I¹), ასევე ორი ნაწილისაგან შედგება. გადაწერილია ვახტანგისეული რედაქციიდან, ხოლო შემდეგ ვრცელი ხელნაწერებიდან დართული აქვს ინდო-ხატაელთა და მომდევნო ამბები.

S — 2315 (K¹), ორი ნაწილისაგან შედგება. გადაწერილია ვახტანგისეული გამოცემიდან, ხოლო დართული აქვს ვრცელი გაგრძელებები.

S — 1128 (M¹), გადაწერილია ვახტანგისეული გამოცემიდან, დართული აქვს ინდო-ხატაელთა და მომდევნო თავები.

H — 60 (N¹), გადმოწერილია ვახტანგისეული გამოცემიდან და დართული აქვს ინდო-ხატაელთა ამბავი გაგრძელებითურთ.

S — 2525 (P¹), ხელნაწერი ასევე არ განიხილება, რადგან შეიცავს მხოლოდ გაგრძელებებს.

ლენინგრადის ნუსხა M — 48 (S¹), გადაწერილია ვახტანგისეული გადმოცემიდან, ხოლო ბოლოში დართული აქვს ვაგარძელებები. ამ ხელნაწერთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი მომენტი. მას ახლავს ცნობილი კალიგრაფის პეტრე ქებაძის მინაწერი: „ვიც ეს წიგნი გადაწერათ, ეს მუხლები ჩაუწერათ, სადაც ეს წითლური ციფრები უხსდეს და ხაზისა იყოს წითლური, იქ უნდა ჩაუწერათ. დიდად საჭირო არის, რომელიც გამომიწერია თამარ მეფის დროს დაწერილ ვეფხისტყაოსნიდან“. სულ არის ასეთი 52 სტროფი. როგორც ჩანს, პეტრე ქებაძეს მართლაც ავთენტიკური ნუსხა ჰქონია ხელთ. კერძოდ, ჩვენ მიერ პირველ რედაქციად წოდებული ჯგუფიდან. მას (ოდნავ არაზუსტად) რომელიღაც ამ ტიპის ხელნაწერთაგან ამოუღია ჩანართი სტროფები, რომელთაგან ზოგი შემდეგში შევიდა პოემის მომდევნო გამოცემებში. აქამდე უცნობი იყო და ამჟამად გავარკვევით, რომ პ. ქებაძეს ხელთ ჰქონია ისეთი ხელნაწერი, როგორცაა ერთ-ერთი საინტერესო ნუსხა W — 27. მართლაც, ყველა ეს სტროფი მოიპოვება სწორედ ამ ხელნაწერში⁷².

H — 248 (T¹), ხელნაწერი შეიცავს სულ 443 სტროფს. ერთი შეხედვით ვრცელი რედაქციისა. ამაზე თითქოს მეტყველებს ჩანართები 50, 60, 69, 93, 124, 166, 169, 171, 197; ალბათ ამის გამო ეს ნუსხა მოხვდა პოემის მნიშვნელოვან ხელნაწერთა შორის (იხ. ლიტერატურის ინსტიტუტის გამოცემები). ხელნაწერის ხელახალი შესწავლა კი არკვევს შემდეგს: იგი ვახტანგისეული გამოცემის გავლენითაა ჩამოყალიბებული, ამაზე თვალნათლივ მეტყველებს ხელნაწერში გამოტოვებული სტროფები 301, 302, 323, 373 და 415 (საიუბ. გამოცემით), რომლებიც აგრეთვე არ არიან ვახტანგისეულ გამოცემაში და მის თავისებურებას შეადგენენ. დამატებით აღსანიშნავია ხელნაწერის კიდევ ერთი დეტალი, რამდენიმე ადგილას იგი იმეორებს ვახტანგისეული გამოცემის აშკარა შეცდომას. მაგალითად, სტროფში 167 (238) „გემულარების“ ნაცვლად არის „გემულარება“; ასე იკითხება H — 248-შიც. 175 (266) „დანაწყულულების“ ნაცვლად „დანაწყულები“, ასევეა ამ ხელნაწერშიც და ა. შ. მოვიგონოთ წინა თავში აღნიშნული, რომ ამ ხელნაწერის პროლოგი ვახტანგისეული გამოცემის პროლოგის პირია.

ამდენად, ხელნაწერი არ განიხილება პოემის შუა მონაკვეთის რედაქციული დახასიათების დროს (ხელნაწერის აღწერა იხ. ვახტანგისეული რედაქციის მქონე ხელნაწერებთან ერთად წინამდებარე ნაშრომის II ტომში).

⁷² ამ ხელნაწერზე დაწერილებით საუბარი გვექნება იმ თავში, სადაც 1841 წ. გამოცემის წყაროებს შეეხებით.

A — 654 — (U) შეიცავს მხოლოდ პოემის გაგრძელებებს.

ი. გრიშაშვილის კოლექციის ხელნაწერი (V¹). ხელნაწერის ტექსტი შეიცავს ვახტანგისეული გამოცემის პირს, ოღონდ დართული აქვს ინდო-ხატაელთა და მომდევნო თავები.

S — 5207 (X¹). გადარჩენილია მხოლოდ პოემის დასასრული თავები.

S — 1418 (P). ხელნაწერი შეიცავს სულ 86 სტროფს, ამიტომ ჯერჯერობით არ ხერხდება მისი რედაქციული სახის დადგენა. არ ჩანს¹, როგორი ტიპის ხელნაწერებიდან მომდინარეობს. ამაზე პასუხი მიახლოებით შესაძლოა მოგვეცეს ნაირკითხვაობათა ანალიზმა.

H — 3240 (S)., ხელნაწერი სულ შეიცავს 8 სტროფს და შედგენილობით არ ჩანს მისი რედაქციული სახე (აქაც იგივე ვითარებაა).

H—1675/a (C¹), ხელნაწერი შეიცავს სულ 16 სტროფს (282—289 და 1429 — 1436 სტროფები ვეფხისტყაოსნის ვრცელი გამოცემით). სხვათა შორის, ამ ფრაგმენტში ორი ჩანართი სტროფია — 286 და 289. ეს სტროფები, როგორც ვნახეთ, არის მეორე და მესამე პლასტში, ამდენად არ ხერხდება ხელნაწერის შედგენილობის რედაქციული სახის ზუსტი აღდგენა. აქაც ზოგ მინიშნებას ნაირკითხვაობათა ანალიზი მოგვცემს.

Q — 279, ე. წ. ვეფხისტყაოსნის ყარაბახული ვარიანტი. აქაც შუა მონაკვეთი ვახტანგის გამოცემიდან მოდის და შემდეგ დართული აქვს გაგრძელებანი.

Q — 768, ისეთივე ვითარებაა, როგორც ზემოაღწერილ ხელნაწერში.

ბორჯომის მუზეუმის ხელნაწერი (XIX ს.) აქაც ვახტანგისეულ გამოცემის ტექსტია, ოღონდ ერთვის გაგრძელებანი.

თუ შევაჯამებთ კვლევის შედეგებს და ერთიან სისტემაში მოვიყვანთ მთელ მასალას, ვნახავთ, რომ პოემის შუა მონაკვეთი შედგენილობის მიხედვით ქმნის ოთხ რედაქციულ ჯგუფს. თვალსაჩინოებისათვის ერთად აღვუხსნავთ ოთხივე რედაქციაში შემავალ ხელნაწერებს:

1. პირველი, ანუ უმოკლესი რედაქცია პოემის შუა მონაკვეთისა და ცულაა შემდეგ ხელნაწერებში (ჩანართები ა პლასტიდან): H — 599 (E); S — 2829 (F); Q — 261 (I); S — 3077 (N); Q — 930 (R); H — 740 (Y); W — 27 (Z) K — 383 (A¹); D — 12904/190 (R¹); Q — 1075⁷⁸.

⁷⁸ ხელნაწერი D — 12904 /190 (R¹) ამ რედაქციაში პირობათაა შეტანილი (იხ. ზემოთ). ასევე ცალკე არ ვეხები აზოს ხალხთა ინსტ. ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერს K—23, რომელიც P—10 (X)-ის ზუსტ ასლს წარმოადგენს.

2. მეორე რედაქცია პოემის დაუკავს შექდევ ხელნაწერებს (ჩანართები ა და ბ პლასტიდან): Q—1032 (D); S—4988 (G); H—2610 (H); A—363 (L); K—215 (Q); S—5115 (U); H—3161 (V); S—4527 (F¹);

H—412 (I¹); აK $\frac{25299}{2}$ (L¹); Q—777 (O¹); C—10768/191 (Q¹).

3. მესამე რედაქცია პოემისა დაუკავს შექდევ ხელნაწერებს (ჩანართი ა, ბ და გ პლასტიდან): H—757 (A), H—54 (B); H—2074 (C) Q—779 (M); P—10(X); H—1337 (D¹); Q—483 (E); Q—1335.

4. მეოთხე რედაქცია პოემისა დაუკავს შექდევ ხელნაწერებს (ჩანართები ა და დ პლასტიდან): H—451 (J); S—4477 (K); K—205 (O); W—17 (T); Q—796 (G¹).

მკითხველი შეამჩნევდა, რომ ჩვენ არ გვაქვს აქ გამოტანილი ერთი რიგი ხელნაწერებისა, რომელთა შედგენილობის რედაქციული დადგენა არ ხერხდება და მხოლოდ ტექსტის წაკითხვებით შეიძლება დაახლოებით განისაზღვროს მათი რედაქციული სახე: (ა) ვეფხისტყაოსნის ახალციხურა ფრაგმენტა, ბ) S—1418 (P), გ) H—3249 (S), დ) H—1675/ა (C¹) (მათ შესახებ ქვევთ) და აგრეთვე პოემის ამ მონაკვეთში ვახტანგისეული რედაქციის შექცეული ხელნაწერები.

გ) ვეფხისტყაოსნის გაგრძელებათა რედაქციები და პლასტების დათარიღების საკითხები

მე-17 საუკუნის და ნაწილობრივ მე-18, მე-19 საუკ. ხელნაწერები, როგორც ვნახეთ, შეიცავენ პოემის უვრცელეს რედაქციულ სახეს (სხვადასხვა ხელნაწერები — სხვადასხვა ქვერედაქციებით). პოემის გმირების არაბეთში გამარჯვებით დაბრუნებამდე ეს ხელნაწერები ამბის დაასლოებით ისეთივე მიმდინარეობას იძლევიან, როგორც ეს ვეფხისტყაოსნის ცნობილ გამოცემებში გვხვდება, მართალია, ამ მონაკვეთშიც რიგი ხელნაწერები იძლევა თითქმის 300-მდე ზედმეტ სტროფს, მაგრამ ისიც გამორკვეულია, რომ ისინი არ შეიცავენ რაიმე მნიშვნელოვან სიუჟეტურ თუ თემატიკურ გადახვევებსა და პრინციპულად განსხვავებულ ახალ ელემენტებს.

რაც შეეხება მომდევნო თავებს. აქ უკვე სხვაობა იწყება. არაბეთში გადახდილი ქორწილის შემდგომ ტარიელი დიდძალი ჯარით, ძმანდაფიცებთან ერთად, ინდოეთში მიემგზავრება. მათ გზად შემოხვდა ინდოეთიდან მომავალი ქარავანი. აქ გმირები შეიტყობენ სამწუხარო ამბავს — გარდაცვლილა ფარსადან მეფე, ხოლო ინდოეთს ვერაგულად დასხმია თავს, ადრევე ცნობილი, ხატაელთა ხელმწიფე რამაზი: „მოსულა ხატათ ლაშქარი, ქალაქსა შემოსდგომია“. ტარიელი დაუყოვნებლივ გაემურება ინდოეთში. რამაზ მეფე მას კიდევ ერთხელ ჩაუვარდება ტყვედ იდოეთი გამარჯვებას ზეიმობს, დიდი ქორწილის გადახდის შემდგომ ავთანდილი და ფრიდონი უბრუნდებიან თავიანთ სახელმწიფოებს და აქაა ცნობილი სტროფები: „მათ სამთავე ხელმწიფეთა ერთმანეთი არა სძულდეს“. და „ყოლთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვდეს“. ეს არის ე. წ. „ინდო-ხატაელთა ამბავი“⁷⁴.

შემდგომ იწყება სრულიად ახალი ეპიზოდი, რომელსაც, შეიძლება ითქვას, თავისი საკუთარი პროლოგი გააჩნია⁷⁵.

საწუთროს უხანაო, სიმუხთლისა სენი გპირსა,
უწინ ცათა აყვანილსა ჩააგდებვე დიღსა პირსა,
გააყვითლებ ქარვის ფერად პირველ ლალსა განაჰვირსა,
ქარგდ ვერინ ვერა ნახავს ხანგრძლად შენგან დანაჰირსა.

ასე ამბავი ნარჩომი მათ ლომთა მორკმით მგონეთა,
გალექსვა აკლდა ხეარაზმთა, მეტად ვერ მოვიგონეთა,⁷⁶
ძნელია პოვნა, გულ-პრთა, დაეყარდი, დაელონეთა,
აკლავე ვთქვი, ლექსი გემართე, მოსმენით გაიგონეთა.

აწ. გონიერნო, სიტყვანი თქვენ ჩემნი შეიწყნარენით:
ძველნი ნარჩომნი ამბავნი ლექსად ვთქვენ, გაიხარენით.
სარკის [ს] დაურჩა უთქმელად. მას ესე დაეპარენით,
ლექსნი მიქენით, ამისთვის ენანი მომხმარენით.

აქედან იწყება საკუთრივ ამბავი. ინდოეთის სახელგანთქმული მეფე ტარიელი მძიმე სნეულებას შეუპყრია. ოთხი წელი სარეცელს არ მო-

⁷⁴ პოემის ეს ეპიზოდი, ხელნაწერებზე დაყრდნობით, კონსტანტინე ჭიჭინაძემ შეიტანა ვეფხისტყაოსნის 1934 წლის გამოცემაში. იგივე ეპიზოდი ზოგიერთი ცვლილებით არის აგრეთვე 1937 წ. საიუბილეო გამოცემაში, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ეპიზოდით დაუმთავრებია პოემა ჯერ კიდევ 1902 წ. ბირთველ თუმან-შვილს. იხ. ხელნაწერი D—12904, 190 (R¹).

⁷⁵ ამ ეპიზოდური რკალის სქემატურ გადმოცემას ვახდენთ ერთ-ერთი ვრცელი ტომის ხელნაწერის მიხედვით, როგორცაა H—54 და H—2074.

⁷⁶ შტრ. პოემის პროლოგი: „ესე ამბავი სპარსული...“

შორებია და თურმე: „ველარა ნახეს მხეცთა სრვით და ვერცა რაზმთა მწყობელი“. ამას შეიტყობს მისი ძველი მოსისხლე მტერი ხვარაზმში და ტარიელის ავადმყოფობით გათამამებული გამოემართება სისხლისძიებად: „ხვარაზმით გამოემართა რევანოზ მეფის შვილიო“. ხვარაზმელებმა დაამარცხეს ინდოთა ჯარი, რომელსაც ველარ სარდლობდა ტარიელ „სენთავან დამძიმებული“. ერთი წლის განმავლობაში გრძელდებოდა ხვარაზმელთა თარეში. მხოლოდ ტარიელის სადგომი ციხე-ქალაქი გადაურჩა მტერს, რომელიც გამარჯვებული მიბრუნდა თავის ქვეყანაში.

ტარიელი და ნესტანი კაცს აგზავნიან არაბეთსა და მულღანზარს. ამ ამბით შეწუხებული ავთანდილი და ფრიდონი მყისვე წამოვიდნენ ინდოეთში. აქ ვრცლად არის აღწერილი დიდი ხნის უნახავი მეგობრების შეხვედრა და ტარიელის დასნეულებით გამოწვეული მწუხარება. სამთა სამეფოს ლაშქართურთ ავთანდილი და ფრიდონი მიდიან ხვარაზმელთა ქვეყანაში საომრად. ომმა ორი ეტაპი განვლო. პირველად ფრიდონი და ავთანდილი ძლევენ ხვარაზმშასა და მის ლაშქარს. იავარქმნიან მის სამეფოს. ხვარაზმში თავის სადგომში გამაგრდება. მალე ტარიელიც მომკობინდება და შეუერთდება თავის მეგობრებს. იწყება მეორე ეტაპი, — შეიპყრობენ ხვარაზმშას — ლაშქრობის ეს მომენტი გადმოცემულია საკმაოდ დეტალურად და ზვიადი ფერებით. ძმადნაფიცები ინდოეთში ბრუნდებიან. იწყება დიდი ლხინი. კარგა ხნის შემდეგ ავთანდილი და ფრიდონი გაემართებიან თავიანთ სამფლობელოებში. ამას მოსდევს ეპილოგის სტროფები:

ეს ამბავი დარჩომოდა სარგის ლექსთა შეუწყობლად,
აგრეც თმოგვი თმოგველთაგან შესავლითურთ დარჩა ობლად;
ესე სიტყვა მოახსენეს, ვინ ჩანს გმირთა რაზმთა მწყობლად,
მიბრძანა თუ: „ლექსად თქვიო მკვერ ქართულად, დაუშრობლად“.

შემდეგ კი — უფრო ცნობილი სტროფები, რომელთა პირველ სტრიქონებს მოვიტან:

„ერთმანერთისა მეწველთა მებრძოლნი იმაგნიან...“
„ყოლთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვდეს...“
„დავითის ქართველ ქეთისა, ვის მზე მსახურებს სარებლად...“
„ესე ვთქვი ქება თამარისა და ხმელთა შინა მნათისა...“

ასე თავდება ეს ეპიზოდი, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში „ხვარაზმელთა ამბავს“ უწოდებენ. ამავე ხელნაწერების მიხედვით პოემა არც აქ თავდება. გარდაცვალების წინ ტარიელი და ავთანდილი ანდერძებს უტოვებენ მემკვიდრეებს. აქ გადმოცემულია მათი საგმირო

საქმეები. ე. ი. კვლავ გამეორებულია პოემაში გადმოცემული ეპიზოდები. საინტერესოა, რომ ზოგ ხელნაწერში, ნაცვლად ერთისა, ორ-ორი და სამ-სამი ანდერძი მიეკუთვნება ტარიელსა და ავთანდილს. მხოლოდ ამის შემდეგ არის ლაპარაკი ტარიელისა და ავთანდილის გარდაცვალებაზე. ფრიდონი დაიტირებს ტარიელს და ხესტანს. ავთანდილსა და თინათინს. აქ კვლავ გვხვდება ეპილოგისეული სტროფები, რომლებიც ასრულებენ პოემას შემდეგი სიტყვებით: „გასრულდა მათი ამბავი...“ — და სხვ. დაახლოებით ამგვარი სახით გვხვდება პოემა ძველი რედაქციების მქონე ხელნაწერებში.

მოცულობის მხრით მკვეთრ სხვაობას ამჟღავნებს ამ ხელნაწერებთან 1712 წლის გამოცემა. ეს არის პოემის მოკლე რედაქცია. პოემის შუა ნაწილის სიმოკლესთან ერთად აქ არაბეთის ქორწილიდან პირდაპირ ინდოეთში გადახდილ ქორწილზე გადადის თხრობა, ე. ი. აღარ გვხვდება ზემოთ აღნიშნული, „ინდო-ხატაელთა ამბავი“. რასაკვირველია, ვახტანგისეულ რედაქციაში არ არის აგრეთვე „ხვარაზმელთა“ და გმირთა გარდაცვალების ამბებიც და, როგორც ვთქვით, პოემა სრულდება ტარიელის ინდოეთში გამეფებით.

ძირითადად ასეთივე მოკლე რედაქციას წარმოადგენს ვეფხისტყაოსნის ე. წ. არტანჯული ვარიანტიც, თუმცა ვახტანგისეულ გამოცემასთან შედარებით, იგი ზოგიერთ თავისებურ ელემენტს შეიცავს, ეს განსაკუთრებით ითქმის პოემის უკანასკნელ თავებზე (ამაზე დაწვრილებით შემდეგ).

ამ რედაქციათა, თუნდაც ასე სქემატური, მიმოხილვის შემდგომაც სრულიად ბუნებრივად ისმის კითხვა მათი ურთიერთდამოკიდებულების შესახებ: რომელი მათგანი შეიცავს პოემის უძველეს სახეს ან როგორ მოხდა ამ ნაირსახეობათა ჩამოყალიბება.

მაგრამ საჭიროა აქვე აღინიშნოს ისიც, რომ ვიდრე სწორედ ამ თვალსაზრისით შევხედავდეთ რედაქციათა ურთიერთობის საკითხებს, გარკვეული შეხედულება უნდა ვიქონიოთ თვით პოემის მოცულობის შესახებ. იმთავითვე რა ფარგლებს მოიცავდა პოემის სიუჟეტური ქარგა, როგორი უნდა ყოფილიყო, დაახლოებით მაინც, პოემის ნამდვილი დასასრული. ამ საკითხებში სწორი ორიენტაციის გარეშე შეუძლებელი იქნება მართებული დასკვნების გამოტანა არსებულ რედაქციათა კვლევის დროს.

პოემის რეალური დასასრულის ძიებისას, როგორც ცნობილია, ჩვენ სწორედ პოემიდან, მისი მხატვრული სისტემიდან, და კერძოდ, მისი სიუჟეტიდან უნდა ამოვდიოდეთ, მაგრამ აქვე უნდა გავითვალისწინოთ ერთი აუცილებელი მომენტიც. კვლევის ობიექტად, ჩვენი აზრით, პირველ რიგში უნდა ვაქციოთ სწორედ ხელნაწერთა მემკვიდრეობა, მთელი თავისი მრავალსახეობით. ამას მხარს უჭერს საყურადღებო გარემოება. ვახტანგისეული რედაქცია (ამჟერად ლაპარაკია პოემის მოცულობაზე) არ შეიცავს რაიმე ისეთ ელემენტს, რომელიც ამ ხელნაწერებში არ იყოს. თავის მხრით კი ეს ხელნაწერები მრავალ ისეთ თავისებურებებს შეიცავენ, რომელთა კვალი არაა 1712 წლის გამოცემაში და ივარაუდება, რომ შესაძლებელია ამ თავისებურებებმა გარკვეული როლი შეასრულონ პოემის აღნიშნული თვალსაზრისით კვლევის დროს⁷⁷.

ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ერთი თვალის გადავლებაც საკპარისია, რომ მკითხველი დარწმუნდეს, რომ პოემას მრავალი ინტერპოლატორი ჰყავს. ეს ამჟამად ურყევი დებულებაა, მით უმეტეს ზოგი მათგანი არც კი მალავს თავის ვინაობას⁷⁸. საგულისხმოა, რომ მე-17, მე-18 საუკუნის მწერლები სხვადასხვა მოსაზრებაზე იდგნენ ვეფხისტყაოსნის მოცულობის საკითხში. ზოგ მათგანს ჰგონია, რომ პოემა რუსთაველს გმირთა სიკვდილამდე მიუყვანია. ცნობილია, რომ „ომანიანის“ ავტორი ქაიხოსრო ყოველგვარი შენიშვნის გარეშე აგრძელებს

⁷⁷ აქ მხედველობაში არ არის მიღებული არტანუჯელი ვარიანტის ჩვენება, რადგან ამჟამად გარკვეულია მისი რედაქციულა სახე, იგი განწყობილ ვახტანგისეულ გამოცემას წარმოადგენს.

⁷⁸ ერთადერთი მკვლევარი, რომელიც უარყოფდა ამ დებულებას, როგორც აღნიშნეთ, იყო კონსტანტინე ჭიჭინაძე. იხ. მისი „რუსთაველის გარშემო“, 1928, თბილისი. „ალიტერატა კ. შ. და ვ. პრობლემა“, მნათობი, № 7, 1925. იგი პირდაპირ წერდა: „ყველა ეს ტაეტი (ლაპარაკია ს. კაკაბაძის 1913 წ. გამოცემაში სქოლიოებად დაბეჭდილ ნართაულ ტაეტიებზე) წარმოადგენენ თვითონ რუსთაველის მიერ დაწერილსა და შემდეგ მისგანვე გადაკეთებულ ტაეტიებსო“. როგორც მოსალოდნელი იყო, მკვლევარმა მომდევნო გამოკვლევებში ნაწილობრივ თვით უარყო ეს შეხედულება (ეს კარგად ჩანს „ვეფხისტყაოსნის“ 1934 წლის გამოცემაშიც). „ხვარაზმელთა ამბის“ შესახებ დაახლოებით ასეთივე მოსაზრება გამოთქვა თავის უკანასკნელ წერილებში განსვენებულმა მეცნიერმა აკად. შ. ნუცუბიძემ. სამწუხაროდ, მკვლევარი ნაკლებ ითვალისწინებს ხელნაწერთა ფაქტიურ ვითარებას, თანაც ზოგი სტროფის არასწორ ინტერპრეტაციაზე ამყარებს თავის დებულებას (იხ. მნათობი, 1962, № 11).

ვეფხისტყაოსანს სწორედ გმირთა სიკვდილიდან და გამოდის იმ შინაარსიდან, რომელიც ბოლო თავებშია მოთხრობილი⁷⁹. ვნახეთ ისიც, რომ თეიმურაზი უკვე 1629 წელს იცნობდა ვეფხისტყაოსნის ვრცელ რედაქციას და, როგორც ჩანს, ეს ბოლო თავები რუსთველისეულადაა მიაჩნდა.

მაგრამ, როგორც ვნახეთ, სულ სხვაგვარადაა საქმე არჩილ მეფესთან. მას თავისებური აზრი ჰქონია პოემის მოცულობაზე და ინტერპოლატორსაც კი ასახელებს. არჩილი რუსთველთან კამათში თეიმურაზს პირდაპირ ათქმევინებს: „ერთი აწბავი აიწყე, ბოლოც სხვათ შეგითავესა“, არჩილი ასახელებს კიდევ ამ ინტერპოლატორს: ვინმე ნანუჩას.

აი დაახლოებით ის, რაც იცოდნენ პოემის მოცულობის შესახებ აღორძინების ხანის მოღვაწეებმა⁸⁰. ცნობილია, რომ მოცულობის საკითხში ხელნაწერებთან შედარებით მკვეთრ სხვაობას ამჟღავნებს ვახტანგისეული გამოცემა. ამ რედაქციის საკითხებს დაწვრილებით სხვა შრომაში ვეხებით, და თუ გავიზიარებთ იმ შეხედულებას, რომ ეს არის კრიტიკული რედაქცია, მაშინ ჩანს, რომ ამ გამოცემის რედაქტორმაც დაახლოებით მაინც იცოდა, რომ ინტერპოლატორს უმუშავია პოემის ბოლო თავებშიც, მაგრამ სახელდებით არ შეეძლო ეთქვა, თუ სად თავდებოდა რუსთველის პოემა და სად იწყებოდა ინტერპოლატორთა „ღვაწლი“. მაშინ ივარაუდება, რომ თავისი შეხედულებისამებრ შეუმოკლებია და შეუქმნია პოემის ხელოვნური (კრიტიკული) რედაქცია. რედაქტორს ამოუღია ადგილები, რომლებიც არ უცვნია რუსთველისად და ცდილა, რომ თხრობის ძაფიც არ გაეწყვიტა. ვახტანგისეულ გამოცემას ამ ადგილებში მაინც ეტყობა ხარვეზები, ერთგვარი უსრულობა.

⁷⁹ „ომიანიანი“ საგმირო-რომანტიკული ხასიათის თხზულებაა და შექმნილია დაახლოებით მე-16, მე-17 საუკუნეთა მიჯნაზე. პროფ. კ. კეკელიძე „ომიანიანს“ უწოდებს ვეფხისტყაოსნის დამატებათა დამატებას. მართლაც, როგორც ვნახეთ, ამ თხზულების სიუჟეტი სათავეს იღებს ვეფხისტყაოსნის ვრცელი რედაქციებიდან (იხ. წინამდებარე წიგნის პირველი თავები).

⁸⁰ ზღრ. ტრ. რ უ ხ ა ძ ე, აღორძინების პერიოდის მწერლობის ცნობები შოთა რუსთაველსა და ვეფხისტყაოსანზე, თსუ-ს შრომები, ტ. III, 1936, გვ. 185—213.

პოემის შედგენილობა-მოცულობის საკითხი მრავალგზის გამხდარა კამათის საგანი. როგორც ცნობილია, მკვლევართა ერთ ნაწილს ვახტანგისეული რედაქცია ავტორისეულად თუ არა, ერთ-ერთი უძველესი დედნის გამეორებად მიაჩნდა: ამიტომაც, პოემის მოცულობის საკითხი მათთვის არსებითად გადაჭრილი იყო. მათი აზრით, პოემის რეალური მოცულობა თვით ვახტანგისეული გამოცემის შიგნით არის საძიებელი⁸¹. ამ მხრივ დამახასიათებელია მკვლევარ პავლე ინგოროყვას განცხადება, რომლის აზრითაც მოცულობის საკითხის კვლევაში სრულიად ეკარგება მნიშვნელობა ხელნაწერთა მემკვიდრეობას. თავის ნაშრომში „რუსთველიანა“ იგი პირდაპირ წერს, რომ „თუ ჩვენ მაინც მოვიხიბლება შევჩერდეთ წინასწარ ამ 725 სტროფზე (ე. ი. რითაც ხელნაწერები განსხვავდება 1712 წ. გამოცემისაგან), საქმე ის არის, რომ ამ უფრო ახლო დროის დამატებულ ადგილებში წარმოდგენილია მეტად საყურადღებო ბიბლიოგრაფიული ცნობები, რომლის ასე თუ ისე გაგებამ შესაძლოა სრულიად შეცვალოს ჩვენი წარმოდგენა ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობაზე. ამას გარდა, ეს შემდეგი დროის დამატებანი გვაძლევენ საშუალებას გამოვარკვიოთ, თუ როდის წარმოიშვა თვით ეს უძველესი ვახტანგისეული დედანი, რომლის გაგრძელებას ეს დამატებანი წარმოადგენენ“⁸².

1925 წელს პოეტი კონსტანტინე ჭიჭინაძე შეეცადა დაესაბუთებინა, რომ პოემის ნამდვილი დასასრული ვახტანგისეული რედაქციის ტექსტის გარეთ არის საძიებელი⁸³.

ზოგიერთმა მკვლევარმა სცადა კიდევ ამ დასასრულის დადგენა. მაგალითად, პროფ. ს. კაკაბაძემ დაარღვია რა თავისი სენსაციური შეხედულება პოემის ავტორის ვინაობაზე⁸⁴, მან 1927 წელს მის მიერ გამოცემულ ვეფხისტყაოსანს თავისებური დასასრული გამოუნახა და ვახტანგისეული ტექსტი კიდევ უფრო შეამცირა⁸⁵. პოემა თავდება

⁸¹ ამას იზიარებდნენ დ. კარიკაშვილი, პროფ. ი. აბულაძე, პ. ინგოროყვა და სხვ.

⁸² პ. ინგოროყვა, რუსთველიანა, 1926, გვ. 19.

⁸³ კ. ჭიჭინაძე, ალიტერაცია ქართულ შაირში და ვ. ტ. პრობლემა, 1925. ეს შეხედულება უფრო მართებული და დახვეწილ სახით ავტორმა გნაგორმა გამოთქვა, აგრეთვე მის მიერ 1934 წელს გამოცე ულ ვეფხისტყაოსნის შესავალ წერილში.

⁸⁴ 1913 წლის გამოცემა ვეფხისტყაოსნისა, რომლის შესავალ წერილში პოემის დამატებათა ავტორად გამოყვა ილია XV საუკ. მწერალი—რუსთველი—გნეშე ზესხი.

⁸⁵ ამ შემთხვევაში იმ მკვლევართა გზას მიყვებოდა, რომლებიც, როგორც ვთქვით, ვახტანგისეული გამოცემის ფარგლებში ეძებდნენ პოემის ნამდვილ დასასრულს.

როსტევეანის მიერ თინათინისა და ავთანდილის დალოცვით. რედაქტორს „ინდოხატაელთა“ თავიდან ბოლო სამი სტრიქონი მიუყვება აქ. ტექსტუალური ოპერაცია ხელოვნური ჩანს. რედაქტორი ამ შემთხვევაში წმინდა ფორმალური პრინციპიდან გამოდიოდა: რადგან პოემა არაბეთის ამბებით იწყება, იგი არაბეთშივე უნდა გათავდესო. ის პირდაპირ წერს: „პოემის დასასრულის გასარკვევად, მნიშვნელობა აქვს შემდეგ გარემოებას. პოემის ფაბულა ბუნებრივად თავდება ავთანდილის და თინათინის ერთად ტახტზე დასმით როსტევეანის მიერ. პოემა იწყება ავთანდილის და თინათინის მიჯნურობის ამბით და თავდება ავთანდილის და თინათინის დალოცვით როსტევეანის მიერ“.

პოემის დასასრულის კვლევისას, როგორც ვთქვით, სწორედ ხელნაწერთა შემკვიდრობას უნდა გაეწიოს ანგარიში. განსაკუთრებით ეს მას შემდეგ, რაც გამოვლინდა ზოგი ახალი მასალა ამ ხელნაწერთა გარშემო. პოემის დასასრული, ხელნაწერთა მიხედვით, სქემატურად ჩვენ უკვე წარმოვადგინეთ, მაგრამ მათი უფრო დეტალური შესწავლა ცხადყოფს, რომ სხვადასხვა ხელნაწერები ამ ნაწილშიც მკვეთრ სხვაობას გვაძლევენ, თუმცა, უნდა ითქვას, რომ აქაც ხერხდება საკმაო სიზუსტით გამოიყოს თავისებური რედაქციული ჯგუფები. პირველი რიგის ხელნაწერები შედარებით მოკლე რედაქციას იცავენ. აქ „ინდო-ხატაელთა ამბავს“ მიჰყვება ჩვეულებრივ „ხვარაზმელთა ამბავი“, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ე. წ. „ხვარაზმელთა ამბავი“ ბევრად უფრო მოკლეა. მაგალითად, ამ ტიპის ხელნაწერთა შორის ჩვენამდე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შედარებით უნაკლოდ არის მოღწეული ნუსხა S — 2829, რომელიც ანდერძის მიხედვით გადაწერილია 1688 წელს და, როგორც წინა თავებში ვნახეთ, შედგენილობით ერთ-ერთი უძველესი ტიპის რედაქციას იცავს. აქ „ხვარაზმელთა ამბავი“ წარმოდგენილია სულ 116 სტროფით. რაც შეეხება გმირთა სიკვდილსა და მათ ანდერძებს, ისინი თითქმის უმნიშვნელო რაოდენობის სტროფებითაა წარმოდგენილი და შეიცავენ 39 სტროფს. საინტერესოა, რომ ამ ხელნაწერის ჩვენებას მთლიანად ეთანხმება უძველესთარიღიანი ხელნაწერი H — 599, რომელიც გადაწერილია 1646 წელს.⁸⁶

როგორც დეტალურმა შეჩერებამ გამოარკვია, პოემის დასასრულის საკითხში S — 2829-ს არა თუ უახლოვდება, არამედ ზუსტ იგივეობას ამკლავებს XVII საუკუნის ხელნაწერი Q — 261-იც, ე. წ.

⁸⁶ H—599 თუმცა ამ ნაწილში ოდნავ დეფექტურია, მაგრამ გადარჩენილი სტროფებიც იძლევიან უფლებას, რომ H—599-სა და S—2829-ის დიდი სიახლოვე ვაღიაროთ.

ხოვლის ნუსხა, რომელიც, S — 2829-ის მსგავსად, 116 სტროფს შეიცავს „ხვარაზმელთა ამბავში“, გმირთა გარდაცვალება აქაც 37 სტროფითაა წარმოდგენილი. ასე, რომ ამჟამად გაგრძელებათა უმოკლეს რედაქციას მე-17 საუკუნის რამდენიმე ხელნაწერი იცავს.

მეორე ჯგუფის ხელნაწერებში პოემის დასასრულის საკმაოდ განსხვავებული სურათი მოგვეპოვება. აქ „ინდო-ხატელთა ამბავი“ დაახლოებით იმავე სახითაა წარმოდგენილი, როგორც ზემოთ აღნიშნულ ხელნაწერებში, მაგრამ „ხვარაზმელთა ამბავი“ უკვე ბევრად უფრო გავრცობილია. ამ ჯგუფის ხელნაწერებში შედის შემდეგი ნუსხები: H — 2074, H — 54, ასეთივე მოცულობას იზიარებს აგრეთვე ხელნაწერი A — 363, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ სტროფებს, რომლებიც ამ ხელნაწერისათვის აშიებზე დაუმატებიათ მოგვიანებით. ამ ჯგუფის ხელნაწერებში „ხვარაზმელთა ამბავი“ შეიცავს დაახლოებით 164 სტროფს, ნაცვლად 116 სტროფისა. ვრცლად არის წარმოდგენილი აგრეთვე „გმირთა გარდაცვალების ამბავი“ შემდგომი ანდერძებითურთ. მაგალითად, H — 54-ში ასეთი სურათია: თუ წინა ჯგუფის ხელნაწერები „გმირთა გარდაცვალებას“ 39 სტროფით წარმოგვიდგენდნენ, ამ ხელნაწერში უკვე „გმირთა ანდერძების“ გავრცობის ხარჯზე, ეს ბოლო თავები გადმოცემულია 75 სტროფში. ასეთივე ვითარებაა ამ ჯგუფის სხვა ხელნაწერებშიც.

არის სხვა ხელნაწერები, რომელთა შორის ყველაზე ტიპიურსა და სრულ სურათს იძლევა ე. წ. „ზაზასეული“ ხელნაწერი (Q — 1082). წინა ჯგუფის ხელნაწერებთან ერთად, აქაც ჩვეულებრივი სახით არის წარმოდგენილი „ინდო-ხატელთა“ ამბავი, რაც შეეხება „ხვარაზმელთა ამბავს“, ეს ხელნაწერი დაახლოებით იმეორებს მეორე ჯგუფის ხელნაწერებს (H — 54, H — 2074 და სხვ.). აქ „ხვარაზმელთა ამბავი“ წარმოდგენილია თითქმის 160 სტროფით. ამ ხელნაწერში მკვეთრი სხვაობა იწყება „გმირთა სიკვდილის“ თავიდან. იგი იძლევა ახალ დამატებით თავებს.

ასე, რომ თუ პირველი ჯგუფის ხელნაწერებში გმირთა გარდაცვალება და ანდერძები წარმოდგენილი იყო 39 სტროფით, მეორე ჯგუფის ხელნაწერებში ეს ნაწილი უკვე გაზარდილია 75 სტროფამდე. რაც შეეხება მესამე ჯგუფის ხელნაწერებს, როგორც „ზაზასეული“ ხელ-

ნაწერიდან ირკვევა, აქ „გმირთა გარდაცვალება“ შეიცავს 136 სტროფს. უნდა ითქვას, რომ მე-17 საუკუნის თითქმის ყველა ხელნაწერი ძირითადად რომელიმე ამ ჯგუფს მიეკუთვნება პოემის დასასრულის მიხედვით („ინდო-ხატაელთა ამბიდან“ მოკიდებული).

აქ გვაქვს რამდენიმე გამონაკლისი, როცა მე-17 საუკუნის რომელიმე ხელნაწერი არ ეგუება დასასრულის საკითხში ამ ჯგუფებიდან ერთ-ერთს. პირველ რიგში დასახელებული უნდა იქნეს ხელნაწერი H — 757, იგი ძირითადად მისდევს H — 54-ის ტიპის დედანს, ხოლო ბოლო თავებში მომდინარეობს „ზაზასეული“ ნუსხიდან, ამდენად H — 757 სხვადასხვა ხელნაწერთა შენარევს წარმოადგენს და არ ქმნის რაიმე ახალ, თავისებურ პლასტს, რომლის ცალკე გამოყოფაც იყოს საჭირო.

მე-17 საუკუნის ხელნაწერებიდან პოემის დაბოლოების მხრით, ერთი შეხედვით, თავისებურებას ამჟღავნებს აგრეთვე ხელნაწერი S — 4499. აქ არის ტარიელის კიდევ ერთი ახალი ანდერძი, რომელიც აღრეულ ხელნაწერებში არ გვხვდება.

ეს ანდერძი 18 სტროფისაგან შედგება. ვეფხისტყაოსნის ვრცელი გამოცემის მიხედვით ეს არის სტროფები 2024¹⁻¹⁸. როგორც ჯერ კიდევ 1927 წელს პავლე ინგოროყვამ აღნიშნა, ეს უნდა იყოს უკანასკნელი ჩანართი ანდერძი. ამას საესებით მხარი დაუჭირა ახალმა მასალებმაც, კერძოდ კი „ზაზასეული“ ხელნაწერის საქართველოში ჩამოტანამ. როგორც გამოიკვია, S — 4499 განიცდის ამ ხელნაწერის გავლენას და აქ შეტანილია ტარიელის ის ანდერძი, რომელიც იოსებ ტფილელს ეკუთვნის. ამ ხელნაწერში უნდა ყოფილიყო აგრეთვე ტფილელის სხვა ანდერძებიც, მაგრამ ნუსხა ბოლო თავებში დეფექტურია — აკლია მრავალი ფურცელი. ასე, რომ ეს ხელნაწერი და მისი სპეციფიკური ანდერძი 1660-იანი წლების შემდეგ ჩანს ჩამოყალიბებული. მაშასადამე, იგი დასასრულით ამავე ჯგუფის ხელნაწერებში შედის და, თავის მხრივ კი, უმატებს 18 სტროფისაგან შემდგარ ანდერძს.

სანამ ზემოთ ჩამოყალიბებულ ტიპიური ჯგუფების განხილვაზე გადავიდოდეთ, საჭიროა აღინიშნოს, რომ იმავე „რუსთველიანაში“ პავლე ინგოროყვამ სწორედ ამ ხელნაწერის ანდერძზე დაყრდნობით სცადა ე. წ. მესამე პლასტის დათარიღება⁸⁷. იგი წერს:

„გამოვარკვიოთ ჯერ დრო, რომლის უგვიანეს ვერ დაიწერებოდა

⁸⁷ პ. ინგოროყვასთან პლასტები სხვა პრინციპითაა გამოყოფილი, ვიდრე წინამდებარე წიგნში.

მესამე პლასტის დამატებანი. შედარებითი ანალიზი მესამე პლასტისა ჩვენ გვიჩვენებს, რომ ყველაზე გვიანი დამატება მესამე პლასტისა, რიგით მეთორმეტე წარმოდგენილია ხელნაწერში № 4499 (იგივე S — 4499 — ს. ც.). აქ ჩვენ, სხვათა შორის, გვხვდება ასეთი ტექსტი: „აქა პირველი ანდერძი ტარიელისაგან თავის შვილსთანა“.— რომ ეს ტექსტი ყველაზე გვიან დამატებას წარმოადგენს, ამტკიცებს ის, რომ იგი შეტანილია, მარტო ერთ ხელნაწერში (S — 4499-ში) და ამას გარდა სიუჟეტის განვითარების მხრივ იგი ყველაზე შორს მიდის: აქ დასახელებულია ტარიელის ძე სარიდან, რომელსაც სხვა დამატების ავტორები ჯერ კიდევ არ ახსენებენ“⁸⁸.

მკვლევარს ამ ანდერძიდან სათანადო სტროფიცი მოჰყავს:

ხანი გარდახდა, მოვიდა დღე აღსასრულის მეფისა,
დაწვა ლოჯანად, დავარდა, მას მაჯა აღარ ჩქეფისა,
თქვა: „ჩემი ასე დაემა, ვიცი, ამ სოფელს ეფისა,
აწვე სარიდან მომგვარეთ, ანდერძი ვკადრო კრეფისა“.

„და რადგან მე-16 საუკუნის ავტორი „ომანიანისა“ ქაიხოსრო იძლევა „გეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის შემდეგ გაგრძელებას და აგვიწერს ამ სარიდანის ძის ომან ჭაბუკის თავგადასავალს; ამის მიხედვით ცხადი ხდება, რომ ჯერ კიდევ 1600 წლის დროს ყველა დამატებანი მესამე პლასტისა, და მათ შორის, ეს ყველაზე ნაგვიანევი მეთორმეტე დამატებაც სარიდანის შესახებ, უკვე შეტანილი ყოფილა ვეფხისტყაოსანში. მაშასადამე, მესამე პლასტის დამატებანი იწერებოდა 1600 წ. უფრო ადრე დროს“⁸⁹.

როგორც ზემოთაც ვნახეთ, ზოგი რამ აქ წარმოდგენილია არა ზუსტად. „რუსთველიანას“ ავტორთან ერთად ჩვენც ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ S — 4499-ის ანდერძი მართლაც ერთ-ერთი უკანასკნელია ინტერპოლაციებს შორის⁹⁰. მაშასადამე, მას წინ უსწრებენ ტარიელისა და ავთანდილის ის ანდერძები, რომლებიც იოსებ ტფილელს ეკუთვნის. ეს ანდერძები კი შექმნილია დაახლოებით 1660-იან წლებში, ე. ი. ზემოთ ნახსენები ანდერძი 1600 წლის ახლოს ვერ შეიქმნებოდა. ამ-

⁸⁸ რუსთველიანა, 1926, გვ. 22. ამ ანდერძში „სარიდან“ მართლაც რამდენჯერმე ნახსენები.

⁸⁹ რუსთველიანა, 1926, გვ. 24.

⁹⁰ ამას ადასტურებს ხელნაწერთა შეჯერება და ავრეთვე ისიც, რომ S—4499-ის დასასრული ძირითადში „ზაზასეული“ ხელნაწერის მიხედვითაა ჩამოყალიბებული.

დენად, ჩვენი აზრით, მესამე პლასტის პავლე ინგოროყვასეული დათარიღება მცდარია თითქმის მთელი საუკუნით.

ამას მხარს უჭერს კიდევ ერთი გარემოება, S — 4499-ის ანდერძის ქაიხოსროს „ომანიანზე“ გავლენის კვალს, როგორც ვნახეთ, პავლე ინგოროყვა ხედავს ანდერძის ისეთ დეტალში, რომელიც სხვა დამატებაში ჯერ კიდევ არ ყოფილა. ეს არის ტარიელის ძის „სარიდანის“ ხსენება ამ ანდერძში, საიდანაც ეს სახელი აიღო, ალბათ, „ომანიანის“ ავტორმა.

ხელნაწერები არ ადასტურებენ ამ მოსაზრებას. სახელი სარიდან სხვა ანდერძშიც იხსენიება. მოვიყვან ამ სტროფს:

„შეილო, სარიდან, უჩემოდ თვალნი ცრემლითა შენამე,
გულსა არ უთხრა: „მტერთაგან ვიჯანე, მამხელა შენა მე“ 2063¹⁷.

ეს სტროფი ამოღებულია იოსებ ტფილელის მიერ შეთხზული ტარიელის ანდერძიდან. მაშასადამე, ამ დეტალის მოშველიება არ იძლევა რაიმე გასაღებს მესამე პლასტის ზემოთ მოყვანილი დათარიღებისათვის¹⁸.

როგორც ვხედავთ, ეს ორი ხელნაწერი (H — 757, S — 4499), მიუხედავად ერთგვარი გადახვევისა, ძირითადად მაინც ხელნაწერთა იმ ტიპებიდან მომდინარეობენ, რომლებიც ჩვენ ზემოთ რამდენიმე ჯგუფად დავყავით პოემის დასასრულის მიხედვით. უნდა ითქვას, რომ ამჟამად ჩვენ არც ვიცნობთ სხვა ადრეულ ხელნაწერს, რომელიც ამ ჯგუფთა ფარგლებში არ ექცეოდეს.

ერთი რამ ამთავითვე უნდა ვალიაოთ: მკვლევართა მეტი წილი დღეს უკვე იზიარებს, რომ ეს ანდერძები და ე. წ. „ხვარაზმელთა ამბავი“—ამჟამა ინტერპოლაციას წარმოადგენს და როგორც მსოფლმხედველობით, ისე მხატვრული სისტემით მკვეთრ სხვაობას ამჟღავნებს პოემის ძირითად ნაწილთან. მეტიც, „ხვარაზმელთა“ ამბავს გააზნია საკუთარი პროლოგი და ეპილოგი, რაც კიდევ უფრო გამოჰყოფს მას პოემის სხვა ნაწილებიდან. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვჩერდ-

¹⁸ საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ზემოთაც ვნახეთ, პ. ინგოროყვას ე. წ. „პლასტების თეორია“ სხვა შემთხვევებშიც არ ეთანხმება ხელნაწერთა რეალურ ვითარებას.

ბით როგორც „ხვარაზმელთა ამბავზე“, ისევე გმირთა ანდერძებზეც, რადგან „ანდერძების“ სწორი დათარიღება გარკვეულ მასალას მოგვცემს წინა ეპიზოდების ჩამოყალიბების დროის დასადგენად.

ჩვეულებად გამოყოფის დროს ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ მესამე ჩვეულის ხელნაწერები (მათ შორის ტიპიური „ზაზასეული“) თავისი მოცულობით საკმაოდ განსხვავდებიან მეორე ჩვეულის ხელნაწერთაგან. ეს სხვაობა გმირთა ანდერძებს ეხება. მესამე ჩვეულის ხელნაწერები ორ ახალ — ტარიელისა და ავთანდილის — ანდერძს უმატებენ 61 სტროფის რაოდენობით. ორივე ანდერძის ავტორი ახლა უკვე ცნობილია და დაწვრილებით ამაზე შემდეგ შევჩერდებით⁹². იგი არის ცნობილი პოეტი და კალიგრაფი იოსებ ტფილელი, რომელიც 1660-იან წლებში ქმნიდა ამ დამატებებს. მაშასადამე, თუ ამ ორ ანდერძს გამოვაცლებთ მესამე ჩვეულის ხელნაწერებს (კერძოდ „ზაზასეულის“ ტიპისას), მაშინ ისინი სრულიად დაემთხვევიან გაგრძელებათა მეორე რედაქციას (იხ. H — 54, H — 2074 და სხვ.).

დასასრულის მიხედვით, მეორე ჩვეულის ხელნაწერებში „ხვარაზმელთა ამბავი“ წარმოდგენილია 164 სტროფით, ხოლო გმირთა გარდაცვალება — 75 სტროფით (ტარიელის ერთი ანდერძი, ავთანდილის ერთი ანდერძი და გმირთა გარდაცვალება). ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი ისაა, თუ როდის არის შექმნილი ეს დამატებანი, კერძოდ კი, აქ ჩამოყალიბებული ანდერძები და გმირთა გარდაცვალება.

ჩვენ ვნახეთ, რომ „ომიანიანი“ უკვე გულისხმობს ხვარაზმელთა ამბავსაც და გმირთა გარდაცვალებას. მაგრამ. ცხადია, რომ აქ დაცული ცნობები მეტად ზოგადი ხასიათისაა და არ ჩანს, „ომიანიანის“ ავტორი იცნობდა თუ არა ისეთ დასასრულს, როგორც ეს მეორე ჩვეულის ხელნაწერებშია (H — 2074, H — 54 და სხვ.). თუ ეს დამატებები ამ დროს ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული და ქაინოსრო აგრაძელებდა ამბავს სწორედ ისეთი დაბოლოებიდან, როგორც გვაქვს პირველი ჩვეულის ხელნაწერებში⁹³ (S — 2829, H — 599, Q — 261

⁹² ამდენად, ეს მესამე რედაქცია არსებითად მეორეს გაგრძელებას წარმოადგენს, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

⁹³ „ომიანიანში“ უფროდ ღებას იპყრობს თვით სახელი „სარიდან“, რომელიც არც პირველ და არც მეორე ჩვეულის ხელნაწერთა ზოლო თავებში არ იხსენიება და პირველად, როგორც ვნახეთ, გვხვდება მხოლოდ იოსებ ტფილელის ანდერძში, რომელიც 1660-იან წლებშია ჩამოყალიბებული.

ამჟამად ჩვენს ხელთ მყოფი მასალები მხოლოდ იმ დასკვნის უფლებას გვაძლევენ, რომ სახელის „სარიდან“ ხსენება სწორედ ქაინოსროს ეუფუნის, რაც მან, ალბათ, ტარიელის შამის მიხედვით შეარქვა ტარიელის ძეს (პაპის სახელი შვილშვილზე გადადიოდა მეტწილად). „ომიანიანდან“ კი ეს სახელი აიღო იოსებ ტფილელმა, როცა ქმნიდა თავის ანდერძებს, ე. ი. წინააღმდეგ ზოგიერთი მკვლევრისა, აქ სრულიად საპირისპირო ვითარებაა.

და სხვ.), მაგრამ ჩვენ გვაქვს სხვა ფრიად მნიშვნელოვანი წყაროს ჩვენება, რომელიც ამ საკითხს ნათელს ჰფენს. ეს არის თეიმურაზ I სიტყვები „იოსებ-ზილიხანიანიდან“, რომელიც გაკვრით უკვე მოვიხსენიეთ. მოაქვს რა ვეფხისტყაოსნის შინაარსი, თეიმურაზი პოემის გმირთა შესახებ აღნიშნავს:

ბოლოდჲ გავლეს საწუთრო, სოფლის საქმენი არესა,
იგ უსახონი ქალ-ყმანი მიწასა მიაბარესა
(იოსებ-ზილიხანიანი, 16).

ეს ადგილი, როგორც ვნახეთ, მართლაც ჰგავს პოემის დასასრულის ერთ სტროფს „გმირთა სიკვდილიდან“.

მალორბლისა, მუხთლისა სოფლისა წესი ბარესა.
ყოვლთა მოაწეეს ბოლოდ ჟამ ტკივილსა სალომბარესა,
იგი სოფლისა ჯაჲარნი საფლავთა მიაბარესა,
ზ. და მიწანი მიჰყარეს, მინიჩბეს, მიაბარესა. 2063

ეს სტროფები არის პირველი ჯგუფის ხელნაწერებში და, მაშასადამე, მეორე ჯგუფის ხელნაწერებშიც. ასე, რომ აქაც ძნელია გადაჭრით ითქვას, თუ როგორი ტიპის დასასრულს იცნობდა თეიმურაზი. მაგრამ „იოსებ-ზილიხანიანის“ ზემოთ მოყვანილ სტროფში არის ერთი დეტალი, რასაც აუცილებლად უნდა მიეჭყეცეს სათანადო ყურადღება. აქ არის ასეთი გამოთქმა: „იგ უსახონი ქალყმანი“. როგორც ვნახეთ, ეს გამოთქმაც პოემის ბოლო თავებიდან აიღო თეიმურაზმა. მართლაც აქ არის ასეთი სიტყვები: „იქ უსახონი მიჯნურნი“ (2060). საგულისხმოდ დამთხვევაა: თეიმურაზი პირდაპირ სპეციფიკურ შესიტყვებას იღებს გაგრძელების ამ ადგილიდან. მაგრამ ამჟერად ეს არ არის მთავარი. საქმე ის არის, რომ გაგრძელების ამ სტროფს არ იცნობს პირველი ჯგუფის არც ერთი ხელნაწერი (S — 2829, H — 599, Q — 261 და სხვ.). სამაგიეროდ, ეს სტროფი მოთავსებულია გაგრძელებათა მიხედვით მეორე ჯგუფის თითქმის ყველა ხელნაწერში (H — 2074, H — 54, A — 363 და სხვ.) და ქმნის ერთიან ჩანართთა ციკლს, სადაც ტარიელის ვრცელ ანდერძს მიჰყვება ტარიელისა და ნესტანის გარდაცვალების ამბები.

ახლა თუ გავიხსენებთ, რომ თეიმურაზის „იოსებ-ზილიხანიანი“ დაწერილია 1629 წლამდე⁹⁴, მაშინ ჩვენთვის უკვე ნათელია შემდეგი:

⁹⁴ კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, 1952, გვ. 279.

მე-17 საუკუნის პირველი მეოთხედისათვის უკვე ჩამოყალიბებულია ვეფხისტყაოსნის ისეთი რედაქცია, როგორც ჩვენ გვაქვს მეორე ჯგუფის ხელნაწერებში: H — 2074, H — 54, A — 363 (ეს უკანასკნელი გვიანდელი მინაწერების გარეშე) და სხვ., ე. ი. პოემის დასასრულს ამ ხანებში უკვე ჰქონდა 160-სტროფიანი „ხვარაზმელთა ამბავი“ და 75-სტროფიანი გმირთა გარდაცვალების ამბები ანდერძებითურთ (ტარიელისა და ავთანდილის თითო ვრცელი ანდერძი).

ასეთი დასკვნის შემდეგ, საჭიროა სპეციალურად აქვე შევეხოთ ვეფხისტყაოსნის წინა თავებში დასახელებულ ხელნაწერს, რომლის გარშემო უკვე საკმაო ლიტერატურა არსებობს. ეს არის ჩვენთვის უკვე ცნობილი მეორე ჯგუფის ხელნაწერი, H — 2074, რომლის დათარიღების გარშემო სხვადასხვა შეხედულება არსებობს. ხელნაწერი ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ინახებოდა მოსკოვში (ყოფილ საგარეო საქმეთა სამინისტროს მთავარ არქივში), რაც ქართველი მოღვაწეებისათვის იმთავითვე იყო ცნობილი⁹⁵. ეს ხელნაწერი საკმაოდ დეტალურად აღწერა ალ. ხახანაშვილმა⁹⁶. ხელნაწერების აღწერისა და მინიატურების (ახლავს სამი მინიატურა) აღწერის შემდეგ იგი ცდილობს დაათარიღოს კიდევ ეს ხელნაწერი. ამ ხელნაწერის გადამწერი არ არის ცნობილი, არც რაიმე ნიშანდობლივი ადრეული ანდერძი მოეპოვება, ამიტომაც ალ. ხახანაშვილი მიმართავს პალეოგრაფიულ მონაცემებს. იგი წერს:

„ჯერ ისევ აწ განსვენებულმა დიმიტრი ბაქრაძემ შენიშნა, რომ ჰ-ს ოთხკბილიანი და ჰ-ს სამკბილიანი გამოხატულება *Vica versa* (ე. ი. შებრუნებული მხრით), შედარებით ბოლოდროინდელ მათ დამწერლობასთან, ადის XV — XVIII საუკუნეებში. ამგვარად არის გადმოცემული ეს ასოები არქივის ხელნაწერში. მაგრამ, რადგანაც მასალა — ქაღალდი, რომელზედაც დაწერილია პოემა, ნებას არ გვაძლევს გადავწიოთ იგი XV საუკუნისაკენ, ამიტომ მას მივყავთენებთ XVII ს. დასა-

⁹⁵ 70-იან წლებში ილია ოქრომქედლიშვილი ილია ჭავჭავაძესთან მიწერილ ვრთ ბარათში ახსენებს ამ ხელნაწერს, რომელაც მას საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში უნახავს (საქ. მუზეუმის ილია ჭავჭავაძის არქივი, A ფ. 1720).

⁹⁶ Труды Восточной комиссии Московского археологического общества, Москва, 1895.

წყისს. ამის შემდგომ კიდევ გადაწევის საფუძველს არ გვაძლევს დაწერილობის ხასიათი“.

დაახლოებით ასევე ათარილებს იმავე ხელნაწერს სარგის კაკაბაძე⁹⁷. იგი უმატებს ზოგ ახალ არგუმენტსაც. ეს არის ხელნაწერის არშიების მოხატულობა, რომელიც ს. კაკაბაძეს დაახლოებით მე-16 საუკუნისად მიაჩნია. აქვე იგი აღნიშნავს ამ ხელნაწერის პალეოგრაფიულ თავისებურებებსაც: „პალეოგრაფიულად, განსაკუთრებით ასოების — ო, პ, ჰ, გ — გამოხატულებით შესაძლებელი იყო ხელნაწერის მიკუთვნება მე-16 საუკუნის მეორე ნახევრისათვის ან 1600 წლის ახლო ხნისათვის“⁹⁸.

საგულისხმოა, რომ ამ ორი მკვლევრის მოსაზრებას არსებითად არ ეწინააღმდეგება შალვა ამირანაშვილიც, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა ამ ხელნაწერის მინიატურები: „ირანული სტილით შესრულებული ბორდიურების შესწავლა რამდენსამე მინიატურისტი (არანაკლებ ოთხისა) ხელს არკვევს და ყოველ მათგანს საკუთარი თავისებურებანი აქვს. ბორდიურების ერთი ჯგუფი თითქმის სრულიად ემთხვევა ზაარუს კოლექციის ზილიხანიანის ხელნაწერების არშიების სამკაულს (ეს ხელნაწერი 1557 წ. თარიღდება) და საადის პოემის ბუსტანის XVI ს. ხელნაწერების შემკულობას.“⁹⁹.

ამ ხელნაწერს ვეფხისტყაოსნის თავის მეორე გამოცემაში შეეხო იუსტ. აბულაძე და თითქმის მთელი საუკუნით გადმოსწია მისი თარიღი. თუმცა უნდა ითქვას, რომ მკვლევარი აქ მხოლოდ ზოგადი განცხადებით კმაყოფილდება: „ჩვენის აზრით, — წერს იგი, — ხელნაწერი როგორც ხელის, ისე თავისი შედგენილობის მიხედვით, ან უკეთ XVII საუკუნის მეორე ნახევრის ახალი სტილით დაწერილი ჩანართი ხანების მიხედვით, XVII ს. მეორე ნახევარზე ადრინდელ დროს არ უნდა ეკუთვნოდეს“¹⁰⁰.

⁹⁷ საისტორიო მოამბე, 1924, წიგნი II, გვ. 152—158.

⁹⁸ იქვე, გვ. 153. აქვე, სხვათა შორის, მკვლევარი კონკრეტულად კიდევ აღნიშნავს გადამწერს — იოანე ავალიშვილი, რომელსაც მაგალითად 1612 წელს გადაუწერია თეიმურაზ კახთბატონის წყალობის წიგნი. უნდა ითქვას, რომ ამგვარი შედარებები ძნელი დასაწილებაა, რადგან კალიგრაფიული სკოლები ძლიერ უახლოვდებოდნენ ერთმანეთს. ჩვენ ამაში დავრწმუნდით ამ სიგელის ნახვის შემდგომ, რადგან ასეთ მსგავსებას ხელნაწერი ამჟღავნებს სხვა ნუსხებთანაც (მაგ., მარიაპისეულ ქართლის ცხოვრებასთან, გადაწერილია ათას ექვსას ოცდაათიან წლებში. იხ. S—30 და სხვ.).

⁹⁹ ქართული ხელოვნების ისტორია, 1961, გვ. 414.

¹⁰⁰ „ვეფხისტყაოსნის“ 26-ე გამოცემა, იუსტ. აბულაძის რედაქციით, 1926, თბილისი, გვ. 16.

ამ განცხადებაში არსებითად ერთი რამ იქცევს ყურადღებას, მარტლაც თარიღის საკითხისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ხელნაწერის რედაქციულ შედგენილობას. სწორედ ამ თვალსაზრისით განიხილა ეს ხელნაწერი მკვლევარმა სოლომონ იორდანიშვილმა.

იუსტ. აბულაძის მსგავსად, იგი მოცულობის საკითხზე ამახვილებს ყურადღებას. „ამ უთარილო ხელნაწერის დათარიღებისათვის, გადაწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიეჩეს მის სტროფულ მოცულობას და აგრეთვე მის შედარებას ვეფხისტყაოსნის სხვა დათარიღებულ ხელნაწერებთან“¹⁰¹.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს თავისთავად სწორი თვალსაზრისი ავტორს სათანადოდ არა აქვს გამოყენებული; სხვა ხელნაწერებთან შედარების დროს მკვლევარს, ჩვენთვის გაუგებარი მიზეზის გამო, მოსვლია უხეში შეცდომები. ადარებს რა იგი H — 2074 ხელნაწერს „ზაზასეულ“ ნუსხასა და აგრეთვე „ზაზასეულის“ მსგავს კიდევ ერთ ხელნაწერს (H — 3061), ყოველგვარი კომენტარის გარეშე აცხადებს შემდეგს: „ჩვენ მიერ მოხსენებული ორივე ხელნაწერი როგორც „ზაზასეული“, ისე საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი H — 3061, ვეფხისტყაოსნის გაგრძელებათა გარკვეულ თავებს ასეთი ზედწარწერილობით წარმოგვიდგენს: კიდევ სხვა ანდერძი ავთანდილისა (უნდა იყოს ტარიელისა — ს. ც.), რომელ თქვა ჟამსა სიკვდილისა. ტფილელის იოსებისაგან თქმული“ (ნ. ზაზასეული ხელნაწერი 176 ფ.); ანდა: „კიდევ სხვა ანდერძები ავთანდილისა, ტფილელისა იოსების ნათქვამი“ (ნ. ხელნ. საქ. მუზეუმისა, № 3061, გვ. 492).

ასეთი წარწერილობის მქონე სტროფები, მათი ავტორების მოუხსენებლივ, შეტანილია აგრეთვე ვეფხისტყაოსნის ჩვენს, — 2074 ხელნაწერში.

აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ვეფხისტყაოსნის გაგრძელებაში იოსებ ტფილელის მიერ დაწერილი თავები XVII საუკუნის მეორე ნახევარზე ადრე არ შეიძლება ყოფილიყო შეტანილი, და ამ თავე-

¹⁰¹ ს. იორდანიშვილი, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1953, გვ. 18—19.

ბის შემცველი H — 2074 ხელნაწერი — XVII საუკუნის მეორე ნახევარზე ადრე ვერ დაიწერებოდა¹⁰².

ს. იორდანიშვილის ეს დასკვნა აშკარა გაუგებრობას წარმოადგენს. ხელნაწერის შესწავლის შემდგომ გამოირკვა, რომ აქ არამცთუ ტფილელისეული გმირთა ანდერძები, არამედ ტფილელისეული არც ერთი სტროფი არ გვხვდება პოემის ტექსტში (ამის შემოწმება მკითხველს შეუძლია ს. ყუბანეიშვილის „ვეფხისტყაოსნის შედგენილობის“ მიხედვითაც).

როგორც ვხედავთ, რედაქციული აღნაგობის მიხედვით, ამ ხელნაწერის მოგვიანო ხანით დათარიღების ცდა უხეშ შეცდომებზეა დაფუძნებული. ნამდვილად კი თეიმურაზ I ზემოთ მოყვანილი პარალელების მიხედვით ცხადი ხდება, რომ მეორე ჯგუფის ხელნაწერების მოცულობა, რომლის ტიპიურ წარმომადგენლად გვევლინება სწორედ H—2074 ნუსხა, შესაძლებელია არსებულიყო უკვე 1629 წლისათვის, ე. ი. მე-17 საუკუნის პირველ მეოთხედშიც¹⁰³.

მაშასადამე, მეორე ჯგუფის ხელნაწერთა დაბოლოებისათვის არსებობს — terminus post guen non — ეს არის 1629, როცა უკვე ამგვარი დასასრული ჩამოყალიბებულია.

¹⁰² ს. იორდანიშვილი, ნარკვევები, 1953, გვ. 24. იქვე ავტორი კიდევ ორ არგუმენტს ასახელებს. პირველი, ამ ხელნაწერში უ და იყოს ნანუჩას მიერ შეთხზული სტროფებიო. ნანუჩას კი, თუ ის მართლა ნანუჩა (მანუჩარ) ციციშვილია, როგორც თეიმურაზსა და ბროსეს ეგონათ, 17-საუკუნის პირველ ნახევარშიც შეეძლო დამატებების შეტანა. ამიტომაც, ამ არგუმენტის სისუსტეს თვით მკვლევარიც აღიარებს. ასევე სუსტია მეორე არგუმენტიც. H—2074 ხელნაწერი შემდეგში ხელთ ჰქონია იოსებ ტფილელს და ბილოში საყუთარი ხელრთვით მიუწერია რამდენიმე სტროფი. ეს კი ხელნაწერის დიდი ხნის ჩამოყალიბების შემდეგაც შესაძლოა მომხდარიყო და ფაქტიურად ეს ასევე არის.

¹ ამდენად ასეთი რედაქციის მქონე ხელნაწერი მე-17 საუკუნის პირველ მეოთხედისათვისაც შესაძლებელია არსებულიყო. ისე კი, უფრო რეალური ჩანს H—2074 ხელნაწერის თარიღი მე-17 საუკუნის შუა წლებით განვსაზღვროთ (30-იან, 40-იანი წლები), რადგან ეს ხელნაწერი სპარსულ ქალაღლზეა ნაწერი და როგორც რამაზ პატარიძემ გააკეთა, სპარსული ქალაღი სწორედ 30-იან წლებიდან კვლავ იწყებს ინტენსიურ გამოჩენას საქართველოში. ეს პროცესი უკავშირდება როსტომ მეფის ზეობის წლებს (1632—1658 წწ.).

აქვე საჭიროა აღინიშნოს ისიც, რომ სოლომონ იორდანიშვილის მცდარი დათარიღება განმეორებულია სხვა მკვლევართა ნაშრომებშიც.

დასასრულის მიხედვით მეორე და პირველი ჯგუფის ხელნაწერებში ერთ-ერთ ძირითად ეპიზოდს წარმოადგენს ე. წ. „ხვარაზმელთა ამბავი“. როგორც ვნახეთ, პირველი ჯგუფის ხელნაწერებში იგი დაახლოებით 116 სტროფით, ხოლო მეორე ჯგუფის ხელნაწერებში 160-მდე სტროფითაა გადმოცემული (პირველი ჯგუფის 116-ვე სტროფი, რასაკვირველია, შედის მეორე ჯგუფშიც).

სხვა ეპიზოდებიდან „ხვარაზმელთა“ ამბავი, როგორც ითქვა. იმითაც განსხვავდება, რომ მას გააჩნია საკუთარი პროლოგი და ეპილოგი¹⁰⁴. პროლოგში გადმოცემულია ბიბლიოგრაფიული ცნობები:

საწუთროო უხანაო, სიმუხთლისა სენი გჳირსა,
უწინ ცათა გაყვანილსა ჩააგდებო ღიღსა ჳირსა,
გააყვიოლებ ჳარვის ფერად პირველ ღალსა განამჳვირსა,
ჳარგა ვერვინ ვერა ნახავს კაცსა შენგან დანაჳირსა.

აჳ გონიერო სიტყუანი მოსენით შეიჳწინარენით,
ძველი ნარჩომი ამბავი ლეჳსად ვთჳქვენ, გაიხარენით,
სარგისს დაურჩა უთჳმელად, ჩვენ ესე დაუპარაღენით,
ლეჳსი მიჳენით, ამასთვის, ენანი მამახჳარენით.

იგრძლად ავად გახდა ტარიელ და სხვ.¹⁰⁵

ამავე ეპიზოდს აქვს ასეთი სახის ეპილოგიც:

ეს ამბავი დარჩომოდა სარგის ლეჳსთა შეუწყობლად,
მერმე თმოგიი შესაუღითა თ ვიველთაგან დარჩა ობლად,
შე ვნახე და მას უჩვენე, ვინ ჩანს გმირთა რაზმთა მჳყობლად,
მან მიბრძანა: ლეჳსად თჳვიო მჳვერ ჳართულად შესაწყობლად.
S—2329

ერთმანერთისა მეშველთა მებრძოლნი იბაჳნიან,
ორთავე მტერი მოყუარედ მათ წინა მოიყვანიან,
მათთა ურჩთა და შე(მ)კადრთა მიჳანი უაყვანიან.
ორგულთა მჳლავნი შემეუსრეს, ერთგულნი აგულღენიან
S—2829

ყოელთა სწორად წყალობასა, ვითა თოვლსა მოათოვდეს,
ობოლ-ჳერიენი დაამღიდრეს და გლახაკი არ ითხოვდეს,
ავის მჳნელნი დააშინეს, კრავნი კრავსა ვერ უწოვდეს,
შიგან მათთა საბრძანისსა თხა და მგელი ერთად სძოვდეს.
S—2829

¹⁰⁴ აქ ჩვენ ვეხებით „ხვარაზმელთა“ ეპიზოდის ისეთ რედაქციას, რომელიც ირვმელი ჯგუფის ხელნაწერებში გვხვდება (მგ. S—2829 H—599. Q—261 და სხვ.).

¹⁰⁵ მეორე ჯგუფის ხელნაწერები ამ პროლოგს უმატებენ კიდევ ერთ სტროფს ესე ამბავი ნარჩომი მათ ლომთა მორჳმით მგონეთა,
გალეჳსეა აკლდა ხვარაზმთა, მეტად ვერ მოვიგონეთა,
ძელია პონეა, გული კრთა, დავეარდი, დაველონთა;
ეკლავე ვთჳვი, ლეჳსი გაემართე, მოსმენით გაიგონეთა.

დავითის ქართველთა მეჯინა, ვის მზე მსახურებს მარებლად,
ესე ამბავი გავლექსე, მათად მე მოსახმარებლად.
ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს ზართა მარებლად,
მისთა ორგულთა დაჰწველად. ერთგულთა გამახარებლად
S—2829

მე ვთქვი ქება თამარისა და ხმელთა შინა მნათისა,
ვთქვი ქება მათი მზისადა მქონდა ქებისა მათისა,
მემცა ვით მექო, ვერ აქებს თუ ბრძენი შეკრებს ათისა...
S—2829.

ამ ეპიზოდის პროლოგსა და განსაკუთრებით ეპილოგში უწინარეს საინტერესოა შემდეგი: ეპილოგის მეორე და მესამე სტროფი მთლიანად აღებულია წინა ეპილოგიდან, რომელიც მოსდევს ინდო-ხატაელთა ამბავს შორის რომ არ წავიდეთ. მოვიყვანთ ამავე ხელნაწერიდან ინდო-ხატაელთა ეპილოგის ამ სტროფებს:

ფრიდონცა ესვა მოყვარედ მათ წინა მოიყვანიან,
ერთმანერთისა მეშველთა მებრძოლნი იმაჟანია .
მათთა ურჩთა და შემკადრთა მიწანი უაქვანინან,
ორგულთა მკლავნი შემუხსრეს, ერთგულთა აგულვანინან
S—2829

ყოვლად სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვლდეს,
ობოლ-ქერიანი დაამდიდრეს და გლა(ხა)კნი არ ითხოვდეს,
ავის მქმნელი დააშინნეს, კრავნი ცხვართა ვერა სწოვდეს,
შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს.
S—2829.

ეს არის უტყუარი საბუთი იმისა, თუ როგორ იქმნებოდა პოემის ახალ-ახალი პლასტები, მთელი ჩანართი ეპიზოდი, რომლის დაბოლოებას კვლავ იმავე სტროფებით ცდილობდნენ, რომლითაც წინა ეპიზოდი იყო გათავებული. სხვა ხელნაწერებს რომ გადავხედოთ, უფრო განმტკიცდება ეს მოსაზრება. მაგალითად, „ზაზასეულ“ ხელნაწერში, როცა გმირთა ვრცელი ანდერძები სრულდება, გვხვდება ისეთი ეპილოგი, რომლის ორი სტროფი აღებულია უკვე ხვარაზმელთა ამბის ეპილოგიდან, ასეთია მე-4 და მე-5 სტროფი:

ქართველთა ღეთისა დავითის, ვის მზე მსახურებს საარებლად
და სხვ.
მე ვთქვი ქება თამარისა და ხმელთა შინა მნათისა...
და სხვ.

დავუბრუნდეთ „ხვარაზმელთა“ ეპიზოდს. აქ, როგორც ვნახეთ. პროლოგსა და ეპილოგში ვხვდებით ბიბლიოგრაფიულ ცნობებს. ვილაც მელექსეს გაულექსავს „ხვარაზმელთა“ ამბავი, რომელიც პროზად დარჩენია სარგის თმოგველს. აქ საჭიროა აღინიშნოს, რომ მიუხედავად არა ერთი ისტორიული ექსკურსისა, ამ საკითხის გარშემო დღესაც გაძნელებულია ბიბლიოგრაფიული ცნობების გახსნა. ვინ იყო სარგის თმოგველი? ან უკეთ, რომელ სარგის თმოგველზეა აქ ლაპარაკი? როდის არის შექმნილი „ხვარაზმელთა ამბის“ პროზული ვერსია, ან კიდევ რა ეკუთვნის ვეფხისტყაოსნის პლასტებიდან სარგის თმოგველს? აი კითხვები, რომლებზეც დამაჯერებელი პასუხი, მიუხედავად მრავალი ცდისა, ამჟამად არ მოგვეპოვება!¹⁰⁶

მაგრამ გარკვეულია ერთი ფრიად მნიშვნელოვანი მომენტი. ეს არის დრო ამ ეპიზოდის ჩამოყალიბებისა, ან უკეთ — გალექსვისა. აღ. ბარამიძემ 1929 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი ვეფხისტყაოსნის პლასტების დათარიღების გარშემო. ნაშრომი ძირითადად სწორედ „ხვარაზმელთა“ ამბავს ეხება. აქ ზუსტ დეტალებზე მითითებით გარკვეულია, რომ „ხვარაზმელთა“ ამბის გალექსვაზე გავლენა მოუხდენია „შაჰნამეს“ ქართულ ვერსიებს, რომელსაც ჩვენ „როსტომიანის“ სახელით ვიცნობთ. აშკარა მაგალითების მოყვანის შემდგომ ავტორს გამოაქვს დამაჯერებელი დასკვნა.

„ჩვენს მეცნიერებაში მიღებული აზრით, „შაჰნამეს“ პირველი პროზული ვერსია გადმოუღიათ მე-XVI ს. პირველ წლებში. მაგრამ არა უგვიანეს ამავე საუკუნის პირველი ნახევრისა, სერაპიონ სოგრატიძე საბაშვილი, რომლის გავლენაც ხვარაზმელთა ამბის გამლექსავს განუცდიდა, ამავე პერიოდის ე. ი. მე-XVI საუკუნის პირველი ნახევრის მოლვაწუა. მაშასადამე, უნდა დავასკვნათ, რომ ხვარაზმელთა ამბავი მე-XVI ს. პირველ ნახევრამდე მაინც ვერ შეიქმნებოდა“¹⁰⁷.

¹⁰⁶ შდრ. ვეფხისტყაოსანი ს. კ ა კ ა ბ ა ძ ი ს გამოცემები, 1913, 1926 წელს. პ. ინგოროყვას „რუსთაველიანა“ და სხვ., აგრეთვე აღ. ბ ა რ ა შ ი ძ ე, ნარკვევები, ტ. III, გვ. 114—123.

¹⁰⁷ ვეფხისტყაოსნის პლასტების დათარიღებისათვის (ტფ. უნივერსიტეტის მოამბე, ტ. IX, 1929, გვ. 129).

მასასადამე, ხელნაწერთა პირველ და მეორე ჯგუფშიც შემავალი ძირითადი ეპიზოდი „ხვარაზმელთა“ შესახებ ჩამოყალიბებულია მე-16 საუკუნის პირველი ნახევრის შემდგომ¹⁰⁸, ხოლო, როგორც ვნახეთ, მეორე ჯგუფის ისეთი რედაქციების ჩამოყალიბება, როგორცა გვაქვს ხელნაწერებში: H — 2074, A — 363, H — 54 და სხვ.¹⁰⁹ უკვე დასრულებულია მე-17 საუკუნის პირველი მეოთხედისათვის.

რაც შეეხება „ინდო-ხატაელთა“ ამბავს, თუკი ის რუსთველის კალამს მართლაც არ ეკუთვნის, მისი ჩამოყალიბება, ყოველ შემთხვევაში, მე-16 საუკუნის უწინარეს უნდა ვიგულისხმოდ. როგორც ცნობილია, „ინდო-ხატაელთა“ ამბის საკითხი ჯერ კიდევ ცილობას იწვევს. ამ ეპიზოდის თვით პოემასთან, ან უკეთ მის ძირითად ნაწილთან მიმართება, სრულიად სხვაგვარად სვამს ინდო-ხატაელთა ამბის ინტერპოლაციად გამოცხადების საკითხს. მაგრამ ამაზე ჩვენ აქ არ შევჩერდებით, რადგან ეს სპეციალური გამოკვლევის საგანია. თუმცა აღვნიშნავთ, რომ ეს ეპიზოდი მიუხედავად გვიანდელი დამახინჯებებისა, რუსთველისად მიგვაჩნია¹¹⁰.

ამის შემდეგ, როდესაც მოხაზულია ხელნაწერებში დაცულ გაგრძელებათა ფარგლები და მიახლოებით გარკვეულია მათი წარმოშობის დრო, საჭიროა, პოემის წინა მონაკვეთების მსგავსად, განვიხილოთ ხელნაწერთა მთელი მემკვიდრეობა. დათარიღების საკითხებზე მსჯელობისას, ჩვენ ძირითადად სამ ჯგუფად ვყოფდით ძველ ხელნაწერებს. პირველი ჯგუფის ხელნაწერებში გაგრძელებანი წარმოდგენილი იყო დაახლოებით 160 სტროფამდე („ხვარაზმელთა ამბავი“ 120 სტროფამდე და გმირთა ორი „ანდერძი“ 40 სტროფამდე). ასეთ დასასრულს,

¹⁰⁸ უფრო ზუსტად, მე-16 საუკუნის პირველი მესამედი, რადგან პროფ. კ. კეკელიძის გამოაზარებებით, როსტომიანის გამოქვეყნებული მე-16 საუკუნის პირველ მესამედში ცხოვრობდა. იხ. ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, 1958, გვ. 329.

¹⁰⁹ ლაპარაკია ამ სახის რედაქციებზე და არა თვით ხელნაწერების ჩამოყალიბების თარიღზე.

¹¹⁰ უფრო ზუსტად, ვეფხისტყაოსნის ბოლო თავების დაზიანების გამო გადარჩენილი ფრაგმენტების მიხედვით ადრეულ საუკუნეებშივე (მაგალ. მე-15, მე-16 საუკუნე) მოუხდენიათ პოემის ამ ნაწილის აღდგენა, რის კვალიც აშკარად ემჩნევა მხატვრულად-სუსტ ადგილებს (ასეთივე შეხედულებას გამოთქვამდნენ უფრო ადრე თავის შრომებში ვ. ბ. რძივა და ალ. ბარამიძე). იხ. ჩემი გამოკვლევა ამ საკითხზე „ვეფხისტყაოსნის დაზოლოვების საკითხისათვის, ყურნ. ცისკარი“, 1959, № 1. იგივე წერილი გადმობეჭდილია ჩემ წიგნში „ლიტერატურული წერილები“, 1966, გვ. 120—128.

როგორც ვნახეთ, გეაძლევენ ხელნაწერები H — 599 (1646 წ.), S — 2829, (1688 წ.), და სხვ. მეორე ჯგუფის ხელნაწერებში (მაგალითად, H — 54, H — 2074) კი გავრცელებანი შეიცავენ ბევრად მეტს და თითქმის 235 სტროფს აღწევენ („ხვარაზმელთა ამბავი“ აქ 160-მდე სტროფია, ხოლო გმირთა ორივე „ანდერძი“ კი 59 სტროფს შეიცავს). ირკვევა, რომ ზემოთ დასახელებული ხელნაწერების მესამე ჯგუფი („ზაზასეული“ და სხვ.) არსებითად მეორე ჯგუფის ხელნაწერებს ემთხვევა და მხოლოდ იოსებ ტფილელის მიერ შეთხზული ორი „ანდერძით“ ავრცელებენ თხრობას (იოსებ ტფილელის ანდერძები შეიცავენ 61 სტროფს). ამიტომ, ჩვენი აზრით, ხელნაწერთა ეს ჯგუფი გავრთიანდება მეორე ჯგუფის ხელნაწერებთან, და, ამასთან, აღინიშნება ეს დამატებანი, რომელთა თარიღიცა და ავტორიც ჩვენთვის ცნობილია (იოსებ ტფილელი 1660 — 1665 წლებში თხზავდა ამ ანდერძებს). ასევე მეორე ჯგუფში შემოვა კიდევ რამდენიმე ხელნაწერი, რომელთაც დამატებით დაუცავთ გმირთა მეხუთე ანდერძი, ხოლო სხვა მხრივ ისინი ზუსტად მისდევენ მეორე ჯგუფის ხელნაწერებს (მაგალითად, S—4499, K — 205 და სხვ.)¹¹¹.

მაშასადამე, გავრცელებათა მიხედვით ძირითადადში გვაქვს ორი რედაქცია, რომელთაც შეიცავენ ვეფხისტყაოსნის ჩვენამდე მოღწეული მნიშვნელოვანი ხელნაწერები. ვიდრე ხელნაწერთა ამ თვალსაზრისით დახასიათებაზე გადავიდოდეთ, ისევე როგორც წინა თავებში, ძირითადად მოვხაზოთ გავრცელებათა პირველი და მეორე რედაქციის შემცველი პლასტები. ამისათვის ავიღეთ პირველი და მეორე რედაქციის მქონე ტიპიური ხელნაწერები (H — 599, S — 2829, H — 54, H—2074, და სხვ.) და მათი შეჯერებით გამოვარჩიეთ ამ ხელნაწერთა სავარაუდებელ დედანში ნაგულისხმევი პლასტები. თვალსაჩინოებისათვის ქვემოთ მოგვაქვს მეორე რედაქციის სტროფები ჩანართებიანი ვეფხისტყაოსნის სათვალავით, ხაზგასმულია ის სტროფები, რომლებიც პირველი პლასტის კუთვნილებაა და აქედან შევიდა მეორე რედაქციაში: 1868, 1869, 1870, 1871, 1872, 1873, 1874, 1875, 1876, 1877, 1878, 1879, 1880, 1881, 1882, 1883, 1884, 1885, 1886, 1887, 1888, 1889, 1890, 1891, 1892, 1893, 1894, 1895, 1896, 1897, 1898, 1899, 1900, 1901, 1902, 1903, 1904, 1905, 1906, 1907, 1908, 1909, 1910, 1911, 1912, 1913, 1914, 1915, 1916, 1917, 1918, 1919, 1920, 1921, 1922, 1923, 1924, 1925, 1926, 1927, 1928, 1929, 1930, 1931, 1932,

¹¹¹ ამდენად, დასასრულის მიხედვით ფაქტურად ოთხი რედაქცია ჩვენთვის უკვე ცნობილი დამატებების (იოსებ ტფილელისა და სხვ.) გამოკლებით პირობით შესაძლოა ორ რედაქციით წარმოვადგინოთ.

1933, 1934, 1935, 1936, 1937, 1938, 1939, 1940, 1941, 1942, 1943;
1944, 1945, 1946, 1947, 1948, 1949, 1950, 1951, 1952, 1953, 1954,
1955, 1956, 1957, 1958, 1959, 1960, 1961, 1962, 1963, 1964, 1965,
1966, 1967, 1968, 1969, 1970, 1971, 1972, 1973, 1974, 1975, 1976,
1977, 1978, 1979, 1980, 1981, 1982, 1983, 1984, 1985, 1986, 1987,
1988, 1989, 1990, 1991, 1992, 1993, 1994, 1995, 1996, 1997, 1998,
1999, 2000, 2001, 2002, 2003, 2004, 2005, 2006, 2007, 2008, 2009,
2010, 2011, 2012, 2013, 2014, 2015, 2016, 2017, 2018, 2019, 2020,
2021, 2022, 2023, 2024*, 2024**, 2025, 2026, 2027, 2028, 2029, 2030,
2031, 2032, 2033, 2034, 2035, 2036, 2037, 2038, 2039, 2040, 2041,
2042, 2043, 2044, 2045, 2046, 2047, 2048, 2049, 2050, 2051, 2052,
2053, 2054, 2055, 2056, 2057, 2058, 2059, 2060, 2061, 2062,
2063, 2064, 2065, 2066, 2067, 2068, 2069, 2070, 2071, 2072,
2073, 2074, 2075, 2076, 2077, 2078, 2106, 2107, 2108, 2109, 2110,
2111, 2112, 2113, 2114, 2115, 2116, 2117, 2118, 2119, 2120, 2121,
2122, 2123, 2124, 2125, 2126¹¹².

ახლა დავახსიანოთ ხელნაწერები რედაქციების მიხედვით.

ვეფხისტყაოსნის გაგრძელებათა პირველი რედაქცია: პირველი რედაქციის ხელნაწერები, რომელთათვის საერთოა ზემოთ აღნიშნული პირველი პლასტი, ბევრად მოკლეა, და, როგორც ვთქვით, გაგრძელებები აქ წარმოდგენილი არიან 160-მდე სტროფით. როგორც ყველა მნიშვნელოვან ხელნაწერთა შესწავლიდან გამოიკვება, ამ რედაქციას იცავს სულ რამდენიმე ხელნაწერი:

H — 599 (1646 წ.), ხელნაწერი თუმცა დაზიანებულია, მაგრამ მაინც ჩანს მისი სახე პოემის ამ მონაკვეთში. იგი მთლიანად მისდევს შედარებით უკეთ შენახულ ამავე ტიპის ხელნაწერს S — 2829 და, მამასადამე, გვაძლევს გაგრძელებათა მოკლე ანუ პირველ რედაქციას. ხელნაწერს აქვს ზოგი თავისებურება, რომელთაგან აქ აღვნიშნავ შემდეგს: სტროფები, 2119, 2121, და 2125 არ არის პირველი რედაქციის ტიპურ ხელნაწერებში (S — 2829, Q — 261), მაგრამ არის H—599 და, როგორც ჩანს, მომდინარეობს მეორე რედაქციის მქონე რომელიღაც ნუსხიდან. ასევე H — 599-ში არ არის პირველი რედაქციიდან

¹¹² პლასტების ზუსტ გამოყოფას აქვს თავისი დაბრკოლებები, მაგ., ყველა ეს სტროფი არ მოიპოვება მეორე და პირველი რედაქციის შექცეულ ზოგ ხელნაწერში (რასაც გზადაგზა შევკვებით), მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არ ენიჭება ძირითადი პლასტების გამოყოფის დროს.

სტროფები 1934 და 2024** (ეს უკანასკნელ ხელნაწერს მოეპოვება წინ „ინდო-ხატაელთა ამბავში“, მაშინ როცა ასეთივე ტიპის ხელნაწერებს, როგორცაა, მაგალითად, S — 2829, Q — 261, ორივეგან მოეპოვებათ იგი). მიუხედავად ასეთი გადახვევებისა, ხელნაწერი H — 599 არის პირველი, შედარებით მოკლე რედაქციის მქონე.

S — 2829 (1688 წ.) — ესეც პირველ ე. ი. შედარებით მოკლე რედაქციას იცავს და, როგორც აღვნიშნეთ, იგი ჩვენამდე სრული სახითაა მოღწეული. ამიტომაც საკმაოდ ნათელ წარმოდგენას იძლევა ამ რედაქციის შედგენილობის შესახებ. აქ „ხვარაზმელთა ამბავი“ წარმოდგენილია 116 სტროფით, ხოლო გმირთა გარდაცვალება და ანდერძები — 39 სტროფით. ხელნაწერს მოეპოვება უმნიშვნელო გადახვევები. მაგალითად, აქ არის სტროფი 2124², რომელიც ეპილოგის ცნობილი სტროფის — „გასრულდა ესე ამბავის..“ — თავისებურ ვარიაციას წარმოადგენს¹¹³. რომელიც არ ჩანს სხვა მოკლე ხელნაწერებში¹¹⁴ და ა. შ.

Q — 261 (XVII ს.), გაგრძელებათა მიხედვით იგი თითქმის იმეორებს წინა ხელნაწერს და შეიცავს ისეთივე მოცულობის ტექსტს. ამ ორი ხელნაწერის სიახლოვე, გარდა სხვა მომენტებისა, იქამდე მიდის, რომ ეპილოგის ცნობილი სტროფები: დავითის ქართველთ მეფისა, ვის მზე მსახურებს სარებლად... (ვრც. გამოც. 2123) და „მე ვთქვი ქება თამარისა...“ (2124), ორივე ხელნაწერში გადმოტანილია წინ „ხვარაზმელთა ამბის“ დასასრულთან.

ყველა ამ ნიშნის გათვალისწინებით უნდა დავასკვნათ, რომ Q — 261 ხელნაწერი იცავს გაგრძელებათა შედგენილობის პირველ რედაქციას.

Q — 930 (XVIII ს.), ხელნაწერი მიუხედავად ბოლო ხანებში ჩატარებული რესტავრაციისა ალაგ-ალაგ ოდნე დაზიანებულია, მაგრამ მაინც ჩანს მისი რედაქციული სახე. იგი ძირითადად მისდევს ზემოაღწერილ ხელნაწერებში წარმოდგენილ პოემის გაგრძელებათა პირველ

113 2124² სტროფი S—2829 ხელნაწერ-დან:

„ცუღია ესე სოფელი, ვითა სიზმარი ღამისა|
არ მამეხმარა საკურქლე დედისა, არცა მამისა;
უხანობისა ქარი კრის, ვითა ერთისა წამისა,
ოხრად გახდების აერი ტურფისა თვალ-წამწამასა“ (232 ყ).

114 არის მხოლოდ მე-19 საუკ. ნუსხებში S—1727 და H—66 (დაზიანების გამო ნათლად არ ჩანს იყო თუ არა ეს სტროფი Q—261-ში).

რედაქციას, ოღონდ შეინიშნება, რომ ამ ხელნაწერის გადამწერს (თუ მის წინამორბედს) აქა-იქ უსარგებლია მეორე რედაქციის მქონე რომელიღაც ხელნაწერთ და იქიდან გადმოუტანია რამდენიმე სტროფი. მაგ., 1869, 1902, 1907, 1908, ხოლო შემდეგ ეს ხელნაწერი თითქოს სხვა ხელითაა ნაწერი და, ამდენად, აქ ჩართული მეორე პლასტის სტროფები (1915, 1916, 1938, 1939, 1981 და სხვ.) იქნებ სხვა გადამწერის მიერ იყოს ამოღებული გარეშე წყაროდან. საერთოდ კი Q — 930 ხელნაწერში მეორე რედაქციიდან ბევრი სტროფი არაა შესული. ამდენად, ხელნაწერს თავისი ძირითადი სახით დაუცავს დაახლოებით გაგრძელებათა პირველი რედაქცია.

თარხან-მოურავისეული ანუ W— 27 (XVII საუკ.), ამ მონაკვეთში ხელნაწერი ძალზე დაზიანებულია. გადარჩენილია მხოლოდ 1868 — 1890 სტროფები. მაგრამ აქ არის ზოგი ისეთი ნიშანი, რომელიც გვაძლევს უფლებას რედაქციულად დავახასიათოთ იგი. მაგალითად, ამ მონაკვეთში მეორე რედაქციას პირველთან შედარებით მოეპოვება შემდეგი დამატებითი სტროფები (ნახე ზემოთ პირველი და მეორე პლასტი): 1869, 1871, 1872, 1873, 1874, 1882, 1886, 1887, 1889; შეჯერებით დადასტურდა, რომ არც ერთი ეს სტროფი არ არის W — 27-ში, მაშინ როცა პირველი პლასტის ყველა სტროფი მოეპოვება. მაშასადამე, აქ დაცულია გაგრძელებათა პირველი რედაქცია.

S — 1727 (1825 წ.), ხელნაწერი თუმცა გადაწერილია ვახტანგისეული გამოცემიდან, მაგრამ ბოლოში დართული აქვს ხელნაწერთაგან მომდინარე პოემის გაგრძელება. გამოირკვა, რომ ეს დასასრული გადმოღებულია რომელიღაც ხელნაწერიდან, რომელიც შეიცავდა გაგრძელებათა პირველ რედაქციას.

ამ მხრივ, ხელნაწერში არის რამდენიმე გადახვევა, რომელთაგან დავასახელებ შემდეგს: სტროფი 2121, რომელიც 2424²-ე სტროფის („ვასრულდა ესე ამბავი“) ვარიაციაა, არის მხოლოდ ამ ხელნაწერში და S — 2829 და H — 66 ხელნაწერებში; ასევე სტროფი 2125 პირველი რედაქციის ხელნაწერთაგან არის მხოლოდ H — 599-ში და ირკვევა, რომ ეს სტროფი არის S — 1727-შიც. ამასთან, ზოგი სტროფი, რომელიც უნდა ყოფილიყო ხელნაწერში, ამჟამად არ ჩანს, მაგალითად, 1927, 1929, 1930, 1932, 2109, 2122, 2123.

H — 66 (1832 წ.), ხელნაწერი გადაწერილია ვახტანგისეული გამოცემიდან, მაგრამ დართული აქვს გაგრძელებანი. ისევე როგორც წინა ხელნაწერი, აქაც ეს გაგრძელება გადმოწერილია პირველი რედაქციის მქონე ნუსხიდან. ამასთან აღსანიშნავია, რომ ეს ხელნაწერი ძალზე ახლოსაა **S — 1727-თან** და ამდენად მასზე დაწვრილებით აქ აღარ შეეჩერდებით.

Q — 1075 (XIX ს.), გაგრძელებათაგან ხელნაწერში შემონახულია მხოლოდ მცირე ფრაგმენტი (სულ რამდენიმე ათეული სტროფი). სხვა ხელნაწერებთან შეჯერებამ გვიჩვენა, რომ აქ პოემის გაგრძელება მისდევს პირველი რედაქციის მქონე ხელნაწერებს (**H—579, S — 2829, Q — 261, და ა.შ.**), ერთი დეტალი: აღნიშნულ ხელნაწერთა მსგავსად, ამ ნუსხის დაუზიანებელ ნაწილში არ არის 1873-ე სტროფი „მათ მიუთხრობს ჰინდოთ მეფე...“, რომელიც გაგრძელებათა მეორე რედაქციის კუთვნილებაა, რაც დამატებით ამტკიცებს ზემოაღნიშნულ მოსაზრებას.

ვეფხისტყაოსნის გაგრძელებათა მეორე რედაქცია. ამ რედაქციის ძირითად სახეს უკვე გავეცანით (დამატებათა მეორე პლასტი), მაგრამ აქ საჭიროა აღინიშნოს შემდეგი. როგორც ვნახეთ, ამ რედაქციის მქონე ზოგ ხელნაწერს დამატებით ერთვის იოსებ ტფილელის მიერ შეთხზული ანდერძები (ანდერძი ტარიელისა და ანდერძი ავთანდილისა), ზოგს ერთი, ზოგს კი — ორივე. არის ხელნაწერები, რომელთაც დაერთვის ყველაზე გვიან შეთხზული მეხუთე ანდერძიც (მაგალითად, **S — 4499 და სხვ.**). ამიტომ პირველ რიგში განვიხილოთ ის ხელნაწერები, სადაც დამატებათა მეორე პლასტი უფრო სუფთადაა შემონახული („ხვარაზმელთა ამბავი“ და ორი ანდერძი), ხოლო შემდეგ მესამე, მეოთხე (ტფილელის) და მეხუთე ანდერძების მქონე ხელნაწერები.

H — 54 (1680 წ.), ხელნაწერი გვაძლევს მეორე რედაქციის ტიპიურ სურათს (ამასთან იგი კარგადაა შენახული). აქ „ხვარაზმელთა ამბავი“ წარმოდგენილია 159 სტროფით (პირველ რედაქციაში იგი 116 სტროფს უდრის), ხოლო გმირთა გარდაცვალება და ანდერძები კი — 76 სტროფით (აქ არის მხოლოდ ტარიელისა და ავთანდილის თითო ანდერძი). მაშასადამე, ეს მონაკვეთი შეიცავს სულ 235 სტროფს, ხელნაწერი გვაძლევს გაგრძელებათა მეორე რედაქციას.

H — 2074 (XVII საუკ.), განსაკუთრებით ახლოს დგას H — 54 ხელნაწერთან, და, ამდენად, აქ სუფთა სახითაა წარმოდგენილი მეორე რედაქცია. ხელნაწერს აქვს ზოგი თავისებურებაც, კერძოდ, აქ შემთხვევით გამოჩნენილია რამდენიმე სტროფი, რომელთა ამოვარდნა თხრობაში უეჭველ ხარვეზებს აჩენს¹¹⁵.

S — 4988 (XVII საუკ. ბოლო), ეს ხელნაწერიც შედგენილობით ახლოს დგას აგრეთვე H—54-თან და, ამდენად, სუფთა სახით გვაძლევს გაგრძელებათა მეორე რედაქციას. ამასთან, ხელნაწერში არის ზოგი გადახვევა, რაც უნდა აღინიშნოს: ა) ხელნაწერში არ არის ზოგი სტროფი, რომლებიც შესულია H—54-ში, მაგალითად, 2057, 1919, 1987, ხოლო 1988-ე სტროფის ნაცვლად („შეიქმნა ომი ფიცხელი რაზმის კიდემდე კილია...“) მოთავსებული აქვს 1989¹ სტროფი, რომელიც თითქმის იმავე სიტყვებით იწყება („შეიქმნა ომი ფიცხელი, ხელმწიფის დროშა მართია...“). აქ უნდა შევნიშნოთ, რომ 2057, 1919, 1987, და 1988 არ არის პირველი პლასტის მქონე ხელნაწერებშიც (S — 2829. II — 599 და სხვ.), რაც იმაზე მიუთითებს, რომ ხელნაწერში ეს არ არის შემთხვევითი დეფექტი; ბ) H — 54-ის მსგავსად, ცნობილი შეიდსტროფიანი დანართი ამ ხელნაწერებში მოთავსებულია ავთანდილის ანდერძში.

უჩემოდ დაქნი ვარდო და... 2050
ჩემი გარდახდა სურვილი...2051
აწ ეს ვითხოვო ღმრთისაგან... 2052

სული რომელი აწ ჩემგან...2053
ამ სააჯოსა ღმრთისაგან...2054
აწ გაიხვენიო სატირლად...2055
ესე წესია სოფლისა... 2056

სხვადასხვა ხელნაწერებში ეს სტროფები მერყეობენ და ხან ტარიელის და ხან ავთანდილის ანდერძში გვხვდებიან. სხვათა შორის, არის ხელნაწერებიც, სადაც ორივე ანდერძში გვხვდება ეს სტროფები (მაგალითად, S — 5006); გ) ამ ხელნაწერში S — 4499-ის მსგავსად 2045-ე სტროფს მისდევს 2106-ე სტროფი („აზომ არ არის სოფელი, სადამო არცა დილია...“); დ) ხელნაწერში H — 54-თან შედარებით მეტია 2120¹ სტროფი („შინა მივიდა...“) და ა. შ.

H — 2610 (XVII საუკ. ბოლო), ხელნაწერი შედგენილობით ახლო დგას H — 54-თან, ე. ი. შეიცავს გაგრძელებათა მეორე რედაქციას. თუმცა არის ზოგი გადახვევა: ა. H — 54 ხელნაწერთან შედარებით H — 2610 აკლია ზოგი სტროფი, მაგალითად, „ხვარაზმით გამოემარ-

¹¹⁵ როგორც ჩანს, ამ შემთხვევაშიც Bourdons-ი უნდა ვივარაუდოთ.

თა...“ 1886 სტრ. (ასევე აკლია ზოგ ხელნაწერს ეს სტროფი და გადატანილი აქვთ შუა პოემაში). „თვითო კაცი ერთმანეთსა...“ 1923 (ასეა H — 461-შიც)¹¹⁶, „ნესტან-დარეჯან ტანსარო...“ 1934 (ეს სტროფი არ არის პირველ რედაქციაშიც, მაგალითად, H — 599-ში)¹¹⁷, „სოფელი თვისთა სისხლითა... 1940 (არ არის აგრეთვე პირველ რედაქციაში), „შეიქნა ომი ფიცხელი...“ 1988 (ასევე არ არის პირველ რედაქციაში), ხელნაწერში არ არის აგრეთვე სტროფები 2022-ე („აავსნა მისაცემლითა...“), 2023-ე („მივიდა მათი ქვეყანა...“) და 2024-ე („ყოვლთა სწორად...“)¹¹⁸; ბ. ეს ხელნაწერი H — 54-ზე მეტია სამი სტროფით: 1989¹-ე („შეიქნა ომი ფიცხელი ხელმწიფის ღროშა მართია...), 1990¹-ე („მიუხდა ხმალი“...), 1990² („მივიკირს თუ რად“...)¹¹⁹; გ. H — 54, H — 461 და ზოგ სხვა ხელნაწერთა მსგავსად ზემოთ ნახსენები 7 სტროფი (2050 — 2056) ამ ხელნაწერსაც ავთანდილის ანდერძში აქვს მოთავსებული.

H — 461 (XVII საუკ. ბოლო), პოემის შუა მონაკვეთის დახასიათების ღროს ჩვენ ვნახეთ, რომ ხელნაწერთა ერთ ჯგუფთან ერთად H — 461 მეტად თავისებურ ძირითად ტექსტს შეიცავდა, რაც შეეხება პოემის დასასრულს, აქ იგი აშკარად უახლოვდება H — 54-ს. მაგალითად, აქაც იმავე ადგილასაა („ავთანდილის ანდერძში“) შეიდი სტროფი (2056 — 2057), რომლებიც ადგილის მიხედვით მერყეობენ ხელნაწერებში.

მაგრამ არის ზოგი გამონაკლისიც. მეორე პლასტის მქონე ხელნაწერთაგან განსხვავებით, აქ მეტია რამდენიმე სტროფი. მაგალითად. 1990¹, 1990² და 2120¹ (იხ. ხელნაწერები H — 2160, W — 17, S — 4988 და სხვ.), ამასთან ხელნაწერში არ არის ზოგი სტროფი მეორე პლასტიდან. მაგალითად, 1886, 1923, 2024** (იხ. ხელნაწერები H — 2610, S — 4988 და სხვ.).

მაინც, თავისი ძირითადი სახით ხელნაწერი შეიცავს გაგრძელებათა მეორე რედაქციას.

A — 863 (XVII საუკ.), გაგრძელებათაგან ხელნაწერში გადარჩენილია სულ 65 სტროფი, ისიც სხვადასხვა ფურცლებზე (სტროფები: 1868 — 1883, 1885, 1887 — 1904, 1939, 1941 — 1963, 1967 — 1974,

¹¹⁶ 1923 და 1924 სტროფები აღრევის გამო ერთ სტროფადაა წარმოდგენილ ხელნაწერში.

¹¹⁷ ეს სტროფი საერთოდ დიდ სხვაობას იძლევა ხელნაწერში. რადგან იგი ფაქტიურად 2934-სა და 1935-ის ნაერთს წარმოადგენს. იხ. ვეფხისტყაოსნის ვარიანტების IV ტომი.

¹¹⁸ სამაგიეროდ ხელნაწერი ამ სტროფს უერთავს „ზეარაზმელთა ამბის“ შემდეგ.

¹¹⁹ ეს სტროფები არის H—461, S—4499, K—205 და სხვ. ხელნაწერებშიც.

1980 — 1987, 2048, 2049, 2057 — 2062). ირკვევა, რომ გადარჩენილი ფრაგმენტით ხელნაწერი აშკარად უახლოვდება მეორე რედაქციას.

მაგალითად, 36 სტროფი ამ ფრაგმენტიდან სწორედ მეორე პლასტის კუთვნილებაა და არ არის პირველ რედაქციებში (შდრ. მეორე პლასტს).

S — 3077 (XVII საუკ.), გაგრძელებათაგან გადარჩენილია მხოლოდ მცირე ფრაგმენტები. მაგ., სტროფები: 1869 — 1870, 1880 — 1883, 1884 — 1891, 1903 (სხვა ხელითაა ჩაწერილი), 1907—1911, 1933 — 1939, 1941 — 1954, 1975, — 1980, 1982 — 1985, 1987, 1995 — 2005. ამ სტროფების შეჯერება ზემოთ მოტანილ გაგრძელებათა პირველ და მეორე პლასტთან არკვევს, რომ ხელნაწერი მიჰყვება მეორე რედაქციის შემცველ ნუსხებს (მაგალითად, I პლასტში არ არის გადარჩენილ სტროფთაგან 26 სტროფი).

K. — 215 (XVII საუკ.), გაგრძელებათაგან გადარჩენილია შემდეგი სტროფები: 1873 — 1883, 1884 — 1918, 1920—1929. პლასტებთან შეჯერება არკვევს, რომ აქედან 21 სტროფი არ არის პირველი პლასტის შემცველ ხელნაწერებში, ე. ი. ხელნაწერი მისდევს გაგრძელებათა მეორე რედაქციას.

მზესათუნისეული ხელნაწერი W—17 (XVIII), იგი საკმაოდ დაზიანებულია ამ მონაკვეთში, მაგრამ მაინც შესაძლებელი ხდება მისი რედაქციული სახის დადგენა. თუ დაკარგულ ფურცლებს ან გვიანდელი ხელით აღდგენილ სტროფებს არ მივიღებთ მხედველობაში¹²⁰, ვნახავთ, რომ ხელნაწერი შეიცავს მეორე რედაქციას. ამასთან აღსანიშნავია, რომ იგი განსაკუთრებით ახლოს დგას H — 461 ხელნაწერთან. მაგალითად, აქაც არის მეორე პლასტთან შედარებით ორი ზედმეტი სტროფი 1990¹ („მიუხდა, ხმალი გარდაჰკრა...“) და 1990² („მიკვირს თუ რად არ გრცხვენია“), რომელიც მოთავსებულია H — 461-ში (აგრეთვე S — 4499-სა და K — 205-ში).

პარიზული ნუსხა P — 10 (1702 წ.), ამ ნაწილში იგი თითქმის ზუსტ იგივეობას ამჟღავნებს H — 54-თან. მაგალითად, „ხვარაზმელთა ამბავი“, ისევე როგორც H—54-ში, შეიცავს 159 სტროფს, ხოლო გმირთა გარდაცვალება და ანდერძები ასეა წარმოდგენილი: „ანდერძი ტარიელისა...“ შეიცავს 32 სტროფს, ე. ი. აქ H — 54 მსგავსად არ არის ზემოაღნიშნული სტროფები (2050 — 2056) და იგი მოთავსებულია

¹²⁰ „ხვარაზმელთა ამბავი“ ნაწილობრივ აღდგენილია მოგვიანო ხელით, როგორც ჩანს, აღდგენა უწარმოებიათ შედარებით მოკლე გაგრძელების მქონე ხელნაწერთა, რაც კიდევ უფრო ართულებს ამ ხელნაწერის ზუსტ რედაქციულ დახასიათებას.

ავთანდილის ანდერძში. „სიკვდილი ტარიელისა...“ განსხვავდება ერთ სტროფით. პარიზული ნუსხა ბოლოში ურთავს სტროფს: „ყოვლთა სწორად...“, რაც სხვა ნუსხებში რამდენჯერმე და სხვადასხვა ადგილას გვხვდება. ასევე სტროფი — „გასრულდა მათი ამბავი...“ — ამ ნუსხაში მისდევს ავთანდილის სიკვდილის თავს, ხოლო სხვებში ხშირად ბოლოშია მოთავსებული. პარიზული ნუსხა ურთავს ბოლოში ერთ ზედმეტ სტროფს, რომელიც H — 54-ში და საერთოდ მეორე პლასტში არ მოიპოვება — 2120¹ („შინა მოვიდა, შინ მოკვდა...“) და არის მხოლოდ რამდენიმე ხელნაწერში (მაგალითად, S — 4988, H — 2610, H — 461 და სხვ.).

ამდენად უმთავრესი მონაცემებით ხელნაწერში დაცულია გაგრძელებათა მეორე რედაქცია.

K — 383 (XVII საუკ.), გაგრძელებათაგან გადარჩენილია შემდეგი სტროფები: 1869 — 1883, 1884 — 1895, 1887, — 1909, 1945 — 1952, 1969 — 1984. შეჯერებამ გაარკვია, რომ ყველა ეს სტროფი შედის II პლასტში. სამაგიეროდ, ზოგი მათგანი არ მოიპოვება I პლასტში (მაგალითად, 1869, 1871, 1872 და სხვ.). ეს მიუთითებს, რომ აქ გვაქვს გაგრძელებათა მეორე რედაქცია.

Q — 483 (1856 წ.), ხელნაწერი წყდება „ტარიელის ანდერძის“ ბოლო სტროფზე (2063). შედარებამ გაარკვია, რომ იგი ზუსტად მისდევს გადარჩენილ მონაკვეთში ხელნაწერ H — 54-ს. „ხვარაზმელთა ამბავი“ აქაც 159 სტროფს შეიცავს, ხოლო „ანდერძი ტარიელისა...“ — 32 სტროფს. ე. ი. აქაც ზემოთ ნახსენები 7 სტროფი (2050 — 2056), H — 54-ის მსგავსად, ავთანდილის ანდერძში იქნებოდა მოთავსებული.

მაშასადამე, ყველა ნიშნით ხელნაწერი იცავს გაგრძელებათა მეორე რედაქციას.

H — 783 (1875 წ.), ეს ხელნაწერი გადაწერილია ვახტანგისეული გამოცემიდან და დართული აქვს გაგრძელებები. ხელნაწერი წყდება 2011-ე სტროფზე („ხვარაზმელთა ამბავი“). მაგრამ შესაძლებელია ხელნაწერის რედაქციული დახასიათება. პლასტებთან შეჯერებამ გამოარკვია, რომ იგი მისდევს გაგრძელებათა მეორე რედაქციის შემკველ ხელნაწერებს. არის მცირე გამონაკლისი. ხელნაწერში არ არის პირველი პლასტიდან 1884-ე სტროფი (შემთხვევითი დეფექტი უნდა იყოს)¹²¹ და 1919, 1967 სტროფები მეორე პლასტიდან (აქედან პირველი არ

¹²¹ხელნაწერში 1883 და 1884 სტროფი ერთგვაროვან რითმთა გამო შექანიკურად შერწყმულა. პირველი სტროფის პირველ-ორ სტრიქონს ერთეის მეორე სტროფის მესამე და მეოთხე სტრიქონი (იხ. ვარიანტების IV ტ.).

არის აგრეთვე მეორე პლასტის შემცველ ზოგ ხელნაწერშიც, მეორე კი შემთხვევით უნდა იყოს გამორჩენილი)¹²².

S — 2315 (XIX საუკ.), ხელნაწერი გადაწერილია ვახტანგისეული გამოცემიდან და დართული აქვს გაგრძელებანი. ხელნაწერი ბოლოში დაზიანებულია, წყდება 1969 სტროფზე („ხვარაზმელთა ამბავი“). შეჯერებით გამოირკვა, რომ ზუსტად მისდევს მეორე რედაქციას (არის მცირე გამონაკლისი, მაგალითად, Q — 1082, K — 215, და მეორე პლასტის კიდევ რამდენიმე ხელნაწერის მსგავსად არ მოეპოვება 1919-ე სტროფი იხ. წინა ხელნაწერის დახასიათება).

A — 1123 (1833 წ.), ხელნაწერი გადაწერილია ვახტანგისეული გამოცემიდან, დართული აქვს გაგრძელებები. უნდა ითქვას, რომ ეს ნაწილი ხელნაწერში საეკმაოდ აღრეულია, თუმცა ხერხდება მისი რედაქციული სახის გამორჩევა. ხელნაწერი ძირითადადში მისდევს გაგრძელებათა მეორე რედაქციის შემცველ ხელნაწერებს (განსაკუთრებით უახლოვდება S — 4499, K — 205, H — 2610 ხელნაწერებს). მაგალითად, აქ მეორე პლასტის ზემოთ მოიპოვება 1883¹ სტროფი („ხანი გამოხდა...“), რომელიც არის მხოლოდ ზოგ ხელნაწერში: S — 4499, A — 363, K — 205 და სხვ. H — 2610-ის მსგავსად, აქ არ არის 1886, 1919, 1940 და ა. შ. სტროფები, აღრეულობათა გამო ხელნაწერს აქვს სხვა თავისებურებანი, რომელთა შესახებ აქ ვერ შევჩერდებით (საერთოდ იგი ძალზე ახლოა მე-17 ს. ხელნაწერ A — 363-თან).

S—2525 (XIX საუკ.), ხელნაწერში გაგრძელებათაგან მოიპოვება სულ 42 სტროფი (1868 — 1959). შეჯერებით გაირკვა, რომ ზუსტად მიჰყვება მეორე რედაქციას (H — 2610, A — 1123 და ზოგი სხვა ხელნაწერის მსგავსად, აქაც არ არის 1886-ე სტროფი).

ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი C — 10768/191 (XIX საუკ.), ხელნაწერი წყდება 2076-ე სტროფზე („ავთანდილის ანდერძი“), მაგრამ კარგად ჩანს მისი რედაქციული სახე. იგი ძალზე ახლოსაა K — 54 ტიპის ხელნაწერებთან და მისდევს მათ. არის მცირე გამონაკლისი, ზოგი ხელნაწერის მსგავსად, აქ არ მოიპოვება 1919 და 1987 სტროფები (იხ. H — 599, H — 2610 და სხვ.). აქ საკვირაო აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული შეიდი სტროფი (2050 — 2056) ხელნაწერში იმავე ადგილას ივარაუდება, როგორც H — 54-ისა და მის მსგავს ხელნაწერებში.

ამდენად, აქ დაცულია გაგრძელებათა მეორე რედაქცია.

¹²² მართლაც, აქ. ზემოთ მოტანილი მაგალითის მსგავსად, შერწყმულია 1966 სტროფის პირველი, მეორე და 1967 სტროფის მესამე. მეოთხე სტრიქონები (რითმებიც შესაბამისად ნასწორებია).

A — 654 (1867 წ.), ხელნაწერი შეიცავს მხოლოდ გაგრძელებებს. შეჩერებით გაიკვია, რომ იგი ზუსტად მისდევს მეორე რედაქციას. ამასთან საჭიროა აღინიშნოს ზოგი თავისებურებაც. ა) მეორე პლასტთან შედარებით, აქ მეტია 2120¹ („შინა მოვიდა...“) და 2124¹ („დასრულდა ესე ამბავი მათ ხელმწიფეთა დიდისა...“); ბ) ზოგ ხელნაწერთა მსგავსად, აქ არ არის სტროფები 1886, 1923, 1987 (საინტერესოა, რომ ასეა H — 461-ში, H — 2610-ში და ზოგ სხვა ხელნაწერში)¹²⁸.

ი. გრიშაშვილის ხელნაწერი (1840 წ.), გადაწერილია ვახტანგისეული გამოცემიდან, დართული აქვს გაგრძელებები. ამ ნაწილს ჩვენამდე ოდნავ დეფექტურად მოუღწევია. ხელნაწერში არ არის 2025—2063, 2070 — 2078, 2110 — 2120 სტროფები. შეჩერებით ირკვევა, რომ ხელნაწერი შეიცავს გაგრძელებათა მეორე რედაქციას. საჭიროა აღინიშნოს ზოგი თავისებურება: ა) მეორე პლასტს ხელნაწერი ურთავს 1992¹ სტროფს, რომელიც, სხვათა შორის, მოიპოვება S — 1727 და H — 66 ხელნაწერებშიც; ბ) ზოგ ხელნაწერთა მსგავსად, აქაც არ არის შემდეგი სტროფები: 1886, 1906, 1923, 1940, 1942, 1959, 1990, 1992, და 2123 (რამდენიმე მათგანი შემთხვევით უნდა იყოს გამოტოვებული).

„ზაზასეული“ ნუსხა Q—1082 (1660 — 1665 წლები), როგორც აღვნიშნეთ, ეს ხელნაწერი ერთი შეხედვით გაგრძელებათა ფრიალ განსხვავებულ რედაქციას შეიცავს. მაგრამ მისი უფრო ახლოს გაეცნობა სხვა სურათს გვაძლევს. აქ განმეორებულია გაგრძელებათა იგივე პლასტები, რაც წინა ვრცელ ხელნაწერებში შეგვხვდა, მაგრამ ამასთან ეს პლასტი გაზრდილია ორი ახალი ანდერძით, რომლებიც თვით ხელნაწერის გადამწერს, ცნობილ პოეტსა და კალიგრაფს, იოსებ ტფილელს ეკუთვნის. რადგან ამ ხელნაწერის დაბოლოებამ გარკვეული გავლენა მოახდინა საკმაოდ ბევრ ხელნაწერებზე, ამიტომ ვიძლევიტ მის უფრო სრულ დახასიათებას და შედარების შედეგს ვრცელი დაბოლოების მქონე ტიპურ ხელნაწერთან H — 54 (მეორე რედაქცია).

„ზაზასეულში“ მოთავსებული „ხვარაზმელთა ამბავი“, მთლიანად მიჰყვება H — 54 ხელნაწერს. აქ არის მხოლოდ ერთი გამონაკლისი. „ზაზასეულში“ არ არის სტროფი: „კვლავა ჰკადრეს: თქვენ მორკმულნო...“ (1919), რომელიც არ უნდა იყოს შემთხვევითი დეფექტი. ჯერ

¹²⁸ 1923 სტროფი არის შედგენილი 1923 და 1924 სტროფების შერევის ხიდაგზე. ასეა ეს სტროფები წარმოდგენილი H—461 და H—2610 ხელნაწერებშიც (მდრ. ვარიანტების IV ტომში 1923, 1924, 1925 სტროფი. აქ აღრევის მიზეზი უნდა იყოს მსგავსი სიტყვებით დამთავრება (1924 სტრ)-დაწყება (1925 სტრ.) სტროფებისა (Bourdons-ის ერთ-ერთი სახეობა).

ერთი, იგი აშკარად ზედმეტია ამ ადგილას და შედარებით გვიანდელ ჩანართს ჰგავს. ამასთან, ბევრ ხელნაწერში და მათ შორის მოკლე ხელნაწერებში იგი არ მოიპოვება (მაგალითად, H — 599, S — 2829, Q — 261 და ა. შ.) მაშასადამე, „ხვარაზმელთა ამბავი“ თუ H — 54-ში შეიცავს 159 სტროფს, აქ იგი უდრის 158-ს.

რაც შეეხება გმირთა გარდაცვალების ამბებს, „ზაზასეული“ აქ ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე ემთხვევა H — 54 ხელნაწერს, როგორც სტროფული რაოდენობით, ისე — განლაგებითაც. მაგალითად, H — 54-ის მსგავსად, ზემოაღნიშნული 7 სტროფი: „უჩემოდ დაქნი... და სხვ. (2050—2056 სტრ.) „ზაზასეულშიც“ ავთანდილის ანდერძშია მოთავსებული. ე. ი. ამ მონაკვეთში ორივე ხელნაწერი გვაძლევს 75 სტროფს. მაგრამ ამასთან „ზაზასეული“ უმატებს კიდევ ორ ანდერძს: მესამესა და მეოთხეს („აქა კიდევ სხვა ანდერძი ტარიელისი...“ მისდევს ტარიელის პირველ ანდერძს და „აქა კიდევ სხვა ანდერძი ავთანდილის...“ მისდევს ავთანდილის პირველ ანდერძს), რომელთაგან პირველი შეიცავს 34 სტროფს, ხოლო მეორე 27 სტროფს და, როგორც აღვნიშნეთ, მათი ავტორია „ზაზასეულის“ გადამწერი იოსებ ტფილევი.

მაშასადამე, არსებითად „ზაზასეული“ ხელნაწერი გაგრძელებათა ნიხედვით წარმოადგენს მეორე რედაქციას, რომელსაც ემატება იოსებ ტფილელის ორი ანდერძი (61 სტროფი).

H — 757 (1671 წ.), ეს ხელნაწერი, რომელიც ბეჭდურადაცაა გამოქვეყნებული (1957 წ.), ბოლო მონაკვეთში კომპილაციურ ტექსტს შეიცავს. მისი ერთი ნაწილი მოდის მეორე რედაქციის მქონე ტიპიური ხელნაწერიდან (ე. ი. ახლოს დგას H — 54-თან), ხოლო მეორე ნაწილი — „ზაზასეული“ ნუსხიდან (სხვათა შორის, აქ უშუალო კონტაქტი ჩანს „ზაზასეულთან“, ხელნაწერში გადმოსულა „ზაზასეულის“ მინაწერ-ანდერძებიც.)

„ხვარაზმელთა ამბავი“ ხელნაწერში ისევეა წარმოდგენილი, როგორც H — 54-ში, ე. ი. შეიცავს 159 სტროფს.

რაც შეეხება გმირთა გარდაცვალებასა და ანდერძებს, იგი აქაც H — 54 მისდევს ავთანდილის ანდერძამდე, ე. ი. შეიცავს იმდენავე სტროფს, როგორც H — 54 ხელნაწერი (ოღონდ ერთი განსხვავებით, ზემოთ მოტანილი 7 სტროფი „უჩემოდ დაქნი...“ და სხვ. H — 757-ში წინ, ტარიელის ანდერძშია გადმოტანილი). ამის შემდეგ შეიმჩნევა ამ ორი ხელნაწერის (H — 54 და H — 757) განსხვავება. ავთანდილის ანდერძის შემდეგ H — 757 მთლიანად მისდევს „ზაზასეულს“ და ბოლომდე წარმოგვიდგენს კიდევ 48 სტროფს, ე. ი. „ზაზასეული“ ხელნაწერიდან მას აუღია „ავთანდილის მეორე“ ანდერძი (27 სტრო-

ფი) და თუ მას გამოვკლებთ, მაშინ ამ მონაკვეთშიც დავტრეხება იმდენივე სტროფი, რაც აქვს H — 54 ხელნაწერს (102—27=75).

მამასადამე, ხელნაწერი გვაძლევს ვაგარძელებათა მეორე რედაქციას და უმატებს მას იოსებ ტფილელის მეორე (ავთანდილის) ანდერძს.

S — 4499 (XVII საუკ.), ხელნაწერი წყდება 2078-ე სტროფზე (ავთანდილის ანდერძი); მაგრამ ვადაჩენილ მონაკვეთში ჩანს მისი რედაქციული სახე. ზემოაღნიშნულ ხელნაწერის მსგავსად, S—4499-ც კომპილაციურია ბოლოში. მაგალითად, იგი ძირითადად იცავს მეორე რედაქციას და ახლოს დგას სტროფული შედგენილობითა და თანამიმდევრობით H — 54-ის ტიპის ხელნაწერებთან. აქაც ავთანდილის ანდერძში გვხვდება 7 დამატებითი სტროფი (2050 — 2056) და ა. შ. ზოგი ხელნაწერის მსგავსად, აქ მოცემულ მეორე რედაქციას ერთვის რამდენიმე სტროფი: “ხანი გამობდა დაუწყე...” 1883¹ (იხ. ხელნაწერები K — 205, A — 363, A — 1123 და სხვ.), „მიუხდა ხმალი, გარდაჰკრა...” 1990¹ (იხ. ხელნაწერი H — 2610, H — 461, W — 17, K — 205 და სხვ.), „მიკვირს თუ რად არ გრცხვენია...” 1990² (იხ. ხელნაწერი H — 2610, H — 461, W — 17, K — 205 და სხვ.).

ამასთან, ხელნაწერი S — 4499 „ზაზასეული“ ხელნაწერიდან იღებს ტარიელის მეორე ანდერძს („აქა კიდევ სხვა ანდერძი ტარიელისი...“), რომელიც შეიცავს 34 სტროფს. მაგრამ იგი ამაზე არ ჩერდება. K — 205 ხელნაწერის მსგავსად, ტარიელის ორ ანდერძს აქ წინ უსწრებს მესამე ანდერძი, რომელიც ხელნაწერში ასეთი სათაურითაა: „აქა პირველი ანდერძი ტარიელისაგან თავის შეიღს თანა...” (2024¹⁻¹⁸). ეს ანდერძი, როგორც ზემოთაც ითქვა, საერთოდ ყველაზე გვიანდელ ჩანართად ჩანს და რიგით მეხუთეა. ჭერჭერობით იგი დასტურდება სულ რამდენიმე ხელნაწერში (S — 4499, K — 205. Q — 796)¹²⁴. როგორც აღვნიშნეთ, ხელნაწერები წყდება 2078-ე სტროფზე და ამიტომ, აქ აღარ ჩანს იოსებ ტფილელის მეორე ანდერძი და ა. შ.

თუ ყველაფერს ამას ვავითვალისწინებთ, მაშინ უნდა დავასკვნათ: S — 4499 ხელნაწერი ძირითადად შეიცავს მეორე რედაქციას და დამატებული აქვს ორი ანდერძი — ერთი ამ ხელნაწერისათვის სპეციფიკური 2024¹⁻¹⁸ და მეორე იოსებ ტფილელის პირველი ანდერძი. სხვა ანდერძები აღარ ჩანს ბოლოში ხარვეზის გამო.

¹²⁴ ჩანართი ანდერძი 2024¹⁻¹⁸S—4499-ში წარმოდგენილია 17 სტროფით. აკლია (ჩები აზრით, შემთხვევით) 20244 სტროფი — „სოფელი არვის დანდობს...“, ხოლო ეს სტროფები არის K—205 და სულ გვიანდელ Q—796 ხელნაწერშიც. ამ დეტალს ვარკვეული მნიშვნელობა აქვს ამ ხელნაწერთა ურთიერთობის დასადგენად.

K — 205 (XVII საუკ.), შესწავლამ გამოარკვია, რომ ამ ხელნაწერსაც აქვს თავისებური დასასრული. აქ არა მარტო ტფილელისეული ანდერძებია მოთავსებული, არამედ ის ანდერძიც, რომელიც ჩვენ ვნახეთ **S — 4499** ხელნაწერის აღწერის დროს, მაგრამ მიეყვეთ თანდათანობით.

„ხვარაზმელთა ამბავი“ წარმოდგენილია დაახლოებით ისევე, როგორც ეს **H — 54**-ის ტიპის ხელნაწერებშია (უმატებს მხოლოდ იმ სტროფებს, რომლებიც ჩვენ ვნახეთ **S — 4499**-ის შესწავლის დროს).

ამის შემდეგ **S — 4499**-ის მსგავსად, აქაც ტარიელის მესამე ანდერძია (**20241¹⁻¹⁸**) მოთავსებული, შემდეგ ტარიელის ცნობილ ანდერძს მისდევს იოსებ ტფილელის პირველი ანდერძი (**34** სტროფი) და ა. შ. ხელნაწერი ბოლოში დაზიანებულია, მაგრამ ჩანს, რომ აქ არის ზოგი ისეთი სტროფი, რომელიც არ არის მეორე რედაქციის მქონე ხელნაწერებში. მაგალითად, „კაცი მოჰკაზმეს გაგზავნეს...“ **2069¹** და „კაცი მივიდა ფრიდონსა...“ **2069²** (გამოირკვა, რომ ეს სტროფები, **K — 205**-ის გარდა, არის გვიანდელ ხელნაწერში **Q — 796**, რაც უკვე აშკარად მიუთითებს ამ უკანასკნელის წყაროზე, რომელიც **K — 205** უნდა იყოს, ხოლო **S — 4499** და **K — 205** ძალზე ახლო მყოფი პროტოგრაფიდან უნდა მომდინარეობდნენ).

თუ ამ სპეციფიკურ მომენტებს გამოვრიცხავთ, მაშინ ცხადია, რომ თავის ძირითად ნაწილში **K — 205** შეიცავს მეორე რედაქციას, რომელსაც ემატება ორი ახალი ანდერძი, შემდეგ კი ხელნაწერი დეფექტურია.

S — 5006 (XVIII საუკ.), აღნიშნულ მონაკვეთში ძალზე უახლოვდება „ზაზასეულ“ ნუსხას, თუმცა არის რამდენიმე სხვაობაც. მაგალითად, **1919** სტროფი („კვლავე ჰქადრე...“), რომელიც არ არის „ზაზასეულში“, გვაქვს ამ ხელნაწერში. თავის მხრივ **S — 5006**-ში, ჩემი აზრით, შემთხვევით გამორჩენილია **2019** სტროფი („წამოვიდეს მხიარულნი...“, სხვათა შორის, ეს სტროფი არ არის ერთ გვიანდელ ნუსხაშიც **A — 1123**). საინტერესოა, რომ ზემონახსენები **7** სტროფი „უჩემოდ დაჰნი...“ და სხვ. (**2050--2056**) ამ ხელნაწერში ორჯერაა მოთავსებული: ჯერ ტარიელის, ხოლო შემდეგ აეთანდილის ანდერძში.

სხვა მხრით, **S — 5006** მისდევს „ზაზასეულს“. აქაც მოთავსებულია იოსებ ტფილელის ორივე ანდერძი (სულ **61** სტროფი).

მაშასადამე, ჩვენ აქ გვაქვს გაგრძელებათა მეორე რედაქცია, რომელსაც დართული აქვს ორი ახალი ანდერძი.

H — 3061 (XVIII საუკ.), ეს ხელნაწერიც ძალზე ახლოს დგას „ზაზასეულ“ ნუსხასთან და თითქმის იმეორებს მას. არის ერთი გამო-

ნაკლისი, ხელნაწერში არ არის 1940-ე სტროფი („სოფელო, ვისთა სისხლთა სეამ...“)¹²⁵. საინტერესოა, აგრეთვე რომ H — 54-ისა და „ზაზასეულის“ მსგავსად ცნობილი შვიდი სტროფი (2050 — 2056) აქაც ავთანდილის ანდერძშია მოთავსებული.

„ზაზასეულის“ მსგავსად, ხელნაწერში მოთავსებულია იოსებ ტფილელის ორივე ანდერძი.

მაშასადამე, აქაც გვაქვს გაგრძელებათა მეორე რედაქცია, რომელიც გაზრდილია იოსებ ტფილელის ორი ანდერძით.

H — 1839 (XIX საუკ.), ირკვევა, რომ ეს ხელნაწერი „ხვარაზმელთა ამბავში“ ზუსტად იმეორებს H — 54, ე. ი. შეიცავს 159 სტროფს. რაც შეეხება ანდერძებს, აქ ასეთი ვითარებაა: 1. ანდერძი ტარიელისა შეიცავს 32 სტროფს, H — 54-ის მსგავსად. 2. ტფილელის პირველი ანდერძი (ტარიელისა) შეიცავს 34 სტროფს „ზაზასეულის“ მსგავსად. 3. სიკვდილი ტარიელისა შეიცავს 6 სტროფს, H—54-ის მსგავსად. 4. ანდერძი ავთანდილისა შეიცავს 15 სტროფს, ე. ი. H — 54-თან შედარებით რატომღაც აკლია 2051-ე სტროფი (ამასთან, H — 54-ის მსგავსად, აქ არის მოთავსებული ზემოთ ნახსენები 7 სტროფი — 2050 — 2056). 5. სხვა ანდერძი ავთანდილისა (იოსებ ტფილელისა) შეიცავს 27 სტროფს „ზაზასეულის“ მსგავსად. 6. სიკვდილი ავთანდილისა შეიცავს 6 სტროფს H—54-ის მსგავსად. 7. ფრიდონის მოსვლა და ტირილი შეიცავს 16 სტროფს „ზაზასეულის“ მსგავსად, ე. ი. აქ გვაქვს გაგრძელებათა მეორე რედაქცია, რომელიც გაზრდილია იოსებ ტფილელის ორი ანდერძით.

S — 4257 (XIX საუკ.), ზუსტად მიჰყვება მეორე რედაქციის მქონე ხელნაწერებს (H — 54), ოღონდ ხელნაწერში არ არის 1919-ე სტროფი — „კვლა ჰკადრეს...“ (როგორც მოკლე ხელნაწერებში) და 2051-ე სტროფი — „ჩემი გადახდა სიკვდილი...“ (შდრ. ზემოთ აღწერილი ხელნაწერი H — 1839).

ამასთან, ხელნაწერს ერთვის იოსებ ტფილელის პირველა (20631-³⁴ და მეორე ანდერძი (2079 — 2105). ასე, რომ აქ დატყულია გაგრძელებათა მეორე რედაქცია და დამატებულია იოსებ ტფილელისეული ანდერძები.

Q — 796 (XIX საუკ.), ხელნაწერში მეორე პლასტთან შედარებით მეტია 1883¹ სტროფი — „ხანი გამონდა...“ (იხ. ხელნაწერები

125 იხ. ხელნაწერები H—599, S—2829, H—260, Q—261, და სხვ., რომლებშიც აგრეთვე არ არის ეს სტროფი.

K — 205. S — 4499 და სხვ.), აგრეთვე 2069¹⁻² სტროფები (ეს სტროფები არის მარტო K — 205-ში, იხ. ზემოთ). არის სხვა თავისებურებებიც, მაგალითად, არ ჩანს ცნობილი 7 სტროფი „უჩემოდ დანკნი...“ (2050 — 2056) და ა. შ.

ხელნაწერი, მსგავსად S — 4499 და K — 205-ისა, ურთავს ყველაზე გვიანდელ, მეხუთე ანდერძს (2024¹⁻¹⁸ სტროფები) და ტფილელის ანდერძებს.

მაშასადამე, აქ გვაქვს გაგრძელებათა მეორე რედაქცია, რომელსაც ერთვის სამი ახალი ანდერძი.

ვ. ასლანიშვილის ხელნაწერი (1860 წ.). იგი მისდევს მეორე რედაქციის მქონე ხელნაწერებს (ოღონდ აქ არ არის 1919 სტროფი, მოკლე ხელნაწერთა მსგავსად), ამასთან ურთავს იოსებ ტფილელის ორივე ანდერძს (2063¹⁻³⁴ და 2079—2105 სტროფები).

ამრიგად, აქ დაცულია გაგრძელებათა მეორე რედაქცია, რომელიც გაზრდილია იოსებ ტფილელის ანდერძებით.

ლენინგრადის ხელნაწერი M—48 (1823 წ.), ხელნაწერის შუა მონაკვეთი ვახტანგის გამოცემის პირია, ხოლო გაგრძელებანი ზუსტად მოჰყვება მეორე რედაქციას, თუმცა აქაც არის მცირე გამონაკლისი. მაგალითად, ზოგი ხელნაწერის მსგავსად, იქაც არ არის 1919-ე სტროფი. ამასთან, ამ ხელნაწერში არის ერთი სტროფი, რომელიც სხვა ხელნაწერში არ დასტურდება: „დიდება შენდა დიდება...“ 2126¹ (იხ. ს. ყუბანეიშვილის წიგნი „ვეფხისტყაოსნის შედგენილობა“, გვ. 323).

ხელნაწერი ურთავს იოსებ ტფილელის ორივე ანდერძსაც. ამგვარად, აქ გვაქვს გაგრძელებათა მეორე რედაქცია, რომელსაც ერთვის იოსებ ტფილელისეული ანდერძები.

S — 5207 (XIX საუკ.), ხელნაწერში გადარჩენილია გაგრძელებათა შემცველი თავები. თუმცა ზოგ ადგილას აქაც არის ხარვეზი (მაგალითად, არ არის 1988 — 1996 სტროფები და ხელნაწერი წყდება 2118-ე სტროფზე). შეინიშნება, რომ ხელნაწერი მთლიანად მისდევს მეორე რედაქციას (არ არის მხოლოდ 2022-ე სტროფი — „ავსნა მისაცემლითა...“)¹²⁶ და ამასთან ურთავს იოსებ ტფილელისეულ ორივე ანდერძს.

მაშასადამე, აქაც დაცულია გაგრძელებათა მეორე რედაქცია, ოღონდ გაზრდილია ტფილელისეული ორი ანდერძით.

126 შდრ. ხელნაწერს A — 654; ორივეჯან 2021 და 2022 სტროფები ერთ სტროფადა შერწყმული (იხ. ვარიანტების IV ტომი).

ახლად გამოვლენილ ნუსხათა შორის დასასრულით პირველი რედაქციის ხელნაწერებში ზემოთ განვიხილეთ Q — 1075, ხოლო ქვემოთ საუბარია ასევე ახლადგამოვლენილ, მაგრამ მეორე რედაქციის მქონე ნუსხებზე.

Q — 1385 (XIX), ხელნაწერი ამ მონაკვეთშიც ინარჩუნებს იმავე წყაროდან მომდინარე ტექსტს (იხ. ზემოთ ხელნაწერის პროლოგისა და პოემის შუა მონაკვეთის დახასიათება). იგი პოემის დასასრულით იდენტურია ბეგთაბეგისეული, ანუ H — 54 ნუსხისა (1680 წ.), ამდენად, აქ წარმოდგენილია გაგრძელებათა მეორე რედაქცია.

H — 422 (XIX საუკ.), ხელნაწერის მხოლოდ დასასრულმა მოაღწია (იწყება „ხვარაზმელთა ამბების“ მომდევნო თავიდან). შესწავლით გაირკვა, რომ აქ დაცულია პოემის გაგრძელებათა მეორე რედაქცია, რომელსაც ერთვის იოსებ ტფილელის ანდერძები.

Q — 270 (1820 წ.), ე. წ. „უარაბალული ხელნაწერი“ — აგრეთვე კომპილაციური ტიპის ნუსხაა. როგორც ვნახეთ, პროლოგი და პოემის შუა მონაკვეთი ვახტანგისეული გამოცემიდან მომდინარეობს, ხოლო გაგრძელებებით იგი ძირითადად ახლოსაა მეორე რედაქციის მქონე ნუსხებთან (H — 54, H — 2074), ოღონდ ბოლოში ხელნაწერი ხელოვნურად უნდა იყოს შემოკლებული (სავარაუდოა დედნის ხარვეზიანობაც). ამით იგი ერთგვარად უახლოვდება ხელნაწერს A — 1123, გრაშაშვილის კოლექციის ნუსხას, თუმცა თარიღით (იხ. გადამწერის ანდერძი) იგი წინ უსწრებს აღნიშნულ ნუსხებს, რაც ამ ხელნაწერთა ერთმანეთისაგან დამოკიდებულების გასარკვევად მნიშვნელოვანია.

Q — 768 (XIX საუკ.), ხელნაწერი თავიდან მისდევს ვახტანგისეულ რედაქციას თვით „ინდო-ხატაელთა ამბის“ ჩათვლით, რომელიც 1712 წ. გამოცემაში მოკლე ვარიანტითაა წარმოდგენილი. ხოლო ამის შემდეგ ხელნაწერი კვლავ უბრუნდება „ინდო-ხატაელთა ამბავს“ (ამჟერად ვრცლად) და შემდეგ გვაძლევს პოემის ჩვეულებრივ გაგრძელებებს, რომელთა შესწავლით გაირკვა, რომ აქ წარმოდგენილია გაგრძელებათა მეორე რედაქცია (თუმცა ბოლო თავები ძალზე დაზიანებული დედნიდან უნდა მოდიოდეს).

ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერი (XIX საუკ.) ხელნაწერი ასევე შერეული ტიპისაა. თავიდან იცავს ვახტანგისეული რედაქციის ტექსტს, ხოლო შემდეგ კი — ვრცელ რედაქციას (ამ მო-

ნაკვეთიდან სულ გადარჩენილია 3 ფურცელი): რის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ აქ წარმოდგენილია პოემის გაგრძელებათა მეორე რედაქცია.

დ) შედგენილობის მიხედვით ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა კლასიფიკაციისათვის

(ზოგადი დასკვნები)¹²⁷

- A — (H — 757, გადაწ. 1671 წ.) — მეორე ტიპის პროლოგი, პოემის შუა მონაკვეთით მესამე რედაქცია (ჩანართების ა, ბ, გ, პლასტები, ამასთან ურთავს კიდევ 28 ახალ ჩანართს), დასასრულის მიხედვით მეორე რედაქცია, ერთვის იოსებ ტფილელისეული მეორე ანდერძი.
- B — (H — 54, გადაწ. 1680 წ.) — მეორე ტიპის პროლოგი, პოემის შუა მონაკვეთით მესამე რედაქცია (ჩანართების ა, ბ, გ პლასტები), დასასრულის მიხედვით მეორე რედაქცია.
- C — (H — 2074, გადაწ. მე-17 საუკ.) — მეორე ტიპის პროლოგი, პოემის შუა მონაკვეთით მესამე რედაქცია (ა, ბ, გ ჩანართი პლასტები), დასასრულის მიხედვით მეორე რედაქცია.
- D — (Q — 1082, გადაწ. 1660-იან წლებში) — მესამე ტიპის პროლოგი, პოემის შუა მონაკვეთით მეორე რედაქცია (ჩანართების ა და ბ პლასტები), დასასრულის მიხედვით მეორე რედაქცია, რომელსაც ერთვის იოსებ ტფილელისეული ორივე ანდერძი.
- E — (H — 599, გადაწ. 1646 წ.) — პირველი ტიპის პროლოგი, პოემის შუა მონაკვეთით პირველი რედაქცია (ჩანართების მხოლოდ ა პლასტი), დასასრულის მიხედვით პირველი რედაქცია.
- F — (S — 2829, გადაწ. 1688 წ.) — პირველი ტიპის პროლოგი, პოემის შუა მონაკვეთით პირველი რედაქცია (ჩანართების მხოლოდ ა პლასტი), დასასრულის მიხედვით პირველი რედაქცია.
- G — (S — 4988, გადაწ. მე-17 საუკ. ბოლოს) — მესამე ტიპის პროლოგი, პოემის შუა მონაკვეთით მეორე რედაქცია (ჩანართების ა და ბ პლასტები), დასასრულის მიხედვით მეორე რედაქცია.

¹²⁷ ლიტერები აღებულია ვეფხისტყაოსნის ვარიანტების გამოცემიდან, ხოლო ხელნაწერები, რომელთაც ლიტერები არ მოეპოვებათ, მანამდე ამ თვალსაზრისით არ იყვნენ შესწავლილი, ან ახლად არიან გამოცემილი. ასეთი ხელნაწერები ნუსხის ბოლოში არიან წარმოდგენილი იმ არქივებზე მითითებით, სადაც ინახება ამჟამად ეს ნუსხები.

- H — (H — 2610, გადაწ. მე-17 საუკ. ბოლოს) — პროლოგი მესამე ტიპისა; *128 პოემის შუა მონაკვეთით მეორე რედაქცია (ჩანართების ა და ბ პლასტები), დასასრულის მიხედვით მეორე რედაქცია.
- I — (Q — 261, გადაწ. მე-17 საუკ. ბოლოს) — მეორე ტიპის პროლოგი, პოემის შუა მონაკვეთით პირველი რედაქცია (ჩანართების მხოლოდ ა პლასტი), დასასრულის მიხედვით პირველი რედაქცია.
- J — (H — 461, გადაწ. მე-17 საუკ. ბოლოს). — მეორე ტიპის პროლოგი, პოემის შუა მონაკვეთით მეოთხე რედაქცია (ჩანართების ა და დ პლასტები), დასასრულის მიხედვით მეორე რედაქცია.
- K — (S — 4499, გადაწ. მე-17 საუკ. ბოლოს) — მეორე ტიპის პროლოგი, პოემის შუა მონაკვეთით მეოთხე რედაქცია (ჩანართების ა და დ პლასტი). დასასრულის მიხედვით მეორე რედაქცია, რომელსაც ერთვის, იოსებ ტფილელის შეთხზული ანდერძის გარდა, ყველაზე ახალი, მეხუთე ანდერძი.
- L — (A — 363, გადაწ. მე-17 საუკ.) — პროლოგი მესამე ტიპისა; პოემის შუა მონაკვეთის მიხედვით მეორე რედაქცია (ჩანართების ა და ბ პლასტი), დასასრულის მიხედვით მეორე რედაქცია.
- M — (Q — 799, გადაწ. მე-17 საუკ.) — პროლოგი მეორე ტიპისა*: პოემის შუა მონაკვეთით მესამე რედაქცია (ჩანართების ა, ბ და გ პლასტები), ბოლო თავები დაზიანებული აქვს.
- N — (S — 3077, გადაწ. მე-17 საუკ.) — პროლოგი პირველი ტიპისა*; შუა მონაკვეთით პირველი რედაქცია (ჩანართების ა პლასტი), დასასრულის მიხედვით მეორე რედაქცია.
- O — (K — 205, გადაწ. მე-17 საუკ. ბოლოს) — მეორე ტიპის პროლოგი, შუა მონაკვეთით მეოთხე რედაქცია (ჩანართების ა და დ პლასტები), დასასრულის მიხედვით მეორე რედაქცია, რომელსაც დართული აქვს, იოსებ ტფილელისეული ანდერძის გარდა, ახალი, მეხუთე ანდერძი.
- P — (S — 1418, გადაწ. მე-17 საუკ.) — გადარჩენილია მხოლოდ 86 სტროფი, არ ჩანს ხელნაწერის შედგენილობის რედაქციული სახე.

128 ვარსკვლავით აღინიშნება ხელნაწერთა დაზიანების გამო ვარაუდით აღდგენილი ტექსტის ესა თუ ის მონაკვეთი.

- Q — (K — 215, გადაწ. მე-17 საუკ. ბოლოს) — პროლოგი მესამე ტიპისა*. პოემის შუა მონაკვეთით მეორე რედაქცია (ჩანართების ა და ბ პლასტი), დასასრულის მიხედვით მეორე რედაქცია.
- R — (Q — 930, გადაწ. მე-17 საუკ. მეორე ნახევარი) — პროლოგი მეორე ტიპისა, პოემის შუა მონაკვეთით პირველი რედაქცია (არის მხოლოდ ჩანართების ა პლასტი), დასასრულის მიხედვით პირველი რედაქცია.
- S — (H — 3249, გადაწ. მე-17 საუკ.) — გადარჩენილია მხოლოდ რვა სტროფი, არ ჩანს შედგენილობის რედაქციული სახე.
- T — (W — 17, მზეხათუნისეული ნუსხა, გადაწ. მე-18 საუკ.) — პროლოგი დაზიანებულია (აღდგენილია ვახტანგისეული გამოცემით), უნდა ჰქონოდა პროლოგი მეორე ტიპისა, პოემის შუა მონაკვეთით მეოთხე რედაქცია (ჩანართების ა და ლ პლასტი), დასასრულის მიხედვით მეორე რედაქცია.
- U — (S — 5006, გადაწ. მე-18 საუკ.) — მესამე ტიპის პროლოგი, პოემის შუა მონაკვეთით მეორე რედაქცია (ა და ბ ჩანართი პლასტებით), ხელნაწერის ერთი ნაწილი მოდის ვახტანგისეულ გამოცემიდან, დასასრულის მიხედვით მეორე რედაქცია, რომელსაც დართული აქვს იოსებ ტფილელისეული ანდერძები.
- V — (H — 3061, გადაწ. მე-18 საუკ.) — პროლოგი გადმოწერილია ვახტანგისეული გამოცემიდან, უნდა ჰქონოდა პროლოგი მესამე ტიპისა. პოემის შუა მონაკვეთში ხელნაწერი იცავს მეორე რედაქციას (ა და ბ ჩანართი პლასტები), დასასრულის მიხედვით მეორე რედაქცია, რომელსაც ერთვის ტფილელისეული ანდერძები.
- X — (P — 10, პარიზული ნუსხა, გადაწ. 1702 წ.) — მეორე ტიპის პროლოგი, პოემის შუა მონაკვეთის მიხედვით მესამე რედაქცია (ჩანართების ა, ბ, გ პლასტი), დასასრულის მიხედვით მეორე რედაქცია.
- Y — (H — 740, გადაწ. მე-17 საუკ.) — პროლოგი პირველი ტიპისა. პოემის შუა მონაკვეთით პირველი რედაქცია (ჩანართების ა პლასტი), დასასრული დაზიანებულია.
- Z — (W — 27, თარხან-მოურავისეული ნუსხა, გადაწ. მე-17 საუკ.) — პროლოგი პირველი ტიპისა, პოემის შუა მონაკვეთით პირველი რედაქცია (ჩანართების მხოლოდ ა პლასტი), დასასრულის მიხედვით პირველი რედაქცია.
- A¹ — (K — 383, გადაწ. მე-18 საუკ.) — პროლოგი პირველი ტიპისა*. პოემის შუა მონაკვეთით პირველი რედაქცია (ჩანართების მხოლოდ ა პლასტი), დასასრულის მიხედვით მეორე რედაქცია.

- C — (S — 1675/ა. გადაწ. მე-17 საუკ.) — პოემის შუა მონაკვეთიდან გადარჩენილია სულ 16 სტროფი, არ ჩანს ზუსტად ხელნაწერის შედგენილობის რედაქციული სახე.
- D¹ — (H — 1839, გადაწ. მე-19 საუკ.) — პროლოგი მეორე ტიპისა, პოემის შუა მონაკვეთით მესამე რედაქცია (ა, ბ და გ ჩანართი პლასტები), დასასრულის მიხედვით მეორე რედაქცია, რომელსაც ერთვის იოსებ ტფილელის ორივე ანდერძი.
- E¹ — (Q — 483, გადაწ. 1856 წ.) — მეორე ტიპის პროლოგი, პოემის შუა მონაკვეთით მესამე რედაქცია (ჩანართების ა, ბ და გ პლასტები), დასასრულის მიხედვით მეორე რედაქცია.
- F¹ — (S — 4527, გადაწ. 1805 წ.) — მესამე ტიპის პროლოგი, პოემის შუა მონაკვეთით მეორე რედაქცია (ჩანართების ა, ბ პლასტები, დასასრულის მიხედვით მეორე რედაქცია, რომელსაც ერთვის იოსებ ტფილელის ანდერძები.
- G¹ — (Q — 796, გადაწ. მე-19 საუკ.) — მეორე ტიპის პროლოგი, პოემის შუა მონაკვეთით მეოთხე რედაქცია (ჩანართების ა და დ პლასტები), დასასრულის მიხედვით მეორე რედაქცია, რომელსაც ერთვის ტფილელისეული ანდერძი და ახალი, მეხუთე ანდერძი.
- H¹ — (S — 1727, გადაწ. 1825 წ.) — საინტერესოა ხელნაწერის მხოლოდ დასასრული (წინა თავები მოდის ვახტანგისეული გამოცემიდან), დასასრული პირველი რედაქციისა.
- I¹ — (H — 412, გადაწ. მე-19 საუკ.) — პროლოგი მესამე ტიპისა*, პოემის შუა მონაკვეთით მეორე რედაქცია (ა და ბ ჩანართი პლასტები), დასასრული დაზიანებულია.
- J¹ — (H — 783, გადაწ. 1857 წ.) — საინტერესოა მხოლოდ დასასრულით (წინა თავები გადმოწერილია ვახტანგისეული გამოცემიდან), დასასრული შეიცავს მეორე რედაქციას.
- K¹ — (S — 2315, გადაწ. მე-19 საუკ.) — საინტერესოა მხოლოდ დასასრულით (წინა თავები მოდის ვახტანგისეული გამოცემიდან), დასასრული მეორე რედაქციისაა.
- L¹ — (ვ. ასლანიშვილის კოლექციის ნუსხა, გადაწ. 1860 წ.)¹²⁹ — მესამე ტიპის პროლოგი, პოემის შუა მონაკვეთით მეორე რედაქცია (ჩანართების ა და ბ პლასტი), პოემის დასასრულის მიხედვით მეორე რედაქცია. რომელსაც დართული აქვს ტფილელისეული ანდერძები.

¹²⁹ ხელნაწერი ამჟამად ინახება საქართვე. მეცნ. აკადემიის ბიბლიოთეკაში:

- №1 — (A — 1123, გადაწ. 1833 წ.) — საინტერესოა მხოლოდ დასასრულით (წინა თავები მოდის ვახტანგისეული გამოცემიდან), დასასრული მეორე რედაქციისა.
- №1 — (H — 66, გადაწ. 1832 წ.) — საინტერესოა მხოლოდ დასასრულით (წინა თავები მოდის ვახტანგისეული გამოცემიდან), დასასრული პირველი რედაქციისა.
- №1 — (Q — 799, გადაწ. მე-18 საუკ.) — პროლოგი მესამე ტომისა, პოემის შუა მონაკვეთის პირველი ნაწილი (311-ე სტროფამდე) შეიცავს მეორე რედაქციას (ამის შემდეგ ხელნაწერი მოდის ვახტანგისეული გამოცემიდან).
- №1 — (S — 2525, გადაწ. მე-19 საუკ.) — შეიცავს მხოლოდ პოემის დასასრულს, იგი მეორე რედაქციას მისდევს.
- №1 — (C — 10768/191, გადაწ. მე-19 საუკ.) — მესამე ტომის პროლოგი, პოემის შუა მონაკვეთით მეორე რედაქცია (ჩანართების ა და ბ პლასტი), დასასრულით მეორე რედაქცია.
- №1 — (D — 12904/190, გადაწ. 1802 წ.) — მესამე ტომის პროლოგი, პოემის შუა მონაკვეთის პირველი რედაქცია. ხელნაწერს არ ახლავს გაგრძელებები (საერთოდ ხელნაწერზე შეინიშნება ვახტანგისეული გამოცემის გავლენაც).
- №1 — (M — 48, გადაწ. 1823 წ.) — საინტერესოა მხოლოდ დასასრულით (წინა თავები მოდის ვახტანგისეული გამოცემიდან), დასასრული მეორე რედაქციისა, ამასთან ერთვის იოსებ ტფილელისეული ანდერძებიც.
- №1 — (A — 654, გადაწ. 1867 წ.) — შეიცავს მხოლოდ პოემის გაგრძელებებს. დასასრული მეორე რედაქციისაა.
- №1 — (ი. გრიშაშვილის კოლექციიდან, გადაწ. 1840 წ.) — საინტერესოა მხოლოდ გაგრძელებებით (წინა თავები მოდის ვახტანგისეული გამოცემიდან), შეიცავს დასასრულის მეორე რედაქციას.
- №1 — (S — 5207, გადაწ. მე-19 საუკ.) — საინტერესოა მხოლოდ დასასრული. შეიცავს მეორე რედაქციას, რომელსაც დართული აქვს იოსებ ტფილელის ანდერძები.
- №1 — 1075 (XIX ს.) — პროლოგი პირველი ტომისა, პოემის შუა მონაკვეთი შეიცავს პირველ რედაქციას (ჩანართი ა პლასტი): დასასრულით პირველი რედაქციაა.
- №1 — 1335 (XIX საუკ.) — პროლოგი მეორე ტომისა, პოემის შუა მონაკვეთი მესამე რედაქციისა (ჩანართი ა, ბ და გ პლასტები), დასასრულით მეორე რედაქციაა.
- №1 — 422 (XIX ს.) — გადარჩენილია პოემის მხოლოდ დასასრული. რომელიც მეორე რედაქციისაა.

Q — 279 (1826 წ.), ე. წ. ყარაბაღული ხელნაწერი — პროლოგი და პოემის შუა მონაკვეთი მომდინარეობს ვახტანგისეული რედაქციიდან. დასასრულით მეორე რედაქციაა.

Q — 768 (XIX ს.) — პროლოგი და პოემის შუა მონაკვეთი მომდინარეობს ვახტანგისეული რედაქციიდან. დასასრულით მეორე რედაქციაა.

ბორჯომის მხარეთმც. მუზეუმის ხელნაწერი — აქაც იგივე ვითარებაა. პროლოგი და პოემის შუა მონაკვეთი ვახტანგისეული რედაქციიდან მომდინარეობს, ხოლო დასასრული მეორე რედაქციისაა.

ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, ტექსტის აღდგენის ძირითადი საკითხები

დასკვნები, რომლებიც მივიღეთ ვეფხისტყაოსნის ცალკეული ნაწილების (პროლოგი, პოემის შუა მონაკვეთი, გაგრძელებები) შესწავლისა და კლასიფიკაციის შედეგად, რასაკვირველია, კვლევის მხოლოდ პირველი და აუცილებელი ეტაპია. ამის შემდეგ არის შესაძლებელი მიღებულ მონაცემთა შეერთება, სინთეზირება და გარკვეული დასკვნების გამოტანა. ეს მოგვეცემს საშუალებას აღვადგინოთ, რასაკვირველია, შესაძლებლობის ფარგლებში, პოემის ტექსტის განვითარების, პირველ რიგში, შედგენილობის ძირითადი ეტაპები. ამის შემდეგ კი საჭიროა მოვიშველიოთ სხვა კომპონენტები, კერძოდ. ცალკეული ტექსტების „მსგავსი“ და „განსხვავებული“ წაკითხვების ანალიზი, სტილისტური ერთიანობა თუ დაშორება და ა. შ.

წინასწარ საჭიროა შევნიშნოთ შემდეგიც. შედგენილობის მიხედვით ტექსტების რედაქციულ ჯგუფებად დაყოფის დროს სიმძიმის ცენტრი პოემის შუა მონაკვეთზე უნდა იქნას გადატანილი, რადგან ჩატარებულმა კვლევა-ძიებამ გვიჩვენა, რომ ეს არის ყველაზე სტაბილური მონაკვეთი და შემთხვევითი დეფექტებისაგან შედარებით თავისუფალია. ამავე დროს, ეს გამართლებულია პრაქტიკული მოსაზრებითაც. იგი ყველაზე მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო მონაკვეთია პოემის ტექსტის თვალსაზრისით: ვეფხისტყაოსნის ძირითადი ტექსტის აღდგენა სწორედ მის ფარგლებშია შესაძლებელი¹, ხოლო პოემის

¹ რომ არა დაზიანებათა დიდი ხვედრითი წონა და ამჟამად შემთხვევითი დეფექტები პროლოგსაც ისევე მნიშვნელოვანი როლი მიენიჭებოდა, როგორც ვეფხისტყაოსნის განუშორებელ ნაწილს (ამაზე იხ. ზემოთ), თუმცა ისევე და ისევე შუა მონაკვეთის რედაქციულ დახასიათებასთან კავშირში აქაც შესაძლებელი ხდება აღნიშნულ დეფექტთა თუ გადამწერ-რედაქტორთა შეგნებულ ტექსტუალურ ოპერაციათა მიზეზების ამოცნობა, რაც უპიკველად აესებს და აძლიერებს ჩვენ წარმოდგენას პოემის ტექსტის ისტორიის საერთო საკითხებზე.

ე. წ. გაგრძელებათა ავთენტიკურობის საკითხი კვლევის ამ ეტაპზე ექვს აღარ უნდა იწვევდეს და მათი-მონაცემები მაინც მხოლოდ დამხმარე საშუალებათა რიგს განეკუთვნება.

პოემის შუა მონაკვეთის მიხედვით, ამჟამად ჩვენ ხელთ არსებულ ხელნაწერთა შორის პირველი რედაქცია დაუთავს 11 ხელნაწერს. ესენია: E (H — 599), F (S — 2829), I (Q — 261), N (S — 3077), R (Q — 930), X (P — 10), Y (H — 740), Z (W — 27), A¹ (K — 333), R¹ (D — 12904/190) და ახლადგამოვლენილი ხელნაწერი Q—1076. აქედან აშკარად ექვს იწვევს ხელნაწერი X (P—10), რადგან იგი როგორც პოემის შუა მონაკვეთის შედგენილობით, ისე პროლოგითაც, როგორც ენახეთ, აშკარა გადახვევებს გვიჩვენებს (სხვათა შორის ამასვე უძერს მხარს ხელნაწერის წაკითხვათა ძირითადი იერი, რაზეც ქვემოთაც გვექნება საუბარი). რაც სპეციალური ანალიზის საგანია². ასევე ხელნაწერი R¹ (D — 12904/130), რომელიც უთუოდ კომპილაციურია და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, ვახტანგისეული გამოცემის უმეტეს გავლენას განიცდის. ყველა ნიშნით იგი მისი გადამწერ-რედაქტორის ბირთველ თუმანიშვილის (გადაწერია 1802 წელს), მიერ ვახტანგის გამოცემის ხელნაწერებთან შეჯერების თავისებური ნაყოფი უნდა იყოს³.

მაშასადამე, განხილვის საგნად რჩება დანარჩენი 9 ხელნაწერი. ერთი რამ ამთავითვე ცხადია. როგორც ზემოთ ენახეთ, პოემის შუა მონაკვეთით ყველა ეს ხელნაწერი ახლოსაა ერთმანეთთან და თუ ამ ხელნაწერთა მცირეოდენ გადახვევას გამოვრიცხავთ⁴, მაშინ ნათელი ხდება, რომ მათ საერთო პროტოგრაფი მოეპოვებათ, რომელსაც ამჟამად რუსთველურად აღარებულ ტექსტთან შედარებით აკლდა რიგი სტროფებისა⁵, ხოლო ახლდა დამატებითი სტროფები ა კლასტიდან⁶.

2 ხელნაწერის დახასიათება ამ თველსაზრ-სით იხ. ქვემოთ.

3 ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ აქ პოემა ყოველგვარი დეფექტის გარეშე. ინდო-ხატაელთა ამბით მთავრდება. რაც ერთადერთი შემთხვევაა ხელნაწერთა მთელ შემკვიდრობაში.

4 ე. ი. როცა ამა თუ იმ ხელნაწერს ერთიან რამდენიმე სტროფი სხვა წყაროდან შეჰოაქვს, ან გადამწერი თვით ურთავს საკუთარ შეთხზულს (მაგ., S—2829 ხელნაწერის მაგალითზე ენახეთ. რომ ვადაშურს შემოუტანია ხალხური „ტარიელიანის“ ერთი სტროფი ცნობილი ეპიზოდთან: „ათანდილ ვაღინადირა“ და ა. შ.).

5 მათი ნუსხა მოცემულია ზემოთ ცალკეულ ხელნაწერთა დახასიათების წინ.

6 იქვე.

ერთი შეხედვით, თითქოს ამას არ ეთანხმება ამავე ხელნაწერთა პროლოგის მონაცემები. ამ ხელნაწერთაგან ჩვენამდე შედარებით დუნჯიანებლად მოაღწია ოთხმა, რომლებშიც ასეთი ვითარებაა:

1. ხელნაწერი E (H — 599) — პროლოგს აქ აკლია პირველი სტროფები, კერძოდ, საიუბილეო გამოცემის 1 — 8 სტროფი და იწყება ცნობილი მეცხრე სტროფით: „ესე ამბავი სპარსული“, თანაც ისე, რომ ხელნაწერის პირველ გვერდებზე დეფექტი არ შეიმჩნევა⁷. საგულისხმოა ხელნაწერში მოთავსებული პროლოგის თანამიმდევრობა, რომელიც ემთხვევა ვრცელ ხელნაწერებს (H — 757, H — 54, H — 2074) და, როგორც აღვნიშნეთ, აშკარად ავთენტიკურია (შედარებით „ზაზასეულსა“ და ვახტანგის ტექსტთან).

2. ხელნაწერი F (S — 2829) — აქაც პროლოგი თავნაკლულია. ოღონდ თავში დამატებული აქვს ორი სტროფი: „პირველ თავი დასაწყისი ნათქვამია იგ სპარსულად...“ (I) და „რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...“ (I). ასევე ამ ხელნაწერის პირველ ფურცლებზე არ შეიმჩნევა დეფექტი და ეს ვითარება უშუალოდ პირველწყაროდან უნდა მომდინარეობდეს. ზემოთ აღწერილი ხელნაწერის მსგავსად აქაც პროლოგის თანამიმდევრობა პირვანდელია.

3. ხელნაწერი R (Q — 930) — აქ უკვე სხვა ვითარებაა, მაგრამ ჯერ საჭიროა მცირე ექსკურსი. ამ ხელნაწერის პროლოგი და საერთოდ პირველი ფურცლები დაკარგულია და ახლახან ჩატარებული რესტავრაციის შემდგომაც⁸ ხელნაწერი ტექსტი იწყება პოემის ვრცელი გამოცემის 43-ე სტროფით („აწყა დავიწყით ამბავი...“). მაგრამ უკანასკნელ ხანებში საშუალება მოგვეცა აღგვედგინა ხელნაწერის პროლოგის თავდაპირველი სახე. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებზე არსებული ლიტერატურისა და ძველი (კერძოდ, მე-19 საუკუნის მოღვაწეთა) ცნობების შესწავლის დროს ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა წერილმა, რომელიც ეკუთვნის ცნობილ მოღვაწესა და მეცნიერს, ეპისკოპოს კირიონს (საძაგლიშვილს), და 1904 წელსაა გამოქვეყნებული⁹. წერილში აღწერილია ერთი ხელნაწერი, რომელიც მას დაახლოებით 1894 წლისათვის რამდენიმე დღით ჰქონია ხელთ, ხოლო შემდეგ წაუღია პატრონს და მისი კვალიც დაჰკარგვია. ეს ხელნაწერი, რომელიც აღწერილობის მიხედვით ძალზე საინტერესო ჩანდა კირიონისეული

7 ამას მოწმობს ხელნაწერის ერთი მინიატურაც, სადაც რუსთველის კარნახით მდივან-მწიგნობარი იწყებს პოემის წერას შემდეგი სიტყვებით: „ესე ამბავი სპარსული...“. შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ხელნაწერის უშუალო ღებანიც ამავე სტროფით იწყებოდა.

8 რესტავრაცია გაუეთქეს ხელნაწერთა ინსტიტუტში, რის შედეგად აღდგა მრავალი დაზიანებული ჟურცელი.

9 ვეფხისტყაოსნის შესამოწმებელი მასალა, ეურნ. „მოამბე“, 1904, V, გვ. 20—39.

ნუსხის სახელით იყო ცნობილი და უკანასკნელ ხანამდე დაკარგულად ითვლებოდა. კირიონის მონაცემთა დეტალურმა შესწავლამ კი სრულიად მოულოდნელი შედეგები მოგვცა. გამოირკვა, რომ კირიონის მიერ აღწერილი ხელნაწერი არც დაკარგული ყოფილა და არც უცნობი. ეს ხელნაწერი რუსთველოლოგთათვის უკვე ცნობილია. ე. წ. გურგენასეული ნუსხა R (Q — 930). რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავზე საჩუქრად მივიღეთ სოპხეთის მთავრობისაგან¹⁰. კირიონის ნაქონი ნუსხისა და აღნიშნული ხელნაწერის იგივეობა ყველა დეტალში ზუსტად დადასტურდა¹¹. მაგრამ ამჯერად საინტერესოა სხვა მომენტი. როგორც აღვნიშნეთ, R ხელნაწერის დასაწყისი ფურცლები, რომლებზეც, სხვათა შორის, პროლოგიც იქნებოდა მოთავსებული, ამჟამად დაკარგულია. მაგრამ ასე არ ყოფილა კირიონის დროს და მკვლევარი აგვიწერს პროლოგის შედგენილობასაც. როგორც ჩანს, ხელნაწერის პირველი ფურცლები შემდგომ დაკარგულა და ამდენად, კირიონის ცნობები ხელნაწერის ამ ნაწილზე ერთადერთი და ძვირფასი მასალაა მისი თავდაპირველი სახის აღსადგენად.

გამოირკვა საგულისხმო ვითარება: R-ის პროლოგი შედგენილობით ვრცელია და მას მოეპოვება ის სტროფები (ყერძოდ დასაწყისი, სადაც ღვთაებისა და მეფე-პატრონთა შექებაა გადმოცემული. იხ. 1 — 8 სტრ.), რომლებიც გაუგებარ ხარვეზს აჩენენ E და F ნუსხებში. დადასტურდა ისიც, რომ, მიუხედავად ზოგი სტროფის სხვადასხვა ადგილას გადასმისა, აქ ძირითადად სტროფთა პირვანდელი. ავთენტიკური თანამიმდევრობაა დაცული. ოღონდ გზადაგზა დამატებულია კიდევ რამდენიმე ჩანართი სტროფი¹². მაშასადამე, აქ დაცული ყოფილა მეორე ტიპის და არა ზემოთ აღწერილ ხელნაწერთა მსგავსი თავნაკული პროლოგი.

4. ანალოგიური ვითარებაა I (Q — 261) ხელნაწერის მიხედვითაც. მიუხედავად საკმაო დაზიანებისა, ჩანს, რომ ხელნაწერს შედგენილობით სრული პროლოგი ჰქონია და თანამიმდევრობაც პირვანდელი

¹⁰ ხელნაწერი პირველად აღწერა და „გურგენასეული“ (გურგენა ხელნაწერის ერთ-ერთი მფლობელი ჩანს) შეარქვა ა. ბარამიძემ. იხ. მისი ნარკვევები, ტ. III, 1952, გვ. 230—235.

¹¹ დაწერილობით იხ. წინამდებარე ნაშრომის მეორე ტომში თავი „ცნობები ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებზე“. აგრეთვე ჩვენი: ვეფხისტყაოსნის კირიონისეული ხელნაწერის გამო, სმგ მოამბე, 1963, № 3, გვ. 165—169.

¹² ხელნაწერი, როგორც ჩანს, იცნობდა ვრცელი გამოცემის 1, 9, 14, 21 22 ჩანართ სტროფებს (შეადარე Q — 261 ხელნაწერს).

დაუცავს (საერთოდ კი, როგორც ქვემოთ ვნახავთ, Q — 261, ყველაზე ახლოა Q — 930 ხელნაწერთან და ესეც მიუთითებს ამ ხელნაწერის პროლოგის ხასიათზე). ამდენად, აქაც მეორე ტიპის პროლოგთან გვაქვს საქმე.

მაშასადამე, აქედან გამომდინარე, მხოლოდ ერთ დასკვნამდე უნდა მივიდეთ. პოემის შუა მონაკვეთის მიხედვით პირველი რედაქციის ხელნაწერებში უნდა ვივარაუდოთ, არა E და F ხელნაწერთა მსგავსი თავნაკლული პროლოგი, რომელიც ვეფხისტყაოსნის შესავალს უკარგავს ტიპიურ სახეს, არამედ R და I ხელნაწერის მსგავსი პროლოგი, რომელიც სრულად შეიცავს ამჟამად რუსთველურად აღიარებულ პირველ სტროფებს (თავის მხრივ ეს ხელნაწერები უმატებენ რამდენიმე ჩანართ სტროფს), ხოლო რაც შეეხება სტროფთა თანამიმდევრობას, როგორც E, F, ისე R, I იცავენ მართებულ რიგს.


ე. ი. E და F ხელნაწერთა პროლოგის თავნაკლულობა ძველი ტრადიციის ანარეკლი კი არ არის, არამედ ამ ხელნაწერთა (უფრო ზუსტად, აღნიშნულ ხელნაწერთა უახლოესი პროტოგრაფის) შემთხვევითი ხარვეზია და მას დამოუკიდებელი რედაქციის მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს.

აქედან კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ მცდარია ს. კაკაბაძისა და ი. აბულაძის შეხედულება (იხ. ვეფხისტყაოსნის 1913 და 1914 წლის გამოცემათა შესავალი წერილები), თითქოს თავდაპირველად ვეფხისტყაოსნის პროლოგი არ შეიცავდა ღვთისა და მეფე-პატრონთა შექებას და ზოგიერთ ბიბლიოგრაფიულ ხასიათის ცნობას (რუსთველის მოხსენებით). გარდა აქ წარმოდგენილი ანალიზისა, ამასვე ამტკიცებს ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა სხვა რედაქციები, რომელთაც, როგორც ვნახავთ, განვითარების დამოუკიდებელი გზა განვლეს და ასევე შემოგვინახეს პროლოგის პირველი სტროფები.

რაც შეეხება გაგრძელებათა თავებს, აქ ასეთი ვითარებაა: 9 ხელნაწერიდან, რომლებიც პოემის შუა მონაკვეთში გვიჩვენებენ პირველ რედაქციას, ექვსი ხელნაწერი ასევე პირველ, შედარებით მოკლე, რედაქციას იცავს გაგრძელებებშიც. მაგ., ხელნაწერები: E, F, I, R, Z, და Q — 1335. Y ხელნაწერს დაზიანებული აქვს გაგრძელებათა შემცველი ნაწილი, ხოლო N და A¹ ნუსხებს ბოლოში შედარებით ვრცელი დასასრული გადმოუღიათ სხვა ხელნაწერთა გავლენით, რაც არც ისე იშვიათი მოვლენა იყო ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორიაში.

ასე, რომ ყველა ამ მონაცემთა გათვალისწინებით ჩვენ შეგვიძლია შევადგინოთ ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა პირველი რედაქციის გაშლილი სტემა მათი შედგენილობა-მოცულობის მიხედვით:

სტრუქტურა № 1 - რედაქციის საპარაულუბელი პროტოგრავი



სტრუქტურის პანაგრატისათვის

1. - საპარაულუბელი ფორმული პროტოგრავი
2. - საპარაულუბელი უახლოესი პროტოგრავი
3. - აღნიშნული ფორმული ხელნაწერი

ხელნაწერის მდებარეობა ვერტიკალზე (საწაღლის მიხედვით) უჩვენებს ხელნაწერის სიძველე-სიახლეს.

აქვე უნდა განვიხილოთ პოემის შუა მონაკვეთის მიხედვით მეოთხე რედაქცია, რადგან ეს რედაქცია თავისი ძირითადი პლასტიკით ყველაზე ახლოა პირველთან. საკმარისია ითქვას, რომ აქაც არ არის მრავალი ისეთი სტროფი, რომელიც შესულია ვანტანგისა და მომდევნო გამოცემებში (იხ. ზემოთ), ახლავს დამატებითი სტროფები ა პლასტიკიდან და მისგან განსხვავდება მხოლოდ შედარებით გვიან შექმნილი და-

მატებებით და პლასტიდან. უნდა ვივარაუდოთ, რომ პირველსა და მეორეზე რედაქციას საერთო შორეული პროტოგრაფი ედო საფუძვლად, (უკვე ორივეს ახლდა ჩანართების ა პლასტი) და გამოყოფის შემდეგ მეორეზე რედაქციას მოგვიანო ხანაში (დაახლოებით მე-17 საუკ. მეორე ნახევრისათვის) დამატებია აღნიშნული ჩანართები და პლასტიდან.


ახლა არსებითად თვით ამ რედაქციის მქონე ხელნაწერების შესახებ. ჩვენთვის ცნობილია ამჟამად ხუთი ასეთი ხელნაწერი: J (H—461), K (S — 4499), O (K — 205), T (W — 17) და G¹ (Q — 796). საინტერესოა, რომ ხუთივე ნუსხას თითქმის ერთნაირი შედგენილობა მოეპოვება პომის სამივე მონაკვეთში: პროლოგი მეორე ტიპისა, შუა მონაკვეთი მე-4 რედაქციისა, გაგრძელებანი აგრეთვე მეორე რედაქციისა, ოღონდ K, O და G¹ ხელნაწერებს ბოლოში დართული აქვს ტარიელის ნავიანევი ანდერძი, სტრ. 2024¹⁻¹⁸ რიგით მესამე, ოღონდ ხელნაწერებში მათ პირველი ანდერძი ეწოდებათ (იხ. ზემოთ), გარდა ამისა ამავე ხელნაწერებს მოეპოვება იოსებ ტვილელის მიერ შეთხზული ტარიელის ანდერძი. როგორც ჩანს, იგი მომდინარეობს „ზაზა-ესული“ ან მისი მომდევნო ნუსხიდან (იხ. სტრ. 2063¹⁻³⁴). ასევე უნდა გვევარაუდნა, რომ ამ ხელნაწერებში იქნებოდა მომდევნო, ტვილელის მიერ შეთხზული ავთანდილის ანდერძიც (სტრ. 2078 — 2105), მაგრამ არც ეს ანდერძი და საერთოდ ბოლო სტროფები ამ ხელნაწერებში არ მოგვეპოვება სრულად. ამის მიზეზია K ხელნაწერის დაზიანება, ხოლო O და G ხელნაწერები, როგორც ჩანს, სწორედ ამგვარი დაზიანებული ნუსხიდან მომდინარეობენ. ყოველივე ამის გათვალისწინებით აღნიშნული ჯგუფის ხელნაწერთა გენეალოგიური სქემა (სტემა) ასე წარმოგვიდგება¹³:

პომის შუა მონაკვეთით მეორე რედაქციამ (ჩანართების ა და ბ პლასტი) ჩვენამდე მოაღწია 12 ხელნაწერის სახით: D (Q — 1082), G (S — 4988), H (H — 2610), Q (K — 215), L (A — 363), U (S — 5006), V (H — 3061), F¹ (S — 4527), I¹ (H—412), L¹ ($aK \frac{25299}{2}$),

O¹ (Q — 799), Q¹ (C — 10768/191). ამ ხელნაწერებში მოთავსებული პომის ტექსტის ცალკეულ მონაკვეთის შესახებ საჭიროა დამატებით აღინიშნოს შემდეგი. თორმეტი ხელნაწერიდან 7 ნუსხაში (D, G, U, F¹, L¹, O¹, Q¹) პროლოგი წარმოდგენილია ორი თავისებურებით: ა) იგი ნაკლებ გადატვირთულია ჩანართებით (მაქსიმუმ ორი-სამი ამჟამად ჩანართად აღიარებულ სტროფთაგან) ბ) პროლოგის სტროფთა თანა-

¹³ სტემის შედგენის დროს გარდა ამისა გათვალისწინებულია ცალკეული დეტალები (იხ. ზემოთ ამ ხელნაწერთა ცალკეული მონაკვეთების დახასიათებისას) და წაიკითხვაობათა ძირითადი იერი (იხ. ქვემოთ).

მიმდევრობა არ ემთხვევა სხვა რელაქციის ხელნაწერებს, ახასიათებს გაუმართლებელი ნახტომები, რაც, როგორც ზემოთ გამოვარკვეეთ, ფურცელთა შემთხვევითი გადასმის შედეგი ჩანს¹⁴.



სტაქის განმარტება:

1. - საპარალელური მთავარი პროცესი
2. - საპარალელური ვალდებ პროცესი
3. - საპარალელური ვალდებ პროცესი, კორტაქტურ დახატვითი მონსტრის სხვა წარსულ პარალელურ მეთოდებს
4. - რეაბილიტაციის პროცესი

ხელნაწერის მდებარეობა ვერტიკალზე მის სიძველე-სიახლეზე მიუთითებს.

დანარჩენ ხუთ ნუსხაში პროლოგი დაზიანებულია (H, Q, L, V, D)¹⁵, აქედან V ნუსხის საკითხი თავისთავად ვარკვეულია. იგი მთლიანად „ზაზასეული“ ნუსხის (D) გავლენაშია მოქცეული და, ამდენად, აქაც

¹⁴ ვნახეთ ისიც, რომ პროლოგის ასეთი სახე D ნუსხის გავლენით გადასულა ვახტანგისა და მომდევნო გამოცემებში.

¹⁵ V-ში შემდეგ აღდგენილია სხვა ხელით ვახტანგისეული გამოცემის გავლენით (იხ. ზემოთ).

ზემოთ აღნიშნული მესამე ტიპის პროლოგის თავისებურება იქნებოდა დაცული.

დანარჩენ ოთხსაც, როგორც ჩანს, ასეთივე პროლოგი ჰქონდა დაზიანებამდე, რადგან ისინი ძირითად ტექსტის მანძილზე არავითარ სერიოზულ გადახვევას არ გვიჩვენებენ¹⁶. ამასვე მოწმობს ის გარემოება, რომ ხელნაწერები, რომლებიც ფაქტიურად „ზაზასეული“ ნუსხის (D) გავლენის გარეშე დგანან, ასევე მესამე ტიპის პროლოგს იცავენ (მაგ. G), ე. ი. ყველა ჩვენების გათვალისწინებით უნდა ვიფიქროთ, რომ პროლოგის ის სახე, რომლის თავისებურებათა მიზეზებზე ჩვენ წინა თავებში ვისაუბრეთ, უკვე არსებობდა ყველა ამ ხელნაწერის შორეულ პროტოგრაფში, სადაც უნდა მომხდარიყო მისი სტროფული თანმიმდევრობის დარღვევა.


პოემის დასასრულის მიხედვით ვითარება უფრო ნათელია. ყველა ხელნაწერი, რომელსაც კი ეს მონაკვეთი შემოუნახავს (სავსებით დაზიანებულია მხოლოდ ორ ხელნაწერში: I¹ და O¹), გვიჩვენებს გაგრძელებათა მეორე რედაქციას. ოღონდ ერთი შენიშვნით: ზემოთ ვნახეთ, რომ იოსებ ტფილელმა თავისსავე ავტოგრაფულ ნუსხას (D) დაურთო ორი ვრცელი ანდერძი (ტარიელისა და ავთანდილისა). ზოგი ზემოთ მოხსენებული ხელნაწერი უშუალოდ ან შუალედური ნუსხების გავლენით დავალებულია „ზაზასეული“ ნუსხისაგან და ასევე ორი ახალი ანდერძით ავრცობს ტექსტებს.

სხვა კომპონენტებთან ერთად ზემოაღნიშნულის მოშველიებით საშუალება გვქვდა წარმოვადგინოთ პოემის მეორე რედაქციათა მქონე ნუსხების გენეალოგიური სქემა (იხ. სტემა № 3).

შედარებით მარტივად წყდება შუა მონაკვეთით მესამე რედაქციის (ჩანართები ა, ბ და გ პლასტიდან) მქონე ხელნაწერთა სხვა მონაკვეთების ურთიერთმიმართების საკითხი, რადგან ყველა ეს ხელნაწერი A (H — 757), B (H — 54), G (H — 2074), M (Q — 779), D¹ (H — 1839), E (Q¹ — 483) და ახლად გამოვლენილი ნუსხა Q — 1335 ერთმანეთთან ძალზე ახლო წრეში ტრიალებს და არც ერთი არ არის ძალზე დაშორებული უახლოეს სავარაუდებელ პროტოგრაფს.

ოღონდ განმარტებისათვის საჭიროა შევნიშნოთ შემდეგი: ა). M ხელნაწერი გადაწერილია უფრო ადრე და იმავე გადამწერის მიერ

¹⁶ გასარკვევია მხოლოდ L (A-363) ხელნაწერის პროლოგის ადრეული სახე, რადგან ეს ხელნაწერი შედარებით მეტ დამოუკიდებლობას ამჟღავნებს „ზაზასეული“ ნუსხისაგან.



სანიშის განმარტება

- 1. — საპროექტული საერთო პრობლემა
- 2. — ახლოესი საპროექტული პრობლემა
- 3. — რედაქციის მონაწილე მონაწილე

ხელნაწერის მდგომარეობა ვერტიკალზე მის სიბრტყე-სიახლეზე მიუთითებს.

რომელმაც გადაწერა 1671 წელს A ხელნაწერი. ამას მოწმობს შემდეგი გარემოება. M და A ხელნაწერი ერთმანეთთან რედაქციულად ძალზე ახლო დგანან, ოღონდ A-ში, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, პოემის შუა მონაკვეთში თვით გადაწერის შეუტანია მეტწილად მის მიერ შეთხზული 28 სტროფი, რომლებიც არ გვხვდება M-ში. მაშასადამე,

M წინ უსწრებს (ე. ი. გადაწერილი 1671 წლამდე) A ხელნაწერს¹⁷, რაც სათანადოდ აღინიშნება გენეალოგიურ სქემებშიც. ბ) ხელნაწერი D¹, რომელიც გადაწერილია ვიან, მე-19 საუკუნეში, საინტერესოა იმითაც, რომ თუმცა A, B, C ხელნაწერებთან სიახლოვეს გვიჩვენებს, უნდა მომდინარეობდეს არა ამ ხელნაწერთაგან, არამედ — მათი სავარაუდებელი უახლოესი პროტოგრაფიდან, მართლაც ზოგი ჩანართი ეპიზოდი, რომელიც გვხვდება A, B ხელნაწერებში, არ არის D¹-ში (მაგ. ფარსადანისა და სარიდანის ნადირობა. იხ. სტრ. 419, 422—433. როგორც ზემოთ C და D¹-ის დახასიათებათა დროს ითქვა, იქნებ ამის მიზეზი C ხელნაწერი იყოს, რომელშიც, დაზიანების გამო, არ არის ეს ეპიზოდი, მაგრამ ამას შემდგომი დაზუსტება ჭირდება).

აღნიშნული რედაქციის ხელნაწერთა ცალკეულ დეტალებზე ზემოთ უკვე შევჩერდით. ამდენად, უკვე შესაძლებელია წარმოვიდგინოთ ხელნაწერთა ურთიერთმიმართების სქემატური ნახაზიც, მაგრამ ჭერ საჭიროა შევჩერდეთ ერთ, ჭერ კიდევ გაუზრკვეველ საკითხზე.

მკითხველს ახსოვს ის გარემოება, რომ გენეალოგიურ სქემათა დაზუსტების დროს შეგნებულად გვერდი ავუარეთ ორ თავისებურსა და საკმარისად საყურადღებო ხელნაწერს — R¹ და X-ს (ორივე ეს ხელნაწერი დღეს მნიშვნელოვან ხელნაწერთა რიცხვში შეტანილი. იხ. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები).

R¹ (D — 12904/190) ხელნაწერი გადაწერილია 1802 წელს ბირთველ თუმანიშვილის მიერ და, როგორც აღვნიშნეთ, აშკარად კომპილაციური ტიპის ტექსტს შეიცავს. გადამწერს საფუძვლად 1712 წლის ვახტანგისეული გამოცემა გამოუყენებია და იგი შეუუვსია სტროფებით პირველი რედაქციის რომელიღაც ხელნაწერიდან (ისიც არა სისტემებზე არამედ შერჩევით)¹⁸, ასევე გაუზიარებია ხელნაწერის გადამწერს ვახტანგისეული გამოცემის დასასრული და „ინდო-ხატაელთა ამბით“ შეუწყვეტია თხრობა, ოღონდ 1712 წლის გამოცემის ხარვეზები ამ ნაწილში ასევე აღუდგენია. ირკვევა, რომ ხელნაწერთა შორის ჭერჯერობით ეს არის ერთადერთი ჩემთვის ცნობილი შემთხვევა, როცა პოემის სიუჟეტი დასრულებულია „ინდოხატაელთა ამბით“ (თანაც არა

17 იხ. ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსანი ჩანართი და დანართი ტექსტებით, 1956, შესავალი წერილი, გვ. 67, თუმცა მკვლევარი აქ არ ასახულებს აღნიშნულ მოსაზრებას. ხელნაწერთა ინსტიტუტის Q — ფონდის აღწერილობათა I ტომში ეს ხელნაწერი შეტანილია მე-18 საუკ. ნუსხად არის მიჩნეული.

18 ვახტანგისეულ გამოცემის აშკარა გავლენა დასტურდება, როგორც შედგენილობის თავისებურებებით (გამეორებულია 1712 წლის ხარვეზები), ისე წაკითხვებითაც (შდრ. „ვეფხისტყაოსნის გამოცემათა ვარიანტები). ხელნაწერის დაწერილობითი დახასიათება იხ. ქვემოთ.

ისეთი ხარვეზებით, როგორც ეს ვანტანგთან გვაქვს), რაც, როგორც ცნობილია. შემდეგში განხორციელდა ქიქინაძისა (1934 წ.) და მომდევნო გამოცემებში.

ამდენად, ხელნაწერის აღნიშვნას გენეალოგიურ სქემაში მნიშვნელობა აღარ უნდა ჰქონდეს და ჩვენც თავს ვიკავებთ მისგან.

მეორე განასახილველი ხელნაწერი ($X - P = 10$) ერთ-ერთი ურთულესი აღნაგობისაა ძველი რედაქციების ხელნაწერთა შორის. ამ ხელნაწერის ზოგი თავისებურება შენიშნულია 1963 წ. გამოსულ ჩვენს წიგნში: „ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები“, სადაც აღნიშნულია, რომ ეს ხელნაწერი არის ერთ-ერთი ნიმუში იმისა, თუ როგორ შეიძლება აირიოს ხელნაწერის თავდაპირველი სახე (გვ. 61). აღნიშნული იყო აგრეთვე, რომ ხელნაწერის ჩამოყალიბების დროს, როგორც ჩანს, სხვადასხვა წყარო იყო გათვალისწინებული. ერთი შეხედვით თითქოს ჩანდა, რომ ეს ხელნაწერი პირველი რედაქციის შემდგომი შევსების ნიადაგზე იყო წარმოშობილი (იქვე, გვ. 62).

რომ ეს ხელნაწერი სხვადასხვა რედაქციის ელემენტებს შეიცავს, ეს შემდგომმა კვლევა-ძიებამ უცილოდ დაადასტურა. ოღონდ ეჭვს იწვევს ერთი გარემოება, რომელსაც ამ ეტაპზე არც თუ ბოლომდე ნათელი ახსნა მოეპოვება. ხელნაწერში დასტურდება მრავალი ისეთი სტროფი, რომელიც აშკარად მესამე რედაქციის კუთვნილებას წარმოადგენს. მაგალითად, A, B, M ხელნაწერთათვის (C ამ ადგილას აღდგენილია გვიანდელი ხელით) დამახასიათებელია ჩანართი ეპიზოდი ფარსადანისა და სარჩიდანის ნადირობისა, (სტრ. 419, 422—433); აგრეთვე რამდენიმე სხვა სტროფი¹⁹.

მაგრამ შესწავლით გამოირკვა, რომ ხელნაწერს აქვია არა შარტო მესამე რედაქციის დამახასიათებელი ჩანართების (გ პლასტიდან), არამედ მეორე (ბ პლასტიდან) და პირველი (ა პლასტიდან) რედაქციების მრავალი დამატებითი სტროფი, ისე, რომ ხელნაწერში ხარვეზი არ შეინიშნება²⁰.

19 იხ. ვრც. გამოცემის 89, 225, 494. 466. 466. 498 სტროფები.

20 პირველი (ა) პლასტიდან ხელნაწერს აქვია. ჩვენი შემოწმებით, შემდეგი სტროფები: 60, 94 97. 100, 120, 123, 125, 153. 158. 165, 167, 170, 189, 191 200, 202. 208. 251. 272, 286, 289, 302, 306, 316. 321, 331, 346, 347, 349, 356, 360; 361. 362. 408, 520, 571. 575, 1532, 1540. ხოლო მეორე პლასტიდან: 230, 233, 257, 437. აღსანიშნავია, რომ ხელნაწერს აქვია სტროფები (1937 წლის გამოცემის სათვალავით); 46. 57. 155. 175. 193. 197, 207, 222, 244, 319. 320. 322. 413, 459. 521. 522. 523. 524. 1350, 1651, 1652, 1653; ხარვეზის გამო აქვია მხოლოდ 118 (175) — 124 (183) სტროფები. იხ. მე-17 ფ. (სპეციალურად იქნა აგრეთვე შედარებული E ხელნაწერთან. რომელიც მოკლე რედაქციას შეიცავს, აქაც ასეთივე სურათი მივიღეთ.)

შეიძლება კვლევის ამ ეტაპზე გავარკვიოთ აღნიშნულ სტროფთა დანაქლისის მიზეზები (მე ვფიქრობ. ეს უფრო ხელნაწერის წინამორბედი პროტოგრაფის დაზიანების შედეგი უნდა იყოს), მაგრამ თუ რა საფუძველს ეყრდნობოდა X ხელნაწერის ტექსტი, ამის გამოკვლევა შეუძლებელი არა ჩანს.

გარდა იმ უცილო ფაქტისა, რომ ხელნაწერში მოხვედრილია მესამე რედაქციის დამახასიათებელი რიგი უდავო ჩანართი სტროფი, საგულისხმოა სხვა კომპონენტების შესწავლის შედეგებიც. პირველ რიგში, სრულიად აშკარაა მესამე რედაქციის ხელნაწერთა (კერძოდ, A, B, C, M) ნაირკითხვაობისა და X-ის მსგავსება. ამის შემოწმება შესაძლებელია მთელი ტექსტის მანძილზე, რასაკვირველია, X ხელნაწერის უწიგნური გადამწერის ლაფსუსების გამორიცხვის შემდეგ (იხ. ვეფხისტყაოსნის ვარიანტების გამოცემის ოთხივე ტომი). ეგევე მოსაზრება გამოთქვა 1965 წელს სპეციალურ წერილში ც. კარბელაშვილმა და მოიტანა კიდევ ამის დამადასტურებელი საგულისხმო მაგალითები²¹.

რომ X ხელნაწერი ძირითადად მესამე რედაქციის საფუძველზეა აღმოცენებული, ადასტურებს ამ ხელნაწერის ტექსტის ბოლო თავებიც. როგორც ზემოთაც ვნახეთ, X (P—10) ხელნაწერი არსებითად H—54 და H — 2074 ტიპის ნუსხათა მსგავსია და აქაც გაგრძელებათა ანალოგიური რედაქციაა დაცული²².

X ხელნაწერის პროლოგი თავში ისევეა დაზიანებული, როგორც სხვა ნუსხების მაგალითზე ვნახეთ (E და F), და, რასაკვირველია, ამ დაზიანების მიზეზიც აშკარად შემთხვევითი უნდა იყოს. ხოლო ის რაც გადარჩენილია, როგორც თანამიმდევრობით, ისე ნაწილობრივ მოცულობითაც, კვლავ ვრცელი ხელნაწერების ტექსტს უჭერს მხარს.


გამოთქმული შეხედულების სასარგებლოდ მეტყველებს ხელნაწერის თარიღიც (1702 წ.), რადგან ამ ხანებში პოემის მესამე რედაქცია უკვე კარგა ხნის ჩამოყალიბებული იყო.

²¹ ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა კლასიფიკაციის ზოგიერთი საკითხი. კრებ. შოთა რუსთაველი, ლიტ. ინსტ. კრებ. 1966, გვ. 350. იხ. მისივე, ვეფხისტყაოსნის პარიზული ხელნაწერი, ლიტერატურის ინსტიტუტის XXIX სამეცნ. სესიის თეზისები, 1969 წ. გვ. 8. ოღონდ არ უნდა იყოს სწორი X-ის ტიპის მსგავსი ნუსხის ABC ხელნაწერთა არქეტიპად მიჩნევა. როგორც ზემოთ ითქვა, პარიზული ნუსხა უბრალოდ ABC ტიპის ხელნაწერთა დაზიანებული პროტოგრაფიდან მომდინარეობს.

²² მესამე რედაქციასთან სიახლოვეს ამხელს სხვა დეტალებიც, რომელთაგან დავასახელებთ მხოლოდ რამდენიმეს: ა) 1937 წ. საიუბილეო გამოცემის 687-ე სტროფი: „ყმა ახლოს უჭდა მეფესა“, ვრცელი რედაქციების მქონე ხელნაწერთა (A, B, C და სხვ.) მსგავსად, ტექსტში ორ ადგილასაა მოთავსებული; ბ) ამავე გამოცემის 341 და 342 სტროფის თანამიმდევრობაც სწორადაა ამ ხელნაწერში და ა. შ.

ყოველივე ამის გამო უნდა დავასკვნათ, რომ X, ანუ პარიზული ხელნაწერი შეიცავს ვრცელ. მესამე რედაქციას, ოღონდ ერთი შენიშვნით, იგი მომდინარეობს მესამე რედაქციის მქონე ისეთი პროტოგრაფიდან, რომელიც შედგენილობის მხრივ საკმაოდ იყო დაზიანებული.

მესამე რედაქციის ხელნაწერთა ცალკეულ დეტალებზე ზემოთ უკვე შევეჩერდით, განვიხილეთ თავისებური ხელნაწერებიც. ამდენად, უკვე შესაძლებელია წარმოვიდგინოთ III რედაქციის გენეალოგიური სტემა (იხ. სტემა № 4):



- სტემის განმარტებისათვის:
- 1. - საპარალელური პროტოგრაფი
 - 2. - ძალისხი პროტოგრაფი
 - 3. - სხვადასხვა მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტის პროტოგრაფი

მდებარეობა ვერტიკალზე უჩვენებს ხელნაწერს სიძველე-სიახლეს.

ასე წარმოგვიდგება ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა შედგენილობის საფუძველზე დამყარებული ცალკეული რედაქციული ჯგუფები და მათი განვითარების გზები. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სხვა კომპონენტებთან ერთად ეს არის ყველაზე მყარი საფუძველი, რომელსაც ემყარება ხელნაწერთა კლასიფიკაცია, რათა სრულად წარმოდგეს პოემის ტექსტის თანდათანობითი განვითარების მეცნიერული სურათი.

როგორც ზემოთაც დავრწმუნდით, ძველ რედაქციებში შემავალ ქვერედაქციებში, რომლებიც თავის მხრით ოთხ ძირითად სახეობას შეიცავენ, ძალზე რთული ვითარება იჩენს თავს. სწორედ ამიტომაც მიექცა განსაკუთრებული ყურადღება ხელნაწერებში წარმოდგენილი ტექსტების შედგენილობის საკითხებს (პირობით შესაძლოა საკითხების ამ კუთხით განხილვას „პლასტების თეორია“ ვუწოდოთ). არ უნდა დავივიწყოთ, რომ ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა შემკვიდრეობა შედგენილობით განსხვავებულ ტექსტებს შეიცავენ (მაგ., ბიბლიის კანონიკურ ტექსტებთან შედარებით). ამდენად ტექსტუალური შეჯერება საშუალებაა არა მარტო ჩანართების (გლოსებისა და ინტერპოლაციების), არამედ ტექსტების თანდათანობითი ცვლილებების გამოსავლიანებლადაც. რაც, თავის მხრით, საფუძვლიანია ისტორიული თვალსაზრისით მათი კვალიფიცირებისათვის. ამასთან, კვლევის აღნიშნული მეთოდი რამდენადმე გვაძლევს გასაღებს, რათა პირველი მიახლოებით განვსაზღვროთ პოემის სავარაუდებელი დედნის მოცულობა და შედგენილობის ხასიათი.

ცალკეული რედაქციების გამოყოფის დროს კვლევის აღნიშნულ მეთოდთან ერთად გათვალისწინებულია სხვა ტექსტუალური კომპონენტებიც, რომელთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ნაირკითხვაობათა ანალიზი. მაგრამ აქვე ზოგადად შევნიშნავთ. რომ როგორც ხელნაწერების ყოველმხრივმა შესწავლამ დაგვარწმუნა. შედგენილობაზე დამყარებულ კლასიფიკაციას ძირითადად ეთანხმება ნაირკითხვაობის ანალიზით მიღებული მონაცემებიც (სანიშნუმოდ ამის მაგალიტები მოტანილია ნაშრომის II ტომში).

ძალზე საინტერესო სურათს იძლევა ხელნაწერებში დაცული ტექსტების როგორც დიქტომიური, ისე არადიქტომიური ჯგუფების გამოვლენა ნაირკითხვაობათა მიხედვით, მაგრამ ეს მხოლოდ სტატისტიკური წინაპირობაა და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში კონკრეტულ ანალიზს მოითხოვს, რათა თავი დავაღწიოთ ტექსტების კვლევის ძველ მექანიკურ ხერხებს.

ხელნაწერთა შედგენილობის ანალიზით მიღებულ შედეგებს რომ არუღვასოვანი მამოწმებელი მოვუწახოთ ნაირკითხვაობათა შეჯერებისას მთავარია ამა თუ იმ ხელნაწერის წაკითხვა-

თა ძირითადი იერო, საერთო სტილისტიკურ-გრამატიკული მნიშვნელის გამონახვა და არამხოლოდ იშვიათ განსხვავებაზე დამყარება. სხვადასხვა გადამწერთან ტექსტისაგან ერთნაირ გადახვევებს ხშირად ერთი და იგივე საფუძველი აქვს, რომელთა მიზეზი ზოგჯერ წერის ფსიქოლოგიით, ტექსტის გამარტივებისაკენ სწრაფვით, ერთნაირი ტიპური შეცდომებით თუ მსგავსი დიალექტური წრის გავლენით უნდა აიხსნას.

მხოლოდ რამდენიმე ნიმუში და ისიც ცნობილი მაგალითებიდან. გავიხსენოთ ისევე პროლოგის მე-8 სტროფის ბოლო სტრიქონი: „მისთა მქვერტელთა ყანდისა მირთმა ხამს მართ მიშერისა“. ბუნებრივია. რომ აქ ყველაზე ნაკლებ გასაგები ბოლო სიტყვაა და, როგორც ჩანს. ასე იყო ძველადაც. როცა გადამწერნი ვეფხისტყაოსნის ტექსტზე მუშაობდნენ. იმ ნუსხათაგან. რომლებშიც გადარჩენილია ეს ადგილი. მხოლოდ რამდენიმე ხელნაწერში (A, D¹ და სხვ.) იკითხება სწორი წაკითხვა „მიშერისა“. მაშინ როცა სხვა ხელნაწერებში (B, C, I, O U V F¹ L¹ და სხვ.) გვაქვს „მშერისა“. შეიძლება ამ წაკითხვის მიხედვით ხელნაწერთა რედაქციული კლასიფიცირება? მაშინ ერთ რედაქციულ ჯგუფში მოხვდებოდნენ წარმოშობით აშკარად განსხვავებული ისეთი ხელნაწერები, როგორცაა A (H — 757) და I (Q — 261), ხოლო სხვადასხვა ჯგუფში — აშკარად ერთ პროტოგრაფიდან მომდინარე (ეს ჩვენ ზემოთ ვნახეთ) A და B (H — 54) ხელნაწერები. ძველი ტექსტოლოგიის მექანიკური მეთოდი, რომელიც მხოლოდ სტატისტიკურ გამოთვლაზე იყო დამყარებული, ასეც მოიქცეოდა და აღნიშნულ წაკითხვით დაჰყოფდა ხელნაწერებს. თანამედროვე ტექსტოლოგიაში დიდი ხანია უარყოფილია ეს მეთოდი, რადგან უნდა გვახსოვდეს, რომ ხშირ შემთხვევაში ერთნაირი შეცდომები დამოუკიდებელი წარმოშობისაა, თუმცა ერთნაირი საფუძველი მოეპოვებათ. ამ შემთხვევაში კი აღნიშნული შეცდომის ერთადერთი საფუძველი გადამწერთა მუშაობის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პრინციპია, რომელიც ბუნდოვანი ადგილის განმარტებისაკენ არის მიმართული. ეს კანონი, რომელიც ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში აღმოაჩინა გერმანელმა მეცნიერმა ჰრიზბანმა ერთ-ერთი ყველაზე უნივერსალური კანონთაგანია (რთული წაკითხვა „lectio difficilior“ იცვლება მარტივით „lectio facilior“) და ყოველთვის მხედველობაში უნდა ჰქონდეს ტექსტის ისტორიის თანამედროვე მკვლევარს.

რასაკვირველია. სხვადასხვა ხელნაწერთა „საერთო შეცდომებს“ აღმოჩენის დროს არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ზოგჯერ მათი წყარო ხელნაწერთა შეჭერებაა, რაც უცნობი არ იყო გადამწერთა მუშა-

ობაში. რუსულ მასალებზე დაყრდნობით მართებულად შენიშნავს ამის გამო დ. ლიხაჩოვი: „В самом деле, способ построения стемм на основе подсчета общих ошибок предполагает, что каждый писец механически переписывает только один список, не исправляя его по другим спискам. Русский средневековый материал решительно опровергает такого рода представления о работе переписчиков. Имеются прямые свидетельства, что переписчики или писцы-редакторы исправляли тексты по другим спискам“²³.

ამის დამადასტურებელი მაგალითები მრავალზე მრავალია ძველ ქართულ მწერლობაში და ამ შემთხვევაში არც ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებია გამოჩენილი. ვეფხისტყაოსნის შედგენილობის მიმოხილვის დროს მრავალი მაგალითი აღვნიშნეთ იმისა, რომ გადამწერს სხვა რედაქციებიდან ზეპირად თუ პირდაპირ წყაროდან გადმოჰქონდა ესა თუ ის ადგილი და თავის ხელნაწერში შეჰქონდა იგი.

ასეთ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა წაკითხვების დროსაც. აქ ისევ ცნობილ მაგალითს მივმართავ. ეპილოგის ბოლო სტროფის მე-4 სტრიქონი ასე იკითხებოდა მეტწილ ხელნაწერებში: „ეწერ ვინმე მესხი მე-ლექსე მე რუსთველისა დამისა“ (ან „რუსთველისად ამისა“). ბუნებრივია, რომ ორივე წაკითხვა აზრთა სხვადასხვაობას გამოიწვევდა გადამწერებში, რომლებიც წაკითხვის სინათლე-სიმარტივისაკენ მიილტვოდნენ. ფაქტიურად ეს ასეც მოხდა. ზოგ ხელნაწერში უკვე შეუცვლიათ ეს ადგილი და რუსთველის პოეტიკის ელემენტარული კანონების დაუცველად შეუქმნიათ ახალი წაკითხვა: „მე რუსთველისა თემისა“. ასეა წარმოდგენილი ეს ადგილი თარიღით უძველეს E (1646 წ.) ნუსხაში და აგრეთვე ამავე რედაქციის მქონე R (გურგენასეული) ხელნაწერში. ამავე ხელნაწერთა თუ მათ წინამორბედ ნუსხათა გავლენით უნდა გავრცელებულიყო წაკითხვა „თემისა“, რაც განუხორციელებია კიდევ სხვა რედაქციის რამდენიმე ხელნაწერს. მაგალითად, H ნუსხაში იკითხება: „(მე მესხმან) ვინმე დავსწერე იგი რუსთავის თემისა“, G—ში: „მე მესხმან ვინმე დავსწერე იგი რუსთავისა თემისა“. ხოლო მესამე რედაქციის მქონე ნუსხის X თუ მისი წინამორბედის გადამწერს, როგორც ჩანს, ზეპირად სცოდნია ბოლო სიტყვის ცვალებადობა და გაუმართავს სტრიქონი: „მესხმა ვიწამე დავსწერე იგი რუსთველის თემია“ (შინაარსთან ერთად „დამახინჯებულია სარითმო სიტყვაც). R¹ ხელნაწერისეული ჩანს წაკითხვა „მე რუსთავისა დაბისა“, რომლის გადამწერს, როგორც ვნახეთ, ვახტანგისეული გამოცემისა და ძველ

²³ Текстология на материале русской литературы X—XVII вв., 1962, стр. 15.

ხელნაწერთა შეჯერებით პოემის თავისებური შედგენილობის ტექსტა შეუქმნია.

შიძლებოდა სხვა რიგის მაგალითების მოტანაც, როცა გადაშწერნი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ერთნაირად ცვლიან ორთოგრაფიას, ტექსტის მორფოლოგიურსა თუ სინტაქსურ თავისებურებებს და უპარ-ლებენ მათ გადაწერის დროს ენობრივ ნორმებს, მაგრამ ეს იმდენად ცხადია და ცნობილი, რომ ამ მაგალითებით აღარ გადავტვირთავ მკითხველის ყურადღებას. აქაც დასკვნა ზემოაღნიშნულის მსგავსია: სხვა-დასხვა ხელნაწერთა ერთნაირად ნასწორები ენობრივი ფორმები ყოველთვის არ მიუთითებს ამ ხელნაწერთა ანლო ურთიერთობაზე და დამოუკიდებელი წარმოშობისანი ჩანან.

ამდენად, ხელნაწერთა ცალკეული წაკითხვების ანალიზი დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და ტექსტის საერთო ისტორიის აღსადგენად რედაქციათა ძირითადი ჯგუფების გამოყოფის დროს იგი მხოლოდ ერთ-ერთ საშუალებად უნდა იქნეს გამოყენებული. ისიც ერთი პირობით; საანალიზო ტექსტში მიგნებულ უნდა იქნეს წაკითხვათა ძირითადი სტილისტურ-გრამატიკული იერი და მხოლოდ ასეთი პრინციპის დაცვით შეჯერდეს ცალკეული ხელნაწერები²⁴.

* * *

ცალკეულ რედაქციათა შიგნით ჩვენ მივანიშნეთ როგორც სავარაუდებელი პროტოგრაფები, ისე ამჟამად არსებულ ხელნაწერთა ურთიერთმიმართებანი. მათი შეერთებით კი საშუალება გვექნება ერთიან გრაფიკული სქემის საწინააღმდეგო წარმოვიდგინოთ ვეფხისტყაოსნის განვითარების ყველა ეტაპი უძველესი დროიდან მე-19 საუკუნემდე, როცა შეწყდა ძველი რედაქციების გადაწერა და მათი ადგილი გამოცემებმა ან გამოცემათაგან (ვახტანგისა და ბროსეს) გადაწერილმა ნუსხებმა დაიკავეს (იხ. სტემა № 5).

ორიოდე სიტყვა თვით ამ სტემის აგების ძირითად პრინციპზე და აგრეთვე ზოგ პრაქტიკულ შედეგზე, რაც აღნიშნული გენეალოგიური სტემის გათვალისწინებიდან გამომდინარეობს.

²⁴ ამიტომ ვიკავებ თავს ამჟამად განვსაზღვრო, თუ რომელ რედაქციას მიეკუთვნება ვეფხისტყაოსნის ის ხელნაწერები (P—S—1418. S—H—3249. C1—H—1675), რომლებსაც ჩვენამდე მხოლოდ მცირე ნაწილები სახით (შეიცავენ რამდენიმე ათეულს, ან კიდევ უფრო ნაკლებ სტროფს) მოუღწევია და მათი ოდინდელი შედგენილობის გამოკვლევა არ ხერხდება. რაც შეეხება წაკითხვებს, სხვა ხელნაწერთა მსგავსად, აქაც ზუსტად რომელიმესთან დამთხვევის მაგალითებს ვერ ვიპოვით, ისე კი ძირითადი იერით უფრო I და ნაწილობრივ II რედაქციის მქონე ნუსხებთან აწყდებენ სიახლოვეს.


რედაქციულ ჯგუფებად გამოყოფისათვის უპირველეს საფუძვლად აღებულია პოემის ტექსტის შედგენილობის ცვალებადობა, რომლის უმთავრესი ნიშანი ყოველ შემთხვევაში მე-15, მე-16 საუკუნიდან მოკლებული, გავრცობა, ტექსტში ახალ-ახალი ეპიზოდების შემოტანა იყო. განიხილავს რა ჩვენ წიგნს „ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები“ (1963 წ.) ა. შანიძე ასეთსავე ასპექტში წარმოადგენს ტექსტის განვითარების ისტორიას: „ს ტ რ ო ფ თ ა შ ე დ გ ე ნ ი ლ ო პ ი ს თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ი თ ზ ო გ ი ე რ თ ი ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი უ ფ რ ო ძ ვ ე ლ ვ ი თ ა რ ე ბ ა ს გ ვ ი ჩ ვ ე ნ ე ბ ს, ვ ი დ რ ე ს ხ ვ ე ბ ი (ხაზი ჩემია—ს. ც.). რადგანაც მათში არ მოიპოვება ზოგიერთი ჩანართი სტროფი, უფრო მოკლეა, და, მაშასადამე, შედგენილობის მხრივ უფრო სანდო, ვიდრე სხვები. ეს საკითხი, რომელსაც ს. ცაიშვილი იკვლევდა, საყურადღებოა იმ მხრივ, თუ როგორ ემატებოდა თანდათან პირვანდელ ტექსტს მერმონდელი ჩანართები და როგორ იმღვრებოდა ანკარა რუსთაველისეული წყარო“²⁵.

ამასთან საჭიროა აღინიშნოს შემდეგიც. თანამედროვე ტექსტოლოგიის ერთ-ერთი სახელმძღვანელო პრინციპი, როგორც ცნობილია, ემყარება არა მარტო ემპირიული მასალის სტატისტიკურ შესწავლას, არამედ საკვლევი მასალის რეტროსპექტულ ანალიზს, ტექსტის განვითარების უჩინარი რგოლების მინიშნებას, ვარაუდებისა და ჰიპოთეზების აუცილებელ დოზას. ეს არის ერთადერთი საიმედო გზა ტექსტების ფორმალური კლასიფიკაციიდან ისტორიულ კლასიფიკაციამდე. როცა ტექსტის განვითარება წარმოდგენილია, როგორც ცოცხალი ისტორიული პროცესი და, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, მჭიდრო კავშირშია ამა თუ იმ ერის ისტორიულ, პოლიტიკურ თუ კულტურულ ცხოვრებასთან.

ფორმალური კლასიფიკაციის ფარგლებიდან გასვლა წინამდებარე ნაშრომში იმიტაც აღინიშნება, რომ ყურადღების ცენტრში მოექცა არა მხოლოდ ხელნაწერები და მათი განსხვავებათა ჩვენება, არამედ ცალკეული რედაქციების შიგნით არსებულ ხელნაწერთა საერთო ნიშნების გამოკვლევა. იგი საფუძველს ქმნის, რათა ტექსტის განვითარების სიღრმეში ჩავიხედოთ და აღნიშნულ ხელნაწერთა ახლო თუ შორეული პროტოგრაფების ხასიათი შევიცნოთ. შედეგების სახით მკითხველი ამას დაინახავს წარმოდგენილ სქემაზეც. სადაც ხელნაწერთა შორის გარკვეულ ურთიერთობათა მინიშნებასთან ერთად წარმოდგენილია მათი სავარაუდებელი წყაროები, ანუ პროტოგრაფები, რომლებიც თავის მხრივ უკ-

²⁵ ა. შანიძე. დღევანდელი ეპოპება ვეფხისტყაოსნის ტექსტის დაჯგუფების საქმეში, მნათობი, 1965, XI. გვ. 139.

ლედურ რგოლებს წარმოადგენენ პირვანდელ დედაშა და ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერებს შორას.



გრაფიკულ ნახაზზე, რომელიც სქემატურად ასახავს ვეფხისტყაოსნის ტექსტის უმთავრეს ეტაპებს, ხაზგასმით შეინიშნება ორი უმთავრესი მომენტი, რომელიც გამოხატავს აღნიშნული სქემის რეალურ შინაარსს და რომლის აღნიშვნა ავტორს სავალდებულოდ მიაჩნია.

პირველი ის არის და, ჩემი აზრით, ეს აშკარად ჩანს, რომ ცალკეული რედაქციები პირველიდან მეოთხემდე ერთმანეთის განვითარებაგავრცობას კი არ წარმოადგენენ, არამედ მეტ-ნაკლებად დამოუკიდებ-

წელი განვითარების გზები აქვთ გავლილი და თუ სიღრმისეული გან-
ზომილებით შევხედავთ. ძალზე შორეული საერთო პროტოგრაფიდან
მომდინარეობენ.

ასევე რედაქციათა თანმიმდევრობის აღნიშვნა არც პირობითია და
არც შემთხვევითი. ავტორის მოსაზრებით, და ეს, ვფიქრობ, ჩანდა ნაშ-
რომის მთელ მანძილზე, ვეფხისტყაოსნის შედარებით ძველი რედა-
ქცია, რომელსაც დაუცავს საგარაუდებელ დედანთან შედარებით ახლო-
მდგომი პოემის შედგენილობა, არის სწორედ პირველი რედაქცია,
რომელსაც მეტ-ნაკლები ცვლილებებით ჩვენამდე რამდენიმე ხელნა-
წერის სახით მოუღწევია.

რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ის ფაქტი, რომ თარიღით ზოგი
ხელნაწერი²⁶, რომელიც ამ რედაქციაში შემოდის, მართლაც წარმო-
შობილხაც სიძველეს ამჟღავნებს, მაგრამ ეს სრულიადაც არ არის უმთა-
ვრესი. არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ ხელნაწერის სიძველე ჭერ კიდევ
არ ნიშნავს ტექსტის სიძველეს და შედარებით უფრო ახალ ხელნაწერ-
ში შესაძლებელია ტექსტი უფრო ძველი და არქაულიც იყოს, ვიდრე
ძველ ხელნაწერში. ამის მაგალითები, შორს რომ არ წავიდეთ, ჩვენ
არც თუ მცირე ვნახეთ თვით ვეფხისტყაოსნის ხელნაწერების მიმოხი-
ლვის დროს. ამის გამო ძველ რედაქციათა შორის მოვაქციეთ არა თუ
მე-18, ზოგჯერ მე-19 საუკუნის ნუსხებიც, რადგან ეს ხელნაწერები
მეტ-ნაკლებად იცავენ ვეფხისტყაოსნის ტექსტის შედარებით ძველ
ტრადიციას.

პირველი რედაქციის სიძველე, უწინარეს: ყოვლისა, ეყრდნობა
იმ დებულებას, რომელიც აღიარებს სწორედ ტექსტის თანდათანობითი
გავრცელების ტრადიციას²⁷. ამ თვალსაზრისით აღნიშნულმა რედაქციამ
შემოგვინახა ვეფხისტყაოსნის სხვა რედაქციათა შორის შედგენილობით
უველაზე არქაული სახე, რომელიც ჭერ კიდევ არ არის ძლიერად გადა-
ტვირთული ინტერპოლაციებით (გავიხსენოთ ჩანართების ა პლასტი).

ნათქვამის შემდეგ, მინდა დამატებით მოვიტანო რამდენიმე საბუ-
თი. რომლებიც უეჭველად ამაგრებენ წარმოდგენილ შეხედულებას.

როგორც ცნობილია, ამჟამად მოგვეპოვება პოემის ტექსტის რამ-
დენიმე ფრაგმენტი, რომლებიც თარიღით ძველ ხანას მიეკუთვნებიან.

ა) პირველ რიგში აღსანიშნავია რუსთველოლოგთათვის კარგად
ცნობილი ფრაგმენტი, რომელიც ზეპირ ჩანაწერს უნდა წარმოადგენ-

²⁶ მაგალითად. პირველი უძველესთარიღიანი ნუსხა E. გადაწ. 1646 წელს
და სხვ.

²⁷ შტრ. ა. შანიძის ანალოგიური აზრი მკვლევრის ზემოთ ნახსენებ წერილში.

დეს და მიწერილია მესხეთში მდებარე ვანის ქვაბებში²⁸. მინაწერს გეკლევარნი ერთხმად მე-15 საუკუნისად თვლიან, ხოლო ფრაგმენტი მოცულობით ორი სტროფით განისაზღვრება. გარკვეული ინტერესის გამო მოვიტან მთელ ტექსტს:

„ქ. ციხეს ვნი ეზო მაღალსა, თუ[ა] ლნ[ი] [ძლივ] შემომაცდება
გზა გურაბ[ი]თა შემოვლენ, მცველნი მაზედა ლგებიან,
მაშიგან ორნი გეშაგნ[ი] ნაბაღსა არა ლაცდება,
მათსა შემბელსა დაჰოცენ, ცეცხლურებ მოედებ[ი]ან.
ჩემო, ნუ მოხუ[ა]ლ ჩემზედან სხუ[ა]თა მებრძოლთა წ[ე]სითა.
ნურცა მე მომკლ[ა]ვქი კირითა ამისგან უარესითა,
ღამთმეთა, დაგთმობ კირითა ამისგან უ[ა]რესითა“²⁹.

მიუხედავად მძიმე დამახინჯებებისა (მიზეზი ზეპირი ჩანაწერია), აქ გამოირჩევა ზოგი წაკითხვის თავისებურება, რომელიც გარკვეულ ანალოგიებს პოულობს ხელნაწერებში. მაგალითად. თავისი იერით ძირითადად პირველი რედაქციის ხელნაწერებთან ახლოა სიტყვები „ეზო(მ)“, „მაზედა(ნ)“ და სხვ; მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა პირველ სტრიქონის სარითმო სიტყვა „შემომაცდება“ (!). თუ გავიხსენებთ, რომ მესამე რედაქციის ხელნაწერებზე (მაგ. ABCMX — „გარდა-სცვლებიან“) დაყრდნობით თანამედროვე გამოცემებში მიღებულია წაკითხვა „გარდასწვლებიან“, აქ მნიშვნელოვან სხვაობასთან უნდა გვექონდეს საქმე. მაგრამ ირკვევა, რომ ეს სიტყვა აქ სრულიად არ არის შემთხვევითი და სწორედ შედარებით ძველი რედაქციის შემცველი ნუსხები გვაძლევენ ამ სიტყვის ახლო ვარიანტებს: „შემოსწვლებიან“ „შემოსცვლებიან“, „შამოწვებიან“ და ა. შ.

გარდა იმისა, რომ ასეთი წაკითხვები კონტექსტისათვის უფრო მისაღები ჩანს (ისეთ მაღალ ციხეში ეზოვარ, რომ თვალი ძლივს შემოსწვლებათ), შ. ონიანის მართებული დაკვირვებით, აღნიშნული ნაწყვეტი ძირითადად სწორედ შედარებით ძველი რედაქციის მქონე ხელნაწერში დასტურდება³⁰.

ბ) თუ ქვემოთ მოტანილი ფრაგმენტის პირველ აღმწერს ვერწმუნებით (პალეოგრაფიულ ნიშნების ანალიზის საფუძველზე), S — 3486

28 იხ. ვ. ციხკარიშვილი. წარწერები ასპინძის რაიონიდან. მასალები საქართვე. და კავკას. ისტორიისათვის, 30, 1954. გვ. 167—180; შ. ონიანი. ვეფხისტყაოსნის ორი სტროფი ვანის ქვაბთა მონასტრის ერთ წარწერაში, კ. კეკელიძისადმი მიძღვნილი კრებ. 1959. გვ. 287—293 და სხვ.

29 მომავს შ. ონიანის მიერ აღდგენილი ტექსტი, იხ. იქვე.

30 შ. ონიანი, ვეფხისტყაოსნის ორი სტროფი ვანის ქვაბთა მონასტრის ერთ წარწერაში, კ. კეკელიძისადმი მიძღვნილი კრებ. 1959 წ. გვ. 291.

ხელნაწერის აშიაზე (36r) მე-14 საუკუნის ხელით მიწერილია ვეფხისტყაოსნის ორი სტრიქონი³¹:

„ვაი სოფლო, რა[ს] მპბრუნებ. რაშინ(“) ხარ, რა ზნე ვკირსო.
ყოველი შენი მონდო[ძალი] [ნია] დაგმცა ჩემებრ ტირო“ (სტრ. 951)

განსხვავებულ ვარიანტთაგან მთლიანად იკითხება მხოლოდ სიტყვა „მპბრუნებ“, რაც იმით არის აღსანიშნავი, რომ მხოლოდ პირველი რედაქციის ნუსხებშია შემონახული (იხ. E და F ხელნაწერების წაკითხვა), ე. ი. აღნიშნული ფრაგმენტი სწორედ ამ რედაქციასთან ამკლავნებს სიახლოვეს.

გ) ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საგულისხმო მონაცემებს იძლევა ილია აბულაძის თაოსნობით ამ რამდენიმე წლის წინ ახალციხეში მოპოვებული ხელნაწერის ფრაგმენტი, რომელსაც შემოუნახავს ვეფხისტყაოსნის 24 სტროფი³². ფრაგმენტის სიძველესთან ერთად აქ მოთავსებული ტექსტი საგულისხმოა წაკითხვებით, მაგრამ მათი დეტალური ანალიზი შორს წაგვიყვანდა, მით უფრო, რომ ასეთი სამუშაო უკვე შესრულებულია. განსვენებულმა მეცნიერმა შეუჯერა აღნიშნული ფრაგმენტი ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებს და გამოიტანა ჩვენი საკითხისათვის ძალზე მნიშვნელოვანი დასკვნა: „გაირკვა, რომ თავისი განსხვავებულ წაკითხვებით ჩვენი ფრაგმენტი გვერდში უდგას უფრო მეტად ხელნაწერთა ერთ ჯგუფს. ესენია F (S — 2829), Z (W — 27), K (S — 4499), I (Q — 261), R (Q — 930)“. როგორც ვხედავთ, ეს ჯგუფი და მასში შემავალი ხელნაწერები, გარდა ერთისა (K), ჩვენ მიერ პირველ რედაქციად სახელდებული ტექსტის მქონე ნუსხებია³³. ახლა კი ისევ რედაქციათა თანამიმდევრობის საკითხს დაუბრუნდეთ:

შესაბამისად, ზემოთ აღნიშნული შეხედულების გათვალისწინებით არის გამოყოფილი ვეფხისტყაოსნის მეორე და მესამე რედაქცია, რომელთა ჩამოყალიბება ტექსტის განვითარების შედარებით მომდევნო

31 თ. ბ რ ე გ ა ძ ე, ვეფხისტყაოსნის კიდევ რამდენიმე ტაეპი ძველ ხელნაწერთა ნინაწერებში, ხელნაწ. ინსტ. მოამბე. ტ. IV, 1962, გვ. 93.

32 ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, ვეფხისტყაოსნის ახლად მიკვლეული უძველესი (XVI) ხელნაწერის ფრაგმენტი, მაცნე, №3, 1964, გვ. 142—150. ფრაგმენტი შეიცავს პოემის 867—878, 1069—1080 სტროფებს.

33 K ხელნაწერის აქ მოთავსებაც არაა შემთხვევითი, რადგან იგი მე-4 რედაქციის შემცველი ნუსხაა, ხოლო მე-4 რედაქცია სწორედ ყველაზე ახლოსაა პირველი რედაქციის სავარაუდო პროტოგრაფთან (იხ. სქემა № 5). ხოლო ილია აბულაძის მიერ დასახელებულ ხელნაწერთა ჯგუფი ჩვენ უკვე 1963 წელს გამოცემულ წიგნში (ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები) გვქონდა გამოყოფილი პირველ რედაქციად. რაც პატივცემულ მკვლევარს, რატომღაც აღუნიშვნელი დარჩენია.

ეტაპებს წარმოგვიდგენენ. მართლაც, მეორე რედაქციაში ძირითად ტექსტს უკვე ერთის ა და ბ, ხოლო მესამე რედაქციას ა, ბ და გ პლასტები, რაც თავისთავად ცხადყოფს მათ აღვილს ტექსტის განვითარების მთელ მანძილზე, აქვე უნდა აღინიშნოს, და ეს სქემაზეც არის ასახული, რომ მეორე და მესამე რედაქცია ერთმანეთთან უფრო დაახლოებული არიან და მათ უფრო ახლო მოეპოვებათ საერთო პროტოგრაფი.

რაც შეეხება მეოთხე რედაქციას, აქ ერთ სპეციფიკურ მომენტთან გვაქვს საქმე. იგი სათავეს იღებს პირველი რედაქციიდან, უფრო სწორად, ამ რედაქციის სავარაუდო პროტოგრაფიდან, და უშუალოდ მას უმატებს ჩანართებს და პლასტს (ბ და გ პლასტების გამოტოვებით). მაგრამ ამასთან დადგინდა ისიც, რომ ასეთი ცვლილებანი მოხდა შედარებით გვიან ხანაში (იხ. ზემოთ ამ რედაქციაში შემავალი ხელნაწერებისა და, კერძოდ, და პლასტის წარმოშობის შესახებ), რის გათვალისწინებით ხელნაწერთა ეს ჯგუფი და მათი სავარაუდო პროტოგრაფი მეოთხე რედაქციად იქნა გამოყოფილი, რაც სათანადოდ ასახულია კიდევ წარმოდგენილ სქემაში (იხ. სტემა № 5).

ვეფხისტყაოსნის ტექსტის განვითარებიდან გამომდინარე ზემოთ აღნიშნულ დებულებებს — ა) პირველი რედაქციები შედგენილობით უფრო არქაულია, ბ) პოემის ტექსტის ცალკეული რედაქციები მეტნაკლებად დამოუკიდებელი გზით ვითარდებოდა — გარდა ზოგად-თეორიული მნიშვნელობისა, რომელიც ტექსტის ისტორიაზე სწორი თვალსაზრისის შემუშავებას გულისხმობს, ვფიქრობ, გარკვეული პრაქტიკული ღირებულებაც მოეპოვება ვეფხისტყაოსნის ტექსტის აღდგენის საქმეში.

ამ უკანასკნელი სფეროდან, მაგალითად ავიღოთ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც განსაკუთრებულად ფაქიზ მიდგომას მოითხოვს. ეს არის ცალკეულ რედაქციათა თუ ხელნაწერთა გამოყენების საკითხი ვეფხისტყაოსნის ტექსტის აღდგენის, კერძოდ, დამახინჯებული წაკითხვების გამართვის დროს. ხომ არ უნდა მივიცეს პრიორიტეტი ამ თვალსაზრისით ტექსტის აღდგენის დროს პირველ ან საერთოდ რომელიმე რედაქციას, ან მასში შემავალ ხელნაწერებს? თუ გავითვალისწინებთ ტექსტის განვითარების რეალურ გზებს (რაც გრაფიკულად ასახულია კიდევ წარმოდგენილ სქემაზე), ამას უარყოფითი პასუხი

უნდა გავცეთ. ვეფხისტყაოსნის წაკითხვათა გამართვის დროს თანაბარი ყურადღებით უნდა მოვეპყრათ ოთხივე რედაქციასა და მათში შემავალ ხელნაწერებს (რასაკვირველია, ხელნაწერის ზოგ ინდივიდუალურ თვისებათა გამორიცხვით)³⁴ და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში კონკრეტულმა ანალიზმა უნდა გვიჩვენოს ტექსტის აღდგენის რეალური გზები.

ამის გამო არ შემიძლია არ გვაკეთო ერთი შენიშვნა, რომელიც გამოწვეულია ბოლო ხანებში აშკარად დამკვიდრებული ერთი ტენდენციით. ზოგი მკვლევარი ვეფხისტყაოსნის ტექსტზე მუშაობის დროს აშკარად წინ წამოსწევს ხელნაწერთა ერთ ჯგუფს, რომელსაც ჩვენი კლასიფიკაციით მესამე რედაქცია ეწოდება. კერძოდ, საუბარია ისეთ ცნობილ ხელნაწერებზე, როგორცაა A (H — 757, გადაწ. 1671 წ.), B (H — 59, გადაწ. 1680 წ.), C (H — 2074, გადაწ. მე-17 საუკ. შუა წლებში) M (Q — 779, გადაწ. მე-17 საუკ. შუა წლებში) და სხვ.

ამ ხელნაწერებში რომ ორთოგრაფია შედარებით უკეთ არის დაცული (როგორც ჩანს, მათ უფრო კვალიფიციურ გადამწერთა ხელში გამოუვლიათ), ეს ადრეც იყო შემჩნეული³⁵. ამ ხელნაწერთა ღირსებანი აღნიშნა, ამასთანავე დიდი მეცნიერული სიფრთხილით, ა. შანიძემაც თავის შემაჯამებელ ხასიათის წერილში: „აღდგენილი ვითარება ვეფხისტყაოსნის ტექსტის აღდგენის საქმეში“, რომელიც 1965 წელს გამოქვეყნდა: „ტექსტის ვითარება რუსთველისეულ ნაწილში უფრო სანდოა სამ ხელნაწერში, რომელთაგან ერთი (A) 1671 წელს არის გადაწერილი; მეორე (B) — 1680 წელს, მესამეს კი (C-ს) თარიღიც აღარ შემორჩენია, მაგრამ პალეოგრაფიული ნიშნებით ისიც მე-17 საუკუნისაა. ამ ხელნაწერში უფრო შემონახულია ძველი ორთოგრაფია (მაგ. უმარცვლო უ-ს ხმარება ზოგიერთი ფუძის სიტყვებში) და ტექსტიც უფრო გამართულად არის წარმოდგენილი, თ უ მ ც ა შ ე რ ყ ვ ნ ი-

34 მაგალითად, ზოგი ხელნაწერის გადამწერი უფრო თავისუფლად ეკიდება გადმოსაწერ მასალას და ბევრ საკუთარ გლოსას თუ გააზრებას ახვევს თავს ტექსტს, მაგრამ ამის გამორკვევა შესაძლებელია და მათი გამორიცხვის შემდეგ ხელნაწერში ყოველთვის რჩება ტექსტის აღდგენისათვის საყურადღებო ფენა.

35 იუსტ. ა ბ უ ლ ა ძ ე, ვეფხისტყაოსნის 1914 წ. გამოც. შესავალი წერილი. თუმცა იგი აქაც და მეორე გამოცემაშიც (იხ. გვ. XXIV) მაინც პარიორიტეტს მოკლე ხელნაწერებს (ჩვენი რედაქციით პირველს) ანიჭებდა, რაც მეთოდოლოგიურად აგრეთვე არ არის სწორი.

ლი ადგილები ამათშიც ბევრია. საერთოდ, არ არის არც ერთი ხელნაწერი, რომ ყველაფრად სანდო იყოს³⁶.

ზაზგასმული სიტყვები არსებითად არ ეწინააღმდეგება ჩვენს დებულებას, პირიქით, თუ არც ერთი ხელნაწერი ან ხელნაწერთა ჯგუფი ცალკეულად არ არის სანდო, მაშასადამე, სწორედ ყველა რედაქცია (და მათში შემავალი ნუსხები) უნდა იქნას სათანადოდ გამოყენებული ტექსტის დადგენის პროცესში³⁷.

მართლაც დამახინჯებულ ადგილებთან ერთად, როგორც ცნობილია, მესამე რედაქციის ნუსხებმა შემოგვინახეს ბევრი ორთოგრაფიულად გამართული ადგილი და აშკარად ავთენტიკური წყაითხვები. ამის სანიშნუ- შოდ აქ შეიძლებოდა მრავალი მაგალითის მოტანა, მაგრამ ეს იმდენად ცხადია და ნაკლებ საკამათო, რომ ჩამოთვლა ზედმეტად მიმაჩნია.

მაგრამ სხვა რედაქციების (მათ შორის, პირველ რიგში, პირველი რედაქციის) ასეთივე თვალსაზრისით შესწავლა აშკარად ხდის იმასაც, რომ ამ რედაქციათა ნუსხებში შემონახულია ბევრი უნიკალური და უცილოდ მართებული წყაითხვა, და რომ ეს რედაქციები არა, ჩვენ

³⁶ მნათობი. 1965, №14, გვ. 138. ეგვეე მოსაზრება სათანადო შენიშვნით გამო- ორებულია ა. შანიძის მიერ დაწერილ განმარტებით ბაათში, რომელიც 1966 წლის ვეფხისტყაოსნის გამოცემას (რედაქტ. ა. შანიძე, ა. ბარამიძე), ერთვის: „ABC ხელ- ნაწერების ტექსტი, საერთოდ სხვა ხელნაწერებისას სჯობს, მაგრამ ზოგჯერ სწორედ აქ არის მიუღებელი ფორმები“ (გვ. 014) და მოტანილია ამის დამადასტურებელი მაგალითებიც.

³⁷ მაგრამ ა. შანიძის მიერ სათანადო შენიშვნით გამოთქმული ეს მოსაზრება ლიდურესობამდე განავითარა ზოგიერთმა. მაგალითად, ახალგაზრდა მკვლევარი ბ. დარჩია ყოველგვარი შენიშვნის გარეშე აღნიშნავს: „წყაითხვების მხრივ შედარე- ბით პირველადი ტექსტი რომ უფრო ABC და მასთან ახლო მდგომ ხელნაწერებშია შემონახული, ეს ჩანს მთელი ვეფხისტყაოსნის მანძილზე და, მათ შორის, „ხვარაზ- სელთა ამბის“ „მონაკვეთზეცო“. უფრო მეტიც, ამის აღიარებით ისიც დაასკვნა, რომ თურმე მოკლე ხელნაწერები (ჩვენი აღნიშვნით პირველი რედაქცია — ს. ც.) ვრცელი ხელნაწერების შემოკლებას წარმოადგენენ და ეს გაბედული დასკვნა მან ისე მიიღო, რომ არც კი განუხილავს ამ თვალსაზრისით პოემის შუა მონაკვეთი და მსჯელობა „ხვარაზმელთა ამბის“, ისიც არასწორად გაგებულ, ტექს- ტულურ თავისებურებებს დააყრდნო. ბ. დარჩიას მიერ წამოყენებული მოსაზრება ვერც ერთ პუნქტში კრიტიკას ვერ უძლებს და სრულიად უგულვებელყოფს ვეფხის- ტყაოსნის ტექსტის განვითარების რეალურ ვითარებას (მაცნე. № 2, 1967).

ABC ხელნაწერებით ერთგვარი გატაცება ჩანს, მაგალითად, ც. კარბელაშვილის ნა- შრომშიც ვეფხისტყაოსნის კლასიფიკაციის საკითხებზე, თუმცა აქვე იგი მართებულად შენიშნავს და ფაქტურად იზიარებს ჩვენ შეხედულებას, რომ ხელნაწერული რედა- ქციები უშუალოდ ერთმანეთიდან არ მომდინარეობენ, და, ამდენად, მათ ერთნაირად უნდა გავწიოთ ანგარიში ტექსტის დადგენის დროს (იხ. ზემოთ დასახ. კრებ. შოთა რუსთაველი, გვ. 349).

ბევრ ასეთ წაკითხვას ვეღარც მივაგნებდით, რითაც ძალზე დაზარალდებოდა ვეფხისტყაოსნის ტექსტის აღდგენის საქმე.

ჯერ შედარებით ცნობილ მაგალითებზე შევჩერდეთ, რომელთაგან ზოგს ვაკვრით ზემოთაც შევუხეთ.

ა) ვავიხსენოთ ეპიზოდი, როცა ფატმანი საიდუმლოს გაანდობს ავთანდილს და ნესტანს ზღვათა სამეფოში, ხოლო შემდეგ ქაჯთა ტყვეობაში მოხვედრის ამბავს მოუთხრობს. „დაფარული“ ვაცხადდა და ავთანდილი სიხარულმა მოიცივა, თუმცა ჯერ კიდევ არ უმქლავნებს ფატმანს თავის ვინაობას:

ესე ამბავი ავთანდილ პირ-მზემან მაკარ-ვადამან.

რა მოსმინა, ეამა, სხვად არა გუყუცხადა მან,

შეჴწირა ღმერთსა მძღობა ტურფამან დანაბადამან:

„ამბავი ჩემი სალხინო მითხარე ვისმანლა დამან“ (1244).

ეს მშვენიერი სტროფი და, კერძოდ, მისი პირველი სტრიქონის ბოლო ძალზე დამახინჯებული იყო ხელნაწერებში და, შესაბამისად, მასზე დამყარებულ გამოცემებში. მაგალითად, მესამე რედაქციის ნუსხებში იკითხებოდა: „მაგრა ვადამან“ (იხ. ხელნაწ. ABC და სხვ.), რაც აშკარად ბუნდოვანია და შინაარსობრივად შეუსაბამო: თუ იგი პირ-მზე იყო, რას ნიშნავს მისი საპირისპირო „მაგრა ვადა“? პირმზე კი იყო, მაგრამ ვადიანიც იყო, სრულიად შეუსაბამო დაპირისპირებაა და სწორედ, როგორც ჩანს, ამასვე გამოუწვევია სხვაგვარი ვარიანტების გაჩენაც. ერთი ხელნაწერი კითხულობს: „ია ვარდამან“ (H), რითაც ხსნის ამ დაპირისპირებას, მაგრამ მხატვრულად და ენობრივადაც („ვარდამან“) დაუხვეწავ შთაბეჭდილებას ტოვებს, დიარღვა რითმის კლაუზულაც „ადამან“ (გაჩნდა ზედმეტი ბგერა რ). პოემის გამოცემათა ზოგიერთი რედაქტორი კიდევ უფრო შორს წავიდა და კონიექტურის წესით ახალი შინაარსობრივი ელემენტი შემოიტანა ტექსტში. იუსტ. აბულაძე ასე ასწორებს ამ ადგილს: „პირ-მზემან, მაგრ ავადამან“ (ეს კონიექტურა გაიზიარა პ. ინგოროყვამაც 1953 წ. გამოცემაში). ე. ი. ავთანდილი პირ-მზე კი იყო, მაგრამ ამ დროს ავად ყოფილა, ავადმყოფად გამოიყურებოდაო, რაც არც ერთ პუნქტში არ შეესაბამება კონტექსტს. ასევე კავშირი „მაგრ“ ასეთი ფორმით საერთოდ უცნობია ვეფხისტყაოსნის ენისათვის.

დამახინჯებულ ადგილს სავსებით აღადგენს ხელნაწერი — F (S—2829 და Y (H — 740)), ორივე პირველი რედაქციისაა³⁸. და რომ ამ ნუსხათა ჩვენება არა, ძალზე გაჭირდებოდა აღნიშნული ადგილის გამარ-

³⁸ იხ. ზემოთ ამ ხელნაწერთა რედაქციული დახასიათება.

თვა, დაიკარგებოდა ძალზე მოხდენილი, ინდივიდუალური შტრიხით ხაზგასმული მხატვრული სახე: „მაგარ ვადა“, რაც მარჯვე მოყმის, ხმლის ძლიერ ვადიანი კაცის შეკუმშული ფიგურალური სახე-თქმაა და ვეფხისტყაოსნის ავტორის თავისებური პოეტური ხელწერის კიდევ ერთი საბუთთავანია³⁹. სახის შედარებითა სირთულემ, როგორც ჩანს, გამოიწვია გადამწერთა ტექსტუალური ოპერაციები, მაგრამ პირველი რედაქციის ორ ხელნაწერში მაინც შემორჩა აშკარად ვეფხისტყაოსნის ავტორისეული წაკითხვა.

ბ) ვეფხისტყაოსნის მესამე რედაქციის ერთ-ერთ ძირითად ნუსხაში A (H — 757) საიუბილეო გამოცემის 641-ე სტროფის პირველი სტრიქონი ასე იკითხება: „ფრიდონ საჯდომნი დამიდგნა ადგილსა ს ა ბ ა ტ ო ნ ო ს ა“... (ასეა აგრეთვე ამავე რედაქციის სხვა ნუსხებშიც. მაგალით. B, C, M და ზოგ სხვა რედაქციის მქონე ნუსხებშიც). თუ ხაზგასმული სიტყვა სრულიად ბუნებრივია აღორძინების ხანის ეპოქისათვის, როცა ალბათ ეს გლოსა წარმოიშვა, იგი აშკარად ანაქრონიზმია კლასიკური ეპოქისათვის. ივანე ჭავჭავიძელმა, რომელმაც გამოიკვლია ტერმინების „პატრონი“, „ბატონის“ ურთიერთობა. ცხადყო, რომ მეორე პირველის განვითარებაა და იგი შემდგომი ეპოქის პირშეშაა. კერძოდ ახალ-სოციალურ ურთიერთობის დამყარებასთან ერთად („პატრონყმობა“ შეცვალა „ბატონყმობამ“) მე-15 საუკუნეში მაინც უკვე გამოიყენება ახალი ტერმინი „ბატონი“⁴⁰.

ფაქტია, რომ აქ გვიანდელ დამახინჯებასთან გვაქვს საქმე, მაგრამ, საბედნიეროდ, ამ დეფექტს ასწორებენ სხვა რედაქციების ხელნაწერები. წაკითხვა საპატრონოსა ერთხმად იკითხება პირველი რედაქციის (EFIZ) და აგრეთვე სხვა რედაქციების მქონე ზოგ ნუსხაშიც (მაგ., D, G, H, J, K და ა. შ.). მაშასადამე მხოლოდ მესამე რედაქციის ნუსხებზე დაყრდნობა უქველად მცდარი გზით წაგვიყვანდა, ან კი კონიუქტურით უნდა დაგვეღწია თავი ზემოთ აღნიშნული უხერხულობიდან.

გ) იმ ეპიზოდში, სადაც ხვარაზმელთა სასიძოს მოწვევის გამო განრიხსებულნი ნესტანის დამშვიდებაა გადმოცემული, გვხვდება ასეთი

³⁹ იხ. ჩემი წერილი „ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემის გამო“. ახალგ. კომუნისტი, V. VI. 54.

⁴⁰ ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე. ნაკვ. 1, 1928, გვ. 64, 102, იხ. აგრეთვე, კ. კ ე ე ლ ი ძ ე, ეტიუდები, 1961, ტ. VIII. გვ. 289.

სტროფი, რომელსაც მე შეგნებულად მესამე რედაქციის A ხელნაწერის მიხედვით მოვიტან:

მე ღმრთისაებრად მომიტკბა, გამწყრალი, გამქისებული:
ანუ შუე იყო ქვეყანად. ან მთვარე პირ-გავსებული;
ახლოს დამისვა, დამიტკბა აქამდის არ-ღირსებული;
მეუბნებოდა, დამივსო ცეცხლი ამითა გზებულნი (538).

ამ სტროფში სადავო შეიძლება სხვა ადგილებიც იყოს (მაგ., პირველი სტრიქონის წაკითხვები), მაგრამ განსაკუთრებით დამახინჯებული ჩანს მესამე სტრიქონის ხაზგასმული ფრაზა. რას ნიშნავს „დამიტკბა აქამდის არ-ღირსებულნი“? თუ „დამიტკბა“ სუბიექტად ნესტანს გულისხმობს, მაშინ რასთანაა შეთანხმებული „არ-ღირსებულნი“? ამასთან სიტყვა „დამიტკბა“ ტავტოლოგიას ქმნის პირველი სტრიქონის დაახლოებით იმავე ფორმაში ჩასმულ სიტყვასთან „მომიტკბა“, რაც მხატვრული თვალსაზრისით აშკარად აქვეითებს სტროფის პოეტურ ღირსებას.

როგორი ვითარებაა ხელნაწერებში? A ხელნაწერის წაკითხვას იმეორებს როგორც მესამე რედაქციის ყველა ნუსხა (B, C, M, X და სხვ.), ასევე სხვა რედაქციათა რიგი ხელნაწერებიც.

ამ შემთხვევაშიც ერთადერთ და, ჩემი აზრით, სრულიად მართებულ წაკითხვას გვაძლევს რამდენიმე საგულისხმო ნუსხა. პირველი რედაქციის ოთხ ნუსხაში (EFIZ) ვკითხულობთ: „ახლოს დამისვა, მაღირსა აქამდის არ-ღირსებულნი“ ე. ი. ნესტანმამის მღირსაო, ამბობს ტარიელი, რაც მანამდე მისგან არ მღირსებიაო. ენობრივად გამართულია ტექსტი და მხატვრულადაც ახალი ელემენტითაა გაძლიერებული: ფრაზის ექსპრესიულობას ქმნის რუსთველისათვის დამახასიათებელი ხერხი — ერთი და იმავე სიტყვის სხვადასხვა ფორმაში დაყენება, რაც ვერბალური ალიტერაციის მშვენიერი მაგალითია. საგულისხმოა, რომ ამავე წაკითხვას იცავს მეოთხე რედაქციის კიდევ ორი ხელნაწერი (J და T), რაც სრულიად ბუნებრივია, თუ გავიხსენებთ მე-4 რედაქციის განსაკუთრებულ სიახლოვეს პირველ რედაქციასთან (იხ. ზემოთ სტემა № 5).

დ) რომ არ შეიძლება მთლიანად დავეყრდნოთ მესამე რედაქციის ნუსხებს, ეს კარგად ჩანს იმავე გამოცემიდან (1966 წ. აღ. ბარამიძისა და ა. შანიძის რედაქც.), რომლის შესავალ წერილში პრიორიტეტი ამ რედაქციას აქვს მინიჭებული (იხ. ზემოთ). ავილოთ, მაგალითად, 424-ე სტროფი, სადაც ხელნაწერთა უმრავლესობაში დამახინჯებული იყო ერთი სიტყვა:

გვერდსა დავისხენ ვაზირნი, კიუბნეთ, გავიზარებნით;
მოთხრეს, თუ: „ხარო ყმაწვილი, ბრძენი მით კადრებთ გლახ, ენით —

მოუთხრობს ავთანდილს ტარიელი ხატეათში ლაშქრობის გამო. აშკარად უადგილოა აქ „ყმაწვილისა“ და „ბრძენი“-ს (ან ზოგი ხელნაწერით „ბრძენნი“) დაპირისპირება და ამ შეუსაბამობას ასწორებს მოკლე რედაქციის ხელნაწერი F, სადაც იკითხება: ბერნი. ეგევე წაკითხვაა მიღებული 1966 წლის ზემოთ აღნიშნულ გამოცემაში. ამგვარი მაგალითები ბევრია და აქ კიდევ ერთ მაგალითს დავასახელებ; 1966 წლის იმავე გამოცემაში 1937 წლის გამოცემის 799-ს სტროფის მეორე სტრიქონი გამართულია არა მესამე რედაქციის წაკითხვებით, არამედ მოკლე ხელნაწერთა მიხედვით: „შ ე მ დ რ კ ა ლ ს ა, შეშინებულსა და სიკვდილისა მექველსა“. იხ. ხელნაწერები EQ და მეორე რედაქციის D ნუსხა, სადაც ახალი ვარიანტია წარმოდგენილი („შემდრკალსა“). რედაქცია მართებულად მოიქცა რომ არ შემოიფარგლა მესამე რედაქციის წაკითხვებით და ფართოდ ისარგებლა ვეფხისტყაოსნის ტექსტის სხვა რედაქციებითაც⁴¹,

ე) ვარაუდის სახით მიიღო შენიშვნა გამოვთქვა ერთი ადგილის გამო, რომელიც, ჩემი აზრით, არაა სწორად წარმოდგენილი როგორც 1966 წლის საიუბილეო, ისე ალ. ბარამიძისა და ა. შანიძის რედაქციით დაბეჭდილ ტექსტში. საქმე ეხება ვეზირის მოციქულობის გაქო როსტევისანის განრისხების ეპიზოდს:

რა მეფემან მოისმინა. გაგულისჯა გააეცნობდა.

ფერი ჰკრთა და გასაშიშრდა, შემხედველთა შეაშობდა... (756).

ხაზგასმული სიტყვა ასევეა გამოცემებში და მესამე რედაქციის. აგრეთვე სხვა ტიპის ნუსხებიდან მომდინარეობენ. მაგრამ ხაზგასმული სიტყვა პირველი რედაქციის ზოგ ნუსხაში (I, Z) და მეორე რედაქციის ნუსხათა უმრავლესობაში წარმოდგენილია უფრო შესაფერი ფორმით „გაუცნობდა“, რაც უფრო ზუსტად ეგუება კონტექსტს (მეფე გაბრაზდა და უცნობი შეიქმნა) თანაც „უცნობოდ“ გახდომა, გახლეების მნიშვნელობით ძალზე სპეციფიკური გამოთქმაა პოემისათვის (იხ. „რათგან ისი არის სადმე უცნობოდ და ისრე რეტად“ — 216, 1; იხ. აგრეთვე სტრ. 524, 2, 748, 2, 687, 4, 894, 4 და სხვ. არც ის არის დასავიწყებელი, რომ „გაეცნობება“ სხვაგან აღარც გვხვდება). ვფიქრობ, აღნიშნულ ხელნაწერთა ჩვენებს ანგარიში უნდა გაეწიოს და მომავალ გამოცემაში კვლავ გადაისინჯოს ეს ადგილი.

ვარაუდების გამრავლება ჩვენ ძალზე შორს წაგვიყვანდა, მაგრამ ზემოთ მოტანილი ამქამად უქველად მიჩნეული მაგალითებიც, ვფიქ-

⁴¹ შდრ. აგრეთვე სტროფები: 152,1 316,1; 362,4; 507,3; 1210,4 და სხვა მრავალი, რომელთა ჩამოთვლა ზედმეტად მიმაჩნია.

რობ, სრულიად ცხადყოფენ წამოყენებულ თვალსაზრისს: ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენა უნდა ითვალისწინებდეს ტექსტის ისტორიის მონაცემებს და სწორედ ამის გამო. საფუძვლად უნდა ავიღოთ ვეფხისტყაოსნის ოთხივე რედაქცია და მათში შემავალი ნუსხები (ნუსხების ინდივიდუალურ თავისებურებათა გათვალისწინებით).

რაც შეეხება ვეფხისტყაოსნის შედგენილობის შემდგომ დახვეწას, აქ აშკარა პრიორიტეტი უნდა მიეცეს ვეფხისტყაოსნის შედარებით მოკლე (პირველსა და მეოთხე) რედაქციებს, რაც კონკრეტულ მაგალითების საფუძველზე ვაჩვენეთ წინამდებარე ნაშრომის წინა თავებში. თუმცა ამ თვალსაზრისით ხელნაწერთა შეჯერების დროს მთლიანად არც მესამე და განსაკუთრებით, მეორე რედაქციის მონაცემები უნდა იქნეს უგულვებელყოფილი.

ასეთია ჩვენი თვალსაზრისი ვეფხისტყაოსნის ტექსტის აღდგენის კონკრეტულ საკითხებზე და ვფიქრობთ, ამავე მიმართულებით უნდა წარიმართოს მომავალში ვეფხისტყაოსნის ტექსტის აღსადგენი სამუშაოები.

მეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია

(წყაროების საკითხი, ამ რედაქციის გავლენა ხელნაწერთა შემკვიდრებაზე)

მეფხისტყაოსნის მეტად თავისებური რედაქცია მოცემულია ვახტანგის თაოსნობით დაბეჭდილ პოემის 1712 წლის გამოცემაში.

ამ რედაქციის პირველი თავისებურება ისაა, როგორც ზემოთაღვნიშნეთ, რომ აქ პოემის ტექსტი ძველ რედაქციებთან შედარებით, როგორც ძირითად ნაწილში ისე მით უფრო ბოლო თავებში, მოკლეა.

ეს მკვეთრი სხვაობა ჩვენს მეცნიერებაში იმთავითვე ბადებდა კითხვას: ვახტანგისეული გამოცემა წარმოადგენს პირველ მეცნიერულ გამოცემას (Editio princeps), თუ იგი რომელიმე ძველი ხელნაწერის უცვლელი განმეორებაა.

იმის მიხედვით, თუ რომელი მკვლევარი როგორ სვამდა ამ საკითხს თავისებურად ისმებოდა პოემის ტექსტის ისტორიისა და მისგან გამომდინარე ტექსტის აღდგენის საკითხები. ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ იმ მკვლევართათვის (ს. კაკაბაძე, პ. ინგოროყვა, იუსტ. აბულაძე და სხვ.), რომლებიც ვახტანგის გამოცემას ძველი ხელნაწერის უცვლელ განმეორებად მიიჩნევდნენ, საკითხი გარკვეული იყო. მათი აზრით ვახტანგისეულ რედაქციას მეთაური ადგილი ეკუთვნოდა ტექსტების გენეალოგიის დროს. ხოლო ჩვენ მიერ ძველ რედაქციებზე მიჩნეული ხელნაწერები მის შემდგომ განვითარებად მიაჩნდათ.

გზადაგზა ვნახეთ აგრეთვე, თუ რა მძლავრი გავლენა მოახდინა ამ რედაქციამ საერთოდ ტექსტის აღდგენის საკითხებზე და რომდევნო გამოცემათა ჩამოყალიბებაზე.

ვახტანგისეულ რედაქციასთან დაკავშირებული შეხედულებები განხილულია ხოლო უკანასკნელ ხანებში კვლევა-ძიებით მოპოვებული შედეგები შეჯამებულია ჩვენ პირველ მონოგრაფიაში „მეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია“ (1957 წ.) — გამოტანილია სა-

თანადო დასკვნებიც. ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია მე-17 საუკუნის ხელნაწერთა შემოკლების შედეგია. 1712 წლის გამოცემის რედაქტორმა, იცოდა რა ვეფხისტყაოსნის გამგრძელებელთა საქმიანობის შესახებ, საკუთარი შეხედულებისამებრ გაწმინდა პოემა ჩანართი ადგილებისაგან. ამდენად, ამ გამოცემას ტექსტის ისტორიის საკითხში მხოლოდ პირველი მეცნიერული გამოცემის მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს.

საინტერესოა და შედარებით შეუსწავლელია თვით 1712 წლის გამოცემის კონკრეტული წყაროები, რომელზეც მხოლოდ ზოგადი მოსაზრებები იყო გამოთქმული ჩვენს ზემოთ აღნიშნულ წიგნში.

ქვემოთ მხოლოდ ამ ერთ საკითხს ვეხებით იმ ახალი მასალების მოშველიებით, რომელთა მიკვლევა უკანასკნელ ხანებში გახდა შესაძლებელი. რაც შეეხება ვახტანგის კომენტარებში აღძრულ სხვა საკითხებს (ვახტანგის მიერ რუსთველური მიჯნურობის განმარტება, ვეფხისტყაოსნის ლექსიკოგრაფიის საკითხები), მათ ნაშრომის მომდევნო ტომში განვიხილავთ სათანადო საკითხებთან დაკავშირებით.

ს ა კ ი თ ხ ი ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ნ ი ს ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ე უ ლ ი წ ყ ა რ ო ს შ ე ს ა ხ ე ბ ი

ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემის ხასიათის შესახებ, როგორც აღვნიშნეთ, აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ, რადგან უკანასკნელ ხანებში ეს საკმაოდ არის გარკვეული. იგი წარმოადგენს ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა კრიტიკული ათვისების შედეგს. 1712 წლის გამოცემის რედაქტორს მოუცია ისეთი ტიპის მოკლე რედაქცია პოემისა, რომელიც, მისი აზრით, უანლოვდებოდა პირვანდელ მოცულობას. საბუთები, რომლებიც ამავარტყენ ამ დებულებას, მოკლედ შეიძლება ასე გადმოიცეს:

1. ვახტანგისეული რედაქციის ტექსტუალური ანალიზი ცხადყოფს, რომ ამ გამოცემას მრავალი ხარვეზი ახლავს. გამოტოვებულია რიგი რუსთველური სტროფები და ამავე დროს გამოცემაში არის ზედ-

1 პირველად დაიბეჭდა 1966 წ. ლიტერატ. ინსტ. კრებულში: შოთა რუსთაველი; გვ. 165—173.

მეტი ადგილებიც, რაც მიუთითებს რედაქტორის მუშაობაზე ამ გამოცემის ჩამოყალიბების დროს.

2. ვახტანგისეულ გამოცემაში იმგვარ გრამატიკულ ფორმათა აღრევასა და დამახინჯებულ ტექსტულურ წაითხვებს ვხვდებით. რომლებიც მე-17 საუკუნის ხელნაწერებიდან მოდის².

3. ვახტანგისეული გამოცემის ხელოვნურობაზე აშკარად მეტყველებს ამ გამოცემაში დაცული პოემის დაბოლოება. აქ გვაქვს მრავალი შემთხვევა, როცა პოემის შემოკლებულ დაბოლოებაში შეიმჩნევა მე-17 საუკუნის ხელნაწერებით შემონახული ვრცელი რედაქციების კვალი.

4. 1937 წ. ვახტანგისეულ კომენტარიებზე დაკვირვებით, პროფ. ა. შანიძემ დოკუმენტურად დაამტკიცა, რომ ვახტანგ მეექვსე უფრო ვრცელ ტექსტს უკეთებდა კომენტარიას, ხოლო გამოცემის პროცესში კიდევ შეუმოკლებიათ პოემის ზოგი ადგილი.

5. ზოგ მკვლევარს სშირად მოჰქონდა ვახტანგისეული გამოცემის რამდენიმე წაკითხვა, ვითარცა ძველი ხელნაწერებიდან წარმოდინარე. უკანასკნელ ხანებში გარკვეულია, რომ ვახტანგთან ჩვენ თითქმის არ გვაქვს არც ერთი წაკითხვა, თუ რაიმე ორთოგრაფიულ-გრამატიკული ფაქტი, რომელიც მე-17 საუკუნის ხელნაწერებში არ იქონს.

6. იყო ცდები, როცა ვახტანგისეული რედაქციის პროტოტიპს ეძებდნენ ადრეულ ხელნაწერებში. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში იყო ხელნაწერი U(S—5006). რომელიც ერთ-ერთ ასეთ პროტოტიპად იყო აღიარებული. ამჟამად გარკვეულია ამ ხელნაწერის მიმართება 1712 წლის გამოცემისთან: იგი თვითონ არის დავალებული 1712 წლის გამოცემისაგან და ხელნაწერის შუა მონაკვეთი პირდაპირ იმეორებს ვახტანგისეულ გამოცემას³.

ამდენად, ირკვევა, რომ მე-17 საუკუნის ხელნაწერთა შორის არ მოგვეპოვება ვახტანგისეულის მსგავსი ნუსხა და მხოლოდ 1712 წლის გამოცემაში შემუშავდა პოემის ახალი მოკლე რედაქცია.

ვახტანგისეული რედაქციის კვლევის საკითხს აქვს მეორე მხარეც. საქმე ეხება ამ გამოცემის ტექსტულურ წყაროებს. მე-17 საუკუნის ხელნაწერთა შესწავლამ გვიჩვენა, რომ ხელნაწერში დაცულია სხვადასხვა ტიპის ვრცელი რედაქციები. ირკვევა, რომ ხელნაწერები გვაძლევენ სხვადასხვა ტიპის პროლოგს, პოემის შუა მონაკვეთს, გაგრძე-

2 იხ. ა. შანიძე, ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის აღდგენილი გამოცემა, 1937; ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1957; მ. ხუჯალა შანიძე, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, კრებ. „მოთარუსთაველი“, უნივერს. გამოც. 1966.

3 ეს საკითხი გარკვეულია ჩვენს წიგნში: „ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია“, 1957.

ლებებსა და ეპილოგს. ჩვენს შრომაში — „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული რედაქცია“ — ზოგადად გამოთქმულია შეხედულება, რომ ვახტანგისეულ გამოცემას აქვს თავისებური პროლოგი, პოემის შუა მონაკვეთი და ეპილოგი (როგორც ცნობილია, გაგრძელებები ვახტანგისეულ გამოცემაში შეტანილი არაა, ხოლო „ინდო-ხატაელთა ამბავი“ ძალზეა შემოკლებული). ამ სამივე ელემენტით ვახტანგისეულ გამოცემასთან ახლოს დგას მხოლოდ ერთი ჯგუფის ხელნაწერები, რომელთაც „ზაზასეული“ ხელნაწერის გარშემო ვაერთიანებთ⁴; მე-17 საუკუნის ხელნაწერთა შედარებითი შესწავლა, მათი შეჯერება ვახტანგისეულ გამოცემასთან და ზოგი ახალი მასალის მოშველიება უეჭველად ამაგრებს წამოყენებულ მოსაზრებას.

როგორც ცნობილია, ვახტანგისეულ გამოცემაში არის დატული თანმიმდევრობის ძალზე თავისებური პროლოგი. იგი თუმცა შედგენილობით ახლოს დგას კანონიკურად აღიარებულ საიუბილეო გამოცემასთან, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით სტროფული თანმიმდევრობის შესახებ. 1712 წლის გამოცემაში პროლოგის რიგი აღრეულია. მაგალითად. მე-7 სტროფს — „მო, დავსხდეთ ტარიელისთვის...“ — მისდევს არა მე-8 სტროფი („მე რუსთველი ხელობითა...“), არამედ 23-ე სტროფი — „მიჯნურსა თვალად სიტურფე...“; 29-ე სტროფს — „მას უშმაგო ვით მიენდოს...“ — მისდევს არა 30-ე სტროფი, არამედ — მე-8 სტროფი და ა. შ. ვახტანგისეული გამოცემის პროლოგის ეს თავისებურება, როგორც დღეს გარკვეულია, მოდის მე-17 საუკუნის ხელნაწერთა ერთი ჯგუფიდან, სადაც თავდაპირველად უნდა მომხდარიყო პროლოგის თანმიმდევრობის აღრევა⁵. მაშასადამე, ვახტანგის გამოცემის პროლოგის თავისებურებათა წყარო მინიშნებულია. საინტერესოა, რომელ ხელნაწერებს დაუცავთ ამგვარი სტროფული თანრიგის მქონე პროლოგი. ვახტანგისეული გამოცემის ტიპის პროლოგი ამჟამად მოიპოვება შემდეგ ხელნაწერებში:⁶ „ზაზასეული“ ანუ D (Q—1082), G (S—4988), U (S—5006) და აგრეთვე რამდენიმე შედარებით ახალ ხელნაწერში⁷. სამივე ეს ხელნაწერი რედაქციულად ახლოს დგანან ერთმანეთთან და მათ ვუწოდებთ „ზაზასეული“ ტიპის ნუსხებს⁸. საინტერესოა, რომ მე-

⁴ იხ. ზემოთ. ვეფხისტყაოსნის მეორე რედაქციის მქონე ნუსხები.

⁵ იხ. ზემოთ, პროლოგის საკითხების მიმოხილვისას.

⁶ ზოგში დატულია მხოლოდ ფრაგმენტები, ხოლო ზოგი ხელნაწერის პროლოგს აღარც მოუღწევია ჩვენამდე.

⁷ იხ. ჩემი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, 1963, გვ. 47. სადაც ჩამოთვლილია მე-19 საუკუნის ხელნაწერებიც.

⁸ U (S—5006) ხელნაწერის შუა მონაკვეთი ჩამოყალიბებულია თვით ვახტანგის გამოცემის გავლენით იხ. ჩემი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1957. გვ. 42—62.

ღარებით ძველ ხელნაწერთაგან „ზაზასეული“ ხელნაწერების ჯგუფთან ახლოს დგანან ხელნაწერები: H (H—2610), Q (K—215) და L (A—363), მაგრამ სამივე ხელნაწერს დაზიანების გამო პროლოგი არ შეჩენია, და, როგორც ვნახეთ, შესაძლოა არც ჰქონდათ მათ დაზიანებული პროლოგი (იხ. ზემოთ).

უნდა დავასვენათ: ძველ ხელნაწერთაგან ვახტანგისეული ტიპის პროლოგი მოეპოვებათ ე. წ. „ზაზასეული“ ტიპის ნუსხებს, რომელთაგან ტექსტი ამჟამად რეალურად არის „ზაზასეულში“ D (Q—1082), V და G ხელნაწერებში, ე. ი. ვახტანგისეული გამოცემის წყაროდ პოეზის ამ ნაწილში უნდა ვივარაუდოთ ამ ჯგუფის ხელნაწერები.

თითქოს უფრო რთული ჩანს იმის გარკვევა, თუ პოემის შუა მონაკვეთით (ე. ი. პროლოგიდან „ხვარაზმელთა ამბავამდე“) ხელნაწერთა როგორი რედაქცია აიღო 1712 წლის გამოცემის რედაქტორმა საფუძვლად. ამას ართულებს ის ცნობილი გარემოება, რომ ვახტანგისეული რედაქცია არსებითად წარმოადგენს მე-17 საუკუნის ხელნაწერთა შემოკლებას. კერძოდ. როგორც აკად. შანიძემ გაარკვია, ჯერ ხელთ ჰქონიათ ვრცელი რედაქცია და იგი თანდათან შეუმოკლებიათ.

იმ კლასიფიკაციის მიხედვით, რომელიც მოცემულია ჩვენ მიერ, პოემის შუა მონაკვეთის მიხედვით ამჟამად მოგვეპოვება ხელნაწერები, რომლებიც ოთხ თავისებურ რედაქციას შეიცავენ. ვახტანგისეული გამოცემის და აღნიშნული რედაქციების შედარებითი შესწავლა გვაძლევს გარკვეულ შედეგებს. შედგენილობის თვალსაზრისით ვახტანგის გამოცემის წყაროდ ვერ ვივარაუდებთ პირველ ან მეოთხე რედაქციის შემცველ ნუსხებს⁹. ამ დებულებას მხარს უჭერს გარკვეული მონაცემები, რომელთაგან აღენიშნავთ შემდეგს: პირველი—ვახტანგისეული გამოცემა შეიცავს ისეთ სტროფებს, რომლებიც არ მოიპოვებიან ამ რედაქციებში.

დავასახელებ რამდენიმეს. საიუბილეო გამოცემის 174-ე სტროფი „ღმერთი, ლომო, შენად...“, რომელიც არის ვახტანგისეულ გამოცემაში, არ არის პირველი და მეოთხე რედაქციის შემცველ ხელნაწერებში (მაგალითად, E, F, J, K და სხვ.). ასევე, იმავე გამოცემის 222-ე სტროფი: „ყმამან უთხრა: დაო ასმათ...“, რომელიც არის ვახტანგისეულ გამოცემაში, არ არის ამ რედაქციათა შემცველ ხელნაწერებში. ამკვარი მაგალითების დასახელება კიდევ შეიძლება, თუმცა ზემომოტანილი ნიმუშებიც საკმარისია, რათა ვივარაუდოთ, რომ პირველი და

⁹ პირველი რედაქცია: E(H—599), F(S—2829) და სხვ. მეოთხე რედაქცია: J(H—461, K(S—4499) და სხვ.

მეოთხე რედაქცია ვერ გახდებოდა ვახტანგისეული რედაქციის წყარო. მეორე — დამატებით მიიღა შეენიშნო, რომ იმასვე უჭერს მხარს ვახტანგისეული გამოცემის სტროფების თანამიმდევრობაც. მოვიტან ერთ მაგალითს: 1712 წლის გამოცემაში, ვრცელ ხელნაწერებთან შედარებით, ერთ ადგილას დარღვეულია სტროფების ჩვეულებრივი თანრიგა.

ჩანართებიანი გამოცემის 465-ე სტროფი („მეფემან ახმა ღურაჯ-თა...“) მოთავსებულია იმავე გამოცემის 466-ე სტროფის („ბაღა ვნახე უტურფესი...“) შემდეგ¹⁰. გამოიჩვენა, რომ როგორც პირველი, ისე მეორე რედაქციის შემცველი ხელნაწერები არ იზიარებენ ვახტანგისეული გამოცემის თანამიმდევრობას. მაშასადამე, ვახტანგისეული გამოცემა თავისი შედგენილობით (და სტროფების თანამიმდევრობითაც) არ მომდინარეობს აღნიშნული რედაქციებიდან.

ამ თვალსაზრისით დაგვჩნა შესასწავლი პოემის შუა მონაკვეთის მეორე და მესამე რედაქციები. მეორე რედაქციაზე ჩვენ დაწვრილებით ზემოთ ვისაუბრეთ, ესენია, ე. წ. „ზაზასეული“ ტიპის ან მეორე რედაქციის ნუსხები, ხოლო რაც შეეხება მესამე რედაქციას, იგი, როგორც ვნახეთ პოემის შუა მონაკვეთის მიხედვით, შეიცავს ყველაზე მრავალრიცხოვან ჩანართებს.

შედარებითი შესწავლის შემდეგ გამოიჩვენა საყურადღებო გარეპოება. ვახტანგისეული გამოცემა არ გვაძლევს რომელიმე ისეთ სტროფს, რომელიც ორივე რედაქციაში არ იყოს (გარდა შემთხვევითი დეფექტისა), მაშასადამე, შეგვეძლო გვევარაუდებინა, რომ ამ რედაქციათა შემცველ ხელნაწერთა შემოკლების შედეგად მივიღეთ პოემის შუა მონაკვეთის ისეთი რედაქცია, როგორც ვახტანგისეულ გამოცემაშია. მაგრამ შედარებითვე ნათელი გახდა სხვა რამეც. ვახტანგისეული გამოცემა და მესამე რედაქცია სტროფული თანამიმდევრობით ხშირად შორდებიან ერთმანეთს. ერთ მაგალითად გამოგვადგება ზემოთ მოტანილი 465-ე და 466-ე სტროფები, როგორც ვნახეთ, ეს სტროფები 1712 წლის გამოცემაში შებრუნებული თანრიგითაა მოთავსებული, ხოლო მესამე რედაქციაში კი (როგორც პირველსა და მეოთხეში) ორივე სტროფი მართებულ თანამიმდევრობას იცავს. საინტერესოა მეორე მაგალითიც, ავიღოთ 1937 წ. საიუბილეო გამოცემის 723-ე სტროფი: „ყმა ახლოს უჯდა მეფესა, ჰკითხვიდა, ეუბნებოდა...“, ხელნაწერების შესწავლის შედეგად გაიჩვენა, რომ ეს

¹⁰ სტროფების ეს არასწორი თანამიმდევრობა ვახტანგის გამოცემიდან გადავიდა 1937 წ. საიუბილეო გამოცემაშიც. იხ. ჩემი „ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები“, გვ. 14, რის შემდეგაც ეს თანამიმდევრობა გასწორებულია პოემის ახალ გამოცემაში.

სტროფი სხვადასხვა ადგილას არის მოთავსებული. პირველად წინ, როცა ავთანდილი პირველად უამბობს როსტევეანსა და სასახლის კარისკაცებს ტარიელის ამბავს, ე. ი. საიუბილეო გამოცემის 687-ე სტროფის („სმა გარდახდა, თავის-თავის..“) შემდეგ, ხოლო ზოგ ხელნაწერში კი იმავე ადგილზე, როგორც ვახტანგისა და საიუბილეო გამოცემაშია (ე. ი. 723-ე ნომრად). საინტერესოა, რომ ზოგ ხელნაწერში და, კერძოდ, მესამე რედაქციის შემცველ ხელნაწერებშიც (A, B, C, და სხვ.) ეს სტროფი ორივეგანაა მოთავსებული. მაშასადამე, ამ შემთხვევაშიც პოემის შუა მონაკვეთის მესამე რედაქციის შემცველი ხელნაწერები შორდებიან ვახტანგისეულ გამოცემას. დასასრულ, ის ადგილი, ტარიელი რომ იწყებს თავის თავგადასავლის თხრობას და ავთანდილს უამბობს ნესტანის დაბადების ამბავს (ჩანართებიანი გამოცემით 437—441 სტროფები), სხვა თანამიმდევრობითაა ვახტანგის გამოცემასა და აღნიშნულ მესამე რედაქციის შემცველ ნუსხებში. მაშასადამე, ამ შემთხვევაშიც უნდა დავასკვნათ, რომ მესამე რედაქციის ტიპის ნუსხა ვერ გახდებოდა ვახტანგისეული გამოცემის შედგენილობის წყაროდ.

ისევე როგორც პროლოგის ანალიზის დროს ვნახეთ, ამ შემთხვევაშიც განცალკევებით დგას ე. წ. „ზაზასეული“ ტიპის ნუსხები, რომლებიც პოემის შუა მონაკვეთში იცავენ მეორე რედაქციას. სტროფთა რაოდენობაზე ჩვენ ზემოთაც შევნიშნეთ. ვახტანგთან არ არის არც ერთი ისეთი სტროფი, რომელიც ამ რედაქციაში არ გვექონდეს¹¹. რაც შეეხება სტროფულ თანამიმდევრობას, გამოირკვა ფრიად საყურადღებო გარემოება — პოემის მეორე რედაქციის შემცველი ნუსხები სტროფების თანამიმდევრობით იცავენ ვახტანგისეული გამოცემის ყველა თავისებურებასა და ნიუანსს. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს, თუმცა ეს შეიძლება ზედმეტიც იყოს, რადგან აქ გამოჩაყლისს არა აქვს ადგილი:

ა) ჩანართებიანი გამოცემის 437 — 441-ე სტროფები (ტარიელი ნესტანის დაბადების ამბავს რომ ჰყვება) ვახტანგთან და „ზაზასეულ“ ხელნაწერების ნუსხებში ერთნაირი თანამიმდევრობითაა: 440-ე, 438-ე და ბოლოს 441-ე სტროფი (ჩანართებიანი გამოცემის ნუმერაცია), რაც აშკარად განსხვავდება სხვა ტიპის ხელნაწერთაგან.

ბ) ზემოთ ნახსენები 465 და 466 სტროფები (იხ. ვრც. გამოც., ტარიელის შესვლა ნესტანის წალკოტში) როგორც ვახტანგთან, ისევე „ზაზასეულ“ ნუსხებში შებრუნებითაა მოთავსებული, რაც განასხვავებს მათ სხვა რედაქციებიდან.

¹¹ რედაქციაში არ იგულისხმება ცალკეული ხელნაწერები.

კ) ჩახართებიანი გამოცემის 645-ე სტროფი („რიდენი და ყაბაჩა-ნი“). რაც. სხვათა შორის. თავისი მხატვრული ღირებულებით შესაძლოა არც იყოს ჩანართი¹². არის როგორც პირველ, ისე მესამე და მეოთხე რედაქციის შემცველ ხელნაწერებში. გამოირკვა, რომ ეს სტროფი არ არის მარტო „ზაზასეული“ ტიპის ნუსხებში და, ალბათ, მათი გავლენით — არც ვახტანგისეულ გამოცემაში.

ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ პოემის შუა მონაკვეთშიაც ვახტანგისეული გამოცემის წყარო უნდა ვეძებოთ „ზაზასეული“ ტიპის ხელნაწერთა შორის¹³.

მაშასადამე, შედგენილობის თვალსაზრისით (პროლოგისა და პოემის შუა მონაკვეთის მონაცემებით) ვახტანგისეული გამოცემის წყაროდ უნდა მივიჩნიოთ „ზაზასეული“ ტიპის რომელიღაც ხელნაწერი.

აქვე დგება სხვა საკითხიც. როგორც ცნობილია, ჩვენამდე მოაღწია „ზაზასეული“ ტიპის რამდენიმე ნუსხამ. ჩვენი აღწერით ასეთია შემდეგი ხელნაწერები: 1. D (Q—1082), ანუ იგივე „ზაზასეული“, 2. G (S—4988), 3. H (H—2610), 4. Q (K—215), 5. L (A—363), 6. U (S—5006, 7. V (S—3061) და მე-19 საუკუნის ნუსხები F¹, I¹, L¹, O¹, Q¹. ამგვარად ჩვენ ვერ შევვხებით ამ უკანასკნელთ, რადგან ისინი რაიმე გადაწყვეტ ჩვენებას ვერ მოგვცემენ ვახტანგისეული გამოცემის წყაროს გამოკვლევის დროს. ე. ი. გვრჩება შვიდი ხელნაწერი (D, G, H, Q, L, U, V), ამათგანაც ორი უკანასკნელი U (S—5006) და V (H—3061) უნდა გამოირიცხოს, რადგანაც მე-18 საუკუნის ნუსხებია, თანაც U ხელნაწერის შუა ნაწილი (თავიდან „ავთანდილის ფრიდონთან წასვლა“ თავამდე „ინდო-ხატაელთა ამბავი“) თვითონვე მოდის ვახტანგისეული გამოცემიდან (ხელნაწერის სხვა ნაწილი „ზაზასეული“ ნუსხის გავლენას განიცდის)¹⁴. ასევე ხელნაწერი V (H—3061), რომელიც გადაწერილია გივი თუმანიშვილის მიერ მე-18 საუკუნეში, დაახლოებით 150 სტროფამდე (საიუბ. გამოცემით) გადმოწერილია ვახტანგისეული გამოცემიდან (ხოლო შემდეგ U ხელნაწერის მსგავსად ანლოსა „ზაზასეული“ ნუსხასთან). ჯერჯერობით უნდა გამოითიშოს აგრეთვე ხელნაწერი Q (K—215), რადგან იგი ძალიან არის დაზიანებული.

¹² იგი ამჟამად ჩანართად არის აღიარებული და ამოღებულია საიუბილეო გამოცემიდან.

¹³ ცალკე არ განვიხილავთ ვახტანგისეული გამოცემის ეპილოგს, რადგან ეპილოგის ხასიათი არ გვაძლევს მასალას იმის გასაგებლად, თუ როგორ ტექსტს ამოკლებდა ვახტანგი ამ შემთხვევაში. ვახტანგის გამოცემის პროლოგის ხუთივე სტროფი არის თითქმის ყველა ხელნაწერში.

¹⁴ იხ. სარგის ცაიშვილი, ეფუხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1957, გვ. 55—61.

ლი (გადარჩენილია დაახლოებით 430-მდე სტროფი, ისიც სხვადასხვა ადგილას), ამიტომ ძნელდება მისი ამ თვალსაზრისით (ვახტანგისეულთან მიმართებით) გამოკვლევა.

მაშასადამე, შესწავლის ობიექტად რჩება ოთხი ხელნაწერი D, G, H და L. შედარებითი ანალიზის შემდეგ გამოირკვა კიდევ უფრო საყურადღებო გარემოება. გარდა D ხელნაწერისა („ზაზასეული“), სამივე მომდევნო ნუსხაში გვაქვს იმგვარი დეტალები, რომელნიც ხელს უშლიან მათ აღიარებას, ვახტანგისეული გამოცემის წყაროდ. მოვიტან ამის მაგალითებს.

ხელნაწერი G (S—4988). ა) ამ ხელნაწერში არ არის საიუბილეო გამოცემის 260-ე სტროფი (გიოთხრა თუ ცოდნა გწადიან...)¹⁵; ეს სტროფი კი მოთავსებულია ვახტანგისეულ გამოცემაში. ბ) ხელნაწერში გადასმულია ვრცელი გამოცემის სტროფები: 1657 („შუკათათ მოდგეს ვაჟარნი...“) და 1658 („გარდახდეს და ფრიდონისა სრა ნახეს...“)¹⁶, ხოლო ეს სტროფები ვახტანგთან ჩვეულებრივი რიგითაა მოთავსებული. ორივე მაგალითი თავისთავად მეტყველებს, რომ G ხელნაწერი არ ჩანს ვახტანგისეული გამოცემის შედგენილობის წყაროდ.

ხელნაწერი H (H—2610). ა) ხელნაწერში ჩანართებიანი გამოცემის 778-ე სტროფი („ამოძრნენ ორნი მონანი...“) მოთავსებულია მეორეჯერ 1316-ე სტროფის („მით ნავიღაღმა...“) მაგივრადაც, რაც ამ ხელნაწერის სპეციფიკაა. ირკვევა, რომ ამგვარი რამ არ შეინიშნება ვახტანგთან და 1316 სტროფიც თავის ადგილზეა, ბ) საიუბილეო გამოცემის 260-ე სტროფი („გიოთხრა თუ გცოდნა გწადიან“) G ხელნაწერის მსგავსად არც ამ ნუსხაშია მოთავსებული, მაშასადამე, ამ შემთხვევაშიც H ხელნაწერსაც ვერ ვივარაუდებთ ვახტანგისეული გამოცემის წყაროდ.

ხელნაწერი L (A—363) თუმცა „ზაზასეული“ ტიპის ერთ-ერთი უძველესი ნუსხაა, მაგრამ ზოგ შემთხვევაში შორდება მას და, შესაბამისად, შორდება ვახტანგისეულ გამოცემასაც ა) მაგ., ჩვენ ვნახეთ, რომ 887-ე სტროფი („ყმა ახლოს უჭდა მეფესა...“) ზაზასთან; და ვახტანგთან არის თავის ადგილას, ხოლო ზოგ ხელნაწერში კი იგი მოთავსებულია

¹⁵ ეს სტროფი არ არის აგრეთვე H და ამავე ჩგუფის მე-19 საუკ. ზოგ ხელნაწერში.

¹⁶ ალბათ ამ ხელნაწერის გავლენით ეს სტროფები შებრუნებული რიგითაა აგრეთვე მე-19 საუკუნის ორ ხელნაწერში (L¹, Q¹), ხოლო თვით G-ში როგორ მოხდა ასეთი აღრევა, ამაზე შესაძლოა პასუხი მოგვცეს ამავე ჩგუფის L ხელნაწერში, სადაც ამაიზეა მიწერილი 1658 სტროფი. იქნება სწორედ მისი გავლენით ამიოიდან უსწოროდ. ე. ი. ერთი სტროფით ზევით შეიტანა G ხელნაწერმა ეს სტროფი და მივიღეთ შებრუნებული თანამიმდევრობა.

ლია წინაც — 845¹-ე სტროფად ირკვევა, რომ ამ შემთხვევაში ხელნაწერი შორდება „ზაზასულ“ ნუსხას (ე. ი. ვახტანგის გამოცემასაც) და სხვა ხელნაწერთა მსგავსად ორგანვე აქვს ეს სტროფი მოთავსებული. ბ) 645-ე სტროფი („რიდენი და ყაბაჩანი...“) არ არის „ზაზასული“ ტიპის ნუსხებში და, ამიტომაც, არც ვახტანგთან გვაქვს იგი. რაც შეეხება სხვა ხელნაწერებს, მათ ყველას აქვთ აღნიშნული სტროფი. ირკვევა, რომ ამ სტროფს შეიცავს ხელნაწერიც. გ) დასასრულ, სტროფები, სადაც გადმოცემულია ტარიელის პირველი მისვლა ნესტანის წალკოტში (საიუბ. გამოცემით 341, 342 სტროფები), როგორც ვნახეთ, „ზაზასულში“ და ვახტანგის გამოცემაში, წინააღმდეგ სხვა ხელნაწერებისა, შებრუნებული რიგითაა, მაგრამ L ხელნაწერი ამ შემთხვევაში სხვა ნუსხების სტროფულ თანრიგს იზიარებს. მაშასადამე, L ხელნაწერიც, წინა სამი ხელნაწერის მსგავსად, არ უნდა ვივარაუდოთ ვახტანგისეული გამოცემის შედგენილობის წყაროდ.

დასკვნა: როგორც პომეის პროლოგისა და შუა მონაკვეთის ანალიზით ვნახეთ და აგრეთვე ვახტანგის გამოცემის სტროფულმა შედგენილობამ და თანმიმდევრობამ გვაჩვენა, ამჟამად ჩვენ ხელთ არსებულ ხელნაწერთა შორის ვახტანგისეული გამოცემის ძირითად წყაროდ შესაძლოა ვივარაუდოთ ერთადერთი ხელნაწერი Q—1082, ანუ „ზაზასული“ ხელნაწერი (D).

რაც შეეხება 1712 წლის გამოცემათა სპეციფიკურ წაკითხვას, ნათლად ჩანს, რომ მას შემდეგ რაც, „ზაზასული“ ტიპის ხელნაწერიდან შემუშავდა უფრო შემოკლებული რედაქცია პომეისა, გამოცემის რედაქტორი, როგორც ეს საერთოდ ჩვევია ვახტანგ VI სკოლას, სხვა ხელნაწერებიდანაც იღებდა, მისი თვალსაზრისით, უმჯობეს წაკითხვებს. უფრო მეტიც, ჯერ კიდევ ა. შანიძემ აღნიშნა ის საინტერესო ფაქტიც, რომ თვით ბეჭდვის პროცესშიც გრძელდებოდა ახალი წაკითხვების შემოტანა სხვა ხელნაწერებიდან და ამიტომაც სხვადასხვა ცალში სხვადასხვა წაკითხვა არის მოცემული¹⁷.

მაინც, ჩვენი აზრით, შესწორებათა შედეგად არ უნდა წაშლილიყო ყველა ის სპეციფიკა, რაც ამ გამოცემის უშუალო წყაროს — „ზაზასულს“, ან მის მსგავს რომელიმე ხელნაწერს გააჩნდა. ჩვენს შრომაში — „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული რედაქცია“ — მი-

¹⁷ ამის ნიმუშია, მაგალითად, სტრ. 296 (397), ზოგ ცალში „გაურღბდელო“, ხოლო ზოგან „გარღბდელო“ წერია, ასევე „სარატანი“ და „საროტანი“ და სხვ. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ყველა ჩასწორება კეთდება რომელიმე ხელნაწერზე დაყრდნობით და არა ზეპირად. ვახტანგის გამოცემის თითქმის ყველა წაკითხვა, შემთხვევითი ლაფსუსების გამოკლებით, როგორც ეს დადასტურებული გვაქვს შედარების შედეგად, მოდის მე-17 საუკუნის ხელნაწერებიდან.

თითებული იყო წაკითხვებითაც და ზოგჯერ სტროფული განლაგებითაც საინტერესო შეხვედრები. მაგრამ ეს თავისებურებანი დასტურდებოდა სხვა ტიპის ხელნაწერებში. ამიტომ საჭირო გახდა ხელახალი შეჯერება „ზაზასეულ“ ხელნაწერსა და ვახტანგისეულ გამოცემას შორის. გამოიკვეთა ზოგი საინტერესო მომენტი, რომელთაგან აქ რამდენიმეს აღვნიშნავ.

დებულება, რომ ვახტანგისეული გამოცემის უშუალო წყარო, კერძოდ მოცულობა-შედგენილობის თვალსაზრისით, უნდა იყოს „ზაზასეული“ ხელნაწერი (ან ამ ხელნაწერის პირი) სრულიად დადასტურა ტექსტის ზოგიერთმა სპეციფიკურმა წაკითხვამ. მოვიტან მხოლოდ ორიოდე მაგალითს. ვახტანგისეულ გამოცემაში პოემის მე-40 სტროფი (საიუბილეო გამოცემით) ასე იკითხება: „ავთანდილ იყო სპასხეტი, ძე ამის პასალარისა“. ეს იმდენად აშკარა და უხეში შეცდომაა, რომ აკადემიკოსმა შანიძემ იგი კორექტურად აღიარა და აღდგენილი გამოცემის ტექსტში შეიტანა სწორი ფორმა: „ძე ამირ სპასალარისა“. ირკვევა — აღნიშნული წაკითხვა არ ყოფილა ვახტანგისეული გამოცემის უნებლიე (კორექტურული) შეცდომა. როგორც ჩანს, იგი მოდის ამ გამოცემის რომელიღაც წყაროდან. მართლაც, მსგავსი წაკითხვა დადასტურებულია სამ ხელნაწერში: „ზაზასეული“ D (Q—1082), U (S—5006-ში) და V (H—3061-ში). როგორც გარკვეული გვაქვს სხვა შრომაში, პოემის ამ მონაკვეთში H—3061 ხელნაწერი თვითონ წარმოადგენს ვახტანგისეული გამოცემის პირს (იგი ვახტანგისეული გამოცემით სარგებლობს 150-ე სტროფამდე)¹⁸, და ეს წაკითხვა სწორედ ვახტანგისეული გამოცემიდან გადასულა ამ ხელნაწერში. მაშასადამე ვახტანგის ასეთ წაკითხვას ხელნაწერთა მთელი მემკვიდრეობიდან მხარს უჭერს მხოლოდ ორი ხელნაწერი — „ზაზასეული“ და U(S—5006), ეს უკანასკნელი კი სწორედ „ზაზასეული“ ხელნაწერიდან უნდა იღებდეს სათავეს, რადგან იგი „ზაზასეულზე“ გვიან არის ჩამოყალიბებული და, როგორც ჩანს, მისივე გავლენით¹⁹.

ამდენად, ამ სამი ხელნაწერის ანალიზით ირკვევა, რომ ეს წაკითხვა, პირველ რიგში ივარაუდება სწორედ „ზაზასეულ“ ხელნაწერში, ხოლო აქედან გადასულა როგორც U-ში (S—5006), ისევე ვახტანგისეულ გამოცემაში (ხოლო ამავე გამოცემის გავლენით კი H—3061-ში, რადგან იგი ამ მონაკვეთში ვახტანგისეული გამოცემით სარგებლობს).

¹⁸ „ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია“, 1957, გვ. 93.

¹⁹ გარდა იმ ნაწილისა, რომელიც S—5006 გადაწერილი აქვს თვით ვახტანგისეული გამოცემიდან (კერძოდ, 900-ე სტროფიდან „ინდო-ხატაელთა ამაბმდე“) — იხ. ჩვენი ზემოდასახელებული წიგნი.

ვიდრე გარკვეულ დასკვნას გამოვიტანდეთ, აქ მინდა მოვიტანო კიდევ ერთი ძალზე საგულისხმო მაგალითი. საქმე ეხება 982-ე სტროფის ერთ სიტყვას (ამ სტროფით აღწერილია ავთანდილისა და ფრიდონის პირველი შეხვედრა). ვახტანგისეულ გამოცემაში მესამე სტრიქონი ასე იკითხება: „მუნ დაემართა ავთანდილ მასთანა ყოვლბიჱჳყვებოდა“, ე. ი. ავთანდილი გარემოჯარული მოდიოდაო. ხაზგასმული სიტყვა აშკარად დამახინჯებულია და, მართლაც, ხელნაწერებში იგი სწორად იკითხება: „ყოვლბიჱჳყვებოდა“. ამ აშკარა შეცდომის გამო ეს წაკითხვაც 1937 წლის აღდგენილ გამოცემაში ა. შანიძემ კორექტურად მიიჩნია და გაასწორა ხელნაწერთა მართებული წაკითხვის მიხედვით. გამოირკვა, რომ ამ შემთხვევაშიც ეს წაკითხვა არ ყოფილა ვახტანგის გამოცემის თავისებურება. იგი მისი წყაროდან მომდინარეობს. მართლაც, ერთადერთ ნუსხაში, რომელიც არის ზემოთ ნახსენები „ზაზასეული“ ხელნაწერი, აღნიშნული წაკითხვა სწორედ ასევე იკითხება: „ყოვლბიჱჳყვებოდა“²⁰.

რასაკვირველია, მხოლოდ ამ თავისთავად საგულისხმო შეხვედრებით არ ვაირკვევა ვეფხისტყაოსნის 1712 წლის გამოცემის უშუალო წყარო, რადგან, როგორც ვთქვით, ზოგი სპეციფიკური წაკითხვა სხვა ხელნაწერებიდან არის შემოტანილი ამ გამოცემაში. მაგრამ მთელ კომპლექსში, რომლითაც დასტურდება, რომ 1712 წლის გამოცემის პროლოგი, პოემის შუა მონაკვეთი და დასასრული თავისი შედგენილობამოცულობით ყველაზე ახლო დგას „ზაზასეულ“ ხელნაწერთან და ამასთან, ამ გამოცემას ზოგი სპეციფიკური წაკითხვა გადმოაქვს სწორედ „ზაზასეული“ ნუსხიდან, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 1712 წლის გამოცემის უშუალო წყაროს წარმოადგენს ე. წ. „ზაზასეული“ ხელნაწერი, ხოლო ამასთან ზოგი წაკითხვა შემოტანილია მე-17 საუკუნის სხვა ხელნაწერებიდანაც.

დასასრულ, არც ის არის ინტერესს მოკლებული, რომ „ზაზასეული“ ხელნაწერის ისტორიას მივყევართ სწორედ ვახტანგ VI და მისი მამის ლევან მირზას კარამდე. როგორც ცნობილია, „ზაზასეული“ ხელნაწერი 1660-იან წლებში გადაუწერია პოეტსა და კალიგრაფს იოსებ ტფილელს. გიორგი ლეონიძის გამოკვლევით ცხადი შეიქნა, რომ ხელნაწერის დამკვეთი ყოფილა ქართლის ფეოდალი ზაზა ციციშვილი, შემდეგ ხელნაწერი გადასულა ვახტანგის მამის ლევან მირზას მფლობელობაში, რაც ასახულია კიდევ ხელნაწერის გადაკეთებულ ანდერძ-

²⁰ ასეთი დამოხვევების ნუსხა უფრო ვრცელია, მაგრამ აქ ორი მაგალითიც საკმარისი ჩანს.

ში. ეს ხელნაწერი უკანასკნელ ხანს ერეკლე II ქალის თეკლა ბატონიშვილის ოჯახში ინახებოდა და პლატონ იოსელიანის ხელით გადაუციათ მთავარმართებლის მიხეილ ვორონცოვისათვის (რუსეთიდან ხელნაწერი დაბრუნდა 1934 წელს). აღსანიშნავია, რომ პლატონ იოსელიანი კარგად იცნობდა ხელნაწერის ისტორიას და 1870 წელს გაზ. „კავკაზში“ (№ 13) გამოთქვა მოსაზრება, რომ სწორედ ამ ხელნაწერის მიხედვით უნდა იყოს ჩამოყალიბებული ვახტანგის 1712 წლის გამოცემაო. როგორც ვნახეთ, მე-17 საუკუნის ხელნაწერთა შედარებითი ანალიზი და ვახტანგისეული გამოცემის თავისებურებათა გარკვევა მზარს უჭერს ამგვარ შეხედულებას. „ზაზასეული“ ხელნაწერის შემოკლების შედეგად შემუშავდა 1712 წლის გამოცემა, რომელიც ვახტანგისეული რედაქციის სახელით არის ცნობილი, ხოლო ზემოაღნიშნული მომენტები, ვფიქრობთ, სრულ სურათს იძლევა ამ რედაქციის ჩამოყალიბების ისტორიისათვის.



ვახტანგის გამოცემის დიდმა ავტორიტეტმა, როგორც ცნობილია, შემდგომში ძლიერი გავლენა მოახდინა მომდევნო გამოცემებზე და რადიკალური გარდატეხა შეიტანა პოემის ტექსტის განვითარების შემდგომ ისტორიაზე.

გადამწერებმა ერთბაშად ზურგი აქციეს ძველ ხელნაწერებს და მასობრივად იწყეს 1712 წლის გამოცემის გავრცელება. ამაზე მეტყველებს უბრალო სტატისტიკური მონაცემებიც. იმ 162 ხელნაწერიდან, რომელსაც ჩვენ მივაკვლიეთ სხვადასხვა სახელმწიფო ფონდებში თუ პირად არქივებში, ნახევარზე მეტი გადაწერილია სწორედ ვახტანგისეული გამოცემიდან. უფრო ზუსტად, ყოველმხრივი შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ამ ხელნაწერთაგან მთლიანად ვახტანგისეული გამოცემიდან მომდინარეობს 90 ხელნაწერი. ხოლო თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ზოგი ნუსხა კომპილაციური ხასიათისაა, ე. ი. ძველი რედაქციებისა და ვახტანგისეული გამოცემის შენარევს წარმოადგენს (დაახლოებით 15 ხელნაწერი); ხოლო ზოგი მიუხედავად ერთგვარი სახეცვლილებისა სათავეს მაინც ვახტანგისეული გამოცემიდან იღებს (მაგ. „არტანუჯულ ვარიანტის“ ნუსხები), საგრძნობლად გაიზრდება აღნიშნული რედაქციის გავლენის სფერო.

წინამდებარე ნაშრომის მეორე ტომში ცალკეა გამოყოფილი ვახტანგისეული რედაქციის გავლენით შექმნილი ხელნაწერები და მოცემულია მათი მეცნიერული აღწერილობები.

ვეფხისტყაოსნის არტანუჯული ვარიანტის შესახებ¹

მე-17 საუკუნის ხელნაწერთა და ვახტანგისეული რედაქციის გვერდით, როგორც აღვნიშნეთ, არსებობს ვეფხისტყაოსნის ერთი საკმაოდ თავისებური ვარიანტი. იგი გამოირჩევა სიმოკლით, მაგრამ ვახტანგის გამოცემასთან შედარებით მოეპოვება რამდენიმე ზედმეტი სტროფი ტექსტის სხვადასხვა ადგილას და ერთი ეპიზოდი, რასაც არ იცნობს სხვა რედაქციები.

მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ვეფხისტყაოსნის ზოგიერთ ხელნაწერში არის ასეთი სახის ანდერძი: „სრულ იქმნა დიდება ღმერთისა ყოველთა კეთილთა მიზეზსა დამბადასა: — თუმცა იყვნენ წიგნნი ვეფხისტყაოსნობით ხმოზილნი საქართველოსა შინა ბეჭდილნი და ხელწერილნიცა. გარნა ფად გარყვნილნი და არად სახმარნი, ამისათვის მისცემოდა გულს მოდგინება თავადს სტატსკის სოვეტნიკს და კავალერს თუმანოვს გიორგი ეგნატეს ძეს, და მოეპოვა უძველესი ნაწერი ვეფხისტყაოსანი, „კერძოთა არტანუჯისათა“... ზოგიერთ ხელნაწერში კი ამას ემატება სიტყვები: „და ესე მე პეტრე ყარიბმან ლარაძემან მრავლითა შრომითა და ღვაწლის დადებითა მუნით გარდმოვსწერე“...

ხელნაწერის აქ ხსენებული წარმომავლობის („კერძოთა არტანუჯისათა“) გამო, ამ ჯგუფში დაცულ პოემის რედაქციას მიეცა არტანუჯული ვარიანტის სახელი.

ამ ვარიანტს, როგორც სხვადასხვა ხელნაწერთა ფონდებიდან გამოვარკვეეთ, იცნობს შემდეგი ხელნაწერები: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმიდან: S — 4732, S — 1586, S — 2686, S — 2781, S —

¹ ტერმინი ვარიანტი აქ რედაქციის სახესხვაობის მნიშვნელობითაა ნახმარი. კერძოდ, როგორც ქვემოთ ვნახავთ. აღნიშნული ვარიანტი ვახტანგისეული რედაქციის გადაკეთებას წარმოადგენს.

ლიტერატურული მუზეუმის ერთი ხელნაწერი: $\frac{12914}{194}$.

ამ ხელნაწერთა შეკრებიდან ირკვევა: S — 4732 უსწრებს რა თარიღით ყველა ამ ხელნაწერებს, ამავე დროს, პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით, წარმოადგენს მათ დედანს². ამდენად კვლევის ძირითად ობიექტს სწორედ ეს ხელნაწერი წარმოადგენს. როგორც აღენიშნეთ, იგი მოკლე ტიპის ხელნაწერია, ამიტომაც, დიდ სხვაობას გვიჩვენებს მე-17 საუკუნის ხელნაწერებში შემონახულ ტექსტებთან. განსაკუთრებით ითქმის ეს ბოლო თავებზე — ამბავი ინდოეთში ქორწინებით თავდება.

ხელნაწერი მნიშვნელოვან სხვაობას იძლევა აგრეთვე ვახტანგის გამოცემის ტექსტთანაც. წაკითხვათა მნიშვნელოვან თავისებურებებს რომ ვანებოთ თავი, მოცულობის მხრით ასეთი სურათია: ვახტანგთან შედარებით აქ 17 სტროფი ზედმეტია. ექვსი მათგანი გვხვდება ცალცალკე:

1. „როსტევან სკვრეტდა მას ყმასა გლახ დიდად განკვირებული“...
(ვრცელი გამოცემით სტრ. 122!).
2. „შენცა იცი, თინათინის სხივი მზისა უაღრესობს“...
(სტრ. 216!).
3. „რა პურობა გარდიხადეს. დარბაზს მიველ მხიარული“...
(სტრ. 519!).
4. „მე შინა წაველ. მრავლობდეს სეღისა რაზმა ურვანი“...
(სტრ. 698!).
5. „შევიქურე, ჩემთან ჩემნი მოემზადნენ ასნი ზრდილნი“...
(სტრ. 735²).
6. „მუნით როსტან მოეგება, არ ჰყოფს ზრდილობის კლებასა“...
(სტრ. 1711!)

ხოლო თერთმეტი სტროფი ჩართულია იმ ადგილას, სადაც არაბეთიდან ინდოეთში გამგზავრებულ გმირთა ამბავი ვახტანგისეულ გამოცემაში პირდაპირ გადაღის სტროფებზე: „ტარიელს და ცოლსა მისსა მიხვდა მისი საწადელი“ და ა. შ.

² ქართულთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა ფონდის აღწერისას ასეთივე დასკვნამდე მივიღა 1908 წელს პროფ. ექთ. თაყაიშვილი. ს. ყუბანეიშვილი თავის დაუბეჭდავ ნაშრომში. რომელიც ინახება შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, იზიარებს ამ შეხედულებას.

ამ ეპიზოდში მოთხრობილია გმირთა მისვლა ინდოეთს, გარდაცვალებული ფარსადანის შეცხადება, ქორწილის ამბები და სხვ. ერთი სიტყვით, ეს ეპიზოდი, თუ ჩანართად მივიჩნევთ მას, ცდილობს შეაესოს გმირთა ინდოეთში მისვლა და ზეიმი, რაც აგრე ძუნწადაა გამოცემული ვახტანგისეული გამოცემის ტექსტში³.

სხვაობა ნათელია. საქმე უნდა გვექონდეს მეტად თავისებურ ვეფხისტყაოსნის მოკლე ტიპის ვარიანტთან. ამას იზიარებდა და, როგორც ჩანს, ახლაც იზიარებს მკვლევართა ერთი ნაწილი, დაახლოებით ამგვარივე დანასკვნს იძლევა პროფ. იუსტ. აბულაძეც. ადარებს რა ვახტანგის გამოცემასა და ამ ვარიანტს, იგი პირდაპირ წერს: როგორც „ვახტანგის რედაქცია, ისე პ. ლარაძის გადაწერილი ვეფხისტყაოსანი (იგულისხმება ხელნაწერი S — 4732 — ს. ც.) ერთისა და იმავე უძველესი რედაქციის პირს წარმოადგენენ“. პროფ. იუსტ. აბულაძეს სარწმუნოდ მიაჩნია პ. ლარაძის ბიბლიოგრაფიული მინაწერი ხელნაწერის არტანუჯში მოპოვების შესახებ და დასძენს: „ამნაირად, ვახტანგისა და ე. წ. არტანუჯის რედაქციები, რომლებსაც ზემორე მოტანილი მოსაზრებებით ვაკუთვნებთ მეორე და განსაკუთრებული ტიპის რედაქციებს, უნდა იყოს ერთადერთი უძველესი რედაქციათაგანი, რომლის საშუალებით, შესაძლებელია, დაახლოებით მაინც ვეფხისტყაოსნის ძველის ძველი დედნის აღდგენა“⁴.

საგულისხმოა, რომ ს. ყუბანეიშვილი ზემოთ აღნიშნულ ნაშრომში ნდობას უცხადებს ვეფხისტყაოსნის არტანუჯული დედნის არსებობას და ასკვნის: „ვეფხისტყაოსნის არტანუჯული, ძნელად ამოსაკითხავი ნუსხის არსებობა არაა ლეგენდა... ასეთ რამეს პეტრე ლარაძე ვერ მოჭორავდა, თავს არ შეირცხვენდა თანამედროვეთა შორის და ან რად ესაჭიროებოდა მას ასეთი ლეგენდის შექმნა“ (გვ. 122).

როგორც ირკვევა, აქ ზოგიერთ საყურადღებო მომენტს გვერდი აქვს ავლილი და, ამდენად, ეს დასკვნაც სინამდვილეს არ შეეფერება.

ჩვენი აზრით, არტანუჯული ვარიანტის ჩამოყალიბება ამჟამად უკვე საკმაო სისრულით არის გარკვეული. ჯერ კიდევ 1908 წელს პროფ. ექვთ. თაყაიშვილმა ამ ხელნაწერის გაცნობისას შეამჩნია ერთი ფრიად საყურადღებო ფაქტი. ტექსტის მთელ მანძილზე შეიმჩნეოდა მეტად მოგვიანო ხანის ენობრივი მოვლენები, აშკარად მახინჯი ფორმები. პოემაში გარჩეული იყო გრამატიკული სქესი (ვითარცა რუსულში და აშკარად რუსულის გავლენით). ეწერა „მეფე“ და „მეფა“ „იგი“, „იგა“ და სხვ. აგრეთვე ჩატარებული იყო ტექსტის ერთგვარი სტილიზაცია.

3 იხ. ვეფხისტყაოსნის ვრცელი გამოცემის სტრ. 1779-11.

4 ვეფხისტყაოსნის 1926 წლის გამოცემის შესავალი, გვ. XVIII.

მაგალითად, ცნობილი სტრიქონი „ნახეს უცხო მოყმე ვინმე ჯდა მტირალი წყლისა პირსა“ ბგერათა გარკვეული კომპლექსის ვითომდა უხერხული შეყრის გამო შეუცვლიათ ასე. „ჯდა მტირალი წყლის პირსა“, ან „წყლიანის“ მაგიერ ყველგან „წყალიანის“, „რა მივაჭირვე კითხვითა“, შეუცვლიათ ასე: „რა შევაწუხე კითხვითა“ და ა. შ. (ე. წ. ევფემიზმი).

ეს უდავოდ კარგი შემჩნევა იყო, მაგრამ ტექსტის ახალი წარმოშობის დასამტკიცებლად მთლიანად მასზედ დაყრდნობა ძნელია, რადგან ორთოგრაფიული თუ ამგვარი სტილისტიკური ცვლილებები მეტწილად გადამწერთ ეკუთვნით. ამიტომაც, სრულიად მართებულად აღნიშნავს თვით თაყაიშვილი, რომ „Однако можно полагать, что и эти подобные изменения были внесены в древний текст Петром Ларадзе, что можно подтвердить и другими текстами, списанными тем же лицом с древних рукописей“⁵.

ეჭვთ. თაყაიშვილს, როგორც ამას თავად წერს, დეტალურად არ შეუსწავლია ეს ტექსტი, მაგრამ მაინც გამოთქვამს ერთგვარ ეჭვს ამ ხელნაწერის ღირებულებაზე: „Действительно, за армянуджским списком или, лучше, за копией Петра Ларадзе, можно признать то достоинство, что последняя не вносит в текст тех вставок и продолжений, которые наблюдаются во всех рукописях XVII века. Но и в этом отношении значение ее не выше значения издания царя Вахтанга VI, 1712 г.“⁶.

ხელნაწერის საეჭვო ღირსებაზე მიუთითებდა თვით ის ჩვიდმეტი სტროფი, რომლითაც იგი განსხვავდება ვახტანგისეული რედაქციიდან. მათ შესახებ ალ. სარაჯიშვილის მკაცრი გამოთქმა რომ ვიხმაროთ — „ლაპარაკიც არ ღირს“.

მიუხედავად ამისა, მაინც ძნელდებოდა კატეგორიული დასკვნის გამოტანა, სანამ არ აღმოჩნდა ამ ხელნაწერის ვითომდა არტანუჯული დედანი.

ამ საკითხს საყურადღებო გამოკვლევა უძღვნა ცნობილმა რუს-თველოლოგმა ალ. სარაჯიშვილმა. იგი წერდა: „ახლა არტანუჯის ვარიანტის ღირსების დაფასება გაადვილდა, რადგანაც ხელში ჩაგვივარდა მისი დედანი. კნენა ანა ალექსანდრეს ასულმა, ამილახვრის ქვრივმა, შემოსწირა ჩვენს ბიბლიოთეკას ერთი ხელნაწერი ვეფხისტყაოსანი, რომელსაც ვუწოდებთ ამის გამო, „ამილახვრისეული“ და რომელიც

⁵ Описание...., გვ. 580.

⁶ იქვე, გვ. 581.

არის დედანი ან, უკეთ რომ ვთქვათ, სამზარეულო (ლაბორატორია) არტანუჯულის ვარიანტისა“⁷.

ხელნაწერის პირველი მფლობელი ყოფილა გიორგი ეგნატეს ძე თუმანიშვილი, რომლის დაკვეთითაც 1823 წელს ეს შრომა შეუსრულდება ცნობილ მწერალსა და კალიგრაფს დავით რექტორს. ამას გვაცნობს თვით დავით რექტორისავე მინაწერები, რომელთაგან ერთი ყველაზე სრულ ცნობებს იძლევა: „დიდება ღმერთსა სრულმყოფელსა ყოვლისა კეთილისასა. სრულ იქმნა ძალითა ღმერთისათა ვეფხისტყაოსანი, აღვსწერე მე, კეთილშობილმან ალექსის ძემან, რექტორმან დავითმან. მისი ბრწყინებულების, სტატსკის სოვეტნიკის და კავალერის, ეგნატის ძის, თავადის გიორგი თუმანიშვილისათჳს, თთჳესა ფებერუარსა, რიცხჳსა. კა, წელსა, ჩუკვ: ქკს: ფია“ (208r).

აქვე გიორგი თუმანიშვილის ხელით გაკეთებულია ამგვარი მინაწერი: „კნიაზ გიორგი თუმანიშვილმა აჩუქა კნენა ბარბარე ქობულოვისას წელსა ჩუკვ, დეკემბრის ით“.

ხელნაწერი (ამჟამად H ფონდის 1079) განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს იმის გამო, რომ იგი თავიდან ბოლომდე ჩასწორებულია გიორგი თუმანიშვილის ხელით და აშიებზე სხვადასხვა ადგილას მიწერილი აქვს სწორედ ის 17 სტროფი, რაც ლარაძის ხელნაწერს ასხვავებს ვახტანგის გამოცემისაგან.

თუმანიშვილისეული ტექსტი, ჩასწორებათა და აშიებზე მინაწერ სტროფთა გარეშე, შევუდარეთ ვახტანგის ტექსტს; აღმოჩნდა, რომ ზუსტი პირია 1712 წლის გამოცემისა. თვით სტროფების სათვალავის აღრევაც კი, რაც შეინიშნება ვახტანგის გამოცემაში (მაგალითად, ნგ, რნე, ტლდ), ამ ხელნაწერშიც გამეორებულია. აქაც ისევე 1589 უწერია ბოლო სტროფს, ნაცვლად 1587 რიცხვისა. აქვე შეინიშნება ვახტანგისეული გამოცემის კორექტურული შეცდომებიც (მაგ., უპბ, ტპგ, ფიგ და სხვა სტროფები).

ამასვე ამტკიცებს ხელნაწერებზე დართული განმარტებაც, რომელიც ვახტანგის ცნობილი თარგმანის პირს წარმოადგენს.

როგორც ითქვა, ხელნაწერს გააჩნია მრავალი ჩასწორება. პირველი, რაც უნდა აღინიშნოს, ეს არის ორთოგრაფიული და სტილისტიკური ხასიათისა. იგი ძირითადად დავით რექტორს ეკუთვნის და დამახასიათებელია მისი, როგორც კალიგრაფის, მუშაობისათვის. მას აქ შეუტანია ანტონ კათალიკოზის მიერ შემოტანილი ზედმეტი ასოები და

7 ალ. სარაჯიშვილი, არტანუჯის ვარიანტი, ვეფხისტყაოსანი („ძველი საქართველო“, ტ. IV, გვ. 3).

ზოგი გრამატიკული თუ ორთოგრაფიული ნიშნები⁸. ხელნაწერს გააჩნია ზედმეტი სტროფები, რომლებიც აშიაზება მიწერილი და ერთიც 11 სტროფისაგან შემდგარი ეპიზოდი უკანასკნელ თავში. როგორც გამოკვეთულია, ზოგი სტილისტური ჩასწორება და აგრეთვე ეს სტროფები მიწერილია გიორგი თუმანიშვილის ხელით. გამოიჩეკა აგრეთვე, რომ 11 სტროფიანი ეპიზოდი გადაწერის შემდგომად ჩართული ხელნაწერში და იგი სტროფების სათვალავის გარეშეა დარჩენილი.

მთავარი საკითხი, რომელიც აქ ისმის, არის ამ ზედმეტი სტროფების წარმოშობისა და აგრეთვე პეტრე ლარაძისა და თუმანიშვილისეული ხელნაწერების ურთიერთობა.

თუმანიშვილისეული ხელნაწერი (H — 1079) მთლიანი სახით გადაწერილია 1823 წელს დავით რექტორის მიერ, შემდეგ მას დამატებია 17 სტროფი თვით გიორგი თუმანიშვილის ხელით შესრულებული. პეტრე ლარაძის ხელნაწერი გადაწერილია, როგორც აღვნიშნეთ, 1827 წელს. დავუშვათ, რომ თუმანიშვილისეული 17 სტროფი გვიანაა მიწერილი. იქნება პეტრე ლარაძის ან სხვა რომელიმე ხელნაწერი იყოს მისი წყარო, მაგრამ ამის უფლებას არ იძლევა შემდეგი გარემოება: როგორც შედარებიდან ირკვევა, თუმანიშვილისეული ხელნაწერის ძირითადი ნაწილი, დავით რექტორის მიერ გადაწერილი, ნამდვილად არის ლარაძის ნუსხის წყარო. აქ სპეციალურ დეტალებშიც კი დამთხვევას აქვს ადგილი. რაც შეეხება, ზედმეტ 17 სტროფს, იგი ამიებზე იყო მიწერილი თუმანიშვილისეულ ნუსხაში, ლარაძესთან კი იგი უკვე ტექსტში შეუტანიათ. კიდევ ერთი დამახასიათებელი მომენტი. თუმანიშვილისეულ ნუსხაში საძიებელი დავით რექტორის მიერ არის გაკეთებული, რასაც თვითონვე აცხადებს, ხოლო დამატებითი სტროფები, 11 სტროფიანი ეპიზოდთან ერთად, შემდეგ არის შეტანილი. ამიტომაც, ეს საძიებელი არ ასახავს ამ ეპიზოდს. ზუსტად ასეთივე საძიებელი აქვს დართული პეტრე ლარაძის ნუსხასაც და ეს საძიებელიც არ ასახავს დამატებულ ეპიზოდს, თუმცა ამ ხელნაწერში იგი უკვე ძირითად ტექსტშია შეტანილი. ამასვე მოწმობს ერთი ბიბლიოგრაფიული ცნობა, რომელიც დართული აქვს თუმანიშვილის ნუსხას: „ამისი პირი სხვა დააწერინა თავის-

⁸ ზუსტად ამ ხაზითის შესწორებები შეუტანია დავით რექტორს აგრეთვე ვეფხისტყაოსნის ერთ ნაბეჭდ ცალშიც. იხ. ა. შანიძის მიერ აღდგენილი ვეფხისტყაოსნის 1712 წ. გამოცემაზე დართული აღწერილობანი, გვ. 397 — 398.

თვის და ეს მაჩუქაო“. ეს მინაწერი ეკუთვნის თუმანიშვილისეული ხელნაწერის მეორე მფლობელს ბარბარე ქობულაშვილისას. აქ უკვე გახსნილია თუმანიშვილისეული და პეტრე ლარაძის ხელნაწერთა ურთიერთობა. პეტრე ლარაძეს გადაუწერია დავით რექტორის მიერ შესრულებული ვახტანგისეული გამოცემის პირი იმავე ჩასწორებებით, რომლებიც შესრულებულია გ. თუმანიშვილის ხელით.

ერთადერთი ელემენტი, რაც, ერთი შეხედვით, განასხვავებს ამ ორ ხელნაწერს, არის პეტრე ლარაძის ნუსხაზე დართული ლექსიკონი. ამ ლექსიკონს არ იცნობს თუმანიშვილისეული ნუსხა. მის ადგალს აქ ვახტანგის თარგმანი იჭერს.

სპეციალური შესწავლით გაირკვა ამ ლექსიკონის წყაროები. ლექსიკონის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი. სანიმუშოდ ერთ დამახასიათებელ მაგალითს მოვიყვან:

სულხან-საბა: თინათინი — „სარკითა თუ მისთანითა რითმე მზის შუქი კედელზედ რომ ციალებდეს“.

პ. ლარაძე: თინათინი — „სარკითა თუ მისთანითა რითამე მზის შუქი კედელზე რომ ციალებდეს“.

ვახტანგი: თინათინი — „სარკეს თუ წყალს მზე რომ დაადგეს, ის შუქს არ გაუშვებს“.

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში ხელნაწერი სულხან-საბას ეყრდნობა. ამისთანა მაგალითების გამრავლება შეიძლება, მაგრამ გამოიჩინება ისიც, რომ ძირითადად ეს ლექსიკონი აგებულია სწორედ ვახტანგის თარგმანის მიხედვით. ამას ცხადყოფს ისეთი სიტყვების განმარტება, რომლებიც სულხან-საბას არ მოეპოვება. მაგალითისათვის ამის რამდენიმე ნიმუშიც კმარა.

ვახტანგი: თათბირი — სხვათა ენით რჩევა არის.

პ. ლარაძე: თათბირი — რჩევა.

ვახტანგი: ტანაჯორი — ერთი წლის ჯორი არის და ბევრად სხვად იტყვიან.

პ. ლარაძე: ტანაჯორი — წლის ჯორი.

ვახტანგს, ვეფხისტყაოსნის 495-ე სტროფის მაჯამური დაბოლოების განმარტებისას, აშკარა შეცდომა აქვს დაშვებული. იგი წერს: „ბოლოები ვინც გინდათ თარგმნეთ, ერთი სომხური კი არის: არიდენო, იქით მოდიო“. როგორც პროფ. ა. შანიძე აღნიშნავს, ამ სიტყვის სომხურობა შეცდომაა. იგივე სიტყვა არის განმარტებული პეტრე ლარაძის ხელნაწერზე დართულ ლექსიკონშიც „არიდენო — სომხურია, ხოლო

ქართულად ითქმის იქით მოდიო“. როგორც ვხედავთ, ზუსტი დამთხვევაა⁹.

ახლა თუ ზემოთ ნათქვამს შევაჯამებთ, არტანუჯის ვარიანტის წარმოშობის შესახებ შეგვიძლია ასეთი თანმიმდევრობა წარმოვიდგინოთ:

- 1). ვახტანგის გამოცემა (1712 წელი).
- 2). თუმანიშვილისეული ნუსხა (ვახტანგის რედაქცია + 17 სტროფი, გადაწერილია 1823).
- 3) პეტრე ლარაძის ნუსხა (გადაწერილია 1827 წელს, შემდეგ აქედან მოდის ყველა ის ნუსხა, რომელიც ჩვენ დავასახელებთ).

აქვე შეიძლება გავცეთ პასუხი მეორე კითხვასაც. ვინ არის ამ 17 სტროფის ავტორი? ამ შემთხვევაში უნდა დავეთანხმოთ ალექსანდრე სარაჯიშვილს, რომ ეს ავტორი ინტერპოლატორი არის თვით გიორგი ეგნატეს-ძე თუმანიშვილი, ამას გვიმტკიცებს შემდეგი გარემოება.

1. ჩასწორებანი შესრულებულია თვით გიორგი თუმანიშვილის ხელით, მაგრამ მთავარი აქ ის არის, რომ, როგორც ჩანს, ინტერპოლატორი ჩაწერის პროცესშივე თხზავდა და ცვლიდა ხოლმე ამ სტროფებს. ამიტომაც ჯერ ერთი ვარიანტითაა ჩაწერილი რამდენიმე ადგილი და შემდეგ წაშლილია და იმავე ხელით ახალი ვარიანტია მიწერილი¹⁰.

2. ირკვევა, რომ ეს თერთმეტი სტროფი, სადაც გადმოცემულია ინდოეთში დაბრუნების ამბავი, რომლებიც შემდეგაა ჩამატებული გ. თუმანიშვილის მიერ, არ მოიპოვება ადრეულ ხელნაწერებში, რაც კიდევ დამატებით მიგვიითთებს, რომ აქ. გ. თუმანიშვილის ინტერპოლაციებთან უნდა გვქონდეს საქმე.

3. დასასრულ, საყურადღებოა ხელნაწერის მფლობელის მინაწერები გიორგი თუმანიშვილის ლეაწლის თაობაზე: — „ღმერთმან სასუფეველი მისცეს კნიაზ გიორგი ეგნატეს-ძე თუმანოვს. ეს ვეფხისტყაოსანი დააწერინა დავით რეჟტორს, რომელიც პირველი მწერალი იყო ქართულისა. მაგრამ ზოგიერთი სიტყვები წამხდარი იყო ძველი მწერლებისაგან. თითონ გამართა და გამოცვალა ძალიან ჩინებულად, ასე რომ, უთუოდ რუსთველისაგანაც ასე იქნებოდა“. ხოლო თერთმეტ-სტროფიანი ჩანართის თავში და ბოლოში ბარბარე ქობულოვი მიაწერს:

⁹ მაგრამ როგორც სპეციალურ თავში (წინამდებარე ნაშრომის II ტომში, ვეფხისტყაოსნის პირველი ლექსიკოგრაფები) ვარკვევთ, ლარაძის ლექსიკონი უშუალოდ არ მომდინარეობს ვახტანგისეული კომენტარებიდან.

¹⁰ ეს მომენტი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ დებულებას, რომ ლარაძისეული ნუსხა თუმანიშვილის ხელნაწერიდან მოდის, რადგან ლარაძესთან უკვე გასწორებული სტროფებია შეტანილი.

„ეს თერთმეტი ლექსი გიორგი თუმანოვის ნათქვამია და ძალიან მსგავსი ამ ვეფხისტყაოსნისა“. ან კიდევ: „და ვინც გადაწეროს ეს ვეფხისტყაოსანი გიორგი თუმანოვის შრომა ნუ დაიკარგება, ისიც დაიწეროს, ვისიც თქმულია და ძალიანს მუნასიბს ალაგსაც არის დაწერილი, რომ სულ არა იყო რა იმ საგანზედ“.

ყოველივე ამის შემდეგ, გიორგი თუმანიშვილის ინტერპოლატორობა უდავო ფაქტია. ხოლო პეტრე ლარაძის ბუნდოვანი ცნობა უძველესი, არტანუჯული დედნის შესახებ ლეგენდა¹¹.

საითხს აქვს სხვა მხარეც. საინტერესოა, რით ხელმძღვანელობდა თუმანიშვილი ჩანართებზე მუშაობის დროს. სწორი მოსაზრებაა გამოთქმული, რომ „შესაძლებელია თვით არტანუჯის ხელნაწერის იდეა იშვა ვახტანგ მეფის ტექსტისა და მეჩვიდმეტე საუკუნის ვარიანტების შედარებისაგან“¹².

თუმცა უნდა ითქვას, რომ თუმანიშვილისეული სტროფები ზოგი ისეთ ადგილასაა ჩამატებული, სადაც ხელნაწერებში არა გვაქვს ჩანართი. მაგალითად, ვახტანგისეული გამოცემის ტ პ ა — სტროფს: „ქალი აღდა წამოვიდა“... ამ ხელნაწერში მოსდევს ასეთი ჩანართი:

რა პურობა გარდიხადეს, დარბაზს მიველ მხიარული,
მეფემ ტკილად შემომხიდა, დიდი აქვნდა სიყვარული,
ნება ვჰსთხოვე ხატათზედ, რაზმით მეწყო სიარული,
პირძანა, შეილო ეგრე ჰსჯობსო, შეანანო საქმე მტრული.

როგორც გამოირკვა, ამ ადგილას არც ერთი ხელნაწერი არ უჩვენებს ჩანართს.

არის აგრეთვე შემთხვევები, როცა გ. თუმანიშვილის მიერ ჩაწერილი სტროფები შინაარსობრივად განსხვავდება ხელნაწერთა მეშვეობით. დროულად შიმონახულ ჩანართებისაგან. მაგალითად, ვახტანგის გამოცემაში არის ხარევი იმ ადგილას, სადაც ტარიელი მიეშურება როსტევანთან ავთანდილის საქმის მოსაგვარებლად. ხელნაწერში ამ ხარ-

¹¹ თუ რა ხშირად იქმნებოდა ამგვარი გზის ამბნევი ლეგენდები, ამის ერთ ფაქტს უკვე განხილული მასალებიდან მოვიყვან. თუ პეტრე ლარაძე არტანუჯული ვარიანტის მოპოვებას გიორგი თუმანიშვილისა და თავის მეცადინეობას მიაწერს (საინტერესოა, რომ იგი არტანუჯელის ფსევდონიმსაც იყენებდა ზოგჯერ), სხვა ვადამწერი უკვე თავის დამსახურებად თვლის ამ დედნის აღმოჩენას. მაგ., H—933 ხელნაწ. ვადამწერი ს. გარაყანიძე პირდაპირ წერს, რომ მან პირველმა იხილა არტანუჯული დედანი და „მუნით ვადმოსწერა“.

¹² ალ. ს ა რ ა ქ ი შ ვ ი ლ ი, „არტანუჯის ვარიანტი ვეფხისტყაოსნისა“ (ძველი საქართველო, ტ. IV, 1914, გვ. 7).

ვეზს ავსებს სტროფი, რომელიც დღეს საიუბილეო გამოცემაშიც შეტანილია:

ფრიდონ წაყვა, განალამა გავლეს ველი დიღსა ხანსა,
ცნა მეფემან, ტარიელი მარტო მოვა, მოჰხრის ტანსა;
გარდახდა და თაყვანისცა მას უყადრსა, ლომებრ ჯანსა,
სღებს პატივსა ინლოთ მეფეს მართ მამისა შესავანსა.

ეს ხარვეზი, როგორც ირკვევა, თუმანიშვილსაც შეუძნნევია და მისი აზრით, შესაფერი სტროფიც ჩაურთავს:

მუნით როსტან მიეგება, არ ჰყოფს ზრდილობის კლებასა,
ცხენით გარდახდენ, იქმოდნენ, შეყრისა მისწრაფებასა.
არაბთა მეფე სალამსა ჰყადრებს ტარიელს, ქებასა.
შეტრფობით უმზერს, მიეცა როსტენ მუნ დიღსა შებებასა.

ამ სტროფში ფრიდონი სრულიად უგულვებლყოფილია, მაშინ როცა შემდეგი სტროფით ირკვევა, რომ ფრიდონი ტარიელთან ერთად წასულა როსტევანისაკენ. უნდა ითქვას, რომ ამგვარი შემთხვევები თუმანიშვილისეულ ნუსხაში სხვაც მოგვეპოვება.

აქ საფიქრებელია ერთი, რომ ინტერპოლატორმა იცოდა რა ვახტანგის გამოცემის ხარვეზები, ცდილობდა მის ამოცნებას, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი ყოველთვის არ უღარებდა ხელნაწერებსა და ვახტანგის გამოცემას და ისე შეჰქონდა სტროფები, რომლებსაც, როგორც ვნახეთ, თვითონვე თხზავდა.

ეს ხელნაწერი ზემონათქვამთან ერთად ინარჩუნებს კიდევ ერთ მომენტს, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, თავისთავად მეტად საინტერესოა. „ამჟერად — წერს პროფ. ალ. ბარამიძე — ჩვენთვის საინტერესოა თვითონ ფაქტი. ვეფხისტყაოსნის მოყვარულნი უცილობლად გრძნობდნენ ვახტანგისეული გამოცემის ზოგიერთ, ნამეტნავად სიუჟეტურ ნაკლს. ზოგიერთ მათგანს, კერძოდ გიორგი თუმანიშვილს, ხელი მიუყვია ინტერპოლატორობისათვის, ტრადიციულად გამომხაურებია ვეფხისტყაოსნის ტექსტის გამგრძელებელთა საქმიანობას“¹³.

აქ საჭიროა აღინიშნოს ისიც, რომ „არტანუჯულ“ ხელნაწერთა ანალიზი კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, თუ როგორ ჩნდება ინტერპოლაციები და შემდეგ, თუ როგორ ძნელმისაკვლევნი ხდება იგი გზის ამბნევი ანდერძების შედეგად. დასასრულ, სიტყვა მივცეთ „არტანუჯის“ ვარიანტის პირველ მკვლევარს ალექსანდრე სარაჯიშვილს. იგი წერს: „მა-

13 ალ. ბარამიძე, ნარკვევები, ტ. III, 1952, გვ. 83.

გრამ ვისი მოგონილიც უნდა იყოს არტანუჯის ხელნაწერის ლეგენდა, ან რა განზრახვითაც იყოს შეთხზული, სულ ერთია, ჩვენთვის უმთავრესი ის არის, რომ თვით მეცხრამეტე საუკუნეში შესაძლებელი იყო ვეფხისტყაოსნის ტექსტის შერყვნა და შიგ ყალბი ხანების ჩამატება¹⁴.

ამის შემდეგ, როდესაც გარკვეულია ამ რედაქციის თავისებურებანი და წარმოშობის გზები, ჩვენ იგი ცალკე გამოვყავით და წინამდებარე ნაშრომის მეორე ტომის სათანადო განყოფილებაში — „ვეფხისტყაოსნის არტანუჯულ ვარიანტის ნუსხები“, ცალ-ცალკე აღვწერეთ ყველა ეს ხელნაწერი.

¹⁴ ქველი საქართველო, ტ. IV, 1914, გვ. 3.

ვეფხისტყაოსნის მეორე (1841 წ.) გამოცემა

(გამოცემის თავისებურებანი, წყაროები, მეორე გამოცემის გავლენა ხელნაწერებზე)

ვეფხისტყაოსნის 1712 წლის გამოცემიდან გავიდა საუკუნეზე მეტი და პოემა ბექდური სახით აღარ გამოქვეყნებულა.

ზემოთ, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორიის საკითხებზე საუბრის დროს, აღვნიშნეთ, თუ როგორ აწუხებდათ ვეფხისტყაოსნის ტექსტის გამოუცემლობა მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწეებს (თეიმურაზ ბაგრატიონს, გიორგი ავალიშვილს, ამ ხანებში ჯერ კიდევ პარიზში მყოფ მარი ბროსესა და სხვებს) და განზრახული ჰქონდათ კიდევ მისი ბექდურად გამოქვეყნება¹.

გამოჩენილი ქართველოლოგის მარი ბროსეს თაოსნობით, დ. ჩუბინაშვილისა და ზ. ფალიაშვილის თანამშრომლობით და ერთ-ერთი პირველი ქართველი რუსთველოლოგის თეიმურაზ ბაგრატიონის უშუალო დახმარებით განხორციელდა დიდი ხნის ნანატრი საქმე.

1841 წელს გამოვიდა ვეფხისტყაოსნის მეორე გამოცემა, რომლის სატიტულე ფურცელი გვაუწყებდა: „ვეფხის ტყაოსანი“ რუსულად Барсова кожа, პოემა დაწერილი შოთა რუსთველის მიერ, ახლად დაბეჭდილი, შეერთებულითა ღვაწლითა უფალთა ბროსეტ, ზაქარია ფალავანდიშვილისა და დავით ჩუბინოვისათა, სანკტ-პეტერბურღს სტანბაში სახელმწიფო აკადემიისა მეცნიერებათა, 1841“.

თეიმურაზ ბაგრატიონის ღვაწლის აღსანიშნავად გამოცემელთ მეორე სატიტულე ფურცელზე შემდეგი აღუნიშნავთ: „მათს უგანათლებულესობას ბატონი-შვილს თეიმურაზს, საქართველოს მეფის გიორგის ძეს, უმდაბლესის პატივის-ცემისა, გულითადის მადლობისა,

¹ ამ საკითხზე არსებული ვრცელი ლიტერატურის მიმოხილვა იხ. წინამდებარე წიგნის მეორე თავში.

სამარადისო ერთგულებისა ნიშნად შეესწირეთ, დამბეჭდველნი, ბროსეტ. ზაქ. ფალავანდიშვილი, დ. ჩუბინოვი².

გამოცემაში, გარდა პოემის ტექსტისა, დაბეჭდილია წინასიტყვაობა და მცირე ლექსიკონი. წინასიტყვაობა, რომელსაც ხელს აწერს მარი ბროსე, ფრიალ მნიშვნელოვანია. ავტორი მოკლედ, მაგრამ ძირითად ზანებში, გადმოგვცემს შოთა რუსთველსა და მის პოემასთან დაკავშირებულ რიგ ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებს, განხილულია პოემის იდეური მიმართულება და პოეტური ღირსებანი, მოიპოვება ზოგი ცნობა როგორც ვახტანგისეული, ისე 1841 წლის გამოცემის რედაქციულ თავისებურებებზე და ა. შ³.

გამოცემას დართული ლექსიკონი თუმცა ხელმოუწერლადაა დაბეჭდილი. მაგრამ მისი შედარება დ. ჩუბინაშვილის სხვა ნაშრომებთან აშკარად ამხელს მის ავტორს. ლექსიკონის დ. ჩუბინაშვილისადმი კუთვნილება დადასტურებულია მისსავე წერილში, რომელიც გამოქვეყნდა ერთი წლის შემდეგ⁴. ლექსიკონს სულხან-საბასა და ვახტანგის კომენტარების გავლენა ემჩნევა⁵.

მაგრამ 1841 წლის გამოცემა განსაკუთრებით საინტერესოა შედგენილობის თვალსაზრისით. იგი ვახტანგისეულ გამოცემასთან შედარებით სერიოზულ სხვაობას გვიჩვენებს. პოემის პირველი გამოცემის ტექსტზე დამატებულია 50 სტროფი⁶ და, მაშასადამე, შეიცავს 1637 სტროფს.

ამასთან აღსანიშნავია, რომ მარი ბროსე ღირსეულად მოიხსენიებდა ვახტანგ მეექვსის რედაქციულ მუშაობას და აღნიშნულ საკითხზე შემდეგს შენიშნავდა: „ვეფხვის-ტყაოსანი პირველ აღიბეჭდა ტფილისს, 1712 წელსა, ვახტანგ VI მეფის ბრძანებითა, მის მიერ გაკეთებულს სტანბაში, მისვე მეფისა წარსაგებელითა და ზედა-მხედველობითა: წიგნი ესე გარყნობილ იყო სხვა და სხვა მწერალთაგან, მისთვის ვახტანგ მეფემა, როგორც ჰომეროსის სტიხები პისისტრატოსის მიერ გასინჯული

2 წიგნის ტექნიკური აღწერილობა იხ. ქართული წიგნი, 1941, გვ. 102.

3 ავტორი შემწობისათვის ბოლოში მადლობით მოიხსენიებს დ. ჩუბინაშვილს. ამასთან შედარება ცხადყოფს, რომ წინასიტყვაობა დაწერილია თეიმურაზ ბაგრატიონის შეხედულებათა აშკარა გავლენით. იხ. გ. შ ა რ ა ძ ე, თეიმურაზ ბაგრატიონი, როგორც რუსთველოლოგი, სადისერტაციო ნაშრომი, 1966, გვ. 160—164. (ხელნაწ.)

4 იხ. ЖМНП, 1842, XXV. № 8, გვ. 8—9; ლ. მენაბდის მართებული შენიშვნით, აღნიშნულ ლექსიკონს ზოგჯერ მარი ბროსეს მიაკუთვნებდნენ იხ. ლ. მენაბდის დასახ. ნაშრ., გვ. 12.

5 ამაზე დაწერილებით იI ტომში.

6 და არა 48 სტროფი, როგორც შეცდომით აღნიშნული ჰქონდა თვით მარი ბროსეს, რასაც ეყრდნობოდნენ მომდევნო მკვლევარნიც. იხ. ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან, 1966, გვ. 50.

იყოს, ისე გასინჯა და შემამოწმა ძველთა ქელ-წერილებსა და შემდგომად დააბეჭდა“ (გვ. XI—XII).

აქედან აშკარად ჩანს, რომ ბროსეს ვახტანგისეული გამოცემა პომეის კრიტიკულ ტექსტად წარმოედგინა, თუმცა ეს მუშაობა დამთავრებულად არ მიაჩნდა. წინამდებარე წიგნის მეორე თავში ჩვენ ვრცლად ვისაუბრეთ იმის თაობაზე, თუ რა ფართო პროგრამით ცდილობდა ბროსე ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემის განხორციელებას. სხვადასხვა მიზეზის გამო მას ხელი შეეშალა ამ საქმეში.

მანაც მან ნაწილობრივ დაარღვია 1712 წლის გამოცემის ტრადიცია და, როგორც აღვნიშნეთ, 50 სტროფით შეცვებული, უფრო ვრცელი ტექსტი მიაწოდა მკითხველებს.

ბუნებრივად ისმის ასეთი საკითხი: რას დაეყრდნო, ან რა წყაროებით სარგებლობდა მკვლევარი, როცა ასე უცვალა სახე ვახტანგისეულ გამოცემას?

ამაში ნაწილობრივ კვლავ თეიმურაზ ბაგრატიონის ღვაწლი ჩანს. ჯერ კიდევ 1841 წ. გამოცემის განხორციელებამდე თეიმურაზი ატყობინებდა ბროსეს: „ვეფხისტყაოსანი ამათს გარდა (იგულისხმება 1712 წლის გამოცემა — ს. ც.) კიდევ რაოდენნიმე სტიხნი ჩემის ოსტატის დავით ალექსის შვილისაგან გაგვიგონია და ჩემს ვეფხისტყაოსანზედ აწერია, ვითომ ეს შემდგომი ლექსები ვეფხისტყაოსნისა შოთა რუსთაველისა ნათქომი იყოს, დაბეჭდვაში დარჩომოდეს და ველარ ჩაეტუნებინოსო⁷. თეიმურაზი ასახელებს ოთხ ასეთ სტროფს:

- „თუ ყოფილა იგი მოკმე ... (ვრც. გამოცემით 169)
„მოუკლავარ თინათინის სურვილსა და (1937 წ. გამოც. 152)
-მე დავწვერ ვითა წესია... (—553)
„შეველ ფიცხავ შევეკაზმე ... (— 586)

უნდა ვიფიქროთ, რომ ბროსემ ანგარიში გაუწია ამ ცნობას. ოთხივე ეს სტროფი მოხვდა 1841 წლის გამოცემაში.

მაგრამ უფრო რთულია დანარჩენი სტროფების საკითხი. მკვლევარნი, ვინც კი ამ საკითხს შეხებიან, ერთხმად აღნიშნავენ, რომ ბრო-

7 გ. იმედაშვილი. თ: ბატონიშვილის რუსთველოლოგიური ცდანი, ლიტ. ძიებანი, ტ. V, გვ. 191. მართლაც, აზის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში ახლაც ინახება თეიმურაზის ნაქონი ვახტანგისეული გამოცემა, რომელზეც მისივე ხელით მიწერილია ეს დამატებითი სტროფები. იხ. აგრეთვე, თბილისის უნივერსიტეტის კუთვნილი 1712 წლის გამოცემის სხვა ცალი, სადაც დავით რექტორის ხელითაა ეგვევ სტროფები მიწერილი. იხ. 1712 წლის აღდგენილი გამოცემა, 1937, გვ. 397; ს. ც. იმედაშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედქცია, 1957, გვ. 45.

სემ სხვათა მოთხოვნით, წყაროთა შემოწმების გარეშე შეიტანა სხვადასხვა ხელნაწერთაგან ეს სტროფები. ს. ყუბანეიშვილი ამის თაობაზე აღნიშნავს: „იმ დროს იმდენად მძლავრად ყოფილა მოთხოვნილება ვრცელ ვეფხისტყაოსნის დაბეჭდვაზე, რომ ბროსე იძულებული გამხდარა ნაწილობრივ დათმობაზე წასულიყო. ჩვენ მიერ დაბეჭდილი ახალი სტროფები, წერს მ. ბროსე—„სწორედ არ ვიცით ვისგან არიან დაწერილი“, მაგრამ დავბეჭდეთ იმიტომ, რომ ისინი მრავალთა სწავლულთა ქართველთა მოეწონებოდათ, ძველ ხელნაწერებშია იპოვებოდნენ და ამის გარდა, რაოდენნიმე ხელის 'შომწერენი ამ წიგნზე გვთხოვეს დატევა მათით“ (გვ. XIV). ეს, რა თქმა უნდა, ძალიან უსუსური არგუმენტია იმისათვის, რომ აღნიშნული ჩანართი სტროფები ვეფხისტყაოსნის ძირითად ტექსტში შეტანილიყო“⁸.

ამავე შეხედულებას იზიარებს ლ. მენაბდეც და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ბროსე, როგორც ჩანს, სხვადასხვა ხელნაწერებით სარგებლობდა: „ციტირებული სიტყვებიდან ჩანს, რომ კომისია, მართალია, იცნობდა და იყენებდა სხვადასხვა ხელნაწერს, მაგრამ დაზღვეული არ იყო სუბიექტივიზმისაგან და იძულებული იყო ანგარიში გაეწია მკითხველი საზოგადოების ინტერესებისათვის, კერძოდ, ხელისმომწერთა მოთხოვნისათვის“⁹.

მაგრამ ირკვევა, რომ სავსებით ასე არ წარმოგვიდგება საქმის ვითარება. ამავე დროს შესაძლებელი ხდება 1841 წლის კონკრეტული წყაროს გამოკვლევა.

რასაკვირველია, პირველ რიგში, მ. ბროსეს ხელთ არსებული წყაროების შესწავლაა საჭირო. ზოგი მკვლევარი ფიქრობდა, რომ სტროფთა დამატებისას მარი ბროსემ გამოიყენა პარიზული ნუსხა, რომელზედაც იგი წლების მანძილზე, ჯერ კიდევ პარიზში ყოფნისას მუშაობდა¹⁰. მაგრამ ეს არ მართლდება შედარების შედეგად, რადგან გარდა იმისა, რომ 1841 წლის გამოცემაში შეტანილი ზოგი სტროფი არ მოიპოვება პარიზულ ნუსხაში (ჩვენი ლიტერით X ხელნაწერი, გა-

⁸ ს. ყუბანეიშვილის დასახ. წიგნი, გვ. 53.

⁹ ლ. მენაბდის დასახ. წიგნი, გვ. 11; იხ. აგრეთვე ჩვენი ზემოთ დასახ. წიგნი, გვ. 46. მარი ბროსეს ანალოგიური აზრი გატარებული აქვს ტექსტის ბოლოში დართულ ლექსით ანდერძში „ზოგნი ახლად ძველ ხელ-წეწალთ ვპოვე, იგიც ზედ დაჰმეტა“.

¹⁰ იხ. რუსულან დოდაშვილი, მარი ბროსე — ქართული მწერლობის მკვლევარი, 1962, გვ. 77; მკვლევარი იმომუხებს 1841 წლის გამოცემის წინა-იტყვას, მაგრამ იქ ლაპარაკია მხოლოდ გავრძელებათა თავებზე და არა საერთოდ ჩანართებზე. იხ. გვ. XIV.

დაწ. 1702 წ.), ამ ხელნაწერში არის მთელი რიგი სრულიად განსხვავებული ადგილები¹¹.

მარი ბროსეს არქივში დაცულ მასალათაგან ყურადღებას იქცევს ლენინგრადისაკვე ხელნაწერი M—48, რომელიც 1828 წ. გადაუწერია ასლან საფიროვს. ხელნაწერის შემდეგი მფლობელი ყოფილა პეტრე ქებაძე, რომელსაც ეს უკანასკნელი საჩუქრად გადაუცია მარი ბროსესათვის, რაზეც სათანადო ცნობაა დაცული ხელნაწერის პირველ გვერდზე. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დავალებით ამ ათი-ოდე წლის წინ ჩვენ აღვწერეთ და შევისწავლეთ ხელნაწერი რედაქციულად, რის შემდეგ იგი მოხვდა ამავე ინსტიტუტის ვეფხისტყაოსანის ვარიანტების გამოცემაში¹². ხელნაწერი, როგორც ზემოთ უკვე ვნახეთ, კომპილაციური აღნაგობისაა: ვახტანგისეული რედაქციის ტექსტს ბოლოში დამატებული აქვს გაგრძელებანი. მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა პეტრე ქებაძისეული მინაწერები, რომლებშიც ხელნაწერების აშიებზე მიწერილია 52 დამატებითი ჩანართი სტროფი. აღსანიშნავია, რომ ამ 52 სტროფიდან 49 სტროფი შესულია 1841 წლის გამოცემაში. მამასადამე, სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ სწორედ პეტრე ქებაძის მიერ მოწოდებულ მასალებს დაყრდნობა მარი ბროსე გამოცემის ახალი სტროფებით გაზრდის დროს¹³.

მაგრამ ეს საკითხის ერთი მხარეა. მ. ბროსე თანამშრომლებად იყენებდა მრავალ ქართველ მოღვაწეს და იქნებ სწორედ პეტრე ქებაძეს (ისევე როგორც, მაგალითად, გ. ავალიშვილსა და სხვებს) მისცა მან დავალება ძველ ხელნაწერთაგან ამოეკრიბა ვახტანგისეულ გამოცემის შესავსები სტროფები. ამდენად, ყველაზე მნიშვნელოვანია თვით ამ 52 სტროფის წყაროების გამოკვლევა.

ამ საკითხის გამოკვლევა გაგვიადვილა ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა რედაქციულმა შესწავლამ (იხ. ზემოთ) და ჩანართი პლასტების გამოყოფამ. გამოიჩვენა, რომ აღნიშნული 52 სტროფი მოიპოვება სწორედ პირველი რედაქციის ნუსხებში და, როგორც ჩანს, ან ამ ნუსხებში, შეუღარა პ. ქებაძემ ვახტანგისეული გამოცემა, ან რომელიმე მათგანი აიღო საფუძვლად.

11 მაგალითად, ჩანართი სტროფები 230, 233, 247, 2781 და მრავალი სხვა, არ არის X ხელნაწერში, ხოლო მოიპოვება 1841 წ. გამოცემაში, თავის მხრივ X ხელნაწერი შეიცავს მრავალ ჩანართს (იხ. ამ ხელნაწერზე ზემოთ). რომლებსაც არ იცნობს 1841 წ. გამოცემა.

12 იხ. ვარიანტების პირველი ტომის წინასიტყვაობა, გვ. 6.

13 სხვათა შორის, ამავე მიზნით ჩანს გადაწერილი ლენინგრადის K—1 ხელნაწერი, სადაც ცალკეა ამოწერილი ეს 52 სტროფი.

მაგრამ გამოირკვა ფრიად საინტერესო ვითარება. პირველი რედაქციის მქონე არც ერთ ნუსხაში, გარდა ერთისა, მთლიანად არ მოიპოვება აღნიშნული ჩანართი სტროფები.

ეს ერთი ნუსხა კი აღმოჩნდა ჩვენთვის ცნობილი, ამჟამად ოქსფორდში უორდროპის კოლეჯშია დატული თარხან-მოურავისეული ხელნაწერი Z (W — 27).

გარდა ასეთი აბსოლუტური დამთხვევისა (ამის გამო მე აღარ მომაქვს 52 სტროფისა და ხელნაწერის ჩანართი სტროფების შედარებითი ნუსხა), ამას მხარს უჭერს სხვა მტკიცე საბუთები: ა) პეტრე ქებაძის მიერ ამოწერილი 52 დამატებითი სტროფის ჩვენება იწყება ვრცელი გამოცემის 217-ე სტროფით („მოუკლავარ თინათინს...“). მართლაც ხელნაწერი დაზიანებულია თავში და ტექსტი იწყება ვრცელი გამოცემის 206 სტროფით და პირველი განსხვავება ვახტანგისეულ გამოცემასთან სწორედ 217-ე სტროფით იწყება. ბ) პეტრე ქებაძე M — 48 ხელნაწერის მინაწერებში გვაწვდის საინტერესო ცნობას: „ეს მუხლები (ლაპარაკია დამატებით სტროფებზე — ს. ც.) ერთი ვეფხისტყაოსანი იყო ძველებური, დიდინის დაწერილი თავის მხატვრობითა. შევამოწმეთ სხვა ვეფხისტყაოსნებს და არც ერთში არ იყო მართო იმ ვეფხისტყაოსნის გარდა და იქილამ გამოვსწერეო“ (ფ. ვ.).

საგულისხმოა ორივე ცნობა: პეტრე ქებაძე იწერდა მხოლოდ ერთი ხელნაწერიდან, რომელიც ილუსტრირებული იყო. მართლაც, Z ხელნაწერი მხატვრულად შემკული და ილუსტრირებულია, რაც კიდევ უფრო სანდოს ხდის ჩვენს მოსაზრებას¹⁴.

დასასრულ, ეს საბოლოოდ დადასტურდა Z ხელნაწერის აღნიშნული სტროფებისა და 1841 წლის გამოცემაში შეტანილ დამატებითი სტროფების ტექსტუალური შეჭერების შედეგად. მოვიტან მხოლოდ რამდენიმე მაგალითს: 1. ვრცელი გამოცემის 230-ე სტროფში Z ხელნაწერი იძლევა რამდენიმე მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ წაკითხვას. პირველ სტრიქონში: „განა აქვს ლომსა იმედი...“ ზუსტად ასევეა ბროსეს გამოცემაშიც. მეოთხე სტრიქონში ხელნაწერები გვაძლევენ განსხვავებულ წაკითხვებს (სავალად,

¹⁴ ხელნაწერის ახლად აღმოჩენილ ერთ მინიატურას სპეციალური წერილი მიუძღვნა ე. მაკავარიანმა. იხ. ხელნაწ. ინსტ. კრებული: შოთა რუსთაველი, 1966, გვ. 123—134.

საკლავად, წასავლად და ა. შ.). მხოლოდ Z ხელნაწერში იკითხება: „საკლავად“. ასევეა ბროსეს გამოცემაშიც. 2. სტროფი 233-ე; მეორე სტრიქონში Z-სა და ასევე პირველი რედაქციის E ხელნაწერში (რომელიც სხვა მხრივ შორდება ბროსეს წაკითხვებს) იკითხება: „მემედებია“, რაც ასევეა 1841 წ. გამოცემაშიც. 3. 247-ე სტროფში მესამე სტრიქონის პირველი სიტყვები: „არ დავაგდოთ“ ხელნაწერის სპეციფიკური წაკითხვაა. ასევეა 1841 წ. გამოცემაშიც. 4. მომდევნო დამატებით სტროფში (257) პირველი რედაქციის მხოლოდ რამდენიმე ხელნაწერი (I, R) და მათ შორის Z მეორე სტრიქონში გვაძლევენ თავისებურ წაკითხვას: „უდაბურთა ქვეყანათა“, რომელსაც იმეორებს 1841 წ. გამოცემა. 5. 277-ე სტროფის მესამე სტრიქონში Z ხელნაწერი იცავს წაკითხვას: „ხმალი მოიკრის ჯანებით“, რაც ხელნაწერისათვის სპეციფიკურია და მეორდება 1841 წლის გამოცემაშიც.

ასეთი მეთოდით შედარებამ ბოლომდე სრულიად დადებითი შედეგი მოგვცა, მცირეოდენი გადახვევების გარდა (1841 წ. გამოცემა, ასწორებს ზოგ აშკარა ლაფსუსს ან იშვიათად, ასწორებს კიდევ ძველ წაკითხვას), მხოლოდ ხელნაწერისათვის დამახასიათებელი თითქმის ყველა სპეციფიკური წაკითხვა დასტურდება 1841 წლის გამოცემაში.

გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ოთხი სტროფი (ვრც. გამოცემის 169-ე, და 1937 წ. გამოცემის 152-ე, 553-ე და 586-ე სტროფები). აქედან პირველი სტროფი საერთოდ არ არის Z ხელნაწერში, რადგან თავში იგი დაზიანებულია, ხოლო შემდგომი სამი სტროფი სხვა ვარიანტითაა წარმოდგენილი. თუ გავისხენებთ ზემოთქმულს, ნათელი შეიქნება ეს საკითხიც. ოთხივე ეს სტროფი თეიმურაზ ბაგრატიონას რეკომენდაციითაა შეტანილი 1841 წ. გამოცემაში და, მართლაც, ოთხივე სტროფის ტექსტი ემთხვევა თეიმურაზის მიერ მიწოდებული სტროფების წაკითხვებს.

მაშასადამე. 1841 წლის გამოცემის წყაროები ჩვენთვის უკვე ცნობილია. მარი ბროსემ ვახტანგისეული გამოცემა ახალი თავისებური რედაქციით გამოაქვეყნა. მან 1712 წლის გამოცემას ჯერ დაუმატა თეიმურაზ ბაგრატიონის მიერ რეკომენდებული ოთხი სტროფი, ამასთან შესისწავლა პეტრე ქებაძის მიერ Z ხელნაწერიდან ამო-

წერილი დამატებითი 52 სტროფი¹⁵ და აქედან უარყო მხოლოდ სამი¹⁶. ხოლო სხვა სამი (1937 წ. გამოცემის 152, 551, 586 სტრ.) თეიმურაზ ბაგრატიონის მიერ წარმოდგენილი ტექსტის მიხედვით დაბეჭდა. ე. ი. პეტრე ქებაძის ნუსხიდან საბოლოოდ 1841 წლის გამოცემაში მოხვდა 46 სტროფი. ამას თუ მივუმატებთ თეიმურაზ ბაგრატიონის მიერ რეკომენდებულ ოთხ სტროფს, მივიღებთ სწორედ 50 დამატებით სტროფს, რითაც 1841 წლის გამოცემა განსხვავდება ვახტანგის გამოცემისაგან¹⁷.

ასე რომ, უარყოფილ უნდა იქნას ვეფხისტყაოსნის მეორე გამოცემის გარშემო აქამდე არსებული შეხედულება, თითქოს იგი ვახტანგისეული გამოცემის განმეორებაა, რომელსაც ერთვის პირადი გემოვნებით შერჩეული დამატებითი სტროფები სხვადასხვა ხელნაწერიდან.

1841 წლის გამოცემა ობიექტურად წარმოადგენს ვახტანგის გამოცემისა და პოემის პირველი რედაქციის შემცველი ხელნაწერის (Z) შეჭერების ნაყოფს და ამდენად, აქ უკვე საგრძნობლად დარღვეულია 1712 წლის გამოცემის მიერ დამკვიდრებული პოემის მოკლე რედაქციის შედგენილობა¹⁸.

* * *

ვეფხისტყაოსნის მეორე გამოცემაშიც ერთგვარად გაიზიარა ვახტანგისეული გამოცემის ბედი. გადაშერებმა ამ გამოცემაშიც მიმართეს და იწყეს მისი ხელნაწერული გავრცელება (თუმცა არა იმ მას-

15 თუ რომელი ხელნაწერიდან აიღო პეტრე ქებაძემ ეს სტროფები, ეს შესაძლოა არც სცოდნოდა მარი ბროსეს, რადგან პეტრე ქებაძეს ხელნაწერი საქართველოში უნდა ჰქონდეს ნახული, ან იქნებ ეს ამონაწერები მას ხელნაწერის პირველმა მფლობელმა პ. კარბელაშვილმა გამოუგზავნა საქართველოდან. ამ ხელნაწერის საინტერესო თავგადასავალი მოთხრობილი აქვს ექვთიმე თაყაიშვილს (იხ. ჟურნ. „მნათობი“ 1958, № 7). აქ წარმოდგენილი მასალებით გაირკვა ახალი მომენტი. ამ ხელნაწერს საქართველოდან ვატანამღე (ახლა იგი ოქსფორდში ინახება) მანც შეუსრულებია გარკვეული როლი პოემის ტექსტის აღდგენის საქმეში.

16 ეს სტროფებია: „მომართვეს ასნი კლიტენი... 629,

„გარე ვაქცივე ასმათი... 693;

„ხვარაზმით გამოემართა... 6931.

17 1841 წ. გამოცემის დამატებათა ნუსხა იხ. ს. ყუბანეიშვილის ზემოთ დასახელებულ წიგნი, გვ. 50—51.

18 აღსანიშნავია, რომ აღნიშნული 50 სტროფიდან 11 სტროფი შევიდა მომდევნო და მათ შორის 1937 წლის საიუბილეო გამოცემაში (იხ. 1937 წლის გამოცემის 152, 301, 302, 323, 373, 415, 487, 553, 581, 586, 1514 სტროფები).

შტაბით). იმ მასალების მიხედვით, რომელიც ჩვენ მოგვეპოვება, ამჟამად ცნობილია 6 ასეთი ნუსხა, რომელთა აღწერილობანი მოცემული იქნება წინამდებარე ნაშრომის მეორე ტომში. ეს ხელნაწერებია: 1. ლიტერატ. მუზეუმისა — 18380; 2. საქართველოს ცენტრარქივისა, № 59; 3. საქართველოს ცენტრარქივისა, № 683; 4. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, F — 194; 5. ახალციხის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, № 132; 6. გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, № 126.

საფიქრებელია, რომ კვლავ აღმოჩნდეს 1841 წლის გამოცემის გავლენით შესრულებული ვეფხისტყაოსნის სხვა ხელნაწერები¹⁹.



¹⁹ აღსანიშნავია, მაგალითად, რომ ჩუბინაშვილის 1846 წლის გამოცემიდან (რომელიც ფაქტიურად ვეფხისტყაოსნის მეორე გამოცემის გამოორებაა, როგორც ეს გაარკვია ს. ყუბანეიშვილმა) ყოფილა გადაწერილი გორელი მასწავლებლის კასრაიის ხელნაწერი, რაზეც ცნობა მოიპოვება ს. ყუბანეიშვილის სტატიაში, რომელიც დაბეჭდილია რუსთველისადმი მიძღვნილ უკრაინულ ენაზე გამოცემულ კრებულში. კიივი, 1937, გვ. 149.

ა ო ლ ო ს ი ბ ა ვ ა ო ბ ა :

წარმოდგენილი ნაშრომი, როგორც ვნახეთ, ჩვენი მონოგრაფიის „რევოლუციონარული ტექსტის ისტორია“ პირველი (მეტწილად თეორიული ხასიათის) მონაკვეთია და იბეჭდება ცალკე ტომის სახით.

ნაშრომის სათაური ამასვე მოწმობს და მკითხველი გზადაგზა შეამჩნევდა, რომ ავტორი ხშირად იყენებს ტერმინს „ტექსტის ისტორია“, რაც ფილოლოგიურ მეცნიერებაში შედარებით ახალი ცნებაა. უნდა აღინიშნოს, და ეს ჩვენს გამოკვლევაში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ ამ ცნების შინაარსი ტექსტოლოგიური მეცნიერების კვლევა-ძიების ფარგლების გაფართოებას გულსჩემობს და პირველ რიგში მიზნად ისახავს კლასიკური ხანის ძეგლთა ტექსტების განვითარების ისტორიული სურათის აღდგენას.

ბუნებრივია, რომ საკვლევი ობიექტის გაფართოება კვლევის მეთოდოლოგიის ძირეულ ცვლილებებს გამოიწვევდა. ტექსტოლოგიურმა მეცნიერებამ შეიძინა ახალი შინაარსი, რამდენადაც ტექსტის ისტორიის შესწავლა გასცილდა მექანიკური კლასიფიკაციის ჩარჩოებს (რაც თავის დროზე აუცილებელი ეტაპი იყო. იხ. ზემოთ ლანძმანისა და მე-19 საუკუნის ფილოლოგიური სკოლების მიმოხილვა) და ფაქტიურად თავის უპირველეს მიზნად იმ შინაგანი პროცესების ანალიზი გაიხადა, რომლებიც საბოლოო ჯამში განსაზღვრავენ ამა თუ იმ ტექსტის განვითარებას. ტექსტის ისტორია, როგორც ის ჩვენ დღეს გვეჩვენის, მკიდროდ უკავშირდება არა მარტო შესასწავლი ძეგლის ავტორის, არამედ მის გამაგრძელებელ-კომენტატორთა მსოფლმხედველობას, წარსულ ეპოქათა ძირითად იდეოლოგიურ ტენდენციებს.

კვლევის მეთოდებიც უფრო ყოვლისმომცველი შეიქმნა. მაგალდღეს ტექსტოლოგია შორს ვერ წავა ლიტერატურის ისტორიის, ლინგვისტიკისა თუ ლიტერატურათმცოდნეობის მიერ მოპოვებულ მონაცემთა გარეშე, სამაგიეროდ ტექსტოლოგიური ხასიათის მონაპოვარნიც თავის მხრივ ამდიდრებდნენ ამ უკანასკნელთ. ასევე წარმატებით მიმართავს იგი სხვა მომიჯნავე მეცნიერებებს: ისტორიას, პალეოგრაფიას, აგრეთვე არქეოლოგიას, ხელნაწერთა კატალოგიზაციას-

სა და ა. შ. ყოველმხრივი, კომპლექსური შესწავლა არის ძირითადი ღამახასიათებელი ნიშანი, რითაც პრინციპულად გამოირჩევა თანამედროვე ტექსტოლოგია.

ნაშრომში „ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია“, რომელშიც შექამებულია წლების მანძილზე ჩატარებული კვლევის შედეგები (პირველი გამოკვლევა გამოაქვეყნეთ ჯერ კიდევ 1954 წელს), ჩვენ შევეცადეთ ფილოლოგიური მეცნიერების თანამედროვე დონის გათვალისწინებით შეგვესწავლა ვეფხისტყაოსანთან დაკავშირებული რთული ტექსტოლოგიური საკითხები. ფაქტიურად — ეს არის ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორიისადმი მიძღვნილი პირველი მონოგრაფია. პირველწყაროთა შედარებითი შესწავლის შედეგად გამოტანილია დასკვნები, რომლებმაც მოგვცა საშუალება შეგვემუშაებინა გარკვეული კონცეფცია და, შეძლებისამებრ, ტექსტის რეკონსტრუქციის საფუძველზე აღგვედგინა ტექსტების განვითარების მეცნიერული სურათი. უნაიდან ყოველგვარი ტექსტოლოგიური კვლევის ერთ-ერთი რეზულტატი ტექსტის აღდგენაცაა, ვფიქრობთ, აქ გამოტანილი დასკვნები ცოტათი მაინც წაადგება ვეფხისტყაოსნის საუკუნეთა მანძილზე წარყვნილი ტექსტის აღდგენის საშეილიშვილო საქმეს.

პირველი მონოგრაფიააო, აღვნიშნე, და ამით ისიც მივანიშნე, რომ, ალბათ, იგი უნაკლო ვერ იქნება, მაგრამ სულხან-საბა ორბელიანისა არ იყოს „ერთისა და ორის კლებისათვის ნუ დაიწუნებთ, — სრული გვიან საპოვნელია“.

დასასრულ, საჭიროდ მიმაჩნია მკითხველს ვაუწყო შემდეგი. თუ წარმოდგენილ ტომში ძირითადად საუბარია პოემის რედაქციებზე, მათი ჩამოყალიბების დროსა და თავისებურებებზე, აღნიშნულ რედაქციითა ურთიერთმიმართებაზე და აგრეთვე ვეფხისტყაოსნის ტექსტის აღდგენასთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებზე, II ტომში (რომელიც უახლოეს ხანში გამოქვეყნდება), რედაქციების კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგების მიხედვით დალაგებული და მეცნიერულად აღწერილია ვეფხისტყაოსნის ამჟამად ჩვენ ხელთ არსებული (როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში) ყველა ხელნაწერი თუ ცალკეული ფრაგმენტი (სულ 162 ხელნაწერი და 32 ფრაგმენტი), ამდენად, აღნიშნულ ტომს ერთგვარად საცნობარო ხასიათიც ექნება და, ვფიქრობთ, გარკვეულ სამსახურს გაუწევს ვეფხისტყაოსნის შესწავლით დაინტერესებულ პირებს.

ამავე ტომში დაიბეჭდება აგრეთვე ამავე საკითხებთან დაკავშირებული რამდენიმე გამოკვლევა: ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ნაირკითხვაობათა ანალიზი და ხელნაწერთა კლასიფიკაციის შედეგები,

ვახტანგის რუსთველოლოგიური შეხედულებები მისივე კომენტარების მიხედვით, პოემის პირველი ხელნაწერული ლექსიკონები (ტექნიკური მიზეზების გამო ეს თავები გადმოტანილ იქნენ პირველი ტომიდან). მე-19 საუკუნის მწიგნობართა ცნობები ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებზე, მოკლე შესავალი წერილი. რომელშიც მიმოხილულია ვეფხისტყაოსნის ხელნაწერების შესწავლის ისტორია. ამავე ტომს დაერთვის საძიებლები და აგრეთვე მოკლე რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე.

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია და თანამედროვე ტექსტოლოგიის ზოგადი საკითხები	3
2. ვეფხისტყაოსნის ტექსტის შესწავლის ისტორიიდან	17
ა) ვახტანგამდელი პერიოდი რუსთველოლოგიაში	17
ბ) ვახტანგი და ვეფხისტყაოსნის ტექსტის საკითხები	22
გ) ვეფხისტყაოსნის ტექსტის საკითხები თე-მტრავ ზაგრატიონისა და მის მოწაფეთა შრომებში	25
დ) მწერალთა კომისიის მეორე მომზადებული ვეფხისტყაოსნის 1888 წლის გამოცემა	35
ე) ვეფხისტყაოსნის ტექსტის საკითხები მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართულ მეცნიერებაში (ნ. მარი, დ. კარიჭაშვილი, ს. კაკაბაძე, ი. აბულაძე)	59
ვ) ვეფხისტყაოსნის ტექსტის საკითხები ქართულ მეცნიერებაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ (1934, 1953 წლის ვეფხისტყაოსნის გამოცემები)	98
ზ) ვეფხისტყაოსნის პირველი საუბრილო (1937 წ.) გამოცემები (ვეფხისტყაოსნის რედაქციები და პოემის ზოგიერთ ტექსტუალურ საკითხები)	125
3. ვეფხისტყაოსნის რედაქციები (ზოგადი მიმოხილვა)	146
4. ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები (საკითხის დასმისათვის)	166
ა) ვეფხისტყაოსნის პროლოგი ხელნაწერებსა და გამოცემებში	168
ბ) პოემის შუა მონაკვეთი ხელნაწერების მიხედვით	193
გ) ვეფხისტყაოსნის გავრძელებათა რედაქციები და პლასტების დათარიღების საკითხები	237
დ) შედგენილობის მიხედვით ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა კლასიფიკაციისათვის (ზოგადი დასკვნები)	276
5. ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, ტექსტის აღდგენის ძირითადი საკითხები	282
6. ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია (წყაროების საკითხი, ამ რედაქციის გაღვინა ხელნაწერთა მემკვიდრეობაზე)	313
7. ვეფხისტყაოსნის არტანუჯული ვარიანტის შესახებ	326
8. ვეფხისტყაოსნის მეორე (1841 წ.) გამოცემა (გამოცემის თავისებურებანი, წყაროები, მეორე გამოცემის გაღვინა ხელნაწერებზე)	337
9. ბოლოსიტყვაობა	346
	349

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

გამომცემლობის რედაქტორი ც. ჯ ი მ შ ე ლ ე ი შ ვ ი ლ ი
ტექნორედაქტორი ე. ბოკერიია
კორექტორი მ. მახარაძე

გადაეცა წარმოებას 29.9 1969; ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.11.70;

ქალაქის ზომა 60×90; ნაბეჭდი თაბახი 21.75;

სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 19.11;

უე 01228; ტირაჟი 1800; შეკვეთა № 2516;

ფასი 1 მან. 82 კაბ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Издательство «Мелниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Типография Академии наук ГССР, Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15

შეცდომების გასწორება

პპ.	სტრუქონი		ა რ ის	უნდა იყოს
	ზემ.	ქვემ.		
3	11		აქეთ	აქეს
6(შ)		3	Precedings	Preceedings
8	11		ორ რამდენიმე	ორ ან რამდენიმე
19(შ)		2	ბ. ჯაიციას	ბ. ჯაიციას
21		13	მარგალიტის	მარგალიტი
23	8		სამლოთო	სამლოთნი
"	12		კიდე	კიდე
30(შ)		16	Asiatique, 1930	Asiatique, 1830
47	19		როს	როს
64	9		წ	წა
73	15		ამისა ვ ა რ	ამისა ვ ი ნ
76		12	палличе	палличье
79(შ)		2	M. Borvra	M. Bowra
82	6		მირხ	მართ
85	1		Balagui-i	Balaqai-i
"	2		ბალახში balax-i	ბაღახში badaqai-i
"	6		badagui-i	badaqai-i
"		5	Baloss	Balass
92	23		მე-9	მე-3
104	21		არსებობა ¹⁵	არსებობა ¹⁵
112	20		N	H
113		11	ღრეებით	ღარებით
114		9	საშინელთა	საშინელოთა
115	18		კიდე	კიდე
116	22		მაგარ	მაგარ
117	11		Y	Y
119	7		T	I
128	13		CFGLVF'L'Q'	CFGLTYF'L'Q'
142	4		Y	V
"	"		ნაშტნი	ნიშტნი
151		11	„ამაო სოფლის	„ამაო სოფლის ¹⁶
167	17		ჩირითადი	ძირითადი
173	8		H—1599	H—599
192		14	(V*)	(Y*)
202		8	Q—261 (T)	Q—261 (I)
211		3	121—54—67	121—54=67
237	7		(E)	(F ¹)
238	20		ასე	ესე
254	17		guen	quem
262		7	2424 ²	2124 ²
273		2	H—260	H—2610
288	25		ასე წარმოკედეება ¹²	ასე წარმოკედეება ¹³ (იხ. სტემა 2).
290.		3	G (H—2074)	C (H—2074)
301	სტემა			სტემა № 5.
311		11	უცნობი	უცნობი
318	9		მეორე	მეოთხე
321(შ)		4	ხელნაწერში	ხელნაწერში
341	4		1828	1823
349		9	მოგადი	ზოგადი